K 234.695/3

ბუთა ვადაჭკორია

ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში

„მეცნიერება“
თბილისი
2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი მშობლების –
სონია კალისტეს ასული წულაძე-
ვადაჭკორიას
და
ილია იასონის ძე ვადაჭკორიას
ნათელ ხსოვნას ეძღვნება ეს წიგნი



წიგნი იბეჭდება
ბატონ აკაკი ვარდენის ძე ჩხაიძის
და
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის
ქველმოქმედებით

ეროვნული ბიბლიოთეკა
2000-ეროვნული

Georgian Academy of Sciences
The Institute for Politikal Science

SHOTA VADACHKORIA

Georgien Social-Demokracy in 1917-1921

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ИНСТИТУТ ПОЛИТОЛОГИИ

ШОТА ВАДАЧКОРИА

ГРУЗИНСКАЯ СОЦИАЛ-ДЕМОКРАТИЯ В 1917-1921 ГОДАХ

"Science"
Tbilisi
2001

"мецниереба"
Тбилиси
20001

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

შოთა ვადაჭკორია

ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში

„მეცნიერება“
თბილისი
2001

9(479.22) 1917 - 1921 → 329.(4)(479

УДК 947-922
ვ 126

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი დაწერილია საარქივო, პრესის მასალების და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე. იგი ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიას ეხება. ავტორი შეეცადა წინა პლანზე წამოეწია საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის, მისი ორგანიზაციის, ეკონომიკური რეფორმების გატარების, საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში ქართული სოციალ-დემოკრატიის როლი და დამსახურება.

რედაქტორი
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი პროფესორი მერაბ ვაჩნაძე

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი ფრიდონ სიხარულიძე

ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი მამია დღვილავა

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
დადგენილებით.

ვ 0802000000
M607(06)-2001
ISBN 99928-0-225-1

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

©"მეცნიერება"
თბილისი
2001

შესავალი

საკითხის დაყენებისათვის. ძირითადი წყაროების მიმოხილვა და ისტორიოგრაფია

საკითხის დაყენებისათვის. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან, XX საუკუნის 20-იანი წლების მოვლენების ინდივიდუალური ხედვით, პრაქტიკული საქმიანობითა და მოსახლეობის მხარდაჭერით, ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) გამოირჩეოდნენ. ეროვნულ და ტაქტიკურ საკითხებში მათი მსოფლმხედველობის ევოლუციურმა პროცესებმა, ისინი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის აუცილებლობამდე მიიყვანა. 1917 წლის თებერვალ-მარტიდან 1918 წლის მაისის ჩათვლით, მათ მიერ გაწეული საქმიანობა ამის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა დამსახურების არდანახვა, მიზანდასახული დისკრედიტაცია და ლაფში ამოსვრის ტენდენციათეული წლების განმავლობაში იმ დონეზე მიმდინარეობდა, რომ ლამის ერის მოღალატეებად გამოაცხადეს. უსაფუძვლოდ წაყენებულმა ბრალდებებმა და არაობიექტურმა შეფასებებმა, თაობებში ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში ამ პოლიტიკური პარტიისადმი დამოკიდებულება დღესაც ნეგატიურია. მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მისი ფორმირების პროცესს და ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს დადებით შეფასებას აძლევენ, მაგრამ იგნორირებას უკეთებენ იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერთა სახელებს, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფოს ფუნდამენტის მომზადებაში ლომის წილი ედოთ. საარქივო მასალით დასტურდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობის განახლება-სრულყოფა და ქართული სოციალ-დემოკრატია ერთმანეთისაგან განუყოფელია, რამეთუ გ. ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ „მისი მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო."[1] ქართული სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის შეფასებისას, პირველ რიგშია გასათვალისწინებელი: 1) კრიტიკულ სიტუაციაში (1918 წლის მაისი), ოპოზიციურ პარტიათა მიერ ერისა და ისტორიის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის მძიმე ტვირთის ტარების პასუხისმგებლობაზე უარის თქმა და ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან აღნიშნულ „რისკზე" წასვლის ფაქტი. ამის შესახებ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვ.კოტეტიშვილი სტატიაში „საქართველო და გერმანია" გარკვევით წერდა: „რა ვუყოთ რომ ოპოზიცია ბევრს

ლაპარაკობს მთავრობის უსუსურობაზე... შემოქმედებითი მუშაობა მათ ვერ შეძლეს და ნაკლთა ჩვენებითდა კმაყოფილდებიან. „პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთო" სთქვეს იმ დროს, როდესაც საქართველოს არსებობის საკითხი დაისვა გადასაწყვეტად."[2] ამასვე ადასტურებს ს.ფირცხალავაც 1919 წელს გამოქვეყნებულ წერილში „დამფუძნებელ კრებაზე." მასში გასაგებადაა ნათქვამი, რომ სოციალ-დემოკრატიულმა „პარტიამ თავს იდვა ჩვენი დამოუკიდებლობა, ერის აღორძინება და არავის ვხედავთ, რომ დღეს-დღეობით მისი მაგივრობა სხვა რომელიმე ძალამ გასწიოს"[3] თუკი აღნიშნულ ფაქტებს ვენდობით, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებელ ერთად-ერთ პოლიტიკურ ძალად ქართული სოციალ-დემოკრატია მოჩანს. 2) პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ოპოზიციური პარტიები უკეთ შეძლებდნენ თუ არა ახლოაღმოსავლური, საომარი სიტუაციის ფონზე კავკასიური პოლიტიკის ლაბირინთებში გზის გაკვალვას და სამოქალაქო ომიდან ქვეყნის უვნებლად გამოყვანას. მათი მმართველობის პირობებში (2 წელსა და 8 თვეში) უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა თუ არა საქართველოს ყოფა. „პოლიტიკა—ამბობდა ნ.ჟორდანია—განიზომება მისი შედეგებით, საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს."[4] ამ კრიტერიუმით თუკი შევაფასებთ ქართული სოციალ-დემოკრატიის შიდასახელმწიფოებრივ და საგარეო პოლიტიკას, რუსეთის ყოფილი იმპერიის დაშლის შედეგად წარმონაქმნი სახელმწიფოების ფონზე, საქართველოს უპირატესობა აშკარად იკვეთებოდა. ყოველივე ეს, ქართველი სოციალ-დემოკრატი ლიდერების მოქნილი ტაქტიკის შედეგს წარმოადგენდა. „ცუდი ტაქტიკოსია ის,— ამბობდა ნ.ჟორდანია-ვისაც მხოლოდ წინსვლა შეუძლია და უკან დაბრუნება კი არა. ტაქტიკის მოქნილობა იმაშია, რომ... მოქმედება შეუფარდო ახალ პირობებს, ახალ მდგომარეობას."[5]

თუ რამდენად ახერხებდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები შემოთავაზებული დებულებების პრაქტიკაში გატარებას, კარგად სჩანს საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციულად მოწყობის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების - განსაკუთრებით აგრარული რეფორმის ქართული სინამდვილის შესატყვისი მოდელის შემუშავებით, რესპუბლიკის შიგნით მიმდინარე მოვლენების დარეგულირების, პარტიის რეორგანიზაციის, მისი ერთიანობის შენარჩუნების, მეზობელ სახელმწიფოებთან სამშვიდობო პოლიტიკური კურსის გატარების მცდელობით. ყოველივე აღნიშნულის მთლიანობაში შესწავლა და იმ პერიოდის გლობალური პროცესების გათვალისწინების ფონზე გააზრება, ქართული სოციალ-დემოკრატიის მსოფლმხედველობრივი ევოლუციის

სრულად წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. პრობლემისადმი ამ კუთხით მიდგომა, თეორიულთან ერთად დღევანდელობისთვის პრაქტიკულ დანიშნულებასაც იძენს. იგი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული სტერეოტიპების მსხვრევის და საქართველოს 1917-1921 წლების ისტორიის ობიექტურად შესწავლის მყარ საფუძველს ქმნის. მეორე მხრივ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ნააზრევი, ქართული სახელმწიფოს ორგანიზაციის, ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების, საგარეო პოლიტიკის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, მოსახლეობის სოციალურად დაცვით უზრუნველყოფის და მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ თანამედროვე საქართველოს სინამდვილეს ეხმაურება.

რაც შეეხება ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოს საწყისად 1917 წლის აღებას, ავტორი შემდეგი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: 1) ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მსოფლმხედველობაში მიმდინარე ევოლუციური პროცესები, საქართველოს პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია, ეროვნული ყრილობის მოწვევა და ეროვნული საბჭოს არჩევა, ეროვნული მთავრობის შექმნის წინაპირობას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსამზადებლად მყარი ნიადაგის შექმნას წარმოადგენდა. 2) აღნიშნულ წლებს უკავშირდება ის ძირითადი ფაქტორები, რამაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ქართული სოციალ-დემოკრატიის მმართველ პოლიტიკურ პარტიად გასვლა განაპირობა. დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პარტიის ისტორიიდან 1917-1918 წლის მაისამდელი მონაკვეთის ჩამოცილება, ერთიანი ისტორიის ჯაჭვის ხელოვნურად გაწყვეტის მანიპულაციის სახეს იღებს. ამიტომ 1917-1921 წლების ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია მთლიანობაში უნდა იქნეს გააზრებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი 1918 წლის 26 მაისიდან თხრობა, პარტიის შიგნით წინა წლებში მიმდინარე ევოლუციური პროცესების ყურადღების მიღმა დატოვების გამო, ქართული სოციალ-დემოკრატიის ქვეყნის სათავეში მოსვლის ფაქტი „ტუნგუსის მეტეორიტის" სახეს მიიღებს. მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება-ქართული სოციალ-დემოკრატია შემთხვევით აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში თუ იგი კანონზომიერი მოვლენა იყო.

ძირითადი წყაროების მიმოხილვა. ქართული სოციალ დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის, პირველი რიგის ამოცანას არქივსაცავებში არსებული მასალების საფუძვლიანი გაცნობა და ადრეულ პერიოდში გამოქვეყნებული პუბ-

ლიკაციების მასთან შეჯერება წარმოადგენს. ამის აუცილებლობა იმ-ითაა გამოწვეული, რომ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული დოკუმენ-ტები, ბოლშევიკური იდეოლოგიის თარგზეა მორგებული და ბევრ მათგანს ხელოვნური მანიპულაციის დაღი აზის.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მასალების შეგროვებ-ისა და გამოცემის პირველი წარმატებული ნაბიჯი თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოსთან 1917 წელს შექმნილმა ისტორიულმა კომისიამ გადადგა. რაც შეეხება რესპუბლიკის მთავრობისა და მისი საკანონმდებ-ლო ორგანოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტების მომზადებას და პუბლიკაციას, დამფუძნებელ კრებასთან 1919 წელს შექმნილ საპროპა-განდო კომისიას დაევალა.[4] თუ რამდენად შესძლო მან დაკისრებული ფუნქციის შესრულება, კარგად ჩანს 1917-1920 წლებში გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან. იგი პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის, 2) ქვეყნის სა-კანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის საქმიანობის ამსახველი მასალე-ბი. რაც შეეხება ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების პუბლიკა-ციას, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა,[7] რსდ მუშათა პარტიის ამიერკავკასიის მეექვსე საოლქო ყრილობის უწყება,[8] საქართველოს სო-ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის უწყება,[9] სო-ციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი,[10] სოციალ-დემოკრატიული პარტი-ის ლიდერთა: აკჩხენკელის,[11] ნ.ჟორდანიას,[12] ნ.ხომერიკის[13] კაკაუცკის[14] და სხვათა სიტყვებისა და მოხსენებების ცალკე ბროშურებად გამოცემა. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ სრულად წარმოაჩენს პარტიის იდეოლოგიურ ხაზს, იძლევა ქვეყნის მოწყობის, ეკონომიკის განვითარების, საგარეო პოლიტიკისა და ა.შ. ძირითად საპროგრამო დებულებებს. რაც შეეხება დამფუძნებელი კრების საპროპა-განდო კომისიას, მის მიერ მომზადებული და გამოცემული იქნა: მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს",[15]. "საქართველოს პარლამენტის მიწის კანონები,"[16] „26 მაისი, 1918 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება,"[17] ეროვნული საბჭოს, საქართველოს პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების სტენოგ-რაფიული ანგარიშები, „დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის."[18] ჩვენს თემასთან დაკავშირე-ბით საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილ დოკუმენტების კრებულში ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში (1917-1921)".[19]

ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის და საერთოდ 1917-1921

წლების საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი საარქივო დოკუმენტების გამოქვეყნების განახლება მხოლოდ 90-იან წლებში დაიწყო. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ისეთი მასალები გამოჩნდა, რომლებიც ტაბუდადებული პრობლემის წინ წამოწევას და მის შესახებ ობიექტური თვალსაზრისის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. ამ მხრივ ყურადღებას უ. ბახტაძის მიერ გამოქვეყნებული აკჩხენკელის ხუთი უცნობი წერილი იქცევს.[20] იგი 1918 წლით თარიღდება და ნ.რამიშვილისა და ეროვნული საბჭოს სახელზეა გამოგზავნილი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აპ.სილაგაძისა და ვ.გურულის მიერ გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტები,[21] რომლებიც საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის გაწეულ სამზადისს, ქართული ჯარის რეორგანიზაციას და 1920 წელს „სამუსლიმანო საქართველოში" შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ეხება. აღნიშნული პუბლიკაციებით, მისმა შემდგენლებმა სამეცნიერო ბრუნვაში დღემდე უცნობი საარქივო მასალები შემოიტანეს და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სადაოდ ქცეულ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ნათელი მოჰფინეს. ჩვენი საკვლევი პერიოდისათვის საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული ე.გურგენიძის მიერ შედგენილ კრებულში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921."[22] იგი ქვეყნის ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ძირითად საკანონმდებლო აქტებს შეიცავს. ეს დოკუმენტები ქართველ კანონმდებელთა სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის, პოლიტიკური და ეროვნული საკითხების ირგვლივ არსებული პრობლემატიკის ფართო ხედვის დადასტურებაა. თითქმის ყოველი მათგანი ცივილიზებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ნორმებით გათვალის წინებულ მოთხოვნებს პასუხობს. საინტერესო მასალებია დაბეჭდილი ავ. მენთეშაშვილის პუბლიკაციებში: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციაზე"; „საქართველოს ოკუპაცია და ფაქტიური ანექსია" და „საბჭოთა რუსეთთან და ანტანტის სახელმწიფოებთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიიდან 1918-1921წწ."[23] აღნიშნული დომუმენტური მასალები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. იგი ასახავს ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტიის-ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა იმ შემართებას, რომელსაც საქართველოს საერთაშორისო აღიარების, ისტორიული ტერიტორიების შენარჩუნებისა და მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად ინარჩუნებდნენ. პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციისა და ერთიანი პლატფორმის შესამუშავებლად ქართული სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მომენტია წარმოდ-

გენილი ზ. გერგედავა-ჭელიძის პუბლიკაციაში „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო."[24]

ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ფონდები: 1)რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ამიერკავკასიის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტი-ფონდი – 1824: 2)საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკები) ცენტრალური კომიტეტი-ფონდი-1825; 3) სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკები) თბილისის კომიტეტი-ფონდი-1826. ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებისა და საპარტიათაშორისო პლატფორმის შემუშავებისათვის ქართული სოციალ-დემოკრატიის გაწეულ საქმიანობას ასახავს საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს ფონდი – 1823 მასალები. ქართული სოციალ-დემოკრატიის საპარლამენტო საქმიანობის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების ფონდებში-1836, 1833. შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ფონდებში-1863, 1864.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ პირველწყაროს, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ერთობას" ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები წარმოადგენს, კერძოდ: 1) საქართველოს ეროვნული ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში და ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მოხსენებები, 2) რსდმ პარტიის ამიერკავკასიის VI, VII და VIII საოლქო ყრილობების, საქართველოს სდმ პარტიის დამფუძნებელი ყრილობის და იმავე პარტიის მეორე ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშები და პარტიის ლიდერთა მოხსენებები, 3) სსდმ პარტიის ეკონომიკური თათბირის და პარტიული კონფერენციის მასალები, 4) ევროპის სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა საქართველოში მოგზაურობის შესახებ პუბლიკაციები, მათი შთაბეჭდილებები და სიტყვები. საყურადღებო მასალებია გამოქვეყნებული ჟურნალ „პირველი ნაბიჯი"-ს „პროლეტარი"-ს, და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ს ფურცლებზე.

ანგარიშგასაწევ მასალებსა და მოსაზრებებს შეიცავს მაშინდელი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა მემუარული ლიტერატურა, რომელთაგან გამოვყოფდით: ნ.ჟორდანიას,[25] გ.ლორთქიფანიძის,[26], გ.ურატაძის.[27] გ.ხუნდაძის[28] ზ.ავალიშვილის,[29] გ.ქიქოძის,[30] გ.კვინიტაძის,[31], გ.მაზნიაშვილის,[32] ვ.თევზაძის,[33] რ.გაბაშვილის[34] მოგონებებს. ამა თუ იმ საკითხის განხილვისას მათი დამოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, თუკი მისი შეჯერება შესაბამის პირველწყაროებთან გახდება შესაძლებელი. ეს

მით უფრო აუცილებელია, რადგან „სუბიექტივიზმის სენი" ყოველი მეშუარისტისთვის დაუძლეველ ბარიერს წარმოადგენს.

საკითხის ისტორიოგრაფია. ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების საკითხებზე შექმნილი შრომების პერიოდიზაციის ის მონახაზი, რომელიც მ.ვაჩნაძემ შემოგვთავაზა* გასაზიარებელია, რადგან ძირითადად იტევს იმ ევოლუციურ პროცესს, რომელიც ქართულმა ისტორიოგრაფიამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის კვლევასთან მიმართებაში განიცადა. თუკი ზოგადიდან კონკრეტული წლებით შემოვფარგლავთ, იგი შემდეგ სახეს მიიღებს: 1)1921-1955 წლები, როცა ქართული ისტორიოგრაფია საკავშირო ცეკას დირექტივების მკაცრი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა და ისტორიკოსის ყოველი სიტყვა ხელისუფლების მიერ შექმნილ ჩარჩოში უნდა ჩამჯდარიყო. 2) 1956-1988 წლები- მოჩვენებითი ლიბერალიზაციის პერიოდი. სამწუხაროდ იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში დაკანონებულ შეხედულებათა გადაფასებას არ შეხებია. 3) 1989 წლიდან დღემდე. იგი პირობითია და ცენტრიდან ლიმიტირებული „გარდაქმნის" საქართველოში შემოსვლას, წარსული სტერეოტიპების მსხვრევას და ისტორიული ფაქტების ახლებურად გააზრებას უკავშირდება. განსაკუთრებით ეს ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკები) ისტორიის საკითხების შესახებ ითქმის.

ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიის გაჟალბების პირველი მცდელობა ფ.მახარაძის, მ.ორახელაშვილის, ა.ურუშაძის, თ.ჟღენტის, ე.დრაბკინას, კ.ორაგველიძის გ.ხაჭაპურიძის სახელ ებთანაა დაკავშირებული. ჩვენს მიერ საკვლევად აღებული პრობლემისადმი მიძღვნილი შრომები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის შესახებ არსებული სპეციალური და 2) განმაზოგადებელი სახის ლიტერატურა. შევეცდებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილოთ ისინი და თითოეულ მათგანს გარკვეული ადგილი მივუჩინოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხება ფ.მახარაძის ნაშრომი „მენშევიკური დიქტატურა საქართველოში".* იგი დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პარტიის დაუსაბუთებელ კრიტიკას შეიცავს. ავტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) ეროვნულ უმცირესობათა დევნაში, მეზობელი რესპუბლიკების ტერიტორიების მიტაცებაში და ა.შ. ადანაშაულებს. ამ ფონზე, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით ოსი და აფხაზი ბოლშევიკების 1918-1920 წლების

აჯანყებებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად ასაღებს და მის გამართლებას ცდილობს. საქართველოს პირველი ეროვნული ჟრილობის გადაწყვეტილებებს მუშებისა და გლეხების ღალატად აცხადებს, ხოლო დამფუძნებელ კრებას „სალაყბოს", „მკვდარ დაწესებულებას" და „კარიკატურას" უწოდებს. ეს წიგნი ქართველთა მოძულის პოზიციიდანაა დაწერილი და ქართველი ხალხისადმი არაქართული მოსახლეობის დასაპირისპირებლად გამიზნულ მცელობას წარმოადგენს.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხება ელ. დრაბკინას ნაშრომი 'ქართული კონტრრევოლუცია."" იგი სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) 1917-1921 წლების შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის შესწავლის ცდას წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას წიგნის ის ნაწილი იქცევს სადაც აგრარული რეფორმის გატარების თავისებურებებზეა საუბარი. ელ.დრაბკინას აზრით, რუსი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკებისგან) განსხვავებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ამერიკულ გზას ანიჭებდნენ უპირატესობას. საბჭოური იდეოლოგიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იგი აღნიშნულ რეფორმას უარყოფით შეფასებას აძლევს. ანალოგიური საკითხებია განხილული კ. ორაგველიძის ნაშრომში „ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა". მთელი ეს წიგნი მმართველი პოლიტიკური პარტიის აგრარული ღონისძიებების კრიტიკას შეიცავს. კ. ორაგველიძის აზრით, ქართველი სოციალ-დემოკრატების აგრარული რეფორმა, სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიული განვითარების ამერიკული გზის უარყოფას და პრუსიულის ერთ-ერთი ვარიანტისადმი პრიორიტეტის მიცემას წარმოადგენდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის შიდასახელმწიფოებრივ ეკონომიკურ რეფორმებს ეხება კ.ჩარკვიანის ნაშრომი „ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ."" იგი სამი თავისაგან შედგება და ორ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს: 1) მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების გზების ძიებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მცდელობას და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ძვრებს, 2) აგრარული რეფორმის გატარების პროცესებს და მისგან გამომდინარე შედეგებს. დიდძალი ფაქტობრივი მასალის მოტანით, ავტორი საქართველოს ეკონომიკური კრიზისის ახსნას შეეცადა. იგი გლობალური მასშტაბით მიმდინარე პროცესებს კი არ დაუკავშირა, არამედ ვიწრო ჩარჩოში ჩასვა და ისეთი ფონი შექმნა, თითქოს ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ყოფილიყოს. გვერდი აუარა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ჩავარდნებს, თვით საბჭოთა რუსეთის და ახლად წარმონაქმნი დამოუკიდე-

ბელი რესპუბლიკების უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობას არ მოასდინა მათი საერთო ეკონომიკური შედარებითი ანალიზი. ყოველივე ამან კჩარკვიანს, საქართველოს „გარდუვალი კატასტროფის" წინაშე დგომის „მტკიცების" შესაძლებლობა მისცა. რაც შეეხება უშუალოდ აგრარულ რეფორმას, სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული გზის წინაპირობად აღიარა, მაგრამ გვერდი აუარა საკითხის დაკონკრეტებას, თუ რამდენად შეესატყვისებოდა იგი ქართულ ტრადიციას, მის სინამდვილეს. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, კჩარკვიანი ვერ მალავს იმ ძვრების დაწყებას, რომელსაც ადგილი საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ჰქონდა. იმავე პრობლემას ეხება იმირცხულავას ნაშრომი "ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917-1921 წლებში"[40] წიგნში მოტანილი დიდძალი ფაქტობრივი მასალა ქართული სოციალ-დემოკრატიის ეკონომიკური რეფორმების კრიტიკისთვისაა გამიზნული. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აგრარულ რეფორმას უთმობს და კჩარკვიანისაგან განსხვავებით, საქართველოში გატარებულ აგრარულ რეფორმას სოფლის მეურნეობის განვითარების პრუსიულ გზად მიიჩნევს, მაგრამ გვერდს უვლის ქართული სინამდვილისადმი მის მიზანშეწონილობას. აგრარულ სფეროში ხელისუფლების მიერ გამოცემულ ყოველ კანონს, სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ხელშეწყობის მოტივით, უარყოფით შეფასებას აძლევს. აქედან გამომდინარე, 1918-1920 წლებში ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მოწყობილი გლეხთა აჯანყებების ძირითად მიზეზად, სოციალურ სიდუხჭირეს ასახელებს და არა ხელისუფლების დასამხობად გამიზნულ საგანგებოდ მოწყობილ პროვოცირებას.

ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ისტორიასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს ეხება გ.ჯანგველაძის მონოგრაფია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923 წ.წ.)".[41] მასში ჩვენთვის საინტერესო პერიოდს საგანგებო თავი აქვს დათმობილი, სადაც ძირითადი აქცენტი ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) შეხედულებების კრიტიკაზეა გადატანილი. მართალია, იგი უაღრესად საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია მაშინდელი იდეოლოგიურ მოთხოვნათა შესაბამისობაშია მოყვანილი. აქედან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში გატარებული რეფორმები უარყოფითადაა შეფასებული.

ბ.გუბელიძის ნაშრომი „ქართული მენშევიზმის კრახი"[42] ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) საშინაო და საგარეო პოლი-

ტიკური კურსის თითქმის ყველა ასპექტს ეხება. ავტორის მიერ არასწორადაა შეფასებული ქართული სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ოქტომბრის გადატრიალების, საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის, ეროვნული საკითხის, ეკონომიკური რეფორმების, საგარეო პოლიტიკური კურსის და ა.შ. იგი 1918-1920 წლების გლეხთა აჯანყებებს და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობას კანონზომიერ მოვლენად აცხადებს. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის შეკვეთით ოსებისა და აფხაზების აჯანყებებს, გამომწვევ მიზეზად სოციალურთან ერთად ეროვნულ მოტივს ასახელებს. მისი მტკიცებით, ოსები და აფხაზები თითქოს ვერ ითმენდნენ ქართველი მენშევიკების „თვითნებობასა" და მათ „ბატონობას". სიმართლის დამალვამ და მომხდარი ფაქტების არასწორმა ინტერპრეტაციამ, ოსი და აფხაზი ისტორიკოსების შრომებშიაც ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი,[43] რამაც ოსი და აფხაზი მოსახლეობის ცნობიერებაში ქართველთა სიძულვილის გასაღრმავებლად განსაკუთრებული როლი შეასრულა.

რაც შეეხება ავტორთა მეორე ჯგუფს, გ.ხაჭაპურიძის მონოგრაფია „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის"[44] უნდა გამოვყოთ. ეს არის სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი 7 თავისაგან შემდგენილი გამოკვლევა. ცალმხრივად მოხმობილი საარქივო და პრესის მასალების ამოფარებით, იგი ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ გატარებული შიდასახელმწიფოებრივი რეფორმების და საგარეო პოლიტიკური კურსის ტოტალურად გაყალბების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1921 წლის 25 თებერვალს განხორციელებულ აქციას, ავტორი კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს. ეხებოდა რა გ.ხაჭაპურიძის დამსახურებას საქართველოს 1917-1921 წლების ისტორიის კვლევის საქმეში, ი.კაჭარავა წერდა: გ.ხაჭაპურიძემ მის მიერ ღიად დატოვებული საკითხების მეცნიერული შესწავლისა და გადაწყვეტის ამოცანა უანდერძა თავის მოწაფეებს (ა. სურგულაძე მ.ცერცვაძე და სხვ.) რომლებმაც მიუხედავად მცირედი წაბორძიკებისა, ღირსეულად გააგრძელეს. მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე".[45] ამის დადასტურებას ა. სურგულაძის სქელტანიანი სამი მონოგრაფია წარმოადგენს. „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ)," ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1918-1921 წწ) და „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918-1921 წწ)."[46] სამივე ნაშრომი მდიდარ ფაქტობრივ მასალაზეა აგებული, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის ფიქციის დასაბუთების მცდელობის ფონზე, ბოლშევიკთა ანტისახელმ-

წიფოებრივი საქმიანობის გამართლებას ემსახურება. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ეკონო-მიკურ რეფორმებს, ქვეყნის ნგრევის წინაპირობად, ხოლო 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის საქართველოზე თავდასხმას „მენშევიკური დიქტატურის" დამხობისათვის გამიზნულ ქმედებად აფასებს. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ა.სურგულაძე პრობლემის კვლევისას, იმ „გაკვალულ გზას" მიყვებოდა, რომელიც ქართულ საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებაში გ.ხაჭაპურიძემ დაამკვიდრა.

ჩვენს საკვლევ პერიოდს ეხება გუვანიას ნაშრომი „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის."[7] ზემოაღნიშნულ ავტორთა შრომებისაგან განსხვავებით იგი უფრო მძაფრი ფორმითაა დაწერილი და იმ ეტაპზე გადადგმული ყოველი ეროვნული ნაბიჯი უარყოფითი პოზიციიდანაა შეფასებული. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას ავტორი „უნიადაგო ყრილობას" უწოდებს. მის საწინააღმდეგო ბოლშევიკურ კამპანიას დადებითად აფასებს, ხოლო რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილებას მიუღებლად აცხადებს. იმავე პოზიციიდანაა მის მიერ შეფასებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. რაც შეეხება კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლშევიკთა 1918-1920 წლების აჯანყებებს, მას კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს. ამავე პერიოდს ეხება ნ.მახარაძის ვრცელი გამოკვლევა „დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში."[8] ფაქტების ინტერპრეტაციითა და მოვლენათა შეფასებით იგი არაფრით არ გამოირჩევა მის წინამორბედთაგან. ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედარებით შერბილებული კრიტიკა 70-იან წლებში გამოქვეყნებულ შრომებში შეინიშნება. ამ მხრივ განსაკუთ რებით ყურადსაღებია გ.ღამბაშიძის ნაშრომი "იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკასიის მიმართ 1920 წელს."[9] მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით მასში გლობალურადაა გაანალიზებული მომდინარე საერთაშორისო მოვლენები, საქართველოსთან მიმართებაში ინგლისისა და აშშ-ს პოლიტიკური კურსი. ამ ფონზე ავტორი საქართველოს მმართველ პარტიას, საბჭოთა რუსეთისადმი ზურგშექცევას და ევროპულ ორიენტაციას-შეცდომად უთვლის. საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანიდან მაისის პირველ რიცხვებში თავდასხმას (1920 წელი) არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს. მკითხველი შეცდომაში შეყავს, რადგან დასავლეთის ფრონტზე წითელი არმიის ნაწილების გადა ჯგუფების ხელშეშლაში საქართველოს ადანაშაულებს. ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ისტორიის ზოგიერთი საკითხებია განხილული ა.კიკვიძის,[10] ვ.ესაიაშვილის,[11] კაჭარავას,[12] ლ.გორგილაძის,[13]

ა.ირემაძის,[55] ვ.ჯანჯღავას,[56] ავ.მენთეშაშვილის[57] და სხვა ავტორთა შრომებში. 1917-1921 წლების ისტორიული მოვლენების შეფასების საბჭოთა ისტორიოგრაფიის შედეგები შეჯამებულია სამ გამოცემაში. „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები," „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები" და „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" მეექვსე ტომი.[58]

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შრომები მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ, რითაც გარკვეულ ღირებულებას ინარჩუნებენ. რაც შეეხება მოვლენათა შეფასებებს, იგი საბჭოთა იდეოლოგიის მიზნებსა და ამოცანებს ემსახურებოდა. ამის აუცილებლობას მაშინდელი ხელისუფლება მოითხოვდა და დასახული მიზნის მისაღწევად უმკაცრესი ცენზურა ქონდა შემოღებული. ასეთ პირობებში ღირებულებათა გადაფასებაზე ფიქრი ზედმეტი იყო, რადგან ამ მიმართულებით ისტორიკოსის მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი, თავის წაგების ტოლფასი იქნებოდა. ამ ფაქტორმა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის ტოტალურ გაყალბებას შეუწყო ხელი, რამაც საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) სახით მტრის ხატი შექმნა.

ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიკოსებისაგან საგანგებოდ უნდა გამოიჭოს უ.სიდამონიძის და ა.ბენდიანიშვილის შრომები. რაც შეეხება უ.სიდამონიძეს, ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ისტორიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია"-[59] მიუძღვნა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ავტორის მიერ პროგრესულ მოვლენადაა მიჩნეული. ქართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების ბიოგრაფიებიდან და მათი თეორიული ნააზრევიდან მკითხველისათვის საჭირო ინფორმაციაა წარმოდგენილი. მთელი რიგი საკითხების შეფასებაში გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, დასახელებული ნაშრომი ხელოვნურად დამკვიდრებული დოგმატიკური დებულებების მსხვრევის პირველ მცდელობას წარმოადგენდა. ამიტომ იგი 70-იან წლებში, 1917-1921 წლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი გამოქვეყნებული ნაშრომებიდან-წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს ფაქტორი მაშინდელი ხელისუფლების მიერ უ.სიდამონიძის „სანიმუშოდ დასჯის" საფუძველი გახდა. მკითხველისათვის თავისი ნააზრევის სრულყოფილად მიწოდება უ. სიდამონიძემ მხოლოდ 90-იან წლებში შეძლო. მხედველობაში გვაქვს მისი საგაზეთო პუბლიკაციები: „ოქტომბრის პირმშო-გარდაქმნით დაბრუნებული" და „ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი."[60]

თავისი კოლეგის მწარე გამოცდილების მიუხედავად, ა.ბენდიანიშ

ვილმა 80-იან წლებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ."[58] 1917-1921 წლების მოვლენებს საგანგებო თავი მიუძღვნა და სახელმწიფოს ორგანიზაციის, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის, საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლის საქმეში ქართული სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის შედარებით ობიექტური შეფასება სცადა. თავისი შეხედულება უფრო სრულყოფილად 1989 წელს გამოქვეყნებულ საგაზეთო პუბლიკაციაში „ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა აღდგენისა და განმტკიცების პრობლემები 1917-1920 წლებში"[62] წარმოაჩინა. ამავე პერიოდს, მისი ავტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში XII და XIII თავები მიუძღვნა.[63] ა.ბენდიანიშვილის მრავალწლიანი სამეცნიერო შრომის შედეგი შეჯამებულია მონოგრაფიაში „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)"[64]. იგი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, დემოკრატიული საქართველოს ისტორიის სისტემატური გააზრების საფუძველზე-მონოგრაფიის შექმნის პირველი წარმატებული მცდელობაა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მიმდინარე საერთაშორისო პროცესების გათვალისწინების ფონზე, სრულფასოვნად წარმოაჩინა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და მისი სრულყოფის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში მმართველი პოლიტიკური პარტიის საქმიანობა. იმავდროულად, ქვეყნის სარეფორმო ღონისძიებებში ქართული სოციალ-დემოკრატიის როლი და ადგილი განსაზღვრა. ეს ნაშრომი, ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

К 234.695

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად მიმდინარე პროცესების წარმოჩენას ისახავს მიზნად ლ.თოიძის საჟურნალო სტატია „ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა."[65] ხოლო მისი მონოგრაფია "ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც"[66] საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დასაპყრობად გაწეული წინასწარი სამზადისის საფუძვლიან ანალიზს წარმოადგენს. დიდძალი ფაქტობრივი მასალის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანით ლ.თოიძემ დაადასტურა, რომ რუსეთის მიერ მოწყობილი 1921 წლის თებერვლის აქცია თურქეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ფართომასშტაბიან საომარ ოპერაციას წარმოადგენდა და მისადმი გამკლავება იმდროინდელი საქართველოს შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაკვეთს ეხება მ.ვაჩნაძის სადოქტორო დისერტაციის მეოთხე თავი „ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1918 წლებში"[68] ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამიერკავკასიის ფედერაციულად მოწყობის სოციალ-დემოკრატიისეულ მოდელზე ამახვილებს. იგი დაწვრილებით მიმოიხილავს იმ ძირითად მიზეზებს, რამაც ამიერკავკასიის სეიმის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება განაპირობა. ქართული სოციალ -დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენებია აღწერილი რ.გრძელიძის ნაშრომში „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924)." ჩვენთვის საინტერესო პერიოდს მეორე და მესამე თავები ეთმობა. მართალია იგი პრესის მასალების მიხედვი თაა დაწერილი, მაგრამ გამოკვეთილადაა წარმოჩენილი ქართული სოციალ-დემოკრატიის დამსახურება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, ქართული სახელმწიფოს ორგანიზაციულად მოწყობისა და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების სფეროში. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ ქვეყნის კონსტიტუციის მოსამზადებლად გაწეულ საქმიანობაზე მოგვითხრობს მ.მაცაბერიძის ნაშრომი „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია."[69] დიდძალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ქართული სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ დოქტრინაზე იყო დაფუძნებული და ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნას ითვალისწინებდა. ავტორი თანმიმდევრულად წარმოაჩენს კონსტიტუციაზე მუშაობის იმ პროცედურას, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების კონსტრუქციის, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების, საქართველოს სინამდვილისათვის შესატყვისი დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელის, განაპირა კუთხეების მოწყობის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების, ე.ი. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მისაღები ძირითადი კანონის შესამუშავებლად მიმდინარეობდა.

დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის-სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს ნ.კირთაძის ნაშრომი „ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო"[70] მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია ის დიდი დამსახურება, რომელიც ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ევროპული სოციალისტური დელეგაციის საქართველოში ჩამოყვანით „ევროპული საპროპაგანდო მანქანის" საქართველოს სასიკეთოდ ამოქმედება რომ შესძლო. ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე აღიარებისათვის გაწეული რთული და დაძაბული მუშაობა, ერთა ლიგაში

გაწევრიანების მცდელობა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხებია შესწავლილი ა.სილაგაძისა და ვ.გურულის ერთობლივ ნაშრომში „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა"[70] წინამორბედი ავტორებისაგან განსხვავებით, პასუხია გაცემული ბუნდოვანებით მოცულ მთელ რიგ კითხვებზე, რომლებსაც ქართული სოციალ-დემოკრატიის დისკრედიტაციისათვის იყენებდნენ. ჩვენს საკვლევ პერიოდთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ეხება ვ. გურულის შრომები: „ახალი სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან", „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა," „ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი."[71]

1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხებია შესწავლილი ო.ჯანელიძის სადოქტორო დისერტაციაში „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია." ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებას და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გაწეულ საქმიანობას უთმობს. იძლევა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების 1918-1921 წლებში გატარებული რეფორმების შეფასებას. იმავე საკითხებს ეხმაურება მისივე ნაშრომი „26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ" და „ნიკო ნიკოლაძე".[72]

ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორიის საკითხებს ეხება ჩვენს მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები.[73] აღნიშნულ პერიოდს საინტერესო შრომები უძღვნეს: ა.მუჯირმა,[75] დ.გოგოლაძემ[76] ვ. ნოზაძემ,[77] გ. შარაძემ,[78] ი. ტაბაღუამ,[79] ლ. სანიკიძემ, [80] გ. ჟვანიამ,[81] ავ. მენთეშაშვილმა,[82] ა. ჩოხელმა,[83] ა. და პ. სურგულაძეებმა,[84] ფ. სიხარულიძემ,[85] ლ. ურუშაძემ,[86] შ. ჯაფარიძემ,[87] ნ. ზოსიძემ[88] რ. ცუხიშვილ მა,[89] ა. სურგულაძემ და მ. სიორიძემ,[90] ფ.ლომაშვილმა[91], გ. საითიძემ,[92] ე. მესხიამ,[93] მ. დღვილავამ,[94] ნ. ჯავახიშვილმა, [95] დ. ჭუმბურიძემ,[96] შ. და ო. თეთვაძეებმა,[97] ქ. პავლიაშვილმა,[98] ს. ვარდოსანიძემ,[99] და სხვებმა.

ჩვენს მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე პირველად დადგინდა და ახლებურად გაშუქდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიასთან დაკავშირებით მთელი რიგი საკვანძო საკითხები, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე მათგანს გამოვყოფთ:

1. ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიული სისრულით პირველადაა შესწავლილი ქართული სოციალ-დემოკრატიის 1917-1921 წლების ისტორია და ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერთა მსოფლმხედველობის ევოლუციური პროცესი.

2. გარკვეულია ის ძირითადი მიზეზები, რამაც სოციალ-დემოკ-

რატიული პარტიის ორ მიმდინარეობად საბოლოო გამიჯვნას, ქართული სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის ამიერკავკასიის რეგიონით შემოფარგვლას, რუსეთში მიმდინარე ოქტომბრის მოვლენებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას დაუდო საფუძველი. ეროვნული პოზიციიდანაა შეფასებული თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში ქართული სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება. გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების დარბევისაგან თბილისის გადარჩენა და რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება.

3. მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ახსნილია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისა და ერთიანი მმართველობითი ორგანოს-ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის განმაპირობებელი მიზეზები. გარკვეულია საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნის კონკრეტული დრო. საფუძვლიანადაა გაანალიზებული აღნიშნულ ორგანოში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა საქმიანობა, ის დიდი როლი, რომელიც საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის, ეროვნული საბჭოს შექმნისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში შეასრულეს.

4. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა შესწავლილი ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესი, შიდა ოპოზიციური დაჯგუფების „ახალი სხივისადმი" დამოკიდებულება. პარტიის პროგრამიდან და წესდებიდან გამომდინარეა შეფასებული, მისადმი მიღებული გადაწყვეტილების კანონზომიერება.

5. საარქივო მასალებზე და ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების ოფიციალურად გამოთქმულ შეხედულებებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია საქართველოს სინამდვილისათვის უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელის უპირატესობა. ნაჩვენებია ქართული სახელმწიფოს მოწყობის, მისი რეორგანიზაციის სფეროში გასატარებელი რეფორმების სოციალ-დემოკრატიისეული პროგრამა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის ფარგლებში ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებას და მისთვის სამართლებრივი სახის მიცემას ითვალისწინებდა.

6. გარკვეულია საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სიძნელეების ძირითადი მიზეზები. ნაჩვენებია ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ მის დასაძლევად და ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად გაწეული საქმიანობა. დასაბუთებულია, რომ აგრარულ სფეროში განხორციელებული რეფორმა, საქართველოს სინამდვილეს

შეესატყვისებოდა და ქვეყნის არა მარტო ეკონომიკურ განვითარებას, არამედ მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასაც ითვალისწინებდა. წინა პლანზეა წამოწეული ის სოციალური ღონისძიებები, რომელსაც მმართველი პოლიტიკური პარტია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებისა და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით ახორციელებდა.

7. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, სამართლებრივი პოზიციიდან, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა შეფასებული ბოლშევიკების მიერ 1918-1920 წლებში საქართველოში მოწყობილი გლეხთა აჯანყებები. გარკვეულია მისი ძირითადი განმაპირობებელი მიზეზები.

8. საფუძვლიანადაა შესწავლილი სომეხ-ქართველთა 1918 წლის დეკემბრის ომთან დაკავშირებული მოვლენები, სომხეთის ხელისუფალთა მიერ ქართული მიწების მიტაცების გეგმა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე სომხური დიპლომატიის საქმიანობა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მცდელობა, სადაო საკითხების ამიერკავკასიის სამშვიდობო კონფერენციაზე გატანის, ან არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის შესახებ.

9. გარკვეულია ინგლისისა და „მოხალისეთა არმიის" წარმომადგენელთა დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსადმი და მათთან მიმართებაში მმართველი პოლიტიკური პარტიის პოზიცია. შეფასებულია მეორე ინტერნაციონალის ლიდერების საქართველოში ჩამოსვლის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობა, კერძოდ, ევროპის მასშტაბით საქართველოს საკითხის გატანისა და მის სასარგებლოდ გაწეულ პროპაგანდაში დამსახურება. ნაჩვენებია ის მიმდინარე პროცესები, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დეფაქტო და დეიურე აღიარებას უკავშირდება. წინა პლანზეა წამოწეული საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში წარმოქმნილი წინააღმდეგობანი, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძირითადი მოტივები, საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალს განხორციელებულ დაპყრობით აქციასთან დაკავშირებული მომენტები.

10. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ქართული სოციალ-დემოკრატიის მიმართ „მტრის ხატის" შექმნის მცდელობა, უარყოფითადაა შეფასებული. დასაბუთებულია, რომ 1917-1921 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატია ეროვნულ საწყისებზე იდგა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ავტორს სარკვევი პრობლემის ამომწურავად გაშუქების პრეტენზია არ გააჩნია. იგი მადლობით მიიღებს ნაშრომის მიმართ დასაბუთებული სახით გამოთქმულ ყველა სამართლიან შენიშვნას.

თავი I

ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო ორგანოების შექმნის შესახებ ამერკავკასიაში

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია ორი რევოლუციის პერიოდში

1917 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებმა, რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა ქვეყნების წინაშე გადასაწყვეტად ურთულესი საკითხები დააყენა. არსებულ პრობლემებს იმ ეტაპზე მომქმედი ყველა პოლიტიკური პარტია ეჭიდებოდა, რადგან მის მოსაწესრიგებლად ბრძოლას საპარტიათაშორისო პოლიტიკური ლიდერი უნდა გამოეკვეთა. ეს ხვედრი წილად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მენშევიკები) ერგო. რამდენადაც იმ ეტაპზე პოლიტიკური ფლაგმანის ფუნქციის შესრულება სოციალ-დემოკრატებმა იკისრეს, ბუნებრივია, მათ წინაშე პარტიის ორგანიზაციულად განმტკიცებისა და პოლიტიკურად სრულყოფის აუცილებლობა მთელი პრინციპულობით დაისვა. დასახული მიზნის განხორციელების ძირითად პირობად ორი საკითხის მოწესრიგება იქნა მიჩნეული. 1) რესპუბლიკის რეგიონის სოფლებში პარტორგანიზაციების დაარსება და 2) სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციის გაერთიანება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ პირველ საკითხთან დაკავშირებით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა), ფართომასშტაბიანი მუშაობა წამოიწყეს, რომლის შედეგს საქართველოს მთელ რიგ სოფლებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა წარმოადგენდა. გაზეთ „ერთობა"-ში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ სოფლად შექმნილი პარტორგანიზაციები, პირველივე დამფუძნებელ კრებებზე ხელმძღვანელ ბიუროს ირჩევდნენ და ადგილობრივი პირობების შესატყვისი მუშაობის წესებს იღებდნენ.[1] ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით, იმავე გაზეთში შესაბამისი ხასიათის პუბლიკაციები და მოწოდებები—„პარტიაში ჩაეწერეთ!" იბეჭდებოდა.[2]

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მენშევიკებს), რუსეთის რევოლუციამ რამდენადაც ავანგარდის როლი დააკისრა, წარმატებისა და წაურმატებლობის პასუხისმგებელი, ხალხის წინაშე აღნიშნული პოლიტიკური ძალა გამოდიოდა. ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერებს ეს კარგად

ქონდათ გაცნობიერებული. ამიტომ მიმდინარე პროცესების უკეთ ხელმძღვანელობისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ძლიერი პარტიული ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობას მიიჩნევდნენ, რომელსაც დაქსაქსულად მომქმედი პარტორგანიზაციების გაერთიანება უნდა დადებოდა საფუძვლად. ეს ტენდენცია, ბოლშევიკებშიაც იყო ფეხმოკიდებული. მისი ერთ-ერთი ლიდერი ფ.მახარაძე, მენშევიკთა და ბოლშევიკთა ფრაქციების გაერთიანებას აუცილებლობას გაზეთ „კავკასიკი რაბოჩის" ფურცლებზე 1917 წლის მარტში ასაბუთებდა. მისი თქმით, „ვიდრე ჩვენ ყველანი, ბოლშევიკები და მენშევიკები ერთი პროგრამის საფუძველზე ვდგევართ, ერთნაირად გვესმის ის დიდი ამოცანები, რომელთა შესრულება პარტიამ დააკისრა მუშათა კლასს, ჩვენ კი არ უნდა გავთიშოთ ძალები, არამედ უნდა გავაერთიანოთ და შევქმნათ ერთი მძლავრი ორგანიზაცია."[3] ამ პოზიციას იზიარებდნენ ნ.ელიავა, ნ.ქარცივაძე, პ.ჯაფარიძე და სხვები. რომელთა ზეგავლენით თბილისელი ბოლშევიკების 6 მარტის კრებამ, მიღებული რეზოლუციით დასაშვებად მიიჩნია მენშევიკებთან ტაქტიკური შეთანხმებისა და ორგანიზაციული გაერთიანების შესაძლებლობა. აღნიშნული დოკუმენტი. რსდმპ თბილისის ორგანიზაციების 1917 წლის 26 მარტის გამაერთიანებელი კრების მუშაობას დაედო საფუძვლად, რომელსაც 800 კაცი ესწრებოდა. კრების თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი აირჩიეს, ხოლო მის ამხანაგებად ნ.რამიშვილი და ფ.მახარაძე. რამდენადაც ორივე ფრაქციის გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნება იქნა მიღწეული, კრებამ 15 კაციანი დროებითი კომიტეტი აირჩია ნ.ხომერიკის, ნ.რამიშვილის, მ.ტოროშელიძის, ა.აზატიანის, პ.განაევის, კერესლიძის, გ.უსეინაშვილის, ი.გიორგობიანის, ივანოვის, ქორფაშვილის, ნაზარეტიანის, ტ.ულენტის, გ.ჟურულის, ს.ქავთარაძის და ან.სალუქვაძის შემადგენლობით.[4]

აღნიშნული გაერთიანება სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი რსდმ პარტიის ბოლშევიკების 1917 წლის (24-29 აპრილი) კონფერენციამ შეასრულა, რომელმაც მიღებული რეზოლუციით, მენშევიკებთან გამიჯვნის აუცილებლობისა და სოციალისტური რევოლუციის მომზადების საკითხი დააყენა. ეს გადაწყვეტილება ქართველ ბოლშევიკთა სამოქმედო პროგრამად იქნა გამოცხადებული. ხელმძღვანელობდა რა ამ მითითებით, 1917 წლის 4 ივნისს ქართველ ბოლშევიკთა მიერ მოწვეულ თბილისის საერთო საქალაქო კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მენშევიკებთან სრული გათიშვისა და დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ.[5] ასეთმა მოულოდნელმა ნაბიჯმა, სოციალ-დემოკ-რატების (მენშევიკების) მხრიდან გულისწყრომა გამოიწვია, რაც გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული წერილებიდანაც დასტურდება. ამ მხრივ საყურადღებოა მოწინავე სტატია

„ისინი წავიდნენ“. მასში დაწვრილებითაა განხილული სახელმწიფოში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია და მის ფონზე, არსებული კრიზისიდან გამოსავლის ერთ-ერთ საშუალებად პარტიული ერთიანობაა მიჩნეული. ამ ფაქტორის გათვალისწინების საფუძველზე, ბოლშევიკთა გადაწყვეტილება დანაშაულებრივ ქმედებადაა გამოცხადებული. „მათ სცადეს შიგნიდან აეფეთქებინათ ჩვენი პარტიული ციხე და როცა ეს ვერ მოახერხეს—ვკითხულობთ წერილში—ახლა გაიქცნენ ისე, რომ არც კი დაუყენეს ორგანიზაციაში საკითხი, თუ რისთვის მიდიან.“[6]

აღნიშნული ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ამ ორ მიმდინარეობათა შერიგება და რაღაც შუალედური გზის ძიება შეუძლებელი იყო იმდენად, რამდენადაც მათ შორის საერთო მხოლოდ პარტიის სახელწოდებაში ვლინდებოდა, თორემ მსოფლმხედველობრივად, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებითა და დასახული მიზნის მიღწევის ფორმებით, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. პირველ ეტაპზე მათ შორის უთანხმოებას მხოლოდ თეორიული ხასიათი თუ ქონდა, როგორც გაზეთი „ერთობა“ წერდა, „დღეს იგი ფართო მასაშიაც გადავიდა და... წინაამდეგობამ წმინდა პოლიტიკური ხასიათი მიიღო.“[7]

რამდენადაც ბოლშევიკების საქმიანობა ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზიანოდ იყო მიმართული, ეს საკითხი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ორგანიზაციების ფართო მსჯელობის საგანი გახდა. ამის დამადასტურებელ ფაქტად თბილისის მესამე რაიონის სდმ პარტიის (1917 წლის 8 ივნისი) და თბილისის პირველი რაიონის სდმ პარტიის (1917 წლის 9 ივნისი) კრებების ამსახველი მასალები წარმოადგენს. მიღებული რეზოლუციებით ორთავემ დაგმო ბოლშევიკთა მოქმედება და დააყენეს საკითხი, ყველა სოციალ-დემოკრატის შეკავშირების შესახებ.[8] ამ მიმართულებით კურსის აღება და მასზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება შემოქმედებითად გააზრებულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს იმანაც განაპირობა, რომ „რევოლუციამ—როგორც ნ.რამიშვილი ამბობდა—ჩვენ საპასუხისმგებლო როლი დაგვაკისრა, ჩვენ უნდა აგვეღო მოძრაობის ხელმძღვანელობა.“[9] დასახული ამოცანის შესრულება, პარტიის სიძლიერესა და მის ერთიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული. ამიტომ, ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) ბოლშევიკთა გათიშვას ვერ შერიგებოდნენ. ამის დადასტურებას რსდმპ ამიერკავკასიის მეექვსე საოლქო ყრილობაზე (1917 წლის 11 ივნისი) ნ.ქარცივაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენს. მან დაგმო რა ბოლშევიკთა ქმედება, დასძინა: „პარტიაში შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ დიდი დანაშაულია, ვინც უმიზეზოდ ცდილობს განხეთქილების შეტანას, მის დაქსაქსვას.“[10] აქედან ნათლად ჩანს, რომ ქარ-

თველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს), პარტიიდან ბოლშევიკთა წასვლა მოუშუშებელ ჭრილობად მიაჩნდათ და მომხდარ ფაქტს მტკივნეულად აღიქვამდნენ. ამიტომ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, როცა იმავე ყრილობაზე—მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში კონკრეტულად რომ იქნა მითითებული; „მიმდინარე მომენტის მიზანია, რაც შეიძლება მათი გაერთიანების გახანგრძლივება დემოკრატიის, მოპოვებულ უფლებათა განსამტკიცებლად და ჩამოშორებული ნაწილის შემოსაერთებლად შეთანხმებულ რევოლუციონურ გამოსვლისათვის."[11] ხოლო იმავე ყრილობის მიერ პარტის გაერთიანების შესახებ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „ყრილობა ერთხმად გამოსთქვამს სურვილს, რათა საოლქო კომიტეტმა ენერგიული ზომები მიიღოს მთლიან პარტიულ ორგანიზაციაში ორივე ფრაქციის გასაერთიანებლად."[12]

ოფიციალური დოკუმენტების მიღებისდა მიუხედავად, არსად არ მიუთითებედნენ იმ ძირითადი მიზეზების შესახებ, რომელიც ამ უთანხმოების საფუძველი გახდა. საკითხისადმი ობიექტური მიდგომის ერთ-ერთ ცდას ალ.ჟორჟოლიანის სტატია „ბოლშევიკების სიმართლე" წარმოადგენს. იგი მომხდარი ფაქტის ძირითად მიზეზს ამ ორ მიმდინარეობას შორის ორგანიზაციულ და ტაქტიკურ სფეროში შეუთანხმებლობაში ხედავს. მისი აზრით, „ბოლშევიკები მარქსიზმსა და მეცნიერულ სოციალიზმს დასცილდნენ და ანარქიზმში ამოყვეს თავი."[13] აღნიშნულის გათვალისწინება საფუძველს იძლევა, ამ ორი მიმდინარეობის ერთ პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანება მიულებლად მივიჩნიოთ. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ბოლშევიკები ტაქტიკის შეცვლას არ აპირებდნენ და სოციალისტური რევოლუციის დაუყოვნებლივი განხორციელების საკითხს აყენებდნენ. ბუნებრივია, ამ ფაქტორს დღის წესრიგიდან გაერთიანების საკითხი უნდა მოეხსნა. მიმდინარე პროცესები საწინააღმდეგოდ განვითარდა. ამის შესანიშნავ დადასტურებას გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოედგენს. ზემოთ მითითებული წინააღმდეგობების მიუხედავად, მასში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციის გაერთიანება აუცილებლობადაა გამოცხადებული. მაგალითად, მოწინავე წერილში „პარტიის გაერთიანება" ეს პოზიცია შემდეგნირადაა დასაბუთებული; 1). რამდენადაც რუსეთის რევოლუცია რთულ პირობებში მიმდინარეობდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმთავრესი მიზანი ერთ ორგანიზაციულ ძალად გაერთიანებაში უნდა გამოვლენილიყო, 2). სოციალ-დემოკრატიას გაერთიანებული მოქმედებით, რევოლუციური ელემენტების შეკავშირება მოეხდინა და მისთვის სწორი ხელმძღვანელობა გაეწია. ამის უცილობო პირობად წერილის ავტორს გაერთიანებულ ორგანიზაციაში მუშაობა მიაჩნდა.[14] იმავე საკითხებს მიეძღვნა წერილების მთელი სერია, რომელიც გა-

ზეთმა „ერთობამ“ მოწინავეს რუბრიკით გამოაქვეყნა.[15]

აღნიშნული ტენდენცია უშუალოდ ცენტრიდან მომდინარეობდა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მისივე მითითებებით ხელმძღვანელობდნენ. ამის დადასტურებას პეტროგრადში 1917 წლის 19 აგვისტოს გამართული რსდმპ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის მუშაობის ამსახველი მასალები წარმოადგენს. ყრილობას 200000 პარტიის წევრიდან წარგზავნილი 190 დელეგატი ესწრებოდა. სოციალ-დემოკრატთა ამ ფორუმს, ამიერკავკასიის სდმპ საოლქო კომიტეტის სახელით აკჩხენკელი მიესალმა. „ჩვენ მოვედით იმ დროშით—ამბობდა აკ. ჩხენკელი—რომელსაც აწერია: მთლიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ჩვენს პარტიას დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს, განსაკუთრებით ეხლა, როცა კონტრრევოლუციამ თავი წამოყო. ჩვენი მოვალეობაა მთელი ძალ-ღონით ხელი შევუწყოთ პარტიის გაერთიანებას.“[16] ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ეს პოზიცია, ყრილობის მონაწილეთა საერთო აზრს გამოხატავდა. მართალია, სიტყვით გამომსვლელნი გაერთიანების აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობდნენ, მაგრამ არ იძლეოდნენ იმ საჭირო მითითებებს, რომელიც ტაქტიკურად განსხვავებული, ამ ორი პოლიტიკური მიმდინარეობის ურთიერთდაკაშვირებას საფუძვლად დაედებოდა. როცა საკითხს გაერთიანების შესახებ აყენებდნენ, ძირითად ამოსავალ საფუძვლად, რევოლუციისა და ქვეყნის გადასარჩენად პროლიტერიატის ერთიანობის აუცილებლობას ეჭიდებოდნენ. ამ ფაქტორმა ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებში „პარტიის ორგანიზაციის შესახებ“,[17] „პოლიტიკური მომენტი და პარტიის მიზნები“,[18] და „პოლიტიკური მდგომარეობა და სოციალ-დემოკრატიის მიზნები“—ჰპოვა ასახვა. „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ—ეკითხულობთ რეზოლუციაში—უნდა შემოიკრიბოს გარშემო მუშათა კლასის ძალები... ებრძოლოს... გამხრწნელი ელემენტების გავლენას, გაამაგროს მისი... ორგანიზაციები და ამავე დროს გააერთიანოს... ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალები და უხელმძღვანელოს მათ კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მომენტის ძირითადი მიზნების გადაწყვეტის დროს.“[19]

როგორც ვხედავთ, პარტიის ერთიანობას გარკვეული პოლიტიკური მიზნები აქვს საფუძვლად დადებული და მისი პრაქტიკული განხორციელება სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა და დემოკრატიზმის შენარჩუნების აუცილებელ პირობადაა გამოცხადებული. საკითხისადმი ამ ფორმით მიდგომა, რეგიონალური ორგანიზაციების მოქმედებას გარკვეულ ჩარჩოში აქცევდა და ბოლშევიკებთან შემრიგებლური ნაბიჯის გადადგმის წინაშე აყენებდა. იმასთან დაკაშვირებით, თუ როგორ ქონდათ გა-

აზრებული ქართველ სოციალდემოკრატებს (მენშევიკებს) ფრაქციათა გაერთიანება და რა პოზიცია ეჭირა ბოლშევიკთა ლიდერებს—ამის შესახებ რსდმ პარტიის ამიერკავკასიის V11 საოლქო ყრილობის (1917 წლის 30 სექტემბერი—2 ოქტომბერი) სტენოგრაფიულ ანგარიშში საინტერესო მასალებია დაცული. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს ყრილობის 1 ოქტომბრის სხდომა იქცევს. რამდენადაც ფრაქციათა გაერთიანების საკითხი დღის წესრიგში ყრილობამ მუშაობის დაწყებისას შეიტანა, ბუნებრივია მის შესახებ სპეციალური მომხსენებელიც არ ყოფილა გამოყოფილი. მიუხედავად ამისა, წამოჭრილი პრობლემის გარშემო დისკუსიამ ფართო ხასიათი მიიღო და გამომსვლელთა შორის აშკარად გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა. 1). გაერთიანების მომხრენი და 2). მოწინააღმდეგენი. რაც შეეხება პირველ მათგანს, გამოკვეთილი პოზიცია ვ.ჯუღელმა დაფიქსირა. მან ხაზგასმით აღნიშნა, „გულწრფელი მომხრე ვარ გაერთიანების, ბოლშევიკი ვარ, მაგრამ ვმუშაობ თქვენთან, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ამით მეტ სარგებლობას მოვიტან. დროა თავი გავანებოთ ფრაქციონერობას და გავერთიანდეთ ერთ მთლიან პარტიაში... ჩვენ რომ გლეხობაში ორი დროშით გამოვიდეთ, ისინი სავსებით ჩამოსცილდებიან ჩვენს პარტიას.“[20] იგი შიშს გამოთქვამდა, რომ ორი ფრაქციის გამოსვლა გლეხობას „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანაკში“ გადაისვრიდა. აქედან გამომდინარე, აყენებდა საკითხს, ფრაქციათა გაერთიანების საფუძველზე მთლიანი პარტიის ორგანიზაციულად აღდგენის შესახებ. „გამოვდივარ რა ადგილობრივი პირობებიდან—ამბობდა ვ.ჯუღელი—მე გადაჭრით მოვითხოვ გადასინჯულ იქნას ჩვენი ურთიერთობა და გამოვიტანოთ დადგენილება გაერთიანების შესახებ, მით უმეტეს, რომ თვით მუშებში უკვე მომწიფთა ეს აზრი და მის პრაქტიკულ განხორციელებასაც შეუდგნენ“.[21]

ვ.ჯუღელის ამ მოთხოვნას, მხარი ფრონტისა და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. რაც შეეხება მეორე მიმდინარეობას, გაერთიანებას სასურველად თვლიდნენ, მაგრამ იმ მომენტისათვის მისი პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობას ილუზიად მიიჩნევდნენ. ამის ძირითად საფუძვლად ბოლშევიკთა მაქსიმალისტობას ასახელებდნენ. „სანამ ბოლშევიკებს არ გაუნებებიათ თავი მაქსიმალისტობისათვის—ამბობდნენ ისინი—და არ შემდგარან მარქსისტულ ნიადაგზე, გაერთიანებაზე ლაპარაკი მიუღებელია. ერთია სურვილი, მეორეა სინამდვილე. ჩვენ კი გვსურს გაერთიანება, ეს დღევანდელ პირობებში შეუძლებელია.“[22] ასეთი პოზიციის დაფიქსირებისდა მიუხედავად, გაერთიანების საკითხზე ყრილობამ (5 დელეგატი წინააღმდეგი წავიდა) სპეციალური რეზოლუცია მიიღო. „ყრილობა საჭიროდ აღიარებს—ვკითხულობთ დოკუმენტში—პარტიის ორივე ფრაქციის გაერთიანებას,

სცნობს რა ამ გაერთიანებისათვის პირობებს მომწიფებულად... სასურველად და შესაძლებლად მიაჩნია სხვა ფრაქციებთან შეთანხმება დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს"[23]. ასეთი დოკუმენტის შედგენის შემდეგ სპეციალური კომისია იქნა არჩეული ბ.თევზაიას, მალხაზოვის, ბალათუროვისა და კაიფანოის შემადგენლობით, რომლებსაც ბოლშევიკებთან მოლაპარაკება დაევალა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იმ მომენტში თბილისში ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი საოლქო ყრილობა (1917 წლის 2 ოქტომბერი) მიმდინარეობდა. აღნიშნული საკითხი ბოლშევიკებსაც ქონდათ დღის წესრიგში შეტანილი. ბოლშევიკთა ყრილობამ გაერთიანებასთან დაკავშირებით უარყოფითი დადგენილება მიიღო იმ მოტივით, რომ ბოლშევიკებს იდეურად და ორგანიზაციულად არავითარი საერთო არ ქონდათ მენშევიკებთან, რომ რევოლუციის ბოლშევიკური ხაზი პარლამენტარიზმის მენშევიკური პროგრამის დაპირისპირებას წარმოადგენდა"[24].

აღნიშნული ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ამ ორ ფრაქციათა შორის რაიმე გაერთიანებაზე საუბარიც კი ილუზიის წარმოადგენდა, რომ ისინი ერთმანეთისათვის შეუთავსებელნი იყვნენ. აქედან, გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკები) ლიდერებს ყოველგვარი დაფარვის გარეშე გაერთიანების ტენდენციის დასრულება უნდა ეღიარებინა და ბოლშევიკებთან მიმართებაში თავიანი ტაქტიკური ხაზი ოფიციალურად გამოეკვეთა.

XXX

რუსეთის სირვცეში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ აუცილებელ პირობად გამოსავალი გზის ძიების საკითხი დააყენა. შესაბამისი მექანიზმის შემუშავება დროებით მთავრობას დაეკისრა. წარმატების რეალურ შესაძლებლობას ახლად შექმნილი კანონების პრაქტიკულად ამოქმედებასთან ერთად, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსისადმი საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა განაპირობებდა. ამ მისიის შესრულება ყველაზე მეტად იმ პოლიტიკურ პარტიებს შეეძლო, რომლებიც მიმდინარე პროცესებში აქტიურად მონაწილეობდნენ და საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტიც გააჩნდათ. ამ შემთხვევაში წამოჭრილ პრობლემასთან მიმართებაში ყურადღებას მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციაზე გავამახვილებთ. გადაჭარბებული არ იქნება თუკი აღვნიშნავთ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები) იმ ეტაპზე არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის რეგიონში ფლაგმანის როს ასრულებდა. აქედან გამომდინარე, მისი პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირებას არსებითი მნიშვნელობა ქონდა. პირველი განაცხადი, რომელიც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა)

ამ მიმართულებით გააკეთეს, გაზეთ „ერთობაში“ „სადღეისო ლოზუნგები“-ს სათაურით გამოქვეყნდა. მასში ვკითხულობთ: „მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში; გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანადგომის რეზოლუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში.“[25] როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები საკითხს ამ კუთხით აყენებდნენ, მათ ძირითად ამოცანას რევოლუციის ბოლომდე მიიყვანა და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე მისადმი მხარდაჭერა ერთადეთერ ამოსავალ საფუძვლად მიაჩნდათ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „რევოლუცია და ავანტიურიზმი“. არსებული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე მასში ბოლშევიკთა ტაქტიკური ხაზია გაკრიტიკებული. „გაყევით ბოლშევიკთა გზას—წერს გაზეთი—ეხლავე ჩამოაგდეთ დროებითი მთავრობა, ნაცვლად თ.ლვოვისა და ნეკრასოვ-მილიუკოვისა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრები წამოასკუპეთ და მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება, მათ შორის გლეხთა საგრძნობი ნაწილი რევოლუციას გადაუდგება და მისი დამარცხება გაადვილდება. ბოლშევიზმი უნებლიედ კონტრ-რევოლუციის ამოძრავებას ემსახურება.“[26] ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს დროებითი მთავრობა გაფეტიშებულად ყავდა წარმოდგენილი. პირიქით, იგი მისადმი მხარდაჭერას მანამ ანხორციელებდა, სანამ ამ ტაქტიკურ ნაბიჯს რევოლუციის ინტერესები მოითხოვდა. ამის დასტურად კავკასიის ჯარის დელეგატთა ყრილობაზე (1917 წლის 23 აპრილი) ე.გეგეჭკორის მიერ წარმოთქმული სიტყვა გამოდგება. „მხარს ვუჭერთ დროებით მთავრობას—ამბობდა ე.გეგეჭკორი—მანამდის, სანამ იგი ახორციელებს რევოლუციური დემოკრატიის ნაკარნახევ პროგრამას.“[27] იმავე ყრილობაზე, ე.გეგეჭკორის მიერ წარდგენილი—დროებითი მთავრობისადმი მხარდამჭერი რეზოლუცია იქნა მიღებული.

რამდენადაც, დროებითი მთავრობისადმი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) თანადგომა რევოლუციის ბოლომდე მიყვანას ითვალისწინებდა, დასახული მიზნის განსახორციელებლად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ისინი საბჭოების პოზიციასა და მის მოქმედებას ანიჭებდნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება იმჟამად კავკასიაში მყოფი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მთავარი კომისარის აკაკი ჩხენკელის სიტყვამ მიიქცია. 1917 წლის აპრილში ქუთაისში გამართულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანებულ კრებაზე მან დააყენა საკითხი ცალ-ცალკე მომქმედი საბჭოების შეერთების და მათი ორგანიზაციულად შეთანხმებული მოქმედების შე-

სახებ. ამ ნაბიჯის გადადგმა რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობად გამოაცხადა.[28] იმავდროულად მათგან პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად მოქმედება მოითხოვა, ხოლო მოვლენებისადმი წიგნასწრება ან ჩამოჩრენა დანაშაულებრივ ქმედებად მიჩინია. რამდენადაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს რევოლუცია ორიგინალურად ქონდათ გააზრებული, მისადმი მიდგომის თავისებურ ფორმებს იძლეოდნენ. აყენებდნენ საკითხს მოქმედების ისეთი ხაზის შემუშავების შესახებ, რომელიც იმ ეტაპზე არსებულ ძალთა განწყობილებას შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე განსაზღვრავდნენ დროებითი მთავრობის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულებას.

მართალია, ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) დროებითი მთავრობისადმი გამოკვეთილი პოზიცია შემუშავებული ქონდათ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ საზოგადოების ფართო ნაწილი აღნშნულ საკითხში გაცნობიერებული იყო და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს სწორად აღიქვამდა. ამიტომ ისინი თავიანთი ნააზრევის ფართო საზოგადოებამდე მიტანას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს გაზეთი „ერთობა“ ასრულებდა, რომელსაც სპეციალური რუბრიკა—„სადღეისო წერილები“-ს სახით ქონდა შემოღებული. იმ უამრავი პუბლიკაციებიდან, გაზეთმა ამ რუბრიკით რომ გამოაქვეყნა, განსაკუთრებულ ყურადღებას ალ.ჟორჟოლიანის სტატია „რა არის რევოლუცია?“ — იქცევს. მასში სამ ძირითად საკითუხზეა ყურადღება გადატანილი. 1). რუსეთის რევოლუციის ტიპოლოგიური სახის განსაზღვრის ფონზე, არსებულ მოვლენებში გასარკვევად და მოსალოდნელი შეცდომებისაგან დაზღვევის მიზნით,—ავტორი ისტორიული პარალელების გამოძებნას აუცილებლობად მიჩინევს. 2). რუსეთის რევოლუციის თავისებურებებიდან გამომდინარე, მსჯელობს საზოგადოების განვითარების ფორმებზე და აღნიშნულ რევოლუციას ობიექტურ აუცილებლობად აცხადებს. 3). რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის და მისი განსაკუთრებული სპეციფიურობის მატარებლად აღიარებასთან ერთად, მიუთითებს, პროლეტარიატისა და მემარცხენე ელემენტების განსაკუთრებულ როლზე. აქედან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, რომ „განახლებული რუსეთის მართვა-გამგეობაში, რასაკვირველია ბურჟუაზიული ელემენტები გაბატონდებიან, მაგრამ ამ ბატონობის შეზღუდვა, მომავალი პოლიტიკური წეს-წყობილების დემოკრატიზაცია და სოციალურ საკითუხთა ფართოდ დასმა და გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება პროლეტარიატის ნაჩვენები როლის შენარჩუნებაზე, ძველი რეჟიმის საბოლოოდ ლიკვიდაციაზე“.[29] ამით, ფაქტობრივად, პროლეტარიატს იგი არა მარტო თავის ფუნქციებზე მიუთითებდა, არამედ შეახსენებდა კიდეც, რომ არსებული

ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა იმ საკითხთა დაჩქარებით გადაწყვეტის საფუძველი იქნებოდა, რომელიც დემოკრატიულ საწყისებზე აგებული რუსეთის წეს-წყობილებას უნდა შეესრულებინა. აღნიშნულ სტატიას განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობა ქონდა იმ თვალსაზრისით, რომ პროვინციის მცხოვრებთ შესაძლებლობას აძლევდა საფუძვლიანად გაეგოთ რევოლუციისა და დროებითი მთავრობისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის არა მარტო დამოკიდებულება, არამედ გაეცნობიერებინათ თითოეული მათგანის ვალდებულება ქვეყნისა და ხალხის წინაშე. როცა საკითხი ასეთი ფორმით დაისვა, ბუნებრივია, ინტერესმოკლებული არ იქნება თუკი მისადმი მიმართებაში სოციალ-დემოკრატთა ლიდერის პოზიციასაც დავაფიქსირებთ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს სხდომაზე (1917 წლის 29 აპრილი) ნ.ჟორდანიას მოხსენება „პეტროგრადის ამბები და კოალიციონური სამინისტრო", სადაც მან ყურადღება რუსეთში არსებული ორხელისუფლებიანობის (1. დროებითი მთავრობა, 2. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო) ფაქტებზე გაამახვილა. დასვა საკითხი კოალიციური სამინისტროს მიზანშეწონილობის შესახებ და იქვე მიუთითა რუსეთის სინამდვილისათვის მის მიუღებლობაზე. მიუხედავად ამისა ნ.ჟორდანია არ გამორიცხავდა თითოეული მინისტრის შეცვლის შესაძლებლობას, მაგრამ ეს ფაქტი ისე არ უნდა ყოფილიყო გაგებული თითქოს არსებულ ძალებს სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა არ შეიძლებოდა. ნ.ჟორდანიას აზრით, რამდენადაც რუსეთის ბურჟუაზიას ასეთი თვისებები იმ ეტაპზე არ გამოუვლენია, „ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საბუთი—ამბობდა იგი—კოალიციონური სამინისტრო და მით უმეტეს მუშათა სამინისტრო მოვითხოვოთ."[30] ნ.ჟორდანიას მხარი ნ.რამიშვილმა და რ.არსენიძემ დაუჭირა, ხოლო ნ.ხომერიკმა, ხელისუფლების რეორგანიზაციიდან გამომდინარე, კოალიციური სამინისტროს შექმნა ერთადერთ გამოსავალ საშუალებად მიიჩნია. ამასთან დაკავშირებით რ.არსენიძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „უმთავრესია რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი დროებითი მთავრობის უფრო დემოკრატიულ შემადგენლობაზე. მთავრობა ვერ მოგვცემს რევოლუციის გაღრმავებას, პირიქით, რევოლუციის გაღრმავება მოგვცემს უფრო დემოკრატიულ მთავრობას."[31] აქ გასაგებათაა ნათქვამი, რომ დემოკრატიის დასამყარებლად რევოლუციის ბოლომდე მიყვანა იყო საჭირო, ხოლო თვით დემოკრატიული მთავრობა რევოლუციას უნდა შეექმნა. ასეთი პოზიციის დაფიქსირებისდა მიუხედავად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დასვეს საკითხი — პასუხობდა თუ არა არსებული ხელისუფლების მოქმედება რევოლუციის ინტერესებს. ამის შესახებ ქართველ სო-

ციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) თავისი პოზიცია 1917 წლის მაისის პირველ რიცხვებში ჩამოყალიბებული ქონდათ და იგი ოფიციალურად გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „რევოლუციის ახალი ფაზისი“ დააფიქსირეს. წერილის აზრით, 1). ბარჟუაზიული პარტიები, რომლებიც დემოკრატიული გარდაქმნებისათვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, რევოლუციის შემდგომი გაძღოლა და მისი ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლეს. 2). პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, პრაქტიკული მოთხოვნების შეუსრულებლობამ საბჭოები დროებით მთავრობას დაუპირისპირა, რამაც სოციალისტები იძულებული გახადა მთავრობაში შესლიყვნენ და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება თავის თავზე აეღოთ. რაც შეეხება კოალიციური სამინისტროს, — იგი სოციალისტური პარტიების კრახის დასტურად და რევოლუციის საწინააღმდეგო ქმედებად არის გამოცხადებული.[32]

მთავრობაში მონაწილეობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობაზე (1917 წლის 25 მაისი) კოალიციური სამინისტროს შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ჟორდანია კონკრეტულ პასუხს იძლეოდა. „ჩვენი ამხანაგები სამინისტროში შესვლით ისახავენ მიზნათ ერთ და იმავე დროს ემსახურონ რევოლუციას და დაიცვან მუშათა კლასის ინტერესები... და ეს გამოიწვია ბურჟუაზიის დამუქრებამ, თუ არ მიიღეთ მონაწილეობა, ჩვენ ხელს ავიღებთ მართვა-გამგეობაზეო და, მაშასადამე ჩვენი ამხანაგები შევიდნენ სამინისტროში ბურჟუაზიის ზეგავლენით და არა მუშათა კლასის მოთხოვნით.“[33] ნ. ჟორდანიას, როგორც პოლიტიკოსს, მხედველობის არედან არც ის ფაქტი გამორჩენია, რომ ამ შემთხვევაში ბურჟუაზია არა მარტო ძლიერი ხელისუფლებისათვის იბრძოდა, არამედ მის ამოცანას ანარქიის თავიდან აცილება და პირადი ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მეორე მხრივ, მათ მიერ გაფუჭებული საქმის პასუხისმგებლობის გადატანა სოციალისტებზე ქონდათ განზრახული. რამდენადაც დროებითმა მთავრობამ მაისამდე ვერ შეძლო რესპუბლიკის გამოცხადება* და სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის ჩამოყალიბება, ნ. ჟორდანია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მან კოალიციურ სამინისტროში შესვლა დიდ შეცდომად აღიარა.[34] მიუხედავად ამისა, აყენებდა საკითხს, რომ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მთავრობისადმი ნდობა იმდენად გამოეცხადებინათ, რამდენადაც იგი დემოკრატიის მოთხოვნებს განახორციელებდა. „თუ გადაცდებიან ამ სწორ გზას—ამბობდა ნ.ჟორდანია—მაშინ ჩვენი ნდობაც მოაკლდებათ და იძულებული იქნებიან სამინის-

* იგი მხოლოდ მოგვიანებით 1917 წლის 8 ივლისის დეკლარაციით გამოცხადდა.

ტროდან გავიდნენ."[35] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საკითხი მთელი პრინციპულობით რსდმ პარტიის ამიერკავკასიის მეშვიდე საოლქო ყრილობაზე (1917 წლის 30 სექტემბერი) დაისვა. მიმდინარე მომენტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ჟორდანია დაწვრილებით შეეხო კოალიციური მთავრობისადმი მხარდაჭერის მიზანშეწონილობას და არსებული პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინების საფუძველზე დასკვნიდა: „როცა ჩვენი ფრაქციის ნაწილი მხარს უჭერდა კოალიციას, ეს ნიშანდა მუშებისაგან განცალკევებას, ვინაიდან მუშები კოალიციის წინააღმდეგ მიდიოდნენ. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერებისათვის არ არის საშიში. მათი პოლიტიკური ფილოსოფია გლეხურია, ცხადია, ისინი თავის ადგილზე დარჩებიან, მაგრამ მენშევიკებს კი, რომლებიც ითვლებიან მუშათა პარტიად, არ შეუძლიათ დარჩნენ მუშების გარეშე... დღეს კიდეც დადგა მათ წინაშე ალტერნატივა: ან უნდა დაუბრუნდნენ მუშებს, ან საკუთარი გაითქვიფონ სოციალისტ-რევოლუციონერებში და მოისპონ როგორც მენშევიკები."[36]

ჩვენს მიერ მოტანილი ეს ამონაწერი იმის მაუწყებელია, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა წინაშე მთელი პრინციპულობით დადგა ადრეულ წლებში გატარებული პოლიტიკური კურსის გადასინჯვის საკითხი. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას არსებითი მნიშვნელობა ქონდა იმ თვალსაზრსით, რომ იგი იმ ჩანაფიქრის რეალური განხორციელების შესაძლებლობას ქმნიდა, რომელსაც რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე მიყვანა ედო საფუძვლად. აქედან გამომდინარე, პარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა: პირველ რიგში დაპირისპირებოდა მსხვილ ბურჟუაზიას და ამ ფონზე, მთავრობასთან მიმართებაში პასუხისმგებელ ოპოზიციაში დარჩენილიყო. ამასთან დაკავშირებით იმავე ყრობაზე რ.არსენიძე გარკვევით მიუთითებდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში უნდა ვეცადოთ „ჩვენი მოქმედების ხაზის გასწორებას. ამით შევძლებთ კრიტიკა გავუწიოთ მთავორბის მოქმედებას, მაგრამ იმავე დროს გამოვაშკარავებთ ჩვენს პარტიულ სახეს და დემოკრატიას გავათავისუფლებთ ბურჟუაზიის გავლენისაგან".[37] აღნიშნული ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ საბოლოოდ გამოკვეთა თავისი დამოკიდებულება არსებული ხელისუფლებისადმი, რითაც იგი ოპოზიციური პარტიის როლში მოგვევლინა.

ამრიგად, დროებითი მთავრობასთან მიმართებაში ქათრველ სოციალ-დამოკრატთა დამოკიდებულება გარკვეული მიზანდასახულობიდან გამომდინარეობდა, კერძოდ, რევოლუციის ბოლომდე მიყვანას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას ითვალისწინებდა. კოალიციური სამინისტროსადმი სოციალ-დემოკრატთა ნეგატიური დამოკიდებულება სათანადო

მოსაზრებებზე იყო დამაყრებული. რამდენადაც იგი რევოლუციის გაღრმავებას აფერხებდა და დემოკრატიულ მთავრობას ვერ ქმნიდა, აქედან გამომდინარე, მისადმი მხარდაჭერას სოციალისტური პარტიების კრახისა და რევოლუციის საწინააღმდეგო ქმედებად, ხოლო მასში მონაწილეობის მიღებას პოლიტიკურ შეცდომად აღიქვამდნენ. იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის დემოკრატიულ საწყისებზე მოწყობის მიღწევა გახდებოდა შესაძლებელი, მის შემადგენლობაში შემავალი ყველა ერები, გარკვეული პოლიტიკური უფლებებით აღიჭურვებოდა და ეროვნული განვითარების მეტი საშუალება მიეცემოვდათ. აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე აყენებდნენ საკითხს, ერთიანი სარუსეთო პოლიტიკური საპარლამენტო ორგანოს შექმნის შესახებ. ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზრით, ეს ფუნქცია რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა შეესრულებინა. მის წინაშე იდგა: 1. დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული კონსტიტუციის შემუშავება, 2. მიწისა და სოციალური საკითხების მოსაწესრიგებელ კანონთა მიღება, 3. კანონის დაუყოვნებლივ გამოქვეყნება რუსეთის შემადგენლობაში მცხოვრებთა უფლებამოსილების შესახებ.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, ეს კარგად ჩანს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1917 წლის 14 მარტის მიმართვაში „ყველა ქვეყნის ხალხებისადმი“. „რუსეთის ხალხი თავის სურვილს—ვკითხულობთ დოკუმენტში—საბოლოოდ დამფუძნებელ კრებაზე გამოთქამს, რომელიც მოწვეული იქნება ახლო მომავალში თანასწორი, პირდაპირი საყოველთაო და ფარული კენჭისყრით და ამიტომ, ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის ხალხს... შეუძლია თქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა შინაური მართვა-გამგეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.“[38] ეს დოკუმენტი იმ ზოგად მონახაზს წარმოადგენდა, რომელიც დამფუძნებელი კრებისა და რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნებაში იყო ჩადებული. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, დემოკრატიული რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობას ქართველი სოციალ-დემოკრატები თავგამოდებით რომ იცავდნენ. დასახული მიზნის განხორციელების შემთხვევაში, ისინი საქართველოსთვის გარკვეულ უფლებებს ელოდნენ. ქართული სოციალ-დემოკრატის მიერ ამ საკითხთა პოპულარიზაციას, ცენტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ამიერკავკასიაში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან სამთავრობო პოლიტიკისადმი მხარდამჭერის როლში, ყველაზე ავტორიტეტული ძალა გამოდიოდა. ამიტომ შემთხვევითობით არ იყოს განპირობებული, კერენსკიმ 1917 წლის მარტში ნ.ჟორდანიას სპეციალური დეპეშით რომ მიმართა. „გიძღვნი სა-

ლამს,—ეკითხულობთ დოკუმენტში—იმედი მაქვს თქვენს გავლენას მოიხმართ, რომ კავკასიაში მოარიგოთ პარტიული და ნაციონალური უთანხმოება, რაც ასე საჭიროა საერთო დემოკრატიული წყობილების გასამაგრებლად.“ ამ დოკუმენტის მიხედვით, ქართველ სოციალ-დემოკრატებს რეგიონში სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად გარკვეული თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა ეძლეოდა. ამ შემთხვევაში ცენტრი არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით მოქმედებდა. მხედველობაში გვაქვს კონტრრევოლუციური გამოსვლებისა და ანარქიის შესაძლებლობის გარდუვალობა. მოსალოდნელი გართულების აცილების ერთ-ერთ მექანიზმად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევა მიაჩნდათ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ მოწინავე წერილში „რევოლუციის ახალი ფაზისი“ მიუთითებდა: „გამოსავალი ერთად ერთიღა დარჩენილა: მოსალოდნელ კონფლიქტებს და კრახს დავასწროთ და რაც შეიძლება დაჩქარებით მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება. თუ აქამდის ის ძალიან საჭირო იყო, ახლა ის პირდაპირ აუცილებელია.“[40]

დამფუძნებელი კრების, მნიშვნელობის შესახებ გაზეთი „ერთობა“ წერილში „რევოლუციის ახალი ხანა„ წერდა: „ამიერიდან რევოლუციის მთელი ტვირთი მან უნდა ზიდოს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლუციის განვითარების ხელის შეწყობა და მისი გამარჯვებით დაგვირგვინება.“[41] ეს ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები დამფუძნებელ კრებაზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მომავალი სახელმწიფოს მოწყობის ფორმა, მათ წინასწარვე ქონდათ გააზრებული და სათანადო არგუმენტირებული თვალსაზრისი გააჩნდათ. ამის დასტურად გამოდგება გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული წერილი „დემოკრატიული რესპუბლიკა“. იგი ყურადღებას სახელმწიფოებრივი მოწყობის ორ ძირითად ფორმაზე ამახვილებდა. 1. არისტოკრატიულ რესპუბლიკაზე, რომლის მმართველობის სადავეები თავადაზნაურობის ხელშია და 2. ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე, სადაც „ფაბრიკა-ქარხნის პატრონები და დიდი მოვაჭრეები არიან მოკალათებულნი და მთელ სახელმწიფოს თავისი ინტერესების მიხედვით განაგებენ.“ წერილის მიხედვით, ერთიცა და მეორეც მიუღებლადაა გამოცხადებული და აქცენტი მესამე ვარიანტზე—დემოკრატიულ რესპუბლიკაზეა შეჩერებული. ხოლო მმართველობის ორპალატიანი სისტემა, რუსეთის სინამდვილისათვის მიზანშეუწონლადაა მიჩნეული. „რუსეთის მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ—ეკითხულობთ წერილში—არავითარი... ორპალატიანი რესპუბლიკა არ უნდა შექმნას... ყველა იმას, რასაც ხალხი სწყვეტს და იღებს... ხელშეუხებელი უფლება უნდა იყოს. ამიტომ, მუშათა კლასმა და გლეხკაცობამ ერთპალატიანი დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა მოითუხოვოს, რომელიც ოთხ ფორმულიანი

საარჩევნო სისტემით იქნება არჩეული. მხოლოდ ასეთი პოლიტიკური წყობილების დროს იქნება ჭეშმარიტი თავისუფლება და ხალხის ბატონობა."[42]

ამავე საკითხზე ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ოფიციალურად თავისი პოზიცია დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციათა საოლქო კომიტეტის საარჩევნო პლატფორმა"-ში დააფიქსირა. ამ დოკუმენტში სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ გარკვევითაა მითითებული, რომ სოციალ-დემოკრატიის მიზანს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა, სადაც დეპუტატთა პალატის და მის მიერ არჩეული მთავრობის ხელში იქნებოდა მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა და ხალხის წარმომადგენლობას მიენიჭებოდა უზენაესი ძალაუფლება.[43] ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ პეტროგრადის საბჭოს 1917 წლის 9 ივლისის დადგენილებით, მთელი რუსეთის მასშტაბით დამფუძნებელი კრების დეპუტატთა რიცხვი 800 კაცით განისაზღვრა. აქედან, ამიერკავკასიის რეგიონს მხოლოდ 32 დეპუტატის გაგზავნის უფლება მიეცა.[44]

როგორც ცნობილია, დამფუძნებელი კრების მოწვევა ოქტომბრის გადატრიალებისა და ბოლშევიკური ხელისუფლების ნებართვის შემდეგ განხორციელდა. (1918 წლის 5 იანვარი). ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი „ახლად მოვლენილი" მთავრობის მითითებათა შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. რამდენადაც დამფუძნებელი კრება ამ გზით არ წავიდა და მან საბჭოთა ხელისუფლება და მის მიერ გამოცემული დეკრეტები უარყო, იგი ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით 6 იანვარს იქნა დათხოვილი.

ამრიგად, ერთიანი რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ცდა, რომელიც დამფუძნებელ კრებას ემყარებოდა, მარცხით დამთავრდა. ამ ფაქტორმა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის საბოლოოდ განსაზღვრაზე გადამწყვეტი როლი შეასრულა. ამ დღიდან ქართული სოციალ-დემოკრატია თავისი საქმიანობით ფაქტობრივად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად მოგვევლინა და მისი მოქმედების სფერო ამიერკავკასიის რეგიონით შემოიისაზღვრა.

XXX

ოქტომბრის გადატრიალებამ, რომელმაც ერთიანი დემოკრატიული რუსეთის სახელმწიფოს შექმნის ილუზიები დაამსხვრია, პოლიტიკურ პარტიებზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა. აუცილებლობა პასუხის გაცემას მოითხოვდა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო იმ ეტაპზე სოციალისტური რევოლუცია რუსეთისა და კერძოდ, საქართველოს სინამდვილისათვის. არსებული პოლიტიკური სიტუაცია პოზიციის ოფიციალურ დაფიქსირებასა და მის დასაბუთებას საჭიროებდა, რადგან მასას

სცოდნოდა მომხდარი ფაქტისადმი პოლიტიკურ პარტიათა დამოკიდებულება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას მუშათა და ჯარისკაცთა თბილისის დეპუტატების საბჭოს 1917 წლის 28 ოქტომბრის საგანგებო სხდომის ამსახველი მასალები იქცევს. მომხდარი ფაქტის შეფასებისა და გამოსავალი გზების ძიების თვალსაზრისით, სხდომაზე გამომსვლელ ორატორთაგან განსაკუთრებით ნ.ჟორდანიას მოხსენება გამოირჩეოდა. მან ძირითადი ყურადღება ბოლშევიკთა ხელისუფლების ლიკვიდაციის ორ ვარიანტზე შეაჩერა. 1. ბოლშევიკთა ხელისუფლების იარაღის გამოყენებით ბოლოს მოღების და 2. მათი მმართველობის მშვიდობიანი გზით დასრულების შესაძლებლობაზე. შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით ნ. ჟორდანიამ დააყენა საკითხი—ქალაქის საბჭოს მხარი მეორე ვარიანტისათვის დაეჭირა. იმავდროულად მთელი ძალაუფლების საბჭოებისადმი გადაცემა მიუღებლად მიიჩნია და ბოლშევიკებთან შეთანხმების გზის რამდენიმე ვარიანტზე მიუთითა. იგივე პოზიცია დაიცვა ნ.რამიშვილმაც. „ჩვენ უნდა დავადგეთ ბოლშევიკებთან შეთანხმების გზას—ამბობდა იგი—რადგანაც დღეს ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები. კონტრრევოლუციონერების გამოსვლის შიში რომ არ იყოს, მაშინ შეიძლებოდა უფრო გადამჭრელი ზომებისათვის მიგვემართა."[45]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნაბიჯის აუცილებლობას ქართველი სოციალ-დემოკრატები შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით ხსნიდნენ და მას იძულებით განპირობებულ დატვირთვას აძლევდნენ. იმავე საბჭოს 29 ოქტომბრის სხდომამ, მიღებული რეზოლუციით ბოლშევიკთა ამბოხების ლიკვიდაციის მშვიდობიანი გზა აირჩია და დასახული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ რეალურ პირობად ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობის შედგენის აუცილებლობა გამოაცხადა. იმავე სხდომის მასალებში არაფერია ნათქვამი, რა საშუალებების გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი ბოლშევიკთა დაყოლიება, წინააღმდეგობის შემთხვევაში დაუშვებდნენ თუ არა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. მეორე მხარივ, გვერდი ქონდა ავლილი ბოლშევიკთა ხელისუფლებაში მოსვლის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებს. აღნიშნული საკითხის ყურადღების მიღმა დატოვებამ, მიღებულ დოკუმენტს ფორმალური სახე მისცა. შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მომხდარი ფაქტის შეფასებასა და სწორი დასკვნების გაკეთების აუცილებლობას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს კავკასიის მუშათა დეპუტატების საგანგებო ყრილობა (1917 წლის 22 დეკემბერი) იქცევს. მისი მონაწილეების მსჯელობის საგანს, პეტროგრადში ბოლშევიკთა გადატრიალების მიზეზობრიობის გარკვევის მცდელობა წარმოადგენდა. ყრილობის მონაწილეთა პოზიციის ამ პრობლემისადმი მიმართებაში ჩამოყალიბებაზე განსა-

კუთრებული როლი ნ.ჟორდანიას მოხსენებამ შეასრულა. მან აქცენტი ქართული სოციალ-დემოკრატიის იმ ნიშან-თვისებებზე გადაიტანა, რომელიც ცენტრისაგან განსხვავებით, კავკასიაში რევოლუციური დემოკრატიის ერთიანობის შენარჩუნებას დაედო საფუძვლად. იმავდროულად დააყენა საკითხი.—დროებითი მთავრობისაგან სწორი პოლიტიკური კურსის გატარების შემთხვევაში, მოხდებოდა თუ არა ოქტომბრის გადატრიალება. დასმული კითხვიდან გამომდინარე, პეტროგრადის დემოკრატიული თათბირის მიერ დემოკრატიული მთავრობის შედგენისა და დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკებისათვის თავისუფალი აგიტაციის მიცემის უარყოფა—შეცდომად აღიარა. „რომ გასულიყო ჩვენი წინადადება ერთფეროვანი მთავრობის შედგენის შესახებ—ამბობდა ნ.ჟორდანია—ოქტომბრის ამბებიც არ მოხდებოდა, ვინაიდან ყოველივე ცდა ამ მხრივ მარცხით დამთავრდებოდა“. თუკი ნ.ჟორდანიას ამ განცხადებას ვერწმუნებით, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ბოლშევიკებისადმი ნაწილობრივი დათმობა და მათთვის გარკვეულ ჩარჩოში თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა, ქვეყანას ოქტომბრის მოვლენებს ააცილებდა, ხოლო არჩევნებში მათი წარმატება მინიმალური იქნებოდა. რამდენადაც რუსეთში დემოკრატიამ ძალაუფლების აღება ვერ მოახერხა, ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანია ოქტომბრის მოვლენას შემთხვევითობად არ თვლიდა, რადგან ხელისუფლებამ ბოლშევიკებს პრაქტიკული მოქმედებისაკენ უბიძგა. თავისი სიტყვის დასასრულს, ამის შესახებ იგი ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რამდენადაც უარი ვთქვით ძალაუფლებაზე იგი უნდა ჩაიგდონ ხელში ბოლშევიკებმაო.“[46]

დროებითი მთავრობის კურსიდან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა, სწორად შეაფასეს შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და თავის დროზე მიუთითეს იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე, რომელიც ბოლშევიზმიდან მომდინარეობდა. რაც შეეხება ოქტომბრის მოვლენების ხასიათს და რუსეთის სინამდვილისათვის თვით სოციალისტური რევოლუციის მიზანშეწონილობას, ამის შესახებ ქართულ სოციალ-დემოკრატიასა და მის ლიდერებს გამოკვეთილი პოზიცია გააჩნდათ. ისინი ამ პრობლემას გლობალურად, თითქმის ყველა ნიუანსის გათვალისწინებით განიხილავდნენ და შესაბამის დასკვნებს მხოლოდ არსებულ პირობებთან შეპირისპირების ფონზე აკეთებდნენ. ამ თვალსაზრისით, ნ.ჟორდანიას მიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობაზე (1917 წლის 19 დეკემბერი) გაკეთებული მოხსენება—მიმდინარე მომენტის შესახებ გამოირჩევა. იგი რუსეთის ეკონომიკურად ჩამორჩენილობის დასაბუთებიდან გამომდინარე, ოქტომბრის რევოლუციას მიუღებლად აცხადებდა, ხოლო ბოლშევიზმს ყველა რევოლუ-

ციის დამახასიათებელ მოვლენად. ამის დასტურად 1848 წლის ივნისის აჯანყებისა და 1871 წლის პარიზის კომუნის მაგალითები მოყავდა. აღ ნიშნული ფაქტების განზოგადების საფუძველზე, ნ.ჟორდანია განსაკუთ- რებულ ყურადღებას სოციალიზმისათვის მებრძოლთა იმ მიმდინარეო- ბებზე ამახვილებდა, რომლებიც ისტორიაში უტოპისტებისა და ბლანკის- ტების სახელითაა ცნობილი. მათდამი აქცენტის გაკეთება შემთხვევითო- ბით არ იყო განპირობებული. ერთიცა და მეორეც სოციალიზმის დამყა- რებას ყოველთვის და ყველგან შესაძლებლად მიიჩნევდნენ. მათ შორის ძირითადი განსხვავება მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძო- ლის ფორმებში მდგომარეობდა. თუკი უტოპისტები სოციალიზმის დამ- ყარებას მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით ფიქრობდნენ, ბლან- კისტები აჯანყების გზას ადგნენ. ამ ორი მიმდინარეობის განმასხვავებე- ლი ნიშან-თვისებების გათვალისწინებიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანია ბლანკისტებსა და ბოლშევიკებს შორის არსებით მსგავსებას ხედავდა და იქვე აკეთებდა დასკვნას, რომ ოქტომბრის გადატრიალება „ბოლშევიკებმა მოახდინეს... არა მარქსის, არამედ ბლანკის მეთოდით.“ ძალადობის გა- მოყენება ნ.ჟორდანიას იმ შემთხვევაში მიაჩნდა დასაშვებად, როდესაც ძველ საზოგადოებაში ახალის ჩანასახი იყო შექმნილი. იგი სოციალის- ტური საზოგადოების აღორძინების შესაძლებლობას, მხოლოდ მაღალ- განვითარებული ბურჟუაზიული საზოგადოების ნანგრევებზე მიიჩნევდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე ნ.ჟორ- დანია დასძენდა: „ბოლშევიკები სცილდებიან მეცნიერული სოციალიზმის ანბანს და ჩამორჩენილ ქვეყანაში უნდათ განახორციელონ სოციალიზმი... ოქტომბრის ამბოხება ეს უმრავლესობის წინააღმდეგ უმცირესობის ამ- ბოხებაა.“[47] როგორც ეხედავთ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი საზოგადოების ბუნებრივ განვითარებას უჭერდა მხარს და მასში ხელოვ- ნური ჩარევის სასტიკი წინააღმდეგი იყო, ხოლო სოციალიზმს, მაღალ- განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების ნაყოფად თვლიდა. აღ- ნიშნული შეხედულებების ფართო პროპაგანდისა და მასამდე მიტანაში, განსაკუთრებულ ორლს გაზეთი „ერთობა“ ასრულებდა. მასში დაბეჭდილი წერილები თეორიულ ხასიათს ატარებდა და წამოჭრილი პრობლემის სიღრმისეულად წარმოჩენის მცდელობას წარმოადგენდა. ამ მხრივ, გან- საკუთრებულ ინტერესს იქცევს სტატია „პეტროგრადის გამოსვლა და სოციალიზმი“. წერილის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუ- სეთის ჩამორჩენილობიდან გამომდინარე, იგი სოციალიზმის განხორცი- ელების შეუძლებლობის მტკიცების მცდელობას შეიცავდა, ხოლო განუ- ვითარებელი რუსეთის უკან გაყოლიების შესაძლებლობა, მხოლოდ მა- ღალგანვითარებული ევროპის საქმედ იყო მიჩნეული. ამ ფონზე, ბოლ-

შევიკთა ქმედებას წერილის ავტორი „მარქისზმის ყირამალა დაყენებად“ აცხადებდა. „მხოლოდ ანარქო-სინდიკალისტები ამტკიცებენ—წერდა გაზეთი,—რომ რაკი სოციალიზმი გამოსადეგია იგი ყოველ მომენტში შეიძლება განვახორციელოთო.“[48] რამდენადაც რუსეთის სინამდვილე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა, ბოლშევიკთა საქმიანობა ექსპერიმენტის სახეს ატარებდა და მათი სოციალიზმი „ბლანკისტური ფანტაზიის“ ნაყოფს წარმოადგენდა.[49]

გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ბოლშევიკთა გადადგმულ ნაბიჯს წარსულისა და აწმყოს ურთიერთშეპირისპირების ფონზე განიხილავდა და იმ ძირითადი მასაზრდოებელი წყაროების წინ წამოწევას ცდილობდა, რომლებიც პეტროგრადის მოვლენებსა და ბოლშევიკთა პრაქტიკულ საქმიანობას ედო საფუძვლად. ამ მხრივ, გამოირჩევა გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მოწინავე წერილი „სოციალური რესპუბლიკა“. იგი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში პარალელია გავლებული ლუი ბლანის (1811-1882), ლუი ოგიუსტ ბლანკისა (1805-1881) და ბოლშევიკთა შეხედულებებს შორის. მათ მიერ „სოციალიზმის დასამკვიდრებლად“ გამოყენებული საშუალებები და ფორმები მიზანშეუწონლად, უტოპიადაა გამოცხადებული. იმასთან დაკავშირებით, თუ რას ემყარებოდა სოციალიზმისაკენ ბოლშევიკთა მისწრაფება და პრაქტიკაში რა კონკრეტული ფორმებით ვლინდებოდა იგი, ამის შესახებ იმავე სტატიაში ვკითხულობთ: ბოლშევიკები „ცდილობს მხოლოდ ენთუზიაზმის საშუალებით გააკეთოს ის, რისთვისაც საჭიროა ხანგრძლივი გამოცდილება, დიდი ხნის ორგანიზაციული მზადება და შეკავშირებული მუშაობა... არც ობიექტური პირობები, არც სუბიექტური დღესვე, დაუყოვნებლივ სოციალისტური ექსპერიმენტების დასაწყები ჩვენ არ გვაქვს. მარტო სტიქიურ ენთუზიაზმზე დამყარება—კი ანარქისტების ხელობაა და არა სოციალ-დემოკრატების.“[50]

როგორც ვხედავთ, ქართული სოციალ-დემოკრატია სოციალიზმის განხორციელების ბოლშევიკურ მცდელობას, არაბუნებრივ მოვლენად, მხოლოდ ენთუზიაზმიდან გამომდინარე ექსპერიმენტად მიიჩნევდა და მასში ანარქისტული ქმედების იგივეობრიობას ხედავდა. ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავებულია გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში—„ბოლშევიზმი და ანარქიზმი“. მასში სოციალისტური რევოლუციისადმი ანარქისტებისა და ლენინ-ტროცკის შეხედულებების ურთიერთშეპირისპირების ფონზე წარმოჩენილია ბრძოლის ის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც დასახული მიზნის მისაღწევად აღნიშნული მიმდინარეობები იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, მათი იდენტურობაა და-

საბუთებული. „თუ არა ბოლშევიზმი,—ვკითხულობთ წერილში—სად იპოვნიან ანარქისტები ნავთსაყუდელს? მთელი სახელმწიფოებრივი პრინციპის უარყოფა, სახელმწიფოს წვრილ-წვრილ კომუნალურ ერთეულებად იარაღით ხელში დაყოფა ლენინ-ტროცკის პოლიტიკური ბრძოლის შედეგია და ანარქისტებმაც თავიანთ მოძმე „პარტიას“ მიაშურეს. ანარქია იარაღით ხელიშ ბლანკისტური სოციალიზმის განხორციელება, მთელი იმპერიის მრავალ დამოუკიდებელ კომუნებად დაყოფა და ყველგან, დეზორგანიზაციის შეტანა—აი რა მისცა რუსეთის რევოლუციას ლენინ-ტროცკის „მოღვაწეობამ“ და აი, სად აფარებენ თავს რუსეთის ანარქისტები. ბოლშევიზმი მთელი თავისი პოლიტიკური ბრძოლის საშუალებით ანარქიაში გაითქვიფა და ორივენი ერთად რუსეთის რევოლუციას დიდ საფრთხეს უმზადებენ.“[51] აღნშნულიდან აშკარად ჩანს, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ბოლშევიკთა პრაქტიკულ საქმიანობაში რამდენიმე არამარქსისტული მიმდინარეობის ნარევს ხედავდა. კონკრეტულად, თუ რა „თეორიული წანამძღვრები“ აითვისა ბოლშევიზმმა და რა სახის მიმდინარეობად უნდა ჩათვლილიყო იგი, ამ საკითხს გაზეთმა „ერთობამ“ სპეციალური სტატია—„ნარევი ტაქტიკა“ მიუძღვნა. მასში გასაგებათაა ნათქვამი, რომ „ლენინ-ტროცკის ტაქტიკა ერთსა და იმავე დროს ბლანკისტურიცაა, ანარქისტული, ჟირონდისტული, დიურინგისებური და ყველა ტიპის სოციალისტური, გარდა რასაკვირველია მარქსისტულისა.“[52] ეს პოზიცია კიდევ უფრო გამოკვეთილი ფორმით დააფიქსირა ალ.ჟორჟოლიანმა სტატიაში „ბორშევიზმი და მარქსიზმი.“ ბოლშევიკთა მთელ საქმიანობას უკეთებდა რა ღრმა ანალიზს, გაბედულად აცხადებდა: „დროა აშკარად ითქვას, რომ ბოლშევიზმი აღარ არის მარქსიზმი, მათ შორის გაითხარა ღრმა, ჩვენის შეურყევლის რწმენით, სამუდამო ორმო. ის არ არის კლასიკური შეგნების ანარეკლი, არამედ გაურკვეველი, უფიზიონომიო—უკმაყოფილო მიდრეკილებისაა, რომელიც არ ჩამოისმება არავითარ გარკვეულ პოლიტიკურ ფორმებში.“[53] როგორც ვხედავთ, ბოლშევიკებისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის პოზიცია გამოკვეთილადაა წარმოჩენილი. მისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ განსხვავებული იდეური მრწამსით კი არ იყო განპირობებული, არამედ მთელ მის საქმიანობაში ქართველი სოციალ-დემოკრატები სახელმწიფოსა და ერის კატასტროფამდე მიყვანის რეალურ ნიშნებს ხედავდნენ. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ პეტროგრადში მიმდინარე მოვლენებისადმი თავისი პოზიცია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმაც დააფიქსირეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ინტერესს კ.კაუცკის წერილი „ბოლშევიკების აჯანყება“ იქცევს. იგი „სოციალისტიშე აუსლონდს პოლიტიკ“-ის 1917 წლის 29 ოქტომბრის №46-ში გამოქვეყნდა, რომლის ქართული

თარგმანი მოგვიანებით გაზეთმა „ერთობამ“ გადმობეჭდა. მასში ის აზრია გატარებული, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთში კაპიტალისტური წარმოების სოციალისტურით შეცვლა შეუძლებელი იყო, ხოლო პოლიტიკურად დაუძლურებულ პროლეტარიატს სახელმწიფო აპარატის თავისი მოთხოვნების შესაბამისად ამუშავება არ შეეძლო. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, კ.კაუცკი პროლეტარიატის დიქტატურის რუსეთის სინამდვილისათვის გამხრწნელ საშუალებად გადაქცევას არ გამორიცხავდა. მისი აზრით, თუკი ეს პროცესი განვითარდებოდა, იგი დააჩქარებდა რევოლუციის მორალურად დამარცხებას, ქვეყანაში ქაოსის დამკვიდრებასა და კონტრევოლუციის ასამოქმედებელი მექანიზმის შექმნას.[54] დასახელებული წერილი იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ბოლშევიზმის გააქტიურებისა და მისი მომხრეების ზრდის ძირითად მიზეზად დროებითი მთავრობის უმოქმედობას, კერძოდ ზავის მიუღწევლობას, დამფუძნებელი კრების დროულად მოუწვევლობასა და პირველხარისხოვანი გასატარებელი რეფორმების დაგვიანებას მიიჩნევდა. „ეხლა უნდა გამოაშკარავდეს—ამბობდა კ.კაუცკი—აქვს თუ არა საფუძველი ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშიშროებას. როგორც ეტყობა ბოლშევიკებს ენერგია საკმაო აქვთ. მათ წრეებში მოიპოვებიან ინტელიგენტი გამოცდილი ამხანაგები. მათ წინაშე დაბრკოლებები დიდია და თუ ამ დაბრკოლებათა დაძლევა შეძლეს, ჩვენს თვალწინ მოხდება ისეთი რამ, რაც კაცობრიობას არ დაუნახავს და არ გაუგონია, კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა დადგება“.[55] ამ შემთხვევაში კ.კაუცკიმ კონკრეტულ დასკვნებს თავი აარიდა და მხოლოდ ვარაუდით დაკმაყოფილდა. მისგან განსხვავებით, ქართულ სოციალ-დემოკრატიას მეტი გაბედული პოზიცია ეჭირა და რაც მთავარია, ორიგინალური დასკვნებითაც გამოირჩეოდა. მხედველობაში გვაქვს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მოწინავე წერილი „ახალი კრიზისი“. იგი პეტროგრადში მიმდინარე მოვლენების შეფასებიდან გამომდინარე, რუსეთის კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად მთელი ძალაუფლების მხოლოდ დემოკრატიისადმი გადაცემაში ხედავდა. ამასთან დაკავშირებით იმავე სტატიაში ვკითხულობთ; „როგორც საბჭოები, აგრეთვე დემოკრტიული თვითმმართველობანი, ყველა ჯგუფი, რომელიც თავისი მდგომარეობით დემოკრატიულ ოჯახს ეკუთვნის, მოწვეული უნდა იქნას მთავრობის შესადგენათ და რევოლუციის განსამტკიცებლად. ეს იქნება კრიზისის დემოკრატიის სასარგებლოდ დაბოლოება და კონტრევოლუციონერთა განცალკევება.“[56] როგორც ვხედავთ, რუსეთში არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად დემოკრატიული მთავრობის შედგენის აუცილებლობაა მიჩნეული. ამ შემთხვევაში ქართული სოციალ-დემოკრატია რეალობიდან გამოდიოდა და ნომერ პირველ ამო-

ცანად რუსეთის სივრცეში წესრიგის აღდგენას სახავდა მიზნად. მისი ეს პოზიცია გამართულებული იყო იმდენად, რამდენადაც ამიერკავკასია, რუსეთში დაწყებული შინააშლილობისა და სამოქალაქო ომის გავრცელების რეალური საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. იმ შემთხვევაში თუკი რუსეთში წესრიგის აღდგენა შეუძლებელი გახდებოდა, ქართული სოციალ-დემოკრატია მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დაღწევის მიზნით, ადგილობრივი პარტიებისა და კავკასიის ერების შეთანხმების საფუძველზე, საერთო გზის გამოძებნის შესახებ აყენებდა საკითხს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ანარქია და ჩვენი ტაქტიკა" გამაფრთხილებელი ტონით დასძენდა: „ჩვენ თავიდანვე მომხრე ვიყავით კავკასიის ერთა შეთანხმებისა, ეს განსაკუთრებით საჭიროა ამხანათ. გარეშე შეთანხმებისა, ამიერკავკასიის ცხოვრება სავსებით აიწეწდაიწეწება და ჩვენ ანარქიის მსხვერპლი გავხდებით. ...მომენტი მეტად სერიოზულია."[57] აღნიშნული ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია, კავკასიის რეგიონის პოლიტიკური გართულებებისაგან დახსნის საუკეთესო საშუალებას ყველა პოლიტიკური პარტიებისა და ეროვნების წარმომადგენლების შეთანხმებულ მოქმედებაში ხედავდა.

ამრიგად, ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ ოქტომბრის მოვლენებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და სოციალისტური რევოლუციის მიზანშეუწონლობის იმ ეტაპზე დაფიქსირება, რუსეთის სინამდვილიდან გამომდინარეობდა. ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების შესანარჩუნებლად გამოყენებული ფორმებისა და შეთოდების მიულებლობის მტკიცებას შეიცავდა. ამიერკავკასიის რეგიონში სამოქალაქო ომის გაჩაღების მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მითითება, არსებული პოლიტიკური სიტუაციის სიღრმისეულ გააზრებას ეფუძნებოდა, ხოლო მისი განმუხტვის გზების ძიების დასმა იმ მომენტისათვის დროული იყო და ანარქიის საწინააღმდეგო წინასწარი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას ქმნიდა.

§2. ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია

ქართული სოციალ-დემოკრატიის წინაშე დასმულ საკითხთა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ორგანოების შექმნის აუცილებლობასა და კომპეტენციის განსაზღვრას უჭირავს. მისი პრაქტიკულად გადაწყვეტა იმ ეტაპზე დროებითი მთავრობის პრეროგატივას წარმოადგენდა და სათანადო სანქციერებას საჭირო-

ებდა. ეს ფაქტორი ყველა პოლიტიკურ პარტიებზე გარკვეულ ზეიმქმედებას ახდენდა იმ თვალსაზრისით, რომ მათი პრაქტიკული საქმიანობა ცენტრიდან დაშვებული „ლიმიტის“ ფარგლებში უნდა ჩამჯდარიყო და ერთიანი რუსეთის ინტერესებს არ დაპირისპირებოდა. ამ მხრივ, დროებითი მთავრობისგან შესაბამისი ნაბიჯიც კი გადაიდგა, რომელიც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომი) შექმნაში გამოვლინდა. იგი ძირითადად მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებით დაკომპლექტდა. მის შემადგენლობაში შევიდნენ: კადეტები: ხარლამოვი (თავმჯდომარე) და პაპაჯანოვი, მუსავატი ნ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი—კ.აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო სოციალ-დემოკრატმა აკ.ჩხენკელმა შეცვალა. აღნიშნული ორგანოს უფლებამოსილების საკითხი ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების პირველმა ყრილობამ (1917 წლის 18 მარტი) განსაზღვრა. მიღებული დოკუმენტების მიხედვით, ოზაკომი შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვა. რაც შეეხება ადგილობრივი მმართველობის მოწყობის ფორმას, იგი იმავე კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულებით იქნა დადგენილი. ეს დოკუმენტი იმითაცაა საინტერესო, რომ მან რაიონების, ქალაქებისა და რეგიონების ხელმძღვანელი ორგანოების მოქმედების მასშტაბები და ფუნქციები დააკონკრეტა.[58] ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ დროებითმა მთავრობამ, ამიერკავკასიაში მისადმი დაქვემდებარებული წარმომადგენლობა ოფიციალურად გააფორმა და ცენტრის—პოლიტიკური კურსის შეუცვლელად გატარება დააკისრა.

დროებითი მთავრობის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, დემოკრატიული პრინციპების აშკარა დარღვევას წარმოადგენდა. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება თუკი შეეხებით ამ ფაქტთან მიმართებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის იმ პოზიციას რომელიც მან ოფიციალურად დაფიქსირა. ამის შესახებ მუშათა დეპუტატების საბჭოს 1917 წლის 14 მარტის კრების საოქმო ჩანაწერები საინტერესო მასალას იძლევა. როგორც ირკვევა, ნ.ჟორდანიამ ქართული სოციალ-დემოკრატიის სახელით დროებითი მთავრობის მისამართით უკმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალსწინებიდან გამომდინარე, მისადმი დაპირისპირება მიიუღებლად მიიჩნია.[59] ასეთი კომპრომისული კურსის მიზანშეწონილობის აღიარების მიუხედავად, ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატობის საბჭოების წარმომადგენელთა 1917 წოლის 18 მარტის ყრილობაზე იმავე სოციალ-დემოკრატთა ინიციატივით მიღებულ რეზოლუციაში „დროებითი მთავრობის კომისარიატთან დამოკიდებულების შესახებ“—მითითებული იყო, რომ დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ კომისრებს, მმართველობის ყველა სფეროში შეთანხმებულად ემოქ-

მედათ საგუბერნიო, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად.[60] რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ოზაკომისადმი შეუზღუდავი ძალაუფლების გადაცემას არ აპირებდნენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი და საბჭოებისადმი გარკვეული უფლებების შენარჩუნებას ცდილობდნენ. ამის ერთ-ერთ დადასტურებას, დემოკრატიული საერობო თვითმმართველობის დაუყოვნებლივი შემოღების აუცილებლობისა და მისადმი, მართვა-გამგეობის გადაცემის საკითხის დასმა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებაზე განსაკუთრებული ზემოქმედება კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების 1917 წლის 31 მაისის ყრილობის გადაწყვეტილებებმა შეასრულა. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ კავკასიის მუშათა და გლეხთა ცენტრალურ საბჭოში 25 წევრიდან—17 სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), 4—სოციალისტ-რევოლუციონერი, 3—ბოლშევიკი და 1—დაშნაკი გავიდა. იმავე საბჭოს 1 ივნისის სხდომამ პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ნ.ჟორდანია აირჩია, ხოლო თავმჯდომარის უფროს ამხანაგად ნ. რამიშვილი, მეორე ამხანაგად ი. ქარცივაძე. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალური საბჭოს მესაჭეობა ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) ეპყრათ, რაც ოპოზიციურ პარტიებზე გამარჯვების რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა. ამ უპირატესობას ბუნებრივია, ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ. მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი, ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების სამზადისს დაუკავშირეს. დასახული მიზნის მისაღწევად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) პარტიული აპარატის მაქსიმალური მობილიზაცია მოახდინეს და მასაზე ზემოქმედების მიზნით, აგიტაცია-პროპაგანდის მექანიზმი მოიმარჯვეს. იდეოლოგიური მუშაობის თუ რა ფორმების გამოყენებით მიმდინარეობდა ეს პროცესი, ამის შესანიშნავ ნიმუშს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს მოწინავე სტატია „მომავალი საქალაქო არჩევნების გამო“—იქცევს. იგი საპროგრამო ხასიათისაა და პარტიის პოზიციას აფიქსირებს. წერილი საზოგადოებას შეახსენებდა იმ პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც რევოლუციის შედეგად მათ მიიღეს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა. აქედან გამომდინარე დასმული იყო საკითხი, გაეკეთებინათ სწორი არჩევანი და მხარი დაეჭირათ მხოლოდ იმ პოლიტიკური ძალისადმი, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) სახით იყო წარმოდგენილი. გამარჯვების შემთხვევაში იგი დაპირებას იძლეოდა, რომ შეძლებდა მოპოვებული თავისუფლების არა მარტო შენარჩუნებას, არამედ თანმიმდევ-

რული კურსით სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებსაც გაატარებდა. კერძოდ: მოაწესრიგებდა კომუნალურ მეურნეობას, საქალაქო ეკონომიკური ცხოვრების წესებს, თბილისის მცხოვრებთა სასურსათო საქმეს, შეამცირებდა საბინაო გადასახადს და გააუმჯობესებდა შრომის პირობებს, შემოიღებდა საყოველთაო უფასო განათლებას და ა.შ.[61]

აღნიშნული საკითხების მოწესრიგება იმ ეტაპზე ფართო საზოგადოების ნომერ პირველ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. იგი მუშების, გლეხებისა და საშუალო ფენის ინტელიგენციის ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება, მართალია პარტიის საპროგრამო დოკუმენტების გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა და შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას შეესატყვისებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვასაც აძლევდნენ. ამიტომ იყო, რომ ძირითად ყურადღებას მხოლოდ პარტიის პლატფორმის სოციალურ სფეროზე ამახვილებდნენ და მისი დებულებების ფართო საზოგადოებისათვის ადვილად აღსაქმელი ფორმით გადმოცემას ცდილობდნენ. ამის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს რსდმ პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ორი მოწოდება: „ყველა პარტიულ ამხანაგებს“ და „ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისაგან რსდმ პარტიისა“. თუ პირველი მათგანი სოციალურ სფეროში პარტიის პოლიტიკურ პლატფორმაზე ამახვილებდა ყურადღებას და ქალაქის საბჭოს არჩევნებში №1 სიისადმი ხმის მიცემის აუცილებლობაზე მიუთითებდა,[62] მეორე მათგანი დაწვრილებით გადმოსცემდა არჩევნებში მონაწილე ათი პოლიტიკური პარტიის ძირითად საპროგრამო შეხედულებებს და ურთიერთშეპირისპირების ფონზე იძლეოდა სოციალური საკითხის გადაჭრასთან მიმართებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) განმასხვავებელ მოთხოვნებს. დასახელებული დოკუმენტი ამომრჩეველთა მისამართით დასძენდა: „მთელი კავკასია თქვენ შემოგაქერით. თქვენგან ელის ავტორიტეტული გზის ჩვენებას... რევოლუციის ჭეშმარიტ დამცველთა არჩევას... ხმა მიეცით და გამოესარჩლეთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის სიას №1, გამოესარჩლეთ რევოლუციას.“[63]

წინასწარვე ცნობილი რომ ყოფილიყო, თუ ვინ იყრიდა კენჭს №1 სიით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ქალაქის საბჭოს არჩევნებს ამ მიზნით გაზეთ „ერთობის“ სპეციალური ნომერი მიუძღვნეს, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) დეპუტატობის 120 კანდიდატის დაბეჭდილ სიას რუსეთის სდმ პარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს სახელით, ხელს აწერდნენ: ნ.ჟორდანია, ე.გეგეჭკორი, აკ.ჩხენკელი, დ.პოპოვი, არ.ერზიკიანცი.[64] იმავე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიებში: „პლუტოკრატის გასამართლება“, „ჩვენი მოწინააღმდეგენი,“ „ვის უნდა მის-

ცეთ ხმა“, ერთხელ კიედვ ხაზგასმით იყო მითითებული ბურჟუაზიული პარტიების, განსაკუთრებით კადეტებისა და დაშნაკცუთიუნის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის დიდ დამსახურებაზე. „ერთადერთი პარტია,—ვკითხულობთ წერილში—რომელიც მუდამ და ყოველთვის დემოკრატიის საქმეს ერთგულად ემსახურებოდა,... ყველა ერის გაღატაკებული კლასების ინტერესებს თანაბრათ და სისწორით იცავდა, ეს იყო და არის სოციალ-დემოკრატიული პატრია“.[65] იგივე სტატია საზოგადოებას შეახსენებდა, ხელისუფლებაში მათი ინტერესების დამცველი თუ სურდათ, ქალაქის საბჭოს არჩევნებში ხმა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისათვის მიეცათ. ამ ფორმით გაწეულმა სააგიტაციო-საპროპაგანდო საქმიანობამ, სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დადებითი შედეგი გამოიღო. თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში მონაწილე 92677 ამომრჩევლიდან სოციალ-დემოკრატებმა—38983 ხმა მიიღეს, ეროვნულ-დემოკრატებმა—2880, სოციალისტ-რევოლუციონერებმა—15407, დაშნაკცუთიუნმა—18482, სოციალისტ-ფედერალისტებმა—3185, კადეტებმა—5140, სოციალ-დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა)—5083, ებრაელებმა—1037, ჰანჩაკისტებმა—304, მუსლიმანებმა — 1924.[66] ასეთივე წარმატებას მიაღწიეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს სხვა ქალაქებშიაც.

ახლად არჩეული თბილისის საბჭოს სდ ფრაქციის პირველი თათბირი იმავე წლის აგვისტოში ნაძალადევში გაიმართა, რომელმაც აირჩია დროებითი ბიურო 8 კაცის შემადგენლობით; ნ.რამიშვილი (თავმჯდომარე), ალ. ლომთათიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), დ.ჰაპაჯანოვი (თავმჯდომარის ამხანაგი), ჰ.აზატიანი, ყარაჯიანი, ს.ჯიბლაძე, ა.ჭიაბეროვი, გ.მახარაძე,[67] ამით ფრაქციამ ქალაქის საბჭოში ფაქტობრივად ფუნქციონირება დაიწყო.

რამდენადაც თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ გაიმარჯვა, ამ ფაქტს ორი არსებითი მნიშვნელობა ქონდა. 1. საქართველოს სინამდვილეში, პოლიტიკურ პარტიათა შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ლიდერობა გამოიკვეთა, რომლის პლატფორმას რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მხარს, 2. დასრულდა სომხის ბურჟუაზიული პარტიის—დაშნაკცუთიუნის ლიდერთა მეთაურობა ქალაქის თვითმმართველობაში. აღნიშნული მარცხი განსაკუთრებული მტკივნეულობით აღიქვა სომხის ბურჟუაზიამ და დაკარგული ადგილების ნაწილობრივად შენარჩუნებას შეეცადა. ეს ტენდენცია ქალაქის საბჭოს 1917 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე (თავმჯდომარე ეგეგეჭკორი) გამოვლინდა. დაშნაკცუთიუნის პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ა. ოგანჯანიანმა დააყენა საკითხი, კოალიციური და პროპორციული პრინციპით ქალაქის გამგეობის არჩევნების ჩა-

ტარების შესახებ. მისი თქმით, სოციალ-დემოკრატების შემდეგ მეორე ადგილი დაშნაკცუთიუნის პარტიას უნდა რგებოდა. ამასთან დაკავშირებით ნ.რამიშვილმა ოფიციალურად განაცხადა; სოციალ-დემოკრატები, რამდენადაც უმრავლესობას შეადგენდნენ მათ უფლება ქონდათ კაბინეტი თავიანთი შეხედულებისამებრ დაეკომპლექტებინათ. როცა „დაშნაკელები ბატონობდნენ ძველ საბჭოში—ამბობდა ნ.რამიშვილი—და... უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ პროპორციონალურ წარმომადგენლობაზე... და ეხლა მოაგონდათ პროპორციონალური პრინციპი, როცა მათ ბატონობას ბოლო მოეღო."[68]

ნ.რამიშვილის მიერ ასეთი პოზიციის დაფიქსირებისდა მიუხედავად, დაშნაკცუთიუნის წარმომადგენლები არ ცხრებოდნენ და სოციალ-დემოკრატების მიმართ ახალ პრეტენზიებს აყენებდნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება იმავე სხდომაზე ა.ჯამალიანისა და ალ.ხატისოვის გამოსვლებმა მიიქცია. არჩევნებში დამარცხებიდან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს საყვედურობდნენ, რომ არჩევნების დროს ისინი დაშნაკცუთიუნთან კოალიციაში არ შევიდნენ. ამ პრეტენზიულ გამოსვლას ნ.ჟონდანიამ საფუძვლიანი პასუხი გასცა. მისი თქმით, დაშნაკცუთიუნის წარმომადგენლები საკითხს რიცხვის თვალთახედვით განსაზღვრავდნენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები იდეათა ნათესაობის მიხედვით, რომ შეთანხმება შეიძლებოდა მხოლოდ ორ ინტერნაციონალურ ფრაქციას შორის. „ჩვენ უმრავლესობა ვართ—ამბობდა ნ.ჟონდანია—და ვადგენთ ჩვენს გამგეობას. ისეთ კაბინეტში, რომელშიაც ერთი უკან ეზიდება, მეორენი წინ, მუშაობა შეუძლებელია. უნდა იყოს საერთო ენა. ჩვენ შევთანხმდით საერთო იდეის ნიადაგზე და ამ იდეას უნდა ეკუთვნოდეს თბილისის ინტერესებისათვის მთავარი როლი."[69]

მოტანილი ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები არაქართულ პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებაში რაიმე დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ. პირიქით, ოპონენტებს შეახსენებდნენ, ქალაქის თვითმართველობაში როცა ქართული ელემენტი იყო იგნორირებული და მას სომხის ბურჟუაზია განაგებდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) ლიდერებს კარგად ქონდათ შესწავლილი დაშნაკცუთიუნის პარტიის შინაგანი ფიზიონომია, რომ მათდამი ელემენტარული კომპრომისიც კი, ხელისუფლების შემადგენლობაში მოხვედრის მცდელობის გაუთავებელი პრეტენზიების საფუძველი გახდებოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" წერდა: „დღეს ისინი ორ ადგილს მოითხოვენ, ხვალ ოთხს და ასე, მათ „მოთხოვნას" საზღვარი არ დაედება და ბოლოს 19 ათასი ამომრჩევლის სახელით თბილისის მთელი ქალაქის სომხური ნაწილის გამოყოფასაც

წამოაყენებენ!"[70] აქ უნდობლობის საკითხის დასმის პარალელურად, იმ გადამეტებულ ნაციონალიზმზედაცაა მითითებული, აღნიშნული პარტიის ლიდერები ნებისმიერი შანსის გაჩენის შემთხვევაში ქართველთა საწინააღმდეგოდ რომ განახორიციელებდნენ. აქედან გამომდინარე, მათდამი დაპირისპირება და ზემოთ მითითებული პრეტენზიების უგულებელყოფა, ქართველი სოციალ-დემოკრატების გამართლებულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. ქალაქის საბჭოს 10 აგვისტოს სხდომის მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ ქალაქის თავად ქართველი—ნიკო ელიავა აირჩია. ამიერიდან საქარვოელოს დედაქალაქის პატრონობა ქართველთა ხელში გადავიდა. ეს ფაქტი ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკები) უდიდ დიდ დამსახურებას წარმოადგენს. მხოლოდ მათი მეშვეობით გახდა შესაძლებელი ქალაქის მმართველობიდან სომხური ბურჟუაზიის ჩამოცილება.

ადგილობრივი მმართველობის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლამ, გარკვეულად განსაზღვრა ოზაკომისადმი საქართველოში მომქმედი პოლიტიკური პარტიების ნეგატიური დამოკიდებულება, რადგან მას, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული რუსეთის ხელისუფალთა მიერ დანიშნული მოხელენი განაგებდნენ. შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიის მმართველობის დემოკრატიულ საწყისებზე მოწმობის აუცილებლობას საჭიროებდა. ეს საკითხი ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ სექტემბრის პირველ რიცხვებში დააყენა. მათი აზრით, საგანგებო კომიტეტი აუცილებლად უნდა გადამდგარიყო და ამიერკავკასიის სოციალისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლობით შეცვლილიყო. ამ ინიციაიტვას ოპოზიციურმა პარტიებმა მხარი არ დაუჭირეს. როდესაც გაზეთმა „სახალხო საქმე"-მ ოზაკომის უმოქმედობაზე გაამახვილა ყურადღება და ბრალი ქართულ სოციალ-დემოკრატიას დასდო, გაზეთმა „ერთობამ" პრესის მიმოხილვის რუბრიკით დაბეჭდილ წერილში, მას დამაჯერებელი პასუხი გასცა. „ოზაკომი—წერდა გაზეთი—კადეტების ნაციონალისტებისაგან შედგება გარდა ერთისა, სულ 6 წევრია, 2). ამ ნაციონალისტურმა შემადგენლობამ გამოიწვია ოზაკომის უმოქმედობა, 3). სოციალ-დემოკრატია შეეცადა მისი შემადგენლობის შეცვლას, მაგრამ ეს არ განხორიცელდა სწორედ ქართველ, სომეხ და თათრის ნაციონალისტთა წინააღმდეგობის გამო, 4). მაშასადამე, ბრალი მის უმოქმედობაში ედება ამ ნაციონალისტებს და არა სოციალ-დემოკრატიას, 5), ფედერალისტების ახლანდელი ყვირილი, სოციალ-დემოკრატების ხელშია ოზაკომიო... ჭორია და მეტი არაფერი."[71] როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის მმართველი ორგანოს რეორგანიზაციის აუცილებლობა ქართულ სოციალ-დემოკრატიას გადაუდებელ პირობად მიაჩნდა, მაგრამ შემაფერხებელი ბარიერის ფუნქციები იმჟამად მომქმედმა ოპოზიციურმა

პარტიებმა შეასრულეს. როცა ქართული სოციალ-დემოკრატია საკითხს ამ კუთხით აყენებდა, პირველ რიგში ამიერკავკასიაში ანარქიის მოსალოდნელი გაზრდის საშიშროება ქონდა მხედველობაში. ამ ფაქტორის გათვალისწინებლიდან გამომდინარე, იგი ამიერკავკასიის დემოკრატიული ძალების გაერთიანებას, საერთო კომპრომისული პლატფორმის შემუშავებასა და ერთიანი ავტორიტეტული მთავრობის შექმნის აუცილებლობას მოითხოვდა. „ვინაიდან სუსტია მთავრობა და მისი ძალა-გავლენა, წერდა გაზეთი—ჩვენი ვალია ადგილობრივი მთავრობის საკითხი ფართოდ წამოვაყენოთ და რევოლუციონურ პარტიებთან შეთანხმებით შევქმნათ ისეთი მთავრობა, რომელსაც საყოველთაო ნდობით მოეპყრობიან და რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგის დაცვას და რევოლუციის განვითარებას."[72] რამდენადაც აღნიშნული პრობლემის დადებითად გადაწყვეტა ქართულ სოციალ-დემოკრატიას დაუყოვნებლივ მოსაგვარებელ საქმედ მიაჩნდა, ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგნად აქცია და წერილების სერია მიუძღვნა. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილი მოწინავე სტატია „დემოკრატიული მთავრობის შექმნა" წარმოადგენს. მასში ყურადღება სამ ძირითად საკითხზეა გამახვილებული. 1). ბოლშევიკთა გადატრიალების შედეგად, ამიერკავკასიაში შექმნილ ეკონომიკურ, განსაკუთრებით ფინანსურ სიძნელეებზე, 2). რუსეთის ანარქიიდან გამომდინარე, ამიერკავკასიაში მისი გავრცელების რეალურ საშიშროებაზე, 3). საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით, ამიერკავკასიაში ადგილობრივი ძალებით ძლიერი დემოკრატიული მთავრობის შექმნის აუცილებლობაზე. „სხვა გზა არ არის. ლენინ-ტროცკის ავანტურამ—წერს გაზეთი—ამიერკავკასიის მცხოვრებთ მძიმე დილემა დაუყენა წინ, ან ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის შედგენა, ანდა ეკონომიური და ფინანსური ცხოვრების სრული არევ-დარევა და მათ გარეშე მტრის ამიერკავკასიაში გაბატონება. მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენს."[73] როგორც ვხედავთ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავალ საშუალებად იმ ეტაპზე მხოლოდ ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა მიაჩნდათ. დასახული მიზნის განსახორციელებლად პოლიტიკურ პარტიათა შორის კონსესუსის მიღწევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს ფაქტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, ამიტომ მისი შესრულება თვითონვე იკისრეს, რთიაც მყარი ნიადაგი შეამზადეს ამიერკავკასიის პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული თათბირის მოსაწვევად. იგი 1917 წლის 11 ნოემბერს გაიმართა. მის მუშაობაში პოლიტიკური პარტიებიდან აქტიურად მონაწილეობდნენ: სოციალ-

დემოკრატები (მენშევიკები), სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები), სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები, დაშნაკცუთიუნი, სომხის სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰინჩაკი", სახალხო სოციალისტთა პარტია, ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ბუნდი", მუსლიმანთა ყველა ორგანიზაციების, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, თბილისის ქალაქის გამგეობის, ამიერკავკასიის საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის, კავკასიის არმიის სამხედრო საბჭოს, ოზაკომის, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირს დაესწრო კავკასიის ჯარის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი, არმიის შტაბის უფროსი გენერალი ლებედინსკი, არმიის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერი გენერალი ლევანდოვსკი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი მდივანი, თბილისის გარნიზონის უფროსი პოლკ. ახმეტელაშვილი, მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ელჩების სრული შემადგენლობა.[74]

თათბირზე ადგილობრივი მთავრობის მოწყობის შესახებ ვრცელი მოხსენება კავკასიის ჯარის კომისარმა დ.დონსკოიმ გააკეთა. ამიერკავკასიის სპეციფიურობიდან გამომდინარე და მოსალოდნელი საფრთხის—სამოქალაქო ომის აცილების მიზნით, ადგილობრივი დროებითი ავტორიტეტული ხელმძღვანელი ორგანოს შექმნისა და რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დეპუტატებისაგან მისი დაკომპლექტების საკითხი დააყენა. „გულზე ხელდაკრეფილი კი არ უნდა შევცქეროდეთ რუსეთს,—ამბობდა დ.დონსკოი—უნდა ადგილობრივ ვიმუშაოთ, ვიმოქმედოთ და ამით მეტ სარგებლობას მოვუტანთ საერთო საქმეს."[75]

დ.დონსკოის პროექტის წინააღმდეგ თათბირის მონაწილეთაგან მხოლოდ ბოლშევიკებმა გაილაშქრეს. ფ.მახარაძის აზრით, წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას სახელმწიფოში მხოლოდ ანარქიისა და არევ-დარევის შეტანა შეეძლო. მისი მტკიცებით, ახლად არჩეული მთავრობა კონტრევოლუციური იქნებოდა იმდენად, რამდენადაც იგი პეტროგრადის ბოლშევიკური მთავრობის ნებადაურთველად ყალიბდებოდა. ფ.მახარაძე ამ შემთხვევაში რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე და მისგან მიღებული ინსტრუქციებით მოქმედების აუცილებლობაზე მიუთითებდა. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) წარმომადგენლებს, მათი საერთო პოზიცია დასაბუთებული სახით იმავე თათბირზე სიტყვაში გამოსულმა ნ.ჟორდანიამ წარმოადგინა. იგი ხაზს უსვამდა იმ 100 წლოვან ურთიერთობას, რომელიც ამიერკავკასიას რუსეთთან აკავშირებდა და რომლის საშუალებითაც ევროპულ კულტურას ეზიარა.

იმავდროულად ყურადღებას ამახვილებდა ცენტრში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაზე და ამიერკავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური სინამდვილიდან გამომდინარე, არსებული ჩიხიდან გამოსავალი გზის ძიების აუცილებლობის შესახებ მიუთითებდა. ამიერკავკასიის უსაფრთხოების ერთ-ერთ პირობად, ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებიდან ისეთი ადგილობრივი მთავრობის შედგენა მიაჩნდა, რომელიც მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებდა. ნ.ჟორდანიას აზრით, ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ახლად შექმნილი ორგანო ხალხის სრული ნდობით ისარგებლებდა. იგი აყენებდა საკითხს, რომ მასში ქართველები, სომხები, თათრები და რუსები თანაბარი უფლებებით ყოფილიყვნენ წარდგენილნი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით მან დ.დონსკოის წინადადებას მხარი დაუჭირა და თათბირის მონაწილეებს შეახსენა, რომ „ჩვენსა და რუსეთს შორის შემაკავშირებელი ძაფი გაწყდა და ჩვენს წინაშე დადგა დილემა: ან საკუთარ ნიადაგზე უნდა დავდგეთ და... თავს ვუშველოთ, ან უნდა დავიღუპოთ. აი, ეს აუცილებლობა გვიკარნახებს მოვაწყოთ ადგილობრივი მთავრობა."* როგორც ვხედავთ, აქ საკითხი პრინციპულადაა დასმული. მისი დადებითად გადაწყვეტას ამიერკავკასიის ერების ბედი უნდა განესაზღვრა. სოციალ-დემოკრატთა ლიდერის ასეთი პოზიცია არსებული პოლიტიკური სინამდვილის სიღრმისეული გაანალიზებიდან გამომდინარეობდა და რუსეთში აგორებული ანარქიის ტალღისაგან ამიერკავკასიის რეგიონის გადარჩენის მცდელობას წარმოადგენდა.

როგორც თათბირის საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, მისი მონაწილეების უმრავლესობამ ნ.ჟორდანიას პოზიცია გაიზიარა და სოციალ-დემოკრატთა მიერ შემუშავებულ რეზოლუციას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. ეს დოკუმენტი იმითაცაა საინტერესო, რომ იგი მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად მიღებულ დასკვნებს ემყარებოდა. აქედან გამომდინარე, აყენებდა საკითხს იმ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ამიერკავკასიის სამომავლო ინტერესებთან იყო დაკავშირებული. ქართულ სოციალ-დემოკრატიას თუ როგორ ქონდა გააზრებული ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაციულად მოწყობის საკითხი, ამის სიალუსტრაციოდ ზემოთ დასახელებულ დოკუმენტიდან—მოვიტანთ შესაბამის ამონაწერს. მასში ვკითხულობთ „1. ამიერკავკასიიდან და კავკასიის ფრონტიდან დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნების დასრულებამდე, ამიერკავკასიის მმართველობა გადაეცეს საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტს, რომელშიაც შევლენ ამიერკავკასიის ცენტრალური, საზოგადოებრივი... დ ეროვნული ყველა რევოლუციონურ-დემოკრატიული ორგანიზაციათა წარ

მომადგენლები, 2. ამიერკავკასიაში და კავკასიის ფრონტზე დამფუძნებელი კრების არჩევნების დასრულების შემდეგ, დროებითი მთავრობის მოწყობა, მისი შემადგენლობის ხასიათის და უფლებების განსაზღვრა მიენდოს... მოქალაქეთა და სამხედრო პირთა მიერ არჩეულებს შემდეგის პირობით: ა). ადგილობრივ საოლქო პოლიტიკის წარმოება, თანახმად რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკისა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების ფარგლებში; ბ). ავტონომიურათ მხოლოდ ადგილობრივ მიმდინარე კითხვების გადაჭრა; გ). ამიერკავკასიის მიყვანა ცენტრალური, ყველას მიერ უფლებამოსილად ცნობილი რევოლუციონური დემოკრატიული მთავრობის ან სრულიად რუსეთის სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრების მოწვევის დრომდე; 3. თავის მოქმედებაში იგი უნდა დაეყრდნოს ამიერკავკასიის და ადგილობრივ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და ადგილობრივ თვითმართველთა ორგანოებს."[7] აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის რეგიონალური ორგანოს შექმნის მიმდინარე პროცესი ორ ეტაპად იქნა განსაზღვრული. პირველი ეტაპი ითვალისწინებდა—ხელისუფლების გადაცემას საზოგადოებრივი და პოლიტიკური პარტიათა საწყისებზე შემდგარი საგანგებო თავდაცვის კომიტეტისადმი. ხოლო მეორე ეტაპი დამფუძნებელი კრების დეპუტატების არჩევნების დამთავრების შემდეგ (იგი დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის იყო გათვალისწინებული) რეგიონალური დროებითი მთავრობის მოწყობას. რაც შეეხება მისი უფლებების განსაზღვრას, მას დეპუტატების კომპეტენციად თვლიდნენ და მხოლოდ ავტონომიური უფლებების ფარგლებში აძლევდნენ მოქმედების შესაძლებლობას. ჩვენს მიერ მოტანილი დოკუმენტის მიხედვით, მართალია ამიერკავკასია პეტროგრადის ბოლშევიკურ ხელისუფლებას გაემიჯნა, მაგრამ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, კერძოდ. კანონიერი ხელისუფლების უახლოეს მომავალში აღდგენის მოტივით, კვლავაც რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა.

რამდენადაც ჩრდილოეთიდან მოახლოებული საფრთხე ყველა პოლიტიკური პარტიების განსჯის საგნად გადაიქცა, ამ ფაქტორმა და ზემოთ მითითებულმა რეზოლუციამ ახალი სამხარეო ხელისუფლების-ამიერკავკასიის კომისარიატის დაუყოვნებლივ შესაქმნელად (1917 წლის 15 ნოემბერი) გადამწყვეტი როლი შეასრულა. მისი შემადგენლობა შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: ე.გეგეჭკორი-ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და საგარეო ურთიერთობის საქმეთა სამინისტროს კომისარი, აკ.ჩხენკელი-შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი, დ.დონსკოი-სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი, ხ.ხარჩიკიანი-ფინანსთა სამინისტროს კომისარი, შ.ალექსიშვილი-მესხიშვილი-სახალხო

განათლებისა და იუსტიციის სამინისტროს კომისარი, მ.ჯაფაროვი-ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა სამინისტროს კომისარი, ხ.მელიქ-ასლანოვი-გზათა სამინისტროს კომისარი, ა.ნერუჩაევი-მიწათმოქმედების საქმეთა სამინისტროს კომისარი, გ.ტერ-გაზარიანი-სასურსათო საქმეთა სამინისტროს კომისარი, ა.ოგანჯანიანი-საზოგადოებრივი მზრუნველობის საქმეთა სამინისტროს კომისარი, ხ.ბ.ხას-მამედოვი-სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი. აღნიშნული ფაქტი თბილისის ქალაქის საბჭოს 16 ნოემბრის სხდომამ დადებითად შეაფასა და ახალ მთავრობას მისასალმებელი წერილიც კი გაუგზავნა.[78] ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა იმ ეტაპზე გამართლებული იყო, რადგან სოციალური და ეკონომიკური ხასიათის რეფორმების გატარების პარალელურად იგი ამიერკავკასიის ერების გაერთიანებას და მოსალოდნელი საფრთხისადმი ერთობლივ დაპირისპირებას ითვალისწინებდა. ასეთი პირველხარისხოვანი მიზანდასახულობისდა მიუხედავად, მის წინააღმდეგ ქართველმა ბოლშევიკებმა უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს და ამიერკავკასიის მთავრობა „რაღაც სასაცილო თათბირის" შექმნილად გამოაცხადეს.[79] მათი ასეთი პოზიცია, შემთხვევითობიდან არ გამომდინარეობდა, ამიერკავკასიის კომისარიატში საბჭოთა რუსეთისადმი დაპირისპირებასა და მისგან ჩამოცილების რეალურ საფრთხეს ხედავდნენ. ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს ასრულებდა იმ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გასაღრმავებლად, რომელსაც ისინი ამიერკავსიის კომისარიატთან მიმართებაში ანხორციელებდნენ. ამ შემთხვევაში პეტროგრადის ხელისუფლების დახმარების იმედით მოქმედებდნენ. ამის დასტურად 1917 წლის 23 და 25 ნოემბერს მათ მიერ პეტროგრადში გაგზავნილი დეპეშები გამოდგება. მასში ამიერკავკასიის კომისარიატი—ე.გეგეჭკორის მეთაურობით შექმნილ ნაციონალისტურ და კონტრრევოლუციურ მთავრობადაა გამოცხადებული, ხოლო მის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, კავკასიაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის დანიშვნის საკითხია დაყენებული, რომლის დადებითად გადაწყვეტა, მათი აზრით ბოლშევიკებისადმი რუსეთის არმიის მხარდაჭერას განაპირობებდა და ადგილობრივ ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობას შექმნიდა. „დავეყრდნობით რა ჯარს და ბაქოს საბჭოს,—ვკითხულობთ დოკუმენტში-შეგვიძლია ვაიძულოთ იცნონ თქვენი ძალაუფლება. გვაცნობეთ დეპეშით და პირდაპირი მავთულით, ვუცდით პასუხს".[80]

როგორც ეხედავთ, რუსული ჯარისა და პეტროგრადის ხელისუფლების იმედით ამიერკავკასიაში ფართომასშტაბიანი გამოსვლებისათვის მყარი საფუძველი მზადდებოდა. ეს პროცესები ქართულ სოციალ-დემოკრატიას (მენშევიკებს) მხედველობის მიღმა არ დარჩენიათ და მისი

განმუხტვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების ორგანიზებას შეეცადნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს, რუსეთის მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების და თბილისის კომიტეტების, რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაციების მენშევიკურ ფრაქციათა გაერთიანებული სხდომის (1917 წლის 25 ნოემბერი) მასალები იქცევს. მსჯელობის ძირითად საგანს ბოლშევიკების აგიტაციიდან გამომდინარე მოსალოდნელი საფრთხისა და თბილისში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის საკითხი წარმოადგენდა. მიღებულ რეზოლუციაში კონკრეტულად იყო მითითებული, „ბოლშევიკების გამოსვლის წინააღმდეგ... დაუყოვნებლივ მიიღონ ენერგიული ზომები ქალაქში რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად".[81] დასახული მიზნის განხორციელების ერთერთ საშუალებად თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 28 ნოემბრის სხდომამ, ქალაქ თბილისში სამხედრო წესების გამოცხადება აუცილებლობად მიიჩნია და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო.[82] ამ შემთხვევაში თავდაცვითი საქმიანობის ორგანიზაციას ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) უძღვებოდნენ. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ წესრგის დაცვის უზრუნველყოფა, ჯარისკაცთა პოზიციასა და მის ქმედებაზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ძირითად ამოცანად ჯარის ნაწილებში ბოლშევიკთა გავლენის მაქსიმალურად შემცირება და მისთვის სწორი მიმართულების მიცემა წარმოადგენდა. დასახული მიზნის განსახორციელებლად, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საოლქო კომიტეტმა სპეციალური მოწოდება გაავრცელა. მასში ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის ძირითად მიზეზად რუსეთში მიმდინარე ანარქია და რეგიონში რევოლუციური წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა იყო დასახელებული. „ამერკავკასიის კმოსარიატი,- ვკითხულობთ დოკუმენტში თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრის წინაშე... იგი თავის ადგილს დაუთმობს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას... ბოლშევიკებს უნდათ გამოიწვიონ სამოქალაქო ომი... ადგილობრივი რევოლუციური დემოკრატია, ყველა მუშები, მთელი გლეხობა, ამიერკავკასიის ყველა ეროვნება მტკიცედ დაიცავს ამიერკავკასიის კამისარიატს. თქვენ მოგიწოდებთ არ გადადგათ უგუნური ნაბიჯი".[83] ეს დოკუმენტი ფრონტზე მყოფ ჯარის ნაწილებს გარკვევთ მიანიშნებდა, რომ ამიერკავკასიის კმოსისარიატის შექმნა დროებით ხასიათს ატარებდა და მანამ იარსებებდა, სანამ რუსეთის დამფუძნებელ კრებას არ მოიწვევდნენ. ამ განმარტებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ბოლშევიკთა აგიტაციის მეშვეობით, ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა,

ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გასვლაზე მიუთითებდნენ და მისი ხელისუფლებისადმი დაპირისპირებას პრაქტიკული მოქმედებით აცხადებ-ნენ. ქართველ სოციალ-დემოკრატთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ მიერ გაწეული ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად, ჯარის მთელმა რიგმა ნიწილებმა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერა ყრილობებსა და კრებებზე მიღებული რეზოლუციებით ოფი-ციალურად დააფიქსირეს. ამის შესანიშნავ დადასტურებას კავკასიის მე-ექვსე კორპუსის ჯარის დელეგატთა ყრილობისა და მეხუთე ქართული პოლკის ჯარისკაცთა მიერ მიღებული (1917 წლის 25-26 ნოემბერი) დო-კუმენტები წარმოადგენს.[34] ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ქარ-თველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) დასახული მიზნის განსახორ-ციელებლად რეალური დასაყრდენი ძალა გაუჩნდა, რამაც ბოლშევიკე-ბისადმი საწინააღმდეგო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისას მათ მოქ-მედებას მეტი გაბედულება შესძინა. ამის ერთ-ერთ დამადასტურებლად, ყარსის პოლკის თბილისიდან გაყვანისა და ვ. ჯუღელის რაზმის მიერ არსენალის დაკავების ფაქტებიც გამოდგება. ეს რთული ოპერაციები სის-ხლის დაუღვრელად ჩატარდა, რაც იმაზე მიგვინიშნებს, რომ ადგილობ-რივი ხელისუფლება სიტუაციას სრულიად ფლობდა და მისი გაკონტ-როლების რეალური შესაძლებლობები გააჩნდა. მეორე მხრივ, არსენალის აღებით ბოლშევიკებს შეიარაღებული გამოსვლის ძირითადი საყრდენი გამოაცალეს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა ამ ფაქტს გულისწყრომით შეხვდა და იგი ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანი-ზაციების შეცდომად გამოაცხადა. მისი გამოსწორების მიზნით, რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე ს.შა-უმიანი კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა და დასახული პროგრამის განსახორციელებლად ოქროს კურსით 500 ათასი მანეთი გამოუყო.[35] აღნიშნული ფაქტი ამიერკავკასიის კომისარიატისადმი არა მარტო დაპირისპირებას, არამედ რეგიონის საქმეებში ჩარევასა და ზე-დამხედველობის დაწესების მცდელობას წარმოადგენდა, მიუხედავად იმი-სა, რომ ამიერკავკასიას, სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ს.შაუ-მიანის სახით „ხელისუფლების ახალი წარმომადგენელი" მოევლინა, ამი-რეკავკასიის კომისარიატმა გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, მი-სადმი შემწყნარებლობა გამოიჩინა და დაპატიმრების ნაცვლად, 24 სა-ათში რეგიონის დატოვების წინადადება მისცა. ეს გადაწყვეტილება თბი-ლისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოიწონა და შე-საბამისი რეზოლუციაც მიიღო. „მოისმინა რა ამიერკავკასიის კომისა-რიატის თავმჯდომარის განმარტება—ეკითხულობთ დოკუმენტში—ამ-

ერკავკასიის საზღვრებიდან შაუმიანის გაძევების საკითხის შესახებ, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო იწონებს ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებას, უცხადებს სრულ ნდობას ამიერკავკასიის კომიარიატს."[8] ამ რეზოლუციას იმ ეტაპზე პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა იმ თვალსაზრისით, რომ ფართო საზოგადოებისათვის ამიერკავკასიის კომიარიატის, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პოზიციის იდენტურობა ბოლშევიკებთან მიმართებაში ნათელი ყოფილიყო. ამ ფაქტორს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ფართო საზოგადოების მხარდაჭერაში გარკვეული როლის შესრულება შეეძლო. ეს აუცილებლობას წარმოადგენდა იმდენად, რამდენადაც ბოლშევიკური ორგანიზაციები ფრონტიდან დემობილიზებული ჯარის ნაწილების მეშვეობით თბილისის აღებას ცდილობდნენ. იმ შემთხვევაში თუკი ისინი დასახულ მიზანს მიაღწევდნენ, მათ ხელში მთელი სარკინიგზო ქსელი აღმოჩნდებოდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა აღმოსავლეთიდან-დასავლეთის მიმართულებით, ბათუმიც კი თავიანთი კონტროლის დაქვემდებარებაში მოექციათ. ბუნებრივია, ამ ოპერაციის განხორციელება შეიარაღებულ ძალას უნდა დამყარებოდა, რის გამოც, ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო სამოქალაქო ომის გარდუვალობის წინაშე დადგებოდა. მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების მესამე საგანგებო ყრილობაზე (1917 წლის 22 დეკემბერი) ნ.ჟორდანია დამსწრე საზოგადოებას შეასხენებდა: „ჩვენში რომ სამოქალაქო ომი გაჩაღდეს ეს ნამდვილი უბედურება იქნება, ვინაიდან იგი გადაიქცევა ნაციონალურ ომათ. საჭიროა რეალური ძალა, უნდა შევადგინოთ წითელი გვარდია გლეხებისაგან და მუშებისაგან, მაშინ ვერც ერთი ბოლშევიკური სამხედრო ნაწილი ვერ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლას, როცა დაინახავს, რომ ჩვენ ზურგს გვიმაგრებს შეიარაღებული გლეხობა და მუშები."[9] ნ.ჟორდანიას ეს წინადადება ყრილობის მონაწილეებმა მისაღებად მიიჩნიეს და მისი პრაქტიკულად განხორციელების საკითხი დააყენეს. „კავკასიის მუშათა დეპუტატების მესამე ყრილობა—ვკითხულობთ რეზოლუციაში—...წინადადებას აძლევს კავკასიის ყველა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს „წითელი გვარდიის" შექმნით პრაქტიკულად გაატარონ ცხოვრებაში ხალხის შეიარაღების საქმე... ყრილობა ადგენს, რომ „წითელი გვარდია" უნდა იყოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და სრულიად მას უნდა ემორჩილებოდეს."[10]

„წითელი გვარდიის" შექმნის აუცილებლობის საკითხის დასმა პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯს წარმოადგენდა. იგი ძირითადად ბოლშევიკებისადმი დაპირისპირებას, მათი მოქმედების არეალის შეკვეცასა და სა-

ქართველოს მოსახლეობაში მისი იდეოლოგიურად განიარაღებას ისახავდა მიზნად. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა რესუთისაგან ფინანსურად უზრუნველყოფილი ბოლშევიკური ორგანიზაციები, ხელისუფლების აღების ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობდნენ. რამდენადაც მათ ძირითად ამოცანას, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული—თბილისის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. დასახული მიზნის ხელსაყრელ დროდ თურქეთთან 1917 წლის 5 დეკემბერს ერზინჯანში დადებული საზავო ხელშეკრულება მიიჩნიეს. ეს იყო დროებითი დაზავება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ამ ფაქტმა ყარსიდან და სარაყამიშის ფრონტებიდან რუსი ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნება დაჩქარა. როგორც ცნობილია, ფრონტიდან დემობილიზებულ ჯარისკაცებს თბილისზე უნდა გაევლო. ბოლშევიკები სწორედ ამ მომენტის გამოყენებას შეეცადნენ. თუ რამდენად დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თბილისი, ამის საილუსტრაციოდ საარქივო მასალებიდან მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს. 1). ქართული სამხედრო კავშირის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 11 იანვარს სარაყამიშიდან ატყობინებდა, რომ თბილისიდან სარაყამიშში 5 იანვარს ჩასულმა ბოლშევიკების 13 კაციანმა ჯგუფმა, სამთო ზარბაზნებით შეიარაღებული 7000 რუსი ჯარისკაცის თბილისის ასაღებად გამოყენება დაისახა მიზნად. „სარაყამიშის სამხედრო კავშირის კომიტეტი—ვკითხულობთ დოკუმენტში—ვალდებულად რაცხდა თავის თავს, ზემოთ აღნიშნული ცნობები ეცნო ქართული ეროვნული საბჭოსათვის, რათა მას შეძლება ქონდეს თავისი მოქმედება შეუფარდოს მომენტის მოთხოვნილებას ერისა და რევოლუციის საკეთილდეღოდ.“[33] დოკუმენტს ხელს აწერდა ქართველ ჯარისკაცთა სარაყამიშის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე მ.ჩხეიძე. 2). 1918 წლის აპრილში რუსული ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა, რომ ბოლშევიკები ამიერკავკასიის მთავრობის შესაპყრობად ემზადებოდნენ. დასახული მიზნის განსახორციელებლად, როგორც დოკუმენტშია მითითებული, „1). რაზმავდნენ საკუთარი ჯარის გარდა 9000 რუს აფიცრებს, სამხედრო და სამოქალაქო რუს მოხელეებს, სამსახურში მყოფთ და სამსახურიდან გადამდგართ. 2). რუს სოციალისტებს სხვადასხვა პარტიებისას, 3). რუსს გამოქცეულებს ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან. 4). შემოღებული წესებით უკმაყოფილო სომხებს და ოსებს. ამ უკანასკნელთ ამზადებენ, რომ ეხლავ დაეხან ქართველებს ქართლში და საჩხერის რაიონში. 5). ცდილობენ საიდუმლოდ მოისყიდონ რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცები, ოფიცრები, მოხელეები და სხვები, რომ ისინი არ გამოვიდნენ საბრძოლველად... გასწიონ პროპაგანდა, რომ დამოუკიდებლობა დამღუპველია ამიერკავკასიისათვის, შეაგონონ ხალხს, რომ მოითხოვოს სეიმის გარეკვა.“[34]

ჩვენს მიერ მოტანილი მასალები იმის დამადასტურებელია, თუ რა საფრთხის წინაშე იმყოფებოდა ამიერკავკასია და განსაკუთრებით თბილისი. იმავდროულად იგი, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების აღების მიზნით, თბილისში სისხლისღვრის ორჯერ გამართვის მცდელობაზედაც მიუთითებს. ეროვნული ღალატის ტოლფასოვანი ამ ჩანაფიქრის ჩაშლაში განსაკუთრებული დამსახურება ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს მიუძღვის. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრთან შეთანხმებით ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს და გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცები სამშობლოში შამქორის გზით გაგზავნეს. მართალია, ამ ოპერაციის ჩატარებას გარკვეული მსხვერპლი მოყვა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიების მნიშვნელობა იმაში მდგმოარეობს, რომ „მცირედი სისხლის ფასად“ ამიერკავკასია სამოქალაქო ომს გადაურჩა. როგორც მასალებიდან დასტურდება, 9-12 იანვარს სადგურ შამქორთან ქართული ჯარის ნაწილების მიერ განიარაღებული იქნა ხუთი ეშელონი, რომელსაც 15000 თოფი, 70 ტყვიამფრქვევი, 20 ზარბაზანი და სხვა სახის აღჭურვილობა ჩამოართვეს.[91] ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „ერთობა“ მოწინავე წერილში „ამიერკავკასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს“ მიუთითებდა: „თბილისის განადგურება უკანასკნელი ეშელონების მიერ ერთ დროს ბეწვზე ეკიდა, მაგრამ დემოკრატიული ორგანიზაციების მეცადინეობით რკინის გზის მიმოსვლა ისე მოეწყო, ეშელონები ცოტა დამშვიდდნენ და თავიდან აგვაცილეს ქვეყნის აოხრების, განადგურების და ბოლშევიკების გაბატონების საფრთხე. საშინელმა ქარტეხილმა, რომელიც სტიქიურის სიძლიერით დაგვატყდა თავს, გადაიარა და ჩვენმა ქვეყანამ ცოტა შვება იგრძნო.“[92] ამ მიმართულებით ჩატარებული მძიმე და პასუხსაგები სამუშაოს მიუხედავად, ეროვნული აბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომაზე თ.ღლონტმა ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) აუჩქარებლობაში და უმაქნისობაში დასდო ბრალი. საპასუხო სიტყვაში ნ.ჟორდანიამ იმავე სხდომაზე განაცხადა: „ჩვენ რომ ის გეგმა მოქმედებისა მიგველო, რომელზედაც აქ ლაპარაკობდა თევდორე ღლონტი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საქართველო აქამდის განადგურებული იქნებოდა. აქ მოლაპარაკეთ ავიწყდებათ, რომ ნახევარი მილიონი რუსის ჯარის აქედან გასტუმრება სახუმარო საქმე არ იყო და შესაფერი საშუალება რომ არ გვეხმარა, სამწუხაროდ ის დაგვემართებოდა, რაც დაემართა ყუბანსა და სხვა ადგილებს. რაც ჩვენ შევძელით ამ მხრით, სხვამ ვერ მოახერხა, თვით ფინლანდიამაც კი და ყველამ ვიცით რაც მოჰყვა სხვაგან ჯარის შინდაბრუნებას.“[93]

სოციალ-დემოკრატთა ლიდერის მიერ მოტანილი ფაქტები სრულ ჭეშმარიტებას ეფუძნებოდა, ამიტომ ოპოზიციური პარტიის არცერთ წარმომად-

გენელს იმავე სხდომაზე საწინააღმდეგო თვალსაზრისი არ გამოუთქვამს. ეს იმის ნათელი დადასტურება იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ლიდერთა პოლიტიკური კურსი გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი კავკასიაში იმ ეტაპზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები და მისი ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს: 1). დროებითი მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში საგანგებო კომიტეტის (ოზაკომი) შექმნა და მისი შემადგენლობის დანიშვნითი წესით დაკომპლექტება, იმის დამადასტურებელი იყო, რომ ცენტრი იმ ეტაპზე რაიმე დათმობაზე წასვლას არ აპირებდა, ხოლო აღნიშნული ორგანო, მისი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი რჩებოდა. ქართული სოციალ-დემოკრატია (მენშევიკები) ოზაკომისადმი შეუზღუდავი უფლებების მიცემას არ აპირებდა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისადმი და საბჭოებისადმი გარკვეული უფლებამოსილების შენარჩუნებას ცდილობდა. 2). ქალაქის საბჭოს არჩევნებში ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) გამარჯვება პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, ქალაქის ხელმძღვანელობას დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერები ჩამოაცილა და მმართველობის მთელი სადავეები ქართულ პოლიტიკურ პარტიას გადასცა. 3). სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ მან კონსესუსის საფუძველზე ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალებთან კომპრომისული პლატფორმის შემუშავება შეძლო. რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის დემოკრატიულ პრინციპებზე შექმნას დაედო საფუძვლად. აღნიშნული ნაბიჯი გამართლებული იყო, რადგან იგი იმ ეტაპზე არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას შეესატყვისებოდა. მოსალოდნელი სამოქალაქო ომისგან ამიერკავკასიის გამოყვანა, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების დარბევისაგან თბილისის გადარჩენა და მთელ რეგიონში სრული წესრიგის შენარჩუნება, ქართული სოციალ-დემოკრატიის დიდი ძალისხმევის შედეგს წარმოადგენდა და მისი არდანახვა, უმადურობის მორიგ გამოვლენად გვესახება.

XXX

რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა და დამფუძნებელი კრების დათხოვნამ (1918 წლის 6 იანვარი), სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ლიდერებში დემოკრატიული რუსეთის აღდგენის იდეის მსხვრევის პროცესი დააჩქარა. ამ ფაქტორმა მათ პროორუსულ ორიენტაციაზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა, რამაც მისი გადასინჯვის აუცილებლობა დააყენა. რამდენადაც საკითხი ერის სამოქალაქო ინ-

ტერესებს შეეხებოდა, იგი ნებისმიერ პარტიას ისტორიის წინაშე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ეს სირთულე ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, ამიტომ წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტას არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისობის ფონზე ცდილობდნენ. ამის ერთ-ერთ დადასტურებას გაზეთ „ალიონის" ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები „რა გზას დავადგეთ?" და „აქ გავმაგრდეთ"—წარმოადგენს. რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაანალიზების საფუძველზე, ერის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე, ნომერ პირველ ამოცანად, საქართველოს დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევაა მიჩნეული, ხოლო ამიერკავკასიის ერების ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფის გარანტად, მათი ძალების გაერთიანებაა დასახელებული. „საჭიროა და აუცილებელია—ვკითხულობთ გაზეთში—ეხლავე ამიერკავკასიის ერთა დამფუძნებელი კრების მოწვევა, საკუთარი კონსტიტუციის გამოშვება, აქ მობინადრე ერთა რაიმე ცენტრში გაერთიანება, ფიზიკური ძალის შექმნა, მასზე დაყრდნობა და ასე ჩვენი თავისუფლების და ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა."[5] ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების იდეა ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის ახალი არ ყოფილა, იგი ნ.ჟორდანიას მიერ ჯერ კიდევ რსდმ პარტიის ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობაზე (1917 წლის 11-17 ივნისი) გაკეთებულ მოსხენებაში „ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში" იქნა დასმული. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე, მან ამიერკავკასიის სამი ერის—ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების ერთ პოლიტიკურ ერთეულში გაეთრაინების საკითხი დააყენა,[6] რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა და სათანადო კონსტიტუციით განმტკიცებულიყო. ეს იყო კავკასიურ სინამდვილესთან შესაბამისობის ფონზე შვეიცარიული მოდელის თავისებური გააზრება. დასახული მიზნის განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი ერების მართვის ბერკეტები საერთო ცენტრს, ანუ სეიმს დაექვემდებარებოდა. ნ.ჟორდანიას აზრით, ამიერკავკასიის პოლიტიკური ორგანიზაციის მშენებლობა სააღებმიცემო ეკონომიკურ ინტერესებსა და ერთა ნაციონალურ თანასწორობას დაეყრდნობოდა. „ეკონომიური მთლიანობა—ამბობდა ნ.ჟორდანია—მოითხოვს უფლების მთლიანობას, რაკი ამიერკავკასია ასეთ მთელად მივიღეთ აშკარაა მისი საჯარო უფლების საზღვრებში უნდა მოეწყოს ნაციონალური ორგანიზაცია."[7] მისი განხორციელება, ნ.ჟორდანიას ამიერკავკასიის ხალხებში მშვიდობის შენარჩუნების ბერკეტად მიაჩნდა. აღნიშნული საკითხები უფრო გაღრმავებული ფორმით მან საქართველოს ერვონული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე—ამიერკავკასიის სეიმის შესახებ გაკეთებულ მოხ-

სენებაში წარადგინა. რუსეთში მიმდინარე მოვლენების ანალიზის ფონზე, წინ წამოსწია ის სირთულეები, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში იყო შექმნილი და იქვე დასძინა; „აქ ჩვენშიაც შინაური ანარქია თანდათან ვრცელდება. თუ რაიმე წყობილება არ ჩამოვაყალიბეთ და ზომები არ მივიღეთ ანარქიასთან შესაბრძოლებლად, იგი ჩვენ გაგვანადგურებს. ჩვენს ირგვლივ ბადეები იქსელება—ჩვენს ილბალს რომ ველოდოთ და იმედი ვიქონიოთ ვინმე გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდან, ამაო იქნება.“[97] როგორც ვხედავთ, საკითხი პრინციპულად იყო დასმული და ნ.ჟორდანია, მის გადაწყვეტას ამიერკავკასიის სეიმის დაუყოვნებლივ მოწვევას უკავშირებდა, რომლის ბაზად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატები უნდა გამოეყენებინათ.

რამდენადაც ამიერკავკასიის სეიმის იდეა, ეროვნული საბჭოს მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის ძირითადი ნაწილის მიერ იქნა გაზიარებული, ეს ფაქტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს გაბედული მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ დამფუძნებელი კრების დეპუტატების საფუძველზე ამიერკავკასიის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნის აუცილებლობა, ჯერ კიდევ 1917 წლის 11 ნოემბრის თათბირზე მიღებული დადგენილებით იქნა მიზანშეწონილი.[98] აღნიშნული დოკუმენტისა და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრის შესაბამისი რეზოლუციის თანახმად, 1918 წლის 22 იანვარს, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ არჩეული დეპუტატების კრება იქნა მოწვეული. (გამოცხადდა 25 დეპუტატი: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), სოციალისტ-რევოლუციონერები, დაშნაკცუთიუნი და მუსავატი), რომელსაც ამიერკავკასიის კომისარიატი მთელი შემადგენლობით დაესწრო. იგი ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით მისმა თავმჯდომარემ ე.გეგეჭკორმა გახსნა. მოხსენებით—სეიმის უფლებების შესახებ ნ.ჟორდანია გამოვიდა. მან ყურადღება ამიერკავკასიის ერთიანი მმართველობითი ორგანოს შექმნის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებზე გაამახვილა. მისი თქმით, ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა რეალური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა და იძულებით ხასიათს ატარებდა. „ვფიქრობდით, რომ დამფუძნებელი კრება—ამბობდა ნ.ჟორდანია—მოგვცემდა მტკიცე პოლიტიკურ წყობილებას და გადასჭრიდა ყველა ძირითად საკითხებს, მაგრამ, რამდენადაც ეს ცენტრი აღარ შეიქმნა, ჩვენ იძულებული შევიქენით საკუთარი ძალღონით უზრუნველგვეყო ჩვენი არსებობა“.[99] ამის ერთ-ერთ პირობად, სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ამიერკავკასიის სეიმის მოწვევას მიიჩნევდა და ადგილობრივი მთავრობის მოწყობის საკითხს მის პრეროგატივად თვლიდა. ნ.ჟორდანიას აღნიშნულ

პროექტს მხარი ადგილობრივმა ორგანიზაციებმაც დაუჭირა. ამის დადასტურებას თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1918 წლის 28 იანვრის სხდომის მასალები წარმოადგენს. მისი შესწავლიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის სეიმის შესახებ გაკეთებულ სპეციალურ მოხსენებაში ვ. ჯუღელმა ამიერკავკასიის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სეიმის მოწვევის არა მარტო აუცილებლობა დასაბუთა, არამედ იგი ამიერკავკასიის ერთა შორის სოლიდარობის საუკეთესო გარანტად გამოაცხადა. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე მიღებულ რეზოლუციაში მითითებული იქნა, რომ „თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საჭიროთ მიაჩნია, დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ამიერკავკასიის სეიმის შექმნა საკანონმდებლო ფუნქციებით. რევოლუციური ორგანიზაციები ვალდებულია მხარი დაუჭირონ სეიმის ყველა ნაბიჯს ნაციონალურ და კონტრევოლუციონურ წრეების წრიდან მასობრივი, შოვინისტური და რეაქციონური მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომ ამით შესაძლებელი გახდეს რევოოლუციონური დემოკრატიის განვითარება და განმტკიცება."[100] როგორც ვხედავთ, რეზოლუცია სეიმის საკანონმდებლო უფლებამოსილებას აღიარებდა, მაგრამ იმავდროულად ხაზს უსვამდა მის დროებითობას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არსებობას. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ქალაქის საბჭოსა და მისი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შემადგენლობას, რუსეთში პოლიტიკური ცვლილებების იმედი ქონდა და მას დემოკრატიული ხელისუფლების შესაძლო აღდგენას უკავშირებდნენ. ამიტომ იმ ეტაპზე მხოლოდ ამიერკავკასიის სეიმისადმი მხარდაჭერით იფარგლებოდნენ. პოლიტიკური მოსაზრებებიდან გმომდინარე, მათ წინაშე მთელი პრინციპულობით—სეიმისა და ეროვნული საბჭოების უფლებამოსილების გამიჯვნის აუცილებლობა დაისვა. აღნიშნული საკითხი 1918 წლის 28 იანვრის კრების მსჯელობის საგანი გახდა. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: რსდმპარტიის საოლქო კომიტეტის, საკონტროლო კომისიის, თბილისის კომიტეტის, რაიონული კოლექტივების, მუშათა, ჯარისაკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრის და ქალაქის საბჭოს სდ ფრაქციების წარმომადგენლები. ეროვნული საბჭოს შესახებ ვრცელი მოსხენება აკჩხენკელმა გააკეთა. მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის გლობალური გააზრების საფუძველზე, მან ეროვნული საბჭოების არსებობა აუცილებლობად მიიჩნია და მისი მოქმედების საზღვრების დადგენის საჭიროებაზედაც მიუთითა, რომ მთავრობის უფლებები არ მიეთვისებინათ. აქედან გამომდინარე, მიღებულ რეზოლუციაში დაფიქსირებული იქნა: „1). ყველა შეიარაღებულ ძალებს განაგებს ამიერკავკასიის მთავრობა. 2). ეროვნულ საბჭოებს არ შეუძლიათ მი-

ითვისონ მთავრობის ორგანოების რაიმე ფუნქციები."[101]

ეს დოკუმენტი იმის დამადასტურებელია, რომ ამიერკავკასიის სეიმი შეუზღუდავი უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი, ხოლო მის ფონზე ეროვნული საბჭოების საქმიანობას ფორმალური სახე მიეცემოდა. ფაქტობრივად, ისინი სეიმის დაქვემდებარებულ ორგანოებად გადაიქცეოდნენ. ნაჟორდანიას აზრით ასეთი უფლებები იმით იყო განპირობებული, რომ სეიმს პირველ რიგში ახალი მთავრობა უნდა შეედგინა, ხოლო მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ერებში არსებული დეცენტრალისტური მისწრაფება შეეჩერებინა. სხვადასხვა ერების ეროვნული ორგანოები ერთ ცენტრალურ ორგანოში გააერთიანებინა. მხოლოდ ამის შემდეგ, გახდებოდა შესაძლებელი ამიერკავკასიის ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულებად დაყოფა და ყველა ერისთვის ეროვნული მთავრობის შექმნის შესაძლებლობის მიცემა".[102] რაც შეეხება სეიმს, იგი ამიერკავკასიის ერთმმართველ უცვლელ ცენტრალურ ორგანოდ რჩებოდა, რომლის საჭიროებასაც იმ ეტაპზე სოციალ-დემოკრატია აუცილებელ პირობად თვლიდა. ამ შემთხვევაში ისინი პრობლემას გლობალური თვალსაწიერიდან განიხილავდნენ, და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირებდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „ჩვენი მოვალეობა" ვკითხულობთ: „ამიერკავკასია იძულებულია დამოუკიდებლად აწარმოვოს თავისი ცხოვრების მოწყობა... თავის ტერიტორიაზე იმოქმედოს ისე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები მოქმედებენ, იმ განსხვავებით, რომ სხვა სახელმწიფოების ბედი გამორკვეულია მაინც, ჩვენ კი სრულებით არ ვიცით რა მოგველის ხვალ."[103] აღნიშნული ფაქტორი განსაზღვრავდა სოციალ-დემოკრატების იმ ნაბიჯს, რომელიც ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნისკენ იყო მიმართული. მის გადასაწყვეტ ძირითად ამოცანად მიიჩნევდნენ ერთიანი ძლიერი ჯარის შექმნას, ზავის მიღწევას, მიწის რეფორმის გატარებასა და ტერიტორიული გამიჯვნის მოწესრიგებას. მათი გადაწყვეტა, ქართველ სოციალ-დემოკრატებს შესაძლებლად მხოლოდ ერთობლივი ძალებით მიაჩნდათ. „მოცემულ პირობებში—წერდა გაზეთი „ერთობა"—სეიმი უკეთესი ორგანო იქნება და მხოლოდ მისი მეოხებით შეიძლება მრავალი კითხვების დემოკრატიის სასარგებლოდ გადაჭრა... ვეცადოთ, რომ მისი დადგენილება—გადაწყვეტილება ცხოვრებაში სისწორით გატარდეს."[104]

დასმული პრობლემისადმი მხარდაჭერას ქართველი სოციალ-დემოკრატები ყველა პოლიტიკური პარტიებისაგან მოითხოვდნენ და იმავდროულად დასაბუთების აუცილებლობასაც იძლეოდნენ. ოპოზიციური პარტიების სეიმთან მიმართებაში არსებული შეხედულებების შეჯამებიდან გამომდინარე, ეგეგეჭკორი ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იან-

რის სხდომაზე ოპონენტთა მისამართით აცხადებდა: „ამიერკავკასიის სეიმი მიგვაჩნია ერთ იმ საშუალებად, რომელმაც შეიძლება ძალა მოგვცეს, თავიდან ავიცილოთ საშინელი განსაცდელი... ჩვენი მდგომარეობა სხვა ერთა შორის ისეთია, რომ ჩვენი მოქმედების ნაციონალურ კალაპოტში ჩაგდებით, მთლად დავამსხვრევთ ჩვენს ეროვნულ იდეალებს... სწორედ ამაში იქნება დიდი უბედურება ყველასათვის და განსაკუთრებით კი ჩვენის ერისათვის. ამისთანა დროს განზე დგომა არის არასწორი პოლიტიკა. საჭიროა ყველა ძალების შემოკრება, რომ შეიქმნას ძლიერი მთავრობა, უამისოდ, ვიმეორებ საშინელი საფრთხე მოგველის."[105] ეს გაფრთხილება ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავდა. ამიერკავკასიას და მათ შორის საქართველოს გარეშე ძალების მხრიდან დიდი საფრთხე ემუქრებოდა, რომელიც თითოეული ერის არა მარტო ეროვნული იდეალების, არამედ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამიტომ, ამიერკავკასიის ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეა ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა. როდესაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა ამიერკავკასიის სეიმის მიზანშეწონილობა და მისი სარგებლიანობა ეჭვის ქვეშ დააყენეს, მათი მისამართით პ.საყვარელიძე ეროვნული საბჭოს სხდომაზე ოფიციალურად აცხადებდა: „ანგარიში გავუწიოთ სეიმს, როგორც მომხდარ ფაქტს... ეხლა ლაპარაკი იმაზე, სასარგებლო იქნება იგი თუ მავნე... გვიანღაა, უნდა ვეცადოთ სასარგებლოდ გამოვიყენოთ."[106] იგივე პ.საყვარელიძე ამიერკავკასიის ერების გამიჯვნაში სეიმს განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევდა. ვფიქრობთ, ეს სწორი პოზიცია იყო, რადგან სადაო ტერიტორიების საკითხის მოწესრიგებას ამიერკავკასიის ერებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკება უნდა დადებოდა საფუძვლად და ამ საქმეში სეიმს განსაკუთრებული ფუნქციის შესრულება ეკისრებოდა. ეს იყო არსებული მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი გზების ძიების ერთ-ერთი ვარიანტი. ამიტომ ნ.ჟორდანია ოპოზიციონერთა საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითებდა „ჩვენ ვფიქრობთ საზოგადო ცხოვრების ძლიერ კალაპოტში მოქცევას და ამ კალაპოტის ძებნაში ვართ თუ რანაირი ორგანო შევქმნათ, რანაირი ჩარჩო გამოვძებნოთ, რანაირი სახე მივცეთ ცხოვრების მიმდინარეობას, რათა შევინარჩუნოთ რევოლუციის მონაპოვარი და თავიდან ავითიცლოთ ანარქიის ტალღა. ჩვენი გეგმა ამ საჭიროებაზეა დამყარებული და არა ილუზიაზე... დღეს ერთი გეგმა გამოდგება, ხვალ სხვა. ერთის სიტყვით, ვაკეთებთ და ვამაგრებთ დამბებს, რომ არევ-დარევის ტალღამ არ წაგვლეკოს. თუ ეს ილუზია რგონიათ, ეს დიდი შემცდომაა."[107]

ნ.ჟორდანიას სიტყვიდან მოტანილი ეს ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის აუცილებლობა, ქართველი სოციალ-დემოკრატების პარტიული ჟინიანობით ან კაპრიზებით კი

არ იყო განპირობებული, არამედ მთლიანად რეგიონის გადარჩენას ისახავდა მიზნად. „სეიმი ჩვენ მიგვაჩნია—ამბობდა ნ.ჟორდანია—ამ მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებად და თუ იგი ვერ გვიშველის, სხვა უნდა გამოვძებნოთ."[108]

ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამოსვლები იმდენად არგუმენტირებულ მტკიცებებს შეიცავდა, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერთა განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მათი უმეტესობა იმ ეტაპზე ამიერკავკასიის სეიმის აღიარების აუცილებლობამდე მივიდნენ, მაგრამ იმავდროულად მოითხოვეს, რომ ახლადშექმნილი ორგანოს კომპენტენციას მხოლოდ ზოგადი ხასიათის საკითხები დაქვემდებარებოდა.[109] თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ მოთხოვნის გათვალისწინება, იგი მომავლის საქმე იყო და დღის წესრიგში მხოლოდ მაშინ დაისმებოდა, როცა სეიმის უფლებების განსაზღვრას შეუდგებოდნენ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) მიერ გაწეული სამუშაოდან გამომდინარე, ოპოზიციურ პარტიებთან მიღწეული კონსესუსის შედეგად, ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა 1918 წლის 10(23) თებერვალს გახდა შესაძლებელი. მასში წარმოდგენილი იყო შემდეგი პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), სახალხო თავისუფლება, სოციალისტ-რევოლუციონერები, დაშნაკცუთიუნი, სოციალისტ-ფედერალისტები, მუსავატები, ნაციონალ-დემოკრატები, მუსლიმანური სოციალისტური ბლოკი, რუსეთის იტიხად ისლამი, გუმეტი (მემარჯვენე ნაციონალისტური ფრთა). ყველაზე ძლიერი ფრაქცია ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკები) ჰყავდათ—32 დეპუტატი, მუსავატებს—30, დაშნაკცუთიუნს—27.[110] სეიმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე. იმასთან დაკავშირებით თუ რა ფუნქციის შესრულება აიღო თვის თავზე ამ ორგანომ, ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ გაკეთებული მოხსენება. „თუ წიანთ ჩვენ ვფიქრობდით, რომ სეიმს ექნებოდა საკანონმდებლო ფუნქციები,—აცხადებდა ნ.ჟონდანია—ეხლა ვამბობთ, რომ სეიმი კანონმდებლობს. იგი სწყვეტს და არკვევს ყველა საკითხს ჩვენი საზოგადოებრივ-საპოლიტიკო და საეკონომიო ცხოვრებისას".[111] ეს იმის დამადასტურებელია, რომ ამიერკავკასიის რეგიონის მმართველობის უფლებამოსილება, ფაქტობრივად სეიმს დაექვემდებარება. მისი მუშაობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, ამიერკავკასიის სეიმის 20 თებერვლის სხდომამ შემდეგი სახის კომისიები დაამტკიცა: აგრარული, თავდაცვის, საპარლამენტო, მუშათა, ეროვნული საკითხების და სასურსათო. იმავე სხდომაზე ნ.ჟორდანიამ პრინციპულად დააყენა საკითხი, ამიერკავ-

კასიის ერთიანი ძლიერი მთავრობის შექმნის შესახებ, ხოლო ნ.რამიშვილის წინადადებით, მისთვის სამხედრო და შინაგანი ძალები უნდა დაექვემდებარებინათ.[112] ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა ეგეგეჭკორს დაევალა, რომლის თავმჯდომარედ თვითონვე იქნა არჩეული.

კონკრეტულად თუ რა მიმართულებით აპირებდა მთავრობა მუშაობის წარმართვას და რა სახის საკითხების გადაწყვეტა ქონდა გათვალისწინებული, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 13 მარტის სხდომაზე მთავრობის სახელით ეგეგეჭკორის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია იძლევა. ამ დოკუმენტის მიხედვით ამიერკავკასიის მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად თურქეთთან საპატიო ზავის შეკვრა და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა იყო დასახული. იქვე ყურადღება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და მის სიძლიერეზე იყო გადატანილი, რადგან ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პრობლემის სამართლებრივ დონეზე გადაწყვეტაში. დოკუმენტის მიხედვით, მთავრობა უმკაცრეს პასუხს გასცემდა ყველა დამპყრობელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ხალხის თანადგომა ექნებოდა. იმავდროულად დაპირებას იძლეოდა, რომ მიწებს მშრომელ ხალხზე უსასყიდლოდ გასცემდა, დაიცავდა შრომის უფლებებს, შემოიღებდა 8 საათიან სამუშაო დღეს, დააწესებდა სოციალურ დაზღვევას, დაიცავდა ქალთა და ბავშვთა შრომის უფლებებს, მოაგვარებდა საფინანსო საკითხებს. რაც შეეხება ეროვნებათაშორისო ურთიერთობებს, მთავრობა ყველა ეროვნებასთან მიმართებაში უფლებრივი თანასწორობის პრინციპით იხელმძღვანელებდა, ეცდებოდა ეროვნებათა ტერიტორიულად გამიჯვნას და ეროვნულ-ტერიტორიული კანტონების დაარსებას. „სრული შინაური თვითმართველობით და მცირე ერთა უფლებების უზრუნველყოფით."[113] აღნიშნული დოკუმენტი, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ჩაფიქრებული ფართომასშტაბიანი რეფორმების გეგმის შესახებ მიუთითებდა და მისი განხორციელების რეალურ პირობად ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ ერთიანობასა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას მიიჩნევდა. მართალია, დასახული მიზანი მისაღები იყო, მაგრამ მის განსახორციელებლად გადადგმული ყოველი ნაბიჯი დაუძლეველ სირთულეებს წააწყდა. იგი ძირითადად ამიერკავკასიის სამი ერის—ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებაში გამოვლინდა, რომლის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

რამდენადაც ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს ერთიანი ამიერკავკასიის სახელმწიფოს საერთო ცენტრით შექმნის იდეა ამოძრავებდათ, ყოველმხრივ ცდილობდნენ ოპოზიციასთან პაექრობისას მისი საფუძვლიანობა არგუმენტებით დასაბუთებას. ამ შემთხვევაში მათ წინაშე ორი ძი-

რითადი საკითხი იდგა გადასაწყვეტად: 1). გამოეცხადებინათ თუ არა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და 2). ახლად შექმნილი სახელმწიფოს მოსაწყობად რა ფორმა აერჩიათ. როგორც მასალებიდან ირკვევა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას სოციალ-დემოკრატები არ ჩქარობდნენ და მიზეზად გარკვეული ალიბიც გააჩნდათ. ამის დასტურად საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომაზე ნ. ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვის ამონაწერს მოვიტანთ, სადაც გასაგებათაა ნათქვამი, რომ „გვეშინიან, თათრებისა და ოსმალეთის ბრძოლებში არ ჩავცვივდეთ. ჩვენ ვამბობთ,—სანამ ისეთ მოკავშირეს არ დავინახავთ, რომელიც მართლაც და გულწრფელად დაიცავდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ჩვენ ისე ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ."[114] აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან მიმართებაში სოციალ-დემოკრატების თავშეკავება განპირობებული იყო მფარველი, ანუ ზესახელმწიფოს ძიებით და არა აღნიშნული აქტისადმი წინააღმდეგობით. ეს ფაქტორი ანგარიშგასაწევი იყო იმდენად, რამდენადაც მის აუცილებლობას თვით ამიერკავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებდა. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სეიმის 22 თებერვლის სხდომაზე ნ.ჟორდანიამ ოფიციალურად დასვა საკითხი, ოსმალთა ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს მონობისაგან ამიერკავკასიის დაცვისა და მისი მთლიანობის შესანარჩუნებელი მექანიზმის შემუშავების შესახებ. იგი გამოსავალს მხოლოდ ამიერკავკასიის ერების შეკავშირებაში და ერთ პოლიტიკურ პლატფორმაზე დგომაში ხედავდა. რაც შეეხება ორიენტაციის საკითხს, ნ.ჟორდანია აქაც ერთსულოვნებას მოითხოვდა. „როცა ჩვენ გვეუბნებიან—ამბობდა იგი—რუსეთი თუ ოსმალეთი, ჩვენ ვამბობთ რუსეთი, როცა გვეუბნებიან ოსმალეთი თუ დამოუკიდებლობა, ჩვენ ვამბობთ დამოუკიდებლობა."[115] ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში არა მარტო გამოკვეთილი პოზიცია გააჩნდა, არამედ, პრობლემისადმი სიფრთხილით მიდგომის პარალელურად, სხვა პოლიტიკური პარტიების შეხედულებებისაგან გარკვეული თავისებურებებითაც გამოირჩეოდა. ამ ფაქტორის ზემოქმედებიდან გამომდინარე, იმავე ნ.ჟორდანიას, აუცილებლობად მიაჩნდა გაერკვიათ—აღიარებდნენ თუ არა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას გერმანია, რუსეთი და ოსმალეთი. იგი პრობლემის გადაწყვეტისას საერთაშორისო გარანტიებს მოითხოვდა. აქედან გამომდინარე აყენებდა საკითხს; „ჩვენ პრინციპულად უნდა გადავწყვიტოთ, რომ საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადება. საჭიროა, რომ ეს დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებმაც სცნონ და ამიერკავკასიის ყველა ეროვნებათა სოლიდარობით შევქმნათ ერთი მთლიანი ამიერკავ-

კასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო"[116] სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ქართველ პოლიტიკოსებს მიანიშნებდა, რომ ემოქმედათ იმ ფორმით, რომელიც ახლად შექმნილ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს გარე სამყაროსაგან იზოლაციაში არ მოაქცევდა და მისგან გარკვეული მხარდაჭერაც მიეღოთ. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის სახელით ნ.რამიშვილის მიერ სეიმის იმავე სხდომაზე წარდგენილი რეზოლუციის პროექტში გარკვევით იყო მითითებული „მივიღეთ რა მხედველობაში თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდა ამიერკავკასია, მის დამოუკიდებლობას პრინციპულად ვაღიარებთ, საჭიროდ ვცნობთ, ეს საკითხი გადაეცეს სპეციალურ კომისიას დეტალურად შესამუშავებლად სულ მოკლე ვადით".[117]

როგორც ვხედავთ, ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთი დასაბუთებული გამოსვლებით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შექმნას. ამას არსებითი მნიშვნელობა ქონდა იმ თვალსაზრისით, რომ სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას ადგილობრივი მოსახლეობა მომზადებული შეხვედროდა და იგი მოსალოდნელი პროვოცირების ობიექტი არ გამხდარიყო. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ თურქეთთან საომარი მოქმედების წარუმატებლობით შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, 1918 წლის 9 (22) აპრილს რსდმ პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სხდომამ (ესწრებოდნენ: ნ.ჟორდანია, ნ.რამიშვილი, რ.არსენიძე, ა.სალუქვაძე, ვ.თევზაია, ვ.წულაძე, საკონტროლო კომიტეტის წევრები ნ.ჩხეიძე და ვ.ახმეტელაშვილი). განიხილა ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების საკითხი და დაადგინა: „გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად სამი მთავარი ტერიტორიული ერთეულით: სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი. დანარჩენი ეროვნებები იღებენ ავტონომიას შესაბამის ტერიტორიაზე".[118] დადაგენილებას მხარი დაუჭირა 9 კაცმა, წინააღმდეგი წავიდა ერთი — კარაჯაევი, თავი შეიკავა ერთმა—ნ.ჟორდანიამ.

ნ.ჟორდანია, როგორც ზემოთ გვქონდა მითითებული ეროვნული საბჭოს თებერვლის სხდომაზე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ორჭოფული პოზიცია დაიჭირა, რაც მისი თავშეკავებით გამოვლინდა. იმავე დღესვე შეკრებილმა ამიერკავკასიის სეიმმა, ერთ-ერთ საკითხად ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების მიზანშეწონილობა განიხილა, რომელსაც ცნობილი სოციალ-დემოკრატის დავით ონიაშვილის მოხსენება დაედო საფუძვლად. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, მოხსენებაში ორ ძირითად საკითხზე იყო ყურადღება გამახვილებული. 1). ამიერკავკასიის ერების—ქართველების,

სომხებისა და აზერბაიჯანელების რუსული ორიენტაციის გამომწვევ ობიექტურ მიზეზებზე, 2). შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების აუცილებლობაზე. მართალია, აღნიშნულმა საკითხებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატთა მიერ შეტანილმა რეზოლუციის პროექტმა მიიღო, სადაც გარკვევით იყო მითითებული: „გამოცხადდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა".[119] იმავე სხდომის დადგენილებით მთავრობის შედგენა აკ.ჩხენკელს დაევალა. 1918 წლის 13 (26) აპრილს, მან ამიერკავკასიის სეიმს მთავრობის შემადგენლობის პროექტი წარუდგინა, რომელიც ყოველგვარი დებატების გარეშე იქნა უცვლელად დამტკიცებული. აკ.ჩხენკელი—მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ნ.რამიშვილი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ა.ხატისოვი—ფინანსთა მინისტრი, ხ.ბ.მელიქ-ასლანოვი—გზათა მინისტრი, ფ.ხ.ხოისკი—იუსტიციის მინისტრი, გრ.უსუბეკოვი—სახალხო განათლების მინისტრი, მ.გავჯინსკი—ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ა.სააკიანი—სასურსათო საქმეთა მინისტრი, რ.კაჩაზნუნი—სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი, ა.ერზინკიანი—შრომის მინისტრი, ი.ბ.ჰაიდაროვი—სახელმწიფო კონტროლიორი.[120] იმავე სხდომაზე აკ.ჩხენკელმა ამიერკავკასიის მთავრობის დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომელიც 6 პუნქტისაგან შედგებოდა და სახელმწიფოს წინაშე იმჟამად წამოჭრილ ძირითად საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, მისი გადაწყვეტის პასუხისმგებლობას ახლად არჩეული მთავრობა იღებდა.[121] მთავრობის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო პროგრამას სხარი დაუჭირეს: ი.წერეთელმა, გ.ლასხიშვილმა, გ.გვაზავამ, ს.კარჩიკიანცმა და ა.კანტემიროვმა. წინააღმდეგნი წავიდნენ მხოლოდ თარხანოვი (სოციალისტ-რევოლუციონერთა მემარცხენე ფრთა) და ი.სემიონოვი (ესერი).[122]

იმავე დღეს შეკრებილმა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრის სხდომამ (200-მდე წევრი დაესწრო), ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ იმსჯელა. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენება ი.წერეთელმა გააკეთა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მან თურქეთთან დამარცხების შედეგს მიაწერა, მაგრამ არ გამორიცხა მისი აუცილებლობა. იმავდროულად დემოკრატიული რუსეთის აღდგენის მოლოდინისადმი ცდა მიზანშეუწონლად მიიჩნია. რაც შეეხება ბოლშევიკურ რუსეთთან შეთანხმებას და მასთან ერთად მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხს, რასაც სოციალისტ-რევოლუციონერი ნ.ბერიოზოვი აყენებდა, ამიერკავკასიის ხალხებისათვის ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა ი.წერეთელმა გამოუსწორებელ შეცდომად გამოაცხადა. იგი ოპონენტებს შეახსენებდა, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანა

იმაში მდგომარეობდა, რომ ამიერკავკასიისათვის რუსეთის ბედი აეცილებინა. „რუსეთი აიტანს დღევანდელ მდგომარეობას—ამბობდა ი.წერეთელი—მაგრამ ამას ვერ შეძლებს ქართველები, სომხები, მუსლიმანები. ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე. განა შეიძლება იმის თქმა, რომ იქ გოლგოთაზე ჯვარზეა გაკრული რევოლუციონური რუსეთი და წაიყვანეთ იქ თქვენი ხალხიო... ვინც ფიქრობს, რომ ადგილობრივ ერთა დაღუპვით უნდა მოხდეს ჩრდილოეთის აღდგენა, ასეთ ადამიანებს ჩვენ სასტიკად შევებრძოლებით."[123] ეს ამონაწერი იმის აშკარა დადასტურებაა, რომ ერთ დროს პრორუსული ორიანტაციის მომხრე ი.წერეთელი უკვე წმინდა ეროვნული საწყისებიდან განიხილავდა არსებულ მოვლენებს. იმავდროულად პოლიტიკურ ელიტას მოსალოდნელი გართულებების აცილების მისეული ფორმის გამოყენების შესაძლებლობასაც სთავაზობდა. ყოველივე ეს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) პოლიტიკური ორიანტაციის ჩარჩოში თავსდებოდა. ამიტომ მიმდინარე მოვლენებისადმი ი.წერეთლის ეს პოზიცია, ქართველი სოციალ-დემოკრატების საერთო თვალსაზრისს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს გამოცხადებისა და მთავრობის სამოქმედო პროგრამის მიღების შემდეგ—მისი სამართლებრივად მოწყობის საკითხი ოფიციალურად დაისვა. როგორც მასალებიდან ირკვევა, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ მიღებული დოკუმენტებით, პირველ რიგში ცალ-ცალკე უნდა შეედგინათ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციას. ეს გადაწყვეტილება ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავდა, რადგან იგი არარსებული პოლიტიკური ერთეულების კონსტიტუციის შექმნას ითვალისწინებდა. როცა საკითხი ასეთი ფორმით ისმებოდა, საჭიროება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური წარმონაქმნების პირველ რიგში შექმნას მოითხოვდა. სამწუხაროდ ამიერკავკასიის მთავრობა ამ გზით არ წავიდა. შექმნა 24 კაციანი ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისია, რომლის წევრებად 9 კაცი უშუალოდ ამიერკავკასიის მთავრობამ დაამტკიცა, ხოლო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს ხუთ-ხუთი წევრის წარდგენის უფლება მისცა. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 2 მაისის სხდომის რეკომენდაციით კომისიაში შეყვანილნი იქნენ: გ.გვაზავა, პ.საყვარელიძე, შ.მესხიშვილი, ი.არსენიძე და ი.გობეჩია.[124]

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს კონსტიტუციის შექმნის საკითხი ქართველ პოლიტიკოსთა წრეში ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 9 მაისის სხდომაზედაც დაისვა, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა,[125] გაუკრე-

ვეველი დარჩა კონსტიტუციის მომზადების ვადებიც. ამიერკავკაიისა და საქართველოს კონსტიტუციების პროექტის შესახებ მოსხენება ეროვნული საბჭოს 1918 წლის 12 მაისის სხდომაზე სერგო ჯაფარიძემ გააკეთა. მისი მტკიცებით, კონსტიტუცია ამიერკავკასიის საზღვრებში არსებული რესპუბლიკების (ასეთი სუბიექტები იმ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არსებობდა) ფედერაციული გაერთიანების პრინციპს უნდა დაუფუძნებოდა. ამის აუცილებლობის დასაბუთების მიზნით, იგი სამ ფაქტორს იშველიებდა: 1). ქართველი ერის სიმცირეს, რომ თითქოს მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო და აუცილებელი იყო მფარველი სახელმწიფო ყოლოდა, ანდა ძლიერი გაერთიანების წევრი ყოფილიყო. 2). ეკონომიკური ურთიერთობის საკითხების მოწესრიგების მეტი შესაძლებლობა და ნავთობის უქონლობა. 3). თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისა და მოწინააღმდეგისადმი პასუხის გაცემის რეალური გარანტიების შექმნა. რაც შეეხება ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს მთავრობის უფლებებს, მას უნდა დაქვემდებარებოდა: საგარეო პოლიტიკა, სამხედრო საქმე, ფინანსური—ფულის სისტემა, რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფი, განათლების, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, შრომის დაცვა. „ჩვენში—ამბობდა ს.ჯაფარიძე—უნდა იყოს ერთიანი წარმომადგენლობითი პალატა, სადაც დეპუტატებს ირჩევს პირდაპირ ხალხი საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების წესით. საკითხები ამ პალატაში წყდება ამ ხმების უმრავლესობით."[126] როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის პროექტის მიხედვით ეროვნული საბჭოების ფაქტობრივი იგნორირება ხდებოდა. მას მხოლოდ შემსრულებლის ფუნქციებს უტოვებდნენ. ამიტომ, პ.საყვარელიძემ (ალიონელი) და გ.რცხილაძემ (სოციალისტ-ფედერალისტი) იგი მიუღებლად მიიჩნიეს და მთელი პრინციპულობით დააყენეს საკითხი—კონსტიტუციის ისეთი პროექტის შემუშავების შესახებ, რომელშიაც ფედერაციისა და კონფედერაციის ელემენტები ერთმანეთში იქნებოდა შერწყმული.[127] მათგან განსხვავებით, ეროვნულ-დემოკრატებმა: გ.გვაზავამ, რ.გაბაშვილმა, კ.აფხაზმა და შ.ქარუმიძემ-რადიკალური პოზიცია დაიჭირეს და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დააყენეს. იმავდროულად მოითხოვეს, საქართველოს დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში საერთაშორისო პრინციპით განესაზღვრათ. ისინი ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს წარმონაქმნის შექმნის წინააღმდეგნი იყვნენ და მხარს უჭერდნენ მხოლოდ კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან მუდმივი კომისიის შექმნას. მათი მტკიცებით, გადამწყვეტი უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტს უნდა დარჩენოდა, ხოლო სახელმწიფოს ფორმა დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა ყოფილიყო. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი ფედერაცია გარდუვალი იქნებო-

და, პირველ რიგში ცალკე ეროვნული პოლიტიკური ერთეულების შექმნისა და შემდგში მათი კავშირით შეერთების საკითხს აყენებდნენ.[128] ს.ჯაფარიძისეული პროექტის დაცვას რ.არსენიძე შეეცადა, რომელმაც არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაცია და უცხო სახელმწიფოებიდან მოსალოდნელი საფრთხე, ამიერკავკასიის ერთიანი მტკიცე სახელმწიფოს საჭიროების ძირითად არგუმენტად გამოიყენა. „ამიერკავკასიის მთლიანობას—ამბობდა რ.არსენიძე—უფრო მკვიდრი ნიადაგი ფედერაციის დროს ექნება. ფედერაცია სწორედ იმიტომ გვსურს, რომ მუსლიმანთა ორიენტაცია მოსწყდეს ოსმალეთს. საჭიროა იმოდენა ძალების ყოლა, რომ ოსმალეთმა ადვილად არ გადაგვიაროს თავზე. ჩვენ დღეს უნდა შევეცადოთ შევაკავშიროთ ყველა ერები, რომ შესაძლებელი იყოს თავისუფალი ეკონომიური განვითარება."[129] როგორც ვხედავთ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს ამიერკავკასიის ერთიანი ძლიერი სახელმწიფო მტრისადმი დაპირისპირების მიზნით ქონდათ გათვალისწინებული. იმავდროულად, ამ ნაბიჯს რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ბერკეტად მიიჩნევდნენ. მართალია მიზანი კეთილშობილური იყო და არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალი გზის ძიებას წარმოადგენდა, მაგრამ მისი გადაწყვეტის ფორმა არასწორ ხასიათს ატარებდა. ამ შემთხვევაში სავსებით მართალნი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები, პირველ რიგში ეროვნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შემქნასა და მისი უფლებამოსილების კონსტიტუციურად განსაზღვრას რომ მოითხოვდნენ. ლოგიკურად გამართლებული იქნებოდა, თუკი ამის შემდეგ დაისმებოდა მათი პოლიტიკური გაერთიანების ფორმის საკითხი. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა ტერიტორიულ გამიჯვნას მოიხთოვდა. ამიტომ მისი გადაწყვეტა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა. საფიქრებელია, რომ ეს ფაქტორი განაპირობებდა სოციალ-დემოკრატთა იმ თავშეკავებას, რომელსაც ისინი საქართველოს ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად გამოცხადებასთან მიმართებაში იჩენდნენ. ამ საკითხის მოწესრიგება, ფაქტობრივად პირველ რიგში საზღვრების დადგენას მოითხოვდა. გამოსავალი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ეროვნული პოლიტიკური ერთეულის შექმნის ოფიციალურად გამოცხადება საზღვრების ჩვენების გარეშე მომხდარიყო. სამწუხაროდ ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე იმ ეტაპზე ამ გზით არ წავიდნენ. ისინი პირველი რიგის ამოცანად, საზღვრების მოგვარებას მიიჩნევდნენ. რის გამოც, ეროვნული პოლიტიკური ერთეულის შექმნის საკითხი უკანა პლანზე ექცეოდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ ამიერკავკასიის სეიმის

შესახებ გაკეთებული მოსხენება წარმოადგენს. მასში გარკვევითაა დასმული საკითხი—საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული გამიჯვნის დროულად გადაწყვეტის შესახებ.[130] ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯი მხოლოდ მაისის პირველი რიცხვებიდან გადაიდგა. მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის გამმიჯნავი კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. რამიშვილი, იუსუფბეკოვი, სააკიანი. კომისიაში ეროვნული საბჭოებიდან სამ-სამი წარმომადგენელი იქნა მიწვეული. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 2 მაისის სხდომამ რეკომენდაცია მისცა ალ.მდივანს, გ.ვეშაპელს და დ.ონიაშვილს. იმავე სხდომის გადაწყვეტილებით, სასურველად იქნა მიჩნეული კონსულტაციისათვის იმავე კომისიაში პ.ინგოროყვას, ფ.გოგიჩაიშვილისა და სხვა მცოდნე პირთა მიწვევა. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „დაევალოს ქართველ წევრებს სისტემატურად იმუშაონ ეროვნულ საბჭოში და მომზადებულნი წავიდნენ კომისიის საერთო სხდომებზე."[131] რამდენადაც კომისიის სხდომის მასალების მიკვლევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გახდა, რაიმე კონკრეტული დასკვნების გაკეთებისაგან თავს ვიკავებთ, ავღნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ კომისიის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხი, უფრო ფართო მასშტაბით საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 9 მაისის სხდომაზე იქნა განხილული. ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ მოხსენება კომისიის თავმჯდომარემ ნ.რამიშვილმა გააკეთა. მან განსაკუთრებული ყურადღება სასაზღვრო საკითხთან დაკავშირებით სომხებს, აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებზე გაამახვილა. კომისიის გადაწყვეტილებით, ბაქოს გუბერნია აზერბაიჯანის კუთვნილებად იქნა მიჩნეული, მაგრამ სადაოდ განჯის გუბერნიაში შემავალი გარკვეული ტერიტორიები გახდა. სომხებმა ყარაიაზის მაზრის ნაწილის, შუშისა და ჯევანშირის მაზრების ერევნის გუბერნიის შემადგენლობაში შეყვანა მოითხოვეს. ფაქტობრივად, ეს განჯის გუბერნიის თითქმის ნახევრის მითვისების მცდელობას წარმოადგენდა. რაც შეეხება საქართველოს, მის უფლებებს ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებზე ცნობდნენ. მხოლოდ პრეტენზიას იგივე სომხები ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებზე აცხადებდნენ.[132] მომხსენებლის ინფორმაციიდან გამომდინარე, რამდენადაც სასაზღვრო საკითხმა ეროვნული საბჭოს წევრთა მწვავე დებატები გამოიწვია სიტუაციის განმუხტვის მიზნით, სხდომის თავმჯდომარემ გ.ლასხიშვილმა განაცხადა: „ეროვნულმა საბჭომ მოისმინა მთავრობის კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ ტფილისის გუბერნიის შესახებ საკითხი მხოლოდ საზღვრების მცირე შესწორებას შეიძლება შეეხოს. ამიტომ აქ ლაპარაკი ამა თუ იმ ნაწილის დათმობის თაობაზედ მე

პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია."[133] ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციისა და აღნიშნული წინააღმდეგობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, კომისიამ მის წინაშე მდგომი საკითხის დადებითად გადაწყვეტა ვერ შეძლო.

ამრიგად, 1). სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ამიერკავკასიის ცენტრალური მმართველობითი ორგანოს — სეიმის მოწვევის საკითხის დასმას, იმ ეტაპზე არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებდა. ამ შემთხვევაში ქართველი პოლიტიკოსები მოსალოდნელი ანარქიისაგან რეგიონის გადარჩენის პრინციპით მოქმედებდნენ. ამიტომ აღნიშნული ორგანოს შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯი იძულებით ხასიათს ატარებდა. 2) . ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების დაგვიანებას, ქართველი სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული სიფრთხილე განაპირობებდა, რაც მფარველი სახელმწიფოს ძიებასთან იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ, ისინი პრობლემის დასმასა და მის გადაწყვეტას საერთაშორისო დონეზე ფიქრობდნენ, კერძოდ, მომხდარ ფაქტთან მიმართებაში რა დამოკიდებულებას გამოავლენდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. 3). ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფოს ოფიციალურად გამოცხადებას, საფუძვლად ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის იდეა ქონდა დადებული. მაგრამ შეცდომა იყო დაშვებული ეროვნული სახელმწიფო წარმონაქმნების გაუთვალისწინებლობის გამო, რადგან აღნიშნული გაერთიანება სწორედ ეროვნულ პოლიტიკურ ერთეულებს უნდა დაფუძნებოდა. ამ ფაქტორის იგნორირებიდან გამომდინარე. მივიღეთ ამიერკავკასიაში არარსებული სახელმწიფოთა პოლიტიკური გაერთიანება—ფედერაციის სახელწოდებით, რომელმაც იმ დატვირთვის შესრულება ვერ შესძლო, რასაც სოციალ-დემოკრატები უსახავდნენ მიზნად.

§3. ქართული სოციალ-დემოკრატია ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის სათავეებთან

რუსეთში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა, პოლიტიკური პარტიების წინაშე ახალი პრობლემები დააყენა, რომელიც საქართველოს მომავალს ეხებოდა. უნდა განესაზღვრათ, რა ადგილი დაეჭირა მას რუსეთის სივრცეში.

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ დროის ამ მოთხოვნას ალღო შესანიშნავად აუღო. ქართველი ხალხის საუკუნოვანი ეროვნული მისწრაფება, წინა პლანზე წამოსწია და საზოგადოებას მისი გადაწყვეტის ორიგინალური გზა შესთავაზა. მოქმედების ძირითად პროგრამად დასახა—„თავისუფალ რუსეთში არც ერთი ერი არ უნდა იჩაგრებოდეს".[134] ეს იმის

მაჩვენებელია, რომ ეროვნული საკითხის მოწესრიგებას ერთიანი რუსეთის შენარჩუნების ფონზე ფიქრობდნენ, ხოლო საბოლოო პლატფორმის შესამუშავებლად ამიერკავკასიის ერთა თანასწორუფლებიანი თათბირის მოწვევის აუცილებლობას აყენებდნენ. ამიერკავკასიის მუშათა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობაზე (1917 წლის 18 მარტი) ეგეგეჭკორი ხაზგასმით მიუთითებდა: „ეხლავე უნდა წამოვაყენოთ ყველასათვის მისაღები ფორმულა, როგორიცაა ყველა ერების პოლიტიკური და კულტურული თვითგამორკვევის უფლების აღდგენა“.[135] ამ შემთხვევაში იგი პარტიის პროგრამით გათვალისწინებულ ჩარჩოში თავსდებოდა, მაგრამ არ იძლეოდა საკითხის კონკრეტიზაციას, კერძოდ, რა ფორმით იქნებოდა მისი განხორციელება შესაძლებელი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეროვნული საკითხთან მიმართებაში ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ქონდათ გააზრებული პარტიის სამოქმედო პროგრამა, რომლის დადასტურებას გაზეთ „ერთობას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენს.[136] ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 1917 წლის მარტიდან—იმავე წლის მაისის ჩათვლით, ქართული სოციალ-დემოკრატია საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნაზე შორს არ წასულა და მის გადაწვეტასაც დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. ამის შესანიშნავ ნიმუშს კავკასიის ჯარის დელეგატთა ყრილობის (1917 წლის 23 აპრილი - 10 მაისი) მუშაობის ამსახველი მასალები წარმოადგენს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით, ყრილობის მე-12 სხდომაზე ნ.რამიშვილის მიერ ეროვნული საკითხის შესახებ წარდგენილ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ნაციონალური საკითხის საკითხით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე. მანამდე კი საკითხის გადაჭრისათვის ყოველივე ცდა, როგორც მავნებელი დასაშვები არ არის... ყრილობა შესაძლებლად სცნობს წინასწარ იდეურ მომზადებას დამფუძნებელ კრებაზე ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად ამა თუ იმ შეხედულების თანახმად“.[137]

აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატია ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ოფიციალურად სახელმწიფოებრივ დონეზე ელოდებოდა და მას, როგორც ზემოთაც გექონდა მითითებული, დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ ამრიეკავკასიის და კერძოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შედარებით სრული პროგრამა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა პირველად მხოლოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის მეექვსე საოლქო ყრილობაზე (1917 წლის 11-17 ივნისი) წარადგინეს. ამ მხრივ ყურადღების ცენტრში ნ.ჟორდანიას მოხსენება „ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში“ იდგა. მან აღ-

ნიშნული საკითხი კლასობრივი პოზიციიდან-პროლეტარიატისა და ბურ-ჟუაზიის ურთიერთშეპირისპირების ფონზე განიხილა და მათი ინტერესე-ბი ერთმანეთისაგან გამიჯნა. მიუხედავად, ამისა, ერის უფლებრივი მდგომარეობის დაცვის რეალურ პირობად დაწესებულებათა ნაციონალი-ზაცია და სამშობლო ენის გასახელმწიფოებრიობა მიიჩნია, რომლის პრაქ-ტიკული რეალიზაცია მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესთა სფეროდ გა-მოაცხადა.[138] რაც შეეხება ბურჟუაზიას, ნ.ჟორდანიას აზრით, მისთვის ეროვნული მოთხოვნილება იმდენად იყო მისაღები, რამდენადაც ძალაუფ-ლების აღდგენის შესაძლებლობას აძლევდა. მისი თქმით, პროლეტარია-ტისათვის სახელმწიფო ეროვნული მიზნის განხორციელების საშუალება იყო, ხოლო ბურჟუაზიისათვის თვითმიზანი. „ბურჟუაზიის ლოზუნგია—ამ-ბობდა ნ. ჟორდანია—ნაციონალური მთავრობა, ე.ი. მისი საუკთარი მთავ-რობა... ნაციონალური მთავრობა ბურჟუაზიას ანიჭებს პოლიტიკურ ბატო-ნობას, ხოლო მუშა-ხალხს—მხოლოდ საშუალებას, ოდესმე მოიპოვოს პო-ლიტიური ბატონობა“.[139]

როგორც ვხედავთ, ორივე კლასისათვის ბრძოლის ძირითად მიზანს, ეროვნული მთავრობის შექმნა წარმოადგენდა. განსხვავება მხოლოდ მისი გამოყენების საშუალებებში მდგომარეობდა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნ.ჟორდანია ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისაგან მიჯნავდა მესამე წოდე-ბას—თავადაზნაურობას, იმ მოტივით, თითქოს მისი ინტერესი სამშობლო ენის სახელმწიფოებრიობას არ მოითხოვდა „ვინაიდან ის იოლად მიდის უცხო ენითაც“.[140]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე, ნ.ჟორდანია ეროვნული იდეო-ლოგიის სამ სახეობას გამოყოფდა; 1). არისტოკრატიის, 2). ბურჟუაზიის და 3). მუშა ხალხის. „პირველ ორს—წერს ნ.ჟორდანია—აერთებს შოვინის-ტური და აგრესიული თვისებები, ანსხვავებს ეკონომიკური და მოქალაქე-ობრივი მოტივები. მესამეს პირველთაგან არა აქვს რა საერთო, ხოლო მე-ორეს ემხრობა იმ შემთხვევაში, როცა ლოზუნგი არ ნიშნავს სხვა ერის და-მორჩილებას, სხვისი ენის დევნას“.[141]

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ნ.ჟორდანიასეული ეს კლასიფიკაცია რუსეთის ფონზეა გათვალისწინებული, რამდენადაც იგი ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს, რუსეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა, ერთა ურთიერთობებში კომპრომისული ფორმის დამკვიდ-რებას აუცილებელ პირობად თვლიდა და რაც მთავარია, მათ ძირითად ნა-ციონალურ მიზნად, სამშობლო ენის დაწესებულებათა ენად, ე.ი. მისი გა-სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლას მიიჩნევდა.[142] აქედან გამომდინარე, „სხვისი ენის დევნას“ დანაშაულ ქმედებად თვლიდა და აყენებდა საკითხს, ნაციონალურ ოლქებში დემოკრატია „საკუთარი ნაციონალური პლატფორ-

მით“ გამოსულიყო.[143] მიუხედავად იმისა, რომ ნ.ჟორდანიამ აღნიშნულ პრობლემას კლასობრივი პოზიციიდან მიუდგა, ეროვნული ენის სახელმწიფოებრიობა ერის არსებობის უცილობელ პირობად აღიარა და მისი უფლებების სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივად მიიჩნია.

იმავე მოხსენებაში ნ.ჟორდანია განსაკუთრებულ ადგილს ერთა თვითგამორკვევის საკითხს უთმობს, რომლის წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს უკავშირებს. მისი აზრით, ეროვნული სახელმწიფოს მოწყობისათვის საწყისი პირობების მომზადება „გარეშე ძალის დაუხმარებლად“, ძალდატანების გამოუყენებლად, ამა თუ იმ ერის ნებასურვილის გათვალისწინების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. „დემოკრატიის პრინციპი—ამბობდა ნ.ჟორდანია—მოითხოვს ნაციის თვითგამორკვევის სავსებით გატარებას და მისი საქმეების სურვილისამებრ მოწყობას“.[144] როგორც ეხედავთ, აქ ერის სასიცოცხლო ინტერესებში მეორე ძალის ჩარევის ნებისმიერი მცდელობა მიუღებლად და ერის „სურვილისამებრ მოწყობის“ საწინააღმდეგო ქმედებაა აღიარებული. როცა ნ.ჟორდანია თვითგამორკვევის საკითხს აყენებდა, იმავდროულად მეზობელ სახელმწიფოებთან კომპრომისული გზის ძიების ფორმის შემუშავების აუცილებლობას მოითხოვდა. ამ ფაქტორის გათვალისწინება მას, ომის განმაპირობებელი მიზეზების სათავეშივე აღმოფხვრის იდეალურ საშუალებად მიაჩნდა. ამასთან დაკავშირებით იგი გარკვევით მიუთითებდა, რომ „ქართველი ერის ნაციონალური პროგრამა უნდა აშენდეს არა მარტო ქართველის, არამედ დანარჩენი ორი ერის მოთხოვნილებაზეც, ეს გარემოება მისცემს მას ძალას და განხორციელების საშუალებას“.[145] ასეთი პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირების და მიუხედავად, იგი სრულებითაც არ გულისხმობდა იმას, რომ ქართველ ერს კომპრომისული გზით, რომელიმე ერის შოვინისტური მისწრაფებები გათვალისწინებინა. პირიქით, კომპრომისი მას, მხოლოდ რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად და ერის „თვითგამორკვევის ლოგიკურ დასკვნამდე მისაყვანად“ სჭირდებოდა. იმავდროულად, დასახული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ პირობად საერთო პლატფორმის შემუშავების აუცილებლობა მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, ყურადღებას შვეიცარიის კანტონალურ მოდელზე ამახვილებდა. ამიერკავკასიის სამი ნაციონალური ტერიტორიული ერთეულად—კანტონად გამიჯვნის შესაძლებლობა სავსებით ლოგიკურად მიაჩნდა. მისი მტკიცებით, ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შეიქმნებოდა „ნაციონალური მმართველობა“ და ეროვნული ენა „დაწესებულებათა ენათ“ გახდებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც ნ.ჟორდანია ამბობდა, მას ეროვნული სახელმწიფო არ ერქმებოდა. თითეულ კანტონში, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტუ-

რად იყვნენ დასახელებული, შეიქმნებოდა შიდა ნაციონალური კანტონები და შერეული კანტონების ნაციონალური საბჭოები, „რომლებიც კულტურულ ნაციონალურ საქმეებში შეუერთდებოდა მთავარ ნაციონალურ კანტონს“,[146] რაც იმას ნიშნავდა, რომ ეროვნულ უმცირესობებს ამ შემთხვევაში კულტურული ავტონომია ეძლეოდა. აჯამებდა რა ყოველივე ზემოთქმულს, ნ. ჟორდანია იქვე ხაზგასმით მიუთითებდა რომ ამიერკავკასიის „მთელი მხარე დაიყოფა კანტონებად მეტნაკლები სივრცით, ხოლო ერთიანი კომპეტენციით. შერეულ კანტონში ხდება მმართველობის გაყოფა: ტერიტორიული საქმეები რჩება საერთო მმართველობას, ხოლო კულტურული ბარდება ნაციონალურ საბჭოს. ერთი ერიანი ნაციონალური კანტონები, რომელთა შორის სხვა ერის კანტონი ძევს, ერთდებიან ნაციონალურ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მას უერთდება აგრეთვე შერეული კანტონის თანამემამულეთა ნაციონალური საბჭო. ნაციონალური ტერიტორია შეიძლება წარმოადგენდეს ერთ, გინდ რამდენიმე კანტონს; ამ კითხის გადაწყვეტა ეკუთვნის ამ ტერიტორიის მცხოვრებ ერს. მისი თვითგამორკვევა ამ სფეროში სავალდებულოა მთელისათვის“.[147]

ნ.ჟორდანიასეული მოდელით კანტონებს, ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო ფუნქციების შესრულების უფლება ენიჭებოდათ, ხოლო ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით კულტურული და სამეურნეო ინტერესების განხორციელების შესაძლებლობა ეძლეოდათ. ამ მოდელის სრულყოფილ სახეს მოხსენების თეზისები იძლევა, სადაც პუნქტობრივად ცალ-ცალკეა განსაზღვრული რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოებისა და თვითმმართველობის ფუნქციები.[148] აღნიშნული ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ მიმდინარე პროცესების სწორად შეფასებიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანიამ ქართველი ერისათვის მომენტთან შესატყვისი პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენა და დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსთვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია მოითხოვა. ამით იგი ეროვნულ საწყისებზე მდგარ პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოგვიდგა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნ.ჟორდანიას მოხსენებასთან დაკავშირებით „ალიონის“ ჯგუფმა თავისი პოზიცია ოფიციალურად დააფიქსირა. პ.საყვარელიძე წერილში „რევოლუცია და ეროვნული საკითხი ჩვენში“ მიუთითებდა, რომ „ნ. ჟორდანიას კანტონალური სისტემა პირველყოფლისა ტერიტორიული სისტემაა... ხოლო რამდენადაც კანტონი ნაციონალურ-ტერიტორიალურია, შიგნით ნაციონალური მთავრობაა გაბატონებული, ცხადია იმდენად იგი ნაციონალურ-ტერიტორიალური თვითმმართველობა ანუ ავტონომია“.[149] ასეთი შეფასების მიუხედავად, პ.საყვარელიძემ ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციის გამიჯვნასთან მიმართებაში, თვითმმართველო-

ბისათვის მეტი უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვა. თავისი არგუმენტაციიდან გამომდინარე, მან ნ.ჟორდანიასეული პროექტის სქემას „მორცხვი ავტონომია“ უწოდა და მოითხოვა „მისი უფრო მტკიცე აღიარება, უფრო ფართო ფუნქციებით აღჭურვა და სრული უფლებებით შემოსვა“.[150] ეს საკითხი დაკონკრეტებული სახით „ალიონის“ ჯგუფმა ყრილობისადმი წარდგენილ თეზისებში დასვა. იგი 12 მუხლისაგან შედგებოდა და პლატფორმის ხასიათს ატარებდა. მის ძირითად მოთხოვნას, საქართველოსთვის ფართო ტერიტორიული ავტონომია—თბილისში ეროვნული პარლამენტის მოწვევა და ცენტრიდან მეტი უფლებების წამოღების აუცილებლობა წარმოადგენდა. მართალია ეს დოკუმენტი ყრილობაზე არ განუხილავთ და იგი სპეციალური მსჯელობის საგანი არ გამხდარა, მაგრამ პ.საყვარელიძის მიერ იმავე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, ფაქტობრივად მასში დასმული დებულებების დაცვას წარმოადგენდა. არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მხოლოდ მისაღებად დეცენტრალიზებული რესპუბლიკის შექმნა მიიჩნია. იმავდროულად ცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებების გამიჯვნის კონკრეტიზაცია მოახდინა.[151] მიუხედავად ამისა მის მიერ გამოთქმული შეხედულებები ყველას მიერ გაზიარებული არ იქნა. მაგ. ლ. ნათაძე წერილში „რა მინდოდა მეთქვა პარტიულ ყრილობაზე“, დაწვრილებით განიხილავდა „ალიონის“ ჯგუფის მიერ ყრილობისადმი წარდგენილ ზემოთ მითითებულ დოკუმენტს და მას სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის მიუღებლად თვლიდა იმ მოტივით, რომ თითქოს, იგი პარტიას განსაკუთრებული ნაციონალიზმისაკენ უბიძგებდა. მისი მტკიცებით, ინტერნაციონალურ პარტიას (სოციალ-დემოკრატიას) უფლება არ ჰქონდა ერთი რომელიმე ერის ინტერესები დაეცვა და ქართულ ნაციონალურ ნიადაგზე დამდგარიყო. „ალიონის მთელი პლატფორმა—წერს ლ.ნათაძე—წარმოადგენს გეგმას ქართველი ერის სასურველათ მოწყობისას, ნაციონალური პროგრამის ფორმულა, რომელიც „ალიონმა“ წამოაყენა ამნაირია-ტერიტორიულ ერებს ეროვნული ტერიტორიული ავტონომია, უტერიტორიო ერებს, ეროვნულ-კულტურული ავტონომია.“[152]

როგორც ვხედავთ, „ალიანის“ ჯგუფის პროგრამის მიზანშეწონილობას ქართველი ერისადმი ლ.ნათაძე ვერ უარყოფს, მაგრამ ზოგადთან მიმართებაში, ეროვნულის პრიმატის უგულებელყოფამ იგი ალოგიკურ მდგომარეობაში ჩააყენა, რაც ტერიტორიული ავტონომიის ნ.ჟორდანიასეულ მოდელსა და ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციისადმი დაპირისპირნებაში გამოვლინდა. აღნიშნული რეზოლუცია ავტონომიის უფლებებს შემდეგი სახით განსაზღვრავდა: ავტონომიური ერთეულის ხელისუფალს ევალებოდა ცენტრალური პარლამენტის მიერ გამოცემული

ყველა კანონებისა და განკარგულებების პრაქტიკულად გატარება. ადგილობრივი ეროვნულ-კულტურული საქმეების წარმოება, ეროვნული სკოლების, ჯანმრთელობის გაძღოლა. ადგილობრივი მნიშვნელობის საშუალებების, ფოსტა-ტელეგრაფის, სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის ხელმძღვანელობა, მისი განვითარებისადმი ხელშეწყობა. ადგილობრივი მუშათა და აგრარული კანონმდებლობის დაცვა, მისადმი ზედამხედველობა, სასამართლო უფლებები თვით საკასაციო ინსტანციამდე, ადმინისტრაციული და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია, სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და მემამულეთა კერძო მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში. იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომელსაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამონახვა. კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება იმ სფეროში, რომელიც ცენტრის კომპეტენციას შეადგენდა.[153]

რუსული ორიენტაციის კურსის მიუხედავათ, ქართველი სოციალ-დემოკრატები დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას ძალაში ტოვებდნენ და მის პრაქტიკულ განხორციელებას, კვლავაც სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას უკავშირებენ. ჩვენი აზრით ასეთი პოლიტიკური კურსი დასმული პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზა იყო. ამ შემთხვევაში ისინი თავიანთ სურვილს დასაბუთებული სახით გამოთქვამდნენ და ისეთი ფორმით აყანებდნენ, რომ დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო რეაქცია არ გამოეწვია. აღნიშნული ფაქტორი იმდენად იყო ანგარიშგასაწევი, რამდენადაც ამის მაგალითები ფინეთსა და უკრაინასთან მიმართებაში უკვე არსებობდა. როცა ფინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დროებითმა მთავრობამ მისადმი ნეგატური პოზიცია დაიჭირა, ძალის გამოყენების მუქარით სეიმი დაითხოვა,[154] და მას რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ ტერიტორიული ავტონომიის უფლება შეუნარჩუნა. ხოლო უკრაინის რადამ, როცა დროებითი მთავრობისაგან დაუკითხავად ფართო ავტონომია გამოაცხადა, ამ უკანასკნელმა უფლებამოსილება შეუკვეცა და ზედამხედველის წესით განსაკუთრებული კომისარი დაუნიშნა. ამით ფაქტობრივად რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ერებისადმი მიმართებაში, დროებითი მთავრობის პოლიტიკური კურსი გამოვლინდა. აშკარა გახდა, რომ რუსეთის ახალი ხელისუფალნი ყოფილი კოლონიებისადმი სრული დამოუკიდებლობის მიცემას არ აპირებდნენ. ამის ერთ-ერთ შესანიშნავ დადასტურებას ერთა თვითგამორკვევის პრაქტიკული განხორციელებისადმი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის

ტერეშჩენკოს ნეგატიური დამოკიდებულება წარმოადგენს.[155] თუკი ამ მიმართულებით ვინმე პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა, მის საწინააღმდეგოდ მაშინვე შესაბამისი მექანიზმი ამოქმედდებოდა. ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რამდენად სწორი პოლიტიკური კურსი ქონდა აღებული ქართულ სოციალ-დემოკრატიას, ეროვნული საკითხის გადაწყვეტას რუსეთის სინამდვილეს რომ უკავშირებდნენ. ასეთი პლატფორმით შეხვდა იგი საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს. სანამ კონკრეტულად ამ საკითხს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგად ასპექტში წარმოვადგინოთ, ის ძნელი და დაძაბული მუშაობის პროცესი, რომელიც ამ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას წინ უძღოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მიმდინარე მოვლენებმა, პოლიტიკურ პარტიათა საერთო პლატფორმის შემუშავებისა და მათი გაერთიანების აუცილებლობა დააყენა. ამ მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯი 1917 წლის აპრილის პირველ რიცხვებში გადაიდგა, როცა საქართველოს პოლიტიკური პარტიების პირველი ინტერპარტიული კრება იქნა მოწვეული. კრებას მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერები და ბოლშევიკები არ დასწრებიან. როგორც საარქივო მასალებიდანაა ცნობილი, ამ კრების მსვლელობას სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი აკ.ჩხენკელი თავმჯდომარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ კრებამ პოლიტიკურ პარტიათა შორის კონსენსუსის მიღწევა შესაძლებლად სცნო, რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია. ამიტომ, იგივე საკითხი მეორე ინტერპარტიული კრების (1917 წლის 16 აპრილი) მსჯელობის საგანი გახადა. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ: ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები. თავმჯდომარედ ისევ აკ.ჩხენკელი იქნა არჩეული, ხოლო მდივნად პ.საყვარელიძე. მართალია, კრების მონაწილენი მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმდნენ, მაგრამ ერთიანი საპარტიათაშორისო პლატფორმის შემუშავება ვერ მოახერხეს და მისი გადაწყვეტა მესამე ინტერპარტიული კრებისათვის გადადეს. იგი 1917 წლის 3 აგვისტოს გაიმართა. წინამორბედი კრებებისაგან განსხვავებით, მისმა მონაწილეებმა დღის წესრიგში მდგომი პრობლემისადმი პრაქტიკული მიდგომის თვალსაზრისით, მეტი პრინციპულობა გამოიჩინეს. პარტიათა შორის კოორდინაციის დამყარების, ადგილობრივი საქმეების გაძღოლის და უკეთ მოწესრიგების მიზნით, საერთო ეროვნული ცენტრის დაარსებისა და მილებული დადგენილებების ყველა პოლიტიკური პარტიებისათვის სავალდებულოდ გამოცხადების აუცილებლობა მოითხოვეს.[156] საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იმავე კრების მონაწილეთა უმრავლესობის მხარდაჭერით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს არა საერთო ეროვნული ცენტრის, არამედ სახელწოდებით

ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს შექმნა. ამასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: უმჯობესია „დაერქვას საერთო ეროვნულ ცენტრს სახელად ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო. ამ საეროვნო ინტერპარტიულ ბიუროს დანიშნულება დაწვრილებით განხილული იქნეს შემდეგ კრებაზე. საერთოდ კი ინტერპარტიული ბიურო შეთანხმებით გამოდის ქართველი ერის საზოგადო საკითხებში".[157] იმავე დოკუმენტის მიხედვით, ინტერპარტიულ ბიუროში პოლიტიკური პარტიებიდან მონაწილეობის უფლება მიეცათ: სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს, ეროვნულ-დემოკრატებს, და ბოლშევიკებს, რომლებიც თანაბარი რაოდენობის წევრებით იქნებოდნენ წარმოდგენილი. აღნიშნულმა კრებამ იმ პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა დააფიქსირა, რომლებსაც საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ერთობლივად უნდა ემუშავათ და ამ მხრივ, თითოეულ მათგანს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დააკისრა. კრების მონაწილეებმა მოითხოვეს-ახლადშექმნილი ორგანო სრულუფლებიან ეროვნულ საბჭოდ, ეროვნული მთავრობის ორგანოდ გამოეცხადებინათ.[158] სურვილისდა მიუხედავად, პოლიტიკურ პარტიათა მოუმზადებლობის გამო, მისი პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელი გახდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული სახელმწიფოს აღსადგენად ამ ორგანოს როლი და მნიშვნელობა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, მაგრამ ერთიანი პლატფორმის არარსებობა აშკარად იჩენდა თავს. არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად წინასწარი საშზადისის აუცილებლობა გარდუვალი ხდებოდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებიიდან გამომდინარე, მომავალი კრებისათვის აკ.ჩხენკელს შესავალი სიტყვის მომზადება, ხოლო ნ.ჟორდანიასა და აკ.ჩხენკელს, თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ-ერთობლივი მოხსენების გაკეთება დაევალა.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1917 წლის 12 აგვისტოს მოწვეული იქნა ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელი კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ნ.ჟორდანია, ს.ჯიბლაძე, ნ.რამიშვილი, ალ.ლომთათიძე, პ.საყვარელიძე, კ.მესხი, ს.კედია, გ.გვაზავა, დ.ვაჩნაძე, გ.ვეშაპელი, გრ.ცხილაძე, ა.პაპავა, ა.ჯაჯანაშვილი და მ.საყვარელიძე. კრების თავმჯდომარედ ნ.ჟორდანია აირჩიეს, ხოლო მდივნად პ.საყვარელიძე. კრების დადგენილებით ინტერპარტიულ ბიუროში ხუთი პოლიტიკური პარტია წარადგინეს. კერძოდ: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები და ბოლშევიკები. ამ უკანასკნელებმა აღნიშნულ ორგანოში თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. როგორც მასალების შესაწ-

ელიდან ირკვევა, თითოეულ პოლიტიკურ პარტიას ინტერპარტიულ საინ-ფორმაციო ბიუროში ხუთ-ხუთი წევრი უნდა გაეგზავნა, რომლებიც ბიუროს სრულ შემადგენლობად, ანუ პლენუმად ჩაითვლებოდა. რაც შეეხება ინტერ-პარტიული საინფორმაციო ბიუროს აღმასრულებელ ორგანოს-პრეზიდ-იუმს, ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური პარტიებიდან მასში მხოლოდ თი-თო წარმომადგენელს ირჩევდნენ. იმავე კრების დადგენილებით, ინტერპარ-ტიული საინფორმაციო ბიუროს უფლებამოვალეობა იქნა განსაზღვრული. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქართველი იერის ინ-ტერპარტიული ბიურო დაარსებულა ქართველი ხალხის ყველა პოლიტი-კურ, ეკონომიკურ და კულტურულ-საზოგადოებრივ საჭიროებათა გასაძ-ღოლათ და დასაკმაყოფილებლად. ერის ყველა მთავარ საჭირბოროტო სა-კითხებს არკვევს და სწყვეტს ინტერპარტიული ბიურო. მისი დადგენილე-ბანი სისრულეში მოყავს პრეზიდიუმს. ინტერპატიული ბიუროს და მისი პრეზიდიუმის დაწვრილებითი ფუნქციები და ხასიათი საბოლოოდ ჩამო-ყალიბდება და განხორციელდება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის პრო-ცესში. პრეზიდიუმში შეთანხმება სადაო საკითხებში არ შეიძლება ჩაით-ვალოს ინტერპარტიულ შეთანხმებად. იქ დასმული სადაო საკითხები პრე-ზიდიუმის გადაწყვეტილებით და დასკვნით გადაეცემა პლენუმს განსა-ხილველად. თვით ქართველთა ინტერპარტიულ ბიუროში (პლენუმში) შე-თანხმება ნიშნავს საქართველოს ინტერპარტუილ შეთანხმებას. პლენუმის შეთანხმებული დადგენილება ამა თუ იმ საკითხზე ასასრულებელი და სა-ვალოდებულოა. ქართველთა ინტერპატიული ბიუროს და მის პრეზიდი-უმს ყავს მუდმივი თავმჯდომარე და მდივანი".[159] ეს დოკუმენტი იმის და-მადასტურებელია, რომ საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა, ზეპარ-ტიულობის ინტერესები უკანა პლანზე გადაიტანეს, ერის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად ერთიანი ძალისხმევის გზა აირჩიეს და კონ-სესუსს დაფუძნებული პოლიტიკური პლატფორმის შესამუშავებლად მტკიცე ნაბიჯი გადადგეს.

ახლად შექმნილ პოლიტიკურ ორგანოს, რამდენადაც ქართველი ერის სამომავლო ინტერესების გადაწყვეტა დააკისრეს, მისი ორგანი-ზაციული სრულყოფისა და ფუნქციების გაფართოების საკითხი-პოლ-იტიკურ პარტიათა წინაშე მთელი პრინციპებით დაისვა. ამის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა ქართველთა ინტერპატიული საინფორმაციო ბი-უროს პრეზიდიუმის 1917 წლს 21 აგვისტოს კრებამ, რომლის დადგე-ნილებითაც პრეზიდიუმთან საინფორმაციო, სამხედრო, საშინაო, საგა-რეო საქმეთა და სხვა სექციები შეიქმნა, რომლებსაც სათავეში პრეზი-დიუმის წევრები ჩაუყენეს. იმავე კრების დადგენილებით, პრეზიდიუმის მუდმივ თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი დაამტკიცეს, მის ამხანაგად გი-

ორგი ლასხიშვილი, ხოლო ხაზინადარად კონსტანტინე მესხი.[160] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმავე დადგენილებით ქართველთა ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს სახელწოდება შეუცვალეს და მას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უწოდეს, ხოლო ბიუროს პრეზიდიუმს აღმასრულებელი კომიტეტი. ამასთან დაკავშირებით დასახელებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქართულ ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს დაერქვას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ხოლო ბიუროს პრეზიდიუმს აღმასრულებელი კომიტეტი“.[161] ეს დოკუმენტი საფუძველს გვაძლევს, ამ პოლიტიკური ორგანოს შექმნის დროის განმსაზღვრელად ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებული თვალსაზრისი (აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი) შეცდომად მივიჩნიოთ. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ კრების ოქმი 25 აგვისტოს იქნა დამტკიცებული. აქ ერთ ნაუანსს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს ან მისი პრეზიდიუმის ყოველი დადგენილება ძალაში მას შემდეგ შედიოდა, როცა მომდევნო კრებაზე, წინა კრების ოქმის ტექსტს მოისმენდნენ და დაამტკიცებდნენ. მართალია 25 აგვისტოს სხდომა ქართველთა ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს სახელით გაიხსნა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმავე სხდომაზე 21 აგვისტოს დადგენილება იქნა დამტკიცებული, კრებამ ფაქტობრივად ინტერპარტიული საბჭოს სახელწოდება შეიძინა. სწორედ ამიტომ იყო, კრების მდივანმა პ.საყვარელიძემ იმავე სხდომის ოქმზე შემდეგი სახის მინაწერი რომ გააკეთა: „ეს ოქმი დაამტკიცა საქ. ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ 25 აგვისტოს სხდომაზე (იხ. ს.ე.ი. საბჭოს ოქმი) მდივანი პ.საყვარელიძე“.[162] ისიც ანგარიშგასაწევია, რომ 25 აგსიტოს შემდეგ მოწვეული ყველა კრების ოქმები-საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სახელითაა გაფორმებული. არსებული საარქივო მასალების მიხედვით, ჩატარებული კრებების თანმიმდევრობა და მისი სახელწოდება ასეთ სურათს იძლევა: 1917 წლის 16 აპრილის და 3 აგვისტოს კრების ოქმები—ქართული ინტერპარტიული კრების სახელწოდებითაა გაფორმებული. 12, 20 და 25 აგვისტოს—ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს, ხოლო 28 აგსიტოდან 16 ნოემბრის ჩათვლით—საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელწოდებით.

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნის კონკრეტულ დროდ 1917 წლის 25 აგვისტო უნდა მივიჩნიოთ. 1917 წლის 21 აგვისტოს კრების დადგენილების მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ მან ახლად შექმნილი ორგანოს შემადგენლობა ოთხი პოლიტიკური პარტიის ათ-ათი წარმომად-

გენლით განსაზღვრა. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიულ საბჭოში არჩეული იქნენ: სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან (მენშევიკები) ნ.ჟორდანია, ა.ჩხენკელი, ნ.რამიშვილი, ალ.ლომთათიძე, ე.გეგეჭკორი, ს.ჯიბლაძე, „ალიონის“ ჯგუფიდან—პ.საყვარელიძე, პ.ქავთარაძე, კ.ქავთარაძე, ნ.ქარცივაძე, ივ.გომართელი, ლ.შენგელაია; სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან—ი.გობეჩია, კ.მესხი, ი.ჩერქეზიშვილი, გ.ნათაძე, ნ.ჩიგოგიძე, მ.გავაშელი, დ.კაჩაური. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან—გ.ლასხიშვილი, დ.უზნაძე, შ.მესხიშვილი, ი.გედევანიშვილი, გ.რცხილაძე, შ.მიქელაძე, ი.ბარათაშვილი, ს.ფირცხელავა, ქრ.რაჭველიშვილი, შ.დადიანი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან—გ.ჟურული, გ.გვაზავა, შ.ამირეჯიბი, დ.ვაჩნაძე, სპ.კედია, ი.მაჭავარიანი, რ.ივანიცკი (ინგილო), გრ. ვეშაპელი, გ.ქიქოძე, შ.ქარუმიძე. რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტს, მის შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ: ა.ჩხენკელი, ნ.ჟორდანია, გ.ლასხიშვილი, გ.რცხილაძე, გ.გვაზავა, ნ.ქარცივაძე, პ.საყვარელიძე.[163]

ამ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ თავისი დადებითი პოზიცია გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ეროვნული ინტერპატიული საბჭო“—ოფიციალურად დაადასტურა. მან ახლად შექმნილ პოლიტიკურ ორგანოს, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შემთანხმებლური ცენტრი უწოდა, ხოლო მის ძირითად ამოცანად, ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საზოგადოებრივი და საერთაშორისო საჭიროებათა საკითხების გაძღოლასთან ერთად, ადგილობრივ ერთა თანხმობის მოგვარების აუცილებლობაც მიიჩნია.[164] იმის გასარკვევად თუ რა ძირითად მიზანს ისახავდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება ორმა საარქივო დოკუმენტმა მიიპყრო. პირველ მათგანში, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, ახლად შექმნილი ორგანოს ძირითად მიზნად რევოლუციის, ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საზოგადოებრივი, ერთა საერთაშორისო თანასწორობისა და თავისუფლების დაცვა იყო მიჩნეული.[165] რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, მას ა.ჩხენკელი, ნ.ჟორდანია, ს.მდივანი და შ.ამირეჯიბი აწერდნენ ხელს. იგი მეტ კონკრეტულობას შეიცავდა და მუხლობრივად აყალიბებდა იმ ძირითად მიზნებს, რომლის შესასრულებლად ეს ორგანო უნდა ყოფილიყო მოწოდებული. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მიზნად ისახავს: 1). სახელმწიფოებრივი ძალაუფლების გადასვლა მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში, 2). კონტრრევოლუციასთან მედგარი ბრძოლა, 3). რესპუბლიკის აღიარება, დადასტურდება და დაცვა, 4). დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევა, 5)

. ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება. თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერები. ერთა უფლებების აღიარება და მათთან შეთანხმებით მოქმედება. რევოლუციური მთავრობის შეთანხმებით ეროვნული საკითხის საბოლოოდ გადაჭრა დამფუძნებელ კრებაზე, 6). წარმომადგენლობის თანხმობითი და ერთიანი გამოსვლა.[166]

ამ დოკუმენტის მიხედვით საქართველოს მომავალი რუსეთის დემოკრატიასთან, კერძოდ, მის დამფუძნებელ კრებასათანაა დაკავშირებული და იგი ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის ფარგლებში თავსდება. ეს თვალსაზრისი ინტერპარტიულ საბჭოში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ურთიერთ შეთანხმებიდან გამომდინარეობდა. მიმდინარე პოლიტიკური სიტუაცია, ამ მოთხოვნის დროებითი მთავრობისადმი დასაბუთებული სახით ოფიციალურად წარდგენის აუცილებლობას საჭიროებდა, რადგან ქართველ პოლიტიკოსებს როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული ფინეთისა და უკრაინის მაგალითები ედოთ წინ. საქართველოს მომავალ სტატუსთან დაკავშირებით, ქართველმა პოლიტიკოსებმა ცენტრისადმი განაცხადის გაკეთების შესაფერის მომენტად პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი მიიჩნიეს. 1917 წლის 16 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომამ, აღნიშნულ თათბირზე წარმომადგენლობის გაგზავნის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა და ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის (თავმჯდომარე), სიმონ მდივანის, შალვა ამირეჯიბის შემადგენლობით სპეციალური დელეგაცია აირჩია. მათ დაევალათ შეთანხმებულად ემოქმედათ და პრინციპულად დაეცვათ ერთა თვითგამორკვევის უფლების, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის, თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერების აღიარების დანაპირების პრაქტიკულად განხორციელების დაჩქარების აუცილებლობა. რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით მოეთხოვათ საქართველოსთვის ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა, რომ ეროვნული საკითხის საბოლოოდ გადაჭრა დამფუძნებელ კრებაზე მომხდარიყო.[167] პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე (1917 წლის 14-22 სექტემბერი) განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ აქ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი სტატუსის საკითხი ოფიციალურად დაისვა. მხედველობაში გვაქვს აკ.ჩხენკელის მიერ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით გაკეთებული მოხსენება. იგი შეკრებილთ პირობას აძლევდა, რომ ქართველი ხალხი „მთელი თავისი არსებით" მზად იყო რუსეთის რევოლუციის სამსახურში ჩამდგარიყო, რომ ეროვნულ საკითხს მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე დასვამდნენ განსახილველად. იგი თათბირის მონაწილეებს იმავდროულად შეახსენებდა, რომ „ქართველ ერს, მისი პოლიტიკური პარტიების სახით უკვე აქვს თა-

ვისი აზრი, რომელიც ეროვნულ პროგრამაში გამოითქმება. მთელი ერი გაერთიანებულია და პროგრამა იგი მოითხოვს საქართველოსთვის ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის მიკუთვნებას".[168] აკ.ჩხენკელი იქვე აკონკრეტებდა საკითხს და საქართველოსათვის გეორგიევსკის 1783 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების „აღდგენას" მოითხოვდა. ქართველი ხალხის ეროვნული პროგრამა, რომელსაც ამიერკავკასიის ეროვნებათა შეთანხმება ედო საფუძვლად, როგორც აკ.ჩხენკელი მიუთითებდა „რუსეთის რევოლუციური დემოკრატიისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო". ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გმომდინარე, თათბირის მონაწილეებისაგან საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის მიზნით ისეთი პროექტის წამოყენების აუცილებლობას აყენებდა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებს დააკმაყოფილებდა. გარკვეული გარანტიების შემთხვევაში იგი თათბირის მონაწილეებს პირდებოდა, „ნურავითარ სეპარატულ გამოსვლას ქართველებისაგან ნუ მოელით... მაგრამ გახსოვდეთ კი: ჩვენ შესაძლებელია, მაშინ გამოვიდეთ სეპარატულად, როდესაც ჩვენი დამარცხება აუცილებელი იქნება."[169] ამ ფაქტთან დაკავშირებით უ.სიდამონიძე საკუთარი სამართლიანად მიუთითებდა: „აკ.ჩხენკელი, რომელიც ქართველი ხალხის სახელით გამოვიდა დემოკრატიულ თათბირზე, გრძნობდა რომ მომავალი რევოლუცია კარგს არაფერს უქადდა ბურჟუაზიას და მოითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობას საქართველოსთვის; ის უკვე ლაპარაკობდა სეპარატიულ მოქმედებაზე".[170]

საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ, მართალია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან მიმართებაში თავისი პოზიცია ოფიციალურად დააფიქსირა, მაგრამ იმ ეტაპზე მის მთავარ ამოცანად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა და არჩევნების საფუძველზე, იურიდიულად ყოველმხრივ უფლებამოსილი ორგანოს შექმნა წარმოადგენდა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან დასახული მიზნის განხორციელების შემთხვევაში, ქართველი ერის მომავლის პასუხისმგებლობა დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ორგანოს ხელში აღმოჩნდებოდა, სადაც ერის ინტელექტუალური ძალები იქნებოდა თავმოყრილი. რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა, კერძოდ, 25 ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, ეროვნული ყრილობის დაჩქარებით მოწვევის და საქართველოს ბედის გარკვევის საკითხი ეროვნული ინტერპატიული საბჭოს წინაშე მთელი პრინციპულობით დასვა. ამ შემთხვევაში საქართველოს ეროუნილი ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 3, 8 და 16 ნოემბრის სხდომები გვაქვს მხედველობაში, რომელმაც მიღებული დადგენილებით ზოგადად განსაზღვრა ეროვნული ყრილობის ფუნ-

ქციები და ამოცანები. „ეროვნულმა ყრილობამ-ეკითხულობთ დოკუმენტში-უნდა შეადგინოს დროებითი ეროვნული საბჭო, რომელიც მანამდე იმოქმედებს სანამ დამფუძნებელი კრებისათვის ქართველი დეპუტატები იქნება არჩეული. ხოლო ეს დროებითი საბჭო თავის უფლებებს გადასცემს იმ ახლად არჩეულ ორგანოს, რომელიც შესდგება საქართველოს ტერიტორიაზე არჩეული ქართველ დეპუტატთა რიცხვთან შეფარდებით, იმ პროპორციით, რომელიც გადაწყვეტილი იქნება დროებითი ეროვნული საბჭოს დეპუტატების მიერ".[171] იგივე დადგენილება, ეროვნული ყრილობისათვის ნ.ჟორდანიას მოხსენების გაკეთებას ავალებდა თემაზე-„თანამედროვე მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა". რაც შეეხება ეროვნული ყრილობის დღის წესრიგსა და რეგლამენტს, იგი ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 17 ნოემბრის სხდომამ დაამტკიცა, რითაც ამ ეროვნულ ფორუმთან დაკავშირებით, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ამოწურა.

1917 წლის 19 ნოემბერს, თბილისში, ოპერის თეატრში საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ინტერპარტიული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა გახსნა. ყრილობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს. სამანდატო კომისიის მონაცემებთ (მომხსენებელი შ.მიქელაძე), კომისიამ კანონიერად 329 მანდატი სცნო, ხოლო 19 დელეგატს სათათბირო ხმის უფლება მისცა. ორგანიზაციების მიხედვით ყრილობაზე დელეგატები შემდეგი სახით იყვნენ წარმოდგენილნი: ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები-67, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრი-15, ქალაქთა თვითმმართველობები-33, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო ადმინისტრაციული კომიტეტი-89, ქართული ჯარი-20, კოოპერატივები-20, პროფესიონალური კავშირი-8, მასწავლებელთა კავშირი-9, ქართული პრესა-9, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები-35, ვაჭარ-მრეწველები და ბანკირები-26, ამიერიმიერის თავადაზნაურობა-20, ქართული კოლონიები-8, საკათალიკოსო საბჭო-1, სხვადასხვა დაწესებულებანი-8, ქართველი მარმადიანები და კათოლიკეები-7, საქართველოში მცხოვრები ებრაელები-3, აფხაზები-2;[172]

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე მოხსენება „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა"—ნ.ჟორდანიამ გააკეთა. მიმდინარე მომენტის გაანალიზებიდან გამომდინარე, მან პრორუსული ორიენტაცია იმ ეტაპზე საქართველოსათვის მისაღებად მიიჩნია. „დღესაც ვრჩებით იმ ნიადაგზე,—ამბობდა ნ.ჟორდიანია—რომელზედაც წინად ვიდექით, ე. ი. რუსეთთან კავშირის ნიადაგზე."[173] როცა იგი საკითხს ამ ფორმით აყენებდა, დემოკრატიულ რუსეთთან კავშირის ფონზე საქართველოს შინაური ცხოვრების პირობების შეცვლას ითვალის-

წინებდა. იმავდროულად ბოლშევიკურ რუსეთთან ყოველგვარ ურთიერთობას გამორიცხავდა. რამდენადაც ბოლშევიკებმა სოციალიზმის განხორციელება დაისახეს მიზნად, როგორც ნ.ჟორდანია ამბობდა—„პერიფერიები მოწყდნენ ცენტრს და იძულებული არიან თავს უშველონ. უკვე მოეწყო რესპუბლიკა უკრაინისა დონის ოლქისა, მთიელებისა... ასეთი აუცილებლობის წინაშე ვდგავართ ჩვენ ამიერკავკასიელები და კერძოდ ქართველობა“.[174] ეს ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ ნ.ჟორდანია ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს რესპუბლიკის შექმნის საკითხს გამოკვეთილად აყენებდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მას უკიდურეს ფორმად მიაჩნდა. მისი აზრით, აუცილებლობას წარმოადგენდა რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენა და დამფუძნებელი კრების მოწვევა. როგორც იგი ამბობდა, საქართველო ამ ფორუმს მომზადებული უნდა შეხვედროდა და თავისი პროგრამული მოთხოვნები დაეყენებინა. კერძოდ, საქართველოს უნდა მინიჭებოდა შინაური თვითმართველობა, საჭიროებისამებრ გამოეცა კანონები, მოეწყო ნაციონალური ადმინისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში ჯარის სისტემას შემოიღებდნენ, საქართველოსაც თავისი ეროვნული ჯარი უნდა ყოლოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი მილიცია. აუცილებლობად მიიჩნევდა საქართველოში არსებული ყველა დაწესებულებების ნაციონალიზაციასა და ქართული ეროვნული საბჭოს შექმნის საჭიროებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იძლეოდა საკითხის კონკრეტიზაციას და დასძენდა: „ჩვენი თვითგამორკვევა დღესაც ისეთია, როგორიც იყო ამ ასი წლის წინათ, ამ მხრივ ჩვენ ვერ წავედით შორს, ჩვენი წინაპრებთან შედარებით“.[175] ამ შემთხვევაში ნ.ჟორდანიას გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებები ჰქონდა მხედველობაში. ხოლო მისგან „შორს ვერ წასვლა“, ეს იმას ნიშნავდა, რომ XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი დოკუმენტის ჩარჩოთი იფარგლებოდა და მის შემადგენლობაში საქართველოსათვის ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით კმაყოფილდებოდა. აკ.ჩხენკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნ.ჟორდანისეულ პროექტში ეროვნული ინტერესების დაცვა, რუსეთის ინტერესების დაცვასთან იყო შეხამებული. ასეთი პოზიცია, უსათუოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების შეუძლებლობას ემყარებოდა. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი რუსეთში ანარქიას ბოლო არ მოეღებოდა, „მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით—ამბობდა ნ.ჟორდანია—მოვიწვიოთ ადგილობრივი დამფუძნებელი კრება და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია“.[176] როგორც ვხედავთ, მოვლენების არახელსაყრელად განვითარების შემთხვევაში, ნ.ჟორდანია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და კერძოდ, ეროვნული სახელმწიფოს

შექმნის აუცილებლობას აყენებდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სოციალ-დემოკრატთა ლიდერის აღნიშნული პლატფორმის ძირითადი დებულებები ყრილობის მონაწილე პოლიტიკური პრატიების მიერ გაზიარებული იქნა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გგვაზავა იმავე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითებდა: „თუ დღევანდელი ამ-ბით ვინმე გრძნობს ბედნიერად თავს, უპირველეს ყოვლისა ჩვენი პარტი-აა. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით მთლიანობისათვის. ნ.ჟორდანიას სიტყვა გვაერთიანებს ყველას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს შორის არ არსებობს უთანხმოება, მაგრამ ამჟამად სავსებით ვუერთდებით მოხსენებას და არ გამოვდივართ სეპარატიული განცხადებით“.[177] ეს იმის დამადასტურებელ-ლია, რომ ყრილობის მონაწილე პოლიტიკური პარტიები მხარს უჭერდ-ნენ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში ტერიტორიული ავტო-ნომიის უფლებით საქართველოს მოწყობას. ამ დებულების სისწორეზე მიუთითებს ეროვნული ყრილობის, ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სა-ოქმო ჩანაწერები, რომლიდანაც ირკვევა, რომ პოლიტიკური პარტიების არც ერთ წარმომადგენელს, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არ დაუყენებია. კამათი მხოლოდ ნ.ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი რე-ზოლუციის პროექტის პირველმა და მეორე მუხლებმა გამოიწვია. „1). ქართველი ერი დღესაც ისევე, როგორც ასი წლის განმავლობაში სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე. 2). ქართველმა დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვე-ბედი მჭიდროდ დაუკავში-რა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თა-ვისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური მისწრაფებანი გა-ნახორციელოს“. როგორც ვხედავთ, აქ დემოკრატიული რუსეთის ორიენ-ტაცია გამოკვეთილადაა წარმოდგენილი. მისი ასეთი ფორმით დაფიქსი-რება პოლიტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული. ამასთან დაკავში-რებით იგივე ნ.ჟორდანია მიუთითებდა, რომ „დღეს ობიექტური პირობები გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა ისეთია, რომ ჩვენ ცხადად უნდა ვა-ღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადსაღებია, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯერი, რომელიც თუ ჩვენ სხვა გზას დავადგე-ბით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე“.[178] თუ რო-მელ ჯარზე მიუთითებდა ნ.ჟორდანია და რა საშიშროებას წარმოადგენდა იგი საქართველოსათვის, ამის შესახებ ჩვენი ნაშრომის წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი და ეხლა სიტყვას არ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხო-ლოდ ერთს, რომ ამ უზარმაზარი გაბოლშევიკებული შეიარაღებული მა-სის განრისხება საქართველოსთვის შეიძლება ტრაგედიით დამთავრებუ-ლიყო. აქედან გამომდინარე, ნ.ჟორდანია ოპონენტებს შეახსენებდა, რომ

რეზოლუციის „პირველი მუხლი პოლიტიკაა, მეორე ემპირიზმი“ ეს დებულება კიდევ უფრო გააღრმავა ვ.ჯუღელმა, რომელმაც კონკრეტულად მიუთითა: „პირველი მუხლი ჩვენ არ გვავალებს სამუდამოდ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. პირველი მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დავაშოშმინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კავკასიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ) ტაქტიკური მოსაზრებით დარჩეს მოტივაციაც“.[179] იგივე შეხედულება გამოთქვა პ.საყვარელიძემაც, რომელმაც სექციის წევრებს შეახსენა, რომ „ორიენტაციაზე იყო ლაპარაკი მოხსენებაში და ჩვენც უნდა აღვნიშნოთ ეს რეზოლუციაში... ორიენტაცია, დარჩეს, ამას მოითხოვს პოლიტიკური სიბრძნე“.[180] იმავე საკითხთან დაკავშირებით შემაჯამებელ სიტყვაში ნ.ჟორდანიამ ერთხელ კიდევ მიუთითა, რომ „მე და ჩემს პარტიულ ამხანაგებს არ გვაქვს სურვილი ვინმეს მოვახვიოთ ჩვენი აზრი. ეს მოტივაცია მარტო ჩემი არაა—ყველასია. დილემა ისაა, რომ ორი ფრონტის შუა ვართ, რუსეთისა და კავკასიის, მარტო ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებამ რა გამოიწვია ფრონტზე? ისა რომ ჯარებმა ეს ფაქტი გამოყოფად მიიღეს და განაცხადეს: თუ ასეა ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ? თქვენ დაიცავით თქვენი ფრონტიო. საჭირო შეიქნა დეპეშებითა და შიკრიკებით გაფანტვა ამ ბურუსისა“.[181] ეს ფაქტები სინამდვილეს ემყარებოდა, ამიტომ სექციის წევრებმა ნ.ჟორდანიასეულ არგუმენტაციას რეალურად ვერაფერი დაუპირისპირეს და რეზოლუციის პროექტი პირვანდელი სახით მიიღეს.

ეხებოდა რა საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ნ.ჟორდანიასეულ პროგრამას, ივ.გომართელი წერილში „ეროვნული საკითხი და რევოლუცია“ მიუთითებდა: „საქართველოს სრულუფლებიანი თვითმმართველობის საჭიროება და აუცილებლობა საჯაროდ გამოაცხადა პარტიის ბელადმა ნოე ჟორდანიამ ნოემბერში ქართველი ერის ეროვნულ ყრილობაზე... ეროვნულ საკითხში მან სძლია საკუთარი თავი და გამოაცხადა ქართველი ერის ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა საკანონმდებლო უფლებებით, რასაც ის სრულებით უარყოფთა; პოლიტიკურ საკითხში მან დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგენი, როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით“.[182] ყოველივე ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას სიღრმისეულად ფლობდნენ, მოვლენების გლობალურად გაანალიზების საფუძველზე მოქმედებდნენ, ყოველგვარ მოსალოდნელ საშიშროებას მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ, უკან დასახევ გზას იტოვებდნენ და თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობას დიპლომატიურ მანევრირებაზე აგებდნენ. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის 1917 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს ეროვნული

საბჭო იქნა არჩეული, ხოლო ეროვნული საბჭოს 26 მაისის სხდომაზე, 15 კაციანი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი—ნ.ჟორდანიას, აკ.ჩხენკელის, ნ.რამიშვილის, ს.ჯიბლაძის, ალ.ლომთათიძის, მ.ბაბაშიძის, პ.საყვარელიძის, გ.რცხილაძის, ი.გედევანიშვილის, კ.მესხის, ვ.გობეჩიას, გ.გვაზავას, გ.ვეშაპელის შემადგენლობით.[183] აღნიშნული კომიტეტის 28 ნოემბრის სხდომამ 6 კაციანი პრეზიდიუმი აირჩია, რომელიც იმავ-დროულად ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმადაც ითვლებოდა. ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ნ.ჟორდანია აირჩიეს, ხოლო მის ამხანაგებად—აკ.ჩხენკელი, გ.რცხილაძე, გ.ვეშაპელი, მდივნად—პ.საყვარელიძე, ხაზინადარად—კ.მესხი.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ, რომლის მესაჭენი ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ეროვნული საბჭოს არჩევით საქართველოს ეროვნული მთავრობის ჩანასახი შექმნა და მისი დამოუკიდებლობისათვის მტკიცე საფუძველი შეამზადა. მართალია, ამ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობისა და პროგრესული ორიენტაციისადმი ზურგშექცევის საკითხი ოფიციალურად არ დასმულა, მაგრამ ერთგვარი სასინჯი ნაბიჯი ქართველმა პოლიტიკოსებმა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე გადადგეს. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ სხდომას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის საელჩოების დიპლომატიური წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს მხრიდან კი ნ.ჟორდანია, აკ.ჩხენკელი, კ.მესხი, ვლ.გობეჩია. გ.ვეშაპელი, ნ.რამიშვილი, ალ.ფარნიაშვილი, გ.ლასხიშვილი, ე.გეგეჭკორი და დ.ნახუცრიშვილი. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, ანტანტის სახელმწიფოების დიპლომატებმა ჯარში დისციპლინის მოშლასთან დაკავშირებით ქართველთა მისამართით საყვედური გამოთქვეს და ფრონტის ხაზის დაცვა ქართულ-სომხური შენაერთებით მოითხოვეს. იმავდროულად იარაღით დახმარების უზრუნველყოფაზე სასტიკი უარი განაცხადეს. რაც შეეხება საქართველოსადმი მათ პოზიციას, იგი შემდეგნაირად დააფიქსირეს: „ჩვენ ვცნობთ ერთ მთლიან რუსეთს და მის დროებით მთავრობას, ცალკე ერებს კი, როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი. ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვიცანით მთავრობათ და ურთიერთობაც გვქონდა მასთან. ამიერკავკასია უნდა შეუერთდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა და ციმბირიც, ...რუსეთი აღსდგება როგორც ფედერაციული ერთეული“.[184]

აღნიშნული დოკუმენტი იმის დამადასტურებელია, რომ იმ ეტაპზე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ძირითად ამოცანას დემოკრატიული

რუსეთის აღდგენა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ისინი არ ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე შექმნილ „წვრილ სახელმწიფოთა“ პოლიტიკურ წარმონაქმნებს და ამიერკავკასიას რუსეთის სივრცის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო მათი პროგრამის საწინააღმდეგო ზღურბლს გადააბიჯებდა და დამოუკიდებლობის გზას აირჩევდა, ევროპის სახელმწიფოებისაგან არავითარი დახმარების იმედი არ უნდა ქონოდა. ამას ქართველი პოლიტიკოსები კარგად გრძნობდნენ, ამიტომ იმ ეტაპზე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დასმას ოფიციალურად თავს არიდებდნენ. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ 1917 წლიდან 1918 წლის იანვრამდე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არ დაუყენებია.

ქართველი სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში თურქეთთან ურთიერთობის გარკვევისას აღმოჩნდნენ. მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის მთავრობისადმი ოსმალეთის მთავარსარდლის მიერ ოფიციალურად გაგზავნილი დეპეშის ტექსტი, რომელშიც თბილისში მოლაპარაკების გამართვისა და ორთავე მხარეს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ იყო მითითებული. ეს დოკუმენტი ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ე.გეგეჭკორმა, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 2 იანვრის სხდომას გააცნო და ოსმალეთის მთავრობისადმი საპასუხო დეპეშის ტექსტის შედგენის საკითხი დააყენა.[185] ამ შემთხვევაში ქართველმა სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ნ.ჟორდანიამ გაბედული ნაბიჯის გადადგმას თავი აარიდა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უკრაინის, მთიელების, დონის და სხვა მთავრობებთან მოლაპარაკების შედეგს დაუკავშირა, აქედან გამომდინარე, ე.გეგეჭკორის აზრით ოსმალეთისათვის ისეთი პასუხი უნდა მიეცათ „რომ გზა არ უნდა ყოფილიყო მოჭრილი, თუ ზავზე მოლაპარაკება გახდებოდა საჭირო“.[186] სავსებით სწორი იყო გ.გვაზავა, ამიერკავკასიის მთავრობის—ოსმალეთთან პირდაპირი მოლაპარაკების საკითხი რომ დააყენა. ამ წინადადებას ა.ჩხენკელიც მიემხრო და სხდომის მონაწილეებს შეახსენა, რომ ოსმალეთი კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობისაგან ითხოვდა გადაჭრილ პასუხს, ხოლო „რაც შეეხება უკრაინას, ის უგერმანიოდ არ შეკრავს ზავს, ჩვენ კი მათ რომ ვუყურით დავიღუპებით“.[187] მისივე წინადადებით, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა მხოლოდ მახლობელი სახელმწიფოების მთავრობები თბილისში 15 იანვრისათვის მოეწვიათ და კონკრეტული გადაწყვეტილებაც მაშინ მიეღოთ. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იმავე სხდომაზე, ოსმალეთის ხელისუფლებისადმი საპასუხო დოკუმენტს შემდეგი ფორმულირება გაუ-

�es: „მეზობელ მთავრობებს მოველაპარაკებით და 20 იანვრისათვის მოგცემთ პასუხს“.[188] ასეთი გადაწყვეტილების მიღება დიდ შეცდომას წარმოადგენდა, რადგან კონკრეტული პასუხის გაუცემლობის გამო, თურქეთის სარდლობას საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყების რეალური საბაბი მიეცა. 1918 წლის 16 იანვარს, თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობას ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებაზე მიწვევა გაუგზავნა. ასეთივე წინადადებით მიმართა გერმანიამაც. აღნიშნული ფაქტი გაზეთმა „ერთობამ“ გერმანიის მოკავშირესა და რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოს შექმნის მცდელობით ახსნა. ამასთან დაკავშირებით იგივე გაზეთი მოწინავე წერილში „გერმანიის ზავის წინადადება“ მიუთითებდა: „გერმანიის მთავრობას სერიოზულად განუსრახავს ამიერკავკასიაც ბუფერად გახადოს და ამ ნიადაგზე უკვე მუშაობაც დაუწყია. სწორედ ასეთი მოსაზრებით იგი ამიერკავკასიის კომისარიატს ბრესტისაკენ მოუწოდებს და ამიერკავკასიის ხალხისათვის დამოუკიდებელი ზავის პირობის შემუშავებას თხოულობს. დიპლომატიური მოლაპარაკების საშუალებით ცდილობს თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების აღმოსავლეთისაკენ განმტკიცებას და შესაძლებელია, კავკასიის ბუფერად გამოცხადებაც მოისურვოს. აი ის მთავარი მოტივები რომლის გულისთვისაც გერმანელები ამიერკავკასიის კომისარიატს ბრესტისაკენ მოუწოდებს“.[189]

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკში წარმომადგენლის გაგზავნაზე უარი განაცხადა. ისმება საკითხი, თუ რამდენად სამართლებრივი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. მისი ობიექტური შეფასების მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს გათვალისწინებული იქნას შემდეგი საკითხები: 1). როცა ამიერკავკასიის მთავრობას ბრესტში მიწვევას უგზავნიდნენ, თურქეთსა და გერმანიასაც მისატაცებელი ტერიტორიების კონტურები ზოგადად მოხაზული ქონდათ. მათ მიზანს მხოლოდ „კუთვნილების სამართლებრივად“ დადასტურება წარმოადგენდა. ასეთი სიტუაციის ფონზე, ამიერკავკასიის წარმომადგენლობისადმი რომელიმე სახელმწიფოს თანადგომის გარანტიები აუცილებლობას საჭიროებდა, იგი მისთვის წინასწარვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. 2). რუსეთი ამიერკავკასიას პარტნიორობას ვერ გაუწევდა, რადგან მის ძირითად ამოცანას ახლადშექმნილი ბოლშევიკური სახელმწიფოს გადარჩენა წარმოადგენდა, რის გამოც ნებისიერ დათომბაზე მიდიოდა. ხოლო თურქეთი, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო, თავს გამარჯვებულად თვლიდა და ბუნებრივია, საპრეტენზიოდ ქცეული ტერიტორიების მისატაცებლად ამ უპირატესობას მაქსიმალურად გამოიყენებდა. ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში ლუდენ დორფი წერდა: „ჩვენ-

თვის (ოსმალთა) სურვილები უმნიშვნელო იყო. მათი განხორციელება შეეფერებოდა ჩვენ სამოკავშირეო ურთიერთობასაც“.[190] ყოველივე აღნიშნულის გათვალიწინებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის წარმომადგენლები ბრესტში კოზაკის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, რადგან უკომპრომისო ბრძოლა უძლიერეს სახელმწიფოთა შორის ტერიტორიების გადასანაწილებლად მიმდინარეობდა. ასეთ პირობებში ამიერკავკასიის წარმომადგენლობას მხოლოდ „დამადასტურებლის უფლებებს“ უტოვებდნენ. 3). ამიერკავკასიის წარმომადგენლობის მიერ ბრესტის ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლობა მისი არა მარტო გაპროტესტების, ან თურქეთისგან სადაოდ ქცეული ტერიტორიების იარაღის გამოყენებით დაცვის შესაძლებლობას იძლეოდა, არამედ, მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე მისი გადასინჯვის დაყენების რეალურ საფუძველს ქმნიდა. თურქეთის მიერ ბრესტში საზავო მოლაპარაკების დროს წამოყენებული პრეტენზიის შესახებ (1918 წლის 9 თებერვალი) ბოლშევიკურმა რუსეთმა საქმის კურსში ამიერკავკასიის მთავრობაც ჩააყენა. სწორედ ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ნ.ჟორდანიას, როცა ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე განაცხადა „ისეთ ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვპირდებიან, ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. ჩვენთვის უმჯობესია მაშინ დავიხოცნეთ, ვიდრე მივეცეთ ჩვენი თავი სამუდამო წყევლაკრულვას შთამომავლობისას“.[191] სოციალ-დემოკრატთა ლიდერის ეს განცხადება ბევრის მთქმელია. იგი დამადასტურებელია, თუ რამდენად ღრმად ქონდა გააზრებული ისტორიული ტერიტორიების დაცვის აუცილებლობა, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკურ მოღვაწეს მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებელს ხდიდა თავისი ნამოქმედარით. ჩვენი აზრით, ამ საკითხთან მიმართებაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველა ნიუანსისა და არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინების ფონზე მოხდა. საბჭოთა რუსეთის მიერ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატიული საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მიხედვით, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს ერთი შეხედვით დაკავრგვის საფრთხე არ ემუქრებოდა, რადგან თურქეთისადმი გადაცემის საკითხი, მასში ოფიციალურად დასმული არ იყო. აღნიშნულ დოკუმენტში გასაგებათაა ნათქვამი, რომ „რუსეთი შეასრულებს ყოველივეს რაც მასზეა დამოკიდებული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ანატოლიის აღმოსავლეთი პროვინციების სასწრაფოდ გაწმენდა და ოსმალეთისათვის კანონიერის გზით დაბრუნება. არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი არ ჩა-

ერევა ამ ოლქების სახელმწიფო საერთაშორისო უფლებრივ დამოკიდებულებაში, არამედ ანდობს ახალი წყობილების დამყარებას თვით მცხოვრებლებს, რომელნიც ახალ წყობილებას დაამყარებენ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით".[192] როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ ანატოლიის აღმოსავლეთი პროვინციების თურქეთისადმი დაბრუნებაზეა საუბარი. რაც შეეხება ყარსის, ანტაანისა და ბათუმის ოლქებს, მისი ბედი ადგილობრივ მოსახლეობას ოსმალეთთან შეთანხმებით რეფერენდუმით უნდა განესაზღვრა. მაგრამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში არაფერი იყო ნათქვამი, რომელი ნეიტრალური სახელმწიფო აიღებდა თავის თავზე რეფერენდუმის ჩატარების სამართლებრივი ნორმების დაცვას. ოსმალეთის ხელისუფლებას ეს ფაქტორი თვითნებური მოქმედებისა და მისი სურვილისამებრ საკითხის გადაწყვეტის რეალურ შესაძლებლობას აძლევდა. ეს იყო ის ძირითადი უფლებები, რომელიც თურქეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტის მიხედვით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიიღო. მაგრამ არსებობდა ხელშეკრულების არაოფიციალური დამატებითი მუხლები, რომლებიც საკითხს სულ სხვაგვარად წყვეტდა და იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური მოღვაწეთათვის ხელმიუწვდომელი იყო. მხედველობაში გვაქვს ხელშეკრულების დამატებითი ნაწილის მეორე პარაგრაფი, რომელმაც რუსეთ-ოსმალეთის საზღვრების აღდგენა 1877-1878 წლების ომამდე მდგომარეობაში დაადასტურა. ამის შესახებ იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „მხარეები ამ შეთანხმების რატიფიკაციიდან სამი თვის განმავლობაში შექმნიან რუსულ-თურქულ ორ კომისიას. პირველი კომისიის ამოცანაა აღადგინოს რუსეთისა და თურქეთის სასაზღვრო ხაზი, სადაც ერთდება—რუსეთის, თურქეთის და სპარსეთის სამი საზღვარი იქამდე, სადაც სასაზღვრო ხაზი მოდის სამი სანჯაყის: ყარსის, არდაგანისა და ბათუმის საზღვრამდე. ამ ზოლში კომისია იხელმძღვანელებს სასაზღვრო ხაზით, რომელიც ომამადე არსებობდა. საომარი მოქმედების დროს მოშლილი სასაზღვრო ნიშნები აღდგება და გასწორდება 1880 წელს შედგენილი სადემარკაციო რუკებისა და ოქმების მიხედვით. მეორე კომისია დაადგენს რუსეთის საზღვარს და სამი სანჯაყის საზღვრებს, რომელთა შემაკუაცია უნდა მოახდინოს რუსეთმა კოლექტური თანხმობის მეოთხე მუხლის მიხედვით. საზღვარი იქ აღდგენილი იქნება იმ სახით, როგორც არსებობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე".[193]

ჩვენს მიერ მოტანილი დოკუმენტის მიხედვით, თავისი პრეტენზიები თურქეთმა ფაქტობრივად „სამართლებრივი ძალით" დაიკმაყოფილა. საკითხი მხოლოდ მის პრაქტიკულად განხორციელებას ეხებოდა. ისტორი-

კოსთა ის ნაწილი (ბგუბელიძე, შ.ჯაფარიძე და სხვები), რომლებიც ფიქრობენ; ამიერკავკასიის მთავრობისაგან ბრესტის საზავო ხელშეკრულების არცნობა თითქოს ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების დაკარგვის საფუძველი გამხდარიყო—ჭეშმარიტებას მოკლებულია. ჩვენს მიერ ხელშეკრულების დამატებითი ნაწილიდან მოტანილი ამონაწერით აშკარად დასტურდება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ოლქები თურქეთის კუთვნილებადაა გამოცხადებული, ხოლო მისი ცნობა-არცნობის საკითხი მხოლოდ ფორმალური მხარე იყო. ორივე შემთხვევაში თურქეთი ნადავლის „კანონიერი მფლობელი" გამოდიოდა.

ბრესტის საზავო ხელშეკრულებით აღნიშნული ტერიტორიების თურქეთისადმი მიკუთვნებას, ამიერკავკასიის მთავრობისადმი 1918 წლის 3 მაისს გაგზავნილ დეპეშაში—ვეჰიბ-ფაშა საგანგებოდ უსვამდა ხაზს. „ის ტერიტორია—ვკითხულობთ დოკუმენტში—რომლებიც თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ოზურგეთის რაიონში და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების საზღვარს აქეთა მხარეს მდებარეობს, დაცლილი იქნება და დაუბრუნდება ამიერკავკასიის მთავრობას".[194] აქ გარკვევითაა მითითებული, რომ თურქეთი მხოლოდ იმ დაპყრობილ ტერიტორიებს დათმობდა, რომლებიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების საზღვრებს სცილდებოდა. ე.ი. ბრესტის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩარჩოთი შემოიფარგლებოდა. ამ შემთხვევაში ვერავითარი დიპლომატია შედეგს ვერ გამოიღებდა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ძალის დაპირისპირებაში მდგომარეობდა, რომელიც მაშინდელი ამიერკავკასიის მთავრობას სამწუხაროდ არ აღმოჩნდა.

1918 წლის 10 მარტს, თურქეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიის მთავრობას ბრესტის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება მოსთხოვა. აღნიშნული საკითხი ამიერკავკასიის სეიმის 11 მარტის სხდომამ განიხილა, თურქეთის პრეტენზიები ერთხმად უარყო და იმედი დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე დაამყარა. მაშინდელი პოლიტიკური ელიტის მთელი ყურადღება ტრაპიზონის კონფერენციისადმი (გაიხსნა 1918 წლის 14 მარტს) იყო მიმართული. აკაკი ჩხენკელის მცდელობა (იგი ამიერკავკასიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა) ყარსის, ანტაანისა და ბათუმის ოლქების შენარჩუნების შესახებ, ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე უშედეგოდ დამთავრდა. ეს საკმაოდ ლოგიკური დასასრული იყო და აქ რაიმე წარმატებაზე საუბარი სათაევში იყო გამორიცხული, რადგან იგი თურქეთის კომპრომისზე წასვლისა და ბრესტის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. რამდენადაც ამიერკავკასიის დელეგაციამ თურქე-

თის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, ამ უკანასკნელმა 5 აპრილიდან საომარი მოქმედება განაახლა, რომელმაც 13 აპრილისათვის შეტევითი ხასიათი მიიღო. 1918 წლის 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. მოწინააღმდეგის შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე მოხერხდა.[195]

1918 წლის 11 მაისს ამიერკავკასია—თურქეთის საზღვაო კონფერენციის მუშაობა ბათუმში განახლდა. თურქეთის ხელისუფალთა ახალმა მოთხოვნებმა, რომელიც ბრესტის ზავის პირობებს სცილდებოდა, არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის რეალურ საშუალებად, ქართველმა პოლიტიკოსებმა მფარველი სახელმწიფოს ძიებისა და მისი დახმარების აუცილებლობის საკითხი დააყენეს. ეს გონივრული ნაბიჯი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 14 მაისს გადადგა. მან ოფიციალური თხოვნით მიმართა გერმანიის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარეს გენ. ფონ-ლოსოვს, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად საქართველოსათვის დახმარება აღმოეჩინა. გერმანიის ჯარები ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს საზღვრებს მოახლოებოდნენ მოსალოდნელი საფრთხისაგან დაცვის მიზნით. საქართველოში გერმანელი სამხედრო ტყვეები დაეტოვებინათ რათა „შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“ საქართველოს მთავრობას მისი გამოყენების შესაძლებლობა ქონდა.[196]

რამდენადაც გერმანია კავკასიურ პოლიტიკაში აქტიურ ჩართვასა და გავლენის სფეროების გაძლიერებას ცდილობდა, დასახული მიზნის განხორციელებაში საქართველო მისთვის ერთადერთ რეალურ დასაყრდენ ძალას წარმოაბდგენდა. აღნიშნული ფაქტორის საქართველოს მხრიდან არ გამოყენება დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. ქართველებმა სოციალ-დემოკრატებმა ამ მიმართულებით გაბედული ნაბიჯი გადადგეს. იგი ქართველი ერის გადარჩენისა და არსებული მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის მცდელობას წარმოადგენდა. ამიტომ, ნებისმიერი შეცდომა, რომელიც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო მოსალოდნელი, შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო. რამდენადაც გერმანიისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, აუცილებლობა პოლიტიკური კურსის ამ მიმართულებით წარმართვას მოითხოვდა. იმავდროულად მოწინააღმდეგეებისა და ხელის შემშლელთა მიმართ შესაბამისი ღონისძიების გატარებას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, ყოველი გადაწყვეტილების მიღება არსებული სიტუაციის სიღრმისეულ გააზრებას უნდა დამყარებოდა. სწორედ ეს გარემოება ქონდა მხედველობაში აკაკი ჩხენკელს, როცა ბათუმიდან 15 მაისს გამოგზავნილ წერილში მიუთითებდა:

„ლანძღვა-გინება გერმანიისა, როცა მისი წარმომადგენელნი აქ ხელს გვიწყობენ, ვერაგობაა, სხვა არაფერი. „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე (ილაპარაკონ შ.ვ.), რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავისი იმპერიალისტური მადის დასაკმაყოფილებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზი თვალებისათვის. ოსმალებსაც ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყრან პრესაში. მე ვიცი, ეს რუსი ამხანაგები პირველად გაიქცევიან და ჩვენ კი, მთელ ჩვენ ერს ვუპსობთ სიცოცხლეს.“[197] იგივე აკაკი ჩხენკელი ნ.რამიშვილისადმი 12 მაისს გაგზავნილ წერილში განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პოლიტიკური კურსის სწორად წარმართვას ანიჭებდა. შეუწყნარებლად მიიჩნევდა ზიგზაგური პოლიტიკის შენარჩუნებას. აყენებდა საკითხს მისი დაუყოვნებლივი შეცვლის, გაბედული მოქმედებისა და ისეთი რეალური გზის გამოძებნის შესახებ, რომელიც საქართველოს, ოსმალეთთან ომის გაგრძელებას ააცილებდა. „ოსმალეთთან ომი-წერდა აკ.ჩხენკელი-ჩვენთვის ამ პირობებში პირდაპირ სიგიჟეს მოასწავებს. ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით, სხვა არაფერი, ჩასაქოლნი“.[198] ეს ამონაწერი აშკარად ადასტურებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ ლიდერს—აკ.ჩხენკელს ერისა და ქვეყნის წინაშე გააჩნდა. ამ შემთხვევაში იგი საქართველოს ინტერესებიდან მოქმედებდა და მის გადასარჩენად შესაძლებლობის მაქსიმუმს იღებდა. „მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით—როგორც გერმანიასთან, ისე თურქებთან—წერდა აკ.ჩხენკელი 1918 წლის 15 მაისს ნ.რამიშვილისადმი გაგზავნილ წერილში—რომ ვეცადო საქართველო მაინც გამოვიყვანო ცეცხლის ალიდან“.[199] დასახული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობად, მას საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადება მიაჩნდა, და ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში გადამწყვეტ როლს სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს ანიჭებდა. „საქართველოს დამოუკიდებლობა—აი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას ...თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაილუპება... საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ, პარტია ეროვნული გრძნობით გამსჭვალული შეძლებს ერის ხსნას“.[200] როგორც ვხედავთ, აქ კატეგორიულადაა დასმული საკითხი პარტიის ინტერესებთან მიმართებაში ეროვნული სახელმწიფოს პრიმატის აუცილებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში აკ.ჩხენკელი ერის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და მის ამოსავალ საფუძველს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებული ისტორიული მისიის აღსრულების აუცილებლობა განსაზღვრავდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას საქართველოს ეროვნული

საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტისადმი 22 მაისს გაგზავნილი წერილი წარმოადგენს. ამ წერილში აკ.ჩხენკელი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მოწყობის ძირითად სქემას იძლევა. იგი მთელი პრინციპულობით აყენებდა საკითხს: 1). მოსალოდნელი გართულებების აცილების მიზნით საქართველოს დამოუკიდებლობა საზღვრების აღუნიშვნელად გამოეცხადებინათ, 2). დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრთა კაბინეტი კოალიციურ საწყისებზე შეექმნათ და საქმის მცოდნე პირებისგან დაეკომპლექტებინათ. 3). გაუქმებულიყო „პრიზრენიის" პორტფელი და მისი ფუნქციები შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაეცათ 4). შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროების გაერთიანება საფუძვლად დადებოდა განსაკუთრებული დეპარტამენტის შექმნას 5). მიმოსვლის ყველა სახეობა რკინიგზის სამინისტროსათვის დაექვემდებარებინათ. 6). სასულიერო საქმე განათლების სამინისტროსათვის. 7). ფოსტა-ტელეგრაფი შინაშან საქმეთა სამინისტროსათვის. 8). რაც შეეხება სახელმწიფო კონტროლს, რამდენადაც იგი სამინისტროს წევრი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა. 9). პარლამენტის მაგივრობა ეროვნულ საბჭოს შეესრულებინა, რომლის წინაშედაც პასუხისმგებელი მთავრობა იქნებოდა.[201] დასახული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ პირობად აკ.ჩხენკელი შიშის პოლიტიკის უარყოფასთან ერთად, ეროვნული საბჭოს გაბედულ მოქმედებასა და ყველა სასიცოცხლო ძალების კონცენტრირებას აუცილებლობად მიიჩნევდა, რათა ერს არ მოკლებოდა „თუ გინდ ერთი მუჭა ხალიხის წვლილიც".

ქართული სახელმწიფოს აღდგენასთან შიმართებაში აკ.ჩხენკელის აღნიშნული პოზიცია გამოკვეთილად და მთელი პრინციპულობითაა დასმული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი 23 მაისს გაგზავნილ წერილში. პირველი ნაბიჯი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს მთავრობას უნდა გადაედგა, ეს იყო გერმანიისადმი მფარველობის თხოვნა და გრაფი შულენბურგისათვის შესაბამისი დადგენილების გადაცემა. აკ.ჩხენკელი დარწმუნებული იყო რომ გრაფი შულენბურგი გერმანიის იმპერატორის წარმომადგენლის ფუნქციებს იკისრებდა საქართველოში. გერმანელი სამხედრო ტყვეებიდან შემდგარი რაზმით თურქეთს წინ აღუდგებოდა და მათ აგრესიას გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნის წინააღმდეგ შეაჩერებდა. ყოველივე ამის პრაქტიკულად განსახორციელებლად საქართველოს დამოუკიდებლად დაუყოვნებლივ გამოცხადება მიაჩნდა. „კიდევ ვიმეორებ—წერდა აღნიშნული წერილის დასასრულს აკ.ჩხენკელი—ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია, ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭავია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს. ბოლშევიზმი

სამშობლოს ღალატია-ესაა ერთ-ერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუწყნარებელია. საჭიროა შრომის განაწილება. ლაპარაკი და რეზოლუციები დამლუპველია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია, შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას. ვისურვებ შეასრულოთ მძიმე ვალდებულება ქვეყნის წინაშე".[202] ჩვენს მიერ მოტანილი ეს მასალები იმის მაჩვენებელია, თუ რა სიზუსტით განსაზღვრავდა აკ.ჩხენკელი კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის შესაძლებელ გზებსა და მისაღები გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას. იმავდროულად ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც მხურვალე პატრიოტი, დიდი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი დიპლომატიური ლაბირინთების საიდუმლოებაში.

გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ აკ.ჩხენკელის აღნიშნულმა წერილმა განსაკუთრებული დადებითი ზემოქმედება მოახდინა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დასაჩქარების მიზნით ეროვნული საბჭოს წევრებზე ერთიანი თვალსაზრისის შესამუშავებლად. არსებული პოლიტიკური სიტუაცია, ამ საკითხთან დაკავშირებით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პოზიციის გარკვევასაც საჭიროებდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე—ბათუმში საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, ნ.ჟორდანიამ სპეციალური მოხსენება გააკეთა. იგი დაწვრილებით შეეხო ამიერკავკასია—თურქეთის ზავთან დაკავშირებით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ყურადღება სამ ძირითად მომენტზე გაამახვილა. 1). ზავის დადება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, 2). თურქეთისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მინიჭებული ტერიტორიის გაფართოება, 3). მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა. აღნიშნულ საკითხთა გლობალურად გაანალიზების საფუძველზე ნ.ჟორდანიამ მხარი დაუჭირა აკ.ჩხენკელის პოზიციას და ძირითადი აქცენტი ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს უპერსპექტივობაზე გადაიტანა. აქედან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობა გარდუვალობად გამოაცხადა.[203] ეს საკითხი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომის მსჯელობის საგანი გახდა. მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს დამოუკიდებლობა 26 მაისს უნდა გამოცხადებინათ. იმავე სხდომაზე ნ.ჟორდანიამ მოითხოვა წინასწარვე გაერკვიათ; 1). დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რა კანონები იმოქმედებდა საქართველოში. 2). როგორი იქნებოდა საფინანსო სისტემა. 3). რკინიგზა 4). როგორ მოეხდინათ ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია და 5). მთავრობის ორგანიზაცია. ამ საკითხებთან დაკავშირებით იმავე სხდომამ შემდეგი სახის დადგენილება მიიღო. 1). დამოუკიდებელ საქართველოში დრო-

ებით ძალაში რჩებოდა ძველი კანონები და ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული დადგენილებები, 2). საკუთარი ფინანსური სისტემის შემუშავებამდე ფულის ბეჭდვის ძველი წესი დროებით უნდა გაგრძელებულიყო, სომხებსა და თათრებს საქართველოს საფინანსო სისტემაში თავიანთი წარმომადგენლები მანამ ეყოლებოდათ, სანამ ფულის ძველი სისტემა ძალაში იქნებოდა. 3). რკინიგზის სამმართველო საქართველოს დაქვემდებარებაში რჩებოდა, ხოლო სომხეთთან და აზერბაიჯანთან წარმოქმნილი საფაო საკითხები შეთანხმებით გადაწყდებოდა, 4). საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უქმდებოდა, რომლის ნაცვლად საბჭო პრეზიდიუმს ირჩევდა. ახლადარჩეულ სამანდატო კომისიას საბჭოს რეორგანიზაციის განხილვის, წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვის ფუნქციები ეკისრებოდა, 5). უნდა შექმნილიყო მხოლოდ რვა სამინისტრო, საკონტროლო ორგანო კი ცალკე დარჩენილიყო.[204] საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტის განხილვის შემდეგ, მასში სათანადო შესწორებების შეტანა იმავე სხდომამ ნ.ჟორდანიას დაავალა.

დასახული მიზნის განსახორციელებლად ფაქტობრივად ყველა პირობა იყო შემზადებული, მაგრამ რჩებოდა ფორმალური მხარე, კერძოდ, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და მისი სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივად დაკანონების აუცილებლობა. ამ მანიპულაციის ჩატარებას ის არსებითი მნიშვნელობა ქონდა, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში სომეხთა და აზერბაიჯანელთა პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირების შესაძლებლობას ქმნიდა. მეორე მხრივ, ამ ნაბიჯის გადადგმით, საქართველოს დამოუკიდებლობას სამართლებრივი სახე ეძლეოდა. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა და თვითონაც ფუნქციონირება შეწყვიტა. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის სხდომამ, რომელმაც მუშაობა 4 საათსა და 50 წუთზე დაიწყო, მისმა თავმჯდომარემ ნ.ჟორდანიამ განაცხადა: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა იმავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს... საქართველოს ახალი სახალმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღვანდელი ისტორიული ქარტეხილებისაგან დაიფაროს თავისი თავი და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც ვინც ჩვენ ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში".[205] იმავდროულად ნ.ჟორდანია საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის უფლებამოსილების საკითხსაც შეეხო და დასძინა: „ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლებამოსილნი, როგორიც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლე-

სობა—ქართველობა".[206] ამით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის შეუზღუდავი უფლებების სრულ გარანტიას იძლეოდა, რითაც იგი დამოუკიდებელი საქართველოსადმი მათი დაპირიპირებისა და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების განმუხტვის მყარ ნიადაგს ქმნიდა.

ეროვნული საბჭოს იმავე სხდომამ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი დაამტკიცა, რომელმაც ახლადშექმნილი სახელმწიფოს არა მარტო დამოუკიდებლობის აღიარება დააფიქსირა, არამედ მისი პოლიტიკური ფორმაც განსაზღვრა. 1). ამიერიდან—ვკითხულობთ დოკუმენტში—საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელი და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2). დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა... 3). დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".[207] იმავე სხდომამ აირჩია საქართველოს მთავრობა: ნოე რამიშვილი—მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, აკაკი ჩხენკელი—საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე—სამხედრო მინისტრი, გიორგი ურული—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი—განათლების მინისტრი, ნოე ხომერიკი—მიწადმოქმედებისა და შრომის მინისტრი, შალვა მესხიშვილი—იუსტიციის მინისტრი, ივანე ლორფქიფანიძე—გზათა მინისტრი.[208]ეს იყო საქართველოს პირველი ეროვნული მთავრობა, რომელსაც განგებამ ახლად შექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის მძიმე ტვირთის ტარება დააკისრა.

ამრიგად, 1). რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებამ, ქართული სოციალ-დემოკრატიის წინაშე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი მთელი პრინციპულობით დააყენა. იგი ძირითადად დემოკრატიული რუსეთის სივრცეში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის უფლებებს ითვალისწინებდა და მისი საბოლოოდ გადაწყვეტას დაფუძნებულ კრებას უკავშირებდა. ამ მხრივ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული პროგრამა დროის მოთხოვნებს შეესატყვისებოდა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან ყოველგვარი ზეწოლის მოსალოდნელ შესაძლებლობებს გამორიცხავდა ასეთი დიპლომატიური მანევრირებით, ქართული სოციალ-დემოკრატიერის საბოლოო თვითგამორკვევის ლოგიკურ დასკვნამდე მისაყვანად მტკიცე საფუძველს ქმნიდა. 2). ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისი საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნასთანაა (1917 წლის 25 აგვისტო) დაკავშირებული. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის მრავალ-

მხრივი მუშაობის შემდეგ, სადაც ფლაგმანის როლს სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ, შესაძლებელი გახდა საპარტიათაშორისო კონსესუსის მიღწევა და ერთიანი პლატფორმის შემუშავება. 3). საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის (1917 წლის 19-23 ნოემბერი) მიერ მიღებული რეზოლუციები და ეროვნული საბჭოს არჩევის ფაქტი, პოლიტიკური პარტიების ურთიერგაგებაზე დამყარებული ძალისხმევის, პოლიტიკური ელიტის დაქსაქსულობისა და ურთიერთდაპირისპირების რთული ბარიერის დაძლევის შედეგს წარმოადგენდა, რომლითაც ეროვნული სახელმწიფოსა და მისი მთავრობის ჩანასახის შექმნას მტკიცე საფუძველი მოუმზადეს. 4). რუსეთში მომხდარმა პოლიტიკურმა გადატრიალებამ და ბრესტის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებამ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა. კავკასიურ პოლიტიკაში გერმანიის აქტიურმა ჩართვამ და საქართველოსადმი მისმა განსაკუთრებულმა ინტერესმა, თურქეთის აგრესიისაგან საქართველო არა მარტო გადაარჩინა, არამედ მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებაც დააჩქარა. გერმანიას დამოუკიდებელი საქართველო კავკასიური პოლიტიკისათვის სჭირდებოდა, ხოლო ქართველ ხალხს, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საფუძვლად. აქედან გამომდინარე, 1918 წლის 26 მაისის აქტში, საქართველოსა და გერმანიის ხელისუფალთა ერთობლივი ინტერესი იყო ჩადებული, რომელიც 117 წლოვანი ისტორიის შემდეგ, ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საფუძველი გახდა.

თავი II

ქართული სოციალ-დემოკრატია და პარტიის ორგანიზაციული საკითხები

§ I სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეორგანიზაციის საკითხი და ქართული სინამდვილე

საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა და სოციალ-დემოკრატიის მმართველ პარტიად გასვლამ, მის ლიდერებს განსაკუთრებული საპასუხისმგებლო მისიის შესრულება დააკისრა. არსებული პრობლემებისადმი შეჭიდების შემთხვევაში, დასახული მიზნის წარმატებით გადაწყვეტას, ერის მხარდაჭერის დონე განსაზღვრავდა. მართალია, ქართულ სოციალ-დემოკრატიას საქართველოს მოსახლეობის თანადგომა

არ აკლდა, მაგრამ მისი დაკარგვის საფრთხე აშკარად იქმნებოდა. მხედველობაში გვაქვს მმართველი პარტიის არაქართული სახელწოდება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის სახელით ქვეყნის მართვა კურიოზულ ფაქტს წარმოადგენდა. მითუმეტეს, მისი პრაქტიკული საქმიანობის სფერო, საქართველოს საზღვრებს არ სცილდებოდა. ამ შეუსაბამობას ქართველი სოციალ-დემოკრატები კარგად ხედავდნენ და პარტიის სახელწოდების დაუყოვნებლივ შეცვლის საკითხს აყენებდნენ, ამის შესახებ გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „მომავალი პარტიული ყრილობის გამო" ვკითხულობთ: „როდესაც მთლიანი რუსეთი საბოლოოდ დაირღვა და მის ნანგრევებზე წარმოიშვნენ.. დამოუკიდებელი რესპუბლიკები აქედან გამომდინარეობს პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხიც. საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, მაშასადამე ჩვენს პარტიას არ შეიძლება ეწოდოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია."[1] აქ გარკვევითაა ნათქვამი იმ მიზეზობრიობის შესახებ, რამაც პარტიის სარუსეთო სახელწოდების უარყოფა და ეროვნულის აუცილებლობა განაპირობა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, იურიდიული უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელწოდებით არსებობას საჭიროებდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, 1918 წლის 19 ნოემბერს მოწვეულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ, 76 დელეგატის თანდასწრებით, პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხი განიხილა და შესაბამისი დადგენილება მიიღო. „დღეიდან ჩვენი პარტია-ვკითხულობთ დოკუმენტში-იწოდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად"[2]

სახელწოდების გამოცვლის მიუხედავად, პარტიის მიერ აღებული კურსი ხელშეუხებელი დარჩა, რადგან იმავე ყრილობამ, რუსეთის სდმ პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების მერვე საოლქო ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელმძღვანელოდ გამოაცხადა.[3] ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან შემუშავებულ პოლიტიკურ პლატფორმას, ამ ეტაპზე საქართველოს სინამდვილისათვის მისაღებად თვლიდნენ. ყრილობამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია: ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, რ. არსენიძე, ს. ჯიბლაძე, ნ.რამიშვილი, ნ.ხომერიკი,

ალ. ლომთათიძე, ვ. ჯუღელი, ა. სალუქვაძე, ე. გეგეჭკორი, ვ. ჯიბლაძე, ა. ფარნიევი, ვ. ახმეტელაშვილი, ა. დგებუაძე, ვ.წულაძე, შარიფოვი, მ.სკობელევი, ერზინკიანი, მიკირტუმოვი, ვარდოიანი, კანდიდატებათ: მ. ხოჭოლავა, დ. ონიაშვილი, კ. გვარჯალაძე, ი. ბადრიძე, გ. ცინცაბაძე, გ. მახარაძე, ს. თევზაძე, საკონტროლო კომისიის წევრებად: ის. რამიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ივ. ლაბაძე, ზ. გურული, ნ. ჭუმბურიძე, რ. ჩიხლაძე, ი. სალაყაია, გრ. კოპლატაძე, ლ. კიღურაძე, ნოდია, კ. ნინიძე, კანდიდატებათ: ა. ჭიაბრიშვილი, ვ. მგელაძე, ს. მაისურაძე, გ. ბახტაძე.

როგორც მასალებიდან ირკვევა, აღნიშნულმა რეორგანიზაციამ, პარტიის რიგებში დადებითი შეფასება დაიმსახურა. ამის საილუსტრაციოდ საქართველოს სდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საკონტროლო კომისიის, რაიონული კოლექტივების და ქალთა ორგანიზაციების 1918 წლის 3 დეკემბრის გაერთიანებული სხდომის მასალები გამოდგება. ნ. ჟორდანიას მიერ პარტიის ორგანიზაციულ საკითხებზე გაკეთებული მოხსენების საფუძველზე მიღებულ რეზოლუციაში გარკვევითაა ნათქვამი: „შეერთებულმა სხდომამ მოისმინა რა მოხსენება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსების შესახებ და მის გარშემო კამათი, დაადგინა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსება არის აუცილებელი შედეგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა, რომელიც საქართველოს მუშათა კლასს უყენებს სულ სხვა პოლიტიკურ საკითხებს, ვინემ სხვა სახელმწიფოების დემოკრატიას"[4] როგორც ვხედავთ, სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი ქართული სახელწოდების ოფიციალურად მინიჭების გარდუვალობა, საქართველოს დამოუკიდებლობიდან გამომდინარე პოლიტიკური მოთხოვნით იყო განპირობებული. მაგრამ სახელწოდების მხოლოდ ცვალებადობა პრობლემას საბოლოოდ არ წყვეტდა. იგი პარტიის სტრუქტურის რეორგანიზაციის საჭიროებასაც მოითხოვდა. ეს საკითხი რარსენიძემ, ჯერ კიდევ რსდმ პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების მერვე საოლქო ყრილობაზე (1918 წლის 17 ნოემბერი) გაკეთებულ მოხსენებაში-პარტიული მუშაობის შესახებ, მთელი პრინციპულობით დასვა. მის მიერ წარმოდგენილი სქემა, ცენტრალიზმს დამყარებული ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნას ითვალისწინებდა. დასახული მიზნის განხორციელების ძირითად საფუძველს იგი რეგიონალური პარტიული ორგანიზაციების რეორგანიზაციაში ხედავდა. აქედან გამომდინარე, აყენებდა საკითხს: 1) „პარტიის წევრთა მუშაობა, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაენაწილებინათ, 2) ყოველ საერობო ერთეულში თითო პარტიული ორგანიზაცია შეექმნათ. რომელიც სამაზრო კომიტეტს დაექვემდებარებოდა, 3) რეგიონალურ პარტიულ კო-

მიტეტებს მაზრის სახელწოდება დარქმეოდა. 4) სამაზრო კომიტეტები პირდაპირ კავშირში ყოფილიყვნენ ცენტრალურ კომიტეტთან, 5) პარტიის საოლქო და ცენტრალურ კომიტეტებს ხელქვეითი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაწევა და მათდამი შესაბამისი დირექტივების მიცემა ევალებოდათ 6) ცენტრალურ კომიტეტთან შექმილ საკონტროლო კომისიას, რესპუბლიკის პარტორგანიზაციის გაკონტროლების უფლება უნდა მისცემოდა. იმ შემთხვევაში თუკი პარტიის სტრუქტურის აგება აღნიშნული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე მოხდებოდა, რ.არსენიძის აზრით, იგი პარტიული მუშაობის გაძლიერებას მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს.[5] მართალია ამ მოსაზრების ძირითადი დებულებები ყრილობამ გაიზიარა და პარტიული მუშაობის შესახებ შესაბამისი რეზოლუციაც მიიღო,[6] მაგრამ პრობლემის მოწესრიგებას გარკვეული სირთულეები აბრკოლებდა. იგი რესპუბლიკის რეგიონებში პარტიული მუშაობის შესუსტებით იყო განპირობებული. ამ ხარვეზს პარტიის ლიდერები კარგად ხედავდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში მის გამოსწორებას სათანადო გზების ძიებით ცდილობდნენ. პირველი ქმედითი ნაბიჯი ამ მიმართულებით პროვინციის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევით (1918 წლის 20 ივლისი) გადაიდგა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ძირითად საშუალებად, პარტიის რიგებში მეშჩანური ფსიქო-ლოგიის დაძლევას, მისი გაწმენდის საჭიროებას, სოფლად და ქალაქად რეფორმების დაუფლებლივ გატარებას და ადმინისტრაციის მაღალ დონეზე მოწყობას მიიჩნევდნენ. თუ რით იყო განპირობებული ზემოთ აღნიშნული ხარვეზის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ამის შესახებ შემაჯამებელ სიტყვაში ნ.რამიშვილი გარკვევით ამბობდა: „ჩვენ გადავაჭარბეთ რევოლუციონური ორგანიზაციების როლის დაფასებაში, ამან გამოიწვია პარტიული მუშაობის შემცირება და მოდუნება."[7] ეს პროცესი, როგორც ნ.რამიშვილი ამბობდა, „რევოლუციური აღმაფრენის დაცემითა" და ანარქიის გაძლიერებით იყო გამოწვეული. შექმნილი მდგომარეობა მმართველი პარტიისათვის არახელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციას ქმნიდა. არსებული სიძ-ნელეების გათვალისწინებიდან გამომდინარე თათბირის მონაწილეებმა აუცილებლად მიიჩნიეს: 1) ჩავარდნილი მუშაობის გამოსწორება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ძალთა კონსოლიდაციის საფუძველზე მოეხდინათ. 2) სახელმწიფო და ადგილობრივი მმართ-ველობის ორგანოებში განაწილებული პარტიული მუშაკები პირველად პარტორგანიზაციებს დაბრუნებოდნენ. 3) შესაძლებლობის ფარგლებში საოლქო კომიტეტს პროვინციის პარტორგანიზაციებისადმი ფინანსური დახმარება აღმოეჩინა.[8]

ამავე საკითხთან დაკავშირებით გაზეთმა „ერთობამ" მოწინავე წერილში „პარტიული მუშაობა" პარტიის სიმტკიცის წინაპირობად, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება მიიჩნია. ხოლო მისადმი განსაკუთრებული ყურადღება, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ზრუნვის უმთავრეს საგნად გამოაცხადა. წერილის აზრით, მმართველი პოლიტიკური პარტიის სიმტკიცე, რესპუბლიკაში არსებული პრობლემების "-რეაქციისა და ანარქიის წარმომქმნელი ძალების დათრგუნვის, დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა და ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების გარანტი უნდა გამხდარიყო. „თუ ოდესმე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის ორგანოებს მუშაობა სჭირდებოდათ-ვკითხულობთ წერილში- ახლა უნდა გაორკეცდეს, რომელიც მკვიდრ საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიულ თავისუფლებას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღორძინებას.. შეგნებული პოლიტიკური და პარტიული მუშაობა ანარქიას ჩააქრობს და ეკონომიკურ ცხოვრებასაც მოაწესრიგებს"[9]. როგორც ვხედავთ, ქართველი სოციალ-დემოკრატები, საქართველოს მომავალს პარტიის სიმტკიცეს უკავშირებდნენ. ამის შესახებ გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი გაგზავნილ მოწოდებაში (1918 წელი) გარკვევითაა ნათქვამი: „პარტიული მუშაობა საფუძველია ყველა ჩვენი დანარჩენი საქმიანობისა, მასზეა დამყარებული ჩვენი ხალხის გამოფხიზლება და კულტურული ზრდა-განვითარების გზაზე შედგომა. პარტიის სიძლიერეზეა დამოკიდებული ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს და მთელი ხალხის თავისუფალი არსებობა და მომავალი. ამიტომაა, რომ პარტიისა და პარტორგანიზაციების ზრდის საკითხი არის ჩვენი დემოკრატიის ყოფნა-არყოფნის საკითხი."[10] ასეთი პრეტენზიული განაცხადი პირველ რიგში მმართველი პოლიტიკური ძალის ფაქტორიდან გამომდინარეობდა. მეორე მხრივ, დამოუკიდებელი საქართველოს გადარჩენის ზრუნვის ფონზე პოლიტიკური მანევრირება იყო. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, ფართო მასაზე იდეურ ზემოქმედებას ითვალისწინებდა. ამას არსებითი მნიშვნელობა ქონდა იმ თვალსაზრისით, რომ რეგიონებში ახალი პარტორგანიზაციების შექმნის ეგიდით დაწყებულ ფართომასშტაბიან კამპანიას წარმატებული სახე მისცემოდა. მაგალითად; სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ 1918 წლის 11 ივლისს პარტიული მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „უნდა აღდგენილ იქნან ორგანიზაციები ქალაქებში, დაბებში, სოფლებში. ამ საქმეზე იმუშაოს აღმასრულებელი კომიტეტის კომისიამ"[11] ანალოგიური ხასიათის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხი დააყენა თბილისის მაზრის ორგანიზაციების დამფუძნებელი კრების (1919 წლის 1 აპრილი) მონაწილეებმაც. მა-

გალითად, ორგანიზაციულ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ მოხსენებაში ა.სალუქვაძემ პარტიული მუშაობის სოფლად გამოსწორების ერთად-ერთ საშუალებად „იაჩეიკების" მოწყობა, მოწინავე პარტიული მუშაკების სათანადოდ მომზადება, აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერება და ცენტრთან შეკავშირება მიიჩნია.[12] ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა ვ.კაკაბაძემ, თბილისის მაზრის პარტიული ორგანიზაციებისადმი გაგზავნილ მიმართვაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სოციალ—დემოკრატიულ მუშათა პარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტის შექმნა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისადმი კოორდინაციის გაწევას ითვალისწინებდა. ამის შესახებ იმავე კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „1). თბილისის მაზრაში არსებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციები ერთიანდებიან სამაზრო კომიტეტში. 2). მაზრაში არსებული ორგანიზაციების წყობას საფუძვლად ედება პარტიის ყრილობის მიერ მიღებული წესდება. 3) მაზრა განიყოფება რაიონებად და თითოეულ რაიონს ხელმძღვანელობს რაიონული ორგანიზაცია, რომელსაც სამაზრო კომიტეტში ჰყავს თავისი წარმომადგენელი. 4) სამაზრო კომიტეტს ჰყავს პრეზიდიუმი და კომიტეტის კრებები იმართება თვეში ერთხელ, რიგგარეშე კრებები საჭიროებისდა მიხედვით."[13]. მართალია, ამ დოკუმენტით სამაზრო პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა და მისი მიმართულება განისაზღვრა, მაგრამ არაფერი თქმულა იმ ძირითად მიზეზებზე, რომელმაც პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ჩავარდნა განაპირობა. არადა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძალისხმევა არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად და ადრინდელი პოლიტიკური სიძლიერის დასაბრუნებლად იყო მიმართული. ამის ერთ-ერთ მცდელობას სსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციებისადმი 1919 წლის მაისში დაგზავნილი ცირკულარი წარმოადგენს. ამ დოკუმენტში კონკრეტულადაა მითითებული იმ სატკივარზე, რომელიც ქართველ სოციალ-დემოკრატებს ნომერ პირველი ზრუნვის საგნად მიაჩნდათ. იმავდროულად მისი გამომწვევი მიზეზიცაა დაფიქსირებული. „რესპუბლიკის აღმშენებლობითმა მუშაობამ-ვკითხულობთ ცირკულარში-პარტიული მუშაობა შთანთქა, თითქოს დაგვავიწყდა, რომ ამ მუშაობის ნაყოფიერება... დამოკიდებულია პარტიის სიმტკიცეზე და მუყაითობაზე. ცეკამ გადაწყვიტა მიიღოს ყოველგვარი ზომები პარტიის ფეხზე დასაყენებლად და მუშაობის გასაძლიერებლად."[14]. არსებული მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად, დაწყებული მუშაობისადმი ყოველდღიური ზედამხედველობა იქნა მიჩნეული. ამ მიზნით, ცეკასთან შეიქმნა მუდმივმოქმედი სამდივნო, რომლის პრე

როგატივას მიმდინარე საქმიანობისადმი არა მარტო ზედამხედველობა, არამედ არსებული კრიზისიდან გამოსასვლელი გზების ძიებაც წარმოადგენდა. ეს კი რეგიონალური ორგანიზაციების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას საჭიროებდა. ამ მონაცემების სრულყოფილად მიღების მიზნით აღნიშნული დოკუმენტი ადგილობრივი პარტორგანიზაციებისაგან მოითხოვდა: ცენტრალური კომიტეტისათვის მიეწოდებინათ სამაზრო, სარაიონო და სათემო ორგანიზაციების სია, წევრთა რაოდენობა-სახელის და გვარის ჩვენებით. აღენიშნათ მათი ვინაობა, განათლება, პროფესია, წლოვანება და სამსახური. ეჩვენებინათ ორგანიზაციის წლიური შემოსავალ-გასავალი, ჰყავდათ თუ არა აგიტაცია-პროპაგანდისათვის გამოსადეგი პროფესიონალი პარტიული მუშაკები და რამდენი, ჰქონდათ თუ არა გაზეთი. ამ ინფორმაციით, ცენტრალურ კომიტეტს შესაძლებლობა ეძლეოდა ზუსტად განესაზღვრა ამა თუ იმ რეგიონალური ორგანიზაციისადმი დახმარების სახეობა. „გთხოვთ... გვაცნობოთ ყოველივე-გკითხულობთ ცირკულარში – მნიშვნელოვანი ფაქტი თუ საკითხი პარტიის ცხოვრების შესახებ. ცეკა მიიღებს ზომებს, რომ გაგიწოთ ყოველგვარი დახმარება."[15] რამდენადაც მთელ რიგ სოფლებში პარტიული ორგანიზაციები დაშლილი, ხოლო პარტიული მუშაობა ჩავარდნილი იყო, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა, ამ საკითხს 1919 წლის 10 დეკემბერს საგანგებოდ დაბრუნებოდა.

ნ.რამიშვილის აზრით, გამოსავალს მხოლოდ სამდივნოს მუშაობის გაძლიერება, მისი წევრებისადმი უფლებების გაფართოება, პროვინციებში ჩასვლის, პროპაგანდის ხელმძღვანელობის და ორგანიზაციების მოწყობის შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენდა. ნ.ხომერიკის მტკიცებით, პარტორგანიზაციების მოწყობა თემებისა და ტერიტორიის ფარგლების გათვალისწინებით უნდა განხორციელებულიყო.[16] აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, პარტიის ლიდერთა ურთიერთ განსხვავებული თვალსაზრისის მიუხედავად, პარტიული მუშაობის ჩავარდნის ძირითადი განმაპირობებელი მიზეზის წარმოჩენა მათ გამოსვლებში იგნორირებული იყო. ამ მხრივ, შედარებით უფრო საქმიანი გამოდგა სსდმ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების 1919 წლის 14 ნოემბრის გაერთიანებული სხდომა. ყველა გამომსვლელი ერთ ძირითად საკითხზე-პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებდნენ. გ. ლორთქიფანიძის აზრით, პარტიამ თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა და იგი მიმდინარე მოვლენების მხოლოდ უკან მიმდევარის როლში აღმოჩნდა. კრიზისული სიტუაციის დაძლევის გეგმის უქონლობიდან გამომდინარე, „ჩვენ-ამბობდა გ.ლორთქიფანიძე-უფრო გვემჩნევა ერთგვარი პოლიტიკური იმპრესიონიზმი და არა წინასწარ გარკვეული

ხაზი."[17]. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის მთელი ორგანიზაციული საქმიანობა მხოლოდ დღევანდელობით შემოიფარგლებოდა და წინასწარ შემუშავებული პერსპექტიული გეგმა არ გააჩნდათ. ამის ძირითად მიზეზს გ.ურატაძე „ძველი კუსტარული პარტიული მუშაობის" ფორმების შენარჩუნებაში ხედავდა. ამიერკავკასიის რეგიონში ერთ დროს ყველაზე ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგალალო მდგომარეობა ალ.ლომთათიძემ თავის სიტყვაში შემდეგნაირად გამოხატა, „პარტიას თითქო დამბლა დაეცა, მიზეზი ჩემი აზრით-ამბობდა ალ.ლომთათიძე-აი სადაა: ჩვენი პროგრამა მინიმუმი თითქმის განხორციელდა და შემდეგ რა უნდა აკეთონ არ იციან... ხალხი სოფლად აღარ დარჩა – ყველგან მუშაობენ მაგრამ პარტიაში არა... ხალხს, მომუშავე ამხანაგებს უნდა მოვუწოდოთ უკან, პარტიისაკენ. უნდა შევქმნათ პარტია მუდმივი, მოქნილი, მოქმედი."[18]. აქ ორ არსებით საკითხზეა ყურადღება გადატანილი; 1.)საპროგრამო მინიმუმის შესრულებამ პარტია უიდეოდ რომ დატოვა და 2) პარტიის აქტიური წევრების მმართველობით ორგანოებში ჩართვამ, ისინი პარტიულ სამუშაოს რომ ჩამოაცილა.

პირველ საკითხთან მიმართებაში ალ.ლომთათიძის განაჩენი გადამეტებული იყო, რადგან სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საპროგრამო მინიმუმი თუკი შეასრულა, მაქსიმუმის განსახორციელებლად, შესაბამისი პირობების შესაქმნელად უნდა ებრძოლა. ამ შემთხვევაში ეს ფაქტორი პარტიის რიგებში კრიზისული სიტუაციის შექმნის განმაპირობებელი მიზეზი ვერ გახდებოდა. რაც შეეხება პარტიის წევრთა სამოქალაქო მმართველობაში მასობრივად ჩაბმას, პარტიის ორგანიზაციულ საქმიანობაზე მართლაცდა უარყოფითი გავლენა მოახდინა, ამასვე ადასტურებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი ი.ბადრიძეც. „ჩვენი მუშაობა-ამბობდა იგი-დღემდის კრებების, თვითმმართველობებისა და ერობის მოწყობისაკენ იყო მიმართული, პარტია მიგვავიწყდა".[19] ამასთან დაკავშირებით შემაჯამებელ სიტყვაში ნ.რამიშვილი გარკვევით მიუთითებდა: „პარტია ყველგან გაბატონდა, დაწესებულებებში მოიკალათეს პარტიის მეთაურებმა. მასასა და პარტიის არისტოკრატიას შორის... უნდობლობა გაჩნდა... როცა ვაწყობთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამით პარტიას კი არ უნდა ვანგრევდეთ, ჩვენში კი ეს ხდება. გავიდა რამდენიმე ამხანაგი ერობაში, დამფუძნებელ კრებაში და დაანება თავი პარტიას."[20]. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამოჩდინარე, თათბირის მიერ მიღებული დადგენილებით, დაწესებულებებში მომუშავე პარტიის წევრებს, პარტიაში მუშაობა დაეკალა. იმავდროულად ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა, რათა ამის შესახებ შესაბამისი ცირკულარული წერილით პარტორგანიზაციებისათვის ეცნობებინათ. ხოლო გ.ლორთქიფანიძეს, გ. ბახტაძესა და ს.თევზაძეს ცეკას პრეზიდი-

უმთან ერთად პრაქტიკული სამუშაო გეგმა უნდა შეედგინათ.[21] იმავე საკითხებზე იმსჯელა სსდმ პარტიის გორის სამაზრო კომიტეტის 1920 წლის 27 აპრილის სხდომამ. როგორც ირკვევა, სამაზრო კომიტეტის ყურადღება ერთის მხრივ პარტიული ორგანიზაციების მოწყობისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოებრივი მუშაობისაკენ იყო გადატანილი. „სახელმწიფოებრივ ორგანოებში მუშაობა-ვკითხულობთ სხდომის მასალებში-ჰყლაპავდა პარტიულ შემოქმედებას."[22] ამ პროცესის გაღრმავების ერთ-ერთ მიზეზს მაზრის ადმინისტრაციის, ადგილებზე გვარდიის მოწყობის, ბოლშევიკური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობის თავის-თავზე აღება წარმოადგენდა, რადგან, ყოველივე ეს, წმინდა პარტიული მუშაობის მეორე პლანზე გადატანის საფუძველზე ხდებოდა. რამდენადაც პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმიანობის თანაბარ დონეზე წარმართვა მომზადებული პარტიული ძალების დიდ რაოდენობას მოითხოვდა, იმ პერიოდისათვის ეს შეუძლებელი იყო. როგორც საარქივო მასალებით დასტურდება, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა წინა პლანზე პარტიულთან შედარებით სახელმწიფოებრივი ინტერესები დააყენეს და ამ სფეროში ყველაზე მომზადებული პიროვნებები ჩართეს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო ის ძირითადი განმაპირობებელი მიზეზები, რამაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების მუშაობის სისუსტე განაპირობა. ამის დამადასტურებლად სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე ნ.ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა გამოდგება. პარტიის მიერ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სფეროში გაწეული საქმიანობის ანალიზიდან გამომდინარე იგი დასძენდა: „თქვენ იცით, რომ მთელი პარტია, ყველა ჩვენი ორგანიზაციები იყვნენ ჩაფლული ამ სახელმწიფოებრივ მუშაობაში და თუ ამდენ ხანს არ დავინგერით, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი პარტიის თავდადებით მუშაობას."[23]

ნ.ჟორდანია ამ შემთხვევაში სავსებით მართალი იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა და მისმა რიგითმა წევრებმა, შესაძლებლობის მაქსიმუმი ეროვნული სახელმწიფოს მოწყობასა და მისი მშენებლობის ინტერესებს მოახმარეს. რაც შეეხება შექმნილ მდგომარეობას, გამოსავალი მხოლოდ პარტიის სამოქმედო გზის შეცვლაში მდგომარეობდა. თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საკითხის დაუყოვნებლივ მოწესრიგებას, ამის შესახებ საინტერესო შეხედულებაა გამოთქმული გაზეთ „ერთობაში" განი-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „პარტიული ყრილობა" მისი ავტორი აუცილებლობად მიიჩნევდა: 1) არსებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს პარტიული მასა აქტიურად დაესაქმებინათ ხოლო პარტიული მუშაობა მომენტის მოთხოვნათა შესატყვისობის დონემდე აეყვანათ 2) პარტორგა-

ნიზაციები პირდაპირი მოვალეობისაგან-სახელმწიფო საქმეებში ჩარევისაგან განთავისუფლებულიყვნენ. მათი მოქმედება მხოლოდ პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის შესატყვისი ფუნქციით შემოფარგლულიყო. 3) მოეხდინათ ადგილობრივი პარტორგანიზაციების მუშაობის შინაარსისა და სისტემის შეცვლა.[24] ე. ი. მთელ სისტემაში იდეურ-პოლიტიკური ხასიათის რეორგანიზაცია უნდა ჩატარებულიყო. აღნიშნულმა საკითხმა, გარკვეული გამოძახილი სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზედაც ჰპოვა. ნ.იმერლიშვილმა პროვინციების პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობა ანარქიის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა. იგი აყენებდა საკითხს, მოსალოდნელ გართულებებს პარტია მტკიცე და გაჯანსაღებული შეხვედროდა. „ჩვენი ყურადღება – ამბობდა იმერლიშვილი-იქეთ უნდა იყოს მიმართული, რომ პარტიული მუშაობა გავაძლიეროთ". 25 საკითხის აქტუალობიდან და მისი დროულად მოწესრიგების აუცილებლობიდან გამომდინარე, იგივე პრობლემები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებზეც იხილებოდა, სადაც პარტიული კრიზისიდან გამოსვლის ძიების მცდელობას ჰქონდა ადგილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე ნ.ხომერიკის მიერ პარტიული მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენება იქცევს. იგი ორ ძირითად საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას: 1) პარტიული მუშაობის ჩავარდნის გამომწვევ მიზეზებზე და 2) გამოსწორების გზების შესაძლებლობებზე.

რაც შეეხება პირველ საკითხს, ნ.ხომერიკის აზრით, პარტიული ორგანიზაციების შიდა ორგანიზაციული პრობლემების მოუგვარებლობიდან გამომდინარეობდა. კერძოდ ა) პარტიულმა ორგანიზაციებმა და თვით ცენტრალურმა კომიტეტმა იდეურ მუშაობასთან შედარებით პრიმატი ტექნიკური პრობლემების მოწესრიგებას დაუთმო, რითაც დაივიწყა არსებობის უმთავრესი და უპირველესი დანიშნულება. აქედან გამომდინარე სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს შეახსენებდა: „თუ ეს სისტემა არ შეიცვალა, ზედმეტია ლაპარაკი პარტიული მუშაობის გამოცოცხლებაზე." ეს პროცესი პირველ რიგში ზემოდან უნდა დაწყებულიყო. ბ)პარტიული ცენტრის გავლენა პერიფერიებში და დაწესებულებებში მომუშავე პარტიულ მუშაკებზე თითქმის დაკარგული იყო, ყოველ შემთხვევაში უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა.[26] ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით ნ. ხომერიკი სამ ძირითად მოთხოვნას აყენებდა: 1) პარტიული აგიტაცია-პროპაგანდის სიტყვიერი და წერილობითი გზებით გაძლიერებას, 2) სოფლებში პარტიული ორგანიზაციების მოწყობასა და მის ამუშავებას, 3) სახელმწიფო მუნიციპალურ დაწესებულებებში, პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე პირებთან და სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან კავშირის დამყარებას. ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობისადმი თვალყურის დევნება

ცენტრალურ კომიტეტთან გამოცდილი მუშაკებისაგან შექმნილ სამდივნოს უნდა დაკისრებოდა."[27] იმავდროულად იგი ცენტრალურ კომიტეტს აღნიშნული გეგმის დაუყოვნებლივ განხორციელებაზე მიანიშნებდა. „მე აქ ვლაპარაკობ მხოლოდ იმაზეამბობდა ნ.ხომერიკი- რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. ეს საშუალებას მისცემს ცენტრალურ კომიტეტს დაუახლოვდეს პარტიულ ორგანიზაციებს, იქონიოს გავლენა პარტიული მუშაობის ყველა დარგში, თავის დროზე წამოაყენოს და გადაჭრას ყველა საჭირბოროტო საკითხი. ეს გაზრდის... და გააერთიანებს ჩვენს იდეურ გავლენას."[28] იგი შესაძლებელი იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუკი ცენტრალური კომიტეტი აღნიშნულ გეგმას გაიზიარებდა და მზადყოფნას გამოთქვამდა, ისეთი პასუხისმგებელი „გუნდის" შესაქმნელად, რომელიც მის მიერ წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელებას დააჩქარებდა. აქ სურვილი და პასუხისმგებლობა ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული. მიუხედვად ამისა, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ამ ინიციატივისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება გამოავლინა. ყოველ შემთხვევაში, ცეკას საოქმო ჩანაწერებში არსად არ ფიგურირებს ნ.ხომერიკის გეგმისადმი ოფიციალური დამოკიდებულება. თუგინდ დადგენილების სახით. რეალური სინამდვილე აღნიშნულის გათვალისწინებას აუცილებლად საჭიროებდა. მითუმეტეს, რომ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას მიმდინარე პროცესები კარგად ქონდა გაცნობიერებული. ამის დადასტურებას სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიის სამაზრო კომიტეტებისადმი 1919 წლის მაისს დაგზავნილი ცირკულარი წარმოადგენს. მასში გარკვევითაა ნათქვამი ცენტრისა და პერიფერიების პარტორგანიზაციების ურთიერთ მჭიდრო და საქმიანი კავშირის, პარტიული დისციპლინის განმტკიცების, პარტიის წევრთა გაერთიანებისა და თვით ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკურად მაღალ დონეზე დაყენების აუცილებლობაზე. ე. ი. იგივე საკითხებია დასმული, რომლის შესახებ ნ.ხომერიკი მიუთითებდა და მისი გამოსწორების საშუალებებზედაც მიანიშნებდა. აღნიშნული საკითხის ყურადღების მიღმა დატოვება, რეგიონებისაგან განსხვავებით, თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარე დადებითი ძვრებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის 1919 წლის მუშაობის ანგარიშში. „უკანასკნელი წელი-ვკითხულობთ დოკუმენტში- ნათლად ახასიათებს პარტიის ახალი ისტორიის დაწყებას, მის ახალ ერას. ორგანიზაციების შექმნა, დისციპლინა, დადგენილების ცხოვრებაში გატარება, წევრების პასუხისმგებლობა - აი ის, რაც შეადგენს ყველა პოლიტიკური პარტიის დედაღერძს, მისი შემოქმედების უნარს. ამ მხრივ კი თბილისის ორგანიზაციებს გასულ წლებში დიდი ღვაწლი მიუძღვის."[29] რესპუბლიკის ფონის

გათვალისწინებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ამონაწერში მოტანილი ფაქტები შეიძლება ეჭვის ქვეშ დაგვეყენებინა, მისი სისწორე სხვა მასალებით რომ არ დასტურდებოდეს. მხედველობაში გვაქვს თბილისის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების 1920 წლის 17 იანვრის ყრილობის მასალები. თბილისის პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ გ.კილასონიას მოხსენებაში გარკვევით იყო მითითებული პარტიული მუშაობის ეტაპობრივად გაუმჯობესების მიმდინარე ტენდენციაზე, ახალი პარტიული ორგანიზაციების შექმნაზე და მისთვის სწორი მიმართულების მიცემაზე. რაც შეეხება ცეკას პოზიციას, იგი გრ. ურატაძის მოხსენებაში გამოიკვეთა. მან ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულ იმ საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მიზნად პარტიის რიგებში იდეურ- პოლიტიკური და კულტურული მუშაობის გაფართოებას, პარტორგანიზაციების განმტკიცებასა და საზოგადოებაში მისი როლის ამაღლებას ითვალისწინებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობა სრულიად იზიარებს ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობას, მის პოლიტიკას და აღუთქვამს დახმარებას... დასახული მიზნის გასატარებლად... ყრილობა გამოთქვამს სურვილს, ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღოს ზომები, რომ ცენტრში თავმოყრილი ძალები გამოყენებულ იქნას პროვინციებში სამუშაოდ.[30] ასეთი სახის გადაწყვეტილების მიღება სავსებით სწორი იყო, რადგან იგი რეგიონებში პარტორგანიზაციების მძიმე მდგომარეობას ეხმიანებოდა. ცენტრის დახმარებითა და ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომით, სათემო ორგანიზაციების შენარჩუნება შესაძლებელი გახდა. ამ მხრივ ოზურგეთის მაზრა გამოირჩეოდა. მაშინ როდესაც 1919 წლის პირველი ნოემბრის მონაცემებით გორის სამაზრო კომიტეტი 15 სათემო ორგანიზაციას და 3338 პარტიის წევრს აერთიანებდა, მისგან განსხვავებით გურიის სამაზრო კომიტეტი 31 პარტიულ ორგანიზაციასა და 13593 წევრს ითვლიდა. რაც შეეხება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა საერთო რაოდენობას, რეგიონების მიხედვით იგი 1919 წლის პირველი ნოემბრისათვის შემდეგ სურათს იძლეოდა. თბილისის (ქალაქის)-11, 884, ქუთაისის (ქალაქის)-3,561, ფოთის (ქალაქის)- 1,720, ბათუმის (ქალაქის)-1,914, სოხუმის ოლქის –3,386, საჩურზაყანოს- 1, 712, ზუგდიდის მაზრა-2, 553, სენაკის მაზრა-3, 817, რაჭის- 2, 604, ლეჩხუმის მაზრა-1, 379, ქუთაისის მაზრა- 34, 118, შორაპნის მაზრა ჭიათურით-3, 815, თბილისის მაზრა-3,722, გორის მაზრა-3,338, თელავის მაზრა-2,814, სიღნაღის მაზრა-2,531, დუშეთის მაზრა-1,755, თიანეთის მაზრა-1,218, ბორჩალოს მაზრა-1,552, ახალციხის მაზრა-1,901, ახალქალაქის მაზრა-1,022, სულ 75.209 პარტიის წევრი.[31] როგორც ჩანს პატიის

ცენტრალურ კომიტეტს ეს მონაცემები არ აკმაყოფილებდა. მისი გადამოწმების მიზნით, იგი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს 1919 წლის 7 ნოემბრის მიმართვით ავალებდა; რეგიონის თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას ცენტრალური კომიტეტისათვის ეცნობებინა 1.სამაზრო ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა, 2. პარტიულ ორგანიზაციათა რაოდენობა, 3.იყო თუ არა ისეთი კუთხე, სადაც პარტორგანიზაცია არ არსებობდა და თუკი ასეთს ადგილი ჰქონდა ეჩვენებინა ძირითადი მიზეზი, 4.სამაზრო კომიტეტის შემადგენლობა, საწევრო გადასახადებისა და შემოსავალ-გასავლის ჩვენებით. 5. პარტიული მუშაობის ანგარიში სსდმ პარტიის დამფუძნებელი ყრილობიდან 1919 წლის ნოემბრამდის.[32]

ამ დოკუმენტის საფუძველზე, შესაბამისი მონაცემები ეგზავნებოდა ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ საარქივო მასალებში ყველა რეგიონი არ ფიგურირებს. ამიტომ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისა და პარტიული ორგანიზაციების დაზუსტებული რაოდენობის დადგენა შეუძლებელი ხდება. თუკი პარტიის წევრთა ზემოთ მითითებული რაოდენობის (75209 კაცი) სისწორეს ეჭვის ქვეშ დავაყენებთ, მაშინ ამოსავალ საფუძვლად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის (1920 წელი) უწყებაში გამოქვეყნებული ციფრები უნდა მივიღოთ, მაგრამ მისი გამოყენებისას ის ფაქტია გასათვალისწინებელი, რომ ამ დოკუმენტში 10 სამაზრო პარტიული ორგანიზაცია, პარტიის წევრთა რაოდენობის გარეშე – მხოლოდ თითო დელეგატითაა დასახელებული. ამ სამაზრო ორგანიზაციების წევრთა რაოდენობის დადგენა პარტიის წესდების მეთერთმეტე პარაგრაფის (შესწორებული ვარიანტის) საფუძველზე უნდა მოვახდინოთ, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს 400 წევრიდან ყრილობაზე თითო დელეგატის გაგზავნის უფლება ჰქონდა.[33] ამ ფაქტის გათვალისწინების შედეგად, საქართველოს სდმ პარტიის წევრთა რაოდენობა 1920 წლის ივნისისათვის 57.467 კაცით შეიძლება განისაზღვროს,[34] რაც იმის მაჩვენებელია, რომ 1919 წლის ნოემბრიდან 1920 წლის ივნისამდე სსდმ პარტიის რიგები 17742 კაცს დაუტოვებია. მართალია იმ პერიოდში პარტიის რეორგანიზაციისა და მისი განმტკიცების მიზნით „წმენდაც“ მიმდინარეობდა, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მმართველი პარტიის რიგებიდან წევრთა ასეთი რაოდენობის გასვლა, ან თუგინდ გარიცხვა შეუძლებლად მიგვაჩნია. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ზემოთ მოტანილი ორივე მონაცემის სისწორე ეჭვის ქვეშ დგება. ამ შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლებიდან სსდმ პარტიის წევრთა რაოდენობის განმსაზღვრელად მხოლოდ შუალედური ციფრის აღება შეიძლება. ამრიგად, 1.მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი ქართული სახელწოდების (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) იურიდიულად დაკანონებამ (1918

წლის ნოემბერი) არა მარტო პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა შეიძინა, არამედ მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერის საკითხიც გადაწყვიტა 2.პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების პარტიული საქმიანობის გაუმჯობესებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გადატანა პარტიის რეორგანიზაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა, საქართველოში შექმნილი რეალობით იყო განპირობებული. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, მმართველი პოლიტიკური პარტიის სიძლიერე, მისი „ფეხზე დაყენება" და წევრთა რაოდენობის ზრდა, ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნების, ხოლო სახელმწიფო და სამოქალაქო მმართველობიდან პარტიული კადრების ნაწილობრივ გამონთავისუფლება, პარტიული საქმიანობის აღმავლობის ბერკეტად მიაჩნდათ.

§ 2 სსდმ პარტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

ქართული სოციალ-დემოკრატიის წარმატებას რამდენადაც საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერა განაპირობებდა, არსებული პოლიტიკური სიტუაცია მისგან ძალთა მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვდა. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა, ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას მარცხის წინაშე დააყენებდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა პრობლემასთან მიმართებაში სწორი პოზიციისა და მასაზე ზემოქმედების მექანიზმის შერჩევას ენიჭებოდა. მითუმეტეს, რომ მთელი ძალისხმევა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების, მათი პრაქტიკული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისაკენ იყო მიმართული. ამ ფონზე, სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა პარტიის იდეურ-პოლიტიკური ხაზით გაწეულ საქმიანობას მიანიჭეს. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „პარტიული მუშაობა", პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების პირობად, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას მიიჩნევდა. „ჩვენ გვჭირდება-წერდა გაზეთი-წმინდა პარტიული მუშაობის წარმოება, პროპაგანდა-აგიტაციის გაძლიერება, შეგნებულ წევრთა რიცხვის გამრავლება და ორგანიზაციების შეკვრა."[35] რამდენადაც იდეურ-პოლიტიკური სფეროს მოწესრიგებას, მის მყარ ნიადაგზე დაყენებას, პარტიის სიძლიერის გარანტად აღიარებდნენ, ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება ამ მიმართულებით ქონდათ გადატანილი. ამის ერთ-ერთ ნიმუშს რსდმ პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების მერვე საოლქო ყრილობის (1918 წლის 11-18 ნოემბერი) მიერ, პარტიული მუშაობის შესახებ მიღებული რეზოლუცია წარმოადგენს. იგი სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებულ მოვალეობად პარტიის წევრებსა და საზოგადოების ფართო ფენებში პარტიული იდეების გავრ-

ცელებას მიიჩნევდა. ამის რეალურ საშუალებად ლექციების კითხვას, პოლიტიკური კამპანიის ჩატარებას, პოლიტწრეების მოწყობას, გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემას თვლიდა. მისი ხელმძღვანელობა, რეგიონებში პარტიის წევრებისაგან შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციებს ევალებოდათ, რომლებსაც პარტიის სამაზრო ორგანოებისა და ცეკას საერთო მითითებებით უნდა ეხელმძღვანელათ.[36]

იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ამ პროგრამის პრაქტიკულად განხორციელების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ მიზეზს, ფინანსური სიძნელეები განაპირობებდა. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალის მიხედვით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ამ მხრივ მართლაცდა გასაჭირი ჰქონდა. საოლქო კომიტეტისა და პარტიული პრესის შესახებ ვ. წულაძის მიერ იმავე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, ამის შესახებ ხაზგასმით იქნა მითითებული. ძირითად მიზეზად იგი პარტიული ორგანიზაციისაგან სავალდებულო პროცენტების გადაუხდელობას ასახელებდა[37] ეს შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, რადგან, რეგიონისა და თვით თბილისის სამაზრო პარტორგანიზაციები ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამის შესახებ სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის 1919 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „საჭიროა პროპაგანდისტები და საზოგადოთ პარტიული პროფესიონალი მოღვაწეები, მაგრამ ამას თანხა სჭირდება და ორგანიზაციებისათვის ეს მიუწვდომელი ხდება."[38] იგივე საკითხი იქნა დასმული სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1919 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე. საფინანსო კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ნ.ხომერიკმა პარტიის საწევროების გადაუხდელობა დაასახელა. ეს პრობლემა თბილისის კომიტეტის წინაშეც იდგა. ბუნებრივია მან ასახვა ჰპოვა თბილისის კომიტეტის 1919 წლის ანგარიშშიც. „პარტიული გადასახადი ისეთი მცირეა, ვკითხულობთ დოკუმენტში, რომ რაიონებს რაგინდ დიდი რიცხვი ყავდეს წევრებისა, მათი საწევრო შემოსავლით ისინი მაინც ვერ იარსებებენ."[39] ამის ერთ-ერთ მიზეზად პროვინციებთან შედარებით თბილისის პარტიული ორგანიზაციების დაბალი გადამხდელუნარიანობაა დასახელებული. მოტანილია ფაქტი, რომ პროვინციის მუშების თვიური გადასახადი 10 მანეთს შეადგენდა, ხოლო ჭიათურის მუშების გადამხდელუნარიანობა შემოსავლის ერთი პროცენტიდან 30 მანეთს. მიუხედავად ამისა, ეს თანხა ფულადი ერთეულის კურსიდან გამომდინარე, უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენდა. „რომ შეგადაროთ ჩვენი დღევანდელი გადასახადი, – ვკითხულობთ ანგარიშში, იმ გადასახადს, რომელსაც წინათ იხდიდნენ მუშები პარტიის სასარგებლოთ (2-3 %) გამოვა, რომ დღევანდელი გადასახადი 30-ჯერ უფრო ნაკლებია ძველზე. დღეს თბილისის ორგანიზაციები ერთი პროცენტის მეათედ- მეთხუთმეტედ ნაწილს თუ იხდიან პარტიის სასარგებლოდ. ამ პირობებში, რა თქმა უნდა ძნელია პარტიის არსებობა. პარტიის არსებობა თვით მასაზე

უნდა იყოს დამოკიდებული და არა შემთხვევით საძებნელ საშუალებებზე. მუშათა პარტია იარსებებს მაშინ, თუ მას თვით მუშები შეინახავს, სხვა გზით მისი არსებობა შეუძლებელია და არც სასურველი."[40] როგორც ვხედავთ, ფინანსური შემოსავლების თვალსაზრისით, პარტიული ორგანიზაციები მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მისი გამოსწორების ერთად-ერთ რეალურ გზას, თვით მუშათა კლასის გადამხდელუნარიანობა წარმოადგენდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ეტაპზე საქართველოში მძიმე ეკონომიკური პირობები იყო, ხოლო ყოველი ცენტი მუშის საარსებო ინტერესებს ხმარდებოდა, მაშინ სოციალ-დემოკრატიული პატიის წინაშე მდგომი ამოცანის გადაწყვეტა ურთულესი ბარიერის დაძლევას საჭიროებდა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლობა სწორი ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას მოითხოვდა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ცენტრალურ კომიტეტს რეგიონალური პარტორგანიზაციებიდან შემოსავალ-გასავლის დაზუსტებული ფაქტობრივი მონაცემები ექნებოდა.

როგორც საარქივო მასალიდან ირკვევა, მთელ რიგ პარტორგანიზაციებში აღრიცხვიანობა მოუწესრიგებელი იყო. როცა რესპუბლიკის რეგიონალურ სამაზრო კომიტეტებს სსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის ფულადი თანხის ციფრობრივი მონაცემები მოსთხოვა, საპასუხოდ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა (1920 წლის 22 იანვარი) შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „პირველი იანვრიდან 1919 წ. სწორი ცნობის მოცემა შეუძლებელია, ვინაიდან 22 ივნისამდე.. არ ყოფილა სათანადოდ დაყენებული შემოსავალ-გასავლის წიგნების წარმოება."[41] ამ შემთხვევაში შიდაპარტიული ორგანიზაციული საქმიანობისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ეს ნაკლი რესპუბლიკის თითქმის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს გააჩნდათ, რის გამოც რეგიონის პარტორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი სახის ჩვენება შეუძლებელი ხდება.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით შედგენილ ცხრილში (იხ. გვ.121) მოტანილი ციფრობრივი მონაცემები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა. მიუხედავად ამისა, არსებულიც საკმარისია იმ სირთულეების საილუსტრაციოდ, რომელსაც ფინანსურ სფეროში სსდმ პარტია განიცდიდა. შექმნილი მდგომარეობა მაქსიმუმის გაკეთების აუცილებლობას მოითხოვდა. ამის შესახებ თვით პარტიის უმაღლეს ეშელონებშიც მსჯელობდნენ. გაზეთმა „ერთობამ" განი-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „პარტიული მუშაობა" თავისი პოზიცია

შემდეგნაირად დააფიქსირა: „შექმნილმა მდგომარეობამ... პარტიას უმძიმესი მოვალეობა დააკისრა. ამ მოვალეობის პირნათლად ასრულება ითხოვს მთელი ჩვენი ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების ფეხზე დაყენებას. ისტორიას არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, როცა სახელმწიფოს შენება და ისიც ასეთ პირობებში მხოლოდ ერთი პარტიის ხელდრი ყო-

	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი
სსდმ თბილისის სამაზრო კომიტეტი	1918 წლის იანვარი 165783 მან 08 კაპ. 1919 წელი 67896 მან94 კაპ. 1920 წელი 647860 მან.14კაპ.	164996 მან 94 კაპ. 164560 მან 80კაპ. 555434 მან.	846 მან.14 კაპ. 346 მან14 კაპ. 92426 მან.14 კაპ.
გურიის სამაზრო კომიტეტი	1919 წელი 66560 მან 200320მან,50კაპ	432559 მან 160689 მან	23290 მან 3963 მან.50 კაპ.
ქუთაისის სამაზრო კომიტეტი	1918 წელი აპრილი- ნოემბერი 36391მან, 31კაპ	36391 მან.31 კაპ.	
ბათუმის სამაზრო კომიტეტი	1919 წელი 22068,69 მან	2756მან	19312მან.
გორის სამაზრო კომიტეტი	1919 წელი 50373 მან		
ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი.	1919 წლის 22 ივნისიდან 1920 წლის 4 თებერვლამდე 112401 მან. 10კაპ	112401 მან.10 კაპ.	

აქ გარკვევითაა ნათქვამი იმ ისტორიული მისიის შესრულების შესახებ, რომელიც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მიზნად დაისახეს. მის ლიდერებს კარგად ესმოდათ, სურვილი და შესაძლებლობები ერთმანეთს რომ არ დაცილებოდა, პირველხარისხოვან ამოცანას მასაზე ზემოქმედება და მხარდაჭერის გარანტიების შექმნის აუცილებლობა წარმოადგენდა. რეალური შედეგები საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერებაზე იყო დამოკიდებული. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთმა „ერთობამ" მკითხველ საზოგადოებას და თვით პროპაგანდისტებს სპეციალური თემატური გეგმაც კი შესთავაზა. იგი ითვალისწინებდა: 1) დემოკრატიული წყობილებისათვის დამახასიათებელი პრინციპების ახსნა-განმარტებას, 2) დამფუძნებელი კრების მუშაობის სპეციფიკისა და მის მიერ მიღებული კანონების ხალხისადმი გაცნობას, 3) ერობის როლისა და დანიშნულების განმარტებას საზოგადოებისათვის, 4) ბოლშევიკებისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პროგრამული და თეორიული პრინციპების ურთიერთ შეპირისპირების ფონზე განხილვას და ამ პრობლემატიკით საზოგადოების დაინტერესებას.[43] მიუხედავად ამისა, იმავე გაზეთში არაფერი იყო ნათქვამი, რა ორგანიზაციულ პრინცპს დაემყარებოდა ეს საქმიანობა და მისი შესრულების პასუხისმგებლობას ვინ იტვირთებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ იმსჯელა დუშეთის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მეორე ყრილობამ (1919 წლის 6 აპრილი) და მიღებული რეზოლუციით მიზანშეწონილად მიიჩნია: მაზრის რაიონებად დაყოფა, თითოეულ რაიონში სამაზრო კომიტეტიდან მომზადებული პროპაგანდისტის გაგზავნა, რომელიც ორ კვირაში ერთხელ, გაწეული მუშაობის ანგარიშს კომიტეტს წარუდგენდა.[44] იგივე საკითხები იყო დასმული სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის ივნისში პროპაგანდისტებისათვის დაგზავნილ ინსტრუქციაში. დოკუმენტი ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა: აგიტაცია-პროპაგანდა აეგოთ იმ პერიოდის საჭირბოროტო საკითხებზე და ყურადღება დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივ მდგომარეობაზე გადაეტანათ, კერძოთ; მიწის საკითხის გადაჭრასთან წარმოშობილ პრობლემებზე, პარიზის კონფერენციაზე ერობის განმტკიცებაზე, სასურსათო კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე ეზრუნათ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონების პრაქტიკულად გატარებაზე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი იდეის პოპულარიზაციაზე.[45] რაც შეეხება თვით პროპაგანდისტებს, ისინი ვალდებულნი იყვნენ, კვირაში ერთხელ ცენტრინაშე წერილობითი ანგარიშით წარმდგარიყვნენ. როგორც ვხედავთ

რაიონებში იდეურ-პოლიტიკური საქმიანობა თითოეული ინდივიდის არა მარტო პროფესიონალიზმზე, არამედ მის კეთილსინდისიერებაზეც იყო დამოკიდებული. საარქივო მასალებიდან არ ჩანს ის საზედამხედველო მექანიზმი, რომელიც პროპაგანდისტთა გაწეული მუშაობის შეფასებას ადგილზევე მოახდენდა. აქედან გამომდინარე, საქმისადმი ზედაპირული დამოკიდებულება გამორიცხული არ იყო. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ რესპუბლიკის განაპირა მხარეებში იდეოლოგიურ ფრონტზე ბოლშევიკთა გააქტიურების ფაქტები შეინიშნებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გურიის სამაზრო კომიტეტის 1920 წლის სამი ივლისის საგანგებო სხდომამ სპეციალურად იმსჯელა. მიუთითა ბოლშევიკთა იმ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაზე, რომელსაც მასაში პრესის უფასოდ გავრცელებით ეწეოდნენ. აუცილებლობა ამ პროცესისადმი დასაპირისპირებელი მექანიზმის შემუშავების საჭიროებას მოითხოვდა. „ასეთი მდგომარეობა- ამბობდა ნ. რამიშვილი-გვიკარნახებს გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა, მორალურად მოვკლათ ბოლშევიკები ხალხის თვალში." ამის მიღწევა, იდეოლოგიური ფრონტის სადავეების ხელში აღებით და საზოგადოების ცნობიერებაში ბოლშევიკთა იდეებისადმი ზურგშექცევის დამკვიდრებით იქნებოდა შესაძლებელი. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პოლიტიკური კურსის, შესახებ საჯარო ლექციების წაკითხვის აუცილებლობაზე იქნა გადატანილი.[46] მისი განხორციელების ერთ-ერთ პირობად, მაზრის პარტორგანიზაციებში მომხსენებელთა კოლეგიის დაუყოვნებლივ შექმნა დასახელდა, რომლის ძირითად ამოცანას, პარტიულ კრებებზე და მასობრივი თავშეყრის ადგილებში, მოხსენებების წაკითხვის ორგანიზება და მარქსისტული მოძღვრების შემსწავლელი წრეების მოწყობა წარმოადგენდა. მიმდინარე საქმისადმი ხელმძღვანელობა, სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ საპროპაგანდო კოლეგიას (გ.გოგუაძე, რ.ჩხაიძე, გ.საბაშვილი) დაევალა. ამ დოკუმენტის მიხედვით, პარტიის ყველა წევრი, პრეზიდიუმის უსიტყვო მორჩილებასთან ერთად, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და მიმდინარე პროცესის პასუხისმგებელიც იყო.[47] ამით ფაქტობრივად შეიქმნა ის საზედამხედველო მექანიზმი, რომლის აუცილებლობის შესახებ ზემოთაც მქონდა მითითებული. მიუხედავად ამისა, არსებული სირთულეების წარმომშობი ბარიერი დაუძლეველი რჩებოდა. მას, ქართულ ენაზე შესაბამისი პოლიტიკური ლიტერატურის უმნიშვნელო რაოდენობა

განაპირობებდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ დეფიციტს რაიონის პარ-ტორგანიზაციები განიცდიდნენ. ცენტრიდან დახმარების შეუძლებ-ლობის გამო, არსებული პრობლემების მოგვარების პასუხისმგებ-ლობა სამაზრო კომიტეტებმა აიღეს, მაგალითად სდმ პარტიის გორის სამაზრო ყრილობამ (1918 წლის 22 ოქტომბერი) პარტიული ლიტერატურისა და სამეცნიერო პოპულარული ორგანოს ქართულ ენაზე გამოცემის ნებართვის მიღების საკითხი პარტიის საოლქო კო-მიტეტის წინაშე დააყენა.[48] მართალია, იგი დროის მოთხოვნას შეე-საბამებოდა, მაგრამ დადებითად გადაწყვეტა, გარკვეულ სიძ-ნელეებთან იყო დაკავშირებული. აქ არა მარტო ფინანსური პრობლე-მა, არამედ იმ ხელმძღვანელი ბირთვის შექმნის აუცილებლობის საკითხიც იდგა, რომელიც საქმეს კურირებას გაუწევდა და სტამ-ბურად გამოცემული პროდუქციის პასუხისმგებლობასაც იკისრებდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, თბილისის კო-მიტეტმა იგი სპეციალური განხილვის საგნად აქცია და პარტიული გამოცემების შესახებ საგანგებო დადგენილება მიიღო. „წიგნების ან რაიმე ბროშურების გამოცემის უფლება- ვკითხულობთ დოკუმენტში- პარტიის სახელით აქვს მხოლოდ თბილისის კომიტეტს, სადაც უნდა შეიქმნას პერიოდულ გამოცემათა ხელმძღვანელი სარედაქციო კოლე-გია."[49] საკითხის ამ ფორმით დაკონკრეტებამ, სამაზრო კომიტეტებს აღნიშნულ ინიციატივაზე უარი ათქმევინა. მიუხედავად ამისა, ეს საგამომცემლო საქმის უკანა პლანზე გადატანას სრულებითაც არ ნიშნავდა. ამის შესანიშნავ დადასტურებას სსდმ პარტიის მეორე ყრილობის მიერ პარტიული გამომცემლობის შესახებ მიღებული რეზოლუცია წარმოადგენს. მისი ძირითადი დებულებები შემდეგ-ნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. ცენტრალური კომიტეტ-ვალდებული იყო გამოეცა: ა) ყოველთვიური მარქსისტული სამეც-ნიერო ჟურნალი, ბ) მდაბიო მკითხველისათვის იაფ-ფასიანი ყოველ-კვირეული ორგანო, 2. ცენტრალურ კომიტეტს მაქსიმალურად უნდ-ეზრუნა ორიგინალური და ნათარგმნი პარტიული ლიტერატურის გამოცემის გაფართოებაზე, პარტიის საპროგრამო დებულებების გაშუქებაზე, მის პოპულარიზაციაზე. 3. ადგილობრივ პარტორგ-ნიზაციებს და კერძო ჯგუფებს, სოციალ-დემოკრატიული ლიტერა-ტურის გამოცემის უფლება მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ლი-ცენზიით ეძლეოდათ.[50] როგორც ვხედავთ, დოკუმენტი საგამომცემლ-საქმის მნიშვნელობის წინ წამოწევასთან ერთად, განსაკუთრებულ-ყურადღებას „მდაბიო მკითხველზე" ანუ ფართო მასებზე ამახვილებ-

და, რითაც პარტიის სიძლიერის შენარჩუნებაში საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის აუცილებლობაზე მიანიშნებდა. ამ თვალსაზრისით, მასაზე ზემოქმედების ყველაზე დიდ საპროპაგანდო საშუალებას, მმართველი პარტიის საპარლამენტო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გამოქვეყნება წარმოადგენდა. ამ მიზნის აღსრულება ქონდა მხედველობაში დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, როცა 1919 წლის დეკემბერში დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისიის შექმნისა და მისთვის ორი მილიონი მანეთის გამოყოფის საკითხი დააყენა.[51] კონკრეტულად რა სახის სამუშაოს შესრულება დაევალებოდა აღნიშნულ ორგანოს, ამის შესახებ სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1919 წლის 10 დეკემბრის დადგენილებაში გარკვევითაა მითითებული: „მიენდოს საპროპაგანდო კომისიას გამოსცეს წიგნაკები და ფურცლები დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის ყველა რეფორმათა და სხვა მნიშვნელოვან ნაბიჯებზე, როგორიცაა: აგრარული რეფორმა, ეკონომიკური მდგომარეობა უცხოეთსა და ჩვენში, მართვა-გამგეობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, გადასახადები, ჯარი და გვარდია, ბოლშევიკების გამოსვლა და სხვა,"[52] სსდმ პარტიის 1921 წლის 19 იანვრის კონფერენციამ ანალოგიური საკითხების განხილვის შედეგად მიღებული დადგენილებით, ცენტრალურ კომიტეტს დამფუძნებელი კრებისა და სხვა ორგანოების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციების მუშაობის ანგარიშის დაუყოვნებლივ გამოცემა დაავალა.[53] როგორც ვხედავთ სოციალ-დემოკრატიის მხრიდან ამ მექანიზმის გამოყენების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, უპირატესობას ლექტორ –პროპაგანდისტების მიერ წაკითხულ მოხსენებებს ანიჭებდნენ. თუ რა პრინციპით იყო თემატიკა შედგენილი, ამის საილუსტრაციოდ თბილისის კომიტეტის მიერ 1920 წლის იანვარ-თებერვალში წაკითხული ლექცია-მოხსენებების ნუსხა გამოდგება.

1).საერთაშორისო სიტუაცია და საქართველოს საკითხი- მომხსენებელი აკ. ჩხენკელი 3 იანვარი 2).თანამედროვე მდგომარეობა- მომხსენებელი ევ. გეგეჭკორი, 14 თებერვალი. 3).რუსეთის რევოლუციაწარსული და მომავალი მომხსენებელი მ.სკობელოვი, 14 თებერვალი. 4) საგარეო პოლიტიკა და თანამედროვე მომენტი- მომხსენებელი აკ.ჩხენკელი, 17 თებერვალი. 5) პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლუცია- მომხსენებელი ნ.რამიშვილი, 25 თებერვალი.[54] ამ ჩამონათვალში ყველა ცნობილი პოლიტიკური

მოღვაწეა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პარტია კვალიფიცირებული ლექტორ-პროპაგანდისტების ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ, საპასუხისმგებლო სამუშაოს თუნდაც ნაწილობრივ შესრულება ისევ სდმ პარტიის ლიდერებს ეკისრებოდა. ამ საქმით მათი მუდმივი დატვირთვა, თითოეული მათგანის პარტიული და სახელმწიფოებრივი თამამდებობებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო. არსებული სინამდვილე ლექტორ-პროპაგანდისტთა სპეციალური ჯგუფის მომზადების საჭიროებას მოითხოვდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1918 წლის 28 იანვარს სსდმ პარტიის თბილისის პირველი რაიონის კოლექტივის კრებამ იმსჯელა. მიღებულ დადგენილებაში აქცენტი პარტიული სკოლების დაარსების აუცილებლობაზე იყო გაკეთებული.[55] იგივე საკითხი გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების 1918 წლის ოქტომბრის ყრილობაზედაც დაისვა. მოწინავე მუშების მოსამზადებლად გერმანული ტიპის პარტიული სკოლებისა და მოძრავი კურსებით ლექტორთა კოლეგიის შექმნა იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.[56] რაც შეეხება მათი მუშობის თემატიკას, იგი საოლქო კომიტეტმა შემდეგნაირად განსაზღვრა: 1) მუშათა მოძრაობის ისტორია, 2) სდმ პარტიის ისტორია, 3) ისტორიული მატერიალიზმი, 4) პოლიტიკური ეკონომია, 5) სოციალური კანონმდებლობა, 6) ისტორია და პრაქტიკა პროფესიონალური მოძრაობისა, 7) ისტორია და პრაქტიკა კოოპერაციული მოძრაობისა, 8) მსოფლიო ომი და ინტერნაციონალი, 9) სახელმწიფო უფლება, 10) სხვადასხვა სახელმწიფო წყობილება, 11) აგრარული საკითხი, 12) სსდმ პარტიის პროგრამა, 13) ზოგიერთი ცნობები საქართველოს ისტორიიდან. მიუხედავად ამისა, დასახული მიზნის განხორციელება ფერხდებოდა, რის გამოც იგი უმაღლესი ეშელონების მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტისა და ყველა მისი ორგანიზაციის შეერთებულ ხდომაზე (დაესწრო 76 კაცი) ერთხელ კიდევ დაისვა საკითხი პარტიული მასის პოლიტიკურად აღზრდის, პარტიული სკოლების შექმნის და სასურველად მოწყობის საჭიროებაზე[58] მიუხედავად ამისა საკითხი ადგილიდან არ იძროდა. საარქივო მასალებში ამის მიზეზობრიობის ახსნასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. ერთი რამ ცხადია, რომ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი სსდმ პარტიის მეორე ყრილობის განსჯის საგანი გახდა. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „დაევალოს ცენტრალურ კომიტეტს მოაწყოს ცენტრალური პარტიული სკოლა, ხოლო აგილობრივ ორგანიზა-

ციებს-ასეთივე სკოლების მოწყობა ადგილობრივად"[59] ამ დოკუმენტის მიღებიდან (1920 წლის 19 იანვარი) სამი თვის შემდეგ, სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტმა შემდეგი სახის დადგენილება მიიღო: „მიეცეს რაიონებს წინადადება შეუდგნენ პარტიული სკოლების გახსნის პრაქტიკულად განხორციელებას."[60] საკითხის ოფიციალურად ასეთი ფორმით დაყენების მიუხედავად, მისი პრაქტიკული განხორციელება არ ხერხდებოდა. იგი ძირითადად პარტიაში შექმნილი ფინანსური სიძნელეებით იყო განპირობებული. ბუნებრივია, ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა კვლავაც დღის წესრიგში რჩებოდა

ამრიგად, 1) ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზაციის საფუძველზე მოსახლეობის ფართო ფენებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება და მისგან რეალური მხარდაჭერის გარანტიების შექმნა პარტიის სიძლიერის შენარჩუნების ერთ-ერთ მყარ საფუძველს წარმოადგენდა. 2) საპროპაგანდო მუშაობის თემატური გეგმის შემუშავება, სამაზრო კომიტეტების პრეზიდიუმებთან საპროპაგანდო კოლეგიების და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისიის დაარსება, სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის კოორდინაციისა და მისი გაღრმავების ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. 3) ლექტორ-პროპაგანდისტების მიერ წაკითხული ლექციებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, საზოგადოებაზე ზემოქმედების აუცილებლობით იყო განპირობებული.

§3 ხელისუფლების შენარჩუნების საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიის მოახლოებამ, ქართული სოციალ-დემოკრატიის წინაშე, ხელისუფლების დემოკრატიული გზით შენარჩუნების საკითხი მთელი პრინციპულობით დააყენა. მიუხედავად ამისა, მომავალ საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მონაწილეობას, სოციალ-დემოკრატები აუცილებლობად მიიჩნევდნენ. ამის ხელშემწყობ რეალურ პირობად, საქართველოს ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადებას ასახელებდნენ. თუ რამდენად მომგებიანი იქნებოდა ოპოზიციური პარტიებისათვის არჩევნების ასეთი ფორმით ჩატარება, ამის შესახებ ალ.ლომთათიძე რსდმ პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების მერვე საოლქო ყრილობის (1918 წელი) 16 ნოემბრის სხდომაზე ხაზგასმით მიუთითებდა: „ასეთი სისტემის დროს ხმები არ იკარგება. პატარა პარტიებისათვის ასეთი სისტემა განსაკუთრებით ხელსაყრელია. თუ პატარა ოლქებში ისინი ვერ გაიყვანენ

წარმომადგენელს, დიდმა ოლქებმა იქნებ რამდენიმე წარმომადგენელი მისცეს მათ."[61] ამის რეალურ საფუძველს დამფუძნებელი კრების ოთხ საფეხურიანი ტექნიკური საარჩევნო აპარატის შექმნაც იძლეოდა. ესენი: ცენტრალური, სამაზრო, სასოფლო საზოგადოებისა და სოფლის წვრილი ერთეულების საარჩევნო კომისიების სახით იყო წარმოდგენილი. თითოეულ მათგანს კონკრეტული ფუნქციები ეკისრებოდა. ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ესმოდათ, რომ კომისიების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საპროპაგანდო საქმიანობა, გარკვეულ ფინანსებს საჭიროებდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ერთად-ერთ რეალურ საშუალებად სპეციალური ფონდის შექმნა აუცილებლობად იქნა აღიარებული. იმავე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ დაარსდეს განსაკუთრებული საარჩევნო ფონდი პარტიული ამხანაგების მიერ შემოტანილ სპეციალურ გადასახადებისაგან თანახმად ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებისა."[62] ეს დოკუმენტი სსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სახელმძღვანელოდ მიიღო და 1918 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით პარტიის ყველა წევრს ამ დანიშნულებისათვის ერთი დღის ხელფასის ორგანიზაციის ანგარიშზე შეტანა დაავალა. რაც შეეხება სოფლის ორგანიზაციებს, მათ უფლება მიეცათ პარტიის წევრთა დღიური შემოსავლის საშუალო რაოდენობა დამოუკიდებლად განესაზღვრათ და მისი გადახდა ადგილზევე მოეხდინათ.[63] ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში (1918 წლის დეკემბერი) პარტიის ცენტრალური კომიტეტი გარკვევით მიუთითებდა: „პარტიის ყველა წევრმა დაუყოვნებლივ უნდა გაიღოს ერთი დღის ქირა საარჩევნო ფონდისათვის.[64] საარჩევნო კომისიების დაუფინანსებლობით შექმნილ სიძნელეებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასოფლო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების მოთხოვნას-100 მომზადებული პროპაგანდისტის გამოყოფისა და დაფინანსების შესახებ, სსდმ პარტიის ცეკას 1918 წლის 29 ნოემბრის სხდომამ უარით უპასუხა. მან მხოლოდ თბილისში 10-მდე პროპაგანდისტის აყვანაზე განაცხადა თანხმობა. მიღებულ დადგენილებაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ „გამოინახოს სახსარი პროპაგანდისტების სოფლად გასაგზავნად. ამისათვის მიღებულ იქნას ხარჯთა აღრიცხვა და გატარდეს ის ბიუროში."[65]

ეს საკითხი დაუყოვნებლივ მოწესრიგებას საჭიროებდა, რადგან თვით პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების მოწვევის თარიღად

1919 წლის 14 თებერვალს, ხოლო დამფუძნებელი კრების არჩევნების დროდ 12 მარტს ასახელებდა.[66]

აუცილებლობა გეგმაზომიერი და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებდა. მითუმეტეს, არჩევნების პერიოდში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინაშე დამატებითი პრობლემების შექმნა გამორიცხული არ იყო. ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „საარჩევნო კამპანიის დასაწყისი" სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი დაპირისპირებად სამ ძირითად ძალას გამოყოფდა. 1) გარეშე მტრებს, რომლის ბანაკში საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე და რუსეთთან გაერთიანების მომხრე პარტიები იყვნენ თავმოყრილნი. 2) შინაურ მტრებს, ანუ ყველა იმ პარტიებს, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგრარული კანონმდებლობით უკმაყოფილონი იყვნენ. 3) ეროვნებათა შუღლის გაღრმავების ბანაკს, ანუ ბანაკს „ომისა და ზავისას". იგი აერთიანებდა ყველა სახის ნაციონალისტებს, რომლებსაც სომხეთთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა მიუღებლად მიაჩნდათ. ეს გარეგმოება გათვალისწინებას საჭიროებდა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან სიფრთხილეს მოითხოვდა. ამიტომ, იგივე გაზეთი პასუხისმგებელ პირებს შეახსენებდა, რომ „პარტიამ დაწვრილებით უნდა გამოარკვიოს რომელი მხრიდან არის მოსალოდნელი მტრის შემოტეგა."[67] საფრთხის გარდუვალობა იმდენად აშკარა იყო, რომ გაზეთმა „ერთობამ" მოწინავე წერილში „დამფუძნებელი კრება" სპეციალურად გაამახვილა ყურადღება. იგი საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნასა და არჩევნებისადმი ხელშეშლას გარეშე ძალების დახმარებით, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის საქმიანობას უკავშირებდა. მოსალოდნელი საფრთხის აცილების ერთ-ერთ პირობად, სოციალ-დემოკრატები, დემოკრატიის სადავეების ხელიდან არგაშვებას და მის გარშემო ძალების გაერთიანებას მიიჩნევდნენ. ამის აუცილებლობას იგივე გაზეთი რუსეთის სინამდვილის ფონზე ასაბუთებდა. დემოკრატიულ მართვა - გამგეობას "მთელი რუსეთი შესტრფოდა- წერდა გაზეთი – მაგრამ ვერ ზიდა და ტვირთქვეშ ჩაიკეცა. საქართველოს დემოკრატიამ დღემდე ზიდა ეს ტვირთი და ეხლა თავი უნდა დაადგას ორი წლის ნაშრომს,.. ასეთი თავდადგმა შეუძლია დამფუძნებელ კრებას."[68]

დამფუძნებელი კრების როლი და მნიშვნელობა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს რამდენადაც სიღრმისეულად ჰქონდათ გააზრებული, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის მაქსიმალურად გათვალისწინებას და პარტიის ინტერესებისადმი შესაბამისობაში მოყვანას ცდილობდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ

დასახული მიზნის რეალობად გადაქცევას პარტიული ორგანიზაციების მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფა განსაზღვრავდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1919 წლის 21, 22 და 28 იანვრის დადგენილებით, საარჩევნო კამპანიისათვის შორაპნის, ჭუთაისის, რაჭის, ლეჩხუმის, თელავის, სიღნაღის და თბილისის სამაზრო კომიტეტებს 5000-5000 მანეთი გამოეყოთ, ხოლო ზუგდიდის ორგანიზაციას –15000, თიანეთის პარტორგანიზაციას-10000, დუშეთისას-7000, ახალციხეახალქალაქისას-15000. იმავე წლის 3 თებერვლის დადგენილებით 5000 მანეთის დამატებითი ფინანსები გამოეყო –გორის, ზუგდიდის, შორაპნის და სენაკის პარტიულ ორგანიზაციებს.[69]

ეს ფაქტები წინასაარჩევნო კამპანიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის უშეღავათო ბრძოლისა და რესპუბლიკის მასშტაბით მყარი დასაყრდენის შექმნის მზადების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. მის ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ მოსახლეობის უმრავლესობისაგან მხარდაჭერის გარანტიის მისაღებად, ისეთი საარჩევნო პლატფორმის შემუშავება იყო საჭირო, რომელიც პარტიის საპროგრამო დებულებებიდან გამომდინარე, პრაქტიკულ სინამდვილესთან ახლოს იქნებოდა და ხალხის მოთხოვნებს უპასუხებდა. ასეთი დოკუმენტის შედგენა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კომისიის დადგენილებით (1919 წლის 5 იანვარი) რ.არსენიძეს დაევალა, ხოლო არჩევნების ტექნიკური ხელმძღვანელობა გ.ერაძეს. სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1919 წლის იანვრის სხდომამ საგანგებოდ განიხილა დამფუძნებელი კრების არჩევნების სამზადისის საკითხი და მიღებული დადგენილებით საარჩევნო ფურცლების, ბიულეტენებისა და პარტიის საარჩევნო პლატფორმის დაუყოვნებლივი გამოცემა საჭიროდ მიიჩნია.[70] ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი სათაურით „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა" გაზეთმა „ერთობამ" გამოაქვეყნა.[71] იგი საზოგადოებას შეახსენებდა იმ დამსახურებას, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, დემოკრატიის დამკვიდრების, ბოლშევიკური ანარქიისაგან ქვეყნის გადარჩენის, თურქული საფრთხისაგან გამოსავალი გზების ძიების და სომხური აგრესიის მოგერიების საქმეში. რაც შეეხება მეზობელ სახელმწიფოებთან სადაო საკითხების გადაწყვეტას, უპირატესობა მშვიდობიანი მოლაპარაკების, ან არბიტრაჟის გამოყენების ფორმას ჰქონდა მინიჭებული. დაუშვებლად იყო მიჩნეული მოწინააღმდეგის სურვილის-ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას გათვალისწინება. ეს დოკუმენტი სოციალ-დემოკრატიის ძირითად

მიზნად ხალხის სრულ ბატონობას, დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული ერთპალატიანი პარლამენტის შექმნას, დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში განურჩევლად ეროვნებისა, ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობით აღჭურვას, სოფლის გლეხობისა და მუშათა უფლებების დაცვას, რვასაათიანი სამუშო დღის დაკანონებას, 16 წლამდე მოზარდთა შრომის აკრძალვას, სახელმწიფო დაზღვევისა და პენსიების მოგვარებას, დარიბი და უდარიბესი ფენებისადმი გადასახადების შემცირებას, შრომის კანონის დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, მრეწველობის აღორძინებას, საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელშეწყობას, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვასა და სრული დემოკრატიზმის განხორციელებას ისახავდა მიზნად.[72]

როგორც ვხედავთ, აქ პრაქტიკულ სინამდვილესთან შესაბამისობაში სოციალ-დემოკრატიის ძირითადი საპროგრამო დებულებები თითქმის სრულყოფილადაა გადმოცემული. იგი პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა და ფართო მასებზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას ითვალისწინებდა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა (1919 წლის 14 თებერვალი) გამარჯვება ქართველ სოციალ-დემოკრატებს მოუტანა. ხმების მიხედვით, დეპუტატთა რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა: სოციალ-დემოკრატები (409,766 ხმა)-109 დეპუტატი, ეროვნულ- დემოკრატები (30,154) –8 დეპუტატი, სოციალისტ-ფედერალისტები (33,721 ხმა)-8 დეპუტატი, სოციალისტ-რევოლუციონერები (21,453 ხმა)-5 დეპუტატი.[73] აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით რესპუბლიკის მთელ რიგ მაზრებში, მათ შორის ჯავახეთშიაც არჩევნები გადავადებულ იქნა. ამ რეგიონისადმი სომხეთის ხელისუფალთა პრეტენზიებიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების არჩევნებს ფაქტობრივად ახალციხე-ახალქალაქის მოსახლეობის ორიენტაციის საკითხი უნდა განესაზღვრა, ვ.ნოზაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას პლებისციტის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.[74] ეს ფაქტორი ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, ამიტომ ისინი არ ჩქარობდნენ და ხელსაყრელი სიტუაციის შექმნას ელოდნენ. რეგიონში არსებულ რთულ მდგომარეობაზე მიუთითებს ა. სალუქვაძის მიერ 1919 წლის 29 ივლისს პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები. მასში იმ ანტიქართული საქმიანობის შესახებაა მითითებული, რომელსაც ჯავახეთში დაშნაკცუთიუნის პარტიის წარმომადგენლები ეწეოდნენ. იგი კატეგორიულად აყენებდა საკითხს: „აუცილებლად საჭიროა შეიარაღებული ძალების გაძლიერება, გვარდიის გამაგრება.

აქ შეჩერება არ შეიძლება. ფული და ძალა უნდა დაიხარჯოს."[75] ეს ანგარიშგასაწევი გაფრთხილება ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ თავის პოლიტიკურ საქმიანობას ამ რეგიონისადმი მიმართებაში საფუძვლად დაუდო. მართალია, დამფუძნებელ კრებაში გამარჯვება მას მოპოვებული ჰქონდა, მაგრამ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში საქართველოს ინტერესების შესატყვის დონეზე არჩევნების მოუმზადებლად ჩატარება, დანაშაულებრივ ქმედებად მიაჩნდა. ეროვნულის პრიმატიდან გამომდინარე, მისთვის „სულერთს" არ წარმოადგენდა გამარჯვების კვარცხლბეკზე ვინ ავიდოდა. ამას სსდმ პარტიისა და სასოფლო კომისიის ერთობლივი სხდომის (1919 წლის 31 ივლისი) დადგენილება—ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით დამატებით 50000 მანეთის გამოყოფის ფაქტიც ადასტურებს.[76] ამიტომ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დასახული მიზნის მისაღწევად ძალა და ენერგია რომ არ დაიშურეს. მათ გააკეთეს ის, რაც საქართველოს ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ შეძლო. ახალციხის მაზრის 35 ათასი ამომრჩევლიდან, არჩევნებში 30 ათასი მონაწილეობდა. აქედან 24 ათასმა ხმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მისცა. ეროვნულმა პარტიამ 2500 ხმა მიიღო, ხოლო დაშნაკცუთიუნმა 3000 ე. ი. მთლიანად ქართულმა პარტიებმა 26500 ხმა მიიღეს. რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, 25 ათასი ამომრჩევლიდან 13 ათასმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მისცა ხმა, ხოლო 7 ათასმა დაშნაკცუთიუნის პარტიას.[77] თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ არჩევნებში სოციალ-დემოკრატიის და არა დაშნაკცუთიუნის გამარჯვებას, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" ხაზგასმით მიუთითებდა: „ერევნის მთავრობა ქვეყანას არწმუნებდა, რომ ჯავახეთი მისი კუთვნილებაა, მას იქ ჰყავს სომხების დიდი უმრავლესობა, რომელსაც საქართველოსთან არ სურს ყოფნა და ერევნისკენ მოიწევსო... არჩევნებმა დაამტკიცა, რომ თუ მთელი მცხოვრებლები არა ჯავახეთის ხალხის ორი მესამედი საქართველოს ღვიძლი შვილებია-ამიერიდან ერევნის მთავრობამ თავი უნდა დაანებოს უსაფუძვლო პრეტენზიებს, უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ცდა ჯავახეთის შეერთებისა არის მიუტევებელი ავანტიურა."[78]

როგორც ვხედავთ, ეს წარმატება ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა და იგი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შენარჩუნებისათვის ხელჩასაჭიდ მძლავრ ბერკეტად გამოიყენა. დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები, სექტემბრის შუა რიცხვებისათვის გარდა აფხაზეთისა (განსაკუთრებული მდგომარეობის გამო) ყველგან დამთავრდა. მისმა შედეგებმა დამფუძნებელ

კრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოითხოვა. დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგების შესახებ გ. ურატაძის მოხსენებაში (1919 წლის 19 სექტემბერი) მოტანილი მონაცემების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 592846-მდე გაზრდის შედეგად, დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ დემოკრატებმა ერთი, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა ოთხი ადგილი დაკარგეს და მათი დეპუტატების რიცხვობრივი რაოდენობა 109-დან 105-მდე შემცირდა. სანაცვლოდ დამფუძნებელ კრებაში დაშნაკცუთიუნის სამი და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთი წარმომადგენელი იქნა შეყვანილი. რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტებს, მათ ერთი ადგილი დაემატა.[79] აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე-დამფუძნებელი კრების მონაწილე პოლიტიკური პარტიების დეპუტატების რაოდენობა შემდეგ ნაირად განაწილდა: სოციალ-დემოკრატები-105, სოციალისტ-ფედერალისტები-9, ეროვნულ დემოკრატები-7, სოციალისტ-რევოლუციონერები-5, დაშნაკცუთიუნი-3, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია-1 როგორც ვხედავთ, 15 პოლიტიკური პარტიიდან და ჯგუფიდან მხოლოდ ექვსმა შეძლო ხმების იმ რაოდენობის დაგროვება, რომელიც ახალ საკანონმდებლო ორგანოში ადგილებს დაუმკვიდრებდა. მიღწეული წარმატებიდან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატებმა დამფუძნებელ კრებაში ძლიერი პოლიტიკური ფრაქცია ჩამოაყალიბეს, ხოლო იმავე წლის 18 მარტს, ხელმძღვანელი ბიურო შექმნეს. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ს.ჯიბლაძე, რ.არსენიძე, კ. ნინიძე, კ.ანდრონიკაშვილი, პ.საყვარელიძე, ნ.ელიავა, გრ.ურატაძე, ნ. ცინცაძე, რ.ჩიხლაძე, ლ.ნათაძე, პრეზიდიუმის თავმჯდომარედ რ.არსენიძე, ხოლო მოადგილეებად ნ.ელიავა, და კ.ანდრონიკაშვილი, მდივნად გრ. ურატაძე აირჩიეს.[80]

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, საზეიმო ვითარებაში 1919 წლის 12 მარტს 12 საათსა და 12 წუთზე ს.ჯიბლაძემ გახსნა. იგი ზოგადად, მაგრამ შემფასებლის პოზიციიდან ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მისი ფეხზე დაყენების საფუძვლის მომზადებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის დამსახურებას შეეხო. „მხოლოდ დემოკრატიამ გადაარჩინა ჩვენი პატარა ნავი მწარე ხვედრს-ამბობდა ს. ჯიბლაძე-..მან ერთმა ააცილა ეს ნავი ათასგვარ დაბრკოლებას და კლდეებს, ანარქიის უძირო ზღვაში ამოზიდულთ და მოიყვანა აქ ამ სამშვიდობოში."[81] 1917-1918 წლებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ფაქტების სილრმისეული გაცნობიერება, სრულ შესაძლებლობას იძლევა ვალიაროთ, რომ ს.ჯიბლაძე ამ შემთხვევაში კრების მონაწილეებს სრულ სიმართლეს შეახსენებდა. ამიტომ იყო, რომ მის სიტყვას ოპოზიციური პარტიების მხრიდან საწინააღმდეგო რეაქცია არ მოჰყოლია.

იმავე სხდომამ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ნ. ჩხეიძე, მოადგილედ ალ.ლომთათიძე აირჩია. დღის წესრიგის თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტი დაადასტურა. რაც შეეხება მთავრობის საქმიანობის (1918 წლის მაისი 1919 წლის მარტი) შეფასების მცდელობას, ნ.ჟორდანიას 14 მარტის მოხსენებაში იყო მოცემული. მისი ძირითადი დებულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1) საქართველოს მთავრობამ რეგიონში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციას ალღო აუღო, შესატყვისი გზის გამოძებნითა და მოქმედების სწორი გეგმის შემუშავებით ქართველი ერის გადარჩენის ისტორიული მისია თავის თავზე აიღო, პირველი მსოფლიო ომიდან ქვეყანა უვნებლად გამოიყვანა, ანარქიისა და რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვისგან გადაარჩინა, საშინაო და საგარეო მყუდროება შეუნარჩუნა. 2) მუდმივი ჯარის შექმნაში შემაფერხებელი ფაქტორის როლი ოთხწლიანმა ომმა და ყაზარმულმა სისტემამ შეასრულა. მიმდინარე მოვლენებისადმი ანგარიშის გაწევამ და მეზობელი რესპუბლიკებიდან უსაფრთხოების გარანტიების არარსებობამ, თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად საჭირო რეფორმების დაუყოვნებლივ გატარების აუცილებლობა მოითხოვა. 3) რესპუბლიკის ეკონომიკაში წარმოშობილ სიძნელეებს, ვაჭრობა-მრეწველობის და გადასახადთა სისტემის სფეროში შექმნილი დაბალი დონე განაპირობებდა. მისი გამოსწორება შესაბამისი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით და შრომის ნაყოფიერების თანდათანობით გაზრდით უნდა მომხდარიყო.[82]

ასეთი ფონის შექმნის შემდეგ, ნ.ჟორდანია დამფუძნებელი კრების წევრების მისამართით აცხადებდა: „მე გაგაცანით მხოლოდ არსებული მდგომარეობა და ვამბობ, რომ რაც შეგვეძლო –ვიმუშავეთ, რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდათ მოვიყვანეთ თქვენამდის,.. ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადავე და გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, რაც; დავაკელით, ან რაც გამოგვრჩა... პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას."[83]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერის მიერ პოზიციის ამ ფორმით დაფიქსირება, მთავრობისადმი წაყენებული ყოველი პრეტენზიის გლობალურად გააზრების აუცილებლობას აყენებდა. მეორე მხრივ, აღნიშნული ნაცადი გზის დაწუნების შემთხვევაში, ოპონენტებისაგან უკეთესი ვარიანტის დასაბუთებული სახით წარმოდგენის აუცილებლობას მოითხოვდა. როგორც სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, მთავრობის საქმიანობის ნ.ჟორდანიასეული შეფასება დამ-

ფუძნებელი კრების დისკუსიის საგანი არ გამხდარა. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარდგენილ რეზოლუციას „შეწყნარებულ იქნეს განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ და დაეკისროს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეთა მართვა ახალი მთავრობის შედგენამდე"-ერთხმად იქნა მიღებული.[84] ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, კამათი მხოლოდ ახალი მთავრობის შედგენის ორგანიზაციულმა საკითხმა გამოიწვია. საქმეს კონსტიტუციური ნორმების არარსებობაც ართულებდა, რის გამოც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა შორის კონსესუსის მიღწევა ძნელდებოდა. აუცილებლობა გამოსავალი გზის ძიებას საჭიროებდა. ამასთან დაკავშირებით რ.არსენიძე დამფუძნებელი კრების მონაწილეებს ორ ვარიანტს სთავაზობდა: 1) საქმის გაძღოლის უნარის მქონე და სანდო პიროვნებებისაგან მთავრობის შედგენა პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მინდობოდა, 2) აღნიშნული საკითხის მოგვარება, საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩეული ერთი პირის პრეროგატივა გამხდარიყო. ამ შემთხვევაში იგი უპირატესობას მეორე ვარიანტს აძლევდა და თავისი პოზიციის დასასაბუთებლად ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის წინა წლების გამოცდილებას იშველიებდა. „ამ პრაქტიკამ –ამბობდა იგი – ჯერ-ჯერობით უარყოფითი შედეგები არ მოიტანა... მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოს შორის კონფლიქტი არ მომხდარა. ე. ი. არ მომხდარა სამინისტროს კრიზისი."[85]

ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სინამდვილისათვის აღნიშნული ფორმა არა თუ მისაღები, არამედ პრაქტიკულად გამართლებული იყო. აქედან გამომდინარე რ.არსენიძე ორ ძირითად დებულებას აყენებდა: 1) დამფუძნებელ კრებას მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარე აერჩია და კაბინეტის შედგენა მისთვის მიენდო. 2) დამფუძნებელი კრების, რომელიც რესპუბლიკის სახეს წარმოადგენდა, მიერ არჩეულ პირველ პირს, სუვერენული და უმაღლესი წარმომადგენლობის უფლებები მინიჭებოდა. იგი ყოფილიყო განსახიერებული წარმომადგენელი ამ რესპუბლიკისა თავის პიროვნებაში." „ჩვენ შეგვიძლია- ამბობდა რ.არსენიძე- ავირჩიოთ ერთი პირი და მას მივანდოთ შედგენა სოლიდარული და პასუხისმგებელი კაბინეტისა, რომელიც წარმოსდგება ჩვენს წინაშე თავისი დეკლარაციით."[86]

მთავრობის შედგენის ეს ფორმა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიერ ძირითადად გაზიარებულ იქნა. კამათი მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის უმაღლესი წარმომადგენლობის საკითხმა გამოიწვია. გ.გვაზავას, ი.ბობეჩიასა და შ.მესხიშვილის მტკიცებით, ეს საკითხი კონსტიტუციის პრეროგატივას წარმოადგენდა და იგი დღის

წესრიგიდან საერთოდ უნდა მოხსნილიყო.[87] ამ შემთხვევაში ეს უსუსური არგუმენტაცია იყო, რადგან თვით მთავრობის არჩევაც კი საკონსტიტუციო სფეროს განეკუთვნებოდა. დამფუძნებელი კრება მათ მიერ წამოყენებული პრინციპით თუ იხელმძღვანელებდა, მთავრობისა და თვით მისი თავმჯდომარის საკითხი საკონსტიტუციო დებულებების შემუშავებამდე კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ამიტომ რ.არსენიძეს მათდამი პასუხის გაცემა არ გასჭირვებია. იგი ოპონენტებს შეახსენებდა: „დღეს კონსტიტუციას არ ვწერთ.. თქვენ გინდათ, რომ ჩვენ პრეზიდენტის უფლებებზე ვიდაოთ-ძალიან კარგი; ვიდაოთ მხოლოდ.. როდესაც კონსტიტუციურ მუშაობას შევუდგებით."[88] ეს იყო სწორი პოზიცია, რადგან არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, უპირატესობა ერთი რომელიმე მათგანისათვის უნდა მიეცათ. „ორში ერთი ამბობდა რ. არსენიძე- ან სახელმწიფოს უნდა ყავდეს თავისი წარმომადგენელი, ისეთი პირი, ვისთანაც შეიძლება კაცი მივიდეს, ვის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურათ ის არის რესპუბლიკის წარმომადგენელი; ჩვენ შეგვიძლია მივანდოთ ეს წარმომადგენლობა ან მთავრობას მთლიანად, ან ერთ პირს, ან უნდა ავირჩიოთ განსაკუთრებული პრეზიდენტი, ან მივანდოთ პრეზიდენტობა მთელ კოლეგიას, სხვა სახე, სხვა ფორმა წარმომადგენლობისა ისტორიას ჯერ არ გამოუმუშავებია."[89] იგი კატეგორიული ფორმით აყენებდა საკითხს, დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული მთავრობის თავმჯდომარისადმი უფლების მინიმუმის მიცემის აუცილებლობის შესახებ. „ეს წარმომადგენლობა ისეთი აუცილებელი საგანია, რომელსაც ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ ერთი საათითაც კი. ამიტომ ეს უფლება უნდა იქნეს დღესვე მიღებული, დღესვე დამტკიცებული."[90]

საქართველოს რეალური სინამდვილის გათვალისწინებიდან გამომდინარე რ.არსენიძის მოხსენების ძირითად დებულებებზე დაყრდნობით სოციალ-დემოკრატების მიერ შედგენილი რეზოლუცია დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო. „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს პირს, რომელიც იქნება მთავრობის თავმჯდომარე.. მთავრობის თავმჯდომარე არის იმავე დროს უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა."[91] ამ დოკუმენტის მიღებით, მთავრობის თავმჯდომარის წარმომადგენლობითი უფლებების შესახებ კამათს წერტილი დაესვა და დამფუძნებელ კრებას ახალი მთავრობის არჩევის შესაძლებლობა მიეცა. ეს პროცედურა დამფუძნებელი კრების მეოთხე სხდომაზე (1919 წლის 21 მარტი) განხორციელდა. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნაჟორდანია, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრად –ეგეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და სამხედრო

საქმეთა მინისტრად ნ.რამიშვილი, მიწათმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრად-ნ.ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად – კ.კანდელაკი.

მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების მეორე დღესვე (22 მარტი), ასეთივე სახის დოკუმენტები სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციების წარმომადგენლებმაც წარუდგინეს დამფუძნებელ კრების მეხუთე სხდომას. დაპირისპირების ასეთმა ფორმამ მწვავე კამათი გამოიწვია. იგი თითოეულ დოკუმენტში დასმული დებულების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. რაც შეეხება მთავრობის დეკლარაციას, ძირითადად სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიას ემყარებოდა, საპროგრამო ხასიათისა იყო და ითვალისწინებდა: დემოკრატიული საქართველოსთვის პოლიტიკური თავისუფლების შენარჩუნებას, ინგლისთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და მთიელთა რესპუბლიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. „სამუსლიმანო საქართველოს" შემოერთებას, რესპუბლიკის განაპირა კუთხეებისადმი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში ავტონომიური უფლებების მინიჭებას, ეროვნული უმცირესობების ადგილობრივ მოსახლეობასთან–ქართველებთან უფლებრივად გათანაბრებას, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მართვა-გამგეობისა და ეკონომიკის (აგრარული, ფინანსური, გადასახადთა სისტემა) სფეროში შესაბამისი რეფორმების გატარებას, შრომის ინტერესების დაცვასა და უფასო პირველდაწყებითი სწავლების შემოღებას.[92] ოპოზიციამ ამ დოკუმენტიდან წინა პლანზე რამდენიმე საკითხი წამოსწია და იგი დისკუსიის საგნად აქცია. მაგალითად, 1) სახელმწიფოს მშენებლობის სამთავრობო გეგმა სოციალისტ-ფედერალისტებმა მხოლოდ იმ მოტივით მიიჩნიეს მიუღებლად, რომ მასში რადიკალიზმის სიჭარბე დაინახეს[93] მათგან განსხვავებით ეროვნულ-დემოკრატებმა განვლილი პერიოდის შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკა დაიწუნეს და იგი საზოგადოების დაქსაქსვის, „ჰკამაგას" და შეურიგებლობის იდეოლოგიად გამოაცხადეს. რაც შეეხება სოხუმის და ბათუმის ოლქებთან, ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებთან მიმართებაში გატარებულ პოლიტიკას –შეცდომად მიიჩნიეს, მაგრამ სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებული სამოქმედო გეგმა არ წარმოუდგენიათ. ამ ფაქტმა, ქართველ სოციალ-დემოკრატებს ოპონენტებისადმი დასაბუთებული პასუხის გაცემის შესაძლებლობა მისცა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ერთ-ერთ საფუძვლად რარსენიძეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება მიაჩნდა. მისი მტკიცებით, მოსკოვის ან პარიზისაკენ გეზის აღება ქართველი

ერისადმი დამღუპველი აღმოჩნდებოდა. „მთავარი ძალა – ამბობდა იგი – რომელსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ, ეს არის ურთიერთობა საქართველოში და არა ურთიერთობა გერმანიაში, გინდ ინგლისში, გინდ საფრანგეთში, გინდ რომელიმე სხვა სახელმწიფოში... მთავარი სამოქმედო გეგმის აგება, ნიშნავს თავის პატარა ნავის ზღვის ტალღებში უმწეოდ გაშვებას, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ სადღაც დიდ ოკეანეში დიდი გემები დასრიალებენ. სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მიუძღოდა ჩვენს სახელმწიფოს, ამ გზით რომ ეარა, ჩვენი ნავი დიდი ხანია შთანთქმული იქნებოდა."[94]

ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს სიღრმისეულად თუკი გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ საქართველომ უაღრესად რთული მდგომარეობიდან გამოსვლა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება შესძლო. 2) ოპოზიციამ (ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა) სოციალ-დემოკრატებს ტერიტორიების დაკარგვის, მოკავშირეების ვერშეძენის, მეზობელ სახელმწიფოებთან ომისა და მათგან იზოლაციის პირდაპირი ბრალდება წაუყენეს.[95] აუცილებლობა მათდამი დასაბუთებული პასუხის გაცემას საჭიროებდა. ეს მისია, თავის თავზე რ. არსენიძემ აიღო. მისი აზრით, სომხეთზე მუხანათური თავდასხმა საქართველოს რომ განეხორციელებინა, ლორესაც და ალექსანდროპოლსაც დაიკავებდა, სამხედრო გამარჯვებასთან ერთად „ზნეობრივ დამარცხებას მიიღებდა". იარაღი უნდა სჭრიდეს –ამბობდა რ. არსენიძე, არა იდეას მშვიდობიანობისას, არამედ ამ მშვიდობიანობის საწინააღმდეგოდ მიმართულ ძალას. ეს არის მთავარი ხაზი ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა დღეს და ეს ხაზი... იყო სწორი და მიმნიჭებელი ჩვენის გამარჯვებისა, ეს ხაზი უნდა დარჩეს მომავალშიაც."[96] ერთი რამ ცხადია, სომხეთის თავდასხმა საქართველოზე ინგლისის წაქეზებითა და მხარდაჭერით იყო განპირობებული. გამარჯვების სასწორის ქართველთა მხარეს გადაწონის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების კომპრომისზე წასვლა გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებებს ეფუძნებოდა, რომლის გაუთვალისწინებლობა ინგლის-საქართველოს დაპირისპირებამდეც კი შეიძლება მისულიყო.[97] ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ მომენტში გადადგმული ნაბიჯი პოლიტიკურად გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება მეზობელი სახელმწიფოებისაგან საქართველოს იზოლაციას, რომელსაც ოპოზიცია საქართველოს მცდარი საგარეო პოლიტიკით ხსნიდა, მიმდინარე პროცესების არასწორ შეფასებას ეფუძნებოდა. თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და თვით საბჭოთა რუსეთი ქართული ისტორიული ტერიტორიების მიტ-

ცებას ცდილობდნენ, ხოლო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ნებაყოფლობით არაფერს თმობდა და მის შესანარჩუნებლად მაქსიმუმს აკეთებდა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში რ.არსენიძეს, როცა ოპონენტებს შეახსენებდა „საქართველოს არ ჰქონია არც ერთი დღე, იარაღი არ სჭეროდეს ხელში და მტერი არ მოეგერიებიოს. მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, რომ მტერი გვესხმოდა თავს, საქმე იმაშია, რომ ხაზი საგარეო პოლიტიკისა, საგარეო ურთიერთობისა იყო იარაღი იმავე დროს დამცველი სახელმწიფოსი და მეორეს მხრივ მომნიჭებელი გამარჯვებისა.[98] აქედან გამომდინარე, რ. არსენიძე სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ საქართველოს იზოლაცია მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების აგრესიული მისწრაფებებით და სხვისი ტერიტორიების დაპყრობის სურვილით იყო განპირობებული. და არა საქართველოს ხელისუფალთა საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე მიზეზებით „თუ გინდათ ანალოგია- ამბობდა რ. არსენიძე – იგი (საქართველო შ.ვ.) საფრანგეთს წააგავს, საფრანგეთის კონვენტის დროისას, როდესაც საფრანგეთს მტერი ესეოდა ყოველ მხრივ. მაგრამ ეს იყო შედეგი არა საფრანგეთის შინაურ და საგარეო პოლიტიკისა, არამედ მათი რევოლუციონერობისა.. ყველა თავდასხმას, რომელიც განიცადა საქართველოს დემოკრატიამ_ სარჩულად ედო მოსპობა იმისა რაც ჩვენ რევოლუციით მოგვიპოვებია, გაუქმება ყველა იმ ღონისძიებისა, რომელიც ხალხმა სისხლით შეიძინა და რომლის შენარჩუნება მას სწადია დღესაც. აი ეს გახლავთ მთავარი მიზეზი, უმთავრესი საფუძველი ჩვენს გარშემო ატეხილი ომიანობისა."[99]

აღნიშნული ფაქტები, მოვლენათა მიუდგომელი პოზიციიდან შეფასებას ეფუძნებოდა და მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის სისწორის დადასტურების სასარგებლოდ მეტყველებდა. 3) ეროვნულ-დემოკრატების მიერ სოციალ-დემოკრატიისადმი წაყენებული პრეტენზია, რომ ისინი მოუმზადებელნი შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, „სრული უსუსურობა და ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა გამოიჩინეს სახელმწიფოს შექმნის საქმისათვის"[100] ეფიქრობთ გაუმართლებელია, ასეთი განცხადების გაკეთების უფლება მხოლოდ ისეთი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს ექნებოდათ, რომლებიც მართლაცდა აღნიშნული საქმისადმი მომზადებულნი იყვნენ და სოციალ-დემოკრატებს არასამართლებრივი გზით ხელისუფლების უზურპაცია მოეხდინა. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ დამოუკიდებლობის ან ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებისათვის იმ ეტაპზე საქართველოში თეორიულად და პრაქტიკულად სოციალ-დემოკრატებზე მეტი გამოცდილების მქონე არცერთი პოლიტიკური ძალა

არ არსებობდა, ეს გარემოება რ.არსენიძეს შესაძლებლობას აძლევდა განეცხადებინა: „არ არის ჩვენ შინაურ ცხოვრებაში სხვა ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფი და წრეები, რომელთაც შეეძლოთ ამ მხრივ გვერდში ამოუდგნენ, კონკურენცია გაუწიონ და მით უფრო წინ გაუსწრონ სოციალ-დემოკრატიას."[101] რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამის დასტურად სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერების შეხედულება გამოდგება. მაგალითად, ვ.კოტეტიშვილი წერილში „საქართველო და გერმანია" ეროვნულ-დემოკრატების მიმართ წერდა: „მიუხედავად იმ მოუწყობლობისა, რომელსაც საქართველოში ვხედავთ, მაინც სჩანს... სახელმწიფოებრივი განმტკიცების ნიშნები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია. ირგვლივ უკულტურო უდაბნო გვახვევია. ისლამის რკალში ვართ მოქცეული და მაინც ვაწესრიგებთ სახელმწიფო შენობას. საქართველოს სუვერენიტეტს მაინც ვიცავთ, თუმც ხელისშემშლელებიც ბევრი გვყავს. რა ვუყოთ, რომ ოპოზიცია ბევრს ლაპარაკობს მთავრობის უსუსურობაზე შემოქმედებითი მუშაობა მათ ვერ შეძლეს და ნაკლთა ჩვენებითღა კმაყოფილდებიან. „პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთო" სთქვეს იმ დროს როდესაც საქართველოს არსებობის საკითხი დაისვა გადასაწყვეტად"[102] ამასვე ადასტურებს ს.ფირცხალავას მიერ 1919 წელს გამოქვეყნებული წერილი „დამფუძნებელ კრებაზე". მასში გარკვევითაა მითითებული, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ „თავს იდვა ჩვენი დამოუკიდებლობა, ერის აღორძინება და არავის ვხედავთ დღეს დღეობით მისი მაგივრობა სხვა რომელიმე ძალამ გასწიოს. ამიტომ ჩვენ მიზანს სრულებით არ წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიამ ხელიდან გაუშვას სახელმწიფოს საქმე. არ გვინდა რომ იგი წაიქცეს, დღესაც მისგან შემდგარი მთავრობა."[103]

ეს ფაქტები ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. 4)სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისი ეროვნულ-დემოკრატებმა „უსისტემო და ულოდიკო" ეკონომიკური პოლიტიკის შედეგს მიაწერეს, მთავრობის „სოციალისტურ ცოდოსა და დანაშაულს" დაუკავშირეს. დააყენეს საკითხი, ეკონომიკური კურსის შეცვლისა და წმინდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზისადმი უპირატესობის მიცემის შესახებ.[104] ჩვენი აზრით, ეროვნულ-დემოკრატები პირველ ნაწილში საქართველოში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის სოციალ-დემოკრატებისადმი გადაბრალებაში ტყუოდნენ, რადგან ა) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველო ძირითადად გარედან შემოტანილი პროდუქციით მარაგდებოდა, უცხო ქვეყნის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენდა. რის გამოც ადგილობრივი წარმოების განვითარებას ნაკლები

ყურადღება ეთმობოდა. ბ) ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია და საქართველოს მიერ გადახდილი საომარი ოპერაციები, მის ეკონომიკაზე განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენდა. გ) იმ ეტაპზე, დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ბაზისი არ გააჩნდა, ამიტომ ყველაფერი ნულოვანი წერტილიდან უნდა დაწყებულიყო. ათი თვის განმავლობაში წარმოების ამუშავება საქართველოს ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო, ხოლო უცხო სახელმწიფოთა დაინტერესება და მოზიდვა გარკვეულ დროს მოითხოვდა." სრული მშვიდობიანობაც რომ იყოს, განხორციელებული ჩვენს გარშემო –ამბობდა რ.არსენიძე- რამდენიმე თვეების და წლების განმავლობაში წარმოება არ გაჩაღდება. ძალთა განვითარების შედეგები ისე უეცრად ვერ მოგვევლინება, ის შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ თანდათანობით, სისტემატურად და არა უეცრად მოევლინოს ქვეყანას, როგორც სასწაული."[105] აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ სფეროში იგი სოციალ-დემოკრატიის დადანაშაულებას მიუღებლად მიიჩნევდა და ოპონენტთა მისამართით დასძენდა:" ეს ნიშნავს იმას, როცა ნავს ზღვის ტალღები აქანავებენ ეს მოვლენა დააბრალო მენავეს და არა იმ ვეებერთელა ტალღებს, რომელიც ნავზე ბევრად ძლიერი არიან. და მართლაც როგორ შეიძლება მთავრობას დავავალოთ მთელი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და განვითარება. .. ეს დაევალოს იმას, ვის ხელშიც არის ქონებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობა ამ განვითარებისა."[106]

რამდენადაც ოპოზიციის შენიშვნების უმეტესობას დასაბუთებული პასუხი გაეცა, დამფუძნებელმა კრებამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის მიღება მიზანშეწონილად მიიჩნია და შემდეგი სახის ფორმულირებით დაამტკიცა. " მოისმინა რა მოხსენება მთავრობის შედგენის შესახებ და მისი სამოქმედო პროგრამა, დამფუძნებელი კრება სავსებით იწონებს მას, ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას."[107]

ამრიგად, პარტიის საპროგრამო დებულებების გათვალისწინებით, მოსახლეობის ინტერესების შესატყვისი საარჩევნო პლატფორმის შემუშავებამ და მისი ძირითადი დებულებების საზოგადოების ცნობიერებამდე დაყვანამ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში დამსახურებული გამარჯვება (105 დეპუტატი) მოაპოვებინა. ეს ფაქტორი დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატების ძლიერი პოლიტიკური ფრაქციისა და მის ბაზაზე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის შექმნის მყარი საფუძველი გახდა. ოპოზიციის ძირითადი ბრალდებისადმი დასაბუთებული პასუხის

გაცემით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს იმ პოლიტიკური კურსის სისწორე, რომელსაც მისი ლიდერები საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად (1918 წლის 26 მაისი-1919 წლის მარტი) ეწეოდნენ.

§ 4 სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობისათვის

იმ მნიშვნელოვანი საკითხებიდან, რომელმაც განსაკუთრებული დატვირთვა ქართული სოციალ-დემოკრატიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შეიძინა, პარტიის ერთიანობისა და სიმტკიცის შენარჩუნების აუცილებლობაში მდგომარეობდა. იგი არა მარტო პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ მნიშვნელობასაც იძენდა. საზოგადოების ცნობიერებაში მმართველი პოლიტიკური პარტია ორგანიზაციულად შეკავშირებული ძალის განსახიერებად უნდა დარჩენილიყო. ამის საჭიროებას სოციალ-დემოკრატთა ლიდერები კარგად ხედავდნენ და შესაბამისი ნაბიჯის გადადგმასაც ცდილობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს „ალიონისტა ჯგუფისადმი" დამოკიდებულება იქცევს. საქართველოს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის 24 ნოემბრის სხდომამ, პარტიის შიგნით „ალიონისტთა ჯგუფისა" და მისი საპარლამენტო ფრაქციის მიზანშეწონილობის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „ჯგუფი უნდა დაიშალოს, ცალკე გაზეთის გამოცემა შეწყდეს მიეცეს ალიონისტებს წინადადება გააუქმონ თავისი საპარლამენტო ფრაქცია. ყოფილი ჯგუფის წევრები შევლენ პარტიაში, როგორც ყველა სხვა წევრები, საერთო წესით."[108] მიუხედავად ამისა ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაზეთის შესანარჩუნებლად ცენტრალურ კომიტეტს სპეციალური განცხადებით მიმართა. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, „ალიონისტებისადმი" ოფიციალურად გაგზავნილ 13 დეკემბრის საპასუხო შეტყობინებაში ვკითხულობთ: „სსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა განცხადება თქვენი საკუთარი ორგანოს გამოცემის უფლების შესახებ. კომიტეტი ამ სცნობს შესაძლებლად აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ყოფილ ჯგუფის სალიტერატურო ძალები მონაწილეობას მიიღებენ საერთო პარტიულ ორგანოებში,"[109] ეს იმას ნიშნავდა, რომ „ალიონისტებს" დამოუკიდებელი არსებობა უნდა შეეწყვიტათ და პოლიტიკური საქმიანობა პარტიის სახელით გაეგრძელებინათ. თუ რა პოზიცია დაიჭირა ჯგუფის ხელმძღვანელობამ ამ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი „ალიონისტთ

ჯგუფის" სახელით პ. ქავთარაძის, პ.საყვარელიძისა და ი.ჯაფარიძის მიერ წარდგენილი განცხადება იძლევა. მასში თანხმობაა განცხადებული „ალიონისტთა ჯგუფის" და მისი საპარლამენტო ფრაქციის გაუქმებაზე, სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანებაზე დასმულია საკითხი, მათთვის, როგორც იდეური მიმდინარეობისათვის, პარტიის ცეკას ზედამხედველობით საკუთარი ორგანოს მხოლოდ საჭიროებისამებრ გამოცემის უფლების დატოვების შესახებ.[110]

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმავე ჯგუფის მიერ დეკემბრის ბოლო რიცხვებში ცენტრალური კომიტეტისადმი წარდგენილ მეორე განცხადებაში, ზემოთაღნიშნული პრეტენზია მოხსნილია. აქცენტი მხოლოდ იმ მიზეზობრიობაზეა გადატანილი, რამაც ეროვნულ საკითხთან მიმართებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში „ალიონისტების" პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. იმავე დოკუმენტის მიხედვით, ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლამ „წაშალა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობდა ჯგუფსა და პარტიას შორის". „ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, „ალიონისტთა ჯგუფი" ოფიციალურად აცხადებდა, რომ „მას სურს მთლიანი და დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში მონაწილეობა მიიღოს და შეძლებისდაგვარად იმუშაოს პარტიის ხელმძღვანელობით საერთო საქმის საკეთებლად და გასაძღოლად."[111]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მისი გენერალური ხაზის აღიარება, „ალიონისტთა" სახელწოდებით არსებული მიმდინარეობის თვითლიკვიდაციას ნიშნავდა. ისინი ფაქტობრივად სსდმ პარტიის განუყოფელ ორგანულ ნაწილად გადაიქცნენ და მისი მთლიანობის შენარჩუნების საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

ქართული სახელმწიფოს მშენებლობისას წარმოქმნილი სიძნელეების დაძლევის მექანიზმის შესამუშავებლად, პარტიის შიგნით განსხვავებული თვალსაზრისის ჩამოყალიბებამ, ერთიანობის შენარჩუნებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა. მწვავე დისკუსიის საგნად, პარტიისა და სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა გადაიქცა. ეს საკითხი მთელი პრინციპულობით ჯერ კიდევ რსდმ პარტიის ამიერკავკასიის მერვე საოლქო ყრილობაზე (1918 წლის ნოემბერი) დაისვა. პარტიული მუშაობის შესახებ მიღებულმა რეზოლუციამ, დაწესებულებებისა და ადმინისტრაციულ საქმიანობაში პარტიის წევრთა ჩარევა მიზანშეუწონლად მიიჩნია.[112] ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, მასში არაფერი იყო ნათქვამი იმ კონკრეტული ნორმების შესახებ, რომელიც პარტიული და სამოქალაქო

საქმიანობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის ხელშემწყობის ფუნქციას შეასრულებდა. თუ რამდენად მწვავე ხასიათს ატარებდა აღნიშნული დაპირისპირება, ეს კარგად ჩანს სსდმ პარტიის, საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრის აღმასკომების და შრომის სამინისტროს წარმომადგენელთა 1920 წლის 9 აპრილის ერთობლივი თათბირის საოქმო ჩანაწერებიდან. ალ.ლომთათიძის მიერ გაკეთებულ ინფორმაციაში, წინანდლის სახელმწიფო მეურნეობაში ადგილობრივ მართვა-გამგეობის ორგანოებსა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაპირისპირების ფაქტებზე იყო ყურადღება გამახვილებული. მიღებულ დადგენილებაში გარკვევით იქნა მითითებული, რომ „პარტიულმა ორგანიზაციებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიონ მართვა-გამგეობის საქმეში... თელავის კომიტეტის ჩარევა სახელმწიფო მამულის საქმეებში მიმართულია როგორც სახელმწიფოს, ისე პარტიის ინტერესთა წინააღმდეგ, რასაც შემდეგში ადგილი არ უნდა ექნეს."[113] პოზიციის ასეთი ფორმით დაფიქსირება, პარტიული კომიტეტებისა და კომისრების მიერ 1919 წლიდან საერობო ორგანიზაციებზე ზეწოლით იყო განპირობებული. ამ მხრივ განსაკუთრებით თბილისის სამაზრო კომიტეტი გამოირჩეოდა. სსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის სამაზრო კომიტეტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება თავისი 1919 წლის 25 აპრილის საგანგებო წერილით დაადასტურა. ადმინისტრაციისა და ერობის საქმიანობაში ჩარევას, იგი პარტიის დანიშნულების არასწორად გაგებით ხსნიდა და ასეთ ქმედებას, „საქმის არევ-დარევის" საფუძვლად აცხადებდა. იმავდროულად, მათდამი მინიჭებული უფლებების შესახებ მიუთითებდა: „ცეკა იმ აზრს ადგია, რომ პარტიას ეკუთვნის მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მისი უშუალო ჩარევა ერობის პრაქტიკულ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში დაუშვებელია."[114] იგივე საკითხი იყო დასმული გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „პარტიული მუშაობისათვის". სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში პარტიული ორგანიზაციების ადგილისა და როლის გარკვევის პარალელურად, სამოქალაქო მმართველობის სფეროში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა აუცილებლობად იქნა აღიარებული. „დემოკრატიის-ვკითხულობთ წერილში- უკვე ყავს... არჩეული ორგანიზაციები და პარტიის ჩარევა ამ ორგანოების მუშაობაში, პარტიულ ორგანიზაციებს აშორებს პირდაპირ საქმეს. დემოკრატიული თვითმმართველობის საქმეში ჩარევა, კომისრების დაყენება-გადაყენება, იარაღის ჩამორთმევა-მიცემა და სხვა ასეთი ადმინისტრაციული ფუნქციების ხელში აღება არ არის პარტიული მუშაობა, არამედ პარტიის დანგრევა და გაბიაბრუ-

ბაა".[115] აქედან გამომდინარე, დასმული იყო საკითხი პარტიული მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. პარტიის ხელმძღვანელობის ასეთი კურსის მიუხედავად, მთელი რიგი კომიტეტები საწინააღმდეგო პოზიციაზე დარჩნენ. მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის წერილის – ადმინისტრაციულ და სამოქალაქო მმართველობაში ჩაურევლობის შესახებ განხილვისას, გურიის სამაზრო კომიტეტმა მიღებულ დადგენილებას (1919 წლის 28 ივნისი) შემდეგი სახის ფორმულირება გაუკეთა: „კომიტეტმა განაგრძოს ისევ ძველი ნაცადი გზით სიარული."[116] ეს იყო ცენტრისადმი დაპირისპირება და მუშაობის ძველი მეთოდების შენარჩუნების მცდელობა. ამ ფაქტს გაზეთმა „ერთობამ" უარყოფითი შეფასება მისცა. მაგალითად განი-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „ისევ პარტიულ მუშაობაზე" ვკითხულობთ: „გურიის კომიტეტის ასეთი დადგენილება მიგვაჩნია სრულიად მიზანშეუწონლად, დარღვევად პარტიული დადგენილებისა და ჩვენ ვაქცევთ ამ გარემოებას ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის ყურადღებას. პარტიის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები ამ ერთი უმთავრესი ორგანიზაციის სწორ გზაზე დასაყენებლად."[117]

მართალია, საკითხის ამ ფორმით დასმა დროული იყო, მაგრამ პარტიული და სახელმწიფო მოხელეების ურთიერთდაპირისპირებიდან გამომდინარე, შექმნილი სიტუაცია, კონკრეტული წინადადებების შემუშავების აუცილებლობას მოითხოვდა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ი. მაჭავარიანს, როდესაც სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე (1920 წლის 13-19 ივნისი) წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „ხშირად არავინ იცის სად არის საჭირო პარტიული მუშაობა და სად სახელმწიფოებრივი, ეს საკითხი დიდად გამწვავებულია დღემდე. ცენტრალურმა კომიტეტმა არ მიიღო ზომები გამოემუშავებინა რაიმე ინსტრუქციები პროვინციის ორგანიზაციების მუშაობისათვის, სადაც აღნიშნული იქნებოდა, თუ სად იწყება პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობა და სად მთავრდება."[118] რამდენადაც სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღება ვერ მოხერხდა, დაწყებულმა პოლემიკამ მწვავე ხასიათი მიიღო. აღნიშნული საკითხი, საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საკონტროლო კომისიის, რაიონული კოლექტივებისა და ქალთა ორგანიზაციების 1918 წლის 3 დეკემბრის გაერთიანებულმა სხდომამ. მიღებული რეზოლუციით, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ცალკე დაარსების, ან მისგან განკერძოების ყოველგვარი ცდა იყო დაგმობილი." კრება მოუწოდებს ყველა შეგნებულ ამხანაგს-ვკითხულობთ დოკუმენტში- ენერგიული ბრძოლა აწარმოოს ორგანიზაციის რასკოლის წინააღმდეგ და ყოველი ღონისძიებით და-

იცვან პარტიის მთლიანობა."[119] მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ პარტიის შიგნით საქმიანობა გააძლიერა და ცენტრალურ კომიტეტს ოფიციალურად სამი ძირითადი მოთხოვნა წაუყენა: 1) პარტიის რიგებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დაშვება, 2) პარტიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობა, 3) პარტიული და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთშეთავსების საკითხის გარკვევა. ჩვენ შეეცდებით ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი და შესაბამისი მასალების კრიტიკული ანალიზიდან გამომდინარე, მის მიზანშეწონილობაზე მივუთითოთ.

როცა ოპოზიციამ პარტიის შიგნით კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხი დააყენა, ამ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის მეშვიდე რაიონის სდმ პარტიის კონფერენციაზე (1919 წელი) მ.ხოჭოლავამ თავისი შეხედულება შემდეგნაირად დააფიქსირა; მისი მტკიცებით, ერთიანობის შენარჩუნების პარალელურად, აუცილებლობა პარტიისათვის „საზოგადოებრივი ორგანიზაციის" სახის მიცემას საჭიროებდა. ამ ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში „პარტია- ამბობდა მ. ხოჭოლავა-იქნება კონტროლი იმ ორგანიზაციისა, რომელიც ისტორიამ ჩაგვაბარა. კონტროლი და კრიტიკა, ცოცხალი აზრის შეტანა არა თუ არ ეწინააღმდეგება მთელი პარტიის მუშაობას, არამედ გულისხმობს ამას. ჩვენ ასე გვესმის ჩვენი გამოსვლა."[120] „ახალი სხივის" ლიდერის ასეთი პოზიცია პარტიის ერთიანობის შენარჩუნების იმედს იძლეოდა. ამის შესახებ სსდმ პარტიის 1921 წლის 19 იანვრის კონფერენციაზე გრ. გიორგაძემაც გაამახვილა ყურადღება. იგი წინააღმდეგობის გაღრმავების ასაცილებლად და კონსესუსის მისაღწევად, პარტიის შიგნით თვითკრიტიკის დაშვების შესაბამისი ფორმების გამოძებნის აუცილებლობას მოითხოვდა. იმავდროულად აყენებდა საკითხს, გაზეთ „ახალი სხივის" ბეჭდვის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ. საჭიროა გამონახვა იმ საშუალებებისა- ამბობდა გრ.გიორგაძე- რომლებიც საქმეს მოაგვარებენ"[121] სადისკუსიო გაზეთის აუცილებლობის დასაბუთებას გაზეთი „ახალი სხივი" საგანგებოდ გამოქვეყნებულ სტატიაში შეეცადა მისი მტკიცებით, გაზეთი „ერთობა" სამთავრობო ოფიციოზის ფუნქციებს ასრულებდა და პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. აქედან გამომდინარე პარტიის პროგრამის ფარგლებში საღი კრიტიკის დამკვიდრების საკითხს პრინციპულად აყენებდა „საღი კრიტიკა კი არ ავნებს, გამოაცოცხლებს და გამოამრთელებს პარტიას... პარტიული ორგანო პირველად ყოვლისა პარტიის... თვალთახედვის წერტილიდან უნდა გამოდიოდეს ყოველი მოვლენის და ფაქტის დაფასებაში: წინააღმდეგ შემთხვევაში... პარტია სრულებით

გაითქვიფება, დაკარგავს თავის სახეს და აცდება თავის გზას."[122]

ოპოზიციის აღნიშნული მოთხოვნები ანგარიშგასაწევი იყო, რადგან იგი დემოკრატიზმის ჩარჩოში თავსდებოდა და მიზნად პარტიული საქმიანობის უკეთ მოწყობას ითვალისწინებდა. ამ პოზიციას ცენტრალური კომიტეტიც იზიარებდა, მაგრამ პრინციპული უთანხმოება მისი გამოყენების ფორმებში მდგომარეობდა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი შეხედულება იმავე კონფერენციაზე ს.დევდარიანმაც გამოთქვა 1) მან პარტიის შიგნით კრიტიკისა და თვითკრიტიკის აუცილებლობისადმი მხარდაჭერასთან ერთად, ოპოზიცია სადაო საკითხების ცენტრალურ კომიტეტში დაუყენებლობის გამო დაადანაშაულა, ხოლო გაზეთ „ერთობაში" და „ახალ სხივში" დაბეჭდილი სტატიების იდენტურობიდან გამომდინარე, სადისკუსიო ორგანოს ცალკე არსებობა მიზანშეუწონლად ჩათვალა. ამ შემთხვევაში იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას იცავდა მხედველობაში გვაქვს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 16 ივლისის სხდომის დადგენილება- სადისკუსიო გაზეთის ტექნიკურად გამოცემის შეუძლებლობის შესახებ.[123] 2).ს. დევდარიანის მტკიცებით, ყოველი კრიტიკა ეთიკის ფარგლებს უნდა დაქვემდებარებოდა, რათა პარტიისა და მისი ხელმძღვანელი პირების დისკრედიტაციის საფუძვლად არ გამოეყენებინათ. იგი გარკვევით აცხადებდა: „პარტიაში საჭიროა საღი კრიტიკა, ამის წინააღმდეგი არცერთი ჩვენთაგანი არ არის."[124] რაც შეეხება პარტიის წევრთა დანაშაულებრივ ქმედებას, პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი პირველ რიგში პარტიის შიგნით უნდა განეხილათ და მისი საჯაროდ გატანის მიზანშეწონილობა ადგილზევე გადაეწყვიტათ. ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა ნ.ხომერიკმაც. მისი აზრით, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფი პირების შეცდომებზე საუბარი, ანდა მისი კრიტიკა „უნდა მოხდეს პარტიაში, აქ უნდა გასწორდეს ის პირი- ამბობდა იგი- თუ გასასწორებელია, ხოლო აქედან უნდა დაისაჯოს და გაირიცხოს პარტიიდან თუ ამის ღირსია."[125] საკითხის გადაწყვეტის ეს ფორმა, საზოგადოებაში პარტიის ავტორიტეტის შენარჩუნების პრინციპს ეფუძნებოდა. რომელიმე პასუხისმგებელი პირის დანაშაულებრივი ქმედების საჯაროდ გატანა, პარტიის დისკრედიტაციის საფუძვლად მიაჩნდათ, ამიტომ, არსებული დეფექტებისადმი „მკურნალობას" მიზანშეწონილად მხოლოდ პარტიის შიგნით თვლიდნენ. წამოჭრილი პრობლემის ორგანიზაციებში და ფართო მასაში გატანის მოთხოვნას, „სხიველებმა" პარტიის გაჯანსაღების მოტივი დაუდეს საფუძვლად. ასეთი სვლით, საზოგადოებაზე იდეურად ზემოქმედების მოხდენას და მისგან მხარდაჭერის საფუძვლის მომზადებას ცდილობდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" საგანგებოდ გამო-

ქვეყნებულ წერილში „პარტიის გამთიშველნი", ცენტრალური კომიტეტის პოზიციის დაცვას შეეცადა. პარტიის ერთიანობის შენარჩუნება და მისადმი თანადგომა, ისტორიის წინაშე დაკისრებული საპასუხისმგებლო მისიის სოციალ-დემოკრატებისაგან პირნათლად შესრულების გარანტად გამოაცხადა.[126] იგივე საკითხი იქნა დასმული სსდმ პარტიის 1921 წლის 19 იანვრის კონფერენციაზედაც. პარტიული დისციპლინის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში, ოპოზიციის მოქმედება პარტიის ნაცადი გზის უარყოფად და მუშათა კლასის ნებისადმი დაპირისპირებად გამოცხადდა. რაც შეეხება პარტიულ ორგანიზაციებში დისკუსიის გადატანას, მისი დაშვება მხოლოდ პარტიის პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული. ასეთი პრეამბულის შემდეგ, პარტიის წევრების მოქმედების უფლებებს რეზოლუცია შემდეგნაირად განსაზღვრავდა. 1)პარტიაში დამოუკიდებელი ორგანიზაციის ან ფრაქციის მოწყობა, პარტიის ნებისმიერ წევრს და თვით ჯგუფსაც ეკრძალებოდა, ხოლო პარტიული ორგანოს გამოცემის ნებართვა, ცეკას პრეროგატივად რჩებოდა. 2) პარტიის ცენტრალურ ორგანოში სადაო კითხვებზე დისკუსიის გაგრძელების მიზანშეწონილებას კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება განსაზღვრავდა. იმავე პრობლემებზე კამათი იმ შემთხვევაში განახლდებოდა, თუკი პარტორგანიზაციის მიერ ეს საკითხი ყრილობის წინაშე დაისმებოდა და შესაბამისი რეზოლუციით დადასტურდებოდა. 3) პარტიის საკანონმდებლო ორგანოების და ადგილობრივი თვითმართველობების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციათა წევრები, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილებებს ემორჩილებოდნენ და ცენტრალური კომიტეტის მიერ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გაგზავნილ პირთა წინააღმდეგ გალაშქრების უფლება ერთმეოდათ.[127]

აქ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპია დაცული და შიდაპარტიული საკითხების საჯაროდ გატანა, ან მის შესახებ მსჯელობის დაშვების მიზანშეწონილობის გადაწყვეტა, ცენტრალური კომიტეტის პრეროგატივადაა გამოცხადებული. სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაული, რამდენადაც წმინდა პარტიული უფლებების სფეროს სცილდებოდა, მის შესახებ გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლება სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენდა და პარტიული დისკუსიის საგანი არ უნდა გამხდარიყო. ამის შესახებ არცერთი მხარე საკითხის დაკონკრეტებას და პრობლემათა ერთმანეთისაგან გამიჯვნას არ ცდილობდა, რის გამოც მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელი ხდებოდა

2.) რაც შეეხება პარტიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობას, ეს საკითხი ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა

მ.ხოჯოლავამ სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე დააყენა. იგი პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების სფეროში, ფუნქციების მკაცრად გამიჯვნას მოითხოვდა. „როცა პარტია და სახელმწიფო შერეულნი და გათქვეფილნი არიან ერთი მეორეში- ამბობდა მ.ხოჯოლავა- მათი დიფერენციაცია შეუძლებელია. სახელმწიფო იძულებითი ორგანიზაციაა, პარტია კი ნებაყოფლობითი.. ამიტომ ამ ორი ტიპის ორგანიზაციის ერთმანეთში შერევა დაუშვებელია."[128] თავისი დებულების სასარგებლოდ ანალოგიისათვის გერცენის ერთ-ერთ გმირს მიმართა, რომელსაც ვიცე-გუბერნატორობიდან გუბერნატორის დროებითი მოვალეობის შესრულების გამო, მის მიერ გუბერნატორის სახელზე გაგზავნილ წერილზე, პასუხის გაცემა თვითონვე მოუხდა. როცა ისევ ვიცე-გუბერნატორად დაბრუნდა „მიხვდა, თუ როგორ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა სხვადასხვა თანამდებობებზე ყოფნამ. ასე მოსდის ჩვენს მინისტრებს- ამბობდა მ. ხოჯოლავა- მთავრობიდან ისინი ცენტრალურ კომიტეტს მისწერენ, ცენტრალური კომიტეტიდან ისევ თავის თავს მისწერენ მთავრობაში. ეს კი უხერხულია და არ შეიძლება კაცი თავის დადგენილების წინააღმდეგ წავიდეს. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოსა და პარტიის ურთიერთ დამოკიდებულების სათანადოდ განსაზღვრა."[129] ეს მყარი არგუმენტი იყო, მაგრამ მასში არ ჩანდა გამიჯვნის ფორმის ის ელემენტები, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას დაეფუძნებოდა. მ.ხოჯოლავას აღნიშნული პოზიცია გაზეთმა „ახალმა სხივმა" საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია. იგი აღიარებდა სახელმწიფოს განმტკიცების, მისი აღმშენებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის სოციალ-დემოკრატიის მიერ გაწეულ დიდ დამსახურებას. მთელი ყურადღების ამ მიმართულებით გადატანა მას პარტიული ინტერესების მეორე პლანზე დაყენების ძირითად მიზეზად მიაჩნდა. „ბევრს უკვე არ ეხერხებოდა გარჩევა იმისა- ვკითხულობთ გაზეთში- თუ სად თავდება პარტია და იწყება სახელმწიფო, ბევრისათვის პარტია და სახელმწიფო ერთი და იგივე ცნება შეიქნა. აქედან გამომდინარე, იგივე გაზეთი აკეთებდა დასკვნას: ვაღიარებდით და დღესაც ვაღიარებთ, რომ ჩვენს სინამდვილეში არსებობს შესაძლებლობა პარტიულის და სახელმწიფოებრივის ერთმანეთში არევისა, უკეთ, პარტიის სახელმწიფოში გათქვეფისა.. პარტიის უკან სდგას კლასი (მუშათა კლასი) ხოლო სახელმწიფოს უკან კლასები (სხვადასხვა) და რომ სახელმწიფოს პოლიტიკა არ ფარავს პარტიის პოლიტიკას."[130] გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილში „აღმასრულებელი და კონტროლიორი" სდევდარიანმა პარტიის ტაქტიკური ხაზისა და ორგანიზაციული ერთიანობის შენარჩუნების ძირითად პირობად, პროგრამის

პრინციპების დაცვა მიიჩნია. რაც შეეხება პარტიასა და სახელმწიფოს შორის განმასხვავებელ თვისებებს, მისი აზრით, პარტია სახელმწიფოსაგან ისე განირჩეოდა, როგორც მთელი ნახევრისაგან. ერთ მიზანს ემსახურებიან, მაგრამ ერთს უფრო ფართო ასპარეზი აქვს, მეორეს უფრო ვიწრო. სახელმწიფო პარტიის იარაღია საბოლოო იდეალებისათვის ბრძოლაში."[131] მათი ურთიერთშეთანხმებული მოქმედების შესაძლებლობას ს.დევდარიანი იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად თუ „ორივე მხარეს ერთნაირი კლასობრივი ბუნება აქვს, როცა ისინი არ განირჩევიან ერთი-მეორისაგან არც პროგრამით და არც ტაქტიკით."[132]

პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების ს. დევდარიანისეული პოზიცია, საკითხის გადაწყვეტას სრულებითაც არ ნიშნავდა, რადგან დამაჯერებელ არგუმენტაციას იყო მოკლებული და პრობლემასთან მიმართებაში კონკრეტულ პასუხს არ იძლეოდა. ეს ფაქტი ოპოზიციას მოქმედების მეტ შესაძლებლობას აძლევდა. მისი ლიდერები ამ შანსის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობდნენ. პარტიაში შექმნილი უთანხმოების ძირითად მიზეზს მ.ხოჭოლავა მართვა-გამგეობის სფეროში მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებში ხედავდა. არასრულყოფილად მიიჩნევდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფოში დემოკრატიზმის განმტკიცებას, დამფუძნებელი კრების კანონების გატარებას, სოციალური საკითხის გადაწყვეტასა და განაპირა კუთხეების მოწყობას უნდა დადებოდა საფუძვლად. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სინამდვილეს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ანარქია, უპასუხისმგებლობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, აი სურათი ჩვენი მდგომარეობისა."[133] ასეთი მკაცრი განაჩენი შესაბამის კონკრეტულ ფაქტებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, მაგრამ მათ გამოსვლებში მხოლოდ ზოგადი ხასიათის ბრალდებები გაისმოდა. მეორე მხრივ, არ ითვალისწინებდნენ ხელოვნურად შექმნილ იმ ხელშემშლელ პირობებს, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი ძალების მოქმედებით და ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით იყო განპირობებული. აღნიშნულის უგულვებელყოფამ და სუბიექტური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევამ, მთელი რიგი საკითხების შეფასებისას ოპოზიცია არასწორ დასკვნებამდე მიიყვანა. 3) ერთი იმ მნიშვნელოვან საკითხთაგანი, რომელიც ოპოზიციამ წინა პლანზე წამოსწია, პარტიული და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთშეთავსების მიზანშეწონილობის გარკვევა იყო. მათი აზრით, აღმასრულებელი იმავდროულად თავისი კონტროლიორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ე.ი. სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე ერთი და იგივე პირების დანიშვნა არ უნდა მომხდარიყო.

რამდენადაც ოპოზიცია პარტიასა და სახელმწიფოს ურთიერთ განსხვავებულ ფუნქციებს აკისრებდა, ერთი კლასობრივი ორგანიზაცია იყო ხოლო მეორე კომპრომისული, ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობის გამო, როგორც მ.ხოჭოლავა ამბობდა „ვერც პარტია და ვერც სახელმწიფო ვერ იხეირებდა. ეს ორი ორგანიზაცია დღეს ისეთ დამოკიდებულებაში არიან, რომ ეს დაღუპავს ორივეს.. მდგომარეობა ისეთია, რომ იღუპება პარტიული მუშაობა."[134] აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი, შეიძლებოდა თუ არა პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესთა დამთხვევა. ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შექმნისა და ქართველი ერის შინაგანი მისწრაფებების დაკმაყოფილების აუცილებლობამ, სახელმწიფოს ინტერესების პარტიულზე წინწამოწევა მოითხოვა. ოპოზიცია ამ საკითხს გვერდს უვლიდა და მის შესახებ დუმილს ამჯობინებდა. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ოპოზიციის მოთხოვნებმა გარკვეულწილად გამოძახილი რეგიონის პარტორგანიზაციებშიც ჰპოვა. მაგალითად, სსდმ პარტიის გორის სამაზრო კონფერენციაზე (1920 წლის 27 აპრილი) ნ.იმნაიშვილმა პარტიული კომიტეტებისა და ერობის, პარტიული და სახელმწიფო ფუნქციების გამიჯვნის აუცილებლობა მოითხოვა. „სამივე სფერო ჩვენი მოქმედებისა- ამბობდა ნ. იმნაიშვილი- ცენტრალური მთავრობა, სამაზრო ერობა (ქალაქის თვითმმართველობა) და თემის გამგეობა განცალკევებული იყოს შეძლებისამებრ, პარტიული ხელმძღვანელობისაგან პარტიულ კომიტეტში მუშაობისაგან."[135] მართალია, პრობლემის ამ კუთხით გადაწყვეტა აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგრამ იმ ეტაპზე მისი პრაქტიკულად განხორციელება რეალურ სინამდვილეს იყო მოკლებული. მხედველობაშია მისაღები მომზადებული კადრებისა და ავტორიტეტული პიროვნებების ნაკლებობის ფაქტი. რეალობა ხელისუფლების სათავეში საუკეთესო ძალების ყოფნის აუცილებლობას მოითხოვდა. თუკი ისინი პარტიას მოწყდებოდნენ, პარტია ავტორიტეტის გარეშე დარჩებოდა და კრიზისი გარდუვალი იქნებოდა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ნ.რამიშვილს, რომელიც იმავე კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნ.იმნაიშვილის მისამართით აცხადებდა: „შესაძლოა, რომ პრინციპიალურად უდაო იყოს გამიჯვნა მთავრობისა და პარტიისა, მაგრამ პრაქტიკაში თქვენ სად ხედავთ ჩვენში საჭირო პირობებს, ცალკე აღმასრულებელი.. და ცალკე პარტიული ორგანიზაციისათვის. ეს ვერ მოხერხდა დასავლეთ ევროპაში და ნუთუ ჩვენ მოვახერხებთ? ჩვენში რა ცენტრალური კომიტეტი იქნება თუ გამოვრიცხავთ ნ.ჟორდანიასა, რ.არსენიძეს და სხვებს?"[136] ნ.რამიშვილის

ეს პოზიცია ვ.ქარცივაძემაც გაიზიარა. „ცხადია. არ ვარგა არევა ფუნ-ქციებისა- ამბობდა იგი – მაგრამ პრაქტიკულად ჩვენ ვერ ვიშოვით იმდენ ხალხს, რომ ყველა დაწესებულებებს ცალ-ცალკე მივუჩინოთ. დღევანდელ პირობებში ასეთი საკითხი სულაც არ უნდა დაისვას."[137] პარტიული კადრების ნაკლებობის წინწამოწევა ოპოზიციონერთა საწინააღმდეგო მყარ არგუმენტს წარმოადგენდა. არსებული რეალური სინამდვილის იგნორირებასთან ერთად „სხიველები" სსდმ პარტიის მეორე ყრილობის რეზოლუციასაც უპირისპირდებოდნენ. „პრინციპიალურად დასაშვებია-ვკითხულობთ დოკუმენტში - ერთი და იგივე პირები შევიდნენ, როგორც პარტიის ხელმძღვანელ... ისე სახელმწიფოს თვითმმართველ ორგანოებში."[138]

ასეთი გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური იყო, რადგან მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერთა მიერ თანამდებობის შეთავსების უგულლებელყოფა პარტიისა და თვით მთავრობისთვისაც საზიანო აღმოჩნდებოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" სტატიაში „პარტიის გამთიშველნი", „სხიველებს " შეახსენებდა, რომ მთავრობაში ცეკას წევრების შეთავსების დაუშვებლობა, შეუძლებელს ხდიდა დეპუტატების, ხმოსნების, გამგეობის წევრების შეთავსების საკითხსაც. „ეს იმას ნიშნავს,-ვკითხულობთ სტატიაში- რომ საუკეთესო ხალხი, რომელნიც ჩვენ წარგზავნილი გვყავს სხვადასხვა დაწესებულებაში როგორც წარმომადგენელნი ჩვენი პარტიისა და გამტარებელნი მისი... პოლიტიკისა - ეს ხალხი პარტიული ორგანიზაციებიდან გაგვერეკა და მათ მაგიერ იქ დაგვეჯინა ნაკლებ აქტიური, ნაკლებ გამოცდილი პიროვნება, ეს იქნებოდა პარტიის დაჩიავება, მისი დასუსტება რაღაც განყენებული მოსაზრებების გულისთვის."[139]

ოპოზიციის შეხედულებათა უარსაყოფი არგუმენტაციის არსებობის მიუხედავად, ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრთაგანმა ანანია სალუქვაძემ შეკითხვით მიმართა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ლიდერს კარლ კაუცკის. მიზანშეწონილი იყო თუ არა პარტიიდან მთავრობაში წარგზავნილი პირების, პარტიის საპასუხისმგებლო ორგანოებში არჩევა და იმავდროულად მინისტრების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად ყოფნა. ამასთან დაკავშირებით კარლ კაუცკიმ პასუხი სსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1920 წლის 29 ნოემბერს გაუგზავნა. იგი გარკვევით მიუთითებდა ყოველი პოლიტიკური მოღვაწისათვის შესაფერისი თანამდებობის გამოძებნის აუცილებლობაზე. ქართველ კოლეგებს შეახსენებდა, რომ მინისტრების ან სხვა პასუხისმგებელი მოსამსახურეების არჩევაში თავი არ შეეზღუდა და საერთო საქმისათვის ზიანი არ მიაყენებინა. რაც შეეხება შეთავსების საკითხს, კ.კაუცკის აზრით,

მინისტრებისათვის ცეკას წევრობის შენარჩუნება იძულებიდან გამომდინარეობდა და პარტიაში ავტორიტეტული ჭარბი ძალების არყოფნით იყო გამოწვეული. ამის დასადასტურებლად გერმანიის 1918-1919 წლების რევოლუციის გამოცდილების მაგალითი მოჰყავდა, როცა სამი სოციალ-დემოკრატი მინისტრი გახდა, ხოლო ორი მათგანი ჰაასზე და დიტმანი იმავდროულად ცეკას წევრებადაც დარჩნენ. ასეთი ნაბიჯის გადადგმა კაუცკის სასარგებლოდ მიაჩნდა, რადგან „ცენტრალური კომიტეტის მოვალეობაა, - როგორც თვითონ ამბობდა - არა მარტო კონტროლი გაუწიოს სოციალისტურ მთავრობას, არამედ გავლენაც მოახდინოს მასზე. მას უნდა ქონდეს საკმაო ინფორმაცია მთავრობის შესახებ. ამიტომ ცეკა და სამინისტრო მუდამ უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. პარტია და მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ წარმატებას, თუ ისინი... მჭიდროდ და ჰარმონიულად თანამშრომლობენ. ეს... ყველაზე უფრო ადვილად და ბუნებრივად მიიღწევა იქ სადაც რამდენიმე წევრი ცენტრალური კომიტეტისა მთავრობაში ზის, ან რამდენიმე მინისტრი ცეკაში."[140]

კადრების ნაკლებობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, პარტიული და სახელმწიფოებრივი თანამდებობების შეთავსება კაუცკის იმ ეტაპზე აუცილებელ პირობად, საქმის უკეთ წარმართვის საშუალებად მიაჩნდა. პრობლემის ასეთ გადაწყვეტას ოპოზიცია მიუღებლად თვლიდა, მაგრამ უპასუხოდ ტოვებდა კითხვას, პარტიული და სახელმწიფოს ორგანოების შეთავსების გარეშე, თუნდაც საშუალო დონის კადრებით დაკმაყოფილება მოხერხდებოდა თუ არა და გართულების შექმნის შემთხვევაში, მოქმედების რა კონკრეტული ფორმა უნდა აერჩიათ. რამდენადაც „სხიველები" ასეთი სახის რეკომენდაციას ვერ იძლეოდნენ, მათი შეხედულებების გათვალისწინება შეუძლებელი ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით სდევდარიანმა თავისი პოზიცია გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილში „აღმასრულებელი და კონტროლიორი" შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ჩვენი პარტია არის... აღმასრულებელიც და იმავე დროს თავისი კონტროლიორიც. მთავრობა აკეთებს მთელი ერის საქმეს და პასუხისმგებელია დამფუძნებელი კრების წინაშე". ასეთი პრეამბულის შემდეგ სდევდარიანი „სხიველებს" შეახსენებდა: რომელიმე მინისტრის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში დარჩენა ან ადგილობრივი მეთაურის პარტორგანიზაციის სათავეში ყოფნა კონტროლის გაადვილებას, პასუხისმგებლობის გაზრდასა და ბოროტმოქმედების აღმოფხვრას სრულებითაც არ შეუშლიდა ხელს. მისი აზრით, ბოროტმოქმედება ეკონომიურ კრიზისს კი არ ქმნიდა, რასაც „სხიველები" ამტკიცებდნენ, არამედ პირიქით, ეკონომიკური კრიზისი ქმნიდა ბოროტმოქმედებას. არსებული რთული სიტუაციიდან გამოსვლას სდევდარიანი კარჩა-

კეტილი ზღურბლის დაძლევაში ხედავდა და ოპოზიციისაგან მოითხოვდა: „ახალმა სხივმა" გაგვაცნოს თავისი სისტემა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. თუ ისე გვიჩვენა როგორც აქამდე უჩვენებია, მის არსებობას დაეკარგება ყოველივე საფუძვლიანი ნიშანი, მაშინ სულ სხვა რამეში უნდა მოიძებნებოდეს განცალკევების სარჩული."[141] საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ „ახალი სხივის" ხელმძღვანელობას, სახელმწიფოს მოწყობისა და მისი აღმშენებლობის გეგმა საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არ წარუდგენია. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ოპოზიციის მთელი საქმიანობა მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლებოდა. ამიტომ, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მისადმი აშკარად ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინა. მაგალითად, თელავის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მესამე კონფერენციის (1920 წლის ნოემბერი) მიერ მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში, შინაური და გარეშე დაბრკოლებების დაძლევის საერთო პოლიტიკური ხაზის წარმატებით გატარების საფუძვლად, პარტიული ძალების გაერთიანების აუცილებლობა იყო დასახელებული. ამ დოკუმენტის მიხედვით, რამდენადაც გაზეთი „ახალი სხივის" ჯგუფს პარტიასთან უთანხმოების საფუძველი არ გააჩნდა, იგი გაზეთ „ერთობას" და „ბორბას" უნდა შეერთებოდა, თავისუფალი კრიტიკისათვის აღნიშნული ბეჭდვითი ორგანოები გამოეყენებინა.[142] ასეთი სახის გადაწყვეტილების რეალურად გატარება, ორივე მხრიდან გარკვეულ კომპრომისზე წასვლას და შესაბამისი პირობების მომზადებას საჭიროებდა. ამ მხრივ პირველი სასინჯი ნაბიჯი სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის 1920 წლის 9 ნოემბრის სხდომამ გადადგა. მსჯელობის ძირითად საგანს „ახალ სხივში" გამოქვეყნებული კრიტიკული მასალის განხილვა წარმოადგენდა. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, გლორთქიფანიძემ, ევლორიამ, რუხაძემ და სხვებმა დააყენეს საკითხი, ა) „სხიველებს" სურდათ თუ არა გამთიშველ საქმიანობაზე ხელის აღება და პარტიის რიგებში დარჩენა. ბ) სახელმწიფოში შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, მასში ამ საკითხით სპეკულაციის შეწყვეტა. რაც შეეხება გრ.ფიორგაძეს, იგი თბილისის პარტიული ორგანიზაციების შეერთებული სხდომის მოწვევასა და სადისკუსიო საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემას აუცილებლობად მიიჩნევდა. სხდომის მონაწილეებმა აღნიშნული მოთხოვნისადმი ანგარიშის გაწევა მიზანშეწონილად ჩათვალეს და მიღებულ დადგენილებას შემდეგი სახის ფორმულირება გაუკეთეს: „თბილისის კომიტეტი ახლო მომავალში მოიწვევს შეერთებულ სხდომას თბილისის და ცენტრალური კომიტეტების, დამფუძნებელი კრების ფრაქციის, გაზეთ „ერთობის" და „სხივის" წარმომადგენელთ."[143] ეს გადაწყვეტილება პარტიის ერთიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის

1920 წლის 23 ნოემბრის სხდომაზე გ.ურატაძის მცდელობა დაერწმუნებინა ოპოზიცია სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მთავრობასთან თანამშრომლობის, გაზეთების „ერთობის" და „ახალი სხივის" რედაქციების გაერთიანების აუცილებლობაში ამაო გამოდგა. იმავე საკითხს სსდმ პარტიის თბილისის კომიტეტი 1920 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე დაუბრუნდა. მისმა მონაწილეებმა გაზეთების „ახალის სხივისა" და „ერთობას" გაერთიანება სასურველად მიიჩნიეს. მიუხედავად ამისა, გარკვეული მიზეზების გამო, იგი ვერ განხორციელდა. რაც შეეხება „სხიველებს", მათ დაარღვიეს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 9 ივლისის დადგენილება „ახალ სხივში" მწვავე კრიტიკული წერილების ბეჭდვის შეჩერების თაობაზე.[144] ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ნ.ჟორდანიას, როდესაც ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში მიუთითებდა: „მე მომხრე ვიყავი პარტიაში კრიტიკის და „სხივის" არსებობისაც, მაგრამ ეხლა „სხივის" ნომრებს რომ ვკითხულობ ასეთნაირად წერა ყოვლად დაუშვებელია. ისეთ წერილებს ბეჭდავენ, რომელნიც არც შემოწმებულია და არც სიმართლეა... როცა „სხივში" წერილებს კითხულობთ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს ისინი გასულიყვნენ პარტიიდან, ფრაქციიდან, მე შეუძლებლად მიმაჩნია პარტიაში ასეთი მტრული წინააღმდეგობა იყვეს და ასეთი წერილები იბეჭდებოდეს."[145] აქედან გამომდინარე, პრინციპულად სვამდა საკითხს, გაზეთებს ეწერათ მათ წინააღმდეგ და აეხსნათ ოპოზიციურობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ნ.ჟორდანიას ამ წინადადებას მხარი სდევდარიანმა, რარსენიძემ, ვ.ჯუღელმა, სთეფზაძემ დაუჭირეს. მიღებული დადგენილებით, სადისკუსიო საკითხები განსახილველად პრესის ფურცლებზე უნდა გაეტანათ.[146] რაც ოპოზიციისადმი ოფიციალურად დაპირისპირებას ნიშნავდა. ეს პროცესი გაზეთ „ახალ სხივში" ჭაღარას ფსევდონიმით გამოქვეყნებულმა სტატიამ დააჩქარა. სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1920 წლის 8 ნოემბრის სხდომამ გაზეთ „ახალი სხივის" რედაქციას ჭაღარას ფსევდონიმის გახსნა მოსთხოვა და დააყენა საკითხი მისი პარტიულ სასამართლოში მიცემის შესახებ.[147] ამ მოთხოვნას „სხიველებმა" უარით უპასუხეს.[148] ეს ფაქტი ცენტრალური კომიტეტისადმი არა თუ დაპირისპირებაზე, მისადმი დაუმორჩილებლობაზედაც მიუთითებდა. აუცილებლობა პარტიაში შექმნილი მძიმე სიტუაციის დარეგულირებას მოითხოვდა. უნდა გარკვეულიყო და ფართო მასისთვისაც ცნობილი გამხდარიყო, თუ რამდენად იყო მისაღები ცენტრალური კომიტეტის მისამართით „ახალი სხივის" მიერ გამოთქმული პრეტენზიები. ეს საკითხი ინდივიდუალურ სფეროს სცილდებოდა, მისადმი შესაბამისი განაჩენის გამოტანა, ყრილობის ან კონფერენციის

პროგრამატიკას წარმოადგენდა. გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი კონფერენციას მიენიჭა. იგი 1921 წლის 19 იანვარს იქნა მოწვეული. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სსდმ პარტიის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და ფოთის სამაზრო კომიტეტების წარმომადგენლები. პარტიული დისციპლინის შესახებ მოხსენება ნ.ჟორდანიამ გააკეთა. მან განსაკუთრებული ყურადღება „ახალი სხივისადმი" დამოკიდებულებას დაუთმო და სკრუპულოზური სიზუსტით განიხილა ამ ორგანოს ბოლო ნომრებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. არსებული ფაქტების გაანალიზების საფუძველზე "ახალ სხივთან" მიმართებაში სოციალ-დემოკრატთა ლიდერების პოზიცია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1) საპარლამენტო ფრაქციაში „ახალი სხივის" ორპირული პრაქტიკული საქმიანობა „პოლიტიკურ გარყვნილებად" იქნა შეფასებული და მათდამი უნდობლობის საკითხი დაისვა. „არავითარი ნდობა არ შეიძლება გვქონდეს ასეთ ხალხთან, -ამბობდა ნ. ჟორდანია- ფრაქციას არაფერი სახეირო არ მოელის თუ მას თავიდანვე არ ვუწამლეთ და იქ ერთხელ და სამუდამოთ ინტრიგა არ მოვსპეთ."[149] 2) „ახალი სხივი" პრაქტიკული საქმიანობითა და იდეოლოგიით, ფაქტობრივად პარტიას დაცილდა. მის ამოცანად პარტიის რიგებში განხეთქილების შეტანა, ტაქტიკური ხაზის დისკრედიტაცია და მთავრობისადმი მასების დაპირისპირება გადაიქცა. 3) „ახალი სხივის" შეხედულებების პარტიაში დამკვიდრება, ნ.ჟორდანიას ანარქიის გაღრმავების, პარტიული ძალების შესუსტების და აშენებულის დანგრევის საშუალებად მიაჩნდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, კონფერენციის მონაწილეთა მისამართით აცხადებდა: „მთელი ჩვენი ძალა უნდა გავამაგროთ, ვისაც ეს არ მოსწონს-შეუძლია მიბრძანდეს და ჩვენი პარტიის გარეშე რაც უნდა ის ჩაიდინოს, ხოლო ჩვენ არავის მივცემთ ნებას ჩვენი სიმაგრე შიგნიდან დაანგრიოს და ამით დასცეს პარტიაც და რესპუბლიკაც."[150] ასეთი პრეამბულის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებს სთხოვდა სათანადო მსჯავრი დაედოთ „ახალი სხივის" მოქმედებისათვის და ყოველგვარი ზომები მიეღოთ პარტიული დისცპლინის განსამტკიცებლად. ანალოგიური შეხედულება გამოთქვეს სხვა ორატორებმაც. მათ ძირითად ამოსავალ საფუძველს ქვეყნის ინტერესების დაცვა და პარტიის ავტორიტეტის შენარჩუნება წარმოადგენდა. ბუნებრივია, „ახალი სხივის" შესახებ კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში, სწორედ ეს ხაზი იქნა გატარებული. რეზოლუციის მიხედვით „სხიველები" ანტიპარტიულ მომდინარეობად და პარტიის შინაგანი სიმტკიცის დამრღვევად გამოცხადდა. დოკუმენტი „ახალი სხივის" მომხრეებს შეახსენებდა რომ პარტიასთან მიმართებაში თავიანთი პოზიცია დროულად გაერკვიათ და სწორი არჩევანი გაეკეთებინათ. „კონფერენცია ავალებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს, ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს შესაფერისი ზომე-

ბი ყველა ზემოთ აღნიშნულ დადგენილებათა- გასატარებლად და პარტიაში უმკაცრესი დისციპლინის აღსადგენად."[151] ჩვენს მიერ მოტანილი ეს ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებების გასატარებლად შესაბამისი საფუძველი მზადდებოდა. მხედველობაში გვაქვს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამფუძნებელი კრებისადმი ოფიციალურად გაგზავნილი შეტყობინება დოკუმენტის მიხედვით, „ახალი სხივის" თანამშრომლები, რომლებიც 1921 წლის პირველ თებერვლამდე ცენტრალურ კომიტეტს არ აცნობებდნენ „ახალ სხივთან" კავშირის გაწყვეტის შესახებ, პარტიიდან გასულად ჩაითვლებოდნენ და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მანდატს დაკარგავდნენ.[152]

ამ გადაწყვეტილებას ოპოზიციის მხრიდან მწვავე რეაგირება მოჰყვა. გაზეთ „ახალი სხივის" მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, პარტიული კონფერენცია „მოხელეთა კორპორაციათ", ხოლო მიღებული რეზოლუციები „პარტიის გამთიშველ ნაბიჯად" იქნა გამოცხადებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილ საპასუხო წერილში „გამთიშველები" კონფერენციის გადაწყვეტილებები უმრავლესობის ნებისა და საერთო პარტიული ინტერესების გამოვლინებად იყო აღიარებული. ასეთი პრეამბულის შემდეგ გაზეთი ოპოზიციის მისამართით დასძენდა: „ერთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, თავს უპირისპირებს მთელს პარტიას და სავალდებულოდ არ მიაჩნია. კონფერენციის ყველა წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ერთი ხმის წინააღმდეგ- ამ ლოგიკით რომ წავიდეთ, აღარ დარჩება უმრავლესობის დადგენილება, რომელიც სავალდებულო იყოს პარტიის ყოველი წევრისათვის თუკი იგი არ იზიარებს მას... ეს დამხობა და დასამარებაა ყოველი პარტიული დისციპლინის და მასთან თვით პარტიის არსებობისა."[153] ამ შემთხვევაში გაზეთ „ერთობის" პოზიცია მისაღები იყო. ასევე გვესახება იმავე გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში „თავისუფლება" გატარებული თვალსაზრისი- პარტიის რიგებიდან გასვლისა და გარედან კრიტიკის შესაძლებლობის გამოყენების უფლების შესახებ ერთი რამ ცხადია, „ახალი სხივის" მიერ კონფერენციის გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ გაჩაღებულმა ფართო კამპანიამ, რეგიონების პარტიულ ორგანიზაციებში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს სსდმ პარტიის ქუთაისის სამაზრო კონფერენციის (1921 წლის იანვარი) მასალები იქცევს. მიღებული დადგენილებით, კონფერენციამ უარყოფითი შეფასება მისცა „ახალი სხივის" საქმიანობას. „კომფერენციამ ჩითხულობთ დოკუმენტში- პროტესტს უცხადებს „სხიველების" ჯგუფს

და მოუწოდებს პარტიის ყველა ორგანიზაციებს.. დაგმონ ამ ჯგუფის ანტიპარტიული გამოსვლები".[154] რეგიონების პარტიული ორგანიზაციების მიერ „სხიველებისადმი" მიმართებაში პოზიციის ამ ფორმით დაფიქსირებამ, თვით იმ ფაქტმა, რომ „ახალმა სხივმა" აშკარა ბრძოლა გამოუცხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას და კონფერენციის გადაწყვეტილებებს, სსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საკონტროლო კომისიას- ოპოზიციის მიმართ უმკაცრესი ზომების გატარების საფუძველი მისცა-ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის ორი თებერვლის დადგენილებით, სსდმ პარტიის რიგებიდან გაირიცხა „ახალი სხივის" ხელმძღვანელი პირები: კ.ნინიძე, მ. ხოჭოლავა, ნ.იმნაიშვილი და ი.ფირცხალაიშვილი. მათ დამფუძნებელი კრების დეპუტატობის მანდატიც ჩამოერთვათ.[155] ამ რადიკალურ გადაწყვეტილებას „სხიველებმა" ძალების მობილიზაციით და ანტიპარტიული საქმიანობის გაღრმავებით უპასუხეს. იგი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „ახალი სხივის" სახელწოდებით დამფუძნებელი კრების 1921 წლის 11 თებერვლის სხდომაზე მათ მიერ გამოქვეყნებული დეკლარაციით გამოვლინდა.[156] რამდენადაც ეს პროცედურა სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების სდ ფრაქციის გვერდის ავლით განხორციელდა, მისი ხელშემწყობი პირები: პავლე საყვარელიძე, თეიმურაზ ჭელიძე, ილიკო კოპალეიშვილი, აპოლონ სულაქველიძე და კალაძე პარტიული დისციპლინის დარღვევის მოტივით, ცენტრალური კომიტეტის იმავე წლის 11 თებერვლის დადგენილებით პარტიის რიგებიდან გაირიცხნენ.[157]

პარტიული წესდებით და კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციებით თუკი ვიხელმძღვანელებთ, ხოლო „ახალ სხივთან" ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო ბრძოლის ფაქტებს ერთობლიობაში განვიხილავთ, აღნიშნული გადაწყვეტილება რაგინდ მკაცრადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, სწორი იყო. იგი დემოკრატიულ ცენტრალიზმს ეფუძნებოდა და პარტიის რიგებში უმკაცრესი დისციპლინის აღდგენას ემსახურებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ დეკლარაციას, ოპოზიციის მხრიდან სერიოზულ განაცხადს და სოციალ-დემოკრატიის სახელით დამოუკიდებელი პოლიტიკური მიმდინარეობის ოფიციალურად არსებობის დადასტურებას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, პარტიულ კონფერენციაზე ცენტრალური კომიტეტის მისამართით გაკეთებული პრეტენზიები, ამ დოკუმენტში უფრო დახვეწილი ფორმით იყო წარმოდგენილი. პარტიის შიგნით მომხდარი გათიშვა, ერთი შეხედვით საგანგაშო არ

უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი შეფასებისას მხედველობაში ორი გარემოებაა მისაღები: 1) ამიერკავკასიის რეგიონში დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის არსებობა და საქართველოსადმი ფიზიკური ხელწოლის მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც აზერბაიჯანის (1920 წლის 28 აპრილი) და სომხეთის (1920 წლის 29 ნოემბერი) გასაბჭოებით იყო განპირობებული. 2) მმართველი პარტიის წინააღმდეგ საქართველოს შიგნით არსებული პოლიტიკური ძალების გაერთიანება. ცნობილი ფაქტია, რომ ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ: ეროვნულ-დემოკრატებმა, ეროვნულმა, რადიკალ-დემოკრატებმა და უპარტიოთა კავშირმა 1921 წლის 23-27 იანვრის კონფერენციაზე კონსესუსის მიღწევის შედეგად „საქართველოს დემოკრატიული პარტია" შექმნეს და „მენშევიკური დიქტატურისაგან" საქართველოს „განთავისუფლება" დაისახეს მიზნად.[158] ეს გაერთიანება მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების სამზადისს წარმოადგენდა. ამ მხრივ არც სოციალ-დემოკრატები იყვნენ გულხელდაკრეფილი. მომავალ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, სსდმ პარტიის 1921 წლის იანვრის კონფერენციამ სპეციალურად იმსჯელა. 20 იანვრის სხდომაზე საარჩევნო სამზადისის შესახებ მიღებულ დადგენილებაში გარკვევით მიუთითა, რომ „მომავალი საარჩევნო სამზადისი საქართველოს სოციალ-დემოკრატიას უხდება იმ დროს, როცა გარეშე მტერი... დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ემუქრება... შინაურ ფრონტზე ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ და ერთიანდებიან ყველა პარტიები."[159]

როგორც ვხედავთ, ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურებს მოახლოებული საფრთხე კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ამიტომ ნომერ პირველ ამოცანად პარტიული „ძალების დარაზმვას" და პარტიული მუშაობის გაძლიერებას მიიჩნევდნენ. ოპოზიციურ ძალებთან რაიმე გარიგებაზე უარს აცხადებდნენ და არჩევნებში დამოუკიდებლად გამოსვლის საკითხს აყენებდნენ. მოსალოდნელი გართულებებისაგან დაზღვევის მიზნით, კონფერენცია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან სააგიტაციო სამუშაოების ჩატარებას, საარჩევნო კომისიების მოწყობას, საარჩევნო ფონდის შექმნისათვის ზრუნვას და ადგილებზე არჩევნებისათვის ნორმალური პირობების მომზადებას ავალებდა.[160]

ამრიგად, 1) სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ „ალიონისტთა ჯგუფის" თვითლიკვიდაციისათვის ნიადაგის მომზადება, კონსესუსის პრინციპს ემყარებოდა, ფრაქციულობის უარყოფასა და პარტიის ერთიანობის შესანარჩუნებლად გადადგმულ მტკიცე ნაბიჯს წარმოადგენდა. 2) ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისას

წარმოქმნილმა სიძნელეებმა, პარტიისა და სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების გამმიჯნავი მექანიზმის, პარტიის რიგებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის არარსებობამ, ოპოზიციას („ახალი სხივი") პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ მოქმედების რეალური საფუძველი შეუქმნა. პარტიული და აღმასრულებელი ხელისუფლების შეთავსების მიზანშეწონილების სოციალ-დემოკრატიისეული მტკიცება, მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობიდან გამომდინარე ევროპულ ანალოგიებს ეფუძნებოდა და იმ პერიოდის ქართული სინამდვილისათვის მისაღები იყო. 3) გაზეთ „ერთობისა" და „ახალი სხივის" რედაქციების გაერთიანების მცდელობა, პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მომდინარეობდა და მიზნად პარტიის ერთიანობის შენარჩუნებას ისახავდა. „ახალი სხივის" პრაქტიკული საქმიანობა პარტიის რიგებში განხეთქილების შეტანის, მისი ტაქტიკური ხაზის დისკრედიტაციისა და მთავრობისადმი დაპირისპირების მცდელობას წარმოადგენდა. „სხიველების" ანტიპარტიულ მიმდინარეობად გამოცხადება და მისი ხელმძღვანელი ბირთვის პარტიის რიგებიდან გარიცხვა, დემოკრატიულ ცენტრალიზმს, პარტიის წესდებასა და 1921 წლის 19 იანვრის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს ეფუძნებოდა. ასეთი რადიკალური ნაბიჯი, პარტიის ავტორიტეტის შენარჩუნებასა და მის რიგებში უმკაცრესი დისციპლინის აღდგენას ითვალისწინებდა.

თავი III

საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია და ქართული სოციალ-დემოკრატია

§1 უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული სინამდვილე

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას დაემთხვა, მიღწეულის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მოწყობის მოდელის დაუყოვნებლივი შექმნის აუცილებლობა დააყენა. საკითხის პრინციპულად დასმამ და დროის შეზღუდული მონაკვეთით განსაზღვრამ, წარმოაჩინა ის სირთულეები, რომელიც სახელმწიფოებრიობის დაკარგვის 117 წლოვანი პრაქტიკული გამოუცდელობით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, ქართველი პოლიტიკოსები არსებულ პრობლემას დამოუკიდებლად შეეჭიდნ-

ენ, მისი გადაწყვეტა ერის სულიერი მისწრაფების ფსიქოლოგიურ მომენტზე და ინტელექტუალიზმზე დაამყარეს. დასახულ მიზნამდე გასავლელი გზა, ურთულეს პროცესებს უკავშირდებოდა და შესაბამისი პირობების მომზადებას საჭიროებდა. იმჟამად მომქმედი ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია და მისთვის საკანონმდებლო უფლებების მინიჭება, დროის მოთხოვნის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1918 წლის 29 მაისს გადაიდგა, როცა ეროვნული საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა 66-დან 121 კაცით განისაზღვრა.[1] ხოლო იმავე საბჭოს 1918 წლის 6 ივნისის დადგენილებით, შექმნილ რვა დარგობრივ კომისიას შესაბამისი პროფილის მიხედვით სამუშაო პროექტების შედგენა დაევალა[2].

ყოველი რეფორმა მაშინაა წარმატებული, მისი სრულყოფის ორგანიზაციას ძლიერი ხელისუფლება თუკი უდგას სათავეში. ამის აუცილებლობას იმ ეტაპზე განსაკუთრებით საქართველო საჭიროებდა. არსებული ვითარება, მთავრობის გარშემო ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების გაერთიანებას, ეროვნული საბჭოს პრაქტიკული საქმიანობის გაღრმავებისათვის გარკვეულ ხელშეწყობას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ.რამიშვილს კარგად ესმოდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ერის წინაშე ეკისრებოდა. ამიტომ პირადული ამბიციების დაძლევის საფუძველზე, ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ ოფიციალურ განცხადებაში მთავრობის ნებაყოფლობითი გადადგომა დაადასტურა[3]. ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობის მიზანშეწონილობა, ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ორი გარემოების გამო მიიჩნია: 1) ეროვნულ საბჭოს, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სრულ ნებას არ გამოხატავდა, პარლამენტის ოფიციალური არჩევნების ჩატარებამდე, რესპუბლიკის ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების მხარდაჭერით, საქართველოს სუვერენიტეტის გამტკიცების პასუხისმგებლობა უნდა ეტვირთა. 2) შინაური და გარეშე ძალების გააქტიურებამ, ძლიერი მთავრობის შექმნის აუცილებლობა მოითხოვა. დასახული მიზნის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი პოლიტიკური პარტიებისაგან ნდობით აღჭურვილი პიროვნება ჩაუდგებოდა ხელისუფლებას სათავეში. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ი.წერეთელი ეროვნული საბჭოს 1918 წლის 24 ივნისის სხდომაზე აცხადებდა: „ეხლა უნდა მოვძებნოთ ისეთი პირი, რომელიც ნამდვილი გამომხატველია ჩვენი დემოკრატიის სურვილების, ასეთი პირი, რომელიც ნდობით აღჭურვილია პარტიისაგან არის ნოე ჟორდანია... ამიტომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინადადებას აძლევს საბჭოს ... ამ მწარე განსაცდელის დროს აღჭურვოს ის ყოველგვარი ნდობით და მთავრობის შედგენა მას მიანდოს"[4]. როგორც სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს გრიგოლ ვეშაპელმა, ალექსანდრე წერეთელმა, კანელიკ ქავთარაძემ, ივანე ჩერქეზიშვილმა, ალექსანდრე

ახმეტელაშვილმა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არცერთ მათგანს განსხვავებული თვალსაზრისი არ გამოუთქვამთ. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ფრაქციის სახელით ეროვნულ საბჭოს ნ.ჟორდანიასადმი მხარდაჭერის რეზოლუციის პროექტი წარუდგინეს. „მოისმინა რა მთავრობის განცხადება მისი გადადგომის შესახებ, - ვკითხულობთ დოკუმენტში – ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად."[5] მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს თავიანთი კანდიდატურა არ წამოუყენებიათ, მათ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, ხოლო ეროვნული საბჭოს სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნ.ჟორდანიას დამტკიცებას ერთხმად დაუჭირეს მხარი. შეუზღუდავი უფლებების მინიჭების მიუხედავად, ნ.ჟორდანიამ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით მთავრობის ძველი შემადგენლობა (მინისტრები) უცვლელად დატოვა. ცვლილება მხოლოდ მოადგილეებს შეეხო. მისი აზრით, ახალი კაბინეტი ძალთა კონცენტრაციისა და ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო უნდა გამხდარიყო. იგი სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელ ფაქტორად მთელ რიგ რეფორმებთან ერთად, მუდმივი ჯარის შექმნის აუცილებლობას მიიჩნევდა. „ეს მაშინ შეიძლება – ამბობდა ნ.ჟორდანია – როცა პარლამენტთან ერთად სხვა ძალებიც შემოიკრებებიან მთავრობის გარშემო, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ან მთლად განვამტკიცებთ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ან მთლად დავიღუპებით"[6].

ეროვნულმა საბჭომ ახალი მთავრობის თავმჯდომარეს სრული ნდობა გამოუცხადა და წამოყენებული გეგმის განსახორციელებლად ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. ნომერ პირველი ამოცანა, რომლის გადაწყვეტის საკითხი ხელისუფლების წინაშე მთელი პრინციპულობით დაისვა, ახლადშექმნილი სახელმწიფოსათვის პოლიტიკური ფორმის განსაზღვრა და შესაბამისი მოდელის შექმნა იყო. მართალია, დამოუკიდებლობის აქტის მეორე მუხლის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკაა აღიარებული[7], მაგრამ საკითხის გადაწყვეტას ეს სრულებითაც არ ნიშნავდა. იგი მმართველ პოლიტიკურ პარტიას მხოლოდ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თეორიულად მის გააზრებას და ქართული სინამდვილისათვის შესაფერის ყალიბში მოქცევას. მოსალოდნელი იყო, რომ ეროვნული საბჭოს პოლიტიკური ფრაქციები კონსესუსის საფუძველზე ერთობლივ პროგრამას შეიმუშავებდნენ. საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ არცერთ პოლიტიკურ პარტიას განსახილველად აღნიშნული საკითხი არ დაუსვამს. რაც შეეხება ინდივიდუალურ აქტიურობას, აქაც თავშეკავებას ამჯობინებდნენ. იგი შემდეგი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული: 1) პროგრამის

პროექტი თუკი არსებული მოთხოვნების შესატყვისი არ აღმოჩენდებოდა, მისი წარმომდგენი პოლიტიკური პარტიის დისკრედიტაცია გარდუვალი იყო. 2) დამარცხების შემთხვევაში, პარტიას პოლიტიკური ასპარეზი უნდა დაეთმო, ჩრდილში დამდგარიყო და სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში გამარჯვებულის ნება-სურვილს დამორჩილებოდა. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას რისკის ფაქტორი იძენდა. მიუხედავად ამისა, პირველი ნაბიჯი ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გადადგეს და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის მისეული დასაბუთებული პროგრამის ვარიანტი შეიმუშავეს. იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი ნააზრევი შესთავაზეს. მხედველობაში გვაქვს ნოე ჟორდანიას ნაშრომი „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია", რომელიც მოხსენების სახით 1918 წლის 4 აგვისტოს სდმ პარტიის თბილისის ორგანიზაციების გაერთიანებული კრებაზე წაიკითხა, ხოლო შემდეგ ცალკე ბროშურადაც გამოქვეყნდა. მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ეროვნული სახელმწიფოს აგების ინდივიდუალურ მოდელს იძლეოდა. იმავდროულად ერთადერთი საპროგრამო განაცხადი იყო, რომელიც ოფიციალურად საზოგადოების სამ-სჯავროზე იქნა გამოტანილი და ქართული სახელწმიფოს მოწყობის სფეროში არსებული ვაკუუმის შევსების მცდელობას წარმოადგენდა. ნაშრომის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მასში მოცემული ყოველი დებულება იმ ეტაპზე არსებულ მეცნიერულ მიღწევებსა და საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებას ემყარებოდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ იგი ერთადერთი პროგრამული დოკუმენტი იყო, რომელიც ქართული სახელმწიფოს ორგანიზაციის საკითხს ეხებოდა. მეორე მხრივ, ამ ნაშრომით მყარი საფუძველი მომზადდა სახელმწიფოს მოწყობასთან მიმართებაში ფართო საპარლამენტო დისკუსიისათვის. იგი ნ.ჟორდანიას მიერ დასმული პრობლემების სრულყოფილად გააზრებისა და უკეთ დახვეწის ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. ჩამოყალიბების ზღურბლზე მყოფი სახელმწიფოს ამოსავალ ქვაკუთხედს ნ.ჟორდანია პოლიტიკური ფორმის გარკვევაში ხედავდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე შეეცდებით, წინა პლანზე ის ძირითადი საკითხები წამოვწიოთ, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ. 1) სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრის ფონზე, დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებისა და საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე გარდაქმნის შესაძლებლობა ნ.ჟორდანიამ ძველი რეჟიმის ნგრევას დაუკავშირა, ხოლო საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის ყოველგვარი „ნახტომისებური თეორია" მიუღებლად გამოაცხადა. ბურჟუაზიული საფეხურის გავლა ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის საქართველოსათვისაც აუცილებელ პირობად, ხოლო ყოველი საწინააღმდეგო ნაბიჯი უტოპიად მიიჩნია. იმავდროულად ქართველ პოლიტიკოსებს შეახსენა: „ამას ვერასგზით თავს

ვერ დააღწევს საქართველოს სახელმწიფო, ამისათვის თავის დაღწევა უტოპიაა და ჩვენ ამას სრულიად არ ვცდილობთ."[8] ნ.ჟორდანიას ასეთმა პოზიციამ, საზოგადოებაში და თვით პოლიტიკურ წრეებშიაც მმართველი პარტიის მიმართ დასვა შეკითხვა – იმ მიზეზობრიობის ახსნის შესახებ, რამაც ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობის კურსი ააღებინა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება სოციალ-დემოკრატიული პარტიის გორის მესამე სამაზრო პარტიული კონფერენციის (1920 წლის 18 აპრილი) მასალებმა მიიქცია. კონფერენციის ზოგიერთმა მონაწილემ ზემოთ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უარყოფითი პოზიციის დაფიქსირებასთაენ ერთად, მკაცრი განცხადებები გააკეთეს და ქართველი სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობაში დაადანაშაულეს. იმავე კონფერენციაზე წარმოთქმულ საპასუხო სიტყვაში ნ.რამიშვილმა ძირითად არგუმენტად საქართველოს ეკონომიკურად ჩამორჩენილობის ფაქტორი დაასახელა. დასავლეთ ევროპისა და რუსეთის რეალობიდან მოტანილი ფაქტების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს სინამდვილისათვის იმ ეტაპზე ბურჟუაზიული წყობილების აუცილებლობა დაასაბუთა. აქედან გამომდინარე, გააკეთა დასკვნა – „უცბად სოციალიზმს ჩვენ ვერ ვამყარებთ, არც გპირდებით... ასეთ პირობებში უარს ვამბობთ სოციალიზმის შემოღებაზე ერთის დაკვრით."[9] ეს იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების მესვეურთ გარკვეული კორექტივების შეტანით კურსი ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ ჰქონდათ აღებული. ამასთან დაკავშირებით, თბილისის მეშვიდე რაიონის პარტიულ კონფერენციაზე (1919 წელი) ნ.ხოჭოლავა აცხადებდა: „ჩვენი სახელმწიფო არ არის წმინდა ტიპის ბურჟუაზიული სახელმწიფო, მაგრამ უმთავრესი მომენტი მაინც სახელმწიფოს ცხოვრებისა არის ბურჟუაზიული წყობილება"[10]. აქედან გამომდინარე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ საქართველოს ხელისუფლების მაგისტრალური ხაზი წვრილბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ იყო მიმართული. იგი იმ ფორმით ხორციელდებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა ბურჟუაზიული დაწესებულებების შექმნისათვის მოერგოთ და გაუცხოების სინდრომი დაეძლიათ.

2) საქართველოს ეკონომიკურად ჩამორჩენილობის ფაქტორის გათვალისწინებით, შვეიცარიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სინამდვილიდან მოტანილი ანალოგიებით, ნ.ჟორდანიამ საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობისა და ძლიერი ბურჟუაზიის შექმნის შესაძლებლობა დაასაბუთა. სოციალური სფეროს მოწესრიგება მომავალი სახელმწიფოს პროგრამატივად გამოაცხადა, ხოლო მის საყრდენ საფუძვლად „სამი დემოკრატიული კლასი" – მუშები, გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია დაასახელა. მათი შინაგანი მსოფლმხედველობის ურთიერთშეპირისპირების ფონზე, თითოეული მათგანის დახასიათება და სახელმწიფოსთან დამო-

კიდებულება წარმოადგინა. აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის მაგალითების მოშველიების საფუძველზე, საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კლასობრივი სტრუქტურის განსაკუთრებულობაზე და იმ ნიშან-თვისებებზე მიუთითა, რაც მეზობელი სახელმწიფოებისაგან საქართველოს სპეციფიკურად განასხვავებდა. აქედან გამომდინარე გააკეთა დასკვნა, რომ „ესენი შეადგენენ საძირკველს საქართველოს სახელმწიფოს შენობისათვის"[11]. ამ შემთხვევაში იგი დემოკრატიულ სახელმწიფოს გულისხმობდა. ამ ფაქტორის წინა პლანზე წამოწევით დემოკრატიის ცნების განსაზღვრა, მისადმი მიმართებაში თითოეული კლასის ადგილისა და როლის გარკვევა აუცილებლად მიიჩნია. „დემოკრატია, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – ეს ხალხის პოლიტიკური ბატონობაა, ეს პოლიტიკური თვითმმართველობაა; ე.ი. ისეთი წყობილებაა, რომლის დროს ხალხმა უნდა გამოიჩინოს უნარი და ნიჭი, რომ თავისი თავი თვითონ მართოს, ის უნდა იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი"[12]. როგორც ვხედავთ, აქ ნ.ჟორდანია ხალხის უფლებათა უზენაესობაზე მიუთითებს და დემოკრატიულ სახელმწიფოში მის როლს კონკრეტულად განსაზღვრავს. მაგრამ არ გამორიცხავს მისადმი რომელიმე კლასის დაპირისპირების შესაძლებლობას. „თუ რომელიმე კლასი, ანუ ნაწილი ხალხისა ამისთვის მზად არ არის, – ამბობდა ნ.ჟორდანია – დემოკრატიული წყობილება მისთვის მიუღებელია".[13] ასეთ კლასად მას ჩამორჩენილი გლეხობა მიაჩნდა. ამის დამადასტურებლად იგი დასავლეთ ევროპის, კერძოდ პრუსიის 1848-1849 წლების მოვლენებს მიმართავდა. სათანადო ფაქტების მოშველიებით ხსნიდა დემოკრატიული სახელმწიფოსადმი გლეხთა ჩამორჩენილი ფენების მტრული დამოკიდებულების გამომწვევ ძირითად მიზეზებს. რაც შეეხება გლეხთა „მოწინავე ნაწილს", ნ.ჟორდანიამ მუშათა კლასთან ერთად მასში სახელმწიფოს დასაყრდენი ძალა დაინახა. დააყენა საკითხი – რევოლუციის ინტერესების დაცვისა და კონტრრევოლუციასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, მუშებისა და გლეხების ერთობლივი მოქმედების აუცილებლობის შესახებ. „ერთადერთი საფრთხე – ამბობდა ნ.ჟორდანია – შიგნიდან ჩვენს რესპუბლიკას მოელის ჩამორჩენილ გლეხებისგან და რომ მას ანგარიში გავუწიოთ და რევოლუციის მონაპოვარი შევინარჩუნოთ, საჭიროა მუშები და მოწინავე გლეხები შეერთდნენ ამ კონტრრევოლუციურ ტალღასთან საბრძოლველათ. თუ გავიმარჯვეთ, ეს იქნება ისტორიაში პირველი მაგალითი, როცა გლეხობამ ვერ შესძლო რესპუბლიკის დამხობა და გამოვიდა პოლიტიკური მმართველობის გზაზე"[14]

3) საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით, რამდენადაც პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა იქნა აღიარებული, ამ მიზანდასახულობის განსახორციელებლად, მმართველმა პარტიამ მთელი მისი საქმიანობა საქართველოს ინტერესებს დაუქვემდებარა. ასეთ პოლიტიკურ შემობრუნებას არაქართული ეროვნების წარმომადგენლები თავიანთი ინტერესებიდან გამომ-

დინარე მიუღებლად მიიჩნევდნენ. ამის დამადასტურებელად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების მერვე საოლქო ყრილობაზე (1918 წლის 11-18 ნოემბერი) ფირუმოვის მიერ ქართველი სოციალ-დემოკრატების მიმართ გაკეთებული განცხადება გამოდგება. „ეს ნაციონალური პოლიტიკა – ამბობდა ფირუმოვი – ჩვენ მიგვიყვანს იზოლაციამდე, საჭიროა იგი თავის დროზე უარყოფილ იქნას."[15]

თუ რამდენად მისაღები იყო საქართველოს სინამდვილისათვის ფირუმოვის მიერ შემოთავაზებული „რეცეპტი", ამის შესახებ ნ.ჟორდანიამ თავისი პოზიცია ოფიციალურად დააფიქსირა. ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკური კურსის დადებითად შეფასებიდან გამომდინარე, მის დამწუნებელთა მისამართით გარკვევით მიუთითა: „დემოკრატიული წყობილების აშენების დროს ჩვენ გვიხდება მოქმედება ნაციონალურ ფარგლებში. თუ ნაცილნალურ ჩარჩოში მუშაობა ნიშნავს ნაციონალურ დემოკრატობას, მაშინ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები ნაციონალ-დემოკრატები ყოფილან. ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ბრიყვი კოსმოპოლიტები... თუ რაიმეს გაკეთება შეუძლებელი ხდება ფართე მასშტაბით, მაშინ ის უნდა გაკეთებულ იქნას ვიწრო ფარგლებში"[16] ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა არსებული სინამდვილის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მიზნად დემოკრატიული წყობილების დამყარება, მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში დაისახეს. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ პარტიის პროგრამის მინიმუმის პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობის არეალი ზოგადიდან, საქართველოს სინამდვილის რეალურ აღქმამდე დაიყვანეს და კონკრეტული სახე მისცეს. მისი გათვალისწინებიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანიამ დასვა საკითხი იმ ეტაპზე საქართველოსათვის დემოკრატიზმის რომელი ფორმა იქნებოდა მისაღები. იგი აუცილებლად მიიჩნევდა პირველ რიგში ერთმანეთისაგან გაემიჯნათ პარლამენტარული, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკები. მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები ჩამოეყალიბებინათ და ამის ფონზე შესაბამისი დასკვნებიც გაეკეთებინათ. მისი მტკიცებით, რესპუბლიკის სოციალური ფორმა კერძო საკუთრების უარყოფიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მიუღებელი იყო. რამდენადაც ეს საკითხი ნ.ჟორდანიამ დღის წესრიგიდან მოხსნა, მან ყურადღება პარლამენტარულსა და დემოკრატიულ ფორმებზე გადაიტანა. მათ შორის განმასხვავებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენის აუცილებლობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მათგანისადმი პრიორიტეტის მინიჭების საჭიროება ნომერ პირველ ამოცანად მიიჩნია. ევროპული სახელმწიფოების ანალოგიების მოშველიებამ შესაძლებლობა მისცა დაესაბუთებინა პარლამენტარული რესპუბლიკის იდენტურობა „პარლამენტარულ მონარქიასთან" და პირიქით, თავისი სტრუქტურით „პარლამენტარული მონარქიის" იგივეობრიობა უპრეზიდენტო პარლამენტარულ

რესპუბლიკასთან. ამ შემთხვევაში ნ.ჟორდანია რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ აუცილებლობად პარლამენტარულ რეჟიმს, ბურჟუაზიის პოლიტიკურ დიქტატურას, მის მიერ ყველა სახეობის ძალაუფლების აღებას უსვამდა ხაზს, რაც ხალხის პოლიტიკური ინიციატივის იგნორირებასთან იყო დაკავშირებული. „პარლამენტარული მმართველობა – დაასკვნიდა ნ.ჟორდანია – არ ითმენს ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობას."[17] ეს პოზიცია ნ.ჟორდანიამ უფრო მკაფიოდ სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე (1920 წლის 13-19 ივნისი) გაკეთებულ მოხსენებაში დაიცვა და ოპონენტებს შეახსენა: „პარლამენტარიზმმა ევროპაში უკვე მოჭამა თავისი დრო. ამის წინააღმდეგი ვარ მეც. ე.ი. მე ვარ პარლამენტარული რესპუბლიკის წინააღმდეგი."[18] ამავე საკითხს იგი დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე შეეხო და ადრე გამოთქმული დებულებები ახალი მასალებით გაამაგრა. რამდენადაც პარლამენტარული რესპუბლიკა სუვერენის უფლებებს პარლამენტს ანიჭებდა, ხალხს ყოველგვარი ინიციატივის და რეფერენდუმის შესაძლებლობას ართმევდა. ბუნებრივია, ასეთი ტიპის რესპუბლიკას ნ.ჟორდანია მიუღებლად თვლიდა. იგი ძირითად აქცენტს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე აკეთებდა და მისაღებად იმდენად მიაჩნდა, რამდენადაც ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობის, ძალაუფლების ცენტრსა და პერიფერიებს შორის გადანაწილების შესაძლებლობას ქმნიდა. დემოკრატიული რესპუბლიკის უპირატესობას იმაშიაც ხედავდა, რომ პარლამენტისთვის დეპუტატების არჩევასთან ერთად, კანონების აღმსრულებლებსაც ირჩევდნენ, რომლებიც საკანონმდებლო აქტების გამოცემაში პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ, რაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხალხის აქტიური ჩართვის დამადასტურებელი იყო. „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი თავისებურება – ამბობდა ნ.ჟორდანია – არის იმაში... რომ ძალაუფლება სახელმწიფოში დანაწილებულია ცენტრსა და პერიფერიებს შორის"[19] იმავდროულად ხალხი უფლებამოსილი იყო, მიღებული კანონებისადმი დამოკიდებულება რეფერენდუმით გამოეხატა. მიუხედავად ამისა, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ფორმას ნ.ჟორდანია საქართველოსათვის მიზანშეწონილად აღიარებდა. ამის დადასტურებას ზემოთ დასახელებულ მისივე ნაშრომში, დემოკრატიული რესპუბლიკის, ფედერაციულისა და უნიტარულის ურთიერთშეპირისპირების, მათ შორის პრიორიტეტის საკითხის დასმის ფაქტი წარმოადგენს. პრობლემისადმი ასეთი კუთხით მიდგომა იმითაც იყო განპირობებული, რომ მოსახლეობისადმი თავისუფლების მინიჭება შინაური ცხოვრების დარღვევის რეალურ საშიშროებას ქმნიდა. ეს გარემოება იმ მექანიზმის შემუშავების აუცილებლობას მოითხოვდა, რომელიც „დიდ თავისუფლებას, წესიერებასთან და დემოკრატიული რესპუბლიკის მთლიანობასთან შეათავსებდა."[20] აქედან გამომდინარე, ნ.ჟორდანია შვეიცარიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო

მმართველობის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, საქართველოს სინამდვილისათვის ფედერაციულ ფორმას მიუღებლად აცხადებდა, ამის შესახებ მას დასაბუთებული არგუმენტაცია გააჩნდა. მართალია იგი ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებელ მოქმედებას აღიარებდა და მის ფუნქციებში ცენტრის პირდაპირ ჩარევას მიზანშეუწონლად თვლიდა, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნდა „ერთ სახელმწიფოში ადგილი ქონოდა მრავალ სახელმწიფოებს."[21] ეს იმის დამადასტურებელია, რომ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი დემოკრატიზმს კი არ აფეტიშებდა, არამედ პრაქტიკაში მის გატარებას იმ დოზით მოითხოვნდა, რომ იგი პარტიკულარიზმის წარმოშობის საფუძველი არ გამხდარიყო და მოუფიქრებელი ნაბიჯით რესპუბლიკის ერთიანობა საფრთხის წინაშე არ დამდგარიყო. აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში პ.საყვარელიძეს, როცა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში შვეიცარიისა და აშშ სახელმწიფო წყობის ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, განმასხვავებელი ნიშან-თვისებები წარმოაჩინა და სათანადო ფაქტებით დაასაბუთა, რომ შვეიცარიის დემოკრატიულ რესპუბლიკას პირდაპირი დემოკრატია ახასიათებდა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისას განაწევრებული. შვეიცარიაში ხალხი პირდაპირ კანონმდებლობდა და ექვს კანტონში წელიწადში ერთხელ იღებდნენ კანონს, ირჩევდნენ მოსამართლეებსა და მთავრობას დროებითი ვადით. რაც შეეხებოდა დანარჩენ კანტონებს – კონფედერაციაში იყვნენ გაერთიანებულნი და ხალხი კანონმდებლობას რეფერენდუმის გზით ახორციელებდა. აქაც მთავრობის არჩევა დროებით ხდებოდა. ეს იყო პირდაპირი დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, რომლის მიღება პ.საყვარელიძეს საქართველოს სინამდვილისათვის მიზანშეუწონლად მიაჩნდა. აქედან გამომდინარე აყენებდა საკითხს, საქართველოს მთავრობა მათგან განსხვავებით ყოფილიყო არა მარტო საქმიანი, არამედ პოლიტიკურად პასუხისმგებელი. „ჩვენს პირობებში – ამბობდა პ.საყვარელიძე – სხვანაირი მთავრობა არ გამოდგება. პირველად ეროვნულმა საბჭომ ჩვენში აირჩია... პასუხისმგებელი მთავრობა... პარლამენტის მიერ შედგენილი მთავრობაც პასუხისმგებელი იყო. დამფუძნებელმა კრებამაც პასუხისმგებელი მთავრობის შედგენა მიანდო ნ.ჟორდანიას... თავიდანვე სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ისეთი იყო, რომ მუდამ გვყავდა პოლიტიკურად პასუხისმგებელი მთავრობა."[22] აღნიშნული ფაქტი დამადასტურებელია, რომ პ.საყვარელიძეს არსებული ტრადიცია საქართველოს სინამდვილისათვის მისაღებად მიაჩნდა და მის შენარჩუნებას მიზანშეწონილად თვლიდა. ამ ფონზე განიხილა მან აშშ განაწევრებული დემოკრატიის საკითხი. ცნობილი ფაქტია, რომ აშშ დემოკრატიის ძირითადი პრინციპები შარლ ლუი მონტესკიეს ხელისუფლების გადანაწილებისა და სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის თეორიას ემყარებოდა. როგორც პ.საყვარელიძე ამბობდა, იგი გულისხმობს „კოორდინაციას და არა სუბორდინაციას". პარლამენტს არ ემორჩილებოდა პრეზიდენტი, მინისტრი პრე-

ზიდენტის წინაშე აგებდა პასუხს, ხოლო ეს უკანასკნელი ხალხის წინაშე. რაც შეეხება მთავრობას, პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა[23] აქედან გამომდინარე, პ.საყვარელიძე აღნიშნული ფორმისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტების გათვალისწინება საფუძველს იძლევა დაისვას საკითხი, ქართულ სოციალ-დემოკრატიას დემოკრატიული რესპუბლიკის რომელი ფორმა მიაჩნდა საქართველოს სინამდვილისათვის მისაღებად. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ გაკეთებული მოხსენება იქცევს. იგი დამფუძნებელი კრების წევრებს შეახსენებდა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს სახელმწიფოები (შვეიცარია, აშშ. - შ.ვ.) ფედერაციული სახელმწიფოები არიან. ჩვენ კი ვქმნით არა ფედერაციულ, არამედ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკას. უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა... ჯერჯერობით ქვეყანაზე არ არსებობს... და ჩვენ გვსურს სწორედ ასეთი რესპუბლიკის დაარსება."[24] რამდენადაც ასეთი ნაბიჯის გადადგმა უპრეცედენტო ფაქტს წარმოადგენდა და მას იმ ეტაპზე ანალოგი არ მოეპოვებოდა, მოსალოდნელი შედეგების მთელ პასუხისმგებლობას სოციალ-დემოკრატია თავის თავზე იღებდა. „ჩვენ გვიხდება საკუთარი პასუხისმგებლობით და შრომით – ამბობდა ნ.ჟორდანია – საქართველოში ხსენებული ფორმის, რესპუბლიკის შექმნა-განმტკიცება. ჩვენ გვჭირია ისეთი რესპუბლიკა, რომელმაც ხალხი არ უნდა დაუმორჩილოს სახელმწიფოებრივი საშუალებებით ბურჟუაზიას. მაგრამ ამავე დროს... ასპარეზი მისცეს საწარმოო ძალთა განვითარებას. ჩვენ გვინდა ისეთი რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის ბატონობას ისე, რომ ცენტრალური ორგანოები არ გახდნენ ბურჟუაზიის გაბატონებულ პოლიტიკურ იარაღად და არც ადგილობრივი ორგანოები გახდნენ პროვინციალური რეაქციის ბუდეთ."[25]

როგორც ვხედავთ, დემოკრატიული რესპუბლიკის ნ.ჟორდანისეული მოდელი, ბურჟუაზიული წარმოების განვითარებას მიზანშეწონილად მიიჩნევდა, მაგრამ მის პოლიტიკურ ბატონობას გამორიცხავდა. ამის რეალურ საშუალებას იგი უნიტარიზმში ხედავდა. რაც შეეხება პ.საყვარელიძეს, შერეული სისტემის ნიადაგზე იდგა და შუალედური ფორმის გამოძებნის საკითხს აყენებდა. მისი აზრით: 1) საქართველოში არსებული პრინციპი იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუკი დაწყებული რეფორმების პროცესი გაღრმავდებოდა და დაიხვეწებოდა. 2) საქართველოს მოქალაქეს მის მიერ შემუშავებული კანონის პარლამენტში წარდგენის შესაძლებლობა მიეცემოდა, ხოლო ეს უკანასკნელი მისი განხილვის გარანტს შექმნიდა. 3) ხალხს ნებისმიერი კანონის რეფერენდუმის გზით შეჩერების უფლება ექნებოდა. „მთავრობა – ამბობდა პ.საყვარელიძე – განსაზღვრავს პოლიტიკის საერთო ხაზს, მიმართულებას. თითოეულ მინისტრს აბარია თავისი საქმე, უწყება და ის ამ სფეროში პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე... ჩვენში განხორციელებული იქნება როგორც მთლიანი სოლ-

იდური პასუხისმგებლობა, ისე პიროვნული... ჩვენში ხალხს აქვს არა მარტო საკანონმდებლო ინიციატივა, არამედ საკანონსტიტუციო ინიციატივის უფლებაც, არა მარტო საკანონმდებლო რეფერენდუმის უფლება, საკონსტიტუციო რეფერენდუმის უფლებაც."[26]

მართალია, პ.საყვარელიძეს მთელი ყურადღება დემოკრატიული რესპუბლიკისკენ გადააქვს, მაგრამ არსად არ აფიქსირებს, თუ რა სახელწოდება დარქმეოდა მის მიერ შემოთავაზებული შერეული სისტემის ვარიანტს. რაც შეეხება ნ.ჟორდანიას, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, იგი ბოლომდე იცავდა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის აუცილებლობას. „უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა – ამბობდა იგი – სავსებით ხატავს ჩვენი ცხოვრების ვითარებას, და ეს რესპუბლიკა არის სწორედ ნამდვილი გამოჭრილი ტანისამოსი, რომელიც უნდა ეცვას ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს სახელმწიფოს."[27] დასახული მიზნის მიღწევას იგივე ნ.ჟორდანია საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და ძლიერი დემოკრატიული მთავრობის შექმნას უკავშირებდა.[28] დემოკრატიული პრინციპების დანერგვის აუცილებლობის აღიარების მიუხედავად, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატიის ლიდერები საჭიროების შემთხვევაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასაც არ უგულებელყოფდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ჩვენი პოლიტიკა" მიუთითებდა: „დემოკრატიზმის უმტკივნეულოდ წარმოება შეიძლება მშვიდობიანობის ხანაში. დღევანდელ მშფოთვარე დროს კი ამ წესების განმტკიცებისათვის აუცილებელია მის მოწინააღმდეგეთა ალაგმვა ... ყველა ინტერესების ჩაყენება თავის კალაპოტში ხდება ბოლოსდაბოლოს იარაღის საშუალებით. ამიტომ დემოკრატია იძულებულია ხშირათ ისეთ ზომებს მიმართოს, რომელსაც ნორმალურ პირობებში არ მიმართავდა. მაგრამ ბევრს ეს დემოკრატიზმის შეურაცხყოფა ჰგონია."[29] ეს ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი პოლიტიკოსები სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევაში მუშტის პოლიტიკის გამოყენებასაც დასაშვებად მიიჩნევდნენ. კავკასიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ასეთი პოლიტიკის გატარება საჭიროებისამებრ დასაშვები იყო, რადგან იდეას ერისა და ქვეყნის ინტერესები არ უნდა შეწიროდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები ადასტურებს, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის დემოკრატიული მოდელის მორგება შემოქმედებითად ჰქონდათ გააზრებული და პრაქტიკაში გატარებას იმ სახით ცდილობდნენ, რომელიც შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას შეესატყვისებოდა. მათი მტკიცებით, ეს უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. იგი ქართული სინამდვილისადმი მორგებულ ორიგინალურ ფორმას წარმოადგენდა და „მისი შემქმნელების"

მაღალი პოლიტიკური მომზადების უდაო დადასტურებაზე მეტყველებდა.

§2. ეროვნული სახელმწიფოს მართვის ფორმების გარკვევისათვის

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფორმების შერჩევის აუცილებლობა დააყენა. მისი გადაწყვეტა, საქართველოს შიდაპოლიტიკური სინამდვილის გათვალისწინებით უნდა განხორციელებულიყო. რამდენადაც ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ორ ვარიანტზე - 1) საპრეზიდენტო და 2) მთავრობის თავმჯდომარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას. პრიორიტეტი კი ერთ-ერთი მათგანისათვის უნდა მიეცათ. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი დასაბუთებაც იყო საჭირო. საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ეს საკითხი რაიონულ ორგანიზაციებში სადისკუსიოდ გადაიტანა. მათ მიერ მიღებულ დადგენილებებში, უპირატესობა საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას ჰქონდა მინიჭებული. აღნიშნული ფაქტებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიების გათვალისწინებით, პ.საყვარელიძემ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 5 ივნისის სხდომაზე, საქართველოს სინამდვილისათვის პრეზიდენტის ინსტიტუტის დასაბუთებას შეეცადა. მისი მტკიცებით, აუცილებლობას წარმოადგენდა ყველა სფეროში, გარდა მართვა-გამგეობისა, პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ყოფილიყო პასუხისმგებელი. მის ფუნქციებს დაექვემდებარებოდა: მინისტრების დანიშვნა-დათხოვნა, საჭიროებისამებრ პარლამენტის მოწვევა, არჩევნების, ელჩების, ყველა მაღალი თანამდებობის პირთა დანიშვნა, საგარეო პოლიტიკის წარმოება, საალყო წესების გამოცხადება, შეწყალების უფლება.[30] როგორც ვხედავთ, პ.საყვარელიძე სახელმწიფოს სასიცოცხლო ბერკეტების პრეზიდენტის ხელში მოქცევასა და საჭიროებისამებრ მისი შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში ძირითადი არგუმენტი ძლიერი და პასუხისმგებელი მთავრობის შექმნის იდეას ეფუძნებოდა. იგივე პოზიცია ეჭირა აკ.ჩხენკელსაც, რომელიც საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის შესაძლებლობაზე მიუთითებდა.[31] ამ საკითხმა სოციალ-დემოკრატთა რიგებში ფართო დისკუსიის სახე მიიღო. მაგალითად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე (1920 წ. 16 ივნისის სხდომა) პ.საყვარელიძისა და აკ.ჩხენკელის ზემოთ აღნიშნულ პოზიციას მხარი ნ.იმნაიშვილმა, კ.ჯაფარიძემ და კ.ნინიძემ დაუჭირა. მათი მტკიცებით, რესპუბლიკის თავმჯდომარე საქართველოს სინამდვილისათვის მიუღებელი იყო, რადგან ასეთი თანამდებობა რომელიმე ორგანოს ან კავშირს შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე, ისინი მიზანშეწონ-

ილად პრეზიდენტის საჭიროებას მიიჩნევდნენ.[32] რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარის ინსტიტუტის შემოღების მომხრეებს, ისინი თავიანთ გამოსვლებს კონტრ-არგუმენტაციაზე აგებდნენ და ძირითად ამოსავალ საფუძვლად უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მისაღები ვარიანტის შემოთავაზებას ცდილობდნენ. ამის შესანიშნავ დადასტურებას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 5 ივნისის სხდომაზე ნ.ჟორდანიას გამოსვლა წარმოადგენს. რამდენადაც საპრეზიდენტო მმართველობის მომხრენი ძლიერი მთავრობის შექმნაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ნ. ჟორდანიამაც ეს საკითხი ამოსავალ დებულებად გაიხადა, საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარე, პრეზიდენტისა და მთავრობის ფუნქციების შეერთების საკითხი დააყენა. მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნულ უფლებათა მთავრობის თავმჯდომარისადმი დაქვემდებარება.[33] იმის გასარკვევად, თუ რით იყო განპირობებული ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა, ამის შესახებ საინტერესოა თვით ნ.ჟორდანიას არგუმენტაცია. იგი დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად ამახვილებდა ყურადღებას. მისი ძირითადი შეხედულება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1) მთავრობის თავმჯდომარე განსაზღვრული ვადით არჩეული, პრეზიდენტისა და სახელმწიფო წარმომადგენლის ფუნქციით აღჭურვილი, ნებისმიერ შემთხვევაში თავის ადგილზე რჩებოდა და მას მინისტრთა კაბინეტის ცვალებადობა არ შეეხებოდა. 2) მთავრობის თავმჯდომარეს უნდა დაკისრებოდა ყველა დადგენილების სისრულეში მოყვანა. ყოველი კრიზისის დროს, მთავრობის გადადგომის ან მინისტრების ცვალებადობისას, მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილი იყო პარლამენტის შეკრებამდე ჯარი გამოეყვანა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ შემდგომ პარლამენტისათვის ეცნობებინა. ამ ფუნქციების მთავრობის თავმჯდომარისადმი დაკისრება იმდენად იყო აუცილებელი, რამდენადაც იგი საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ინტერესებს ემთხვეოდა. „ისეთ ქვეყანაში, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – როგორიც ჩვენია, სადაც ირგვლივ ისეთი მეზობლები გვყავს, რომ არ იცი საიდან ან როდის რა მოგელის, მთავრობა უნდა იყოს ფხიზელი, დარაჯი და თუ მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც რჩება უცვლელი არ ექნება ეს უფლება, ჩვენს ქვეყანას განადგურება არ ასცდება.[34] ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება ნ.ჟორდანიას იმ მოთხოვნებმა მიიქცია, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარისათვის აყენებდა. თუკი მას საპრეზიდენტო უფლებებს შევადარებთ, საქმე იდენტიფიკაციასთან გვექნება. მიუხედავად ამისა, ნ.ჟორდანია საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების სასტიკი წინააღმდეგი იყო, რადგან მასში დემოკრატიის შეზღუდვას ხედავდა. მისი აზრით, იგი რეფერენდუმისა და ინიციატივის იგნორირებაში ვლინდებოდა. თუკი იგივე ნ.ჟორდანია 1918 წლის 11

ივნისის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე საქართველოს სინამდვილისადმი რეფერენდუმის მიუღებლობას ამტკიცებდა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ ბოროტად გამოყენების მცდლობას არ გამორიცხავდა, აღნიშნულ ეტაპზე მის უარყოფას, უკვე დემოკრატიზმისადმი მიუღებლობის პრინციპით ხსნიდა. მისი მსოფლმხედველობრივი ევოლუცია, არსებული პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობით იყო განპირობებული. ერთი რამ ცხადია, ნ.ჟორდანიას ყოველი გამოსვლა, მთავრობის თავმჯდომარის ინსტიტუტის შემოღების ოფიციალური მხარდაჭერის არგუმენტაციას შეიცავდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობის 16 ივნისის სხდომაზე გაკეთებული მოხსენებაა საინტერესო. იგი დამსწრე საზოგადოებას შეახსენებდა: „მთავრობის თავმჯდომარე პასუხს აგებს საერთო პოლიტიკისათვის, ის პასუხს ვერ აგებს ყველა იმაზე, რაც თითოეულ უწყებაში მოხდა. ამაში პასუხს აგებს მინისტრი. მთავრობის პოლიტიკა ურყევია, რადგანაც თავმჯდომარე ერთი წლით არის არჩეული, მინისტრის წასვლა ამ პოლიტიკას ვერ შეცვლის. თუ თქვენ მიიღებთ პარლამენტარიზმის პრინციპს, მაშინ... უნდა მიიღოთ ცალკე პრეზიდენტის არსებობა.“[35]

ნ.ჟორდანიას მიერ საკითხის ასე პრინციპულად დასმა, „მუდმივ რყევასა და ცვალებადობას“ მოკლებული მთავრობის შექმნის აუცილებლობით იყო განპირობებული. რამდენადაც მიზანი საერთო საქმის გათვალისწინების ინტერესებიდან გამომდინარეობდა და ყოველივე პირადულს გამორიცხავდა, ბუნებრივია, მის პოზიციას გარკვეული მხარდამჭერებიც ჰყავდა, რომელთაგან რ.არსენიძე, ი.წერეთელი და ნ.რამიშვილი გამოირჩეოდნენ. ეს უკანასკნელი, მართალია, საქართველოში „სიმტკიცის საჭიროებასა“ და „ძლიერი ხელისუფლების“ მიზანშეწონილობას აღიარებდა, მაგრამ ამისთვის პრეზიდენტის აუცილებლობას საჭიროდ არ თვლიდა. აქედან გამომდინარე უარყოფდა ამერიკისა და საფრანგეთის სახელმწიფოების საპრეზიდენტო მოდელს და მისაღებად შვეიცარიის სისტემას მიიჩნევდა იმ განსხვავებით, რომ პარლამენტის თავმჯდომარე იმავდროულად რესპუბლიკის წარმომადგენელი ყოფილიყო.[36] რაც შეეხება აკ.ჩხენკელს, ზემოთ აღნიშნული პოზიცია მკვეთრად შეცვალა და შუალედური გზა აირჩია, რაც იმაში გამოვლინდა, რომ პრინციპულად დააყენა საკითხი შვეიცარიისა და საფრანგეთის სისტემათა ურთიერთშეჯერების შესახებ. ამის აუცილებლობას უაღრესად პოლიტიკური და პასუხისმგებელი მთავრობის შექმნაში ხედავდა. იგი მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებს შემდეგი უფლებებით განსაზღვრავდა: 1) თავის თავზე რესპუბლიკის წარმომადგენლობის აღება, 2) კანონის გამოქვეყნება, 3) უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-დათხოვნა, 4) რესპუბლიკის თავდაცვის ძალების მეთაურობა, 5) მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული იყო დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას და მისი გათვალისწინებით მოეხდინა მინისტრის ან მთელი კაბინეტის შეცვლა, 6) კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში,

პარლამენტს შეეძლო პასუხისგებაში მიეცა როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ისე მინისტრები.[37]

აკ.ჩხენკელის ეს მოთხოვნები, უმეტესწილად სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მთავრობის თავმჯდომარის უფლებების შესახებ შემუშავებულ პროექტს იმეორებდა, რაც იმის დამადასტურებელი იყო, რომ იგი ფაქტობრივად ნ.ჟორდანიას პოზიციაზე იდგა. ყოველივე ეს, ეროვნული მმართველობითი ინსტიტუტის შემოღებასთან მიმართებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის რიგებში ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისის დამადასტურებელია. მართალია, ერთსაც და მეორესაც თავიანთი პოზიციის დასაცავად გარკვეული არგუმენტები გააჩნდათ, მაგრამ ძირითად საკითხში მათი შეხედულებების თანხვედრა, მტკიცე და ძლიერი ხელისუფლების შექმნას ითვალისწინებდა და საქართველოს ინტერესებით იყო განპირობებული. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ ვინ უკეთ შეაფასებდა კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას და შემოთავაზებული გეგმა რამდენად მისაღები აღმოჩნდებოდა იმ პერიოდის საქართველოს სინამდვილისათვის. მეორე მხრივ, არსებითი მნიშვნელობა სწორი არჩევანის გაკეთებას ენიჭებოდა. რამდენადაც მთავრობის თავმჯდომარეს, ცეკას პროექტით თითქმის პრეზიდენტის უფლებები ეძლეოდა, იმ პერიოდის საქართველოს რთული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, მტკიცე საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება გ.ლორთქიფანიძეს გამართლებულად მიაჩნდა. „თუ სადმე კი არის საჭირო საკმაო უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, – ამბობდა იგი – ეს გახლავთ სწორეთ საქართველო, რომელიც დღეს იმყოფება გამთლიანების პროცესში, სადაც გადაჭარბებული პარტიულ-პოლიტიკური და სხვა სახის პარტიკულარიზმი უფრო ფედერალურ-ტომობრივ ნაშთის ელფერს ატარებს, ვიდრე კანტონალური დემოკრატიის იერს, და სადაც სახელმწიფოს მთლიანობისა და სიმტკიცის ემბლემა და ფაქტი მეტის რეალობით უნდა იხატებოდეს. პრეზიდენტი დაახლოებით ამერიკა-გერმანიის პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი, სრულიად აუცილებელი და მიზაშეწონილია საქართველოსათვის."[38]

თუკი ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადაიდგა, ამისთვის გარკვეული ალიბი არსებობდა. კერძოდ, საპრეზიდენტო ინსტიტუტი უნიტარული სახელმწიფოსათვის მიუღებელი იყო, ხოლო ეს უკანასკნელი, ფედერალიზმს გამორიცხავდა და რეგიონალური პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების მიუღებლობის პრინციპს ეფუძნებოდა. ეს ფაქტორი ანგარიშის გაწევას საჭიროებდა, რადგან პოლიტიკური ავტონომიების მოთხოვნა იმ ეტაპზე ოფიციალურ სახეს ატარებდა.

მთავრობის თავმჯდომარის მიზანშეწონილობისადმი უპირატესობის მიცემის შემდეგ, ქართველი სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა წინაშე მთელი პრინციპულობით მისი არჩევის ვადების განსაზღვრის საკითხი დაისვა. სსდმ პარტიის მეორე ყრილობის 16 ივნისის სხდომამ იგი სპეციალური მსჯელობის

საგნად გაიხადა. ყურადღების ცენტრში ნ.ჟორდანიას მოხსენება მოექცა. მან გარკვევით მიუთითა იმ აუცილებლობის შესახებ, რომელიც დასმული პრობლემის დროულად გადაწყვეტის მნიშვნელობასთან იყო დაკავშირებული. მისი აზრით, მთავრობის თავმჯდომარე უნდა აერჩიათ ერთი, ან ორი, უკიდურეს შემთხვევაში – თუკი შვეიცარიის მოდელს მიმართავდნენ სამი წლით. ამ სამი ვარიანტიდან იგი უპირატესობას მთავრობის თავმჯდომარის ერთი წლით არჩევას ანიჭებდა.[39] ამ შემთხვევაში ნ.ჟორდანია „ქართულ ტრადიციას" ითვალისწინებდა. როგორც ცნობილია, მთავრობის თავმჯდომარე პირველად საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აირჩია, მეორედ საქართველოს პარლამენტმა და მესამედ დამფუძნებელმა კრებამ. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ თანამდებობაზე პიროვნების არჩევის პრეროგატივას იგი პარლამენტს უტოვებდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატთა ლიდერების თხოვნით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე კარლ კაუცკიმ თავისი შეხედულება იმავე საკითხზე ოფიციალურად გამოთქვა. მისი მტკიცებით, მთავრობის თავმჯდომარისადმი მოკლევადიანი მონაკვეთის დაწესება წინასწარ ხელის შეკვრას და დემოკრატიის შეზღუდვას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ „ჩემთვის ეს პირდაპირ გაუგებარია... სრულებით არ მესმის რათ უნდა გადაისროლოთ არქივში მთავრობის ისეთი თავმჯდომარე, რომელიც გამოიჩენს საქმის უნარსა და გამჭრიახობას. მთავრობის თავმჯდომარის ცვლა მაშინაც კი, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს, სახიფათოა. საზოგადოთ შესაფერისი მთავრობის თავმჯდომარის გამონახვა ადვილი არაა."[40] ჩვენი აზრით, კ.კაუცკი ამ შემთხვევაში სავსებით მართალი იყო, რადგან: 1) თუკი პროექტის ნ.ჟორდანიას ვარიანტი იქნებოდა მიღებული, მთავრობის ხელმძღვანელის შეცვლა იმ მომენტში მოხდებოდა, როცა იგი სახელმწიფოებრივი მართვის მექანიზმის გამოყენების საიდუმლოებას დაეუფლებოდა და ორგანიზაციულად სრულყოფის საფუძველს შეამზადებდა. ეს ფაქტორი ანგარიშგასაწევი იყო იმდენად, რამდენადაც ხელისუფლების სტაბილურობის შენარჩუნებასა და მართვის ბერკეტების უკეთ გამოყენებას უკავშირდება.

თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ მოტანილი არგუმენტაცია ნაკლებ დამაჯერებელი იყო. ამის შესანიშნავ ნიმუშს სსდმ პარტიის 1921 წლის (19-20 იანვარი) კონფერენციაზე კონსტიტუციის საკითხებთან დაკავშირებით რ.არსენიძის მოხსენებაში მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს. იგი მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიურად არჩევის აუცილებლობას იმით ამართლებდა, რომ ამ წესის პრაქტიკაში დანერგვა თითქოს პიროვნების კულტის შექმნის საწინააღმდეგო დამზღვევი მექანიზმი გახდებოდა.[41] 2) ამიერკავკასიის რეგიონში იმ ეტაპზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია ქართული სახელმწიფოსათვის ძლიერი ხელისუფლების

შექმნის აუცილებლობას საჭიროებდა. ამ ფუნქციის შესრულება გამოცდილ და ავტორიტეტულ პიროვნებას თავის თავზე უნდა აეღო, შესაბამისი რეფორმების გატარებით დასახული მიზნისაკენ მტკიცე ნაბიჯი გადაედგა. თუკი ასეთ პიროვნებას მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დააკისრებდნენ რესპუბლიკის მესაჭის ფუნქციებს, მის მიერ დაწყებული რეფორმა დროის ამ მცირე მონაკვეთში სანახევროდაც არ განხორციელდებოდა. ამას თავისი მიზეზებიც გააჩნდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ყოვლად შეუძლებელი იყო შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავება, მის საფუძველზე სახელმწიფოს ორგანიზაციის პროგრამის შედგენა და პრაქტიკაში დანერგვა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწე მარცხის გარდუვალობის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამიტომ, მთავრობის თავმჯდომარის სამი წლით არჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სავსებით გამართლებული იყო. რაც შეეხება მისი უფლებამოსილების გარკვევას, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ეს საკითხი წინა პლანზე წამოსწიეს და დისკუსიის საგნად აქციეს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რ.არსენიძის მიერ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისადმი -აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ წარდგენილი პროექტი. დოკუმენტის მიხედვით მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებში უნდა შესულიყო ბრძანებების, კანონის აღსრულების, ცირკულარების და დადგენილებების გამოცემის, ამა თუ იმ დარგის სამთავრობო რევიზიების დანიშვნის უფლებები. „მთავრობის თავმჯდომარის ასეთი ხელისუფლება - ვკითხულობთ დოკუმენტში - გამომდინარეობს პირდაპირ მისი იურიდიული მდგომარეობიდან. თუ აღმასრულებელ ორგანოს ევალება პარლამენტის გამოცემული კანონების შესრულება, ამ ორგანოს თავმჯდომარესაც უნდა ჰქონდეს ზეგავლენა მთელ სახელმწიფოს აპარატზედ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია კანონიერების დასამყარებლად და ცხოვრებაში საკანონმდებლო ორგანოს ნების გასატარებლად“[42] რამდენადაც მთავრობის თავმჯდომარეს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობის უფლებები ენიჭებოდა, მას შეეძლო ნებისმიერ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გამართვა, უცხოეთში ელჩებისა და რესპუბლიკის უმაღლესი მოხელეების დანიშვნა. მოსალოდნელი საფრთხისაგან ქვეყნის დაცვის მიზნით, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიარაღებული ძალების გამოყვანა[43] როგორც ვხედავთ, მთავრობის თავმჯდომარე შეუზღუდავი უფლებებით იყო აღჭურვილი და მთელი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე მას ეკისრებოდა. იგი უფლებამოსილი იყო თავისი სურვილისამებრ შეედგინა ისეთი კაბინეტი, რომელიც მისი შეხედულებების გატარებას შეუწყობდა ხელს და იმავდროულად პარლამენტის უმრავლესობის ნდობით იქნებოდა აღჭურვილი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარე შეეძლო მინისტრად მოეწვია პარლამენტის გარეთ მყოფი მაღალკვალიფიც-

იური სპეციალისტიც კი. ამასთან დაკავშირებით რ.არსენიძე მიუთითებდა: „მთავრობის წევრები უნდა იყვნენ პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები. ეს უდაოა, მაგრამ პარლამენტარული სამინისტრო შეიძლება არ იყოს შემდგარი უსათუოდ პარლამენტის წევრებისაგან. ისტორია იძლევა მრავალ მაგალითს, როდესაც პარლამენტარული კაბინეტი მთლიანად ან ნაწილობრივ არა დეპუტატებისაგან შედგებოდა... მინისტრის აყვანა არა პარლამენტის წევრთაგან ამავე დროს მიზანშეწონილიცაა, რადგან ამით კაბინეტის თავმჯდომარეს უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა თავის ცოდნით ცნობილი პირი აირჩიოს და უწყების გამგებლობა ჩააბაროს."[44] ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილ თავმჯდომარეს, რეალური შესაძლებლობა ეძლეოდა მინისტრთა კაბინეტის პრაქტიკული საქმიანობისათვის მეტი მოქნილობა მიეცა. თუკი ამ მიზნის მიღწევას შეძლებდა, მყარ საფუძველს შეამზადებდა საერთო პოლიტიკური ხაზის სწორად წარსამართად და მთავრობას მოსალოდნელი კრიზისებისაგან იხსნიდა. რამდენადაც ყოველი სამთავრობო კრიზისი პოლიტიკური კურსის შეცვლას ითვალისწინებს და სახელმწიფოზე უარყოფით დამრღვევ ზემოქმედებას ახდენს, ქართველი პოლიტიკოსები მოსალოდნელი გართულებების აცილების მიზნით, დამცავი მექანიზმის შემუშავებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამის ალიბს, მეზობელ რესპუბლიკებში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იძლეოდა, სადაც სამთავრობო კრიზისები თითქმის „ბუნებრივ მოვლენას" წარმოადგენდა. იგი საქართველოსთვისაც „გადამდებ სენად" რომ არ ქცეულიყო, ქართველი პოლიტიკოსები მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლას ცდილობდნენ და საქართველოს სინამდვილისათვის შესაბამის რეკომენდაციებს იძლეოდნენ. ამასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატთა პოზიცია რ.არსენიძემ ოფიციალურად დააფიქსირა. მისი აზრით, სამთავრობო კრიზისები საქართველოსთვის განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენდა შემდეგი გარემოების გამო: 1) კრიზისის შემდეგაც შესაძლებელი იყო ძველ მთავრობას გაეგრძელებინა მუშაობა ახალის შედგენამდე, 2) ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკული გამოცდილებიდან სამთავრობო კრიზისები რამდენიმე დღეში მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა რ.არსენიძე მოსალოდნელი გართულების შესაძლებლობას არ გამორიცხავდა და ნიმუშად აზერბაიჯანის მაგალითს ასახელებდა, სადაც სამთავრობო კრიზისი 100 დღე გაგრძელდა. ამის ძირითად მიზეზად პარლამენტის ხალხისგან აურჩევლობას ასახელებდა, რის გამოც აზერბაიჯანის პარლამენტის შემადგენლობა საზოგადოების ძალთა რეალურ განწყობილებას არ ემყარებოდა. ეს ფაქტორი უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა აზერბაიჯანში მოქმედი ძალებს შორის კონსესუსის მიღწევასა და კოალიციური მთავრობის შედგენაზე. „კოალიცია შეიძლება – ამბობდა რ.არსენიძე – მონათესავე ჯგუფების და არა ყველა კლასის. ყალბი გზა და საფუძველი აი მიზეზი ხანგრძლივი კრიზისის."[45] აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებიდან

გამომდინარე, იგი რესპუბლიკის პარლამენტში ყველა პოლიტიკური ძალ
არსებობას აუცილებლობად მიიჩნევდა. იმავდროულად მიზანშეწონილ
თვლიდა ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის უმრავლესობის ჯგუფ
საჭიროებას, რადგან პარლამენტარული უმრავლესობის კონტროლი, რომ
თვითონ ამბობდა, ფრაქციულ კონტროლათ გადაიქცეოდა, რომელ
მთავრობას სახელმძღვანელო ინსტრუქციებს მისცემდა. „ასეთ პირობებში,
ამბობდა რ.არსენიძე, - ძნელი დასაშვებია... კაბინეტის პოლიტიკამ გადაუხვ
საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკურ გეგმას. ამიტომ ნაწილობრივ კრიზის
უფრო მეტი ასპარეზი უნდა მიეცეს, ე.ი. პიროვნება, რომელიც სისწორით
ახორციელებს პოლიტიკურ ხაზს, შეიცვალოს მეორეთი, რომლის პირ
თვისებები, მომზადება და სხვა უფრო შეეფერება მორიგ სამ
შაოს."[46] როგორც ვხედავთ, საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარ
საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა მოსალოდნელი კრიზისებისაგ
დაზღვევის საშუალებადაა გამოცხადებული. ხოლო თითოეული მინისტრ
პროფესიისა და დონის შესატყვის სამუშაოზე გადაყვანა, ანუ რ.არსენიძ
სიტყვებით რომ ვთქვათ, - „ნაწილობრივი კრიზისები" აუცილებ
პირობადაა მიჩნეული. მართალია, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მწ
ავე სამთავრობო კრიზისებისაგან თავის დაღწევის გარკვეული ფორმა შ
მუშავეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ საკითხი მათ ამოწურულ
ად ჩათვალეს. პირიქით, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, მ
დახვეწის მიზნით, აღნიშნულ პრობლემას ხშირად უბრუნდებოდნენ და სათ
ადო რეკომენდაციებსაც იძლეოდნენ, ყოველგვარი დაფარვის გარ
მიუთითებდნენ არსებულ ნაკლოვანებებზე. დამფუძნებელი კრების 1920 წ
5 ნოემბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ა.ჩხენკელი გარკვ
მიუთითებდა სახელმწიფოს ორგანიზაციის მოუწყობლობაზე და იმ „წამ
გამონახვის" აუცილებლობაზე, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყ
შესაბამისი გეგმის შემუშავებასა და პრაქტიკულად განხორციელებას.[47] რ
შეეხება რეფორმათა შემაფერხებელ ძირითად მიზეზებს, ა.ჩხენკელი მას მ
ომიანობას მიაწერდა. „ჩვენ გვაქვს მუდმივი ომიანობა, არ გვაქვს დრო შინ
მუშაობას დამშვიდებით შევუდგეთ."[48] ამ შემთხვევაში იგი სავსებით მართ
იყო. თუკი საქართველოს ისტორიის ამ მცირე მონაკვეთს თვალს გავადევნ
ნათლად დავრწმუნდებით, რომ მაშინდელ ხელისუფლებას იძულებიდან გამ
ინარე გამუდმებული ომები ჰქონდა როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრ
მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდ
თ.ლლონტი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყრილობაზე (1921 წლ
ოქტომბერი) გარკვევით მიუთითებდა. „სამი წლის განმავლობაში, რაც საქ
ველო დამოუკიდებელი იყო, - ჩვენ არ ვიცით არც ერთი სამი თვ
გაგვეტარებინოს უომრად, აჯანყების გარეშე. ომი კი, მით უფრო სისტემატ
ომი, თვით აღა-მაჰმადხანის რეჟიმზე უფრო უარესია."[49] ასეთ მძიმე ვითარ

უხდებოდა საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაზე ზრუნვა. მიუხედავად ამისა, იგივე აკ.ჩხენკელი დასახული მიზნის განხორციელებას ოპტიმისტურად უყურებდა და განსაკუთრებულ იმედს, თვით ქართველი ხალხის შეგნებაზე და ქვეყნის წინაშე მის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე ამყარებდა. რესპუბლიკის შიგნით წესრიგისა და უშიშროების გარანტიის შესაქმნელად მთავრობის მოქმედების გააქტიურება აუცილებლობას წარმოადგენდა. დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ პირობად რ.არსენიძეს მთავრობისადმი განსაკუთრებული უფლებების მინიჭება მიაჩნდა. „თუ მთავრობას ასეთ საშუალებას წავართმევთ, – ამბობდა იგი, – მაშინ ის უნდა განთავისუფლებული იყოს პასუხისმგებლობიდან იმ არეულობისათვის, რომელიც მოხდება პარლამენტის სესიის შეწყვეტის შემდეგ. ვისაც ევალება მიზნის მიღწევა, მის განკარგულებაში უნდა იყოს საშუალებანიც ამ მიზნის მისაღწევად."[50]

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი მასალებით დასტურდება: 1) ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციებისა და პრეზიდენტის ძირითადი საპასუხისმგებლო უფლებების გაერთიანება, მთავრობის თავმჯდომარისადმი მისი მინიჭება, უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშანთვისებას წარმოადგენდა. იგი „მუდმივ რყევასა და ცვალებადობას" მოკლებული მთავრობის შექმნას ისახავდა მიზნად. 2) მთავრობის თავმჯდომარისადმი მოკლევადიანი მმართველობითი უფლების მიცემა საქართველოს სინამდვილეს არ შეესატყვისებოდა. იგი ხელს უშლიდა ერთიანი მტკიცე ხელისუფლების შესაქმნელად სახელმწიფო რეფორმების სრულად გატარებას და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადებას. ამიტომ, მისი ერთიდან სამ წლამდე გაზრდა, სწორ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. 3) საგარეო და შიდა პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შესძლო სახელმწიფოს ორგანიზაციის სრულყოფისათვის საფუძვლიანი შემოქმედებითი სამუშაოს გაწევა, რაც მისი საქმიანობის პლუსად უნდა ჩაითვალოს.

§3. საკანონმდებლო ორგანოების შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა და თვით ქართველი სოციალ-დემოკრატები, მართალია დემოკრატიული რესპუბლიკის აუცილებლობას აღიარებდნენ, მაგრამ ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საჭიროება ისეთი სამოქმედო ნორმების შემუშავებას მოითხოვდა, რომელიც დასახული მიზნისათვის შესაბამის ნიადაგს შეამზადებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანიამ, 1918 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატია

და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“-ში ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. მისი მტკიცებით, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცენტრალური ხელისუფლება ძალაუფლების უმეტეს ნაწილს ხალხს უტოვებდა. „ძალაუფლების ასეთი განაწილების დროს – ამბობდა იგი, – ცენტრალურ მმართველობას არა აქვს საშუალება ცალკე ორგანიზაციულად დაირაზმოს და ის თანდათან უახლოვდება ხალხს და ის იქცევა სახალხო მთავრობად.“[51]

ნ.ჟორდანიას აზრით, რამდენადაც ძალაუფლების წარმომშობი წყარო ხალხია, „თავის მოწოდებას ახორციელებს სამი გზით: კანონმდებლობით, ადმინისტრაციულით და სასამართლოთი.“[52] აღნიშნული ორგანოების სრულყოფილი ფუნქციონირება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ეროვნულ საწყისებზე შექმნის მყარ საფუძველს ქმნიდა. დასახელებული რეფორმის შეუფერხებლად გატარების ერთ-ერთ პირობად, ნ.ჟორდანიას პარლამენტისათვის კონვენტის* უფლებამოსილების მინიჭება მიაჩნდა აუცილებლად. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა გარკვეული ბარიერის დაძლევასა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. ამიტომ, დღევანდელი გადასახედიდან ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და მისი ლიდერის ნამოქმედარის მიმართ პრეტენზიულობა იმ შემთხვევაში იქნებოდა მიზანშეწონილი, საქართველოში იმ ეტაპზე რეალურად სხვა პოლიტიკური ძალა რომ ყოფილიყო და სოციალ-დემოკრატები მასთან მიმართებაში ხელშემშლელის როლში გამოსულიყვნენ. ამ ფაქტორის იგნორირება გაუმართლებელია, რადგან მისი გაუთვალისწინებლობა არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანს.

რამდენადაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიზანს უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა, ბუნებრივია, სახელმწიფო ორგანოებიც მისი შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ნ.ჟორდანია, როდესაც ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს საჭიროების საკითხს აყენებდა. საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 28 თებერვლის სხდომაზე იგივე დებულება დაიცვა რ.არსენიძემაც. მისი მტკიცებით, უნიტარული დემოკრატია ერთპალატიანი ორგანოს აუცილებლობას მოითხოვდა, ხოლო ფედერაცია ორპალატიანს – ზედა და ქვედა პალატას.[53] ეს უკანასკნელი მან საქართველოს სინამდვილისათვის "გამოუსადეგარად" მიიჩნია, რადგან იგი ზედმეტ ხარჯებთან, დროისა და შრომის უნაყოფო დაკარგვასთან იქნებოდა დაკავშირებული.[54] აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქართველი სოციალ-დემოკრატების წინაშე პრინციპულად ისმებოდა საკითხი მათ მიერ შემოთავაზებული

*კონვენტი – რევოლუციური ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო საფრანგეთში. შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, პირველი რესპუბლიკის პერიოდში. მოქმედებდა 1792 წლის 21 სექტემბრიდან 1795 წლის 26 ოქტომბრამდე.

საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობის მიზანშეწონილობის შესახებ. საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიიდან გამომდინარე, სადაც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას მხოლოდ კონსტიტუცია და რეფერენდუმი ზღუდავდა, ნ.ჟორდანიამ დასაბუთებული მოსაზრება გამოთქვა. მისი თქმით, „ყველაზე დიდი შეზღუდვა... არის რეფერენდუმი, რადგანაც ამ გზით შეიძლება გაუქმება არა თუ ანტიკონსტიტუციური, არამედ კონსტიტუციური კანონებისაც, ამ შემთხვევაში სრული ბატონ-პატრონი ხალხია."[55] როგორც ვხედავთ, ნ.ჟორდანია კანონმდებლობითი ორგანოს „შეზღუდვილ უზენაესობის ნიადაგზე" იდგა, მაგრამ იმავდროულად სვამდა კითხვას – რა ფარგლებში და როგორ მოეხდინათ აღნიშნული შეზღუდვა. რამდენადაც დემოკრატიულ ქვეყნებში კონსტიტუციას რეფერენდუმის საშუალებით ხალხი ადასტურებდა, მასში შეტანილი ყველა შესწორება რეფერენდუმის გზით უნდა მომხდარიყო, ე.ი. აქ წინა პლანზე ხალხის უზენაესობა ფიგურირებდა. იმავდროულად იქმნებოდა საშიშროება, რომ ხალხს პროგრესული კანონები არ უარეყო, ან „პროვინციალიზმს ცენტრი არ ჩაეყლაპა". მოსალოდნელი სირთულეებისაგან თავის დაღწევის მიზნით, აუცილებლად უნდა შემუშავებულიყო სათანადო მექანიზმი, რომელიც ხალხსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის ძალაუფლების განაწილებას საფუძვლად დაედებოდა. ამასთან დაკავშირებით ნ.ჟორდანია ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში ხაზგასმით მიუთითებდა: რამდენადაც „ხალხი ანხორციელებს საკანონმდებლო ძალაუფლებას დეპუტატთა პალატის დახმარებით, ერთპალატიანი სისტემის დროს, რომელიც ჩვენშიაც უნდა იქნას მიღებული, რეფერენდუმი პალატას კონტროლს უკეთებს და აიძულებს დაკვირვებით და დინჯათ იმუშაოს კანონმდებლობის სფეროში."[56]

როგორც ვხედავთ, მოსალოდნელი სირთულეებისა და გაუგებრობების აცილების საუკეთესო საშუალებად ნ.ჟორდანიამ ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა მიიჩნია, მაგრამ მისი სახელწოდება არ დაუკონკრეტებია. ეს ხარვეზი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის, რეგიონალური კოლექტივების საპარლამენტო და პროფესიული კავშირების, მუშათა საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 1919 წლის 22 თებერვლის შეერთებულ კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში „დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქცია და ძალაუფლება" - შეავსო. დამფუძნებელი კრება სახელმწიფო შემოქმედებაში მან სუვერენ და შეუზღუდავ საკანონმდებლო ორგანოდ გამოაცხადა, რომლის საქმიანობა საკანონმდებლო, მმართველობითი და სასამართლო ფუნქციებით უნდა შემოფარგლულიყო. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება საკანონმდებლო ფორმის სამ სახეობაზე – დეკრეტი, კონსტიტუცია და კანონები – გაამახვილა. იმავდროულად მოგვცა თითოეული მათგანის განმარტება და განმასხვავებელი ძირითადი ნიშან-თვისებები. აქედან გამომდინარე, დეკრეტებით სახელმწიფო მმართველობა ნ.ჟორდანიამ მიუღებლად მიიჩნია

და დამფუძნებელი კრების ნომერ პირველ ამოცანად შესაბამისი კანონების გამოცემის აუცილებლობის საკითხი დააყენა. „დამფუძნებელი კრების ფუნქცია, – ამბობდა იგი, – კანონების გამოცემაა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ გარდამავალი ხანისთვის. ეს კანონები განსაკუთრებით ეხება სამოქალაქო ურთიერთობას, ... სისხლის სამართალსაც, თუმცა ამ სფეროში დეკერეტებიც მუშაობს.“[57] დამფუძნებელი კრების ამოცანას საკანონმდებლო ხაზით, კონსტიტუციისათვის სათანადო ბაზის მომზადება და პოლიტიკური ნორმების სამართლებრივად დაკანონება წარმოადგენდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმავე მოხსენებაში ნ.ჟორდანიამ განსაკუთრებული აქცენტი დამფუძნებელი კრებისა და პარლამენტის იგივეობრიობის საკითხთან დაკავშირებით შექმნილ გაუგებრობაზე გაამახვილა. ამის ძირითად გამომწვევ მიზეზს იგი ეროვნული საბჭოსადმი პარლამენტის სახელწოდების მიკუთვნებაში (1918 წლის 8 ოქტომბერი) ხედავდა და იქვე ხაზგასმით მიუთითებდა: „იმით, რომ ჩვენს ნაციონალურ საბჭოს პარლამენტი დავარქვით, მართლა პარლამენტი არ გამხდარა და თვით ეს სახელი მას ისე შეეფერება, როგორც ძროხას უნაგირი.“[58] ასეთი მკაცრი განაჩენი შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. იგი აღნიშნული ორგანოს პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე შედეგს ეფუძნებოდა. ნ.ჟორდანიას აზრით, საქართველოში იმ ეტაპზე – გარდამავალი პერიოდისათვის „პარლამენტარული რეჟიმის“ დასამკვიდრებლად ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, თუკი ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს გზა აირჩია, იგი არსებულ სინამდვილესთან მიმართებაში ნაჩქარევ ნაბიჯს წარმოადგენდა. „ჩვენ მხოლოდ მივბაძეთ რუსეთის დუმას, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – თითქოს უკეთესი მაგალითი ქვეყნად არ მოიძებნებოდეს. ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი მოუწყობლობისა არის ის, რომ ჩვენმა პარლამენტმა მართლა პარლამენტათ წარმოიდგინა თავი, არ მიითვისა დამფუძნებელი კრების ზოგი ფუნქცია და არ ჩაერია პირდაპირ აღმასრულებელი ძალის მოქმედებაში.“[59] აქედან გამომდინარე, პარლამენტის შექმნას იგი კონსტიტუციის პროგრამატივად, ხოლო ამ უკანასკნელის შემუშავებას დამფუძნებელი კრების უფლებამოსილებად თვლიდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ მოწინავე წერილში „დამფუძნებელი კრებისათვის“ მიუთითებდა: დამფუძნებელი კრების მთავარი ფუნქცია კონსტიტუციის შემუშავებაა „ესე იგი იმ წესების დამყარება, რომლის მიხედვით და რომლის ფარგლებში მომავალში იმუშავებს მთავრობა და პარლამენტი ხალხის საკეთილდღეოდ“. დამფუძნებელი კრება „პატრონათ უნდა მოევლინოს მოუწყობელ ქვეყანას და მასში წესრიგი დაამყაროს... ეს საფუძველია თვით კონსტიტუციის.“[60]

ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი პოლიტიკოსები განსაკუთრებულ იმედს დამფუძნებელ კრებაზე ამყარებდნენ. მას გადამწყვეტი

სიტყვა უნდა ეთქვა ქართული სახელმწიფოს ფორმირების საქმეში. „პირველი და მთავარი მოვალეობა დამფუძნებელი კრებისა, – ვკითხულობთ იმავე სტატიაში, – ეს იქნება შექმნა ახალი მმართველობის და გამარტივება მისი. მეორე და არანაკლები – გაჯანსაღება ადმინისტრაციის... და დამყარება ნამდვილი თავისუფლების, რომელიც ერთი მხრით თვითნებობად და ბოროტების წყაროდ არ იქცევა და მეორე მხრით, უალაგო და უმიზნო შეზღუდვას არ განიცდის მმართველობისაგან."[61] რა პრინციპის გამოყენებით შეიძლებოდა ყოველივე ამის მიღწევა, მასში არაფერი იყო ნათქვამი. იგი ფაქტობრივად საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ ფორმას არ იძლეოდა. აუცილებლობა კი ამის საჭიროებას მოითხოვდა. ეს გარემოება ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერს – ნ.ჟორდანიას ყურადღების მიღმა არ დარჩენია და მის შესახებ თავისი კომპეტენტური შეხედულება გამოთქვა. იგი საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, გარდამავალი ეტაპისათვის ყოველი სამთავრობო სტრუქტურის ყურადღების ცენტრში მოქცევასა და მასზე კონტროლის დაწესებას მოითხოვდა. ამის მიღწევას შესაძლებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა, თუკი მთავრობის კაბინეტის რეორგანიზაცია და მისი ახალ ნიადაგზე დადგომა მოხერხდებოდა. იმავდროულად მინისტრთა რაოდენობა მაქსიმალურად შემცირდებოდა, ხოლო სახელმწიფო აპარატი „სწრაფად მოძრავი" გახდებოდა. „ის აპარატი, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – რაც ჩვენ დღეს გვაქვს, წარმოადგენს ვეებერთელა ტვირთს, რომელიც აწევს ჩვენს რესპუბლიკას და მას ხელფეხს უბორკავს. ეს არის მემკვიდრე ნიკოლოზის ბიუროკრატიის, კერენსკის წყობილების, კომისარიატის ნამოქმედარის, ერთი სიტყვით აქ დომხალივით არეულია სხვადასხვა ნაკეცები და ყველა ეს ერთ სახელმწიფო აპარატში გვგონია. დამფუძნებელმა კრებამ ეს ერთიმეორეზე მექანიკურათ შეკოწიწებული აპარატი სავსებით უნდა დაშალოს. უვარგისი ელემენტი გამოაგდოს, ვარგისიანი ერთად შეკრას და აღმასრულებელ ძალას ჩააბაროს"[62] დასმული პრობლემის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, იგი აყენებდა საკითხს მინისტრების რაოდენობის ცხრიდან-ოთხამდე შემცირების შესახებ. ხოლო უწყებების გაერთიანების შემდეგი სახის მოდელს იძლეოდა: 1) თავდაცვის სამინისტრო – სამხედრო და საგარეო საქმეთა დეპარტამენტები, 2) შინაგან საქმეთა სამინისტრო – საზოგადოებრივი წესრიგის, სასამართლოს და განათლების დეპარტამენტები, 3) სახალხო მეურნეობის სამინისტრო – ფინანსების, ვაჭრობა-მრეწველობის, სახელმწიფო ქონების, სოფლის მეურნეობის, მიმოსვლის, შრომის დეპარტამენტები. ყოველ დეპარტამენტს ეყოლებოდა დირექტორი, რომლებიც მინისტრთა თათბირის მუშაობაში სათათბირო ხმით მიიღებდა მონაწილეობას. ამ პროექტის მიხედვით, ფაქტობრივად სამი მინისტრი და ერთი თავმჯდომარე იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი მესამე სამინისტროს სიდიდის გამო ორად გაყოფდნენ, მაშინ მინისტრთა რაოდენობა ხუთამდე გაიზრდებოდა. ნ.ჟორდანიას

წინადადებით, ეს სამინისტროები ერთ შენობაში უნდა მოეთავსებინათ და შტატების მაქსიმალური სიმცირით დაეკომპლექტებინათ. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო დამფუძნებელ კრებასა და სამინისტროებს შორის, ამის შესახებ ნ.ჟორდანია გარკვევით მიუთითებდა, რომ „დამფუძნებელი კრება აღმასრულებითი ძალის ნაწილს აძლევს სამინისტროს, ხოლო დანარჩენს თვითონ იტოვებს. თუ მათ შორის კონფლიქტია, უკანასკნელი სიტყვა რჩება დამფუძნებელ კრებას"[63] აღნიშნული სქემიდან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებულმა კრებამ შემდეგი სახის თეზისები მიიღო: „1) დამფუძნებელი კრების მთავარი საზრუნავია, პირველყოვლისა მოახდინოს მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია – სახელდობრ: ა) შემცირება სამინისტროების, ბ) შემცირება შტატების, გ) ორგანიზაცია აღმასრულებელი ძალის. 2) დამფუძნებელი კრება გარდა თავისი ჩვეულებრივი მოქმედებისა – დეკრეტებით, კანონების და კონსტიტუციის შემუშავებით აარსებს კომისიებს, რომელნიც თვალყურს ადევნებენ აღმასრულებელი ძალის მოქმედებას და უფლება აქვს, რომ ამ მოქმედებაში ჩაერიოს, როცა საჭიროთ დაინახავს. დამფუძნებელი კრება ახორციელებს პირდაპირ აღმასრულებელ ძალას მთლიანად თუ ნაწილობრივ, როცა ამას ქვეყნის მდგომარეობა მოითხოვს."[64]

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ სოციალ-დემოკრატთა ლიდერის მიერ შემოთავაზებული გეგმა – დამფუძნებელი კრების ფუნქციისა და სამინისტროთა რეორგანიზაციის შესახებ, ვფიქრობთ მისაღები იყო, რადგან 1) მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრება ახლად ფეხადგმული და ჩამოყალიბების ზღურბლზე მყოფი სახელმწიფოს სინამდვილეს შეესატყვისებოდა. 2) რამდენადაც ქართველ პოლიტიკოსთა ძირითად მიზანდასახულობას დემოკრატიულ პრინციპებზე ეროვნული სახელმწიფოს მოწყობა წარმოადგენდა, ამიერკავკასიის რეგიონის სპეციფიურობიდან და საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მისი საკანონმდებლო ბაზისის შესაქმნელად დამფუძნებელი კრება ყველაზე მეტად იყო მისაღები. 3) დამფუძნებელ კრებას რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა შეექმნა და მის საფუძველზე ახალი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი აერჩია. როცა ამ ორი ორგანოს შორის საფეხურებრივი ზღვარის შესახებ იდგა საკითხი, ბუნებრივია თითოეულ მათგანს მომენტისა და დროის შესაბამის მონაკვეთში გარკვეული დატვირთვა ეძლეოდა. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატთა ლიდერები, დამფუძნებელი კრების შემდგომ ეტაპად პარლამენტის შექმნას რომ მიიჩნევდნენ. იმავდროულად, კონსტიტუციის ფარგლებში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციებით მისი აღჭურვის მიზანშეწონილობაზე მიუთითებდნენ. ამის აუცილებლობას იმითაც ხსნიდნენ, რომ პარლამენტს უშუალოდ რესპუბლიკის ბედი უნდა განეგო, რადგან იგი

ხელისუფლების მთავარი ძალა იყო. მის ერთადერთ გამკონტროლებელს ხალხი წარმოადგენდა, რომელსაც აღნიშნული ოპერაციის ჩატარება რეფერენდუმისა და არჩევნების გზით შეეძლო. ეხებოდა რა ამ საკითხს, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის ხდომაზე (1920 წ.) გაკეთებულ მოხსენებაში რ.არსენიძე მიუთითებდა: „პარლამენტს ეკუთვნის ხალხის სუვერენობა მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში, გარეშე მას არ შეუძლია მოქმედება, რაც კონსტიტუციით პარლამენტს არა აქვს გადაცემული, ის ხალხს აქვს დარჩენილი; კონსტიტუცია და თვით ხალხი პარლამენტზე ზევით დგას."[65]

პრაქტიკულად თუ რა ფორმით ვლინდებოდა პარლამენტის სუვერენტიტი, რ.არსენიძე იმავე მოხსენებაში თავის შეხედულებას შემდეგნაირად აყალიბებდა: „პარლამენტის სუვერენობა ნიშნავს იმას, რომ ეს სუვერენობა არ ეკუთვნის აღმასრულებელ ორგანოს, კომიტეტს, სამინისტროს ან სასამართლოს. ამათ მოქმედებას საზღვრავს (კონსტიტუციის გარდა) თვით პარლამენტი, პარლამენტის გამოცემული კანონი. ამრიგად, სუვერენობის სახელი ეკუთვნის ერს და შემდეგ შეზღულდული სახით პარლამენტს."[66] როგორც ვხედავთ, ერისა და ქვეყნის პარლამენტის უფლებამოსილება ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და ხალხის ნებას გარკვეულ საფეხურზე უპირატესობა იმდენად აქვს მიცემული, რამდენადაც აღნიშნული საკანონმდებლო ორგანო თვით ხალხის სურვილისა და პოლიტიკური მიზანდასახულობის ოფიციალურ დემონსტრირებას წარმოადგენდა. ბუნებრივია, ამ ფაქტორის მაქსიმალურად გათვალისწინებით მოქმედებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, როდესაც პარლამენტის კომპეტენციის გარკვევის საკითხს აყენებდნენ. იმავდროულად ანგარიშს უწევდნენ ამ სფეროში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მდიდარ გამოცდილებას და რაც მთავარია, საქართველოს უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელ პირობებს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს პრინციპები არის გათვალისწინებული რ. არსენიძის მოხსენების იმ ნაწილში, რომლებიც პარლამენტის უფლებებს ეხება. მასში კონკრეტულად იყო განსაზღვრული იმ უფლებამოსილებათა სფერო, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე პარლამენტის დაქვემდებარებაში შედიოდა: ჯარისა და რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების გამგებლობა, ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა, საზავო, სავაჭრო და სხვა სახის ხელშეკრულებების დამტკიცება უცხო სახელმწიფოებთან, ამნისტია, ბიუჯეტის დამტკიცება, საშინაო და საგარეო სესხის აღება, იმ თანამდებობის პირთა არჩევა, რომელიც კონსტიტუციით ან სხვა რომელიმე კანონით ჰქონდა მას მიკუთვნებული, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი.[67] იმავდროულად მისი ძირითადი მოვალეობის სფეროს იმ კანონმდებლობის პრაქტიკულად გატარება მოიცავდა, რომელიც საკანონმდებლო მუშაობისათვის რეგლამენტით იქნებოდა შემუშავებული.

ერთი იმ მნიშვნელოვანი საკითხთაგანი, რომელიც პარლამენტს

უკავშირდებოდა და ქართველ პოლიტიკოსთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, აღნიშნული ორგანოს ვადის განსაზღვრა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 17 აპრილის სხდომის მასალები იქცევს. აქაც საკითხის დასმის ინიციატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, პ.ჯაფარიძეს პარლამენტისათვის ორწლიანი ვადა მიზანშეუწონლად მიუჩნევია და მისი სამი წლით გაზრდის მოთხოვნა დაუყენებია. ამ წინადადებას მხარი კ.ჯაფარიძემ, პ.გელეიშვილმა და რ.არსენიძემ დაუჭირეს. ეს უკანასკნელი პარლამენტის მუშაობაში სამწლიან ვადას საკმარისად მიიჩნევდა იმ თვალსაზრისით, რომ წარმომადგენლობითი ორგანო ერის ინტერესების უფრო სწორი გამომხატველი გახდებოდა და მისი საქმიანობა დაუახლოვდებოდა „პირდაპირი დემოკრატიის რეალურ შედეგებს... გრძელვადიანი პარლამენტები, – ამბობდა რ.არსენიძე, – იშვიათად აღწევენ ნორმალურ დასასრულს."[68] მეორე მხრივ, ამ მონაკვეთში მოქალაქეებს დეპუტატთა მუშაობის შეფასებისა და მომავალი არჩევნებისათვის ძალთა განწყობილების ცვალებადობის დაფიქსირების შესაძლებლობა ეძლეოდათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტის ვადის გასვლამდე იმავე ხალხისგან ინიციატივა წამოვიდოდა, ამ ორგანოს ნაადრევად დათხოვნის შესახებ, იგი მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. ამასთან დაკავშირებით რ.არსენიძე მიუთითებდა: „რეფერენდუმი გამოხატავს ხალხის უზენაესობას პარლამენტზე. ხალხი... უმაღლესი კორექტორია პარლამენტის და უკანასკნელის შეცვლა მას შეუძლია როგორც მორიგი არჩევნების დროს, ისე მანამდე, თუ ხალხი დაადასტურებს პარლამენტის დათხოვნის დეკრეტს. სხვა გზით პარლამენტის შეზღუდვა ჩვენთვის მიუღებელია."[69]

სოციალ-დემოკრატთა გამოსვლები იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ კომისიის წევრებმა პარლამენტის უფლებამოსილების სამი წლის ვადით განსაზღვრას მხარი დაუჭირეს და მიღებულ დადგენილებაში ჩაწერეს: „პარლამენტის ვადათ აღიარებული იქნეს სამი წელი."[70]

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტების ანალიზიდან ირკვევა: 1) ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მხოლოდ აღიარება, დასახული მიზნის შემაფერხებელი ბარიერის დაძლევას არ ნიშნავდა. სახელმწიფოებრივი ინტერესები ისეთი სრულყოფილი ნორმების შემუშავებასა და პრაქტიკულად ამოქმედებას საჭიროებდა, რომელიც საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებს სრულყოფილი ფუნქციონირების შესაძლებლობას მისცემდა და დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად საფუძველს შეამზადებდა. 2) რამდენადაც საქართველო სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების ზღურბლზე იმყოფებოდა, ქართველი სოციალ-დემოკრატები

მას გარდამავალ სტადიად მიიჩნევდნენ და მისთვის მიზანშეწონილად შეუზღუდავი, სუვერენი უფლებებით აღჭურვილი დამფუძნებელი კრების აუცილებლობის საჭიროებას აღიარებდნენ. აღნიშნული ორგანოს ძირითადი ფუნქცია, საკანონმდებლო საქმიანობითა და კონსტიტუციისათვის ძირითადი ბაზის მომზადებით უნდა შემოფრგლულიყო. აქედან გამომდინარე, იმ ეტაპზე პარლამენტარული რეჟიმის დასამკვიდრებლად საქართველოში ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. 3) საკანონმდებლო ორგანოს არჩევის ის საფეხურებრივი ფორმა, რომელიც ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა შეიმუშავა, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მომზადება, და შემდგომ ეტაპზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვილი პარლამენტის არჩევის საკითხის დაყენება, არსებული პოლიტიკური სიტუაციის ფონის გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა. ქვეყნის პარლამენტისა და ერის უფლებამოსილების განუყოფლობის გათვალისწინება, პარლამენტის მოქმედების შეუზღუდველობა და მასზე მხოლოდ რეფერენდუმით ზემოქმედების შესაძლებლობა იმდენად იყო მისაღები, რამდენადაც იგი უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა და საქართველოს სინამდვილეს შეესატყვისებოდა.

§4. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და მათი ფუნქციების განსაზღვრა

საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების გარკვევის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ ხელისუფლების იმ სტრუქტურას, რომელსაც მიღებული კანონების პრაქტიკული რეალიზაციის, ანუ აღმასრულებლის როლი უნდა შეესრულებინა. ამ საკითხის წარმოჩენას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც იგი სახელმწიფოს მართვის მექანიზმის სარკეს წარმოადგენს და შესაძლებლობას ქმნის, ობიექტურად იქნას დანახული ის გარეგნული მხარე, რომელიც საკანონმდებლოსა და აღმასრულებელს შორის არსებობს. ამ შემთხვევაში ორ ძირითად საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას, კერძოდ: 1) ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება და მისი ფუნქციები, 2) ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების (ერობები, თვითმართველობები) ორგანოების უფლება-მოვალეობები, ცენტრთან მათი დამოკიდებულება. რაც შეეხება პირველ საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება იმ ეტაპზე ურთიერთ განსხვავებულ სახესა და თვისებებს ატარებდა. ამის გამომწვევ მიზეზებზე ნ.ჟორდანიამ თავის ნაშრომში „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს ორგანიზაცია“ სპეციალურად გაამახვილა ყურადღება. მან ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების

საფუძველზე ერთმანეთისაგან გამიჯნა პარლამენტარული წყობილებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმები, იმავდროულად მათ შორის ძირითად განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზედაც მიუთითა. მისი მტკიცებით: 1) პარლამენტარული წყობილების დროს, სამინისტრო პარლამენტის აღმასრულებელ ძალას წარმოადგენდა, ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებები სისრულეში მინისტრსა და მის მოხელეებს მოყავდა. მეორე მხრივ, სამინისტრო პარლამენტის უმრავლესობის ნების გამომხატველი იყო და მისი საქმიანობის ხანგრძლივობა უმრავლესობის ცვალებადობის პროცესს ექვემდებარებოდა. 2) დემოკრატიულ ქვეყნებში არცერთი ეს თვისება სამინისტროს არ გააჩნდა, ის არ იყო კანონების ერთადერთი აღმასრულებელი და პარლამენტის წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ ჰქონდა. ამის დასადასტურებლად ნ.ჟორდანია შვეიცარიის სინამდვილეს მიმართავდა, სადაც პარლამენტის მიერ გამოცემული კანონები სისრულეში იმ მოხელეებს მოჰყავდა, რომლებიც დანიშნული იყვნენ არა ცენტრის, არამედ კანტონების მიერ. რაც შეეხება მინისტრებს, მას პარლამენტი ირჩევდა. ისინი „არ წარმოადგენდნენ უმრავლესობის მეთაურებს, არც პოლიტიკურ სახელმწიფო მოღვაწეებს". ასეთ სამინისტროს ნ.ჟორდანია გამოცდილი და საქმის მცოდნე ადმინისტრატორებისაგან შედგენილ „საქმიან კოლეგიას" უწოდებდა, რომლის უფლებებს მხოლოდ ადმინისტრაციული სფერო ექვემდებარებოდა. რაც შეეხება მათი საქმიანობის ხანგრძლივობას, შესაბამისი სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავდა. „სამინისტროსი, ანუ თითოეული მინისტრის გადაყენება სამსახურის ვადის გასვლამდე, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაარღვია კონსტიტუცია, ან კანონი, მხოლოდ ეს უნდა დაადასტუროს ფედერალურმა სასამართლომ."[71] როგორც ვხედავთ, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება, ანუ მინისტრთა კაბინეტი წესით პოლიტიკის გარეთ მდგომი პირებისაგან უნდა შედგენილიყო და მათი ვადამდე გადაყენება იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი მის რომელიმე წევრს კანონის დარღვევას სასამართლო დაუდასტურებდა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს სამინისტრო არ წარმოადგენდა „პარლამენტარულ აღმასრულებელ ძალას". ისმება კითხვა: რამდენად რეალური იქნებოდა პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობისაგან მინისტრთა კაბინეტის შედგენა და გამორიცხავდა თუ არა იგი მოქალაქეთა დაპირისპირებას, ან პირიქით, მოქალაქეთა უმრავლესობის სურვილის გათვალისწინებით შედგენილი კაბინეტი მისაღები იქნებოდა თუ არა საქართველოს სინამდვილისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ.ჟორდანია უარყოფით პასუხს იძლეოდა და დასძენდა, რომ „შეუძლებელია აგრეთვე კაბინეტი შეადგინო მოქალაქეთა უმრავლესობის მიხედვით, ვინაიდან ეს უმრავლესობა ხასიათდება არა პოლიტიკური ნიშნებით, არამედ იმ კანონების ხასიათით, რომელიც სახალხო

კენჭისყრით იქნა მიღებული."[72] როგორც ვხედავთ, ნ.ჟორდანია იმ ეტაპზე ორივე ვარიანტს გამორიცხავდა. მისი მტკიცებით პარლამენტარიზმის გზა ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებს, რადგან გადამწყვეტი სიტყვა ხალხს ეკუთვნოდა. „მინისტრებს, დეპუტატებს და სხვა ადმინისტრატორებს, – ამბობდა ნ.ჟორდანია,– ხალხი უყურებს არა ისე, როგორც თავის ბატონებს, არამედ ისე, როგორც თავის მოსამსახურეს, რწმუნებულთ, რომელნიც ვალდებულნი არიან შეასრულონ მისი ბრძანებანი იმ შემთხვევაშიაც, როცა ასეთებს არ ეთანხმებიან ისინი (მინისტრები). აქ პატრონია ხალხი და ის არ კითხულობს მინისტრები თანახმა არიან თუ არა, ის პირდაპირ უკარნახებს მათ თავის ნებას, რომლის შეუსრულებლობა სისხლის სამართლის კანონის ძალით ისჯება. ეს დემოკრატიის ბატონობის უმაღლესი ფორმაა და სანამ ხალხი არ ამაღლდება ამ ფორმამდე, მას ძალაუნებურად უხდება ანგარიში გაუწიოს ყველა სურვილებს და კაპრიზებს ადმინისტრატორებისა, რომელნიც მის ბატონათ ხდებიან და არა მოსამსახურეებათ."[73] ჩვენს მიერ მოტანილი ეს ვრცელი ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ სრულყოფილი დემოკრატიის დამყარება ნ.ჟორდანიას შესაძლებლად იმ შემთხვევაში მიაჩნდა, როცა ამ პროცესისათვის საზოგადოება სათანადოდ იქნებოდა მომზადებული. რაც შეეხება მოქალაქეთა უმრავლესობისაგან მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებას, მას მხოლოდ დემოკრატიის უმაღლეს საფეხურამდე ხალხის შეგნების ამაღლებას უკავშირებდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, იგი პარლამენტარიზმისა და სახალხო კანონმდებლობის ურთიერთ შეთავსებას შეუძლებლად თვლიდა.[74] ეხებოდა რა ამ საკითხს, კ.მიქელაძე ისეთი მმართველობითი ფორმის შემოღების საჭიროებას მოითხოვდა, რომ აღმასრულებელი ძალა შესაბამისობაში ყოფილიყო პოლიტიკური ცხოვრების განვითარებასთან. „მხოლოდ ამ სისტემით აღმასრულებული ძალის შექმნა უზრუნველყოფს საკანონმდებლო დაწესებულების გავლენას და მისი სახელმწიფოებრივ უზენაეს ძალას, ვინაიდან საკანონმდებლო ორგანოს სიმაგრე და სიმტკიცე ბევრად არის დამოკიდებული აღმასრულებელი ძალის დანიშვნა-გადაყენების შესაძლებლობაზე."[75] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ თუკი 1918 წლისათვის ქართველ სოციალ-დემოკრატებს აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმების განსასაზღვრავად პარლამენტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპების ერთმანეთთან შეზავება შეუძლებლად მიაჩნდათ, 1920 წლისათვის მათი შეხედულების ცვალებადობა იმაში გამოვლინდა, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას აუცილებლად თვლიდნენ. ამის ნიმუშად რ.არსენიძის მიერ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისადმი 1920 წელს წარდგენილი მოხსენება „აღმასრულებელი ხელისუფლება" გამოდგება. იგი ფრანგული და შვეიცარული სისტემების – პარლამენტარული რესპუბლიკისა და დემოკრატიის შერეულ პრინციპებზე

დამყარებული აღმასრულებელი ხელისუფლების მოდელს იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით იმავე მოხსენებაში მითითებული იყო: „ის სისტემა აღმასრულებელი ორგანოს ორგანიზაციისა, რომელიც აქვს შეთვისებული ჩვენს პროექტს, არ შეიცავს სავსებით ყველა იმ ელემენტს, რომელიც ახასიათებს ცალ-ცალკე ზემოთჩამოთვლილ სისტემებს."[76] ეს იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული სახელმწიფოების, აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დამახასიათებელი მხოლოდ ის ძირითადი ფორმები იქნა აღიარებული, რომელიც საქართველოს სინამდვილეს შეესატყვისებოდა, მისთვის უცხო სხეულად არ გადაიქცეოდა და მათი სინთეზი აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთ სახეს შექმნიდა, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სრულყოფისათვის იქნებოდა მისაღები.

რამდენადაც ქართული სახელმწიფოს მართვის მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობა სოციალ-დემოკრატთა ლიდერების ნომერ პირველ საზრუნავს წარმოადგენდა, მის შესახებ მსჯელობას უცილობო პირობად მიაჩნდნენ. ამის ერთ-ერთ ნიმუშს, საქართველოს სდმ პარტიის მეორე ყრილობის 1920 წლის 14 ივნისის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ხელშემშლელ ძირითად მიზეზად, პარტიული მუშაკების მიერ მთავრობაში შესვლაზე კატეგორიული უარის განაცხადის გაკეთებას ასახელებდა. „იყო შემთხვევა, - ამბობდა ნ.ჟორდანია, – რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მთავრობაში შევიდეს ესა თუ ის პირი, მაგრამ ის უარს აცხადებს. ეს გამოდის რაღაც ბოიკოტი და თუ მართლა მთავრობა ბოიკოტის ღირსია, მაშინ მეც გამოვუცხადებ ბოიკოტს, თუკი ბოიკოტი უეჭველია და მთავრობა არ არის საჭირო."[77] როგორც ვხედავთ, საკითხი პრინციპულად იდგა, მაღალი თანამდებობისათვის შესაფერისი პიროვნება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მუშაობაზე უარს აცხადებდა და პასუხისმგებლობას გაურბოდა. ამასთან დაკავშირებით ნ.ჟორდანია იმავე სხდომაზე ხაზგასმით მიუთითებდა: „ყველა ჩვენმა მინისტრებმა რამდენჯერმე შემოიტანეს გადადგომა – მე რომ ეს მიმეღო, ჩვენ კაცს ვერ ვიშოვიდით. მე აუცილებლად მიმაჩნია, რომ პარტიულმა ყრილობამ დაადგინოს, რომ ასეთი შემთხვევა... აღარ განმეორდეს და ყველა ვალდებულია მიიღოს ესა თუ ის თანამდებობა. არ გვაქვს ისეთი ვითარება და მდგომარეობა... ამხანაგების უარი მივიღოთ. ყოველი ამხანაგი უნდა იდგეს თავის პოსტზე. თუ ასე არ იქნება, მე გარწმუნებთ, რომ ჩვენ დავანგრევთ სახელმწიფოს... ბოლშევიკური პარტია იმან იხსნა, რომ მათ... არცერთ ამხანაგს არა აქვს უფლება უარი სთქვას ამა თუ იმ თანამდებობაზე. აქ კი უნდა ევაჭრო, ეხვეწო და ამასობაში ირღვევა ჩვენი საქმეები. ეს ყოვლად შეუძლებელია."[78] ეს ვრცელი ამონაწერი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად რთულ პირობებში მიმდინარეობდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების შექმნა და მისი დახვეწა. იმავდროულად იგი იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ მომავლის წინაშე

პასუხისმგებლობის აცილების მიზნით, თითქმის ყველა რანგის პოლიტიკური მოღვაწე აღმასრულებელ ხელისუფლებაში მინისტრისათვის განკუთვნილ სავარძლებს მაქსიმალურად გაურბოდნენ, რითაც დაწყებული რეფორმების შემფერხებლის როლში გვევლინებოდნენ.

რაც შეეხება მეორე საკითხს – აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ამასთან დაკავშირებით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს გამოკვეთილი პოზიცია ეჭირათ. მათი აზრით, ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებათა ორგანოების უფლებების გამიჯვნა ურთიერთდაპირისპირების აღმოსაფხვრელად აუცილებლობას წარმოადგენდა, ე.ი. აღმასრულებელი ძალაუფლების განაწილება მთავრობასა და საზოგადოებრივ თვითმმართველობებს შორის უნდა მომხდარიყო. „როგორც ჩვენ გავანაწილეთ საკანონმდებლო ძალა პარლამენტსა და ხალხს შორის, - ამბობდა ნ.ჟორდანია, – ასევე უნდა გავანაწილოთ აღმასრულებელი ძალაც მთავრობასა და საზოგადოებრივ თვითმმართველობათა შორის."[79] აღნიშნული პროცესის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით, საქართველოს სინამდვილისათვის ნ.ჟორდანიას კონვენტის სისტემის მიღება აუცილებლად მიაჩნდა. ამ შემთხვევაში იგი შვეიცარიისა და აშშ გამოცდილებას ემყარებოდა, სადაც გუბერნატორებს, პოლიცმეისტერებსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს ხალხი ირჩევდა. მისი მტკიცებით, საქართველოში ადმინისტრატორების არჩევის უფლება საერობო და მუნიციპალური თვითმმართველობებისათვის უნდა მიენდოთ, რადგან ისინი ადმინისტრატორებს პირდაპირ ემორჩილებოდნენ, ხოლო სამინისტროებს არაპირდაპირ. ამ შემთხვევაში სამინისტროები მათი კანონიერი მოქმედების მეთვალყურის ფუნქციებს ასრულებდნენ და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი საფეხურის უფლებებს ერობებს უტოვებდნენ. „ცენტრალური მთავრობის კონსტრუქციის დროს, - ამბობდა ნ.ჟორდანია, – ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი პრინციპით... მთავრობა რაც შეიძლება ნაკლებ მმართველობდეს ხალხზე და მეტს ნივთებზე, ე.ი. ის უნდა ცდილობდეს სახელმწიფლებრივი მეურნეობის და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.[80] დასახული ამოცანის გადაწყვეტა იმ ეტაზე გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან დასმულ პრობლემებთან მიმართებაში სათანადო რეფორმებისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ის აუცილებელი „საჭირო საძირკველი, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე სახელმწიფო, არა გვაქვს, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – კომუნალური თვითმმართველობა. ჩვენი სოფლები წარმოადგენენ უფორმო ორგანიზაციას. მაშასადამე, დღეს უმთავრესად ჩვენ უნდა შევუდგეთ... სახელმწიფოს ადგილობრივი ცენტრების მოწყობას, რის შემდეგ სახელმწიფო საძირკველი ძლიერი და შეურყეველი იქნება. სასოფლო, სამაზრო, ქალაქთა თვითმმართველობანი და მათი კავშირები ადმინისტრაციულ

მოღვაწეობასთან ერთად ხელს მოკიდებენ სამეურნეო-საკულტურო მუშაობ
და მით შეავსებენ და გააგრძელებენ სახელმწიფო-სამეურნეო მოქმედებას."

ჩვენს მიერ მოტანილი მასალები იმის დამადასტურებელია, რომ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი, ერობებს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერ შემადგენელ ნაწილად და დემოკრატიული წყობილების განმტკიცებ საშუალებად თვლიდა. მეორე მხრივ, იგი სახელმწიფოს აღმშენებლობის ძირ ითად საძირკვლად მიაჩნდა. ამ დებულებას კიდევ უფრო ამაგრებ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე (1920 წლის 7 დეკემბერი) რ.არსენიძის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების შესახ გაკეთებული მოხსენება. „მთავარი საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობ შემოქმედება და ძალა რესპუბლიკის ყოველი აღმასრულებელი მუშაობისა, ამბობდა რ.არსენიძე, – ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობ ადგილობრივი კომუნა... როდესაც ხდება ერთიანად დაყრდნობა ცენტრალუ რი მმართველობის ადგილობრივ კომუნაზე... აქ არის მკაფიოდ გატარებულ უაღრესი ბატონობა ხალხისა, რომელიც... პირდაპირ უშუალოდ იღებ მონაწილეობას აღმასრულებელი ძალის შექმნაში და მის მუშაობაში. ეს ერთ ად-ერთი და საუკეთესო ფორმაა ხალხური მმართველობისა აღმასრულებელ ხელისუფლების სფეროში." [82]

რამდენადაც ერობის ძირითად ფუნქციას უმაღლესი საკანონმდებლო ორგ ანოს მიერ მიღებული კანონების რეგიონალური მასშტაბით სრულყოფილ გატარება წარმოადგენდა, ეს ფაქტორი კიდევ უფრო ზრდიდა მის აუცილებლობის მნიშვნელობას. „აღმასრულებელი კომიტეტები, – წერდ გაზეთი „ერთობა", – მოკლებულნი არიან მთელ რიგ უფლებებს, ამიტ აუცილებლად უნდა დაჩქარდეს ერობის მოწყობის საქმე." [83]

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აღმასრულებელ კომიტეტებს თავის დროზე, რევოლუციის პირველი დღიდან ადგილობრივ მმართველობის ფუნქციები დააკისრეს, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციებ ცვალებადობიდან გამომდინარე, მან ეს უფლებები დაკარგა. აღნიშნულ გათვალისწინების საფუძველზე, ქართველი სოციალ-დემოკრატების ტაქტ იკური ხაზი ერობის დაუყოვნებლივი შემოღების აუცილებლობისაკენ იყო მი მართული. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულმა მოწინავე სტატიამ „ერობა და ჩვენი პოლიტიკა" მიიქცია მასში ერობა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლადაა გამოცხადებული. იმავდროულად ადგილობრივი ცხოვრების მოწესრიგების, ყოველგვარი რეაქციის წინააღმ ეგ ბრძოლაში დასაყრდენ ძალადაა მიჩნეული. [84] პრობლემისადმი ასეთ მიდგომით, გაზეთი ფართო საზოგადოებაში აღნიშნული ორგანოს საჭიროებ პროპაგანდას ეწეოდა და მისი პრაქტიკულად გასახორციელებლად მოსახლეობისაგან მხარდაჭერის საფუძველს ამზადებდა. მეორე მხრივ, პოლ

იტიკური წრეებისგან საკითხისადმი მიდგომაში მეტ პრინციპულობასა და ქმედითი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. ოფიციოზის მიერ გაცხადებული ეს პოზიცია, მართალია მისაღები იყო, მაგრამ ანგარიშის გაწევას საჭიროებდა ის პრაქტიკული გამოუცდელობა, რომელიც საერობო საქმესთან მიმართებაში ქართველ პოლიტიკოსებს გააჩნდათ. ამასთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების 1920 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე აკაკი ჩხენკელი მიუთითებდა „ჩვენ არ გვქონდა ერობის საქმეში არავითარი პრაქტიკა, ტრადიცია... ჩვენ ერთი ტიპიური ერობის მოღვაწეც არ გაგვაჩნდა... ვქენით ის, რაც არ გაუბედნია არცერთ სახელმწიფოს, არც სუსტსა და არც ძლიერს. თავიდანვე დავუმორჩილეთ ადმინისტრაცია ერობას.“ [85]

ქართული სოციალ-დემოკრატიის საქმიანობას ამ მიმართულებით თუკი ჩავუღრმავდებით, დავრწმუნდებით, რომ ისინი მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობდნენ აღნიშნული ორგანოს ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებას, რაც შესაბამისი რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში ვლინდებოდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია წარმოადგენს. დოკუმენტის მიხედვით: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცების შესაძლებლობა მხოლოდ ადგილობრივი მმართველობების ნაყოფიერ მუშაობასთანაა დაკავშირებული, 2) ადგილობრივი მმართველობა ერთსა და იმავე დროს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის მართვა-გამგეობის ერთადერთ ადგილობრივ ორგანოდაა აღიარებული. 3) ადგილობრივი მმართველობის მთელი საქმიანობა (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური) შეთანხმებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის პოლიტიკის საერთო პრინციპებთან. 4) აუცილებლადაა მიჩნეული შესაფერისი უფლებრივი და ქონებრივი გარანტიების შექმნა, რათა გარკვეულიყო ადგილობრივ მმართველობათა უფლება-მოვალეობანი. პრაქტიკულად მათ გასატარებლად შესაბამისი საშუალებები გამოძებნილიყო.[86] მართალია, ეს დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ორგანოსადმი გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს ეფუძნებოდა და სათანადო პროექტის შესადგენად მყარ საფუძველს ქმნიდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტა ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის პრეროგატივად არ შეიძლებოდა ქცეულიყო, რადგან პრობლემის სრულყოფილი მოწესრიგება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, როდესაც დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას ადგილობრივი მმართველობის მოწყობის მისეული მოდელი რომ შესთავაზეს. ეს დოკუმენტი იმავე კომისიის მიერ უმნიშვნელო ცვლილებებით იქნა მიღებული. მასში მოცემული ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1) ქალაქისა და ერობის ადგილობრივი მმართველობა ცენტრალური ხელისუფლების არა მარტო ერთადერთ ადგილობრივ ორგანოდ, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებად უნდა ეღიარებინათ. მის ფუნქციებს თავისი ტერიტორიის ფარგლებში მეურნეობის დარგის გაძღოლასთან ერთად, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის სფეროც უნდა დაქვემდებარებოდა. 2) რამდენადაც ადგილობრივი მმართველობა ცენტრალური მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი იყო, თავის სამოქმედო საზღვრებში არსებული პირობებიდან გამომდინარე, კანონის ფარგლებში სავალდებულო დებულებების გამოცემის უფლება უნდა მინიჭებოდა. „ამ უფლებით, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – ადგილობრივი მმართველობა თვითონ ხდება კანონმდებელი. ეს უფლება მეტად მნიშვნელოვანია და იგი ეხება მუნიციპალური ცხოვრების მრავალ მხარეს.“[87] 3) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა და მის წევრთა ზემოდან დანიშვნის ყოველგვარი ფორმა უნდა გაუქმებულიყო, მისი არჩევა ხალხის მიერ საყოველთაო, ფარული კენჭისყრით პროპორციონალური სისტემით მომხდარიყო. 4) აღმშენებლობით სფეროში სრული შესაძლებლობის გამოვლენის მიზნით, ადგილობრივი მმართველობის საქმიანობაში მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს აქტიური ჩარევა ეკრძალებოდათ. უფლება არ ჰქონდათ გაეუქმებინათ მათ მიერ მიღებული დადგენილებები ან განკარგულებები. მისი შეჩერება და სასამართლოსადმი გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუკი იგი კანონს ეწინააღმდეგებოდა. „სასამართლო ეხება ადგილობრივი მმართველობის დადგენილებას მხოლოდ კანონიერების მხრივ, რაც შეეხება მის მიზანშეწონილებას – ვკითხულობთ პროექტში, – ერთადერთი მოსამართლე ამ შემთხვევაში ადგილობრივი მმართველობაა.“[88] 5) ადგილობრივი მმართველობის მიერ სესხის აღების ან უძრავი ქონების განსაზღვრული პირის გარეშე გასხვისებასთან დაკავშირებით გამოცემული დადგენილების დამტკიცება ან უარყოფა, შესაბამისი კანონის ფარგლებში ცენტრალური მთავრობის პრეროგატივას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ექვემდებარებოდა.[89]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მკაცრადაა განსაზღვრული ქალაქისა და ერობის ადგილობრივი მმართველობის და ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილება, მათი მოქმედების ძირითადი არეალი. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ფუნქციათა ასეთი ოფიციალური გამიჯვნა მათი ინტერესების დაპირისპირებას სათავეშივე გამორიცხავდა. მეორე მხრივ, იგი დასახული მიზნის პრაქტიკულად განხორციელების რეალურ საშუალებას იძლეოდა. ასეთი კურსის გატარების შედეგს უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ 1920 წლისათვის საქართველოში 20 სამაზრო ერობა, 27 საქალაქო და 297 სათემო მმართველობა არსებობდა. რამდენადაც მათი რაოდენობა იზრდებოდა, ბუნებრივია, ცენტრალური

ხელისუფლებისაგან თითოეულ მათგანთან ურთიერთობის დამყარება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. აუცილებლობა ერობათა მუშაობის კოორდინაციას საჭიროებდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, პირველმა საერობო ყრილობამ (1919 წლის მაისი) ხუთკაციანი ერობათა ცენტრალური ბიურო შექმნა. იმავე ყრილობის დადგენილებით, ახლადშექმნილ ორგანოს დაევალა: 1) ერობათა გაერთიანების პროექტის შემუშავება, 2) მთავრობისაგან ერობებისათვის დაწესებულებების მიღება, 3) სასურსათო საბჭოსა და მომარაგების კომიტეტისათვის კრედიტების დაუყოვნებლივ მიღება. 4) მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეთანხმებით საერთო აგრონომიული საქმიანობის გაძღოლა, 5) შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ადმინისტრაციის და მილიციის შტატების შექმნა, 6) ერობებისა და მიწათმოქმედების სამინისტროს ურთიერთობის გარკვევა, 7) ცენტრალური სატატისტიკური ორგანოს დაარსების საკითხის გარკვევა, 8) ერობებისა და მთავრობის დაწესებულებებს შორის ბიუროს მიერ წარმომადგენლობის ფუნქციების შესრულების აუცილებლობა.[91] როგორც ვხედავთ, ახლადშექმნილ ორგანოს მეტად საპასუხისმგებლო საკითხების მოწესრიგება ჰქონდა დაკისრებული. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ მიმდინარე პოლიტიკური სიტუაცია და თვით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, შესაფერისი საერობო დებულებების უქონლობა, საბიუჯეტო უფლებების გამოურკვევლობა, დასახული მიზნის განსახორციელებლად გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ერობებმა ბევრ ახალ წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას შეიცავს ერობათა მეორე ყრილობის (1919 წლის 11-18 სექტემბერი) სტენოგრაფიული ანგარიშები. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით გაზეთ „ერთობაში" განი-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „შთაბეჭდილება" ვკითხულობთ: „არ დარჩენილა არცერთი მხარე სოფლის ცხოვრებისა, რომლისთვისაც ერობას ყურადღება არ მიექციოს და შეძლებისდაგვარად მისი მოგვარება არ ცდილიყოს... ის ჩუმი და ენერგიული მუშაობა, რომელიც ჩვენ თვალწინ გადაშალა ერობათა წარმომადგენლობის მოხსენებამ, უტყუარი თავდებია იმისა, რომ ჩვენი სოფლის ცხოვრებას უკვე გაუჩნდა ერთგული პატრონი და ყველა ისინი ვისაც პირდაპირი კავშირი აქვს ერობათა მუშაობასთან, დახმარებას გაუწევენ მათ – ეჰვი არაა დანგრეული და აწეწილ-დაწეწილი სოფლის ცხოვრება მალე გაიკაფავს გზას და მით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენი ხალხის კეთილდღეობას და მის წინმსვლელობას."[92]

ეს ამონაწერი იმის აშკარა დადასტურებაა, თუ რა დიდ დატვირთვას აძლევდნენ ერობებს რეგიონებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ჩამოყალიბების ზღურბლზე მყოფი ადგლობრივი ხელისუფლების ამ ორგანოს ადმინისტრაციული სტრუქტურა თანდათანობით იხვეწებოდა. არსებული რეალობიდან გამომდინარე,

რესპუბლიკის სამაზრო ერობებს შორის დამაკავშირებელი რგოლის შექმნა აუცილებელი შეიქმნა. მართალია, იმ ეტაპზე ერობათა ბიურო ფუნქციონირებდა, მაგრამ მან მოქმედების არეალის იმ დონეზე გაფართოება ვერ შეძლო, რომ რესპუბლიკის მასშტაბით ერობათა საქმიანობის სრული კოორდინაცია მოეხდინა. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის ერობათა მეორე ყრილობის 18 სექტემბრის სხდომაზე ერობათა ცენტრის შექმნის აუცილებლობა იქნა დასმული. ამ საკითხთან მიმართებაში ყრილობის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა. ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანი ვიქ.ღლონტი ასეთი შემაკავშირებელი ცენტრის შექმნას მიუღებლად მიიჩნევდა. მისი აზრით, ერობებზე, როგორც სახელმწიფო აპარატზე, რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლი უნდა შენარჩუნებულიყო, მათ შორის შრომისა და პასუხისმგებლობის ფუნქციები განაწილებულიყო. იმავდროულად ადგილობრივი ერობები და თვითმმართველობები შინაგან საქმეთა სამინისტროს მანამ უნდა დაქვემდებარებოდნენ, სანამ განსაკუთრებული დეპარტამენტი ან ადგილობრივი მმართველობის სამინისტრო არ შეიქმნებოდა.[93] ასეთი მოთხოვნის მიუხედავად, იგი კომპრომისზე მიდიოდა იმ თვალსაზრისით, რომ უკიდურესობიდან გამომდინარე, დასაშვებად მხოლოდ ისეთი ცენტრის შექმნას მიიჩნევდა, რომელიც მთავრობისა და ორგანიზაციის წინაშე, ერობის წარმომადგენლობას იკისრებდა და მის ინტერესებს დაიცავდა. აქ ერთ ნიუანსს უნდა მივაქციოთ ყურადღება. როცა ვიქ.ღლონტი ერობების ცენტრის წინააღმდეგი გამოდიოდა, მას მხედველობის არედან ორი გარემოება გამორჩა: 1) რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასრებული სამაზრო ერობები, შექმნილი რთული პირობების გამო – მიმოსვლისა და კაშირგაბმულობის გაუმართაობის, მთელ რიგ რეგიონებში ხელოვნურად წარმოქმნილი არასტაბილური სიტუაციიდან გამომდინარე იმდენად მოწყვეტილნი იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ ზემოდან მათი საქმიანობის კოორდინაცია შეუძლებელი ხდებოდა. 2) ერობების და ადგილობრივი მმართველობის სათანადო დებულება ჯერ კიდევ შედგენილი და დამტკიცებული არ იყო, რაც პრობლემის მოწესრიგებასა და მის სრულყოფას მაქსიმალურად აბრკოლებდა. თუკი ყოველივე აღნიშნულს გავითვალისწინებთ, ერობათა ცენტრის შესახებ საკითხის დაყენება დროის მოთხოვნასა და არსებული სიტუაციის გათვალისწინების შესაძლებლობებს ეფუძნებოდა. აქედან გამომდინარე, პრიორიტეტი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მიენიჭა, რამაც ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში გამოკვეთილი და კატეგორიული ფორმა მიიღო: „დაარსდეს სამაზრო ერობების კავშირი, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – რომელსაც დაევალება ადგილობრივი ერობების ხელმძღვანელობა და ცხოვრებაში გაყვანა იმ დადგენილებებისა, რომელიც სამაზრო ერობათა წარმომადგენლობის ყრილობის მიერ იქნა გამოტანილი."[94] დოკუმენტის

მიხედვით, საერობო დებულების შექმნამდე, ერობების ფუნქციებს საერობო ყრილობა განსაზღვრავდა, რომლის ყოველი დადგენილება ამ სისტემის მუშაკებს სახელმძღვანელოდ უნდა გაეხადათ. მისი შესრულების დონე რომ კონტროლირებადი ყოფილიყო, იმავე ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებით სპეციალური კომიტეტი იქნა არჩეული გრ.ლორთქიფანიძის, ის.სტურუას, პ.ქავთარაძის, ს.ჭანტურიშვილის, კ.სალუქვაძის, დ.ონიაშვილის, ლ.შენგელაიას, ვ.ცაბაძის და არ.ემხვარის შემადგენლობით. აღნიშნული ორგანოს შესახებ, რამდენადაც დოკუმენტური მასალის მიკვლევა ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა, მისი საქმიანობის შეფასება და კონკრეტული დასკვნების გაკეთება არ ხერხდება. ერთი რამ ცხადია, რომ მმართველი პარტია მაქსიმალურად ცდილობდა იმ ძალების მობილიზებას, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურის დახვეწისა და მისი გაჯანსაღებისაკენ იქნებოდა მიმართული. ამ მხრივ გატარებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული თათბირი იქცევს. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროში ნ.რამიშვილის თავმჯდომარეობით 1919 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა. როგორც მასალებიდან ირკვევა, თათბირის მიზანს საერობო კავშირის ძირითადი დებულებების შემუშავების დაჩქარების საკითხის მოწესრიგება წარმოადგენდა. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „მიენდოს ერობათა კავშირს ძირითადი დებულებების შემუშავება ადგილობრივი მმართველობის, როგორც თემის, ისე მაზრის და ქალაქებთან დამოკიდებულება. საფუძვლად მომავალ დებულებას უნდა დაედოს შემდეგი ძირითადი პრინციპები: 1) თვითმმართველობა არის ადგილობრივი მმართველობა 2) არსებული საქალაქო და საერობო თვითმმართველობანი წარმოადგენენ მხოლოდ სხვადასხვა სახეს ადგილობრივი მმართველობისას, რომელნიც განირჩევიან ურთიერთშორის უფლების კომპეტენციით, 3) თვითმმართველობის არსებობის ერთი საფუძველთაგანი უნდა იქნეს თვითდაბეგვრა.“[95] როგორც ვხედავთ, თათბირმა შეიმუშავა ის ზოგადი დებულებები, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო ადგილობრივი და ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების დამაკავშირებელი რგოლის კომპეტენციის განმსაზღვრელი იურიდიული დოკუმენტი. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ საფუძველი მზადდებოდა იმ სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, რომელსაც შემდგომ ეტაპზე ადგილობრივი მმართველობებისა და ერობების მთელი საქმიანობა უნდა დაფუძნებოდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები და მისი ანალიზი შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1) სახელმწიფოებრივი მართვის ტრადიციების არარსებობის გამო, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიებისადმი დასესხება, მათი პრაქტ-

იკული გამოცდილებიდან რეკომენდირებული ფორმების აღება და მისი სინთეზი, ეროვნული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და დახვეწისათვის იყო გათვალისწინებული. 2) პარლამენტარული და დემოკრატიული წყობილებისადმი დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა, ურთიერთშეპირისპირების ფონზე თითოეული მათგანის პრაქტიკული ღირებულების დასაბუთების მცდელობა, საქართველოს სინამდვილისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების შესატყვისი მოდელის შექმნას ემსახურებოდა 3) ცენტრსა და ადგილობრივ მმართველობებს შორის აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვნის საკითხის დაყენება ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად: ა) პირველი საფეხურის აღმასრულებელი ხელისუფლების – ერობებისა და მუნიციპალური თვითმმართველობების ადმინისტრატორების დამოუკიდებლად არჩევას, ამ ორგანოთა მიერ ცენტრისაგან მიღებული კანონების რეგიონის ფარგლებში გატარებას. ბ) სამინისტროებისადმი მეთვალყურის ფუნქციების მისი მოქმედების უფლებამოსილების მკაცრად განსაზღვრას. 4) რესპუბლიკის ერობათა დამაკავშირებელი რგოლის შექმნა, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების საქმიანობის სრულ კოორდინაციას ითვალისწინებდა და იმ ეტაპზე საქართველოში შექმნილ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას პასუხობდა.

§5. ქართული სოციალ-დემოკრატია და სასამართლოს რეფორმა

რამდენადაც ქართული სოციალ-დემოკრატიის მიზანს უნიტარული დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ბუნებრივია, მის წინაშე მთელი პრინციპულობით დაისვა საკითხი, სასამართლოს რეორგანიზაციისა და მისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. დასახული მიზნის განხორციელებისას, ნ.ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოსავალი პრინციპი – ძალაუფლების ცენტრსა და ხალხს შორის განაწილება უნდა ყოფილიყო. [96] ამ შემთხვევაში იგი შვეიცარიის ერთ-ერთი ავტონომიური კანტონის – ბერნის 1893 წლის კონსტიტუციას ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც ხალხი თავისი რწმუნებულების მეშვეობით სამოქალაქო და სისხლის სამართლის მოსამართლეებს ირჩევდნენ გარკვეული ვადით, ხოლო ეს უკანასკნელნი საქმეს ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით განიხილავდნენ. რაც შეეხება უმაღლეს სასამართლოს, მას თვალყური უნდა ედევნებინა ყველა სასამართლოების მოქმედებისათვის. როგორც უმაღლეს ინსტანციას, იმავდროულად გაერჩია განსაკუთრებული და საკასაციო საქმეები. [97] აღნიშნული მოდელი, სათანადო შესწორებით ნ.ჟორდანიას საქართველოს სინამდვილისათვის მისაღებად მიჩ-

ნდა, მაგრამ არ იძლეოდა მის დაკონკრეტებას. ეს იმითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ სირთულიდან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტა ერთი პიროვნების შესაძლებლობებს აღემატებოდა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტთა ერთობლივ მუშაობას საჭიროებდა. მეორე მხრივ, იგი სათანადო კანონმდებლობასა და გამოცდილებას უნდა დამყარებოდა. ამ თვალსაზრისით თუკი მივუდგებით განსახილველ პრობლემას, აშკარად გამოჩნდება ის ბარიერი, რომლის დაძლევა მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა წინაშე ნომერ პირველ ამოცანად იდგა. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ პერიოდის საქართველოში (1918 წელი) სასამართლო, ამის შესახებ ქართული სასამართლოს ერთ-ერთი რეფორმატორთაგანი კ.მიქელაძე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას და დასძენდა. „სასამართლოს მდგომარეობა აქ ისეთია, როგორც იყო მაშინ, როდესაც ჩვენი მხარე რუსეთის ნაწილად ითლებოდა. არც მაშინ, არც ეხლა არ არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. არ არის საკასაციო სასამართლო, რომელსაც უნდა დაევალოს ჩვეულებრივ კანონმდებლობის კონტროლი. არც ერთი მხარე სახელმწიფო ცხოვრებისა არ საჭიროებს ისეთ განახლებას და გადაკეთებას, როგორსაც თხოულობს დემოკრატიის პრინციპებზე აღმოცენებული მართლმსაჯულება და სასამართლოს წარმოება.“ [98]

აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს რა პრობლემების წინაშე იდგა არსებული ხელისუფლება, რომლის უპირველეს ამოცანას სასამართლო რეფორმის დაუყოვნებლივი განხორციელება წარმოადგენდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ამ ხაზით რესპუბლიკაში ელემენტარული საკანონმდებლო ბაზის შექმნის საფუძველიც კი არ არსებობდა. ყველაფერი ფაქტობრივად ნულოვანი წერტილიდან უნდა დაწყებულიყო და იგი შესაბამის კანონს დამყარებოდა. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კ.მიქელაძეს, როდესაც მიუთითებდა: „სასამართლოს მოქმედების და მოღვაწეობის წყაროს შეადგენს სახელმწიფოს კანონები. ამ კანონების ფარგლებში წარმოებს მისი ძირითადი დავალების ასრულება – უფლების დაცვა. უფლების დაცვის ნიადაგზე იბადება სასამართლოს უფლებაშემოქმედება, რომელიც შეადგენს უფლება წყობილების აუცილებელ ელემენტს“. [99] ჩვენს მიერ მოტანილი ეს ამონაწერი იმის დამადასტურებელია, თუ რამდენად დიდ საჭიროებას წარმოადგენდა ამ სფეროში საკანონმდებლო აქტების შექმნა. ამის აუცილებლობა თვით საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – ეროვნული საბჭოს წევრებსაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. მათი ძალისხმევის შედეგად, 1918 წლის 24 სექტემბერს მიღებული კანონით „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“, მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობები უნდა შექმნილიყო ქალაქებსა და მაზრებში. უმაღლეს ინსტანციად ყრილობა ცხადდებოდა, რომელიც თავმჯდომარის, სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელი

მოსამართლეებისაგან შედგებოდა. კანონი მკაცრად განსაზღვრავდა მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევისა და დანიშვნის წესებს, მის ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს. მოსამართლეთა ინსტიტუტის შესაქმნელად რესპუბლიკის მასშტაბით (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) აწესებდა შესაბამის შტატებს, რომელთა ხარჯთაღრიცხვა 1,974 800 მანეთით იყო განსაზღვრული.[100] ამ კანონის შევსების მცდელობას წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1919 წლის 30 იანვარს მიღებული დროებითი კანონი „მომრიგებელ სამოსამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა". იგი კონკრეტულად განსაზღვრავდა: 1) ამა თუ იმ დამნაშავის სასჯელის ვადებს, 2) თუ რა ექვემდებარებოდა სამოქალაქო საქმეთა წარმოებასა და მომრიგებელ მოსამართლეებს, მიუთითებდა მათ ფუნქციებზე.[101]

აღნიშნული დოკუმენტები სასამართლოს საკანონმდებლო ბაზის სფეროში არსებული ვაკუუმის შევსების მიზნით წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მიუხედავად ამისა, იგი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ნორმებს ვერ სრულყოფდა. ამიტომ, სასამართლო კანონმდებლობის დახვეწის, მისი პროცედურის გაუმჯობესების საჭიროების აუცილებლობას, ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი კარგად გრძნობდნენ და შესაბამისი ნაბიჯის გადადგმასაც ცდილობდნენ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 11 ნოემბერს გამოცემული „დეკრეტი საქართველოს ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა." ამ დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნაფიც ვექილად გასვლის უფლებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აძლევდა. იმავდროულად აუქმებდა თბილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა საბჭოს და მის ნაცვლად საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსების აუცილებლობას აყენებდა.[102] აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების მიერ სასამართლოს რეფორმის გასატარებელი პირველი ღონისძიებების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. მიუხედავად ამისა, საკითხი გადაწყვეტილად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო, რადგან მიღებული კანონის პრაქტიკულად განხორციელება, მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „სენატის დაარსებისათვის" პრობლემის მოუგვარებლობის ძირითად მიზეზს უმაღლესი სასამართლო ინსტანციის არარსებობაში ხედავდა. „უმაღლესი სასამართლოს უქონლობა, – ვკითხულობთ წერილში, – ქმნის გაუგებრობას, ანარქიას და ნორმალური ცხოვრების მსვლელობას კიდევ უფრო აფერხებს... მართალია, ჩვენ მივიღეთ დემოკრატიული კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი, მაგრამ პირველი მხოლოდ ახლა დგება ფეხზე და შესაფერ შემადგენლობის

ფქონლობით ძალიან მოიკოჭლებს, ხოლო მეორე, როდის განხორციელდება ვერ არც კი ვიცით, რადგან ერობებს ვერ მოუხერხებიათ საჭირო სიების შედგენა. ამით დღევანდელი ჩვენი სასამართლო მხოლოდ იმით განსხვავდება რევოლუციის წინა დროის სასამართლოსაგან, რომ ის დაჯილდოებულია ყველა ძველი ცოდვებით, იმავე დროს მოკლებულია საქმიანობის უნარს და ეს დიდ არევ-დარევას იწვევს ჩვენს ცხოვრებაში."[103]

როგორც ვხედავთ, დაწყებული რეფორმის შემაფერხებელ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, კვალიფიცირებული კადრების უკმარისობაა დასახელებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობამ და სასამართლოს გაეროვნულებამ სახელმწიფო ენის მცოდნე სპეციალისტები მოითხოვა, რომლის დეფიციტსაც იმ ეტაპზე საქართველო ძლიერ განიცდიდა. მეორე მხრივ, არსებული ქაოსიდან გამოსვლის ერთადერთ პირობად, უმაღლესი საზედამხედველო ორგანოს – სენატის შექმნაა მიჩნეული. „სენატი, – ვკითხულობთ სტატიაში, – როგორც რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, დაგვირგვინება იქნება მთელი მუშაობის. მაგრამ ის... ვერას გახდება, თუ არ გადახალისდა სასამართლო უწყების მთელი აპარატი და არ მოისპო ძველი წყობილების მიერ ნაანდერძევი საგანგებო სასამართლო ... რომ ამ გზით შეიქმნას ერთი ორგანო, რომლის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორად იქნება პასუხისმგებელი."[104] აქ გასაგებადაა ნათქვამი იმ საორგანიზაციო წინასწარი სამუშაოს ჩატარების აუცილებლობის შესახებ, რომელიც სენატის შექმნას უნდა დადებოდა საფუძვლად. ამ ფაქტორისა და ზემოთ მითითებული სირთულეების გათვალისწინებიდან გამომდინარე, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის ხარვეზი, რომელიც სასამართლო რეფორმის გატარებას თან ახლდა. ეს ანგარიშგასაწევია იმდენად, რამდენადაც საქართველოს ხელისუფლებას ამ ხაზით ახალი ფუნდამენტის ჩაყრა და მასზე ადგილობრივი პირობების შესატყვისი შენობის დაშენება ჰქონდა დაკისრებული. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა მომავლის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მმართველი პოლიტიკური პარტია ამ სიძნელეს არ განერიდა და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას შეეცადა. ამის ერთ-ერთ შესანიშნავ დადასტურებას, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 ივლისის სხდომაზე მიღებული კანონი „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა" და საქართველოს სენატის დებულების დამტკიცების ფაქტი წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტები მტკიცე საფუძველს ქმნიდა იმ კომპლექსური ღონისძიებების სრულფასოვნად გასატარებლად, რომელსაც დასახული რეფორმა უნდა დამყარებოდა. ჩვენს მიერ მითითებული პირველი დოკუმენტის მიხედვით, სენატის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები ძალაში 1919 წლის 1 ოქტომბრიდან უნდა შესულიყო. იგი შემდეგი საკითხების მოწესრიგებას ითვალისწინებდა: 1) იმ შემთხვევაში, თუკი საკასაციო საჩივრები 1919 წლის სექტემბრამდე

განუხილველი დარჩებოდა, სენატისათვის უნდა გადაეცათ, ხოლო სენატის თავმჯდომარე ვალდებული იყო, გაწეული მუშაობის ანგარიში პარლამენტისათვის წარედგინა. 2) სენატის კომპეტენციას უნდა დაქვემდებარებოდა საოლქო სასამართლოს, სასამართლო პალატის წევრების, თავმჯდომარეებისა და მოადგილეების დანიშვნა. 3) გასაჩივრების შემთხვევაში, სენატი განსახილველად საქმეს იმავე პალატას ან მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას უბრუნებდა.[105] აღნიშნული ორგანოს პრაქტიკულად ამოქმედებისა და შიდა ორგანიზაციული საკითხების დროულად მოგვარების მიზნით, იმავე დოკუმენტით წინასწარვე იქნა განსაზღვრული სენატის დეპარტამენტისა და მისი პროკურორების, კანცელარიის ხარჯთაღრიცხვა, რომლის საერთო რაოდენობამ 231 000 მანეთი შეადგინა. რაც შეეხება სენატის უფლებამოსილებასა და მისი საქმიანობის სფეროს განსაზღვრის კონკრეტულ მხარეს, სენატის დებულებაში იქნა ჩამოყალიბებული. იგი ხუთ თავს შეიცავს და მუხლობრივად წარმოაჩენს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივი კანონიერების დაცვას ითვალისწინებდა. მისი პრაქტიკული განხორციელება ახლადშექმნილი ორგანოს პრეროგატივას წარმოადგენდა[106] ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ჩვენ და სენატი" მიუთითებდა: „სენატი უნდა იყოს არა მარტო არსებული ... ძველი კანონმდებლობის აზრის გამომძიებელი და განმმარტებელი, არამედ თუ გნებავთ შემოქმედი უფლებისა, ახალი ... პროექტის შემომღები... რამდენადაც ეს ჩვენს დღევანდელ იურიდიულ პირობებშია შესაძლებელი."[107] როგორც ვხედავთ, იურიდიული კომისიის წევრ ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული თუ რა როლი და მნიშვნელობა ენიჭებოდა სენატს, როგორც სასამართლოს უმაღლეს ორგანოს. იმასთან დაკავშირებით, თუ რა კონკრეტული პასუხისმგებლობა უნდა ეტვირთა სენატს, ამის შესახებ იურიდიული კომისიის განმარტებაში ვკითხულობთ: „სენატი არის სასამართლოს უმაღლესი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონების დაცვას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და აღადგენს მათ, თუ ვინმემ დაარღვია... კანონების დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს უმთავრეს საჭიროებას, რომელსაც მუდამ უნდა ყავდეს თავისი ფხიზელი და მტკიცე დარაჯი. ასეთი დარაჯი იქნება სენატი, რომელიც აღადგენს კანონიერებას ერთის მხრით სამოქალაქო სისხლის სამართლის სფეროში, სადაც სენატს შეუძლია გააუქმოს სასამართლოს უკანონო განაჩენი, თუ ის გასაჩივრებული იქნება და უბრძანოს სასამართლოს ხელახლა გაარჩიოს საქმე და ისე გადაწყვიტოს, როგორც კანონი მოითხოვს და მეორე მხრივ – ადმინისტრაციული იუსტიციის სფეროში ა) თუ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება, თანამდებობის პირი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო კანონს დაარღვევს და ეს გასაჩივრებული იქნება განსაზღვრული წესით, სენატი გააუქმებს მათ უკანონო დადგენილებას ან მოქმედებას და კანონიერ გზას უჩვენებს. ბ) თუ მინისტრი ან მთავრობის სხვა რომელიმე უმაღლესი წარმომადგენელი გამოსცემს ისეთ ცირკულარს ან

სავალდებულო დადგენილებას, ან მოახდენს ისეთი ზოგადი ხასიათის განკარგულებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, სენატს შეუძლია, თუნდაც საჩივარი არ იქნეს შეტანილი, გააუქმოს ასეთი ცირკულარი, დადგენილება ან განკარგულება სრულად ან ნაწილობრივ. გ) სენატი ახდენს რევიზიას სასამართლო დაწესებულებაში თავისი ინიციატივით და თუ რაიმე უწესობა აღმოჩნდა, იღებს სათანადო ზომებს მის მოსასპობად და სხვა. ერთი სიტყვით, სენატი უფლებრივ კალაპოტში ჩააყენებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას."[108]

როგორც ვხედავთ, სენატი სასამართლოების საქმიანობის მოწესრიგებისა და კანონიერების დაცვის მარეგულირებელ ინსტანციადაა მიჩნეული. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მისადმი განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ასეთი ორგანოს შექმნა, გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც ამის ტრადიცია საქართველოს არ გააჩნდა. მეორე მხრივ, იგი ქართული ენის მცოდნე მაღალკვალიფიცირებულ კადრებს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა გაბედული ნაბიჯის გადადგმის ინიციატივა თავის თავზე აიღეს. ამის დამადასტურებელ ფაქტად დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში მოტანილი მასალები წარმოადგენს. როგორც ირკვევა, იმავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით სენატის შესაქმნელად სარეკომენდაციო კომისია იქნა არჩეული - ნ.ელიავას, ს.ჯიბლაძის, ი.ჭავჭანიძის, ი.გომართელის, ლ.შენგელაიას, ი.ბარათაშვილისა და ა.ასათიანის შემადგენლობით.[109] ამით ფაქტობრივად, თეორიულად მომზადებული საკითხის პრაქტიკულად განხორციელების რეალური ნაბიჯი გადაიდგა. ორთვიანი მუშაობის შედეგად, კომისიამ დამფუძნებელ კრებას საქართველოს რესპუბლიკის სენატის პირველი შემადგენლობა წარუდგინა, იგი 1919 წლის 7 ოქტომბრის დამფუძნებელი კრების სხდომამ უცვლელად დაამტკიცა: სენატის თავმჯდომარედ - ნაფიცი ვექილი დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი, სენატის თავმჯდომარის მოადგილედ – თბილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ივანე მიხეილის ძე ჭაფარიძე. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში სენატორებად: ნაფიცი ვექილი ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი, ნაფიცი ვექილი ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი, სასამართლო პალატის წევრი სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე, ნაფიცი ვექილი ლევან გიორგის ძე ასათიანი, ნაფიცი ვექილი გიორგი ისიდორეს ძე მაღნარაძე; სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ განყოფილებაში: ქუთაისის ქალაქის თავი იურისტი დიმიტრი ილარიონის ძე ქალანდარიშვილი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გიორგი ივანეს ძე გველესიანი, ნაფიცი ვექილი მიწათმოქმედების სამინისტროს იურისკონსული ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძე. სისხლის სასამართლოს საკასაციო დეპარტამენტში: იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი

ნიკოლოზ მოსეს ძე ქიქოძე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი, სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე იოსებ ნიკოლოზის ძე როინიშვილი, სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი დიმიტრის ძე სიდამონ ერისთავი.[110] ამით საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ძირითადად დაასრულა სასამართლოს რეორგანიზაცია და მართლმსაჯულების მიერ კანონიერების დაცვის მიმდინარე პროცესების მაკონტროლებელი ფუნქციები სენატის პრეროგატივა გახდა. რაც შეეხება ორგანიზაციულ საკითხებს, მისი მოგვარება იუსტიციის სამინისტროს დაეკისრა. სასამართლოს რეფორმის ხაზით გაწეული მუშაობის შედეგი დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე იქნა შემუშავებული. ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შედგენილ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „მოისმინა რა იუსტიციის მინისტრის მოხსენება, ფრაქცია იწონებს უწყებაში უკვე გატარებულ რეფორმებს და საჭიროთ სცნობს მიაქციოს მინისტრის ყურადღება საგამომძიებლო და საბრალდებო ნაწილების მუშაობას და სასამართლოს პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებას. წინადადებას აძლევს შეუდგეს კანონმდებლობის გათვალისწინებას და შეთანხმებას დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ პრინციპებთან."[111] მართალია, სენატისა და იუსტიციის სამინისტროს ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნული იქნა, მაგრამ ორივენი ერთ ძირითად მიზანს – კანონიერების დაცვას, სასამართლოს ორგანიზაციის დახვეწასა და მის სრულყოფას ემსახურებოდნენ.

ამრიგად, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში საქართველოში სამართლებრივი ბაზის არარსებობის გამო, ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილებისადმი დასესხება გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათი ინიციატივით შემუშავებული ყოველი კანონი შემოქმედებითად იყო გააზრებული და საქართველოს სინამდვილეს შეესაბამებოდა. 2) საქართველოს საკანონმდებლო ორგანოების (პარლამენტი და დამფუძნებელი კრება) მიერ მიღებული კანონების: მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის, მომრიგებელ სამოსამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოების, დეკრეტი საქართველოს ვექილობის უფლების განსაზღვრის კანონის, ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევის, კანონის – საქართველოს სენატის დებულების შემოღების შესახებ და სენატის დებულების დამტკიცებამ, მყარი საფუძველი შეამზადა სასამართლო რეფორმისათვის კომპლექსური ღონისძიებების გასატარებლად. 3) დამფუძნებელი კრების მიერ, საქართველოს სენატის არჩევით (1919 წლის 7 ოქტომბერი) სასამართლო რეფორმის ორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებული ბარიერი დაძლეულ იქნა. შეიქმნა ის ზედამხედველობითი ორგანო, რომლის ძირითად ფუნქციას – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასამართლოს საქმიანობისა და გამოტანილ

განაჩენის კანონიერების კონტროლი ჰქონდა დაქვემდებარებული. მისი ამუშავებით, ეროვნული სახელმწიფოს სამართლებრივად მოწყობის მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა.

§6. ეროვნული უმცირესობათა უფლებების სრულყოფისათვის

ეროვნული სახელმწიფოს წარმატებული მოწყობისა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას, იმ სპეციფიურობის გათვალისწინება წარმოადგენდა, რომელიც საქართველოსათვის განსაკუთრებით იყო დამახასიათებელი. მხედველობაში გვყავს არაქართული ელემენტი. იგი დასახული მიზნის ხელშემშლელის როლში რომ არ გამოსულიყო, შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მათდამი განსაკუთრებულ მიდგომასა და სათანადო ფორმების შემუშავება-დახვეწას საჭიროებდა. ქართველ პოლიტიკოსებს ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ამიტომ ისინი ეროვნული უმცირესობებისადმი დაპირისპირებას დანაშაულად მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე, მათთვის გადასაწყვეტ პრობლემებს საქართველოს სინამდვილისადმი შესაბამისობის ფონზე განიხილავდნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ მიიქცია. „ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში, – ამბობდა იგი, – მოსახლეობს სხვადასხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა – ქართველობა.“[112] სოციალ-დემოკრატთა ლიდერის ეს დაპირება, უბრალო განცხადების დონეზე არ დარჩენილა, რადგან საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ, ასეთი კურსის გატარების აუცილებლობას მხარი დაუჭირა. ამის უტყუარ დადასტურებას საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი წარმოადგენს. ეს იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულება გამოკვეთილად დააფიქსირა, რითაც საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი პარტიების ხელმძღვანელთა ნება გამოხატა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს დოკუმენტის მე-5 და მე-6 მუხლები იქცევს. მასში გარკვევითაა ნათქვამი, რომ „5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.“[113] როგორც ვხედავთ, აქ გაცხადებულია ის ზოგადი პრინციპი,

რომელიც ამ სფეროში დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას უნდა დადებოდა საფუძვლად. გადაჭარბებული არ იქნება თუკი აღვნიშნავთ, რომ ახლადარჩეული საქართველოს მთავრობა, ზემოთ მითითებული დანაპირების ერთგული დარჩა. მისი ეს პოზიცია ეროვნული საბჭოს 1918 წლის 15 ივნისის სხდომაზე გამოქვეყნებულ დეკლარაციაში იქნა დადასტურებული. „მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი."[114]

როგორც ვხედავთ, აქ ეროვნულ უმცირესობათა და საქართველოს მკვიდრთა უფლებების გათანაბრების გარანტიაა გაცემული. ქართველი სოციალ-დემოკრატების ეს კომპრომისი შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, იგი ითვალისწინებდა: 1) ეროვნული უმცირესობებისადმი ეჩვენებინათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა მათდამი დაპირისპირებას არ ითვალისწინებდა, პირიქით, იგი მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გარანტი გახდებოდა. 2) ამ ნაბიჯით, ხელისუფლება მყარ ნიადაგს ქმნიდა რესპუბლიკაში ურთიერთდაპირისპირების აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

აღნიშნულის მიუხედავად, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ხაზიდან გადახვევას, ან აბორიგენი მოსახლეობის დამცირებას. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის ყოველი მოქმედება შორს გამიზნული პოლიტიკური კურსის ჩარჩოში თავსდებოდა და იგი ერის ინტერესებს არ უპირისპირდებოდა. ამის შესანიშნავ ნიმუშს საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებული „კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა."[115] იმავე წლის 16 ივლისს დამტკიცებული „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა)" და 1919 წლის 27 მაისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული „კანონი მოქალაქეობისა" – წარმოადგენს. პირველი დოკუმენტის მიხედვით ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად იყო გამოცხადებული და ყოველგვარი საქმის წარმოება, ეროვნულ საბჭოში ქართულ ენაზე უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებს, დაწესებულებებში მათთვის მშობლიური ენის ხმარების საკითხი ცალკე კანონით უნდა განსაზღვრათ, ხოლო ეროვნულ საბჭოში მშობლიურ ენაზე მათ წამომადგენლებს სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობა ეძლეოდათ.[116] მეორე დოკუმენტი გან-

საზღვრავდა, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო საქართველოს რესპუბლიკის მოქ-ალაქედ და რა შემთხვევაში კარგავდა იგი ამ უფლებებს.[117]

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დოკუმენტების არსებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფაქტობრივად შეიქმნა გარკვეული სამოქმედო ჩარჩო, რომლის ზღვრული ნორმების უგულებელყოფა დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა. მეორე მხრივ, სახელმწიფოს წინაშე ეროვნული უმცირესობების არა მარტო უფლება-მოვალეობანი განისაზღვრა, არამედ ამ სფეროში იგი თვით სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ქართველი პოლიტიკოსები აღნიშნულ პრობლემას მართალია საერთაშორი-სო სტანდარტების ფონზე განიხილავდნენ, მაგრამ ყოველ გადაწყვეტილებას ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით იღებდნენ. ამის დადასტურებას ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუც-იო კომისიის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე – ეროვნული უმცი-რესობებისაგან სახელმწიფო ენის ცოდნის მიზაშეწონილობაზე და მასთან მიმართებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს საპარლამენტო სხდომებზე განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული უმცირესობების სალაპარაკო ენის განსაზღვრაზე გადაჰქონდათ. ეს შემთხვევით არ იყო განპირობებული, რადგ-ან დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს ხელისუფლების ეროვნულმა კურსმა, საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა – განსაკუთრებით რუსი მოხელეები გააღიზიანა. ისინი საქართველოს პარლ-ამენტში რუსული ენის შემოღების საკითხს კატეგორიულად აყენებდნენ. იმას-თან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერი იყო ასეთი პრეტენზია, ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“ მოწინავე წერილში „უმცირესობათა უფლებები“ დაწვრილებით ეხებოდა აღნიშნულ საკითხს და მთელი პრინციპულობით სვ-ამდა კითხვას: „ნეტავ, რომელი სახელმწიფოა, რომ თავისი ენის მაგივრად უცხო ენა შემოეღოს?“ იქვე ოპონენტებს რუსული მმართველობის პერიოდში ადგილობრივ დაწესებულებებში მშობლიური ენის დასამკვიდრებლად, მოწ-ინავე ქართული საზოგადოების თავგამოდებული ბრძოლის ფაქტებს შეახსენებდა. „ეხლა უკვე საკუთარი სახელმწიფო გვაქვს, – ვკითხულობთ წერ-ილში, – და განა უცხო ენას უნდა ჩავებღაუჭოთ? ცხადია, არა. ჩვენ უნდა შემოვ-იღოთ სახელმწიფოში სახელმწიფო ენა, ე.ი. დედაენაზე მოვუწოდოთ ხალხს ყოველივე“[118] ეს პოზიცია გაზეთმა „ერთობამ“ მომდევნო პუბლიკაციებში კიდევ უფრო გამოკვეთა. მაგალითად, მოწინავე წერილში „ეროვნულ უმცირესობათა ენა“ გარკვევით მიუთითა: „პარლამენტის ენა ქართული ენა უნდა იყოს. თუ ეროვნული უმცირესობა მაინც მოისურვებს გამოგზავნოს ისეთი დეპუტატი, რომელმაც ეს ენა არ იცის – დაე გამოგზავნოს. ეს მისი ნებაა...

ასეთი დეპუტატი თვითონ იგრძნობს უხერხულობას და არ მოისურვებს იჯდეს ისეთ დაწესებულებაში, რომლის ასავალ-დასავალი მას არ ესმის."[119]

აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია, პირველი რიგის ამოცანად ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დამკვიდრების აუცილებლობისათვის იბრძოდა. აქედან გამომდინარე განიხილავდა იმ ღონისძიებათა საპროგრამო მონახაზს, რომელიც ეროვნული უმცირესობებისადმი მიმართებაში უნდა გატარებულიყო. ასეთი პოზიციის ოფიციალურად გაცხადების მიუხედავად, საპარლამენტო ენის საკითხი ეროვნული საბჭოს სხდომაზე ფართო დისკუსიის საგნად გადაიქცა. ამ მხრივ გამოკვეთილი პოზიცია პ.საყვარელიძეს ეჭირა. მისი აზრით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიები საქართველოსათვის მიუღებელი იყო, რადგან „ჩვენს პარლამენტში, – ამბობდა იგი, – სხვა ენაზედ ლაპარაკის ნების მიცემა შემოიტანს არევ-დარევას საქმის წარმოებაში, რადგანაც მათ მაშინ ნება ექნებათ თავიანთ ენაზედვე შემოიტანონ საბჭოში წინადადებები, კანონპროექტები და სხვა, რაც შეცვლის მთელს საქმის წარმოებას."[120] პ.საყვარელიძისაგან განსხვავებით, რ.არსენიძე ეროვნული უმცირესობებისათვის პარლამენტში საკუთარ ენაზე მხოლოდ ლაპარაკის უფლების მიცემას მიიჩნევდა აუცილებლად, ხოლო კანონპროექტების არაქართულ ენაზედ წარდგენას დაუშვებლად თვლიდა[121] ამ საკითხს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 სექტემბრის სხდომა ისევ დაუბრუნდა. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, კამათი სახელმწიფო ენის დებულების მესამე მუხლში შეტანილი ცვლილებების – „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს შეუძლია სიტყვა წარმოთქვას დედაენაზედ თუ სახელმწიფო ენა არ იცის" გარშემო მიმდინარეობდა. ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით, რ.არსენიძემ ერთადერთ გამოსავალ საშუალებად, ეროვნულ უმცირესობათა ენაზე წარმოთქმული სიტყვის თარგმანი მიიჩნია. იგი სახელმწიფო ენაზე იმ შემთხვევაში უნდა ეთარგმნათ, თუკი მის აუცილებლობას საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევდა. ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე, აღნიშნული უფლებებით სარგებლობა ეროვნული საბჭოს რეგლამენტითა და ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ ცალკე კანონით უნდა განესაზღვრათ.[122] ასეთი დადგენილების მიღების მიუხედავად, ეროვნული საბჭოს 1918 წლის 27 სექტემბრის სხდომა (თავმჯდომარე კ.ჩხეიძე) საპარლამენტო ენის საკითხს ისევ დაუბრუნდა და დისკუსიის შემდეგ მიიღო კანონის ის შესწორებული ვარიანტი, რომელიც წინა სხდომაზე პ.საყვარელიძის მიერ იქნა წარდგენილი. ამ დოკუმენტის მიხედვით, საპარლამენტო ენად (კამათი, საქმის წარმოება) ქართული რჩებოდა, ხოლო სახელმწიფო ენის არმცოდნე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს მშობლიურ ენაზე სიტყვის წარმოთქმის უფლება ეძლეოდათ.[123] მართალია, ამ კანონით პარლამენტში ეროვნული

უმცირესობების უფლებები დაცულ იქნა, მაგრამ იგი არა მარტო ალოგიკურ სახეს ატარებდა, არამედ პრაქტიკულობასაც მოკლებული იყო, რადგან საპარლამენტო უმრავლესობისათვის (ქართველებისათვის) გაუგებარი იქნებოდა სომხურად, თათრულად, ბერძნულად, აფხაზურად, ოსურად და ა.შ. წარმოთქმული ყოველი სიტყვა. აქედან გამომდინარე, იგი დასახულ მიზანს ვერ შეასრულებდა. ამ სირთულეს თვით ეროვნულ უმცირესობათა ლიდერებიც გრძნობდნენ. ამიტომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში და დამფუძნებელი კრების სხდომებზე სიტყვას მხოლოდ რუსულად წარმოთქვამდნენ. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები – პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ ალოგიკურ სახეს ატარებდა. ამიტომ, აღნიშნული კანონის მეორე ნაწილს ფაქტობრივად არ უმუშავია.

რამდენადაც საკითხი ეროვნული უმცირესობების უფლებამოსილებას ეხებოდა, შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში მათი რაოდენობის განსაზღვრის აუცილებლობასაც საჭიროებდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობის მესამე დღესვე გადადგეს და შესაბამისი დოკუმენტიც მიიღეს. მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 29 მაისის სხდომა, რომელმაც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ სპეციალური დადგენილება მიიღო. „საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიღებულ იქნან ამ ერების მოსახლეობის რაოდენობის პრინციპით. თვით წარმომადგენლების მოწვევა ხსენებული ერების ნაციონალურ საბჭოებთან ან სხვა ამგვარ დაწესებულებებთან შეთანხმებით მოხდეს.“[124] ეს დოკუმენტი გარკვეულ საფუძველს იძლეოდა მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად, კერძოდ, შესაბამისი კანონპროექტის შესაქმნელად. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიის 1918 წლის 11 ივლისის სხდომის საოქმო ჩანაწერებმა მიიქცია. სხდომამ ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლობის შესახებ კ.მიქელაძის მოხსენება და კანონპროექტი განიხილა. გარკვეული შესწორებების შეტანის შემდეგ ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში წარდგენის რეკომენდაცია მისცა.[125] ეს დოკუმენტი, სამანდატო კომისიის მიერ საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების რაოდენობრივად განსაზღვრულ ციფრობრივ მონაცემებს ემყარებოდა. ამ შემთხვევაში კომისია ერთი პრინციპით ხელმძღვანელობდა: რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ძირითად ნაწილს, საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელი ჰყოლოდა. აღნიშნული პროექტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ეროვნული

უმცირესობებს 20000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატის გაგზავნის უფლება ეძლეოდა. იგი გამონაკლისსაც უშვებდა იმ ეროვნული უმცირესობებისადმი, რომლებიც ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ (ბერძნები, გერმანელები, ებრაელები). იმავდროულად, ყოველი კანდიდატის წინაშე მკაცრი მოთხოვნაც იყო დაყენებული – ქართული ენის ცოდნის აუცილებლობა. იგი სავსებით ლოგიკური მოთხოვნას წარმოადგენდა, რადგან ეროვნულ უმცირესობათა ენებზე წარმოთქმული სიტყვის თარგმანი პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. ამ პროცედურის შემოღება, ეროვნული საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობის მაქსიმალურად შემფერხებლის როლში მოგვევლინებოდა. ეს ფაქტორი ანგარიშგასაწევი იყო და მისი უგულებელყოფა არსებული საკანონმდებლო ორგანოს არა მარტო გარეგნული სახელწოდების, არამედ შინაგანი არსის საწინააღმდეგო ქმედებას შეიცავდა. მეორე მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ყოველი კანონი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს არ უნდა დაპირისპირებოდა და გარკვეული ჩარჩოთი შემოსაზღვრულიყო. რამდენადაც ეს კანონპროექტი ამ მოთხოვნებს პასუხობდა, ქართველი სოციალ-დემოკრატები მის დაუყოვნებლივ განხილვას აუცილებლად მიიჩნევდნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის რ.არსენიძის 1918 წლის 15 ივლისით დათარიღებული წერილი იქცევს. იგი ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს ოფიციალურად სთხოვდა – პროექტის განხილვა ეროვნული საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ.[126] როგორც მასალებიდან ირკვევა, აღნიშნული კანონპროექტის განხილვას ეროვნული საბჭოს რამდენიმე სხდომა მიეძღვნა. მაგ. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 31 აგვისტოს სხდომამ დოკუმენტში გარკვეული ცვლილებები შეიტანა,[127] ხოლო 10 სექტემბრის სხდომამ, კანონპროექტით გათვალისწინებული 28 ადგილი, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე 26-მდე შეამცირა.[128] ამ სახით იგი 13 სექტემბრის სხდომაზე ოფიციალურად დაამტკიცა. „მიეცეს უფლება, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შესდგება – სახელდობრ, სომხებს – 10, თათრებს – 4, აფხაზებს – 3, რუსებს – 2, ოსებს – 2, ქართველ ისრაელებს – 2, ებრაელებს – 1, ბერძნებს – 1, გერმანელებს – 1. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ ამ ერების ეროვნულმა საბჭოებმა, რომელნიც არჩეულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ. შენიშვნა: სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება მიეცეს ასეთ ერის წარმოამადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებებში საქართველოს რესპუბლიკაში.“[129]

ჩვენს მიერ მოტანილი ეს დოკუმენტი სამართლებრივ დონეზე წყვეტდა

რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობისა და აქტიური საქმიანობის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, იგი საქართველოს ხელისუფალთა წინაშე მდგომი პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტას სრულებითაც არ ნიშნავდა. საკითხი უფრო რთულად იდგა, ვიდრე ერთი შეხედვით ზედაპირულად ჩანდა. მხედველობაში გვაქვს ის პრინციპული წინააღმდეგობანი, რომელიც ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში, პრაქტიკულად განსახორციელებული მოდელის შექმნასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ამ პრობლემასთან მიმართებაში ქართულ სოციალ-დემოკრატიას თავისი ორიგინალური შეხედულება გააჩნდა. დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მუნიციპალური პლატფორმით, ყველა ერის თანასწორობა და ეროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იქნა აღიარებული.[130] მაგრამ იგი საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას სრულებითაც არ ნიშნავდა. მეორე მხრივ, მათი უფლებები ქართველთა ინტერესებს არ უნდა დაპირისპირებოდა და ეროვნული სახელმწიფოსათვის მისაღებ ფორმებში ჩამჯდარიყო. თუ რა პოზიცია ეჭირა ამ თვალსაზრისით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, ამის შესახებ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშებში საინტერესო მასალებია დაცული. როგორც ირკვევა, მსჯელობის ძირითად საგანს მათი უფლებრივი სფეროს განსაზღვრის პარალელურად, შესაბამისი მოდელის შემუშავების საკითხი წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ქართველი სოციალ-დემოკრატთა ლიდერები წამოჭრილ პრობლემას სახელმწიფოს ინტერესების ფონზე განიხილავდნენ და რომელიმე ეროვნების პრივილეგიას სათავეშივე გამორიცხავდნენ. ამის დადასტურებას დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ პ.საყვარელიძის მიერ გაკეთებული მოხსენება წარმოადგენს: მან კომისიის წევრებს პრინციპულად განუცხადა: „ჩვენ ვდგევართ ეროვნული სახელმწიფოს ნიადაგზე და მისი ინტერესების თვალსაზრისით ვსინჯავთ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს“[131] პოზიციის ასეთი ფორმით გაცხადებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ფაქტობრივად განსაზღვრული იქნა კომისიის წევრთა მუშაობის ძირითადი მიმართულება. მეორე მხრივ, იგი სათავეშივე გამორიცხავდა არაეროვნულობიდან გამომდინარე ყოველ წინადადებას. თავისი არგუმენტაციის დასაბუთების მიზნით, პ.საყვარელიძე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ანალოგიებს მიმართავდა. მისი მტკიცებით, სხვადასხვა ეროვნებების ცხოვრების მიუხედავად, საფრანგეთი უაღრესად ეროვნული სახელმწიფო იყო, ამიტომ მათ გარკვეული შეზღუდვებიც გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, იგი პარალელს საქართველოს სინამდვილესთან ავლებდა და დასძენდა: „ჩვენში მაგ. ცხოვრობენ სომხები, ცხადია, აქ შეუზღუდველ თავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება; სინამდვილეა ის, რომ მცირე დაჩაგვრა მათ ვერ აცდება, სამაგიეროთ ისინი

სავსებით თავისუფალნი არიან სომხეთში, სადაც თავის მხრივ იჩაგრებიან თათრები. ეს არის კანონი, რომელიც თანასწორად ვრცელდება ყველაზე და რომელსაც ვერ გადავლახავთ თუ გსურთ დაიცვათ სახელმწიფოს ინტერესი"[132] აქედან გამომდინარე, პ.საყვარელიძე ეროვნული მთლიანობის აუცილებლობას აყენებდა. ამის საჭიროებას რუსეთისა და ავსტრიის მწარე გამოცდილებით ადასტურებდა. „ცეცხლის პირველი ანთებისთანავე, – ამბობდა პ.საყვარელიძე, – პირველიცა და მეორეც... ერთი და იმავე მიზეზით დაინგრა... აქ არ იყო ეროვნული მოძრაობა და ეს კატასტროფა ბუნებრივი კანონით მოხდა."[133] აქ გარკვევითაა მითითებული იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე, რომელიც საქართველოს წინაშე დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული საკითხი ქართველთა ინტერესებიდან გამომდინარე წმინდა ეროვნული პოზიციიდან არ გადაწყდებოდა. ამ ფონზე, მიუღებლად უნდა ჩაითვალოს იმავე კომისიის 26 თებერვლის სხდომაზე აკ.ჩხენკელის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ეროვნული უმცირესობების საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით „ჩვენ ვერავის მივბაძავთ, ვერავისგან გადმოვიღებთ რასმეს, რადგან არ არის ისტორიაში სათანადო, ჩვენი დამაკმაყოფილებელი მაგალითები. ეს კითხვა უნდა გადავჭრათ ჩვენი გონებით იმდენად საფუძვლიანად, რომ სხვისთვის გახდეს სამაგალითოდ."[134]

რამდენადაც აკ.ჩხენკელს, ეროვნული უმცირესობებისადმი მიმართებაში დასავლეთის სახელმწიფოთა გამოცდილება არ აკმაყოფილებდა, ბუნებრივია, იგი საქართველოს სინამდვილეში მათდამი განსაკუთრებულ დათმობას ითვალისწინებდა. ამ ფონზე ფიქრობდა სახელმწიფოსა და ეროვნული უმცირესობების ინტერესების ურთიერთშეხამებას. „ერთის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა, – ამბობდა იგი, – და ერთის უბედურება – უბედურებაა მეორესათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ქონდეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას."[135] იმავდროულად მათგან სახელმწიფოსადმი მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გაზრდას მოითხოვდა. „უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, – ამბობდა აკ.ჩხენკელი, – რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს, ავნებს მათაც."[136] აკ.ჩხენკელი ამ შემთხვევაში კონკრეტულად განსაზღვრავდა სახელმწიფოსა და ეროვნულ უმცირესობათა შორის მოვალეობის ფუნქციებს, იმ აუცილებელ მომენტებს, რომლის შესრულება თითოეული მათგანის მიერ ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, არაფერს ამბობდა, თუ რა გზით გახდებოდა შესაძლებელი მათი ცნობიერების იმ დონეზე გარდაქმნა, რომ საქართველო სამშობლოდ ეღიარებინათ, მის სახელმწიფოებრიობას არ დაპირისპირებოდნენ და დამანგრეველის როლი არ შეესრულებინათ. ამის გარკვევის აუცილებლობას, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილებისა და საქართველოს სინ-

ამდვილის გათვალისწინების საჭიროება მოითხოვდა. თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში, ამის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნა გაზეთმა „ერთობამ“, რომელთაგან მხოლოდ ერთ მათგანზე „ეროვნული საკითხი ჩვენში“ – შევჩერდებით. მასში სამი ძირითადი საკითხია დასმული: 1) საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის დამოკიდებულება ქართული ეროვნული სახელმწიფოსადმი. წერილის მიხედვით, საქართველოში მაცხოვრებელი რუსები, სომხები, თათრები და ოსები სანდონი არ იყვნენ. თავიანთი პირადი ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით, ერთგულებას არ გაუწევდნენ საქართველოს სახელმწიფოს, რადგან, რუსები დიდი რუსეთის შექმნაზე ოცნებობდნენ, თათრებსა და სომხებს საქართველოს ტერიტორიასთან მიმართებაში გარკვეული ამბიციები ამოძრავებდათ, ხოლო ქართლის ოსებს, თვალი ჩრდილოეთ კავკასიის ოსებთან შეერთებაზე ეჭირათ. აქედან გამომდინარე, დაუშვებლადაა მიჩნეული ნაციონალისტების ავანტურისადმი აყოლა. წერილის ავტორი იმავდროულად გამაფრთხილებელი ტონით დასძენდა: „ობიექტური მდგომარეობა არ ნიშნავს, დემოკრატია მართლა გონივრულად მოიქცევა და მოქმედების სწორ გზას არ გადაუხვევს.“[137] ამ შემთხვევაში ალბათობის პრინციპია დაშვებული, მაგრამ ამ სფეროში ყოველი დაუფიქრებელი ნაბიჯი მიუღებლადაა გამოცხადებული. 2) აღნიშნული დასკვნა ავსტრიისა და საქართველოს სინამდვილის ურთიერთშეპირისპირების ფონზეა გაკეთებული. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრია მრავალეროვანი სახელმწიფო იყო და იმ ეტაპზე ეროვნული დაპირისპირებასაც ჰქონდა ადგილი, იქ ძლიერი იყო „თუ პატრიოტიზმი არა „პატრიოტიზმები“ მაინც.“[138] ეს იმას ნიშნავდა, რომ ავსტრიის ტერიტორიაზე მცხოვრები არცერთი ერი არ ფიქრობდა ავსტრიის სახელმწიფოს დაშლაზე, პირიქით, როგორც ცნობილია, ისინი სახელმწიფოს მოწყობასა და მის გაძლიერებას მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს. მათი ასეთი ნაბიჯი წერილის ავტორს ავსტრიაში მცხოვრები ერების დიდი შეგნებისა და კულტურული განვითარების ნაყოფად მიაჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი პარალელს საქართველოს სინამდვილესთან ავლებდა და გულისტკივილით დასძენდა: „საუბედუროდ ჩვენში მცხოვრებ უცხო ერებს ვერ მოვთხოვთ ასეთ შეგნებას. ერთობ დაბლა დგანან ისინი კულტურის საფეხურზე და არსებულ გარდამავალ ხანაში მათგან არ უნდა მოველოდეთ მამულიშვილური გრძნობების აღტკინებას.“[139] აქ გარკვევითაა მითითებული მათდამი აშკარა უნდობლობაზე. 3) აღნიშნული წერილის მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ მასში გამოკვეთილი ფორმითაა მითითებული ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში იმ პოლიტიკური ღონისძიების შესახებ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას უნდა გაეტარებინა. ამასთან დაკავშირებით იმავე გაზეთში ვკითხულობთ: „უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენში მოსახლე სხვა ერებს, რომ აქ უზრუნველყოფილია მათი ადამიანური და

მოქალაქეობრივი თავისუფლება-თანასწორობა. მაგრამ იმავე დროს თავიდანვე უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი ძალა იმ ელემენტებს, რომელნიც... ისე კი არ იქცევიან როგორც მოქალაქენი, არამედ, როგორც თავხედი სტუმრები. ამ საქმეში ორ სკამზე ჯდომა და ქანაობა მხოლოდ ზარალს მოგვიტანს და სხვას არაფერს."[140] ასეთი გაფრთხილება იმდენად იყო ანგარიშგასაწევი, რამდენადაც პრეცედენტები ფაქტობრივად არსებობდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ეროვნული საბჭოები" კონკრეტულად მიუთითებდა იმ ანტიქართული საქმიანობის შესახებ, რომელსაც საქართველოში აღმოცენებული სომხების, ოსებისა და რუსების ეროვნული საბჭოები ეწეოდნენ. ისინი არა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებით იყვნენ დაკავებულნი, არამედ, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში თავიანთი ეროვნებების წარმომადგენლობის ფუნქციებსაც ითვისებდნენ. „ისინი, – წერდა გაზეთი, – ნებსით თუ უნებლიეთ ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე გარდა თვით ადგილობრივი მთავრობისა, არავის ნება არა აქვს დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სფეროში. ამ ვაჟბატონებს ჰგონიათ, რომ სოფელი ნახეს უძაღლო და ამიტომ უჯოხოთ ფიქრობენ ჩვენი უფლებების და ინტერესების ფეხქვეშ გათელვას."[141]

როგორც ვხედავთ, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების თვითნებურ მოქმედებაში გაზეთი განსაკუთრებულ საფრთხეს ხედავდა. იგი საზოგადოებასა და თვით ქართული პოლიტიკის მესვეურებს შეახსენებდა: „საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ დემოკრატიული წყობილების მტრებს მივცეთ მოქმედების თავისუფლება. მთავრობამ და დემოკრატიამ მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და ყველა ის ეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ითვისებენ, დაუყოვნებლივ ალაგმულ უნდა იქნენ."[142] აღნიშნული გაფრთხილების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით მკაცრი ღონისძიებები არ გაუტარებია. ასეთი პოლიტიკური კურსი ეროვნული უმცირესობების საბჭოებისადმი ლოიალური დამოკიდებულების ილუზიას ქმნიდა და მათ საქმიანობას მეტ გაბედულებას აძლევდა. მხედველობაში გვაქვს რუსული ეროვნული საბჭოს ლიდერთა მიერ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 10 მარტის სხდომაზე გაკეთებული განცხადება–სახელმწიფო ენის იძულებითი სწავლების მიზანშეუწონლობისა და მასთან რუსულის გათანაბრების აუცილებლობის შესახებ. ამ მოთხოვნას იმით „ასაბუთებდნენ", რომ „ქვეყნად არსად არ არის სოციალისტური მთავრობა, ეს არის საქართველოში და ეს გარემოება ავალებს მთავრობას ზოგ რამეს, რაც სხვა სახელმწიფოსათვის უჩვეულოა და შეუძლებელი."[143] რაც შეეხება დაშნაკცუთიუნის პარტიის წარმომადგენელს – ავეტისიანს, მისი

აზრით, საქართველოს ხელისუფლებას მთავარი ყურადღება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისადმი – სომხებისადმი უნდა გადაეტანა, რადგან „რუსები, გერმანელები, ბერძნები, – აცხადებდა იგი, – წავლენ და ჩვენ უნდა ვეცადოთ იმ უმცირესობათა ცხოვრება მოვაწესრიგოთ, რომლებიც აქ რჩებიან."[144] ყოველივე იმის დამადასტურებელია, რომ ეროვნული უმცირესობების საბჭოები მხოლოდ თავიანთი ამბიციებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და ქართული სახელმწიფოს ინტერესების იგნორირებას უმეტეს შემთხვევაში შეფარვითი გზით ცდილობდნენ. ეს გარემოება აუცილებლად აყენებდა საკითხს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაუყოვნებლივ შემუშავებისა და კანონის ფარგლებში მათი მოქმედების გარკვეული ჩარჩოთი შემოფარგვლის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული სოციალ-დემოკრატიის რიგებში ძირითადად ორი თვალსაზრისი არსებობდა. 1) ეროვნული უმცირესობებისათვის საჯარო უფლებების მიცემის აუცილებლობის საჭიროება და 2) საქართველოს სინამდვილისათვის მხოლოდ ეროვნული თემების დაშვების შესაძლებლობა. პირველ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მარტის სხდომაზე აკ.ჩხენკელმა ჩამოაყალიბა. მისი აზრით, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურული განვითარების მიზნით საჯარო უფლებების მიცემა აუცილებელი იყო. „სახელმწიფო თავის უფლებას უთმობს სხვას, – ამბობდა აკ.ჩხენკელი, – მაგრამ სახელმწიფოს ... აქვს კონტროლის უფლება. ჩვენი ცხოვრების ნორმალურად განვითარების ინტერესი მოითხოვს ვაღიაროთ საჯარო უფლებრივი ორგანოების საჭიროება."[145] ეს შეხედულება აკ.ჩხენკელმა დაიცვა სსდმ პარტიის ცეკას 1920 წლის 22 მაისის სხდომაზე. კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით – ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში. მან -საჯარო უფლებების იგნორირება ეროვნული საკითხის უარყოფასთან გააიგივა. აქედან გამომდინარე, პრინციპულად დააყენა მოთხოვნა: „ეროვნულ უმცირესობებს ყველაფერი უნდა მივცეთ, რაიც შესაძლებელი იქნება და სახელმწიფოს არ ავნებს."[146] სამწუხაროდ იგი არ აკონკრეტებდა, თუ რას გულისხმობდა „ყველაფერში". მეორე მხრივ, არც იმის შესახებ მიუთითებდა, საჯარო უფლებების რა ფორმა უნდა გამოძებნილიყო, რომ სახელმწიფოს ინტერესებს არ დაპირისპირებოდა. ეს ხარვეზი ნაწილობრივად მის მიერ „შევსებული" იქნა სსდმ პარტიის მეორე ყრილობის (1920 წელი) 17 ივნისის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში. მასში გატარებული ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) ეროვნული უმცირესობების თემები, ეროვნული კავშირის საფუძველი იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუკი მას საჯარო უფლებებს მისცემდნენ. 2) ეროვნულ კავშირებს, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან სწავლა-განათლების გასაუმჯობესებლად

ფინანსური საშუალებები პროპორციულად უნდა მიეღო. 3) ეროვნული უმცირესობებისადმი საკუთარი სწავლა-განათლების გაძღოლის გარანტიების მიცემა, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მათგან კეთილგანწყობილებას შექმნიდა. „ამ გზით, - ამბობდა აკ.ჩხენკელი, – ჩვენ შეგვიძლია ავაცდინოთ ეროვნული კავშირები ყალბ და მავნე გზას."[147] აკ.ჩხენკელს მხარი კ.ჯაფარიძემ და ირ.წერეთელმა დაუჭირა. მათი გამოსვლებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებებს ართმევდნენ. ყოველივე ამან თვით სოციალ-დემოკრატთა რიგებში აღნიშნული თვალსაზრისისაგან განსხვავებული შეხედულების ჩამოსაყალიბებლად მყარი საფუძველი შეამზადა. ამ მხრივ გამოკვეთილი პოზიცია პ.საყვარელიძეს ეჭირა. მან დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე დაწვრილებით განიხილა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების საკითხი და ევროპული სახელმწიფოების ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, პირველი რიგის ამოცანად მტკიცე ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნის აუცილებლობა მიიჩნია. აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე იგი აცხადებდა: „სხვა ერს აქ ჩვენ ვეღარ შევქმნით, სახელმწიფოში ახალ სახელმწიფოს ვერ დავაარსებთ, ჩვენ ვერ დავუშვებთ ვერც კურიებს, ვერც ავტონომიას და საზოგადოდ საჯარო უფლებრივი ხასიათის ორგანიზაციას."[148] ასეთი მკაცრი ტონით გაცხადებული პოზიცია საქართველოს რეალური სინამდვილიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, ეროვნული უმცირესობების იმ ანტიქართული საქმიანობიდან, რომლის შესახებაც ზემოთაც გვქონდა მითითებული. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინების საფუძველზე, პ. საყვარელიძემ განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უპირატესობის დამადასტურებელ სამ ძირითად ნიშან-თვისებაზე გაამახვილა. 1) საჯარო უფლებრივი ორგანოების შექმნაზე, რომელიც სახელმწიფოს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას უქმნის. 2) დემოკრატიულ მოტივებზე, რომლის თავისუფალი განვითარების პერსპექტივას ეროვნული სახელმწიფო იძლევა. 3) კულტურულ მოტივზე – ენათა ნაკლებად დაპირისპირებად პროცესზე, რომელიც კულტურის განვითარების მეტ შესაძლებლობას იძლევა. რამდენადაც ეს სამი ელემენტი, უკიდურეს შემთხვევაში ეროვნული სახელმწიფოსათვის მოსამზადებელ საფეხურს, ანუ ჩანასახს ქმნის, ბუნებრივია, ეროვნული უმცირესობებისადმი მისი მინიჭება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში პ.საყვარელიძეს, როცა კატეგორიულად უარყოფდა ყოველგვარი საჯარო უფლებრივი ორგანიზაციების შექმნას „ჩვენ ყველაფერს დავუშვებთ, – ამბობდა იგი, – მაგრამ ვერ შევქმნით საჯარო უფლებრივ ორგანიზაციებს... მას ფიზიკური ძალის შექმნის უფლებასურს მოიპოვოს, იგი სრული კანონმდებელია – ერთი სიტყვით,

სახელმწიფოებრივი ფუნქციების მატარებელია. მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში იქნება 15 საჯარო უფლებით შემოსილი ეროვნული საბჭო, გვექნება ცენტრალური სახელმწიფო და კიდევ 8-9 სახელმწიფო ჩვენ გვერდით და წარმოიდგინეთ ის კინკლაობა... რომელიც აუცილებელი შედეგი იქნება ასეთი მდგომარეობის. ამიტომ ჩვენ მეტად ფრთხილად უნდა მოვეპყრათ ამ საკითხს."[149]

პოზიციის ასეთი დაფიქსირება სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ ეროვნულ უმცირესობათა მიმართებაში პ.საყვარელიძე რაიმე დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ასეთი ნაბიჯი მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს ჩარჩოში უნდა ჩამჯდარიყო. შემაჯამებელ სიტყვაში იგი გარკვევით აცხადებდა: „მტკიცე ეროვნული სახელმწიფო, შეუძლებელია სახელმწიფოში ახალი სახელმწიფოს, ან რომელიმე საჯარო უფლებრივი ორგანიზაციების შექმნა. ეროვნულ უმცირესობათა საკითხში ჩვენ უნდა ვიდგეთ უფლებრივი უზრუნველყოფის ნიადაგზე."[150] აქ გარკვევითაა მითითებული ეროვნულ უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებაზე და არა საჯარო უფლებებზე, რადგან ეს უკანასკნელი მას პერსონალურ ავტონომიად ესახებოდა, რომლის პრაქტიკული განხორციელება ეროვნული სახელმწიფოსადმი ძირის გამოთხრად მიაჩნდა. ოპონენტების მისამართით იგი გულისწყრომით დასძენდა: „თქვენ გინდათ სახელმწიფოები შექმნათ სახელმწიფოში და ამით... თქვენივე ხელით სპობთ იმას, რისი გაკეთება და აშენება ... მიზნად დაისახეთ."[151] როდესაც სოციალისტ-ფედერალისტმა ბარათაშვილმა კომპრომისული გზის გამოძებნის მიზნით ეროვნული უმცირესობებისათვის მხოლოდ ნახევრად საჯარო უფლებების საკითხი დააყენა, პ.საყვარელიძემ ეს წინადადებაც უარყო და ოფიციალურად განაცხადა: „ნახევრად საჯარო უფლება, როგორც ბრძანებს ბარათაშვილი, სრულიად არევს საქმეს და ამის მიღება ნიშნავს ჩვენთვის ეროვნული სახელმწიფოს დაღუპვას. დიდ სახელმწიფოში ეს კიდევ დასაშვებია, პატარაში, როგორიც ჩვენი რესპუბლიკაა, ყოვლად მიუღებელია."[152] ჩვენს მიერ მოტანილი ეს ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე ეროვნული საკითხის გადაწყვეტას, შორსგამხედველი ეროვნული ინტერესებიდან განიხილავდა. იმავდროულად ისტორიული ფაქტებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილების საფუძველზე, მიუთითებდა იმ გარდუვალ საშიშროებაზე, რომელიც საქართველოს სინამდვილისათვის იმ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი, თუკი ეროვნულ უმცირესობათა კავშირები საჯარო უფლებებით აღიჭურვებოდა და მას სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ელემენტებს მისცემდნენ. მართალია, საკითხი კონკრეტულად იყო დასმული და პასუხიც ჰქონდა გაცემული, მაგრამ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია გამოსავალი გზის პოვნას, სხვა ალტერნატიული წინადადებების აუცილებლობის საჭიროებას მოითხოვდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გაზეთ „ერთობაში" ლ.ნათაძის მიერ გამოქ-

ვეყნებული წერილი „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა“ იქცევს. მისი აზრით, აუცილებლობას წარმოადგენდა: 1) თვითმმართველობის ერთეულებში ეროვნული კავშირების უფლებების კანონით განსაზღვრის საჭიროება, 2) თვითმმართველ ერთეულებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, ეროვნულ-კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ეროვნული კავშირებისათვის ინიციატივის უფლების მიღება, 3) თვითმმართველი ერთეულების შემოფარგვლისას, სახელმწიფოს ანგარიში უნდა გაეწია ამა თუ იმ რაიონის ეროვნული შემადგენლობისადმი და მათი საჭიროებანი გაეთვალისწინებინა.[153] მიუხედავად ამისა, ავტორმა დასმულ პრობლემას გასაღები ვერ მოუძებნა და საზოგადოებას ეროვნული სახელმწიფოსათვის მისაღები მოდელი ვერ შესთავაზა. ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯს სსდმ პარტიის ცეკას 1920 წლის 22 მაისის სხდომაზე ნ.ჟორდანიას გამოსვლა წარმოადგენდა. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კულტურული ავტონომიის მომხრეები, განსაკუთრებით დაუპირისპირდა აკ.ჩხენკელის მოთხოვნის იმ ნაწილს, სადაც ერის „უფლების სუბიექტად“ გამოცხადებიდან გამომდინარე, ეროვნული უმცირესობებისათვის უფლების გამომხატველი ორგანოს შექმნის საკითხი იყო დასმული. აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, როცა აკ.ჩხენკელი ერის „უფლების სუბიექტს“ ეხებოდა, სამწუხაროდ ერთმანეთისაგან არ გამიჯნა ერი და ეროვნული უმცირესობები და ისინი ერთ ამპლუაში მოაქცია. ბუნებრივია, ამ შეცდომამ იგი საქართველოს სინამდვილისათვის მიუღებელ დასკვნამდე მიიყვანა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანიამ სკრუპულოზური სიზუსტით განიხილა ის ძირითადი მიზეზები, რომელიც საფუძვლად დაედო რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოსათვის ავტონომიის მოთხოვნის პირობებს. „რუსეთის იმპერიაში, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – მომხრე ვიყავით სუბიექტური უფლებების, იმიტომ რომ ერები ჩაქედილი იყვნენ ამ ქვეყანაში და გასაქანი არ ქონდათ. იმ კონკრეტულ პირობებში... ეს საჭირო იყო“[154] ხოლო რუსეთის დაშლის შემდეგ, ნ.ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში მაცხოვრებელ „პატარა ერების ნაჭრებს“ რამდენადაც თავიანთ ისტორიულ ტერიტორიებზე პოლიტიკური და კულტურული ცენტრები გაუჩნდათ, ერთ დროს ქართველებისათვის წამოყენებული მოთხოვნების ეროვნულ უმცირესობებზე გადატანა პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა. ნ.ჟორდანია გარკვევით მიუთითებდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას რაც უნდა დიდი უფლებები „მიეცათ პატარა ერებისათვის, მაინც ვერაფერს დააკლებდნენ რუსეთს, როგორც დიდ სახელმწიფოს“. რუსეთსა და საქართველოს შორის შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე, იგი დაასკვნიდა: „ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ, აქ... 16-მდე ნატეხი ერებია ამდენი ხალხი რომ საჯარო უფლებებით აღვჭურვოთ, ისინი უფრო დიდი ცენტრი შეიქმნებიან ჩვენს რესპუბლიკაში. დღეს სულ სხვა პირობებია და მაშინ-

დელ რუსეთის პირობებს ვერ შევადარებთ."[155]

როგორც ვხედავთ, სოციალ-დემოკრატთა ლიდერი გარკვევით მიუთითებდა იმ საშიშროებაზე, ანუ ეროვნულ უმცირესობათა „დიდი ცენტრების" შექმნის შესახებ, რომელსაც საჯარო უფლებების პრაქტიკულად გატარება გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში ერთადერთ გამოსავალ პირობად კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობებისათვის თემური სისტემის შემოღება მიაჩნდა, სადაც სახელმწიფოს ერთიანი კონტროლი განხორციელდებოდა. ეროვნულ უმცირესობებს „თუ თემების ფარგლებში მოვათავსებთ, – ამბობდა ნ.ჟორდანია, – ნაციონალურ-ტერიტორიალური კავშირი იქნება და ერის კულტურა განვითარდება. სკოლებს თუ ... ვერ მოაწყობენ, სახელმწიფო ვალდებული იქნება ფულით დაეხმაროს. წინათ კანტონალურ სისტემას ვამბობდით, ეხლა კი თემური სისტემა აჯობებს მათთვისაც და სახელმწიფოს ინტერესებიც დაცული იქნება. ისეთ გაბნეულ ერს, რომელსაც თემი არა აქვს, მათ ექნება ეროვნული კავშირი. სახელმწიფო სკოლებისათვის დახმარებას მისცემს."[156] აქ კონკრეტულადაა გაცემული პასუხი იმ მტკივნეულ საკითხზე, რომელიც ფართო დისკუსიის მიუხედავად გადაუჭრელი რჩებოდა.

ეროვნული უმცირესობებისათვის თემების შექმნის იდეას, რამდენადაც პარტიის ცეკას აღნიშნული სხდომის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, მიღებულ დადგენილებაშიაც ეს პოზიცია იქნა გატარებული. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „1) ნაციონალურ-ტერიტორიალურ თემებს მიეცეთ უფლება შეკავშირდნენ სწავლა-განათლების და საერთოდ კულტურული საქმეებისათვის სახელმწიფო მათ დაეხმარება, 2) მათი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო იღებს თანხას ... წესი თანხის მიღებისა ისაზღვრება კანონით, 3) იმ ერებს, რომელთაც არ შეუძლიათ თემებში მოხვდნენ ექნებათ ცალკე კავშირი."[157] ამ დოკუმენტის არსებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მყარი საფუძველი შეამზადა პრობლემის სიღრმისეულად გააზრებისა და კონკრეტული წინადადების შესამუშავებლად. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ლ.ნათაძის კონცეფცია „ეროვნული თემების" მოწყობის შესახებ. მისი მტკიცებით, იგი კომპაქტურად დასახლებულ არაქართულ მოსახლეობას ფართო ასპარეზს აძლევდა იმ თვალსაზრისით, რომ მათი ეროვნულ-კულტურული საქმეების მოწესრიგებას მეტი შესაძლებლობა მიეცემოდა. თემებს ეყოლებოდა ეროვნული ადმინისტრაცია, ეროვნული სასამართლო, ეროვნული სკოლა და მასწავლებელი. რაც შეეხება ერთიანი ეროვნული შემადგენლობის თემებს, მისი ერთმანეთთან დაკავშირებას შესაძლებლად მიიჩნევდა და არ გამორიცხავდა, რომ იგი შემდეგში საფუძველს ეროვნულ უმცირესობათა კავშირების შექმნას დაუდებდა. მისივე მტკიცებით, ეროვნულ თემთა კავშირი „ექსტერიტორიალური სახელმწიფოს კალაპოტს გარეშე" მდგომი არ იყო, რადგან „მისი ცხოვრება სახელმწიფოს კალაპოტში"

მიმდინარეობდა და „სახელმწიფოს ძლიერებით ნოყიერდებოდა."[158] ყოველივე ამის შემდეგ, კონკრეტული სახის წინადადებებს იძლეოდა, თუ რომელი თემები შექმნილიყო საქართველოს ამა თუ იმ რეგიონებში. მისი აზრით, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში, სოხუმსა და ბათუმის ოლქებში სომხური თემები უნდა მოეწყოთ. ბორჩალოს, თბილისისა და ახალციხის მაზრებში – თათრული. თბილისის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრებში და სოხუმის ოლქში – რუსული. გორისა და დუშეთის მაზრებში – ოსური. თბილისსა და ბორჩალოს მაზრებში – გერმანული. ბორჩალოს მაზრასა და სოხუმის ოლქში – ბერძნული.[159] ამ კონცეფციის გაღრმავებისა და მისი უპირატესობის მტკიცების მცდელობას შეიცავდა ლ.ნათაძის მიერ საქაროთველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე – ეროვნულ უმცირესობათა საკითხზე გაკეთებული ვრცელი მოხსენება. მან ეროვნულ უმცირესობათა საკითხის გადაჭრის სამი ვარიანტი განიხილა: 1) ტერიტორიული პრინციპი – ეროვნულ უმცირესობათა ტერიტორიულ გამოყოფას და საქმის დამოუკიდებლად გაძღოლას ითვალისწინებდა. 2) პერსონალური, ანუ ექსტერიტორიალური ავტონომია – ეროვნულ უმცირესობათა პერსონალური კავშირის შექმნას და მისთვის საჭირო უფლებების მინიჭებას ისახავდა მიზნად. 3) ეროვნული თემების მოწყობა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ საკითხს ლ.ნათაძე საქართველოს სინამდვილის შესაბამისობის პოზიციიდან შეეხო. სათანადო ფაქტების საფუძველზე პირველი ორი ვარიანტი საქართველოსათვის მიუღებლად გამოაცხადა და აქცენტი მესამეზე – ეროვნული წვრილი ერთეულების, ანუ თემების შექმნაზე გადაიტანა. თუკი ეს მოდელი პრაქტიკულად განხორციელდებოდა, მისი აზრით, სახელმწიფოს თვითმმართველი ერთეულების სახით, ორგანიზაციულად მოწყობილ ეროვნებებთან ექნებოდა საქმე, რომლებიც ყოველგვარი განსაკუთრებული პირობების გარეშე, მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებით ისარგებლებდნენ.[160] მართალია, მომხსენებლის ძირითად დებულებებს მხარი ნ.რამიშვილმა და რ.არსენიძემ დაუჭირა, მაგრამ დასმული პირობლემის ნათაძისეული გადაწყვეტისადმი მიმართებაში კამათმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საერთო პლატფორმის შესამუშავებლად სპეციალური კომისიის (ნ.ჟორდანია, ნ.რამიშვილი, აკ.ჩხენკელი, ი.წერეთელი, ლ.ნათაძე, მ.არსენიძე) შექმნა გახდა საჭირო. მიღებული იქნა ერთობლივი რეზოლუცია: „ეროვნული უმცირესობებისაგან შემდგარ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დაარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლიერებლად კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში. ეროვნულ უმცირესობებს, რომელსაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლიან ამის გარეშეც შეადგინონ ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნულ უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებულ იქნა

სახელმწიფოს თვითმმართველობათა ბიუჯეტიდან ფინანსური საშუალებები პროპორციონალურად მცხოვრებთა რაოდენობისა."[161]

ჩვენს მიერ მოტანილი მასალები და მისი ანალიზი შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: 1) ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ ეროვნული უმცირესობის საკითხისადმი მიდგომა, ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკური სიტუაციისა და ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინების ფონზე ხდებოდა. აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში მიღებული ყოველი კანონი, ეროვნული სახელმწიფოს მთლიანობას ეფეძნებოდა. იგი შორსგამხედველი პოლიტიკური კურსიდან გამომდინარეობდა და იმ გარდუვალი საშიშროებისაგან დაზღვევის მყარი მექანიზმის შემუშავებას ითვალისწინებდა, რომელიც საქართველოსათვის ეროვნული უმცირესობებისაგან იყო მოსალოდნელი. 2) საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გვერდით ეროვნული უმცირესობების ენის ხმარების დაშვება ალოგიკური და იმავდროულად ფორმალური ხასიათისა იყო, რადგან საპარლამენტო უმრავლესობისათვის სომხურად, ბერძნულად, თათრულად, აფხაზურად, ოსურად და ა.შ. წარმოთქმული სიტყვები გაუგებარი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ენის ხმარების კანონის მეორე ნაწილს პრაქტიკულად არ უმუშავია. 3) ეროვნული უმცირესობებისადმი საჯარო უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ნეგატიური დამოკიდებულება გამართლებული იყო, რადგან მისი პრაქტიკულად განხორციელება შიდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნას უწყობდა ხელს და მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. 4) ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ, კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობათა ეროვნული თემების შექმნის კონცეფცია, რომელიც ეროვნული ადმინისტრაციის, ეროვნული სასამართლოს, ეროვნული სკოლის მოწყობასა და მასზე სახელმწიფოს ერთნაირი კონტროლის დაწესებას ითვალისწინებდა, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. იგი არა მარტო ორგანიზაციულად აწესრიგებდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობებს, არამედ მის კულტურულ განვითარებასაც უწყობდა ხელს.

§7. აფხაზეთის საკითხი და მისი სტატუსის შესატყვისი ფორმის ძიება

საქართველოს ხელისუფლებისა და მისი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე მდგომი პრობლემებიდან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას რესპუბლიკის „განაპირა მხარეების" უფლებამოსილების სამართლებრივად დაკანონების აუცილებლობა იძენდა. რამდენადაც ქართველ პოლიტიკოსებს ეს საკითხი ქართული სახელმწიფოს ორგანიზაციულად მოწყობის ერთ-ერთ საფეხურად მიაჩნდათ, მის გადაწყვეტას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ. იმავდროულად ამოსავალ საფუძვლად ეროვნული სახელმწიფოს მთლიანობის

შენარჩუნებას დებდნენ. აქედან გამომდინარე, ცდილობდნენ ისეთი ფორმის გამოძებნას, რომელიც ცენტრსა და „განაპირა მხარეებს“ შორის მოდუს ვივენდის შესატყვისი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული სირთულე აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ეს არც შემთხვევითი იყო და არც გასაკვირი, რადგან რუსეთის ხელისუფალთა ერთსაუკუნოვანი ანტიქართული აგიტაციიდან გამომდინარე, აფხაზთა უმეტესობის ცნობიერებიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი მხარდაჭერის საჭიროება მთლიანად ამოიძირკვა. მათში ძირითადად პროთურქული და პრორუსული ორიენტაცია დამკვიდრდა. ასეთ პირობებში, ქართული ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის რეალური საფრთხე, ანდა უკიდურეს შემთხვევაში მძიმე კონფლიქტების გარდუვალობა იქმნებოდა. ამის საფუძველს იმ ეტაპზე ამიერკავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ჩრდილოეთიდან „მოხალისეთა არმიის“ შემოჭრის საფრთხეც განაპირობებდა. ყოველივე ეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეის საწინააღმდეგოდ, აფხაზეთის რეგიონიდან მოსალოდნელი სირთულეების გარდუვალობის დამადასტურებელია. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქართველი პოლიტიკოსების ყოველი ნაბიჯი სკრუპულოზური სიზუსტით უნდა ყოფილიყო გათვლილი. ამის აუცილებლობას ის პასუხისმგებლობაც მოითხოვდა, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე ეკისრებოდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუკი აღვნიშნავთ, რომ იმ ეტაპზე ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში შედარებით გამოკვეთილი პროგრამული ხასიათის თვალსაზრისი ქართველ სოციალ-დემოკრატებს გააჩნდათ. ამის დადასტურებას საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 9 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში წარმოადგენს. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აკ.ჩხენკელი, კ.მესხი, გ.გვაზავა, პ.საყვარელიძე, ნ.ქარცივაძე, ა.შერვაშიძე, მ.ემხვარი, ნ.მარღანია, პ.ჩქატუა და ბ. ცაგურია. მსჯელობის ძირითადი საკითხი საქართველო-აფხაზეთის დამოკიდებულების გარკვევას ეხებოდა. აფხაზთა მხარე მოითხოვდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნას და საქართველოსთან როგორც თანასწორი – მეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ამასთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ ორაზროვნების გარეშე განაცხადა: „სამურზაყანო, როგორც აფხაზეთის ნაწილი, აფხაზებს არ გაყვება, თუ საქართველოსთან კავშირს იქონიებს ზნეობრივ-პოლიტიკურს“. ასეთი პრეამბულის მიუხედავად, ქართულმა მხარემ კომპრომისული გზა აირჩია და „გამოთქვა სურვილი“, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი ყოფილიყო „შინაური დამოუკიდებლობით აღჭურვილი (ფართო ავტონომიით)“. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, აფხაზური მხარე აღნიშნულ წინადადებას არ დაეთანხმა და გარკვეული პრეტენზიები წამოაყენა. ეს ფაქტი საფუძვლად

დაედო აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით აკ.ჩხენკელის ვრცელ მოხსენებასა და განხილვის მიზნით შემოტანილ შესაბამის პროექტს, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისათვის ფართო შინაგანი ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა: იგი სამი პუნქტისაგან შედგებოდა და შემდეგ ძირითად საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას: 1) ერთიანი აფხაზეთის საზღვრების აღდგენა უნდა მომხდარიყო საკუთრივ აფხაზეთით და სამურზაყანოთი ანუ სოხუმის ოლქის ჩათვლით მდინარე ენგურიდან – მზიმთამდე. 2) ერთიანი აფხაზეთის სტატუსის შემუშავება თვითგამორკვევის პრინციპს უნდა დამყარებოდა და დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულ აფხაზეთის პირველ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. 3) სხვა ეროვნებებთან ან სახელმწიფოებთან პოლიტიკური სახელშეკრულებო ურთიერთობის გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველოსა და აფხაზეთს შორის წინასწარი მოლაპარაკება უნდა გამართულიყო.[162]

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტით აფხაზეთს განსაკუთრებული უფლებები ენიჭებოდა. ეს თუნდაც მესამე პუნქტიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური საკითხების დამოუკიდებლად – ერთმანეთისაგან დაუკითხველად გადაწყვეტა არცერთ მხარეს არ შეეძლო. ქართული მხარის ეს კომპრომისი აფხაზებისათვის მისაღები აღმოჩნდა, რომელიც 1918 წლის 9 თებერვლის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. ასეთი დიდი დათმობა იმ ეტაპზე გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებებს ემყარებოდა და დიპლომატიური მანევრის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. მითუმეტეს, რომ ამ ხელშეკრულებით აფხაზეთის სტატუსის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. მისი რატიფიკაცია საქართველოს ეროვნულ საბჭოს არ მოუხდენია. არც კანონით დაუდასტურებიათ და მისთვის სამართლებრივი სახე არ მიუციათ. ამდენად, იგი მხოლოდ გარეგნულ პირობადეს წარმოადგენდა, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის შესაჩერებლად იყო მიმართული და მხარეთა შორის დიალოგის გამართვის საჭირო ნიადაგს ამზადებდა. სავსებით სწორია ჯ.გამახარია, ხელისუფლების ამ ნაბიჯს მძიმე პოლიტიკურ სიტუაციასა და საქართველოს გარშემო შექმნილი მტრის დაჯგუფებებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს რომ უკავშირებს.[163] ეს რომ ასე არ ყოფილიყო, და აღნიშნული ხელშეკრულებით ქართულ მხარეს აფხაზეთის სტატუსი საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაეთვალა, მისი განხილვის აუცილებლობა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს სხდომებზე არ დაისმებოდა, აფხაზებთან ახალი მოლაპარაკებები არ გაიმართებოდა. მხედველობაში გვაქვს აფხაზეთისა და დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელთა შორის 1918 წლის 11 ივნისს დადებული ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთს შინაგანი მმართველობა, ანუ ავტონომიური უფლებები ეძლეოდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ 9 თებერვლის ხელშეკრულებასთან შედარებით, ეს დოკუმენტი აფხაზეთის უფლებებს შეკვეცილი ფორმით წარმოგვიდგენდა, ამ

შემთხვევაში აფხაზეთის ხელისუფლება ქართული საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ კანონებზე და თვით საქართველოს ხელისუფლებაზე დაქვემდებარებული ხდებოდა. ამას აღნიშნული დოკუმენტის პირველი, მეორე და მეექვსე მუხლები ადასტურებს.[164] იგი ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს.

აფხაზეთთან ურთიერთობისა და მისი სტატუსის განსაზღვრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველ პოლიტიკოსთა მიერ ამ პროცესში აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის აქტიურად ჩართვის ფაქტი იქცევს. ამის ერთ-ერთ დადასტურებას საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ სამურზაყანოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილი სპეციალური შეტყობინება წარმოადგენს. მასში დასმული იყო საკითხი: ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებში სამურზაყანოს წარმომადგენლობას აქტიური მონაწილეობა მიეღო. „გაცნობებთ რა ამას, - ვკითხულობთ დოკუმენტში, – გთხოვთ სამურზაყანოში არსებული სხვა აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით აირჩიოთ და გამოგზავნოთ... ქ.თბილისში სამურზაყანოს წარმომადგენლები (რამდენიმე კაცი), რათა სამურზაყანომაც მიიღოს მონაწილეობა განზრახულ მოლაპარაკებში და ხელი შეუწყოს ძლიერი კავშირის განმტკიცებას საქართველოსა და აფხაზეთს შორის. საქართველოს ეროვნული საბჭო დარწმუნებულია, რომ სამურზაყანო მხურვალედ დაუჭერს მხარს ჩვენ სამშობლოს ცხოვრების მოწესრიგების საქმეს, მოიხმარს თავის გავლენას აფხაზ-ქართველთა მეზობლური ურთიერთობის გასამტკიცებლად."[165] საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა, რადგან აფხაზეთის საკითხის მოწესრიგება მარტო აფხაზთა ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა მომხდარიყო. მოლაპარაკების პროცესში აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წარმომადგენლებსაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო და წამოჭრილ პრობლემებთან მიმართებაში ოფიციალური პოზიცია დაეფიქსირებინა. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა ლიდერებს, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ინტერესებიც უნდა გაეთვალისწინებინა. ყოველ შემთხვევაში, ქართული მხარე, როგორც ჩანს, ამ საკითხის დასმას პრინციპულ მნიშვნელობას აძლევდა. არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, ქართველთა სასარგებლოდ მან „სამურზაყანოს მექანიზმი" შესანიშნავად მოარგო. საჭიროებისამებრ მას კიდეც აამუშავებდა. მიუხედავად ამისა, აფხაზურ მხარესთან, კონსესუსის მიღწევას, სახელმწიფოს ინტერესების ფარგლებში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ყოველმხრივ ცდილობდნენ. ამის ერთ-ერთ მცდელობას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1919 წლის 12 მარტის სხდომაზე საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით მიღებული დადგენილება წარმოადგენს. ზემოთ მითითებულ

დოკუმენტებისაგან განსხვავებით, მასში კონკრეტულადაა წარმოდგენილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობანი. განსაზღვრულია აფხაზეთის სახალხო საბჭოს პრაქტიკული მოქმედების ჩარჩო. რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებულია და იგი საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი, ვფიქრობთ, მისი სრული ტექსტის მოტანა ამ შემთხვევაში გამართლებული უნდა იყოს. „აფხაზეთი შედის საქ. დემოკრატიულ რესპუბლიკაში, - ვკითხულობთ დოკუმენტში, – როგორც მისი ავტონომიური ერთეული. საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეებს – საგარეო პოლიტიკას, ჯარს, ფინანსებს, ფულის სისტემას, საბაჟო დაწესებულებებს, სასამართლოს, რკინის გზებს, იმ გზათა გამოკლებით, რომელთაც მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, განაგებენ საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საკანონმდებლო და სასამართლო დაწესებულებები. აფხაზეთის საშინაო-ადგილობრივ საქმეთა გამგებლობა ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს, არჩეულს პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი, ფარული კენჭის ყრით პროპორციონალური პრინციპის დაცვით. აფხაზეთის სახალხო საბჭო ნიშნავს აღმასრულებელ ორგანოს, მასვე ეკუთვნის საერთო ხელმძღვანელობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა, შეუძლია დაუშვას აფხაზეთის მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში სხვა ენა, გარდა საერთო სახელმწიფო ენისა. მასვე აქვს უფლება გადასახადების განაწილებისა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიწის საკითხში, თანახმად საქართველოში გამოცემული კანონებისა და დეკრეტებისა, აქვს უფლება გაადიდოს ან შეამოკლოს ნორმა მიწისმფლობელობისა აფხაზეთის საზღვრებში. მიწაზე დასახლების დროს უპირატესობა მიეცეს მოჰაჯირებს. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებში არჩევის დროს აფხაზეთი შეადგენს განსაკუთრებულ საარჩევნო ოლქს და სარგებლობს პროპორციონალური წარმომადგენლობით საქართველოს პარლამენტში. აფხაზეთის სახალხო საბჭოს აქვს უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა საერთო სახელმწიფო პარლამენტში. საქართველოს საერთო კონსტიტუციის გამომუშავებამდე მთავრობაში შედის აფხაზეთის საქმეთა მინისტრი“[166] ამ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთის სახალხო საბჭოს საშინაო საქმეებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გამგებლობის უფლებები ეძლეოდა. იგი ვალდებული იყო აგრარული რეფორმის გატარებისას ცენტრალური კანონებითა და დადგენილებებით ეხელმძღვანელა. ამ საკითხის გადაწყვეტისას გარკვეული კორექტივების შეტანის უფლება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუკი ამის საჭიროებას ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება მოითხოვდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ აფხაზეთი ფაქტობრივად საოლქო ავტონომიის ჩარჩოში თავსდებოდა, ხოლო მისი გაფართოების საკითხს, საქართველოს ხელისუფლება კონსტიტუციას უკავშირებდა. გაუგებრობის თავ-

იდან აცილების მიზნით, ამ საკითხთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებამ 1919 წლის 13 მარტს სპეციალური დადგენილება მიიღო, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ „აფხაზეთს შინაურ საქმეებში ენიჭება სრული ავტონომია და ეძლევა უფლება სახალხო საბჭოს აიღოს თავის ხელში აფხაზეთის მთელი ადმინისტრაცია და ერობა, მხოლოდ კონკრეტული გაფართოება აფხაზეთის ავტონომიისა მოხდება კონსტიტუციით."[167]

მართალია, დოკუმენტი აფხაზეთის ავტონომიურობას ოფიციალურად ადასტურებდა და მისი უფლებამოსილების საკითხის გაფართოებას – თუკი დღის წესრიგში ამის აუცილებლობა დადგებოდა, სამართლიანად უკავშირებდა კონსტიტუციის მიღებას, მაგრამ გვერდს უვლიდა და არ აკონკრეტებდა ავტონომიის ფორმას. ეს გარემოება აფხაზეთის საბჭოს მოქმედების მეტ შესაძლებლობას აძლევდა. კონკრეტულად თუ რაში ვლინდებოდა იგი, ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულმა წერილმა „აფხაზეთის საკითხი" მიიქცია. მასში მითითებულია იმ განსაკუთრებულ თავისებურებებზე, რომელიც სოხუმის ოლქისათვის იყო დამახასიათებელი. იმავდროულად დასმული იყო საკითხი ისეთი ფორმის გამოძებნის შესახებ, რომლის მიხედვითაც მისი მოწყობა სახელმწიფოსა და თვით ოლქის მცხოვრებლებისათვის მისაღები იქნებოდა. სტატიის ავტორი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა: 1) „აფხაზეთის საბჭოს" სახელმწიფოს სუვერენიტეტის ზოგიერთი დამახასიათებელი ელემენტები მიეთვისებინა და 2) იმ ზღვარის დარღვევა, რომლიდანაც დემოკრატიული თვითმმართველობის უფლებათა ფარგლები იწყებოდა. აქედან გამომდინარე, დასმული იყო საკითხი, სახელმწიფოს მტკიცედ განესაზღვრა „აფხაზეთის საბჭოს მოქმედების მანძილი". იგი დაუშვებლად თვლიდა თვითმმართველობის უფლებების შეცვლით რეგიონებისადმი სუვერენიტეტის ელემენტების დარიგებას. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებებს შეახსენებდა, რომ აფხაზეთის ეროვნული საბჭოს კომპეტენციის საკითხი მისი პრეროგატივა იყო და ზემოდან გარკვეულ ფარგლებში მოქცევას საჭიროებდა, ხოლო „ქვემოდან მისი საზღვარი ისე უნდა გაივლოს, – წერდა გაზეთი, – რომ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები ხელშეუხებელნი დარჩნენ."[168] როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ მინიშნებაა გაკეთებული აფხაზეთის სტატუსის სამომავლო ფორმის შესახებ. იგი დაკონკრეტებული სახით გაზეთმა „ერთობამ" იმავე სახელწოდებით გამოქვეყნებულ მომდევნო წერილში წარმოგვიდგინა. „ჩვენ გვაქვს თვითმმართველობა, – ვკითხულობთ გაზეთში, – ერობა მეტად ფართო კომპეტენციით. ლაპარაკი შეიძლება ასეთი ერობის კომპეტენციის გაფართოებაზე ავტონომიამდე და არა სახელმწიფოს შექმნაზე."[169] აღნიშნული ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატების უმეტესობა, მხოლოდ საოლქო ავტონომიაზე ჩერდებოდნენ და მას „ერობის კომპეტენციის გაფართოების" ფონზე

განიხილავდნენ. საილუსტრაციოდ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 7 ივლისის სხდომის მასალები გამოდგება. აფხაზეთის ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით პ.საყვარელიძემ ოფიციალურად განაცხადა: „დამოუკიდებლობას, ან ფართო ავტონომიას ჩვენ ვერავის მივცემთ, უსათუოდ უნდა იქნეს დაცული უნიტარული ხასიათი ჩვენი სახელმწიფოსი. ავტონომიის ფარგლები არ უნდა გასცილდეს ჩვენი ერობის უფლებებს.“[170] ამ საკითხმა სოციალ-დემოკრატთა რიგებშიაც გამოიწვია კამათი. ავტონომიის ნაცვლად აფხაზეთისათვის ერობის უფლების მიცემა ლ.ნათაძეს შეუძლებლად, სიტყვის გატეხად მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, იგი დანაპირების შესრულების აუცილებლობას მოითხოვდა. რამდენადაც ავტონომიური მმართველობა საკანონმდებლო ორგანოს გარკვეულ უფლებებსაც გულისხმობდა. იმავე სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში კ.ჯაფარიძე ერთადერთ გამოსავალს ფრაქციათა წარმომადგენლებისაგან სპეციალური კომისიის შექმნაში ხედავდა. მისი აზრით, აფხაზებსა და ქართველებს შორის არსებული გაუგებრობის ყველა მიზეზის სიღრმისეულად შესწავლა, სათანადო დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება – ერთობლივი კომისიის პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. ეს იმის დამადასტურებელია, რომ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას 1920 წლის პირველი რიცხვებისათვის აფხაზეთის სტატუსი ჯერ კიდევ სრულყოფილად გააზრებული არ ჰქონდა. იგი მხოლოდ დამუშავების პროცესში იმყოფებოდა. ამის უდაო დადასტურებას იმავე სხდომის მიერ მიღებული დადგენილება წარმოადგენს. „არჩეული იქნას პატარა კომისია, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – რომელიც აფხაზეთის დელეგაციასთან ერთად შეიმუშავებს მასალებს აფხაზეთის ავტონომიისათვის და წარუდგენს საკონსტიტუციო კომისიას... კომისიაში არჩეულ იქნეს პ.საყვარელიძე, ლ.ნათაძე, ს.დადიანი, ს.კედია.“[171] როგორც ვხედავთ, საკითხის გადაწყვეტა და მისი სამართლებრივი დაკანონება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც ქართული ორიენტაციის მქონე აფხაზთა წარმომადგენლების სამართლიან პრეტენზიებს იწვევდა. ამასთან დაკავშირებით, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის წევრებთან შეხვედრისას მ.ემხვარი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით „მდგომარეობა დღესაც გაურკვეველია, რაც ქმნის მეტად არასასურველ ატმოსფეროს. შექმნილი მდგომარეობით სარგებლობს ბნელი ელემენტები და ხალხს ეუბნებიან, საქართველოს მთავრობა გატყუებთ და ავტონომიას არ მოგცემთო. ამიტომ ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, რაც შეიძლება დავაჩქაროთ ავტონომიის დებულების დამუშავება და მიღება.“[172] აფხაზთა წარმომადგენელი სავსებით მართალი იყო, რადგან ამ ფაქტორს აფხაზეთის ანტიქართული ძალები შესანიშნავად იყენებდნენ. ამის უდაო დადასტურებას დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის ნ.რამიშვილის მოხსენებაში მოტანილი ფაქტები წარმოადგენს. იგი

საქართველოს ხელისუფლებისაგან აფხაზეთში მოქნილი პოლიტიკის გატარებას აუცილებლობად მიიჩნევდა და ამ რეგიონისადმი ავტონომიური თვითმმართველობის მიცემას სტაბილურობის შექმნის გარანტად თვლიდა.[173] აფხაზთა წარმომადგენელმა გურჯუამ, ამავე საკითხთან მიმართებაში ოფიციალურად განაცხადა: „ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან და ... ამ რესპუბლიკაში გერებათ კი არ ვსთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად... ჩვენი გზა... არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი საქართველოს ყოველი ნაწილისათვის. აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული... ნაწილი ამ საქართველოისა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეებში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენ მიერ შემუშავებული კონსტიტუცია თქვენ უნდა მიიღოთ და მოიწონოთ, თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო."[174]

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სურვილისა და მოთხოვნათა ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა. რაც შეეხება საკითხის კონკრეტულ მხარეს, ამის შესახებ ერთიანი ჩამოყალიბებული თვალსაზრისი არ არსებობდა, რის გამოც პრობლემა ღიად და დისკუსიის საგნად რჩებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო კონსტიტუციის იმ ნაწილშიაც, რომლებიც უშუალოდ „განაპირა მხარეებსა" და მასთან დაკავშირებით ტერმინის – ავტონომიის ხმარებას ეხებოდა. ამის საილუსტრაციოდ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 მაისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშში მოტანილი ფაქტები გამოდგება. პოლიტიკური დატვირთვის მოტივაციით, აფხაზეთისათვის ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით აკ.ჩხენკელის განცხადებას – რეგიონისათვის ავტონომიის პროექტის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთობლივად მომზადების განზრახვის შესახებ, მწვავე დისკუსია მოჰყვა. ს.ჯაფარიძის აზრით, აფხაზეთის სტატუსზე კონსტიტუციაში გარკვევით უნდა ყოფილიყო თქმული. რაც შეეხება პ.საყვარელიძეს, იგი აფხაზეთისათვის ავტონომიას მიუღებლად თვლიდა, რადგან „ავტონომიური აფხაზეთი ვერ იარსებებდა" და მისი რჩენა საქართველოს რესპუბლიკას გაუჭირდებოდა. აქედან გამომდინარე აცხადებდა: „მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ავტონომიისა, ამიტომ არც იმის მომხრე ვარ, რომ კონსტიტუციაში ავტონომია მოვიხსენიოთ. თუ მაინცა და მაინც აუცილებელია, ვიხმაროთ სხვა ტერმინი."[175] ასეთი პოზიციის მიუხედავად, თვითონ არ იძლეოდა იმ ტერმინის დასახელებას, რომელსაც, მისი აზრით, სიტყვა ავტონომია უნდა შეეცვალა. ეს გარემოება აკ.ჩხენკელს თავისი პოზიციის ბოლომდე დაცვის მეტ საშუალებას აძლევდა. „ავტონომია ჩვენ ფაქტად უნდა ვაქციოთ, - ამბობდა იგი, – დაპირება უნდა გავანაღდოთ, სიტყვას უკან ვერ წავიღებთ. შინაარსი, ვიმეორებ სხვა საკითხია, იგი შეიძლება არ გაცდეს ჩვენი ერობის უფლებებს. ავტონომიურ აფხაზეთს შეუძლია იარსებოს... კონსტი-

ტუციაში უნდა ვიხმაროთ სიტყვა „ავტონომია“ და მოვიხსენიოთ ყველა კუთხე“[176] აკ.ჩხენკელის ეს მოსაზრება კომისიამ გაიზიარა და კონსტიტუციის პროექტში სიტყვა „ავტონომია“ შეიტანა. დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ამ ფაქტმა საფუძველი მისცა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარისადმი შემდეგი შინაარსის შეტყობინება გაეგზავნა. „ავტონომია აღიარებულია რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ, ხოლო განსაკუთრებული კანონი, რომელიც საკონსტიტუციო დებულებას განსაზღვრავს, დამუშავებული იქნება საბჭოს წარმომადგენლების თანდასწრებით.“[177]

ავტონომიის აღიარებით აფხაზეთის სახალხო საბჭო არ დაკმაყოფილდა და მისმა წევრებმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს სპეციალური მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს. მასში სამი ძირითადი მოთხოვნა იყო დაყენებული: 1) აფხაზეთს მიეცეს ავტონომია. 2) ავტონომიურ ფარგლებში მას საკანონმდებლო ფუნქციები მიენიჭოს. 3) ადმინისტრაციის მოწყობა და გაძღოლა აფხაზეთის ავტონომიურ ორგანოს მიენდოს[178] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ამ დოკუმენტის პირველი მუხლი – აფხაზეთისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ ოფიციალურად იყო დადასტურებული, ხოლო მისი განმეორებითი სახით დაყენება – შეფარვითი მოქმედების ფორმას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი აფხაზეთისათვის ფართო პოლიტიკური ავტონომიის მიღწევას ითვალისწინებდა. ამას მოხსენებით ბარათში მოტანილი მეორე და მესამე პუნქტებიც ადასტურებს. ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ყოველივე ეს დღესავით ნათელი იყო. მიუხედავად ამისა, მას ოფიციალური მსვლელობა მისცეს და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1920 წლის 26 ივლისის სხდომაზე განიხილეს, ხოლო დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას გადასცეს. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამ საკითხს საკონსტიტუციო კომისია მთელი სერიოზულობით მოეკიდა. ამის დადასტურებას დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე იმავე წლის 10 აგვისტოს გაგზავნილი შეტყობინება წარმოადგენს. „საკონსტიტუციო კომისიამ, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – განიხილა აფხაზეთის დელეგაციის მოხსენებითი წერილი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე ა/წ ივლისის 26-ის თარიღით და გამოსთქვა შემდეგი მოსაზრება: 1) ავტონომიის დებულება ნაწილია და გამომდინარეობს ზოგად სახელმწიფოებრივი კონსტიტუციიდან, მისი მთლიანად ან ნაწილობრივ ამა თუ იმ პრინციპის აღიარება შეუძლებელია, ვიდრე მოხსენებული კონსტიტუცია მიღებული არ იქნება. 2) მოხსენებით წერილში აღნიშნული კითხვების შეტანა დამფუძნებელ კრებაში იქნებოდა სრულიად ხელოვნური და მოუხერხებელი არსებული საპარლამენტო წესების მიხედვით. 3) ავტონომიის პრინციპი აღიარებულია რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტით და ხელშეუხებლობა სრულიად უზრუნველყოფილია. 4) ავტონომიის დებულება დამფუძნებელი კრების მომავალ სესიაზე რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებისთანავე იქნება... განხილული, ამიტომ აფხაზეთის შუამდგომლობა ჩაითვალოს მიუღებლად.“[179]

აფხაზეთის ავტონომიის დებულების დამტკიცების საკითხის კონსტიტუციის მიღების შემდეგ გადატანა, სწორი გადაწყვეტილება იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოსალოდნელი გაუგებრობებისა და ხელოვნური გართულებებისაგან დამზღვევ ნაბიჯს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, საერთო რესპუბლიკური საკანონმდებლო საფეხურებრივი აუცილებლობითაც იყო განპირობებული. რაც შეეხება აფხაზური მხარის აჩქარებას, მართალია იგი რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული, მაგრამ შემოთავაზებული ტემპით პრობლემის გადაწყვეტა და რესპუბლიკის ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტისადმი არდალოდება, მცდარ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და გაუთვალისწინებელ გართულებებს არ გამორიცხავდა. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში საკონსტიტუციო კომისიას, 1920 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე, აფხაზეთის დელეგაციის მიერ პრეზიდიუმის სახელზე შეტანილ 6 ნოემბრით დათარიღებულ განცხადებას რომ იხილავდა. მიღებულ დადგენილებაში ოფიციალურად კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ „აფხაზეთის ავტონომიის საკითხი დგას დამფუძნებელი კრების დღის წესრიგში და ახლო მომავალში რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ოფიციალურად დაადასტურებს ავტონომიური აფხაზეთის არსებობას, ხოლო ... ავტონომიის დებულებას, რომელიც აღიარებულია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის მორიგ სადღეისო საქმედ, კომისია თავის სხდომაზე მოიწვევს აფხაზეთის დელეგაციას, მასთან ფართო ოფიციალური მსჯელობისათვის და ღრმად დარწმუნებულია, რომ ეს ერთადერთი წესი ავტონომიის მიღება-დამუშავებისა სულ მოკლე ხანში გადაჭრის საკითხს აფხაზეთის ხალხის უფლებების დაცვითა და უზრუნველყოფით."[180]

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო კომისიას აფხაზეთის ავტონომიის დებულების შემუშავება ქართულ-აფხაზური კომისიების ერთობლივი მუშაობითა და საერთო ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტა კონსესუსის საფუძველზე მიაჩნდა. იგივე დაადასტურა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1920 წლის 28 ნოემბრის სხდომამაც. აფხაზეთის სახალხო საბჭოსადმი გაგზავნილ შეტყობინებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „ახლო მომავალში რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ოფიციალურად დაადასტურებს ავტონომიური აფხაზეთის არსებობას". რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიის დებულებას, მისი წინასწარი შემუშავება აფხაზეთის დელეგაციასთან შეთანხმებით, ერთობლივი ძალებით უნდა განხორციელებულიყო.[181] მართალია, აღნიშნული დოკუმენტის მიღება კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ იყო გათვალისწინებული, მაგრამ არსებული პოლიტიკური სიტუაციისადმი ანგარიშის გაწევიდან გამომდინარე, მცირე საკონსტიტუციო კომისიამ ავტონომიური აფხაზეთის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება 1920 წლის 29 დეკემბერს განსახილველად დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გადასცა. იგი საქართველოს

დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს იქნა დამტკიცებული. ეს დოკუმენტი 25 მუხლისაგან შედგებოდა და განსაზღვრავდა ავტონომიური აფხაზეთის უფლებამოსილებას. დროებითი დებულების მიხედვით, ავტონომიური აფხაზეთის დაქვემდებარებაში რჩებოდა: ადგილობრივი ფინანსები, განათლება, ადგილობრივი საერობო და საქალაქო თვითმმართველობა, სამომრიგებლო სასამართლოები, ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ჯანდაცვა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ადგილობრივი ბიუჯეტი ავტონომიურ აფხაზეთს, ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს – 30 კაციანი სახალხო საბჭოს შექმნის უფლება ეძლეოდა. იგი ორი წლის ვადით დემოკრატიულ საწყისებზე უნდა აერჩიათ. რაც შეეხება ამ ორგანოს პრეზიდიუმს, მის შემადგენლობასა და რეგლამენტს სახალხო საბჭო საზღვრავდა. დროებითი დებულების მიხედვით, ავტონომიური აფხაზეთის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციები, სახალხო საბჭოს მიერ არჩეულ აფხაზეთის კომისარიატს ეძლეოდა. აღნიშნული ორგანოები ვალდებულნი იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცი დაედოთ. ავტონომიური აფხაზეთის ბიუჯეტის შევსების მიზნით, აფხაზეთის ტერიტორიაზე აკრეფილი ზოგადსახელმწიფო გადასახადების და სახელმწიფო კონცესიების შემოსავლის ნაწილი ავტონომიურ მმართველობას ეძლეოდა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს ამ დებულების გადასინჯვის მხოლოდ საკითხის დაყენება შეეძლო. მისი უშუალოდ გადასინჯვა და დამტკიცება საქართველოს პარლამენტის პრეროგატივად რჩებოდა. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების დროს, აფხაზეთი ცალკე საარჩევნო ოლქს ადგენდა და საერთო კანონმდებლობიდან გამომდინარე, პროპორციული წარმომადგენლობითი პრინციპით ახდენდა კანდიდატების წარდგენას.[182]

მართალია, აღნიშნული დებულების მიხედვით აფხაზეთს ავტონომიური მმართველობა ენიჭებოდა, მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ მისი ფორმა – ოლქი თუ ავტონომიური რესპუბლიკა. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლს, იგი ზოგადი ხასიათისაა და მასში მხოლოდ სოხუმის ოლქის ავტონომიურ მმართველობაზეა მითითებული.[183] ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზეთის სტატუსი საოლქო უფლებებს არ უნდა გაცილებოდა. ერთი მტკივნეული საკითხთაგანი, რომელიც აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლობის მიერ იქნა დასმული, აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავება-დამტკიცების მოთხოვნა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას 1920 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე პაშალიდის მიერ გაკეთებული მოხსენება წარმოადგენს. როგორც ირკვევა, იმავდროულად სხდომისათვის მას ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტიც წარუდგენია. ამ საკითხთან მიმართებაში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა – განსაკუთრებით ნ.რამიშვილმა სწორი პოზიცია დაიჭირა. „კანონ-პროექტში, - ამბობდა ნ. რამიშვილი, - არის ისეთი მუხლები,

რომლებიც ჩვენთვის ახალი ამბავია, ის არ ყოფილა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიასთან შეთანხმებული და მე ვფიქრობ, ყოვლად მიუღებელი მუხლები არის. მის განხილვას ასე უცბად ნუ შევუდგებით, საჭიროა გავეცნოთ კარგათ". ეს მოსაზრება სხდომის მონაწილეთა მიერ გაზიარებულ იქნა, რასაც მიღებული დადგენილებაც ადასტურებს. „გადაიწეროს კანონ-პროექტი, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - და თითო ეგზემპლარი დაურიგდეს ცენტრალური კომიტეტის წევრებს. აირჩეს კომისია 5 კაცისაგან, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა მასალებს და მოხსენებას გაუკეთებს ცენტრალურ კომიტეტს."[184]

ასეთი სახის გადაწყვეტილების მიღება სავსებით მიზანშეწონილი იყო იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი საკონსტიტუციო პროექტი სკრუპულოზური სიზუსტით მოითხოვდა მისი ყველა დებულების შესწავლა-განზოგადებას და რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას.

ამრიგად, 1) აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისას წარმოქმნილი სირთულეები, გარკვეული ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. აფხაზეთის დელეგაციის მოთხოვნა: დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნისა და საქართველოსთან თანასწორუფლებიანი მეზობლური ურთიერთობის დამყარების შესახებ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეას ეწინააღმდეგებოდა და ქართული ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის რეალურ საფრთხეს, ან უკიდურეს შემთხვევაში მძიმე კომფლიქტური დაპირისპირების გარდუვალ საფუძველს ქმნიდა. 2) არსებული პოლიტიკური სიტუაციის ობიექტურად შეფასებიდან გამომდინარე, ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ, აფხაზურ მხარესთან კომპრომისული გზის არჩევით – სწორი ნაბიჯი გადადგა. საქართველოს დაქვემდებარში აფხაზეთისათვის შინაგანი ავტონომიის ოფიციალურად აღიარება, პირველ რიგში აფხაზური სეპარატიზმის შეჩერებას ითვალისწინებდა. 3) ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაში სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობის ფაქტორის გამოყენება, სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ამ „მექანიზმის" ამუშავებამ აფხაზური მხარე კომპრომისულ გზამდე მიიყვანა. საკონსტიტუციო კომისიის მიერ ავტონომიური აფხაზეთის მართვა-გამგეობის „დროებითი დებულების" შემუშავება საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას არ ნიშნავდა, რადგან „დროებითობიდან" გამომდინარე, ავტონომიური აფხაზეთის უფლება-მოვალეობის სავარაუდო გეგმას წარმოადგენდა. იმავდროულად, იგი აფხაზეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის იმ ეტაპზე განმუხტვის მხოლოდ საშუალებად იქნა გამოყენებული. რაც შეეხება აფხაზეთის მომავალ ავტონომიას, საქართველოს 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით, სადაც სოხუმის ოლქის ცნება გამოკვეთილადაა დაფიქსირებული, ტერიტორიის შემოფარგვლით, საოლქო უფლებების ჩარჩოში უნდა მოქცეულიყო.

§8. „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ერთიანი უნიტარული სახელმწიფოსათვის მტკიცე ბალავარის შექმნისა და მისი ინტერესების სრულად გათვალისწინებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას „სამუსლიმანო საქართველოს“ საკითხის მოწესრიგება იძენდა. ეს ფაქტორი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. მათი ყოველი გადაწყვეტილება დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგზე იყო დამყარებული. იმავდროულად აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის თითქმის ყველა ნიუანსის გათვალისწინების მცდელობას წარმოადგენდა. თუკი რაიმე შეცდომას ჰქონდა ადგილი, სუბიექტური მიზეზებიდან არ გამომდინარეობდა. იგი იმ დაპირისპირებიდან იღებდა სათავეს, რომელიც ბათუმის ოლქში თურქეთის, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოებას, მათ შორის პირველობის მოპოვებას რომ ისახავდა მიზნად. ყოველივე ეს ქართველთა ეროვნული ინტერესების იგნორირების საფუძველზე ხდებოდა, თითქოს საქართველო, როგორც სუბიექტი არ არსებობდა. ბუნებრივია, აღნიშნულ სახელმწიფოებთან ჭიდილში რთულდებოდა, ხშირად შეუძლებელიც კი იყო იმ პირველადი საკითხების მოწესრიგება, რომლებიც „სამუსლიმანო საქართველოს“ ეხებოდა და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა. სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ რთულ პროცესებს ტენდენციურად აშუქებდა, ყურადღების მიღმა ტოვებდა იმ სირთულეებს, რომელიც პრობლემის მოწესრიგებას წინ ეღობებოდა და მეხთატეხა მმართველი პოლიტიკური პარტიის – სოციალ-დემოკრატიის მიმართ გადაჰქონდა.

„სამუსლიმანო საქართველოსთან“ მიმართებაში მაშინდელი საქართველოს ხელისუფალთა ნამოქმედარის ობიექტურად შეფასების მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს, პირველ რიგში გათვალისწინებული იქნას რეგიონში მოქმედი ანტიქართული ძალების: თურქეთის, ინგლის-დენიკინისა და გასაბჭოებული რუსეთის წარმომადგენელთა ფარული საქმიანობა. ხელსაყრელი სიტუაციის შემყურე სომხეთისა და აზერბაიჯანის აგენტების აქტიური მოქმედება. ეს უკანასკნელნი საქართველოს ხარჯზე მსუყე თუ არა „მცირედი ლუკმის დათრევის“ მცდელობაში იყვნენ. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ქართულ „სახელმწიფოებრივ სხეულში“ უცხო სახელმწიფოთა ხელის ფათური საფეხურებრივად მიმდინარეობდა და ეტაპობრივ ხასიათს ატარებდა. ამ დამანგრეველი ძალის პირველადი დარტყმა ბრესტის საზავო ხელშეკრულებიდან (1918 წლის 3 მარტი) იღებს სათავეს, რომელმაც თურქეთის სახელმწიფო საზღვარი 1877-1878 წლების ომამდელ მდგომარეობაში აღადგინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ „სამუსლიმანო საქართვე-

ლო“ თურქეთის პროტექტორატის ქვეშ „სამართლებრივი“ ძალით მიემ
ამ ფაქტორმა, თურქეთის ხელისუფლებას გზა გაუხსნა, იარაღის გამოყენებით
დაეკავებინა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები მდინარე ჩოლოქამ-
დე. როგორც ცნობილია, აღნიშნულ ღონისძიებას დაპყრობილ
ტერიტორიებიდან მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი კაცის გახიზვნა
მოჰყვა, ხოლო ბათუმის მოსახლეობა 34700 კაციდან 15300-მდე შემცირდა.[185]
ასეთ სიტუაციაში, თურქეთის ხელისუფლებამ ბათუმში პლებისციტის
ჩატარება გადაწყვიტა და შეიქმნა სპეციალური კომისია: ე.ა.პორაიკოშიცი
(თავმჯდომარე), მაჰმედ-ბეი ეფენდიევი, კ.ა.კრასნიცკი, ვოლფენზონი, იოსებ
ნაკაშიძე, რელიგიონი, სულეიმან-ბეი, სადჯაკ-ბეიზადე, ი.ი.კალფოღლი.
გრ.გიგინეიშვილის მოთხოვნას, ხმის მიცემის დახურულად ჩატარების შესახებ,
უარი ერთქვა და უპირატესობა პროცედურის ღია წესით წარმართვას მიენ-
იჭა.[186] ეს გადაწყვეტილება თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამით
მას მიმდინარე პროცესების სრული გაკონტროლების შესაძლებლობა ეძლეოდა.
ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთმა „ერთობამ“ გამოაქვეყნა ს.ირემაძის
საყურადღებო წერილი „ოსმალეთის რეფერენდუმი“. მასში დასმულია საკითხი
რეფერენდუმის სამართლებრივი წესით ჩატარებისა და მოსახლეობის ნების
სრულად გამოვლენის შესაძლებლობის შესახებ. ამის ერთ-ერთ პირობად იგი
ოსმალეთის ჯარისაგან ბათუმის ოლქის გაწმენდას მიიჩნევდა. ამ მოთხოვნის
მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით, მკითხველს რეფერენდუმის იმ წინა
სამზადისზე მიუთითებდა, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებამ „სამუსლიმ-
ანო საქართველოში“ განახორციელა და საქართველოს ორიენტაციის აქტიუ-
რი მომხრეების „ოსმალეთის კატორღაში“ გადასახლებით დასრულდა. აღნ-
იშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, იმავე წერილში კატეგორიული
ტონითაა ნათქვამი: „ბათუმის ოლქის მაჰმადიანების, როგორც ერთი წევრთ-
აგანი, ასეთი „რეფერენდუმის“ გამო პროტესტს ვაცხადებ, ვინაიდან ის რეფერ-
ენდუმი, რომელსაც ახდენს ოსმალეთი, უკანონო არის და ჩვენ მოვითხოვთ თავ-
ისუფლად რეფერენდუმის ჩატარებას.“[187] ასეთი სახის პროტესტი და რეფერ-
ენდუმის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით ჩატარების
მოთხოვნა – ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო, რადგან
პლებისციტი ამ შემთხვევაში მისთვის წამგებიანი აღმოჩნდებოდა. ამიტომ
ხელსაყრელ სიტუაციას იგი ხელოვნურად ქმნიდა, რაც ადგილობრივ
მოსახლეობაზე ძალდატანებითი მეთოდის გამოყენებაში ვლინდებოდა. საერ-
თაშორისო დამკვირვებლების მოუწვევლობის გამო, დარღვევების აღკვეთა
შეუძლებელი ხდებოდა. აღნიშნულთან ერთად მკვიდრი მოსახლეობის დიდ
ნაწილისაგან ბათუმის ოლქის იძულებით დატოვების ფაქტსაც თუ
გავითვალისწინებთ, 1918 წლის 14 ივლისს ბათუმში ჩატარებული რეფერენდუმი
არაკანონიერ ხასიათს ატარებდა. უარყოფითი შედეგების მიუხედავად (თურ-
ქულმა ორიენტაციამ 2668 ხმა მიიღო, ხოლო ქართულმა 160), ზემოთ აღნიშნული

მიზეზებიდან გამომდინარე, „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობის ნების გამომხატველად არ შეიძლება ჩაითვალოს. თურქეთის ხელისუფალთა ყოველგვარი მცდელობა, „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობის უმრავლესობა მისი ზეგავლენისათვის დაექვემდებარებინა -- მარცხით დამთავრდა. ამ პროცესის დაჩქარებას, შეუპოვარ წინააღმდეგობასთან ერთად მუდროსის 1918 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებამაც შეუწყო ხელი. რამდენადაც კავკასია, ინგლისის გავლენის სფეროში მოექცა, თურქეთი იძულებული გახდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარი გაეყვანა და ასპარეზი ინგლისელებისათვის დაეთმო.

დედასამშობლოს მოწყვეტილი „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობა ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდა, იგი თურქული ძალდატანებითი პოლიტიკის ინგლისურით შეცვლით იყო განპირობებული. ინგლისელთა ძირითად მიზანს რუსეთის იმპერიის აღდგენა და მის შემადგენლობაში კავკასიის რეგიონის შენარჩუნება წარმოადგენდა. ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკური კურსის მატარებელი სახელმწიფო საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესებს არ დაიცავდა. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებას, თითქოს „საქართველოს მთავრობა ვერ გაერკვა ეპოქის საიდუმლოებაში“, ბრიტანეთის ამოცანების თანხვედრი პოლიტიკა ვერ აწარმოა და „ვერ აღმოჩნდა ინგლისის პოლიტიკური პარტნიორი.“[188] თუკი საკითხს ამ კუთხით დავაყენებთ, აუცილებლობა მოითხოვს პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: 1) ინგლისის ინტერესების სფეროში შედიოდა თუ არა ერთიანი დამოკიდებელი საქართველოს არსებობის საჭიროება და მასთან ურთიერთობის რა პოლიტიკურ კურსს ანიჭებდა უპირატესობას. 2) რუსეთის იმპერიის აღდგენის შემთხვევაში რა უფლებები მიეცემოდა ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს, შეინარჩუნებდა თუ არა იგი დამოუკიდებლობის სტატუსს. რაც შეეხება პირველ კითხვას, ამასთან დაკავშირებით აუცილებლობას წარმოადგენს განზოგადებული იქნას ის მასალები, რომლებიც ბათუმის ოლქთან მიმართებაში ინგლისის ხელისუფალთა დამოკიდებულებას ასახავს. მისი შესწავლიდან დგინდება, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედების ძირითად დასაყრდენ ძალად ინგლისელებმა რუსული ეროვნული საბჭო და მისი ლიდერი პ.მასლოვი გაიხადეს. ეს შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. იგი ინგლისის მისიის წარმომადგენლებისა და მასლოვის შეხედულებათა იდენტურობიდან გამომდინარეობდა. კონკრეტულად, თუ რა მიზნები ამოძრავებდა პ.მასლოვს, ეს კარგად ჩანს კაპიტან უებსტერთან გამართული საუბრიდან, სადაც მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ ვთვლით ბათუმსა და მთელ ამიერკავკასიას რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად“. რაც შეეხება თვით უებსტერს, ამიერკავკასიის რეგიონზე პ.მასლოვის ეს პოზიცია მიზანშეწონილად მიაჩნდა. „ჩემს თვალში, – აცხადებდა უებსტერი, – ამიერკავკასიასა და ბათუმზე თქვენი უფლება უდავოა... მე თქვენი მოკავშირე

ვარ მაგრამ არაა საჭირო, რომ ამის შესახებ იცოდნენ, რათა ჩემს მიკერძოებაში არ შეიტანონ ეჭვი. მე ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა თქვენმა სამართლიანმა თვალსაზრისმა იდღესასწაულოს."[189] ეს იმის დამიდასტურებელია, რომ ინგლისის წარმომადგენლობას რუსული ორიენტაციისა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების გეგმა წინასწარვე ჰქონდა გათვლილი. რაც შეეხება მასლოველთა „სამართლიანი კურსის დღესასწაულს", ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის გენერალ-მაიორ კუკ-კოლისის პრაქტიკული საქმიანობით დაიწყო. მისი განკარგულებით, უარი ეთქვა ბათუმის ოლქში დემოკრატიულ საწყისებზე არჩევნების ჩატარების ქართველთა სამართლიან მოთხოვნას. სანაცვლოდ შეიქმნა ინგლისურ-რუსული პოლიტიკის გამტარებელი საბჭო (ადგილები შემდეგნაირად გაანაწილეს: რუსებს – 19, სომხებს- 13, ქართველებს – 11), ქალაქის თავად დენიკინელი გენერალი გოლიცინი აარჩევინა, ხოლო განათლების სფეროს კურირება ზაჩინიავს გადასცა. „რომელიც მზათაა, - წერდა გაზეთი „ერთობა", - ცოცხლად შესჭამოს ყოველი ქართველი."[190] რაც შეეხება რეგიონის ადმინისტრაციას, იგი ანტიქართული განწყობილების მქონე პიროვნებებიდან იქნა დაკომპლექტებული და ინგლისელთა ხელშეწყობით მოხალისეთა სარდლობის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად მასლოვ-ანისიმოვის ინიციატივითა და დაფინანსებით შექმნილი „მუსლიმანთა კომიტეტი" გამოდგება, რომელსაც სათავეში ფორმალურად ალიეფენდი ჯაფარიძე ჩაუყენეს. შეეხო რა აღნიშნულ საკითხს, გაზეთმა „ერთობამ" რუბრიკაში „სამუსლიმანო საქართველოში", გამოაქვეყნა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოდან" ამოკრებილი ამონაწერები, სადაც დაწვრილებითაა საუბარი პ.მასლოვის მიერ ქართველ მუსლიმანთა ინტერესების საწინააღმდეგოდ ალი-ჯაფარიძის გამოყენების ფაქტებზე, „მუსლიმანთა კომიტეტის" მიზნებზე და ამოცანებზე, თურქულენოვანი გაზეთის „სედაი მილეთის" ანტიქართულ საქმიანობაზე. „ეს გაზეთი, - წერდა „ერთობა", - დაარსებულია დენიკინელთა მიზნებისათვის და ამ მიზნებს დღემდე... დიდის გულმოდგინებით ემსახურებიან „სედაი მილეთის" კალმოსნები... რას წარმოადგენს „სედაი მილეთის" პროგრამა? რატომ ერთ გარკვეულ აზრს არ ადგიათ? რა არის მიზეზი, რომ ნაწილი ოსმალეთისაკენ იცქირება და ნაწილი დენიკინისაკენ?" - კითხულობს გაზეთი და იქვე დასძენს: „თუმცა მათთვის ერთიც და მეორეც ხელსაყრელია იმიტომ... რომ არა აქვთ ადგილი თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში. ამიტომაც მიმართავენ ყოველივე პროვოკაციას საქართველოს წინააღმდეგ."[191] აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ინგლისისა და მოხალისეთა არმიის წარმომადგენლები დასახული მიზნის განსახორციელებლად ანტიქართულ საქმეს გაორგულებულ მუსლიმან ქართველებს აკეთებინებდნენ. ხშირად ძალდატანებითი მეთოდის უმკაცრეს ფორმასაც კი მიმართავდნენ. ყოველივე ეს ხელისუფლების უმაღლეს

წარმომადგენლობის თვალწინ ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით ჰაიდარ აბაშიძე პუბლიკაციაში „ხმა სამუსლიმანო საქართველოდან“ დაწვრილებით აშუქებდა ბათუმის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობისადმი დენიკინელთა ემკაცრეს დამოკიდებულებას და გულისტკივილით დასძენდა: „ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ერთი გარემოება: ნუთუ ამას ყოველივეს ვერ ხედავს დიდი ბრიტანეთის შვილი ბატონი კუკ-კოლისი?! ნუთუ ეს არ სმენია მოკავშირეთა უმაღლეს წარმომადგენელს საქართველოს შვილთაგან ღრმად პატივცემულ ბატონ უორდროპს?! დენიკინის აგენტები... ქართველი მუსლიმანების თვალში დიდი ბრიტანეთის სახელს ამცირებენ, რადგან ისინი მოქმედებენ ინგლისის სახელით.“[192] ყოველივე ეს საქართველოში აკრედიტებულ ინგლისის წარმომადგენლობას შესანიშნავად ესმოდა და გაცნობიერებულიც ჰქონლდა. იგი აკეთებდა მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც ინგლისის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ინტერესებს შეესაბამებოდა. შემთხვევითობას არ შეიძლება მიეწეროს გენერალ კუკ-კოლისის მიერ მდინარე ჩოლოქზე 1920 წლის ივლისში ქართული ჯარის წინააღმდეგ მოწყობილი ინციდენტი და მისივე დახმარებით, ქესკენ-ზადესა და ბიბინ-ზადეს მიერ ხულოზე განხორციელებული თავდასხმა. იმ შემთხვევაში, თუკი ყოველივე ეს ინგლისის ამიერკავკასიულ პოლიტიკაში არ თავსდებოდა, გენერალი კუკ-კოლისი სანიმუშოდ უნდა დაესაჯათ. მაგრამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უბრალო რეაგირებაც კი არ გაუკეთებიათ.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ მეორე კითხვას: 2) რუსეთის იმპერიის აღდგენის შემთხვევაში რა უფლებები მიეცემოდა ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს, შეინარჩუნებდა თუ არა იგი დამოუკიდებლობას, ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ: მართალია, ინგლისი ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს აღდგენილი რუსეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა, მაგრამ არ აკონკრეტებდა მის მომავალ სტატუსს. ამ მხრივ გაბედული ნაბიჯი დენიკინსა და კოლჩაკს ეკუთვნის. ერთიცა და მეორეც მათივე პროგრამის მიხედვით ძველი რუსეთის საზღვრებში მოქცეულ არარუს ერებს – განაპირა მხარეებს ავტონომიურ უფლებებს აძლევდა, ხოლო მის საბოლოო გადაწყვეტას და სამართლებრივად დაკანონებას დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. ამ საკითხს უფრო ვრცლად შეეხო კოლჩაკის ოფიციალური წარმომადგენელი საზონოვი, რომელმაც ამერიკული გაზეთის „ასოციეტედ-პრეს“-ის კორესპოდენტთან საუბრისას კოლჩაკის აღნიშნული პროექტის არსებობა დაადასტურა. მისი განცხადებით, რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ერებს შესაძლებლობა მიეცემოდა თავისი ადათისა და ტრადიციისამებრ მოეწყოთ ცხოვრება, ჰქონოდათ საკუთარი ენა და სარწმუნოება, „მაგრამ თვითმმართველობა, - დასძენდა საზანოვი, - არ უნდა დაეტყოს სახელმწიფოს, როგორც მთლიან ერთეულს. ერთიანობისა და სუვერენიტეტის ავტონომიური წყობილების არსი ადგილობრივი

თვითმმართველობა, ადგილობრივი საკანონმდებლო კრება, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული. ოლქები დაყოფილი იქნება ერთნოგრაფიული სხვადასხვაობისდა მიხედვით და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები კონტროლს გაუწევენ ოლქების გასვლასა და შემოსვლას. ადგილობრივი მმართველობის ხელში იქნება აგრეთვე ადგილობრივი სასამართლო."[193] როგორც ვხედავთ, აქ განაპირა მხარეებისთვის კულტურული ავტონომიის უფლებებზეა საუბარი. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „ერთობამ" მოწინავე წერილში „რას გვიწყალობენ" თავისი პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირა: „ეს წყალობა კოლჩაკს ისე დიდათ მიაჩნია, რომ დარწმუნებულია, ამის გაგონებაზე ეს „სხვადასხვა ერები" სიხარულით ფეხზე ვეღარ დადგებიან და მაშინვე მადლობით თანხმობას გამოუცხადებენ თავის გამბედნიერებელ ადმირალს."[194] როგორც ვხედავთ, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ კოლჩაკისეული ავტონომიის იდეას უარყოფითი შეფასება მისცა და იგი მიუღებლად მიიჩნია. ამით ფაქტობრივად მმართველი პარტიის პოზიცია ოფიციალურად დააფიქსირა. აქედან გამომდინარე ხელმძღვანელობდა საქართველოს ხელისუფლება, როცა ინგლისთან „პოლიტიკურ პარტნიორობას" თავს არიდებდა. მის ლიდერებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ აღნიშნული მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და იგი საქართველოს დამოუკიდებლობას რეალური საფრთხით ემუქრებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ბათუმის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ქართული მხარე სწორად აფასებდა და ინგლისის პოლიტიკური კურსი ქართული ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე - მიუღებლად მიაჩნდა. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ბათუმის გარშემო" გარკვევით მიუთითებდა ინგლისის პოლიტიკის ცვალებადობაზე, მის რყევაზე. „ეს პოლიტიკა, - წერდა გაზეთი, - არსებითად მიმართული იყო საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ ვერავინ დააკმაყოფილა - ვერც დენიკინელთა გული მოიგო და მით უფრო საქართველო აიმხედრა... დროა ამ რყევას ბოლო მოეღოს... ლოიდ ჯორჯმა მკაფიოდ გამოთქვა, რომ... დაგვრჩა ერთადერთი გზა... საქართველოს სუვერენულ უფლებათა აღიარება და მისთვის სამაჰმადიანო საქართველოს დაბრუნება."[195]

როგორც ვხედავთ, ინგლისის პოლიტიკური წრეები სწორ დასკვნამდე გვიან მივიდნენ. მათი კავკასიური პოლიტიკა ერთიანი რუსეთის იმპერიის აღდგენის მცდელობის ილუზიას შეეწირა. ამ ფონზე თუკი განვიხილავთ ინგლისთან ურთიერთობის საკითხს, მაშინ ქართული მხარის საქმიანობა დადებით შეფასებას იმსახურებს. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას, ინგლისის ანტიქართული პოლიტიკიდან გამომდინარე, „სამუსლიმანო საქართველოს" დანაწილების მიზნით - რუსი ბოლშევიკებისა და ოსმალეთის ნაციონალისტების შეთანხმების ფაქტი იძლევა. ეს პროცედურა ინგლისის

ხელისუფალთა თვალწინ, დაუფარავად მიმდინარეობდა. რამდენადაც ბათუმის ოლქზე საქართველოს ხელისუფლებას კონტროლის უფლება დაკარგული ჰქონდა, აღნიშნული შეთანხმების მონაწილეებისადმი თუნდაც ხელისშემშლელის ფუნქციასაც კი არავინ კისრულობდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთმა „ერთობამ" რამდენიმე პუბლიკაცია გამოაქვეყნა, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: "ბოლშევიზმი და აღმოსავლეთი."[196] „ევროპა თუ აზია ამიერკავკასიაში."[197] „ბათუმი და ბოლშევიზმი."[198] მასში მოტანილი ფაქტებიდან ირკვევა, რომ საბჭოთა რუსეთის ძალისხმევის შედეგად შექმნილ „ლიგა ისლამის განთავისუფლებისა"-ს ოქროს კურსით, ხუთი მილიონი მანეთი გამოუყვეს. მასში გაერთიანებული იყვნენ:. „ოსმალეთის ნაციონალისტები" და „ერთობა და პროგრესის პარტია", რომელიც თავდაპირველად „ახალგაზრდა თურქთა" პარტიად იწოდებოდა და ენვერ-ფაშა ედგა სათავეში. ამ პოლიტიკური ბლოკის შტაბბინა მოსკოვში იყო, ხოლო ამიერკავკასიის რეგიონში საორგანიზაციო პუნქტები ბაქოსა და ბათუმში ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობის" მოწინავე სტატიაში „ბათუმი და ბოლშევიზმი" ვკითხულობთ: „ბათუმი ცენტრია იმ ბლოკისა, რომელიც შეკრულია ბოლშევიზმსა და ახალგაზრდა ოსმალთა პარტიას შორის. ეს ბლოკი დღეს ყველასათვის დასანახი და აშკარაა, მისი არსებობა თავს იჩენს... ამიერკავკასიის მთელს სამხრეთში - ბაქოდან მოყოლებული ბათუმამდის... ბოლშევიზმი მოდის ჩრდილოეთიდან, პან ისლამიზმი სამხრეთიდან და ამ ორ ძალამ უკვე მისცა ერთმანეთს ხელი ბათუმში. ბათუმის შემოერთებას ჩვენთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან ამით ჩვენ გავწყვეტთ იმ რკინის ჯაჭვს, რომელიც ბოლშევიკ პან-ისლამისტებმა შემოარტყეს გარშემო ჩვენს რესპუბლიკას."[199]

როგორც ვხედავთ, აქ ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის ქართველი სოციალ-დემოკრატები სწორად აფასებდნენ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, დროულად მიუთითებდნენ მის კარსმომდგარ საშიშროებაზე და მოსალოდნელი საფრთხის განმუხტვის რეალურ წინადადებებსაც აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი და მისი ხელქვეითნი, მიმდინარე პროცესებს რეაგირების გარეშე ტოვებდნენ, ხოლო ქართველთა მიმართ უმკაცრესი ღონისძიებების გატარებას აგრძელებდნენ. ამის დასტურად გამოდგება ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მრავალიცხოვანი მიტინგის (1920 წლის მარტი) მიერ მიღებული დადგენილება. იგი საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადაეგზავნა და 1920 წლის 19 მარტს საგანგებო სხდომაზე იქნა განხილული. „ბათუმის საოკუპაციო მთავრობა (იგულისხმება ინგლისელები – შ.ვ.), - ვკითხულობთ დოკუმენტში, - განაგრძობს ძველ გზას – ქართველთა დევნას და მათი ინტერესების უდიერად ფეხქვეშ გათელვას. ამ მიზნით ის წინეთ ეყრდნობოდა გენ. დენიკინის მოხელეებს, ამჟამად

კი პანთურქისტებისა და ანარქისტულ-ბოლშევიკური ელემენტების ბლოკს."[200]

ჩვენს მიერ მოტანილი ეს ფაქტები იმის დადასტურებაა, რომ 1919 წლის ნოემბრიდან 1920 წლის ივლისამდე, ინგლისის წარმომადგენლობის მიერ პრაქტიკულად განხორციელებული ყველა ღონისძიება ქართული ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენდა და ქართველთა ცნობიერებაში უარყოფითად აღიქმებოდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ მოქმედების ძირითადი ასპარეზი ერთ-ერთი რთული რეგიონი „სამუსლიმანო საქართველო" იყო, რომლის მოსახლეობას დედასამშობლოს ჩამოცილების მიზნით „ყველა მიმართულებით" ექაჩებოდნენ. ასეთ უმძიმეს პირობებში ძნელი იყო შავისა და თეთრის გარჩევა. აქ გადამწვეტი სიტყვა ეროვნულ პრიმატს უნდა შეესრულებინა. გენეტიკურმა ფაქტორმა და ქართული სისხლის ყივილმა, სარწმუნოებას სძლია და მუსლიმან ქართველთა ორიენტაცია საქართველოსაკენ შემოაბრუნა. ადგილობრივი ეროვნული მოღვაწეთა მხარდაჭერიდან გამომდინარე, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმაც შეიტანა. ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას ჩვენს ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტები იძლევა. მასში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც „სამუსლიმანო საქართველოს" მოსახლეობის მიმართ ეტაპობრივად ხორციელდებოდა. ამ თვალსაზრისით პირველი ქმედითი ნაბიჯი 1917 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში გადაიდგა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, რომლის საფუძველზედაც „სამაჰმადიანო საქართველოს სექცია" დაარსდა.[201] მის თავმჯდომარედ აკ.ჩხენკელი იქნა არჩეული, მოადგილედ მ.აბაშიძე, მდივნად დ.ცერცვაძე, საქმეთა მმართველად პ.საყვარელიძე. იმავე სხდომის დადგენილებით, სექციის სამუშაო გეგმის შედგენა ივანე გომართელს დაევალა. აღნიშნული ორგანოს გადაუდებელ ამოცანას „სამუსლიმანო საქართველოს" საკითხებთან დაკავშირებით ყოველგვარი სახის ინფორმაციის შეკრება და მასზე დაყრდნობით, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს სექციის 13 დეკემბრის სხდომა იქცევს, რომელმაც „სამუსლიმანო საქართველოში" პრაქტიკული მოქმედებისა და მისი პოლიტიკური სახის გარკვევის შესახებ სპეციალურად იმსჯელა. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, მ.აბაშიძეს „სამუსლიმანო საქართველოს" კანტონალური წესით მოწყობის საკითხი დაუყენებია. მისი აზრით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მუსლიმან ქართველებში, ქრისტიანი ქართველებისაგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არსებულ ჭორებს გაფანტავდა. იმავდროულად ეროვნული საბჭოსაგან ისეთი ღონისძიების გატარებას მოითხოვდა, რომელიც გააძლიერებდა „ეროვნულ შეგნებას ყველა ქართველ მაჰმადიანში."[202] მართალია, მ.აბაშიძის ორივე წინადადება ანგარიშგასაწევი იყო და მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციასაც შეესაბამებოდა, მაგრამ სხდომის მონაწილეთა შორის კამათი მხოლოდ აღნიშნული რეგიონის მოწყობის ფორმამ გამოიწვია. გ.გვაზავასა და გ.ვეშაპელის

აზრით, კანტონალური სისტემის შემოღება საქართველოს ერთიანობას დაარღვევდა. აქედან გამომდინარე, „სამუსლიმანო საქართველოსათვის“ თვითმმართველობის უფლებების მინიჭებას მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად. ამ წინადადებას სხდომის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი და მიღებულ დადგენილებაში გარკვევით იქნა გაცხადებული: „ეროვნულმა საბჭომ გამოსცეს სამაჰმადიანო საქართველოსათვის სპეციალური მოწოდება თვითმმართველობის შესახებ მთლიანი საქართველოს ფარგლებში.“[203] დოკუმენტის შედგენა ივანე გომართელს, პავლე საყვარელიძეს, მემედ აბაშიძესა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალა. მართალია, „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსაწყობად უპირატესობა თვითმმართველობის ფორმას მიეცა, მაგრამ იმ ეტაპზე ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედების ჩარჩო. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, მისი სფეროების განსაზღვრა და ალტერნატიული წინადადებების შემუშავება აზრთა ჭიდილში ხდებოდა. ამის შესანიშნავ ნიმუშს სექციის 15 დეკემბრის სხდომაზე „სამუსლიმანო საქართველოში“ სწავლა-განათლების საკითხთან დაკავშირებით გამართული დისკუსია წარმოადგენს. იგივე საკითხი იქნა დასმული ეროვნული საბჭოს 1917 წლის 17 დეკემბრის სხდომაზედაც. მიღებული დადგენილების თანახმად, იმ რაიონებში, სადაც ქართველი მაჰმადიანების სასაუბრო ენას ქართული წარმოადგენდა, საგნების სწავლება სკოლებში ქართულად უნდა ყოფილიყო, ხოლო თურქული – სავალდებულო საგნად. იქ სადაც ქართული არ იცოდნენ, სწავლება თურქულ ენაზე უნდა მომხდარიყო, ქართული კი სავალდებულო საგნად დარჩენილიყო.[204] ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, იგი ყოველგვარი იძულების ფორმას გამორიცხავდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის რეალურ და კომპრომისულ გზას ემყარებოდა, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებიდან გამომდინარე – დროის მოთხოვნას პასუხობდა. ამ პოზიციიდან თუკი განვიხილავთ აღნიშნული პრობლემისადმი მიმართებაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულებას, მათი ნაბიჯი მოზომილ ხასიათს ატარებდა. მხედველობაში გვაქვს იმავე საბჭოს სხდომაზე აკ.ჩხენკელის მოხსენება - „სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ“. იგი კონკრეტულად რეგიონის პოლიტიკურ მხარეს შეეხო და დასვა საკითხი – პროპაგანდისტული მუშაობისას აქცენტი მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოს“ შინაურ საქმეებში საკუთარი თვითმმართველობის მინიჭების საკითხებზე გაეკეთებინათ.[205]

პრობლემის ფართო საზოგადოებაში გატანა და მის შესახებ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შექმნა, აუცილებლობიდან იყო განპირობებული. მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ კონკრეტულად არ იყო განსაზღვრული, თუ რა იგულისხმებოდა ამ შემთხვევაში თვითმმართველობის ცნებაში და მისი პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში რა სახეს მიიღებდა იგი. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ნაწილობრივ მცდელობას „სახელმწიფოებრივი ტერიტორიის“ შესახებ პ.საყვარელიძის მიერ 1918 წელს მომზადებული დებულება წარმოადგენდა. აქ

პირველად იქნა ნახმარი სიტყვა ავტონომია. ამ დოკუმენტის მიხედვით, ავტონომიური „სამუსლიმანო საქართველოს“ შემადგენლობაში საქართველოს მხოლოდ ის რეგიონები იყო დასახელებული, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს მუსლიმანი ქართველები წარმოადგენდნენ. „ყოველი სამცხე-საათაბაგო, ახალციხე და ახალქალაქის მაზრა (მესხეთი და ჯავახეთი), არტაანის ოლქი (კოლა-არტაანი), ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა.“[206] მართალია, აღნიშნული პროექტი საკონსტიტუციო კომისიას წარედგინა, მაგრამ ეს საკითხის გადაწყვეტას სრულებითაც არ ნიშნავდა, იგი მხოლოდ ეტაპობრივ განხილვას ექვემდებარებოდა. შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია, რომლის შესახებაც ზემოთაც გვქონდა მითითებული, პრობლემის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებდა. მითუმეტეს, ბათუმის ოლქის ოკუპაციის შემდეგ, რეგიონში მტკიცედ დამკვიდრების მიზნით თურქეთის ხელისუფლება „სამუსლიმანო საქართველოს“ ოსმალეთის შემადგენლობაში ავტონომიის მიცემას შეპირდა.[207] ამ ფაქტმა „სამუსლიმანო საქართველოს“ მოწინავე წრეებში სასტიკი გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია. „ჩვენს ხალხს, - წერდა გაზეთ „ერთობაში“ ჰ.აბაშიძე, - ოსმალეთის ავტონომია არ ესაჭიროება... ჩვენ ვართ გურჯები-ქართველები და შევადგენთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს... ჩვენი მომავალი.... გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედეულებაში.“[208]

ასეთი პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირება, თურქოფილური ძალებისადმი დაპირისპირებას წარმოადგენდა. აუცილებლობა მისადმი სამთავრობო დონეზე მხარდაჭერას საჭიროებდა და ისეთი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა, რომელიც ბათუმის ოლქის ქართველ პატრიოტებს ხელჩასაჭიდ საშუალებად გამოადგებოდა და მოსახლეობაზე ზემოქმედების გარანტს შექმნიდა. ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებამ გონივრული სვლა გააუკეთა. „ოსმალეთის ავტონომიისადმი“ დაპირსიპირების მიზნით, პარლამენტის 1918 წლის 25 დეკემბრის დაგენილებით „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომია მიენიჭა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, რესპუბლიკის მთავრობამ „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობისადმი ოფიციალური მიმართვა გააკეთა, რომლის ტექსტი გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. „დამოუკიდებელ და თავსიუფალ საქართველოში, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - ყველა სარწმუნოება თანასწორია, ყველას უფლება აქვს... თავისი სარწმუნოება მტკიცედ დაიცვას... საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა სარწმუნოების მოქალაქენი თანასწორი უფლებით სარგებლობენ... თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყველა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს: სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. თვით მუსულმანი ქართველების წარმომადგენლები

გამოსცემენ კანონებს, რომელთაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ... ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებს, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამაყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას... მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა... მოგანიჭებთ თქვენ სრულ თავისუფლებას. მაშ აირჩიეთ თქვენი განთავისუფლების გზა საქართველოსთან შეერთებისა და მის ფარგლებში ავტონომიური სამუსლიმანო საქართველოს მოგვარებისა."[209] სამთავრობო დონეზე ყველა სარწუმნოების და მისი მიმდევარი მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის ოფიციალურად გამოცხადებას, საქართველოს ფარგლებში რეგიონის მოსახლეობისადმი ავტონომიური უფლებების მიცემას – არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ 1) ქართული ორიენტაციის მქონე ძალების მუშაობა მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირებისას პრინციპული და უფრო ქმედითუნარიანი გახდა. 2) „სამუსლიმანო საქართველოს" მოსახლეობის დიდ ნაწილში არსებული უნდობლობის სინდრომი დაძლეული იქნა, რამაც საქართველოს ხელისუფლებას თურქოფილებსა და ინგლის-დენიკინელებთან იდეოლოგიური ომის მოგების რეალური შესაძლებლობა მისცა. ამ ფაქტორის გამოუყენებლობა და იმ ეტაპზე მისი წინა პლანზე არ წამოწევა დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით იყო განპირობებული ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერის ნ.ჟორდანიას 1919 წლის 11 სექტემბრის მიმართვა იმჟამად თბილისში მყოფი ზემო აჭარის დელეგაციისადმი. მასში კიდევ ერთხელ იყო დაფიქსირებული რესპუბლიკის ფარგლებში „სამუსლიმანო საქართველოს" უფლებების შესახებ. „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – მართვა-გამგეობა დაემყარება ადგილობრივი ხალხის – მუსლიმანების თვითმმართველობის ავტონომიას... შინაურ საქმეებს უძღვება ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეული დაწესებულებანი. უკანასკნელნი განაგებენ სარწმუნოების ყველა საკითხებს შარიათის მიხედვით, ადგილობრივ ადმინისტრაციას, სასამართლოს, მიწის საქმეს და სხვას... ამნაირათ შეერთებული სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველო შეადგენს ერთ მთლიან ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც წინ გაუძღვება ხალხს საუკეთესო მერმისისაკენ."[210]

როგორც ვხედავთ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი მაქსიმალურალდ ითვალისწინებდა ქართველ მუსულმანთა იმ მოთხოვნებს, რომლებიც მათი რელიგიური წეს-ჩვეულებების ხელშეუხებლობასთან იქნებოდა დაკავშირებული. სამთავრობო დონეზე გაცემულ გარანტიებს პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა არა მარტო ზემო აჭარის მუსლიმანი ქართული მოსახლეობის მიმხრობის, არამედ ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ქართული ორიენტაციისაკენ შემობრუნების თვალსაზრისითაც. მხედველობაში გვაქვს ორი ურთიერთდაპირსიპირებული პოლიტიკური მიმდინარეობის „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტე-

ტის“ და „სედაი მილეთის“ მუსლიმანთა საბჭოს ძალთა კონსოლიდაციის ფაქტი, რომელიც 1920 წლის 29 თებერვლის ერთობლივ სხდომაზე გაფორმდა. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „სამუსლიმანო საქართველო უნდა შევიდეს დედასამშობლო საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიურ საფუძველზე. ამ მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად, ზემოხსენებული კომიტეტები უნდა შეერთდნენ... და აირჩიოს ექვს-ექვსი პირი განსაკუთრებული კომისიის წევრებად. ამ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს საერთო მოქმედებისათვის გეგმა.“[211] დოკუმენტს ხელს აწერდნენ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე, და „სედაი მილეთის“ საბჭოს თავმჯდომიარე ალი ჰაიდარ ჯაფარიძე. ეს ის პიროვნებაა, რომელიც პრორუსული ორიენტაციის მომხრეთა შორის წამყვან ფიგურას წარმოადგენდა, პ.მასლოვის მხარდამხარ იღწვოდა და როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით – დენიკინელთა საქმეს აკეთებდა. ასეთი პიროვნების გადმობირება და მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება, მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების დიდი დამსახურებაც იყო.[212] „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის საკითხის წინა პლანზე წამოწევის მიუხედავად, იგი საკითხის დაყენების დონეს არ გაცდენია. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ მომავალი ავტონომიური ერთეულის უფლებების შესახებ, რეგიონისა და ცენტრის შეთანხმებული კონკრეტული პროგრამა არ არსებობდა. ამის დადასტურებას ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობის რეზოლუცია წარმოადგენს. მის მეოთხე პუნქტში მხოლოდ „სამუსლიმანო საქართველოსათვის“ ფართო ავტონომიის მიცემის საკითხი იყო დასმული.[213] შედარებით უფრო გამოკვეთილი პოზიციაა დაფიქსირებული „სამუსლიმანო საქართველოს“ წარმომადგენელთა 1919 წლის პირველი სექტემბრის ყრილობის დადგენილებაში. ეს დოკუმენტი ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იძენს იმ თვალსაზრისით, რომ ავტონომიური „სამუსლიმანო საქართველოს“ კომპეტენციის განსაზღვრის პირველ მცდელობას წარმოადგენს. მეორე მხრივ, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საკითხთან მიმართებაში რეგიონის პოლიტიკურ მოღვაწეთა მსოფლმხედველობაზე. თუ როგორ მოიაზრებდნენ „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიას, ამის შესახებ გარკვეულ წარმოადგენას ზემოთ დასახელებული დოკუმენტი იძლევა, რომლის ძირითადი დებულებები პუნქტობრივად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) დემოკრატიული საქართველოს ფარგლებში „სამუსლიმანო საქართველოს“ საკანონმდებლო პარლამენტი ანუ „მეჯლისი“ და ავტონომიური მთავრობა უნდა ჰყოლოდა. მის დაქვემდებარებაში შევიდოდა: სარწმუნოება, სასამართლო, ადმინისტრაცია, განათლება, სამეურნეო-სავაჭრო, სამრეწველო და ეკონომიკის სფეროში არსებული სხვა საკითხები. 2) საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური „სამუსლიმანო საქართველოს“ მთავრობებს ერთობლივად უნდა გადაეწყვიტათ: სამხედრო, საფინანსო, ფოსტა-ტელეგრაფის, რკინიგზის და საბაჟოს საკითხები. რაც შეეხება ავტონომიური „სამუსლიმანო საქართვე-

ლოს“ ძირითადი კანონების დამტკიცებას, იგი დამფუძნებელი კრების პრერ-ოგატივად რჩებოდა. 3) ყრილობის მიერ 37 წევრისაგან არჩეულ მეჯლისს უნდა დაქვემდებარებოდა ოლქის მართვა-გამგეობა და დემოკრატიულ საქართველოსთან ზემოთ აღნიშნული უფლებების შენარჩუნებით, „სამუსლიმანო საქართველოს“ შეერთების საკითხის მოწესრიგება.[214]

რამდენადაც ეს მოთხოვნები ფართო ავტონომიის ფორმებში სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნას ითვალისწინებდა, საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას თავი აარიდა და დოკუმენტი განსახილველად საკონსტიტუციო კომისიას გადასცა. რაც შეეხება ავტონომიის აუცილებლობას, „სამუსლიმანო საქართველოსათვის“ იგი ოფიციალურად საქართველოს მთავრობის 1919 წლის 11 სექტემბრის დადგენილებით ერთხელ კიდევ იქნა დადასტურებული. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - მოისმინა რა ბათუმის ოლქის ქართველ მუსულმანთა წარმომადგენლობის ყრილობის მიერ ა.წ. 31 აგსიტოს და პირველი სექტემბერს მიღებული რეზოლუციები, დაადგინა: 1) ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლობის ყრილობის მიერ 1919 წლის აგვისტოს 31 მიღებულ დადგენილება დადასტურებული იქნას. 2) 1919 წლის პირველი სექტემბრის დადგენილება მიღებული იქნას პრინციპიალურად და გადაეცეს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას დაწვრილებითი განხილვისათვის.“[215]

როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ბათუმის ოლქის საქართველოსთან ავტონომიური უფლებებით გაერთიანების შესახებ ურყევი იყო. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა ფერხდებოდა, რადგან იმ ეტაპზე ოლქის განმკარგულებელი ინგლისის ხელისუფლება იყო და მასზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. იმავდროულად, მხედველობაშია მისაღები მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს 1920 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება - ბათუმის ერთა ლიგის მანდატით პორტოფრანკოდ გამოცხადებისა და 27 თებერვლიდან „პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნის მცდელობის ფაქტები. ყოველივე ეს დასახული მიზნის განსახორციელებლად განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიდა. აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში მ.აბაშიძეს, როცა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მიუთითებდა: „ბათუმი და ბათუმის ოლქი, რაც უნდა მოხდეს, რა დიდი მსხვერპლის გაღებაც არ უნდა დაგვჭირდეს... ავტონომიურად უნდა შეუერთდეს დედა სამშობლო საქართველოს, უამისოდ წარმოუდგენელია ჩვენი ხალხის ნორმალური განვითარება.“[216] ამ საკითხის დროულად მოწესრიგების აუცილებლობა, საქართველოს იმქამინდელ ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, მაგრამ, მისგან დამოუკიდებლად, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ეს არ ხეროხდებოდა. ამის შესაძლებლობა მას შემდეგ შეიქმნა, რაც მოკავშირეებმა ბათუმის ოლქი საქართველოს 1920 წლის 7 ივლისს ოფიციალურად გადასცეს. და ქართული ჯარის ნაწილების შეყვანა გახდა

შესაძლებელი. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ანტიქართული საქმიანობიდან გამომდინარე, ინგლისელებმა რეგიონში მძიმე პოლიტიკური სიტუაცია დატოვეს. ეს ფაქტი პირველ რიგშია გასათვალისწინებელი, რადგან მისი იგნორირება, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების „სამუსლიმანო საქართველოსადმი" დამოკიდებულების შეფასებში – არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ „სამუსლიმანო საქართველოსათვის" ავტონომიის დაუყოვნებლივი მიცემის საკითხთან მიმართებაში იმ ეტაპზე ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი რომ არსებობდა. მხედველობაში გვაქვს ის მოხსენება, რომლებიც მთავრობის თავმჯდომარეს სხვადასხვა დროს გაუგზავნეს ბათუმისა და მისი ოლქის კომისარმა ბ.ჩხიკვიშვილმა (1920 წლის 26 ივლისი) და დამფუძნებელი კრების წევრმა პ.გელეიშვილმა (1920 წლის 8 ოქტომბერი). არსებული პრობლემის ობიექტურად წარმოჩენის თვალსაზრისით, მათთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს საქართველოს სდმ პარტიის ბათუმის კომიტეტის მიერ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიუროს სახელზე გაგზავნილი (1920 წლის 25 ოქტომბრი) მოხსენება. აღნიშნულ დოკუმენტებში ერთხმადაა მითითებული იმ მძიმე პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, რომელიც იმჟამად ქემალისტების, ბოლშევიკების, დენიკინელების და ვრანგელის მომხრეთა გააქტიურების გამო ბათუმის ოლქში იყო შექმნილი. მათი ამოქმედების ხელშემწყობ ძირითად საფუძვლად ქართული ორიენტაციის მქონე ჯგუფების პოლიტიკური არენიდან გარიყვაა დასახელებული.[217] ადგილობრივი ძალების უგულებელყოფა და მისადმი ზურგშექცევა, ხელისუფლების შეცდომას წარმოადგენდა. ოლქის შემოერთებისთანავე წინა პლანზე ის პიროვნებებიები უნდა წამოეწიათ, რომლებსაც ეროვნულ მოძრაობაში ლომის წილი ედოთ. ეს იქნებოდა გაწეული დამსახურების წარმოჩენის არა მარტო დემონსტრირება, არამედ რეგიონის მოსახლეობაში ცენტრისადმი ნდობისა და მხარდაჭერის შექმნის მტკიცე საფუძველი. დაშვებული შეცდომის ფონზე, ბათუმის ოლქის გუბერნატორის ბ.ჩხიკვიშვილის მიერ „სამუსლიმანო საქართველოს" მეჯლისის დათხოვნისა[218] და მის ნაცვლად ინგლისელებისგან არჩეული საბჭოს მოწვევის საკითხის დაყენება[219] არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას არ პასუხობდა. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, საქართველოს სდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 30 ივლისის სხდომაზე აკ.ჩხენკელი ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ მეჯლისს ძალით ნუ დავითხოვთ... რა სახით დარჩეს, ეს ტაქტიკის საქმეა. მეჯლისმა ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწია. მემედ ბეგი და ბევრი სხვებიც გულრწფელი ხალხია, მხოლოდ საჭიროა მათი გაგება, მათთან უფრო დაახლოება."[220] ამ შემთხვევაში აკ. ჩხენკელის პოზიცია სავსებით სწორი იყო, რადგან მეჯლისის დათხოვნით, ფაქტობრივად იგნორირება უკეთდებოდა ყველა იმ დამსახურებას, რომელიც მეჯლისსა და თვით მემედ აბაშიძეს, ჰაიდარ აბაშიძეს და სხვებს მიუძღვოდათ შეჭირვების ჟამს „სამუსლ-

იმანო საქართველოს“ ქართული ორიენტაციისაკენ შემობრუნების საქმეში. სოციალ-დემოკრატთა რიგებში „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის შენარჩუნების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ურთიერთ-განსხვავებული თვალსაზრისის მიუხედავად, მისმა ლიდერებმა და თვით საქ-ართველოს ხელისუფლებამ, უკიდურესობის გზის უარყოფით და რეგიონის პოლიტიკურ მოღვაწეთა ინტერესების გათვალისწინებით, სწორი ნაბიჯი გადადგეს. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბათუმის ოლქის მოსახლეობის დიდ ნაწილში, ქართული ოროიენტაციის განმტკიცების საკითხი ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა. ამასვე ადასტურებს საქართველოს სდმ პარტიის ბათუმის კომიტეტის 1920 წლის 25 ოქტომბრის რეზოლუციაც. „ვინაიდან ბათუმის ოლქში, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - ჩვენი მუშაობის მთავარ მიზნად ჯერ კიდევ ორიენტაციის განმტკიცებისათვის მუშაობა უნდა ჩაითვალოს... პარტია უნდა ცდილობდეს ოლქში სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან, გარდა კომუნისტებისა – შეთანხმებით მუშაობას და კულტურის განმტკიცებას ქართველ მუსლიმანებში.“[221] ასეთ ვითარებაში ავტონომიის მოთხოვნისადმი ანგარიშის გაწევა და დანაპირების შესრულება საშურ საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა რესპუბლიკის მაშინდელი სინამდვილის გათვალისწინებიდან გამომიდინარე შეუძლებელი ხდებოდა. ეს ფაქტორი „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის წევრებმაც კარგად გააცნობიერეს, რაც იქიდან დასტურდება, რომ საქართ-ველოს მთავრობასთან ერთად, მომენტისათვის შესატყვისი „სამუსლიმანო საქართველოს“ მართვა-გამგეობის დროებითი მოდელი შეიმუშავეს. „არსებულ პირობებში, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - ოლქში შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო მართვა-გამგეობა შეფარდებულ სამხედრო წესებთან.“[222] რაც შეეხება ავტონომიის საკითხს, მის საბოლოო გადაწყვეტას საქართვე-ლოს ხელისუფლება რეგიონში სტაბილური სიტუაციის შექმნას უკავშირებდა. ამასვე მოწმობს „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის წარმომად-გენლებისადმი საქართველოს დამფუძნებელი კრების პასუხი: „მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ, სამოქალაქო მმართველობის მოსაწესრიგებლად დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი იქნება ახლო მომავალში კანონ-პროექტი დემოკრატიული საარჩევნო უფლების ნიადაგზე აგებული ავტონომიური მმართველობის ცხოვრებაში გატარებისა.“[223] ამ დანაპირებს ზურგს უმაგრებდა ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართვე-ლოს კონსტიტუციის პროექტი, რომლის 120-ე მუხლით „სამუსლიმანო საქა-რთველოს“ მართვა-გამგეობა ავტონომიური პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა, ხოლო 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით, „სამუსლიმანო საქართველოს“ (ბათუმის მხარეს) ადგილობრივ საქმეში ავტონომიური მმართველობა ეძლეოდა, რომლის დებულება ცალკე კანონ-ის სახით უნდა შემუშავებულიყო.[224] მომავალი ავტონომიური ერთეულ-ის სახელწოდების ისეთი ფორმის შერჩევაზე ზრუნვა, რომ იგი ერთიანი ქართული სახელმწიფოსაგან განმასხვავებელი ნიშნით არ ყოფილიყო წა-

რმოდგენილი, დამფუძნებელი კრების 1920 წლის პირველი დეკემბრის სხდომაზე, კონსტიტუციის პროექტის განხილვისას ნ.ჟორდანიას მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება – „ერთ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ექნეს მრავალ სახელმწიფოებს“[225] და მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის პრინციპის წინწამოწევის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ავტონომიის ცნებაში, ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პოლიტიკური ელემენტები არ იქნებოდა ჩადებული, იგი მხოლოდ რეგიონის თვითმმართველობის სფეროში გულისხმობდა ავტონომიას.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი მასალების ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ: 1) „სამუსლიმანო საქართველოს“ ჯერ თურქეთის, ხოლო შემდეგ ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მოქცევამ, ქართული ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკური კურსის გატარებამ, რეგიონიდან ეროვნული ძალების განდევნამ და საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის აღკვეთამ, ხელი შეუწყო დენიკინის, ბოლშევიკური რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის აგენტების ანტიქართული საქმიანობის გაღრმავებას. იგი ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთების ხელისშემშლელი ფაქტორთაგანი გახდა. 2) ერთიანი საქართველოს ინტერესების ფონზე „სამუსლიმანო საქართველოს“ საკითხის განხილვამ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები და თვით საქართველოს ხელისუფლება სწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, როცა რეგიონის კანტონალური წესით მოწყობის მიზანშეწონილობა უარყვეს და მის ნაცვლად მხოლოდ საკუთარი თვითმმართველობის უფლების მინიჭების საკითხი დააყენეს. 3) საქართველოს პარლამენტის 1928 წლის 25 დეკემბრის დადგენილება „სამუსლიმანო საქართველოსათვის“ ავტონომიის მინიჭების შესახებ, „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობისადმი საქართველოს მთავრობის ოფიციალური მიმართვა და ზემო აჭარის დელეგაციისადმი თვით ნ.ჟორდანიას მიმართვა, პოლიტიკურ ავტონომიას კი არ გულისხმობდა, არამედ ადგილობრივი მართვა-გამგეობის სფეროში თვითმმართველობის ავტონომიას. იგი ოფიციალურად საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლითაც იქნა დადასტურებული.

§9. ქართული სოციალ-დემოკრატია საქართველოს კონსტიტუციის დანიშნულების შეასახებ

ქართული სახელმწიფოს მოწყობის სოციალ-დემოკრატიისეული მოდელი, რომლის შესახებაც წინა პარაგრაფებში გვქონდა საუბარი, ისეთი სახის იურიდიულ დოკუმენტს საჭიროებდა, არსებულ წყობას სამართლებრივ სახეს რომ მისცემდა. დასახული მიზანი გარკვეული სირთულეების დაძლევას მოითხოვდა, იგი უშუალოდ კონსტიტუციის შემუშავებასა და მის მიღებასთან იყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ჩვენ დაწვრილებით არ შევუდგებით

კონსტიტუციის შექმნის ისტორიის გადმოცემასა და თვით ამ დოკუმენტში მოტანილი დებულებების მუხლობრივად განხილვას, რადგან ეს საპასუხისმგებლო სამუშაო მ.მაცაბერიძის მიერ იქნა შესრულებული.[226] მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეროვნულმა საბჭომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შესაქმნელად" პირველი პრაქტიკული ნაბიჯი 1918 წლის 6 ივნისს გადადგა.[227]

ამ დღიდან მოკიდებული, საკონსტიტუციო საკითხები ჯერ პარლამენტის, ხოლო შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომებზე რეგულარულად იხილებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ასეთი საპასუხისმგებლო იურიდიული დოკუმენტის შესაქმნელად მაშინდელ საქართველოში არავითარი ბაზა არ არსებობდა. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ნ.ჟორდანიას, როცა საქართველოს პარლამენტის სადღესასწაულო სხდომაზე (1918 წლის 1 დეკემბერი) მიუთითებდა: „ჩვენ დავიწყეთ... ცარიელი ადგილიდან, კონსტიტუციის ნორმები თითქმის სრულიად არ არსებობდნენ."[228] აღნიშნულ სირთულეს ისიც ემატებოდა, რომ იმ ეტაპზე კონსტიტუციის შემდგენლებს ქართულ ენაზე შესაბამისი საკონსტიტუციო ტერმინოლოგიაც კი არ გააჩნდათ. ხარვეზის შევსება საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 11 ივნისის სხდომაზე ი.ჩერქეზიშვილს, გ.გვაზავას და პ.საყვარელიძეს მიენდო.[229] ასეთ პირობებში, კონსტიტუციის შექმნა ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელი იყო. ეს გარემოება ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ამის დადასტურებას თვით ნ.ჟორდანიას მოხსენება „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია" წარმოადგენს. კონსტიტუციის აუცილებლობის დასაბუთებასთან ერთად, იგი ყურადღებას სამ ძირითად კითხვაზე ამახვილებდა: 1) რა სოციალურ ბაზას დაყრდნობოდა ახლად შექმნილი კონსტიტუცია. 2) რა მიმართულებით წარმართულიყო მასზე მუშაობა და 3) პრაქტიკულად ამოქმედების შემთხვევაში რა დანიშნულება მიენიჭებოდა მას.

1. ნ.ჟორდანიას აზრით, საქართველოს კონსტიტუცია სამ კლასს: მუშათა, წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულებას უნდა დაფუძნებოდა. რამდენადაც აღნიშნული კლასები მისი მტკიცებით დემოკრატიული იყო, „დემოკრატიული პოლიტიკური დაწესებულებების" შექმნას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, სოციალური საფუძველი მხოლოდ სახელმწიფოებრივი მართვის რესპუბლიკური ფორმისათვის იყო მისაღები.[230] ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნის წინაპირობად აღნიშნული სამი კლასის აღიარება, ხოლო არისტოკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიისადმი იგნორირების გაკეთება, გარკვეულ დასაბუთებას საჭიროებდა, მითუმეტეს, კონსტიტუცია სრულიად საქართველოს მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება დამფუძნებელი კრების 1920 წლის პირველი დეკემბრის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მოხსენებამ მიიქცია. მასში გასაგებადაა ნათქვამი, რომ კონსტიტუცია მუშათა კლასისათვის ის იარაღი უნდა ყოფილიყო, რომელიც შესაძლებლობას მი-

სცემდა არსებული ეკონომიკური საფუძვლის სურვილისამებრ გარდასაქმნელად. იმავდროულად ხელს შეუწყობდა სოციალურ სფეროში ამ კლასის პოლიტიკური კურსის გატარებას. რამდენადაც სოციალური და პოლიტიკური უფლებები, როგორც ნ.ჟორდანია ამბობდა, ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული, იგი აუცილებლად ერის უმრავლესობას უნდა ეცნო. „საქართველოს მუშა ხალხი, – ამბობდა იგი, – აგებს რა თავის კონსტიტუციას აი ამ პრინციპებზე... ის ამ კონსტიტუციის საშუალებით მიდის თავის საბოლოო მიზნისაკენ... დემოკრატიულმა კონსტიტუციამ, როცა ის აწესებს თავის პოლიტიკურ ნორმებს, იქვე უნდა ჩაუყაროს საფუძველი სოციალურ ნორმებსაც.“[231] როცა საკითხი ასეთი ფორმით დაისვა, კონკრეტული პასუხი უნდა გაცემოდა კითხვას, რა იგულისხმებოდა „საბოლოო მიზანში“ და რა სახით უნდა გამოვლენილიყო იგი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე კონსტიტუციის პროექტის განხილვისას რ.არსენიძის პოზიცია. იგი დემოკრატიულ სახელმწიფოს, სოციალისტური წყობილების შექმნის მოსამზადებელ საფეხურად მიიჩნევდა. „როდესაც ჩვენ... ამ ძირითად აზრს გამოვსთქვამთ, – ამბობდა რ.არსენიძე, – ამით უკვე ვაძლევთ არსებით განსხვავებას ჩვენი კონსტიტუციის დედაზრს სხვა ყველა კონსტიტუციის დედააზრისაგან, ვინაიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუცია რესპუბლიკანურ წყობილებას სთვლის... იმ საბოლოო წყობილებად, რომლის იქითაც მას არავითარი სურვილი არა აქვს ნაბიჯის გადადგმისა. ეს არის მისთვის... მიზანი და საბოლოო წესწყობილება. ჩვენთვის ეს არის საშუალება და გამოსავალი... ჩვენ გვაქვს საშუალება შევქმნათ ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის მიზანი არ არის ბურჟუაზიული წყობილების გამაგრება და გამუდმივება, არამედ მისი სოციალისტური წესწყობილებისათვის გარდაქმნა.“[232]

როგორც ვხედავთ, ქართული სოციალ-დემოკრატიის მიზანს, ისეთი კონსტიტუციის შექმნა წარმოადგენდა, „შორეული მომავლისათვის“ ჩაფიქრებული სოციალისტური საზოგადოებისათვისაც რომ იქნებოდა მისაღები. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადასადგმელად პირველ რიგში, როგორც ნ.ჟორდანია ამბობდა, – აუცილებლობას ქვეყნის შინაგანი ძალების განწყობილების სრულყოფილად შესწავლა წარმოადგენდა. მისი გათვალისწინების ფონზე უნდა მომხდარიყო კონსტიტუციისათვის შესატყვისი ფორმის გამოძებნა.

2. აუცილებლობას წარმოადგენს გავარკვიოთ, თუ რა მიმართულებით აპირებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები კონსტიტუციაზე მუშაობის წარმართვას. იგი ეროვნულ საწყისებს დაემყარებოდა თუ არა. ამ პოზიციიდან თუკი განვიხილავთ დასმულ პრობლემას და მასთან მიმართებაში გავითვალისწინებთ ყველა დოკუმენტურ მასალას, დავრწმუნედებით, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ყოველი საქმიანი გადაწყვეტილება, საქართველოს ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა. ამის შესანიშნავ დადასტურებას საკონსტიტუციო კომისიის 1918

წლის 11 ივნისის სხდომის მასალები წარმოადგენს. როცა პრინციპულად დაისვა საკითხი, თუ როგორი ტიპის კონსტიტუცია უნდა შეემუშავებიათ, პ.საყვარელიძემ გარკვევით უპასუხა: „ჩვენ უნდა შევიმუშავოთ დემოკრატიული კონსტიტუცია საქართველოსთვის... იმ შესწორებითა და ცვლილებებით, რომელსაც თხოულობს ადგილობრივი მდგომარეობა და ხალხის ცხოვრება“[233] იმავე საკითხზე ყურადღება ნ.ჟორდანიამაც გაამახვილა. მან გარკვევით მიუთითა, რომ სოციალ-დემოკრატიის ფიქრისა და განსჯის სფეროს წარმოადგენს, თუ „როგორ შევკეროთ ისეთი კონსტიტუციური ტანისამოსი, რომელიც კარგად მოერგება ტანზე არსებულ საზოგადოებრივ სხეულს. ერთი კი უეჭველია, ეს კონსტიტუცია უნდა იყოს რესპუბლიკანური, დემოკრატიული.“[234] აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ისეთი საკანონმდებლო დოკუმენტის შედგენის საკითხს აყენებდნენ, სადაც მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული საქართველოს სპეციფიკა და თვით ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრადიციები. ამასთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე პ.საყვარელიძე ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ მხედველობაში მივიღეთ და ანგარიში გავუწიეთ... ჩვენი ხალხის მდგომარეობას, კულტურას. ჩვენ მასალად გამოვიყენეთ სხვა ქვეყნის კონსტიტუციები, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამი წლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, პრაქტიკას, ტრადიციას. ჩვენ უნდა გვესარგებლა სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით, მაგრამ მთლიანად არც ერთის მიღება არ შეგვეძლო.“[235] ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს აღნიშნული საკითხი შემოქმედებითად ჰქონდათ გააზრებული და ამ იურიდიული დოკუმენტის შექმნისას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იჩენდნენ. მეორე მხრივ, მათ საფიქრალს, საქართველოს სინამდვილის გათვალისწინების ფონზე მისი სრულყოფილი სახით შექმნა წარმოადგენდა. პრობლემისადმი მიდგომის თვალსაზრისით, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ნააზრევში ინდივიდუალიზმი და დამოუკიდებლობის ელემენტები სჭარბობდა. ყოველ შემთხვევაში ამის მიღწევას ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ. ოპონენტთა იმ ჯგუფს, რომლებიც თავიანთი არგუმენტაციის დასასაბუთებლად ამერიკის ანალოგიებს მიმართავდნენ, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე ნ.ჟორდანია შეახსენებდა: „ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია. თუ თქვენ გინდათ ჩვენ ქვეყანას ჩავაცვათ სხვადასხვანაირი ტანისამოსი, ეს ვერ მიუდგება... ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენს ქვეყანას მივცეთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მას ეკადრება და არა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა გვქონდეს, რომელიც შეეფერება ჩვენს ფაქტიურ ძალთა განწყობილებას, იგი უნდა იყოს აგებული ამაზე და არა იმაზე, რაც არის ამერიკაში.“[236] როგორც ვხედავთ, ამა თუ იმ ქვეყნის საკონსტიტუციო მოდელის ბრმად გადმოღება, ფიქრისა და განსჯის გარეშე მისი საქართველოსათვის დაკანონება, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერს მიუღებლად მიაჩნდა. აღნიშნული თვალსაზრისი საქართველოს

მაშინდელი სინამდვილიდან გამომდინარეობდა და ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისათვის მის გათვალისწინებას სავალდებლოდ ხდიდა. ქართველ პოლიტიკოსთა წრეში რამდენადაც ასე პრინციპულად იდგა საკითხი, აუცილებლობას წარმოადგენს პასუხი გაეცეს მესამე კითხვას: 3) ქართველი სოციალ-დემოკრატები თუ როგორ მოიაზრებდნენ და ესმოდათ კონსტიტუციის დანიშნულება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები რამდენადაც „ხალხის ხელმწიფებას", ე.ი. ხალხისადმი უმაღლესი ძალაუფლების მინიჭებას აღიარებდნენ, ამ განზომილების ფონზე განიხილავდნენ კონსტიტუციის დანიშნულებას. რაც შეეხება „ხალხის ხელმწიფებას", ამ ცნებაში ქართველი სოციალ-დემოკრატები შემდეგი სახის შინაარსს დებდნენ: 1) ხალხი პერმანენტულად მატარებელი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საკონსტიტუციო უფლებებისა, 2) მოქალაქეებს კანონ-პროექტის შემუშავებისა და პარლამენტში გატანის შესაძლებლობა და 3) პარლამენტის მიერ მიღებული კანონების რეფერენდუმით დადასტურების მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონოდა. ამ შემთხვევაში ხალხის საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ინიციატივის უფლებები ერთმანეთთან იყო შერწყმული. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ხალხსა და სახელმწიფოს რამდენადაც ერთობლივ კონტექსტში განიხილავდნენ, კონსტიტუციის განსაზღვრას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებდნონ. „ჩვენი კონსტიტუცია, - ამბობდა პ.საყვარელიძე, - სამუდამოდ არ იწერება. შესაძლებელია მომავალმა თაობამ ის არ მოიწონოს, ან შეცდომები დაინახოს და ესა თუ ის მუხლი კონსტიტუციისა შესცვალოს, მაგრამ არის ჩვენს კონსტიტუციაში ერთი მუხლი, რომლის გადასინჯვის, ან შეცვლის უფლება არავის აქვს, ის არის მუდმივი და უცვლელი. ეს მუხლი გახლავთ ფორმა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ჩვენ მივიღეთ ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა."[237]

ეს ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე უმაღლეს ფორმად ქართველ სოციალ-დემოკრატებს დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნდათ. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის დანიშნულებად მისი დაცვის უზრუნველყოფას თვლიდნენ. იმავდროულად დოკუმენტის ამ დონეზე შედგენას ცდილობდნენ, რომ დროის გამოცდისათვის გაეძლო და მომავალ თაობებს მასში ცვლილებების შეტანა ნაკლებად დასჭირვებოდათ. ამ საკითხთან მიმართებაში აკ.ჩხენკელმა თავისი პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირა: „კონსტიტუცია, - ამბობდა იგი, - ემყარება და დაკავშირებულია არსებულ რეალობასთან, მაგრამ კონსტიტუციის შემუშავების დროს არაა საჭირო „რეალობის ყმად" გადაქცევა. კონსტიტუცია არ უნდა იყოს მარტო „სარკე რეალობისა", მან უნდა გამოხატოს არა მარტო ის, რაც არის, არამედ ისიც, რაც უნდა იყოს... კონსტიტუცია როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის იურიდიული ფორმა, მიზნად უნდა ისახავდეს არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც, ე.ი. მასში უნდა იყოს ჩაქსოვილი შესაძლებლობა სოციალური ცხოვრების წინსვლისა და ყოველმხრივი განვითარებისა."[238] ზოგად ფორმებში, მაგრამ

გასაგებადაა ნათქვამი სახელმწიფოს წინაშე კონსტიტუციის დანიშნულების შესახებ. მიუხედავად ამისა, მართვა-გამგეობის სფეროში არსებული სირთულეები საკითხის მეტ სრულყოფას საჭიროებდა. ამ თვალსაზრისით შედარებით გამოკვეთილი პოზიციაა წარმოდგენილი ნ.ჟორდანიას მოხსენებაში. „ძირითადი კითხვა, პრობლემა ყველა კონსტიტუციისა, - ამბობდა იგი, - ერთი და იგივე არის. ეს არის – რამდენად შეიძლება აწყობა ხელისუფლებისა, ე.ი. რამდენად უნდა იმუშაონ სახელმწიფოს ორგანოებმა ისე, რომ ეს ორგანოები ერთი მეორეს ხელს არ უშლიდნენ, ერთი მეორეს ეხმარებოდნენ და საბოლოოდ ამ ორგანოების მუშაობა ჰქონდეს ერთ მთლიან სახელმწიფოს, ე.ი. შრომის დანაწილება ამ ორგანოთა შორის იმავე დროს მათი შეერთება, ეს არის პრობლემა კონსტიტუციისა."[239] ამ შემთხვევაში, ნ.ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა ცენტრისა და ადგილობრივი ორგანოებს შორის ფუნქციათა განაწილების საკითხი, ანუ ცენტრის უფლებების შენარჩუნებით დემოკრატიზმიდან გამომდინარე დეცენტრალიზაცია. ნ.ჟორდანიას აზრით, მისი მოწესრიგება დიდი პოლიტიკური საკითხი იყო და თუ კონსტიტუცია გადაწყვეტდა, ეს იქნებოდა „პირველი მაგალითი მსოფლიოში, რომ უნიტარული რესპუბლიკა დაარსდა თავისი შესაფერისი დემოკრატიული კონსტიტუციით."[240] ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მომავალი კონსტიტუცია, უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესების დაცვის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

კონსტიტუციისადმი დამოკიდებულების ძირითადი მიმართულების განსაზღვრამ, 1919 წლის 18 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ საკონსტიტუციო კომისიის პრაქტიკულ საქმიანობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი. საშინაო და საგარეო ურთიერთობების გართულებისა და სხვა ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, 1920 წლის ივნისის დასაწყისში საკონსტიტუციო კომისიამ დამფუძნებელ კრებას პროექტის დასრულებული ვარიანტი წარუდგინა. იმავე კრების რეკომენდაციით, 12 ივნისისს იგი სტამბური წესით იქნა დაბეჭდილი. მართალია პროექტი 17 თავისა და 166 მუხლისაგან შედგებოდა, მაგრამ მისი განხილვისა და დახვეწის შედეგად, თავების რაოდენობის შენარჩუნებით 149 მუხლზე იქნა დაყვანილი. დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვლის საგანგებო სხდომამ ამ სახით მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც სამართლებრივი წესით დააკანონა საქართველოს უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა და მისი სუვერენიტეტი.

მართალია, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა განუზომლად დიდი წვლილი შეიტანეს ამ იურიდიული დოკუმენტის შექმნასა და სრულყოფაში, მაგრამ ერთი რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობის კუთვნილებად მისი გამოცხადება დანაშაულის ტოლფასია. იგი ერთობლიობაში ქართული პოლიტიკური აზროვნების შედეგს განეკუთვნება. აღნიშნულ კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმუშავია, მარამ

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიისათვის მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. ამ დოკუმენტის შეფასებისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია: 1) რუსეთის განაპირა ქვეყნებიდან (ფინეთის შემდეგ) დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული კონსტიტუცია პირველ იურიდიულ დოკუმენტს რომ წარმოადგენდა. 2) პასუხობდა თუ არა დროის მოთხოვნას. 3) შეესაბამებოდა თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია „სოციალისტურ ელფერს" ატარებდა, იგი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი მმართველობის გამოცდილების ლოგიკური შედეგი იყო და რესპუბლიკური, დემოკრატიულ საფუძველზე აგებული სახელმწიფო წყობის იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენდა.[241] მისი შექმნით სამართლებრივი სახე შეიძინა ყველა იმ კანონებმა, რომლებიც უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ორგანიზასიასა და მშენებლობას ითვალისწინებდა.

თავი IV

ეკონომიკური რეფორმები და ქართული სოციალ-დემოკრატია

§ 1 ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიება

ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში უმთავრეს ბურჯად ქართველ პოლიტიკოსებს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება მიაჩნდათ. დასახული მიზნის განსახორციელებლად ისეთი ფორმის შემუშავებას ცდილობდნენ, რომელიც სურვილსა და შესაძლებლობას ერთმანეთს დაუახლოვებდა და შესრულებადს გახდიდა. ამის აუცილებლობას იმ პერიოდის ქართული ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა განაპირობებდა. „ვერც ერთი სახელმწიფო - წერდა გაზეთი „ერთობა"-ასეთ პირობებში ვერ იარსებებს, ჩვენი გადაშენება აუცილებელი გახდება, თუ არსებულ კრიზისს თავი ვერ დავაღწიეთ და ნორმალურ პირობებში არ ჩავაყენეთ. ჩვენი მოქალაქეობრივი ცხოვრება."[1]

არსებული სინამდვილე და ქვეყნისადმი პასუხისმგებლობა

მმართველ პარტიას შესაბამისი რეფორმების გატარების აუცილებლობისაკენ უბიძგებდა. მართალია, მთავრობის მიერ ეროვნული საბჭოსადმი წარდგენილ დეკლარაციაში (1918 წლის 15 ივნისი) საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესახებ საგანგებოდ იყო მითითებული,[2] მაგრამ შექმნილი მდგომარეობა, ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის ღრმად გააზრებული, დასაბუთებული პროგრამის აუცილებლობას საჭიროებდა. ასეთი სახის დოკუმენტი, დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე არა თუ სოციალ-დემოკრატიას, არამედ არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ გააჩნდა. მისი არ არსებობის მიზეზი და ამ სფეროში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოუმზადებლობა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვით და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს მხოლოდ ავტონომიური სტატუსით დარჩენის მოთხოვნით (1918 წლის იანვრამდე) იყო განპირობებული. ამ ორი ფაქტორის ანგარიშგაწევა აუცილებელია, რადგან მაშინდელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, საქართველოს ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებას მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდნენ, მის გადაწყვეტას დამფუძნებელი კრების პრეროგატივად, ანუ სარუსეთო საქმედ მიიჩნევდნენ. ამიტომ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, როცა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებთან მიმართებაში, პოლიტიკური პარტიები მოუმზადებელნი აღმოჩდნენ, ხოლო მათი ლიდერები ზოგადი და სავარაუდო შეხედულებებით იფარგლებოდნენ. რაც შეეხება არსებულ კრიზისს, ოპოზიციური პარტიები მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზების ახსნას, მხოლოდ „სოციალისტური მთავრობის" უმოქმედობაში და „ყალბ პოლიტიკაში" ეძებდნენ. საკითხის სრულყოფილად გარკვევის მიზნით, სამი ძირითადი ფაქტორი უნდა იქნეს აუცილებლად გათვალისწინებული. 1) ეკონომიკური კრიზისი გლობალური ხასიათის მოვლენას წარმოადგენ და, თუ მან მხოლოდ ქართულ სინამდვილეში ჰპოვა ასახვა. 2) რა მდგომარეობაში ჩაიბარა მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ საქართველო და 3) არსებობდა თუ არა იმ ეტაპზე ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ელემენტარული ბაზა. აღნიშნული საკითხებისადმი პასუხის გაცემა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის სწორად შეფასების სრულ შესაძლებლობას მოგვცემს

1) რაც შეეხება პირველ საკითხს, უნდა განვაცხადოთ, რომ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ეკონომიკაზე პირველი მსოფლიო ომის უარყოფით შედეგებთან მიმართებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს გამოკვეთილი პოზიცია ეჭირათ. მათი ყოველი დებულება ფაქტობრივი მასალის გლობალურად

გააზრებას ეფუძნებოდა და მიმდინარე პროცესების ობიექტურად შეფასების მცდელობას წარმოადგენდა. ამ მხრივ, ყურადღებას ეკონომიკურ თათბირზე (1920 წლის 13 ოქტომბერი) ნ. ჟორდანიას მიერ გაკეთებული მოხსენება იქცევს. ომამდელი და შემდგომი პერიოდის მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზიდან გამომდინარე, იგი გარკვევით აცხადებდა, რომ „მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის მოვლენა მარტო არ არის, მას ევროპული ხასიათი აქვს. ეს სახელმწიფოები ცდილობენ თავი დააღწიონ ეკონომიკურ კრიზისს."[3]

ასეთივე შეხედულებას გამოთქვამდა ნ.ხომერიკიც. მისი მტკიცებით ეკონომიკური კრიზისი მსოფლიო მოვლენა იყო. „ის წარმოიშვა და გაძლიერდა საერთაშორისო ომის ნიადაგზე. ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობის მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია."[4] როგორც ვხედავთ, სოციალ-დემოკრატთა ლიდერები ეკონომიკური კრიზისის გლობალურ ხასიათზე ერთხმად მიუთითებდნენ და მას მხოლოდ ომის შედეგებს მიაწერდნენ. ამავე საკითხს მოგვიანებით ყოფილი ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი შეეხო. იგი ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთ მიზეზს რუსეთში მიმდინარე სახელმწიფო გადატრიალებაში ხედავდა. „ომის ოთხი წელიწადი-წერს კ.კანდელაკი-გაუგონარი სისასტიკით რომ გრძელდებოდა, ამას დაემატა რუსეთში რევოლუცია, რომელმაც პოლიტიკურ გადატრიალებასთან ერთად კიდევ უფრო შეარყია ომის მიერ ძლიერ შელახული იმპერიის ეკონომიკური მდგომარეობა, შეაჩერა ისედაც ჩამორჩენილი რუსეთის მრეწველობა, დააზარალა სოფლის მეურნეობა, მოშალა ტრანსპორტი, დასცა შრომის ნაყოფიერება, აწეწ-დაწეწა ფინანსები- ერთი სიტყვით მოიტანა ომისა და რევოლუციის პირველი ეტაპისათვის ჩვეულებრივათ ყველგან და ყოველთვის თანდაყოლილი მოვლენები."[5]

რამდენადაც აღნიშნულმა ფაქტორმა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, იგი ქართველ პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ეკონომიკურ თათბირზე ნ.ხომერიკის მიერ გაკეთებული მოხსენება იწვევს. მიმდინარე გლობალური ეკონომიკური პროცესების ღრმა ანალიზისა და საქართველოს რეალური სინამდვილის გათვალისწინებით იგი დასძენდა: „პატარა საქართველო უეჭველად განიცდის ამ საერთო კრიზისის ცუდ გავლენას. კიდევ მეტი- მისთვის, როგორც მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნისთვის, ეს მოვლენა უფრო მეტად საგრძნობია, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოსთვის."[6] როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სიძნელეები

საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის გამოძახილს წარმოადგენდა. მისი მხოლოდ რეგიონალური მასშტაბით განხილვა და მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი გადაბრალება გაუმართლებელია. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ ფონზე ხელისუფლებისადმი პრეტენზიების წაყენება მიუღებლად მიგვაჩნია. იგი რუსეთის იმპერიის ნგრევის საფუძველზე წარმოქმნილ რესპუბლიკებთან მიმართებაშია დასაშვები.

2) მაშინდელი საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მემკვიდრეობაზე მიუთითებს ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო და პრესის მასალები. საქართველოს ეკონომიკური კრიზისის სათავეს კ.კანდელაკი რუსეთში გამეფებულ ანარქიაში, ამიერკავკასის ფრონტის რუსეთის ჯარისაგან მიტოვებაში, ოსმალეთთან ომში, რესპუბლიკის შიგნით ბოლშევიკთა აჯანყებებში, დემობილიზაციისა და მობილიზაციის შედეგად გაწეულ ხარჯებში ხედავდა.[7] იმავე საკითხთან მიმართებაში ნ.ჟორდანია ეკონომიკურ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში, საქართველოს მაშინდელ რეალურ სინამდვილეს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ჩვენ იმით დავიწყეთ სახელმწიფოს შენება, რომ ჩვენს კასაში არაფერი არ იყო. გვქონდა მხოლოდ რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი, რომელიც დაგვრჩა რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ. მაშასადამე, პლიუსი იყო ჩვენთვის ის, რომ ვალი არ გვქონდა, მაგრამ დიდი მინუსი იყო... რომ ახალი სახელმწიფო ვიყავით. არ გვქონდა სახელმწიფო აპარატი, საკუთარი ტრადიციული სისტემა, არავითარი ფონდი. ჩვენ მოგვიხდა ომის წარმოება, გაგვიჩნდა აუარებელი ხარჯები."[8] ეს იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო, იმ ეტაპზე „ახლად ფეხადგმული ბავშვის" მდგომარეობაში იმყოფებოდა., ხოლო პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელისუფლებისაგან კოლოსალური თანხების გაღება მოითხოვა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება რსდმ პარტიის ამირკავკასიის მერვე საოლქო ყრილობაზე კ.კანდელაკის მიერ ფინანსურ საკითხებზე გაკეთებულმა მოხსენებამ მიიქცია. მასში მოტანილი ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, 1918 წლის 26 მაისიდან –19 ოქტომბრამდე, საქართველოს ცენტრალური ხაზინიდან სამხედრო უწყებისათვის დაიხარჯა – 54.522000 მანეთი, გზათა უწყებისათვის-34930000 მან; შინაგან საქმეთა უწყებისათვის-14. 400000 მან. ფინანსური ოპერაციებისთვის – 1 472 000 მან. მიწათმოქმედების უწყებისთვის-1.054.000 მან. განთლების უწყებისთვის-1.001.000 მან. პროვინციის ხაზით – 9,000000 მან. და ა.შ. სულ 130 მილიონი მანეთი ე.ი. თვეში 27-28 მილიონი მანეთი. რაც შეეხება ამიერკავკასიის რეგიონში რუსეთ-თურქეთის ფრონტთან დაკავშირებული დაწესებულებების ლიკვიდაციას და რუსული სამხედრო შენაერთების სამშობლოში

გამგზავრების ორგანიზაციას, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა: თბილისის ხაზინიდან გაეღო-21 მილიონ 22 ათასი მანეთი, საველე ხაზინიდან-9.791000 მან; სენაკის ხაზინიდან-736000 მან; ფოსტა-ტელეგრაფისათვის- 512.000 მან. რკინიგზისათვის 1.020000 მან. სამხედრო პირების ოჯახებისათვის-1. 032000 მან. პენსიონერებისათვის – 1.323000 მან. მოსალოდნელი ანარქიის თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა დანიშნულებისამებრ ხაზინიდან 100 მილიონი მან. დაიხარჯა.[9] აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, იგი არა თუ საქართველოზე, არამედ ნებისმიერი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიკაზე მოახდენდა უარყოფით ზემოქმედებას. ამიტომ, მთავრობის ამ იძულებითმა ნაბიჯმა, ისედაც უსუსურ მდგომარეობაში მყოფი ქართული ეკონომიკა ნულზე დაიყვანა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პრიმიტიული სასოფლო მეურნეობით და სუსტი ინდუსტრიით ეკონომიკურად დაშლილი ქვეყანა ჩაიბარა,[10] ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდა მაშინდელი მმართველი ხელისუფლება.

როცა საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებზე ვმსჯელობთ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს და პასუხი გაეცეს კითხვას: რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა თუ არა საქართველოში ეკონომიკის აღმავლობისთვის საჭირო პირობები და დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი. დაპყრობილი საქართველოს, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად გამოცხადების შემდეგ, „საქართველო- როგორც კ.კანდელაკი წერს- რუსეთის იმპერიის ინტეგრალური ნაწილი ხდება და ამიერიდან რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკაზე იყო საქართველოს მომავალი დამოკიდებული."[11] ეს იმას ნიშნავდა, რომ მხოლოდ რუსეთის ხელისუფალთა ინტერესების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო საქართველოს ეკონომიკის განვითარების სფეროს განსაზღვრა. რამდენადაც მბრძანებლური სადავეები „მპყრობელი" სახელმწიფოს ხელთ აღმოჩნდა, ქართველ ერს, ეროვნული ინტერესების შესატყვისი ყოველგვარი ინიციატივის საშუალება წაართვეს და იგი გადააქციეს „როგორც ბაზარი, თავისი საკუთარი მდარე და ძვირი ნაწარმის გასაყიდად"[12]

ასეთი კურსის გატარებამ, საქართველოს ეკონომიკა თითქმის პრიმიტიულ მდგომარეობაში ჩააყენა. ასე შეხვდა იგი მეოცე საუკუნის ოციან წლებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებისა და მისი ანალიზის საფუძველზე, ნ.ხომერიკი გარკვევით მიუთითებდა „რუსეთის მთავრობამ მეტად ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ის ან

აწარმოებდა ჩვენი კუთხის დასუსტების პოლიტიკას, სდევნიდა ხალხის თვითმოქმედებას-თვისნობას, ხელს უშლიდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ასეთი პოლიტიკის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანაა."[13]

იმავე საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „მუნიციპალური მრეწველობა" წერდა: „ბევრი არ მოიპოვება ისეთი სახელმწიფო, რომელიც ჩვენს ქვეყანასავით ეკონომიკურათ ჩამორჩენილი იყოს. ასი წლის მონობამ და რუსეთის ბიუროკრატიის ყოველგვარი ინიციატივის ჩამხშობმა პოლიტიკამ, თავისი ნაყოფი გამოიღო. არც ერთი თვალსაჩინო ფაბრიკა-ქარხანა ჩვენს ტერიტორიაზე არ ჭაჭანებს."[14] ეს ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ 117 წლის განმავლობაში, რუსეთის ხელისუფლება, ეკონომიკურად განვითარების ბარიერს საქართველოსთვის ხელოვნურად ქმნიდა. როცა საკითხი საქართველოს ეკონომიკურ კრიზისს და მის გამომწვევ მიზეზებს ეხება, ზემოთ აღნიშნული სამივე ფაქტორი.. პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული. მისი იგნორირება პრობლემის შეფასებისას არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანს. ერთი რამ ცხადია, მმართველ პოლიტიკურ პარტიას თითქმის „არარსებული ეკონომიკის" გარშემო უხდებოდა მსჯელობა. ფაქტობრივად მათი ყოველი წინადადება, ამ სფეროში შექმნილი ვაკუუმის შევსებისა და მისთვის სათანადო საფუძვლის მომზადების მცდელობას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ „ჩიხიდან გამოსვლის" შემოთავაზებულ ფორმას, ოპოზიცია ეჭვის ქვეშ აყენებდა და მის შეცვლას მოითხოვდა. თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო იმ ეტაპზე მთავრობის ეკონომიკური კურსისადმი ასეთი დამოკიდებულება, ამის შესახებ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნ. რამიშვილი ოპონენტთა მისამართით ოფიციალურად აცხადებდა: „ის გზა, რომელსაც ადგა მთავრობა, არის ერთადერთი სწორი და სამართლიანი. ამას მოწმობს ყველა მოწინავე ევროპული სახელმწიფოს პოლიტიკა. თქვენ გვიწუნებთ ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყველა ის ქვეყნები, რომელნიც მართლაც დაინტერესებულნი არიან რომ ომიანობის სუსხი რამოდენიმედ მაინც გაანელონ, ეკონომიკური სიძვირე შეასუსტონ, იძულებულნი არიან ისეთ გზას დაადგნენ, ისეთი პოლიტიკა აწარმოონ როგორსაც ჩვენ ვაწარმოებთ."[15] ამის დასტურად იგი გერმანიისა და ავსტრიის სახელმწიფოთა ანალოგიებს იშველიებდა. რამდენადაც, აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში დისკუსია არ ცხრებოდა, სოციალ-დემოკრატიას, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სისწორის დაცვა ოფიციალურად უხდებოდა. დამფუძნებელი კრების

1920 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე ნ.ჟორდანია, ოპოზიციის წინაშე პრინციპულად აყენებდა საკითხს: „დამისახელეთ რომელიმე რევოლუციური მთავრობა ან პარტია, რომელმაც მოახერხა გატარება თავის ქვეყანაში ისეთი რეფორმების, რომელიც აქ მოვახდინეთ. დამისახელეთ ამისთანა მთავრობა და მაშინ თქვენ მართალნი იქნებით, მაგრამ თქვენ ამისთანა მაგალითს ვერ მოიყვანთ."[16] ასეთი კატეგორიული ტონით გაკეთებულ განცხადებას ოპოზიციის მხრიდან, როგორც ყოველთვის, საპასუხო რეაქცია უნდა მოყოლოდა, მაგრამ დუმილი ამჯობინეს, რადგან სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ჭეშმარიტებას დადადებდა, მის ყოველ სიტყვას, ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები ედო საფუძვლად. „ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება - ამბობდა ნ.ჟორდანია - რომ მიწა-წყალმა მეტი ნაყოფი მოგვიტანოს. ეს არის ჩვენი უახლოესი მიზანი, რომ ჩვენში ყველა მიწა ყოველნაირი საშუალებით იქნეს გამოყენებული,... დავაგროვოთ და დავამზადოთ ის სურსათი, რომელიც ჩვენს ხალხს ესაჭიროება. „აქედან გამომდინარე, რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროში იმ ეტაპზე არსებული კულტურული და ცივილიზებული დონის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხს აყენებდა. „ამაზე არის აგებული მთელი ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა, რომ ამ კულტურულ და ცივილიზაციის გზიდან არ გადავიდეთ."[17] ანალოგიური პოზიცია ეჭირა ნ.ხომერიკსაც. იგი ქართული სახელმწიფოს ფორმირებისა და მისი განმტკიცების საფუძველს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ხედავდა. ამის შესახებ სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე აგრარულ საკითხზე გაკეთებულ მოხსენებაში, საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. „საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა-ამბობდა ნ.ხომერიკი-მანამდი რყევასა და ქრონიკულ კრიზისებში იქნება,სანამ ის ცოტად თუ ბევრად ვერ მოაგვარებს თავის ეკონომიკურ ცხოვრებას, სანამ თავის არსებობას მტკიცე მატერიალურ საფუძველზე არ დააყენებს. წარმოუდგენელია ახალი სახელმწიფოს გაჩენა და განვითარება, თუ ის მუდამ სხვისი შემხედვარე იქნება და ვერ შექმნის არსებობისათვის საჭირო ნივთიერ რესურსებს. ამიტომ, ეკონომიური საკითხი სახელმწიფოსათვის უდიდესი პრობლემაა და საბოლოოდ მის კარგად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ყველაფერი."[18] ეს ამონაწერი იმის აშკარა დადასტურებაა, თუ რამდენად სიღრმისეულად ქონდა გაცნობიერებული მის ავტორს, ეკონომიკური ფაქტორის როლი სახელმწიფოს შენარჩუნებაში. მაგრამ მასში არ ჩანდა ის მექანიზმი, რომელიც ეკონომიკის გაჯანსაღებას უნდა დადებოდა საფუძვლად. ამის მცდელობას, სსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან გამართულ თათბირზე (1919 წლის 28 დეკემბერი) კ.კანდელაკის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე გაკეთებულ მოხსენებაში ქონდა

ადგილი. მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ პირობად, იგი ეკონომიკურ პოლიტიკაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებას მიიჩნევდა. ყურადღებას კერძო ინიციატივაზეც ამახვილებდა, მაგრამ გაბედული ნაბიჯის გადადგმის მოთხოვნას არ აყენებდა.[19]

ანალოგიური პოზიცია ეჭირა ს.ავალიანსაც. მართალია, იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ კურსს მისაღებად მიიჩნევდა, მაგრამ კერძო ინიციატივისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. „კერძო ინიციატივას- აცხადებდა იგი – ვერ მივანდობთ ჩვენ ბედს."[20] თუკი ქართველი სოციალ-დემოკრატების გარკვეული ნაწილი, 1919 წლის დეკემბრისათვის კერძო ინიციატივის ეკონომიკის ყველა სფეროში დაშვების მოსალოდნელი დადებითი შედეგებისადმი უიმედობას ამჟღავნებდნენ, 1920 წლის მარტიდან მათი შეხედულება რადიკალურად შეიცვალა. ამის დადასტურებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაფართოებული თათბირის (1920 წლის მარტი) ამსახველი მასალები წარმოადგენს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სსდმპ ცენტრალური კომიტეტის, საკონტროლო კომისიის, თბილისის კომიტეტის, სამაზრო კომიტეტების, თბილისის რაიონული კოლექტივების, დამფუძნებელი კრების სდ ფრაქციის ბიუროს, საქართველოს პროფკავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის, თბილისის პროფკავშირთა სამდივნოს, საქართველოს კოოპერატორთა კავშირის ცენტრის, ქალაქისა და ერობის კავშირის ერობათა გამგეობების წარმომადგენლები - სულ 192 კაცი. თანამედროვე მომენტის შესახებ ნ.ჟორდანიას მიერ გაკეთებული მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლუციაში, რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგების განსაკუთრებულ პირობად, კერძო ინიციატივისადმი ხელშეწყობაა აღიარებული.[21]

მართალია, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე მთავრობის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში ოფიციალურად იყო ნათქვამი: „მთავრობა შეეცდება ფართო ასპარეზი გაუხსნას კერძო ინიციატივას, როგორც წარმოების ისე აღებ-მიცემობის სფეროში,"[22] მაგრამ მისი სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტა და პრაქტიკულად განხორციელება ძირითადად 1920 წლიდან დაიწყო. იგივე პოლიტიკის თუგინდ 1919 წლიდან გატარება, ზემოაღნიშნული მიზეზებისა და ქვეყნის სავალუტო ფონდის არარსებობის გამო, ეკონომიკურ ცხოვრებაში გარდატეხას ვერ შეიტანდა. საკითხი მხოლოდ მისი უკიდურესად გართულების აცილებას ეხებოდა. ბუნებრივია, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები შესატყვისი ფორმის ძიებას ცდილობდნენ, გაზ. „ერთობა" მოწინავე წერილში „პარტიული ორგანიზაციის თათბირის მოლოდინში" თავის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებდა: „საერთო ეკონომიკური პოლი-

ტიკის ძირითად დებულებებს სჭირდება კონკრეტულად ჩამოყალიბება და სადღეისო კითხვების სახვალიო კითხვებისაგან გარჩევა. ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიც სახელმწიფოს უძღვება, ასე იქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო დებულებით ხელმძღვანელობა ხშირად თვითონ არის მიზეზი არევ-დარევის, თუ განსაზღვრული და ყველასათვის ნათელი ზომები არ არის შემუშავებული. საერთო დებულებები საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და კერძო ინიციატივის საჭიროების შესახებ საქმეს ვერ უშველის, თუ ეს არ იქნა ჩამოყალიბებული განსაკუთრებულ და კონკრეტულ გეგმაში."[23] როგორც ვხედავთ, აქ ზოგადიდან კონკრეტული ეკონომიკური პროგრამის აუცილებლობის შესახებაა საუბარი და მისი დახვეწილი ფორმით წარმოდგენა, მომავალი პარტიული თათბირის პრეროგატივადაა გამოცხადებული. არსებული სინამდვილე მმართველი პოლიტიკური პარტიისაგან გაბედული ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში პასუხი ორ ძირითად კითხვას უნდა გაეცეს: 1) როგორ აღიქვამდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას და 2) არსებული მდგომარეობიდან გამოსვლას რა საშუალებებით აპირებდნენ. აღნიშნულ საკითხებზე, ამომწურავი პასუხის მცდელობას, პარტიულ-ეკონომიკურ თათბირზე (1920 წლის 13 ოქტომბერი) გამომსვლელთა მოხსენებები წარმოადგენს, რომელთაგან განსაკუთრებით ნ.ჟორდანიას მოხსენება გამოირჩევა. არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზიდან გამომდინარე, ეკონომიკურ კატასტროფამდე მისული ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთ პირობად იგი შემდეგი სახის ღონისძიებების დაუყოვნებლივი გატარების აუცილებლობას მოითხოვდა. 1) ეკონომიკის სფეროში მოეხდინათ „უკან დაბრუნება" ე.ი. „ძველი მდგომარეობის" –1918 წლის დონის აღდგენა. 2) ბოლო მოელოთ ხელფასებთან შედარებით, პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ფასების განსაკუთრებული ზრდით გამოწვეული წინააღმდეგობის, ანუ „ეკონომიკურ-ფინანსური ომისათვის." „ეკონომიური ომი-ამბობდა ნ ჟორდანია - ნიშნავს საზოგადოების შემოქმედებითი ენერგიის შესუსტებას, შრომის ნაყოფიერების დაცემას. რას ნიშნავს ომი ფინანსურათ? ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხი იძულებული ხდება დაფაროს ზედმეტი არაჩვეულებრივი ხარჯები"[24] 3) დაეცვათ შესატყვისი პროპორცია ქაღალდის ფულსა და საქონლის ღირებულებას შორის და ამით ქვეყნის ეკონომიკაში ნორმალური პირობები შეენარჩუნებინათ. „ფინანსური სისტემის მთავარი საზრუნავი საგანია- ამბობდა ნ.ჟორდანია- ამ პროპორციის აღნიშნული წონასწორობის დაცვა."[25] ანუ მიზანშეწონილი ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. 4) განსაკუთრებული ყურადღება გადაეტანათ

ადგილობრივი მრეწველობისა და ეროვნული კაპიტალის გასაძლიერებლად, რადგან შემოტანილი საქონლისადმი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკაში დადებით ღირებულებას არ ქმნიდა. „უბედურება დღეს იმაშია-ამბობდა ნ.ჟორდანია - რომ ჩვენი კაპიტალი.. წარმოებას არ ეტანება. ვაჭრობა ამ უსაქონლობის დროს დიდ მოგებას იძლევა; ვინც საქონელს მოიტანს-ბაზარზე მონოპოლისტიც ის ხდება. ამის გამო ჩვენში მოსული ყველა კაპიტალის მუშაობა დღეს მხოლოდ სპეკულაციაში გამოიხატება და დადებითი ღირებულება არ იქმნება."[26] 5) მაქსიმალურად აღეკვეთათ ზედმეტი ხელგაშლილობა, ჩვეულებრივი გასავალი ხარჯები-უკიდურეს შემთხვევაში შემოსავლის დონემდე დაეყვანათ. ყოველმხრივ შეეზღუდათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების საშტატო ერთეულების ზრდის პროცესი. 6) სახელმწიფოს წინაშე მდგომი საკითხების გადაჭრისას წარმოქმნილი ბარიერის დასაძლევად ბრძოლის უმკაცრესი ფორმების გამოყენებისათვის მიემართათ. „თუ აქედან გამოსავალ ეკონომიკურ და ფინანსურ ზომებს გამოვნახავთ და მას უმკაცრესად გავატარებთ ცხოვრებაში, მაშინ ჩვენ შევძლებთ კატასტროფის აცილებას, შევძლებთ შიგნიდან გავამაგროთ ჩვენი სახელმწიფო. ამ მუშაობისათვის და თავდადებისათვის პარტიამ უნდა მოუწოდოს მთელ ხალხს და თვითონ... ისეთივე მონაწილეობა მიიღოს, როგორსაც ის იღებდა და იღებს პოლიტიკურ აღმშენებლობაში."[27]

როგორც ვხედავთ, აქ ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევის ძირითად ფორმებზეა ყურადღება გადატანილი, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც გასატარებელ ღონისძიებათა ორგანიზაციის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრა. ეს საკითხი მთელი პრინციპულობით აკ. ჩხენკელმა ჯერ კიდევ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე დააყენა. მისი მტკიცებით, ერთიანი ფინანსურ-ეკონომიკური გეგმის შესამუშავებლად და მისი პრაქტიკულად განხორციელების კოორდინაციისათვის, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შექმნა აუცილებლობას წარმოადგენდა. იგი მხოლოდ რესპუბლიკის საუკეთესო სპეციალისტებით უნდა შეევსოთ[28]. იმავე საკითხზე, ცოტა მოგვიანებით, პარტიულ-ეკონომიკურ თათბირზე ნ.ხომერიკმაც გაამახვილა ყურადღება. მან ისეთი „მომქმედი ცოცხალი ორგანოს" შექმნის საჭიროება მოითხოვა, რომლის დირექტივებსა და დადგენილებებს ყველა დაემორჩილებოდა.[29] რამდენადაც ეს წინადადება არსებული სინამდვილიდან გამომდინარეობდა და მისი განხორციელება პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტის მეტ გარანტიებს ქმნიდა, ეკონომიკურმა თათბირმა მიღებული რეზოლუციით რესპუბლიკის ერთიანი ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად- ეკონომიკური საბ-

ჭოს დაარსება აუცილებლობად მიიჩნია.[30] ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, შეიქმნა თუ არა ეს ორგანო და კონკრეტულად მის მიერ რა სახის სამუშაოები შესრულდა. ერთი რამ ცხადია, ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საკითხი, ქართული სოციალ-ემოკრატიის ლიდერთა ფიქრისა და განსჯის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა და მისი განვითარების შესახებ, გარკვეული თვალსაზრისი გააჩნდათ. ამის შესანიშნავ დადასტურებას ნ.ხომერიკის ნაშრომი „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე" წარმოადგენს. მაშინელი ქართული საზოგადოების წინაშე წამოჭრილ კითხვაზე-შეეძლო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა და მაღალგანვითარებულ ქვეყნად გადაქცევა, ნ.ხომერიკმა მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის, მისი ისტორიული ტრადიციის მაქსიმალურად გათვალისწინების საფუძველზე დამაჯერებელი პასუხი გასცა. იმავდროულად გამოთქვა რწმენა, პროფესიონალური ცოდნის შეძენითა და მიზანშეწონილი შრომის საფუძველზე, ქართველი ხალხი მაღალგანვითარებული სახელმწიფოს შექმნას შეძლებდა.[31] ამ ფაქტორის წინ წამოწევას, პროპაგანდისტული თვალსაზრისით განსაკუთრებული დატვირთვა ქონდა, რადგან გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, იგი რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენებში უკეთესი მომავლისადმი რწმენის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, შესაძლებლობის ფარგლებში, სამრეწველო კაპიტალის ამოქმედებას ადგილობრივი წარმოების საფუძველზე ცდილობდა. „ჩვენი მიზანი-ამბობდა აკ. ჩხენკელი - არის წარმოების განვითარება, მრეწველობის ამოქმედება,.. საზოგადოებრივი წარმოების და აღებ-მიცემობის აღორძინება, კერძო ინიციატივის ხელის შეწყობა".[32] სოციალ-დემოკრატიის ეს კურსი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რადგან მის ლიდერებს მაღალ განვითარებული მრეწველობა, ქვეყნის დასაყრდენ „მძლავრ ყავარჯენად" მიაჩნდათ. მეორე მხრივ, ამის აუცილებლობას პირველადი საჭირო საგნებით საქართველოს მოსახლეობის დაკმაყოფილების აუცილებლობაც განაპირობებდა. ამ მხრივ პირველი ქმედითი ნაბიჯი 1919 წლის 6 სექტემბერს გადაიდგა, როცა მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტრომ შიდამრეწველობის განვითარების, საჭირო ნედლეულის და წარმოებისათვის ახალი იარაღების შეძენის მიზნით, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 5.200000 მანეთის გამოყოფა მოსთხოვა.[33]

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, ადრესატისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში (1919 წლის 26 დეკემბერი) აღნიშნულ

მოთხოვნაზე თანხმობას აცხადებდა და მთავრობის სხდომაზე მისი გატანის წინადადებას აყენებდა.[34] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმავე პრობლემებით საბიუჯეტო კომისიაც იყო დაკავებული. ამის დამადასტურებლად საბიუჯეტო კომისიის მოხსენებაც გამოდგება. „საჭიროა ჩვენში წარმოების განვითარება, - ვკითხულობთ დოკუმენტში- რომ ჩვენი ქვეყანა არ იქნეს მარტო ნედლი მასალის გამზიდველ მხარედ და სხვისი ნაწარმის მომხმარებლად. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე გამო ყენებული უნდა იქნეს. იქ სადაც სახელმწიფოებრივ და თვითმმართველობის ორგანიზაციებს არ ძალუძს ამ წარმოების მოგვარება, ადგილი კერძო საკუთრებას უნდა დაეთმოს."[35] აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, როცა სოციალ-დემოკრატები კერძო ინიციატივისადმი ხელშეწყობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ისინი ახლად ფეხადგმული ეროვნული ბურჟუაზიისადმი გარკვეულ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. თუ რა შემთხვევაში მოხდებოდა სახელმწიფოსგან მათდამი მხარდაჭერა, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „მრეწველობის განვითარება და დემოკრატიის ინტერესები" გარკვევით მიუთითებდა: „რამდენადაც ჩვენი ახალფეხადგმული კაპიტალისტები შეეცდებიან თავიანთი გამდიდრების სურვილი დაამყარონ ტექნიკის განვითარებასა და კულტურის აყვავებაზე, იმდენად ჩვენი სიმპატია მათ მხარეზე იქნება და ჩვენს პოლიტიკურ მოვალეობათ ჩავთვლით დახმარება აღმოვუჩინოთ მათ. ჩვენი მიზანია სოციალიზმი, მაგრამ ჩვენი გზაა- კაპიტალიზმის განვითარება. ამიტომ მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და იმავე დროს დემოკრატიის ინტერესების დაცვა ჩვენი აუცილებელი მოვალეობაა."[36] მართალია აქ ბურჟუაზიისადმი ხელშეწყობის საკითხია დასმული მაგრამ პრიორიტეტი ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს აქვს მინიჭებული ეს იმას ნიშნავს, რომ მათდამი დახმარებას, ქართველი სოციალ-დემოკრატები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდნენ შესაძლებლად, თუკი ისინი კომერციულ საქმიანობას ქვეყნის მოთხოვნათა შესაბამისობის პრინციპზე ააგებდნენ. სოციალ-დემოკრატთა პოზიცია-კაპიტალიზმის გზის გავლის აუცილებლობის შესახებ, როგორც ვხედავთ ოფიციალურადაა გაცხადებული, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია თავისი იდეური მრწამსის მიუხედავად, საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ პროცესში ხელოვნურად ჩარევის წინააღმდეგი გამოდიოდა. კაპიტალისტური წარმოებისადმი ქართველი სოციალ-დემოკრატების ოფიციალური მხარდაჭერის მიუხედავად, ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში საქართველოში მიმდინარე ქაოტური პროცესები, ეკონომიკის შემფერხებლის როლში გვევლინებოდა. ამის

შესახებ ეკონომიკურ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ხომერიკი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. „საწარმოების გახსნა - ამბობდა იგი – მოდათ იქცა. ამას წინ არ უძღვის საწარმოების პირობების სერიოზული შესწავლა, ნაწარმის გასაღებაზე ფიქრი... და რაც უმთავრესია, ერთის მოქმედება არ არის მეორესთან დაკავშირებული."[37] ამის საილუსტრაციოდ საქართველოში ერობებისა და კოოპერატივების მიერ უსისტემოდ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე შექმნილი საპნის ქარხნების მაგალითი მოყავდა. „მერე რა გამოვიდა აქედან?" კითხულობდა ნ.ხომერიკი და იქვე პასუხობდა: „ერთ თვეს რომ მუშაობს ქარხანა, თორმეტ თვეს გაჩერებულია, ამას ჩვენ ვეძახით ადამიანის ძალის, ფულისა და საწარმოო საშუალებთა გაფლანგვას."[38] აღნიშნული ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ აუცილებლობა მრეწველთა საქმიანობის კოორდინაციას საჭიროებდა. აღნიშნული პრობლემის მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, ნ.რამიშვილის მიერ მრეწველთა კავშირის შექმნის (1919 წლის 28 დეკემბერი) საკითხის დაყენება.[39] ეკონომიკის ასაღორძინებლად ალტერნატიული წინადადებების შემუშავებისა და შესატყვის ყალიბში მოქცევის მცდელობის მიუხედავად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა წინაშე დილემად რჩებოდა იმ გზებისა და საშუალებების ძიების საკითხი, რომელიც გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკურად დააკავშირებდა. ამის აუცილებლობა ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული. კონკრეტულად თუ როგორ მოიაზრებდნენ ამ საკითხის მნიშვნელობას, ნიმუშისათვის ნ.ხომერიკის ზემოთ დასახელებულ ნაშრომს მივმართავთ. „მთელი დედამიწის ზურგი - ამბობდა ნ. ხომერიკი - წარმოადგენს ერთს მთლიან ეკონომიკურ სხეულს, რომლის ცალკე ნაწილს არ შეუძლია არსებობა თუ მოწყვეტილი დარჩა მთელისაგან. უფრო მარტივათ, რომ ვთქვათ, მთელი ქვეყანა ერთი სახელოსნოა, სადაც მზადდება აურაცხელი ნაწარმოები, რომელიც შემდეგ ცოტათ თუ ბევრათ... ნაწილდება ყველას შორის... რასაკვირველია გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, ე.ი. უცვლიან იმას, ვისაც სამაგიერო აქვს მისაცემი."[40] როგორც ვხედავთ, სააღებმიცემო ურთიერთობის გაფართოებას, ნ.ხომერიკი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ანალოგიური შეხედულება გამოთქვა დ. თოფურიძემ სტატიაში „საქართველოს ფინანსური ეკონომიკური საკითხები." იგი კავკასიის რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების დადებითად გადაწყვეტის მიზანშეწონილობის დასაბუთებას ცდილობდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან ამ საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას მოითხოვდა.[41]

აღნიშნული ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელებას რეს-

პუბლიკისათვის გარკვეული სარგებლობის მოტანა შეეძლო. მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს თუნდაც რუსეთ-აზერბაიჯან-საქართველოს შორის 1920 წლის ნოემბერში ხელმოწერილი სატრანზიტო ხელშეკრულებიდანაც კარგად ჩანს. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველო თუკი ტრანზიტით რუსეთის ტერიტორიის სრულად გამოყენებას ვერ შეძლებდა, სანაცვლოდ, ბაქოს ნავთს ხელსაყრელ ფასებში სთავაზობდნენ. „აქ ჩვენ გვაქვს სრული კომპენსაცია იმ სარგებლობის-წერდა გაზეთი „ერთობა"- რომელსაც იღებს ჩვენგან რუსეთ-აზერბაიჯანი."[42] რამდენადაც იგი არსებული პრობლემის მხოლოდ ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა, მისი ამუშავება საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან გარდატეხას ვერ შეიტანდა. ამიტომ ხელისუფლების ძირითადი აქცენტი ევროპული ქვეყნებისაკენ იყო გადატანილი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ჩვენი ორიენტაცია" თავის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებდა: „ჩვენ ეხლაც იგივე ორიენტაცია გვიხელმძღვანელებს: გაევროპიელებისკენ მისწრაფება, ევროპული მოქალაქეობრივი ცხოვრების გაძლიერება ჩვენში.. საწარმოო ძალების განვითარებით... არცერთ ევროპულ სახელმწიფოსთან... სადაო და სამტრო არა გვაქვს. პირიქით, ყველასთან კეთილგანწყობილების სურვილით ვხელმძღვანელობთ"[43] ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველომ გასაბჭოებულ რუსეთთან შედარებით, პრიორიტეტი ევროპულ სახელმწიფოებს მიანიჭა. მათი დახმარებით ფიქრობდა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების გეგმაზომიერ ექსპოატაციას, წარმოების ამუშავებასა და მის ბაზაზე ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას. იმავდროულად წიაღისეული სიმდიდრის გამოყენებისადმი უმკაცრესი კონტროლის დაწესებას მოითხოვდა, რადგან იგი სახელმწიფო ხაზინის შევსების ერთ-ერთ საფუძვლად მიაჩნდა. აღნიშნული პროგრამის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი. თუკი წიაღისეულ სიმდიდრეზე და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის თუგინდ გარკვეულ სახეობაზე სახელმწიფო მონოპოლია გამოცხადდებოდა. იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ პრობლემის დროულად მოწესრიგებას, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილი მოწინავე სტატია „მონოპოლია და ჩვენი მრეწველები" იძლევა. „დრო არ ითმენს-ვკითხულობთ გაზეთში- მონოპოლია დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული.. დაყოვნება მომაკვდინებელია.. გაბედული ნაბიჯი, მტკიცე ნება, სისწრაფე მოქმედებაში. დაუყოვნებლივ სამონოპოლიო საგნების გატანა საზღვარგარეთ, ამას გვიკარნახებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა."[44] როგორც ვხედავთ, აუცილებლობა ოპერატიული ღონისძიებე-

ბის გატარებას საჭიროებდა. ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებამ დროული გადაწყვეტილება მიიღო და თითქმის ერთდროულად (1919 წლის აგვისტოდან-ნოემბრამდე) მონოპოლია გამოაცხადა მარგანეცის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ფურცლოვანი თამბაქოს და მთრიმლავი მასალების უცხოეთში გატანაზე. ხოლო თხილი, სოიო და სხვა ასეთი სახის სუროგატის გატანა აიკრძალა.[45] სავალუტო საქონლის ქვეყნისათვის შეძენის მიზნით, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით. სახელმწიფო ხაზინამ 130 მილიონი მანეთი გამოყო.[46]

ქართველი ეკონომისტები ამ ღონისძიებას მხოლოდ საქმის დასაწყის ეტაპად მიიჩნევდნენ და საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში პრიორიტეტს უცხო კაპიტალსა და საგარეო სესხს ანიჭებდნენ. მმართველი პოლიტიკური პარტიის ასეთი პოზიციის მიუხედავად, უცხო კაპიტალისტები საქართველოსთან მიმართებაში თავშეკავებას ამჯობინებდნენ. იგი შემდეგი გარემოებებით იყო განპირობებული: 1) საქართველოში ინგლისის „გაბატონების" მიუხედავად, ინგლისელი კაპიტალისტებისაგან ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებისაგან თავშეკავება არაინგლისური კაპიტალის შემოდინებისადმი ხელის შეშლა. 2) რუსეთში ანტანტის სახელმწიფოთა მარცხის შედეგები და 3) კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობა-აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოება (1920 წლის 27 აპრილი, 29 ნოემბერი). იგივე ფაქტორი, საგარეო სესხის აღებაზედაც უარყოფითად მოქმედებდა, რამდენადაც საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენას ეხებოდა, სპეციალისტები ერთად-ერთ გამოსავალს, მხოლოდ უცხო კაპიტალის საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში შემოდინების აუცილებლობაში ხედავდნენ. ამასთან დაკავშირებით, სსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე (1919 წლის 28 დეკემბერი) ს.ავალიანი კატეგორიული ტონით აცხადებდა: "უცხო კაპიტალი - თუგინდ დიდი მსხვერპლით უნდა შემოვიყვანოთ"[47] ეს იმას ნიშნავდა, რომ უცხოელებში საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრისადმი ინტერესი აღეძრათ და ადგილობრივი ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ჩაერთოთ. როცა საკითხს ქართველი სოციალ-დემოკრატები ასეთი ფორმით აყენებდნენ, მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა კარგად ესმოდათ. სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, აღნიშნული მიმართულებით გაბედული ნაბიჯის დაუყოვნებლივი გადადგმის აუცილებლობას მოითხოვდა. ამის შესახებ, ეკონომიკურ თათბირზე კ. კაუცკი ქართველი კოლეგების მისამართით აცხადებდა: „თქვენ ვერ გაძლებთ დასავლეთ ევროპის დაუხმარებლად... თქვენ იძულებული იქნებით უცხო კაპიტალი

მოიწვიოთ თქვენს ქვეყანაში. თუკი თქვენ ვერ მოახერხეთ სესხის აღება უცხოეთში, - მაშინ უცხოელების მიერ თქვენში საწარმოოდაწესებულებების დაარსების გვერდის შევლა შეუძლებელი იქნება, თქვენი მოვალეობა ის იქნება რომ გამონახოთ ისეთი ფორმები, რომლებიც კაპიტალს არ დააფრთხობენ"[48] როგორც ვხედავთ, აქ ფაქტობრივად იმ ეკონომიკური კურსის სისწორეა დადასტურებული, რომლის აუცილებლობასაც ქართველი სოციალ-დემოკრატები თავგამოდებით ამტკიცებდნენ. ეს თვალსაზრისი კ.კაუცკიმ დასაბუთებული სახით ჩამოაყალიბა ნაშრომში „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში." ქვეყნის სინამდვილის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების წინაშე სამი ძირითადი საკითხი დააყენა: 1) მსოფლიო ომით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური შედეგების დაძლევის აუცილებლობა, 2) უცხო მოძალადეთაგან ქართველი ხალხის დაცვის უზრუნველყოფა და 3) საქართველოს პირობების შესაბამისობის ფონზე, სოციალური ღონისძიებების გატარება.

ამ შემთხვევაში ყურადღებას მხოლოდ პირველ მათგანზე- მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კ.კაუცკისეულ რეკომენდაციებზე გავამახვილებთ. იგი საქართველოს ეკონომიკის აღორძინების საფუძველთა-საფუძველს ქვეყნისადმი ომით მიყენებული ჭრილობების დაუყოვნებლივ განკურნებაში ხედავდა და მმართველი პარტიის ლიდერებს შემდეგი სახის პრაქტიკულ რეკომენდაციებს სთავაზობდა: ა) კვების პროდუქტებით მცხოვრებთა უზრუნველყოფას, ბ) გაცვეთილი საწარმოო იარაღებისა და შეჩერებული ეკონომიკური ცხოვრების განახლებას, გ) საწარმოო ძალთა განვითარებას, მის ზრდას. ამის მიღწევა, კ.კაუცკის ომისგან ნაკლებად დაზარალებული ქვეყნების დახმარებით მიაჩნდა შესაძლებლად, რომლებიც თავიანთ კაპიტალს მხოლოდ მოგების რეალური გარანტიების უზრუნველყოფის მიხედვით აბანდებდნენ: იგი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებდა, მორიდებოდა უცხო კაპიტალის დამაფრთხობელი ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, უარეყო კონფისკაციის პრინციპი, უპირატესობა ანაზღაურებისა და გამოსყიდვის ფორმისათვის მიენიჭებინა. „ამ მოთხოვნილებას ვაყენებთ - წერდა კ.კაუცკი- ჩვენ ეკონომიკურის მოსაზრებით და არა სამართლიანობის გული სათვის."[49] რამდენადაც უცხო კაპიტალის საქართველოში „მოწვევა" კ.კაუცკის გარდუვალად მიაჩნდა, გამაფრთხილებელი ტონით დასძენდა: „უცხო კაპიტალი არ მოგევლინებათ საჩუქრის სახით; იმ კრიტიკულ მდგომარეობაში როგორშიც თქვენ იმყოფებით მას ვერც საქონლის გაცვლა-გამოცვლით მოიზიდავთ."[50] ეი. აქ განსაკუთრებული სპეციფიური პირობების შექმნა იყო საჭირო

იმისათვის, რომ უცხოეთის კაპიტალის ტური ქვეყნები საქართველოთი დაინტერესებულიყვნენ. რაც შეეხება თვით კაპიტალს, კ.კაუცკი მისი საქართველოში შემოსვლის ორ სახეობას გამოყოფდა: 1) უცხო კაპიტალის სესხის სახით შემოსვლა და 2) უცხო კაპიტალისტების მიერ ადგილობრივი ინდუსტრიული და სატრანსპორტო საწარმოების შექმნა ან დაარსება. ამ შემთხვევაში უპირატესობას პირველ ფორმას ანიჭებდა, რადგან მისი გამოყენება ეროვნული მრეწველობის განვითარების სრულ შესაძლებლობას იძლეოდა. „თუ სესხის თანხა სარგებლიანად მოხმარდა სახელმწიფო საწარმოო-დაწესებულებებს-წერდა კ.კაუცკი- მაშინ მოგება სახელმწიფოს ხელთ დარჩება და მხოლოდ კაპიტალის სარგებელი გავა საზღვარგარეთ."[51] რაც შეეხება მეორეს – უცხო კაპიტალის მიერ ქვეყნის ექსპლოატაციის მწვავე ფორმას წარმოადგენდა, რადგან მისი ამოქმედების შემთხვევაში საზღვარგარეთ გაედინებოდა არა მარტო კაპიტალის სარგებელი, არამედ მთლიანი მოგება, რის გამოც იგი შინაური ინდუსტრიის განვითარების შემფერხებლის ფუნქციას შეასრულებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კ.კაუცკი დასძენდა: „ამიტომაც საცა კი შესაძლებელია, პირველ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა. რა თქმა უნდა ძნელი იქნება საქმის შველა მეორე მეთოდის სრული უარყოფით, მაგრამ მას უნდა მიმართოთ როგორც უკიდურეს საშუალებას, რომელსაც გვერდი უნდა აუაროთ როგორც კი მდგომარეობა რამდენიმეთ გამოკეთდება."[52] აქ გარკვევითაა ნათქვამი, უცხოეთისაგან მოსალოდნელი დაკაბალების საწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავებისა და ეროვნული წარმოების შესანარჩუნებლად მისი სრულად ამოქმედების შესახებ. ადგილობრივი წარმოების განვითარების ერთ-ერთ პირობად, კ.კაუცკი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საჭიროებას ასახელებდა. იგი ქართველი პოლიტიკოსების წინაშე აყენებდა საკითხს, „თანამედროვე მსხვილ ინდუსტრიაში გაწვრთნილი" ისეთი სპეციალისტების მოწვევის შესახებ, რომლებიც მზათ იყვნენ საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების სამსახურში ჩამდგარიყვნენ და პროფესიული მოვალეობა პირნათლად შეესრულებინათ. „ასეთი მუშაკი-წერდა კ.კაუცკი- დასაფასებელია თუნდაც მისი საერთო პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებები ჩვენი პარტიის შეხედულებებს არ ეგუებოდეს. თქვენ არ შეგიძლიათ დაცდა მანამ თქვენსავე ქვეყანაში მოამზადებდეთ საჭირო ძალებს. ამნაირად საჭიროა მსხვილი ინდუსტრიის ორგანიზატორების, ხელმძღვანელების, მუშების მოწვევა. აქ ღირსებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ვინემ რაოდენობას. თქვენ გვ საჭიროებათ მხოლოდ გამოცდილი, სერიოზული ძალები.. უნიადაგო პროექტების კაცი თქვენ მხოლოდ ზიანს მოგაყენებთ."[53]

ჩვენს მიერ მოტანილი ეს მასალები იმ ზოგად პროგრამულ მონახაზს წრმოადგენს, რომელიც მაშინდელი საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას უნდა დადებოდა საფუძვლად. მართალია, ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებას ენიჭებოდა, მაგრამ, უცხოეთიდან მიღებული მოწყალებისადმი ლოდინი და ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების გზების ძიებაზე უარის თქმა, დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა ეროვნულ ძალებზე დაყრდნობით უნდა აღმოცენებულიყო. აქედან გამომდინარე, ისინი ეროვნული კაპიტალის გასაძლიერებლად ქვეყნის ტერიტორიაზე სააქციო საზოგადოებების შექმნას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ. ამის ერთ-ერთ ნიმუშათ „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოების" დაარსება (1918 წელი) გამოდგება. შავი ქვის მონოპოლიის განხორციელების მიზნით, ქართველთა და უცხოელთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე 1919 წელს შეიქმნა ერთი სინდიკატი-შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო", რომელსაც გარკვეულ პირობებში საზღვარგარეთ მარგანეცის გატანის მონოპოლიური უფლებები გადაეცა.[54]

ამ საზოგადეობის საქმიანობას ეხებოდა დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე (1920 წლის 27 აგვისტო) პ.მოდებაძის მიერ გაკეთებული მოხსენება. იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში კერძო ინიციატივის, უცხოეთის კაპიტალისა და სახელმწიფო საწარმოების ერთობლივი მოქმედების მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. „ამ გზით- ამბობდა პ.მოდებაძე- ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ დაკვირვებით, ვისწავლოთ ბევრი რამ კერძო კაპიტალისაგან და მასთან შეფარდებით განვავითაროთ საკუთარი წარმოება. ჩვენ არ შევზღუდავთ კერძო წარმოებას, პირიქით, ხელს შევუწყობთ ნორმალურ განვითარებას, მაგრამ ამავე დროს ვისარგებლებთ მისი გამოცდილებით, დაკვირვებით, ცოდნით ტექნიკით და ყოველივე ამას გადავიტანთ და შევაფარდებთ საკუთარ წარმოებას."[55]

ქართველი სპეციალისტები საკითხს სწორად აყენებდნენ, მაგრამ სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ერთობლივი საქმიანობა, ან მისი გამოცდილებით სარგებლობა, სამომავლო პერსპექტივას ქმნიდა და საქართველოს ეკონომიკას იმ ეტაპზე ჩიხიდან ვერ გამოიყვანდა. შექმნილი ვითარება ღრმად გააზრებული კონკრეტული და რადიკალური ნაბიჯის გადადგმას საჭიროებდა. ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ საგანგებო ეკონომიური მისიის ევროპაში გაგზავნის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მას სათავეში ფინანსთა

და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ.კანდელაკი ჩაუყენა და იგი ფართო რწმუნებებით აღჭურვა. ამასთან დაკავშირებით მის სახელზე გაცემულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „1) აწარმოოს მოლაპარაკება უცხოურ სახელმწიფოებთან, კერძო ბანკებთან, კორპორაციებთან და პირებთან საქართველოს რესპუბლიკისათვის კრედიტის გახსნისა და სესხის მიცემის შესახებ. 2) შესთავაზოს დაინტერესებულ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, კერძო დაწესებულებებსა და პირებს კონცესიები საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავრბა-მოპოვებაზე, ახალი რკინიგზების გაყვანაზე, პორტებზე, კურორტებზე და სხვა. 3) დადოს ყოველგვარი ხელშეკრულებები უცხოურ სახელმწიფოებთან და კერძო სავაჭრო-მრეწველურ დაწესებულებებსა და პირებთან.. მიიღოს ავანსი ყველა ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიხედვით.. განაგებდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კუთვნილ ყველა თანხებს, რომლებიც იმყოფება სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კერძო პირთა დაწესებულებებში და სხვა."[56]

როგორც ცნობილია, ეკონომიკური მისია კ.კანდელაკი, (ხელმძღვანელი), ფ.გოგიჩაიშვილი (სახელმწიფო კონტროლიორი), ნ.ნიკოლაძე ზ.ავალიშვილი და მ.სუმბათაშვილი) საქართველოდან 1920 წლის მარტში გაემგზავრა. იგი ჯერ იტალიაში, შემდეგ საფრანგეთსა და ინგლისში ჩავიდა, მაგრამ კავკასიაში მიმდინარე მძიმე პოლიტიკურმა პროცესებმა და თვით საქართველოს იურიდიულად არცნობის ფაქტმა, მისიის წარმატებულ საქმიანობაზე განსაკუთრებული უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა. ამის დადასტურებას კ.კანდელაკის მიერ 1920 წლის 6 აგვისტოს ლონდონიდან გამოგზავნილი წერილი წარმოადგენს. „ერთი უმთავრესი ამის მიზეზი – ვკითხულობთ მასში-სამწუხაროდ არის ის, რომ... არ გვცნობენ... განსაკუთრებით ინგლისში ჩვენი პოლიტიკური ფიზიონომიაც, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობაც ასახსნელი ხდება ყოველ წუთში... საგარეო სამინისტროს პოლიტიკა აქ დაახლოებით იგივეა, რაც მაქ განვიცადეთ: „მოითმინეთ, „დაგვაცადეთ" და სხვა."[57] ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, რვა თვის საქმიანობის შედეგად, მისიამ სამი მნიშვნელოვანი ხელშეკრულების გაფორმება შეძლო: 1) იტალიურ ფირმა „ილვასთან" (ბრძმედებისა და ფოლადსამსხმელო ქარხნების საზოგადოება) იტალია-კავკასიის გამნაღდებელ ბანკთან და იტალიის „კავკასიურ კომპანიასთან" ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დამუშავების კონცესიით გადაცემის შესახებ. ამ დოკუმენტის მიხედვით ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დამუშავების კონცესია საზოგადოება „ილვას" 43 წლით ეძლეოდა. მოსამზადებელ სამუშაოებს მხოლოდ სამი წელი ეთმობოდა, რომლის შემდეგაც საქართველოს მთავრობას ნა-

ტურით უნდა მიეღო: პირველი ათი წლის განმავლობაში ამოღებული ნახშირის-10%, მომდევნო ათ წელიწადს-15%, ხოლო ოცი წლის შემდეგ-20%. დამუშავებული პროდუქციის მოგების 10% „ილვას" რჩებოდა, ხოლო 10%-ზე ზევით მიღებული საერთო მოგების 50% საქართველოს მთავრობას. ხელშეკრულების ეს პროექტი საქართველოს მთავრობის 1921 წლის 11 იანვრის სხდომის მიერ იქნა მოწონებული იგი საბიუჯეტო-საფინანსო (1921 წლის 13 იანვარი) და დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის (1921 წლის 16 იანვარი) სხდომამაც მოიწონა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „დამტკიცდეს აქტი ტყვარჩელის ქვანახშირის საკონცესიო ხელშეკრულებისა. ხელშეკრულება დადებული ათას ცხრაას ოცის წლის ოქტომბრის 11-ს ქალაქ რომში ერთის მხრით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და მეორეს მხრივ ბრძმედების ფოლად სამსხმელო ქარხნების „ილვას" საზოგადოებისა, იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკისა და საკავკასიო-იტალიის კომპანიას შორის ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიის შესახებ და აგრეთვე დამატებითი ხელშეკრულება დადებული იმავე თარიღით ზემოხსენებულ მხარეთა შორის იმავე საგანზე დამტკიცებულ იქნეს."[58] 2) ფრანგული საზოგადოების „ფერრანგენტრანის" თავმჯდომარე ემილ ფერრანთან-საქართველოში აბრეშუმის ძაფსაღები და ძაფსართავი ფაბრიკების მშენებლობა-ექსპლოატაციაზე კონცესიის 25 წლის ვადით მიცემის შესახებ. ხელშეკრულების ეს პროექტი 40 მუხლისაგან შედგებოდა და ერთ-ერთ პუნქტად „ქართულ-ფრანგული საზოგადოების დაარსების აუცილებლობა იყო შეტანილი. მას საქართველოს მხრიდან კ.კანდელაკი, ხოლო საფრანგეთის მხრიდან ე.ფერრანი აწერდა ხელს. იგი მთავრობის 1921წლის 18 იანვრის სხდომამ ძირითადად მოიწონა და დამფუძნებელ კრებას გადასცა დასამტკიცებლად.[59] იმასთან დაკავშირებით თუ რას მისცემდა ამ ხელშეკრულების ამოქმედება საქართველოს, ამის შესახებ კ.კანდელაკის მოხსენებაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ საქართველო პარკის წარმოებას 200 ათასიდან –მილიონ კილომდე თუკი გაზრდიდა, მაშინდელი საერთაშორისო ფასების მიხედვით (ერთი კილო პარკის ღირებულება 80 ფრანკით განისაზღვრებოდა) სახელმწიფო ყოველ წლიურად 80 მილიონ ფრანკს ქართული ფულის მაშინდელი კურსით 20 მილიარდ მანეთს მიიღებდა. 3) ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან (ხელშეკრულებით საბანკო ჯგუფი) დადებული ხელშეკრულების მიხედ ვით, საქართველოს მთავრობას ხუთი წლის ვადით-1,5 მილიონი გირვანქა –სტერლინგი ეძლეოდა სესხად. ექვსთვიანი სახაზინო თამასუქების საპირ-

ისპიროდ. წლიურად 2%-ით მეტი სარგებლით, ვიდრე თამასუქების განაღდებისას ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის დისკონტი იქნებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, კ.კანდელაკის მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით, იმ პერიოდში აღნიშნული ბანკის დისკონტი 7%-ს უდრიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის წლიური გადასახადი 9%-ს შეადგენდა, ხოლო საკომისიოსთან ერთად 9,37%-ს[60] რაც შეეხება თვით ინგლისურ ბანკს, იგი გაცემულ სესხში საქართველოს მთავრობისაგან საგარანტიოდ მარგანეცის მრეწველობასა და მისი ექსპორტით მიღებულ შემოსავალს მოითხოვდა, მანამ „სანამ ყველა სახაზინო თამასუქები, ხარჯები და სარგებელი მათი განაღდების მიხედვით არ იქნებოდნენ სავსებით ანაზღაურებულნი."[61] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ზემოთადნიშნული სამივე ხელშეკრულება, საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ დაწუნებულია და უარყოფითადაა შეფასებული, მაგრამ არსად მითითებული არ არის უკეთესი ეფექტური შედეგების მომტანი გამოსავალი გზის შესახებ. ის დათმობა, რომელიც ხელშეკრულების პროექტებშია მოცემული, იძულებითი გარემოებებით იყო განპირობებული და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია და მისი უგულებელყოფა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისას არასწორი დასკვნების გაკეთების საფუძველი შეიძლება გახდეს. საქართველოს ეკონომიკის ძირეული რეფორმისათვის, როგორც ზემოთმოტანილი მასალებით დასტურდება, ქართული სოციალ-დემოკრატია ფაქტობრივად მომზადებული იყო. ამის დადასტურებას კავშირგაბმულობის სფეროში გატარებული რეფორმა წარმოადგენს. ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რა დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში კავშირგაბმულობის გამართული მუშაობა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში, ეს დარგი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. არ ფუნქციონირებდა ფოსტა, განადგურებული იყო „ტრაქტები", დიდი ხნის განმავლობაში შეუკეთებლობის გამო სატელეფონო ბოძები წაქცეული, ხოლო ტელეგრაფის ხაზები ნახევრად დაწყვეტილი იყო, უწყება მაღალ კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდიდა. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ სფეროს დაუყოვნებლივი მოწესრიგება და მისი სრული ამოქმედება აუცილებლობას წარმოადგენდა. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ (1918 წლის 29 ოქტომბერი) სპეციალური კანონიც იქნა მიღებული. არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედ-

ვად, საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო თანხები გამოძებნა, რათა დაუყოვნებლივ შესრულებულიყო შემდეგი სახის სამუშაოები: 1) სასიცოცხლო პუნქტების, დაწესებულებების, ქალაქების, დაბების და სოფლების ცენტრთან დაკავშირების მიზნით, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე განხორციელებულიყო ტრაქტების აღდგენა და სატელეფონო ხაზების შეკეთება. 2) მეზობელ სახელმწიფოებთან და დასავლეთ ევროპასთან ტელეგრაფ-ტელეფონის კავშირის აღდგენა, 3) უწყების გაჯანსაღება კადრების შემადგენლობის მხრივ და სპეციალისტების მომზადება. თუ როგორ მიმდინარეობდა აღნიშნული პროგრამის შესრულება, ამის შესახებ საყურადღებო ფაქტებია მოტანილი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსის- მელაძის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1921 წლის 15 იანვარი). მასში მოტანილი მონაცემების მიხედვით, არსებული სამუშაოებიდან უწყებას 95% შეუსრულებია. შეუკეთებია 3261 ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზი, რესპუბლიკის 63 სოფელში გაუხსნია ფოსტა-ტელეგრაფის ახალი განყოფილებები, 196 ტელეფონის სადგური,[155] საერობო-სატელეფონო და 41 საქალაქთაშორისო სადგური. რამდენადაც საქართველო **de-jure** არცნობიდან გამომდინარე საერთაშორისო საფოსტო კავშირის წევრად არ ითვლებოდა, ევროპასთან სატელეფონო კავშირის დამყარებას მხოლოდ იტალიისა და ინგლისის გემების მეშვეობით ახერხებდა.[62] აჯამებდა რა გაწეული მუშაობის შედეგებს, შინაგან საქმეთა მინისტრი-ნ.რამიშვილი მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1921 წლის იანვარი) გარკვევით მიუთითებდა: „რესპუბლიკის ყველა ნაწილი უკავშირდება ცენტრს, უწყებამ დაავალა ფოსტა-ტელეგრაფის დეპარტამენტს, ფოსტის კანტორების და ტელეფონის სადგურების გამრავლება. მცირე ხნის განმავლობაში დეპარტამენტმა შეძლო ეს და დღეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არ არის დარჩენილი არც ერთი არათუ ქალაქი, ან დაბა, არამედ მოზრდილი სოფელიც კი, რომ იქ არ იყოს ფოსტის კანტორა ან ტელეფონის სადგური. საქართველოს დედაქალაქი გადაბმულია დღეს სხვა ქალაქებთან და სოფლებთან."[63]

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე ეკონომიკური პროგრამის განხორციელების მიზნით, რეფორმების გატარებას იწყებდა და მას ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს უქვემდებარებდა.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი კრიზისის მხოლოდ მმართველი პოლიტიკური პარტიისათვის გადაბრალება მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ა) იგი გლობალური პროცესების: პირვე-

ლი მსოფლიო ომის, რუსეთში მიმდინარე მოვლენების, მძიმე მემკვიდრეობისა და სამოქალაქო ომისგან ქვეყნის გადასარჩენად გაღებული ხარჯების უარყოფითი ზემოქმედების შედეგს წარმოადგენდა. ბ) 117 წლის მანძილზე მეფის ხელისუფლებისაგან ადგილობრივი ეკონომიკის ხელოვნურად შეფერხებამ, საქართველო მხოლოდ რუსული ნაწარმის გასაღების ბაზრად აქცია და წარმოების განვითარების შესაძლებლობები ნულამდე დაიყვანა. 2) უმაღლესი ეკონომიკური საბჭოსა და მრეწველთა კავშირის შექმნა, ფინანსურ-ეკონომიკური პროგრამის შემუშავება, ადგილობრივი სააქციო საზოგადოებების „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოების", შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემოს" დაარსება, იტალიურ-ფრანგული ფირმებთან („ილვა, „ფერრან-გენტრანი") და ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბანკთან „საბანკო ჯგუფთან" –ხელშეკრულებების გაფორმება, ადგილობრივი წარმოების ბაზაზე სამრეწველო კაპიტალის ამოქმედებას და ევროპული ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებდა. ყოველივე ეს, საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას და ეროვნული მეურნეობის აღორძინებას ისახავდა მიზნად. ამ საქმეში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლომის წილი იყო ჩადებული.

§ 2 საფინანსო პოლიტიკა და მისი შედეგები

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის პირველი რიგის ამოცანას საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის სწორად გატარება და მისი დაუყოვნებლივი მოწესრიგება წარმოადგენდა. ეს აუცილებლობა დემოკრატიული საქართველოს მმართველ ელიტას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. არსებული სინამდვილე სურვილისა და შესაძლებლობის შეთავსების საშუალებას არ იძლეოდა. „ახალი ეკონომიკურ-ფინანსური შენობის" ასაგებად მათი საქმიანობა უკიდურესად რთულ, თითქმის „გარე სამყაროსაგან მოწყვეტილ" პირობებში მიმდინარეობდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ამ მდგომარეობიდან გამოყვანის სურვილი დასავლეთ ევროპის არცერთ სახელმწიფოს არ გასჩენია. ეს გარემოება იმდენადაა გასათვალისწინებელი, რამდენადაც საქართველოს ხელისუფალთ ურთულესი ეკონომიკური პრობლემებისადმი შეჯიდება გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად უხდებოდათ. ეროვნული ვალუტის უქონლობა და ამიერკავკასიის ბონების მიმოქცევისათვის რეგიონის ერთიანი ფინანსური სივრცის არარსებობა, ორმაგ სირთულეებს ქმნიდა მხედველობაში გვაქვს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღე

ბად ამიერკავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან საგანგებო შეთანხმების აუცილებლობა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სირთულეები ოპერატიულობის თვალსაზრისით იქმნებოდა. ხშირად ესა თუ ის საკითხი ურთიერთდაპირისპირებისა და გაუთავებელი დისკუსიის საგანი ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ფინანსისტ-ეკონომისტები არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი გზის პოვნას მაქსიმალურად ცდილობდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ შექმნილი პრობლემების მოწესრიგება რესპუბლიკის საარსებო ინტერესებთან იყო დაკავშირებული. ამის შესახებ მაშინდელი ფინანსთა მინისტრი გ.ჟურული ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 ივლისის სხდომაზე, საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. მისი თვალსაზრისი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მისაღები იყო, მაგრამ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა გარკვეული მიზეზების გამო ფერხდებოდა. ეროვნული ფულადი ერთეულის შემოღების აუცილებლობა მთელი პრინციპულობით დამფუძნებელი კრების 1919 წლის 8 ივლისის სხდომაზე იქნა დასმული. მხედველობაში გვაქვს ქართული ბონების გამოსაცემად მომზადებული დეკრეტის განხილვა. დ. ონიაშვილის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში დაწვრილებით იყო საუბარი იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების ნაცვლად, ქართული ფულადი ერთეულის გამოცემის აუცილებლობა განაპირობა. „საფინანსო კომისიის წევრები- ამბობდა დ. ონიაშვილი- გრძნობენ, რომ ქართულ ბონებს აქვთ დიდი ნაკლი, მაგრამ ეს არის თანდაყოლილი თვისება ყველა ბონებისა.. რა თქმა უნდა.. ბონებს ნამდვილი ფული ჯობია, მაგრამ ვალუტის უქონლობის გამო ნამდვილი ფულის გამოცემა ამჟამად შეუძლებელი ხდება."[64] იმავე მოხსენებიდან ირკვევა, რომ მთავრობას 300 მილიონი მანეთის ბონი უნდა გამოეშვა, რომელიც საქართველოს მთელი ქონებით იქნებოდა უზრუნველყოფილი. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული დეკრეტის მიხედვით, ქართული ბონის რესპუბლიკის საზღვრებში მიმოქცევა რუსული ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად სავალდებულოდ კანონდებოდა.[65] ამ მხრივ საქართველოს მთავრობამ გაბედული ნაბიჯი გადადგა და ეროვნული ფულის ნიშნები მიმოქცევაში შემოიტანა.

მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, მოსალოდნელი სირთულეები და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობა, კარგად ქონდათ გაცნობიერებული. თუკი ისინი რისკზე მიდიოდნენ, ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდა, რადგან ხაზინის სიძლიერე, სახელმწიფოს ყველა რგოლის წესიერად მოქმედების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „საქართველოს ბონები" ხაზგასმით წერდა"

ბონების გამოცემა აუცილებელია, მაგრამ ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრივ მომზადებაზე და სიმწიფეზე არის დამოკიდებული, სასარგებლო იქნება ეს ნაბიჯი თუ საზიანო. ეს ზომა დროებითია, გარდამავალი საჭიროებით არის გამოწვეული. სახელმწიფომ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარი ვალუტის შექმნას, რომ შესაძლებელი გახდეს ბონები ახლო მომავალში ნამდვილი ფულით შეიცვალოს."[66]

აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქართული ბონების ბედი საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფოებრივი ცნობიერების დონეს უნდა განესაზღვრა, კერძოდ, რა პოზიციას დაიჭერდნენ ისინი ეროვნულ ფულად ნიშნებთან მიმართებაში. რამდენადაც საკითხი ასე პრინციპულად იდგა და საფინანსო რეფორმის ბედს თვით საზოგადოება განსაზღვრავდა, ეს მომენტი ხელისუფლებას პირველ რიგში უნდა გაეთვალისწინებინა და ისეთი კურსი გაეტარებინა, რომელიც ბუმერანგივით მის საზიანოდ არ შემობრუნდებოდა. საქართველოს მთავრობამ, როგორც ამის შესახებ ნ. ჯავახიშვილი შენიშნავს, გონივრული ნაბიჯი გადადგა; 1) მეანაბრეებს კუთვნილი თანხის სასურველი ვალუტით-რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები, ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები და საქართველოს ბონებით გატანის უფლება მისცა, 2) ქართული ბონების გამოცემის შემდეგ ამიერკავკასიის ბონების ემისიის შეწყვეტის მიუხედავად, ამ ბონების საერთო ჯამიდან საქართველოს წილად მოჭრილი 540 მილიონი მანეთი მთავრობამ მიმოქცევიდან ერთბაშად კი არ ამოიღო, იგი ეტაპობრივად განახორციელა და საბანკო ქსელში შესვლისთანავე გაანადგურა.[67] ეს ღონისძიება, ქართული ბონებისადმი მოსახლეობის ნდობის შენარჩუნებისა და მისი ერთადერთ საგადამხდელო ერთეულად დამკვიდრების მიზნით იყო გატარებული. ხელისუფლების წინაშე პრინციპულად იდგა საკითხი, რამდენად „სიცოცხლისუნარიანი" აღმოჩნდებოდა ქართული ბონი და გაუძლებდა თუ არა იგი საბაზრო კონკურენციას. საკითხის დადებითად გადაწყვეტა იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი მოხერხდებოდა იმ მექანიზმის შემუშავება, რომელიც ქართულ ბონებს დევალვაციისაგან დაიცავდა და სიმტკიცეს შეუნარჩუნებდა. როგორც საარქივო და პრესის მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, ასეთი „გასაღების" მოძებნა იმ ეტაპზე შეუძლებელი გახდა, რის გამოც მისი სიმტკიცის სტაბილურობის შენარჩუნება კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა. ამის გამომწვევ ძირითად მიზეზად ქართველი ფინანსისტ-ეკონომისტების მიერ რამდენიმე ფაქტორი იქნა დასახელებული. 1) ქართული ფულის ფარული მოწინააღმდეგენი. კონკრეტულად თუ ვინ მოიაზრებოდა ამ ცნებაში, ამის შესახებ საინტერესო თვალსაზრისია გამოთქმუ

ლი ივ.ჭავჭანიძის მიერ გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „დაყოვნება დანაშაულია". ავტორი დაწვრილებით განიხილავს ქართული ფულის დევალვაციის მიმდინარე პროცესს და მას საქართველოს დაუძინებელი მტრების წინასწარგანზრახულ ქმედებად მიიჩნევს. ამ დანაშაულებრივ საქმეში თბილისში მომქმედი რუსული ბანკების როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. აღნიშნული ბანკები იმ სახლმწიფოთა სამსახურში იდგნენ, რომელთა მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობა წარმოადგენდა. ამის მიღწევას იარაღის გარეშე, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შექმნით, რესპუბლიკაში ანარქიისათვის ნიადაგის მომზადებით ცდილობდნენ. რუსული ბანკებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო, საქართველოს ხელისუფლების მისამართით გაზეთი საყვედურს გამოთქვამდა და გადამჭრელი ფინასურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საკითხს აყენებდა „წინააღმდეგ შემთხვევაში – წერდა ივ. ჭავჭანიძე-ჩვენ ჩავიდენთ უდიდეს დანაშაულს." მისი თავიდან აცილების აუცილებელ პირობად, საქართველოში მოქმედი რუსული ბანკების დაუყოვნებლივ დახურვა მიაჩნდა. „ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ რუსული ბანკების იმ განყოფილებების დახურვის წინაშე- ვკითხულობთ სტატიაში – რომლებიც ხელოვნურათ ზრდიან უცხო ვალუტის კურსს და მით სამარეს უმზადებენ ჩვენს რესპუბლიკას. ვერ უნდა შეგვაშინოს დატუსაღებამ და საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებამ იმ ვაჟბატონებისამ, რომლებიც ეკონომიურ მუხრუჭს უჭერენ კისერში ჩვენ დემოკრატიას. ამას გვიკარნახებს მომენტი და ჩვენც უნდა ვისმინოთ ეს კარნახი."[68]

როგორც ვხედავთ, საკითხი პრინციპულად იყო დასმული და მისი დროული გადაწყვეტა, ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს უკავშირდებოდა. აღნიშნული სტატიის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ავტორი ხელისუფლებას მოქმედების კონკრეტულ წინადადებებს სთავაზობდა. კერძოდ; ა) ქართული ბონების ხელოვნურად დევალვაციის პირობების შემქმნელთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას ბ) ყველა სახეობის სავალუტო საქონელზე მონოპოლიის გამოცხადებას, გ) სპეკულაციის მიმდევართა შუამავლობის აღკვეთას და უცხოეთის ბაზარზე სავალუტო საქონლის საკუთარი აგენტების მეშვეობით გატანის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებელი მომარაგების ორგანოს შექმნას. „სხვა გზა არ არსებობს- ვკითხულობთ წერილში- ჩვენი ბონების კურსის გასამყარებლად, ეკონომიკური და ფინანსური ქრახის ასაცილებლად. ვიჩქაროთ სანამ გვიან არ არის."[69]

2) სავალუტო ბაზის უქონლობა. როდესაც ფულის კურსის დაცემის შესახებ ვსაუბრობთ, ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინე-

ბელია. მართალია, 11 ივლისის დეკრეტით ქართულ ბონს საქართველოს მთელი ქონება დაედო საფუძვლად, მაგრამ უცხო კაპიტალის საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრით დაინტერესება, ინვესტიციების მოზიდვა და სესხის აღება იმ ეტაპზე საკმაოდ ხანგრძლივ პროცესად გადაიქცა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა ყოველგვარი ფინანსურ-ეკონომიკური ბაზის გარეშე შეიქმნა. „როცა სახელმწიფო შევქმენით – ამბობდა ნ.ხომერიკი-ჩვენ არა გვქონია არც ოქროს ვალუტა და არც სხვა რაიმე განძი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ჩვენი ფულის ტრიალს.. საქართველოს რესპუბლიკის ბონებს ხომ სულ არ ქონებია ოქროს უზრუნველყოფის იმთავითვე.. ჰაერში გამოკიდებული ფულის ნიშნები იყო."[70] ეს რეალობას წარმოადგენდა და მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების შედარებისას პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული. 3) სახელმწიფო აპარატის სრულყოფილად მოუწყობლობა. ამ ფაქ ტორს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლეოდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი სახელმწიფოს კონტროლის უნარიანობას განსაზღვრავდა. მხედველობაში გვაქვს, ხელისუფლების საზედამხედველო აპარატის საქმიანობა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ეს სფერო განსაკუთრებული ხარვეზებით გამოირჩეოდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს მისი გამოსწორების ალტერნატიული მოსაზრებებიც გააჩნდათ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ი. იმერლიშვილის სტატია „ზოგი რამ ფინანსური პოლიტიკისათვის." სწორი ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთ საფუძველს იგი ორგანიზაციულად მოწყობილ სახელმწიფოში ხედავდა და აყენებდა საკითხს, ყოველმხრივ მოწესრიგებული სახელმწიფო აპარატისა და შეთანხმებულად მომუშავე ორგანოების დაუყოვნებლივი შექმნის შესახებ. იმავდროულად მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს შეახსენებდა; „ფინანსური მდგომარეობა სარკეა თვით სახელმწიფოს ყოველმხრივი, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური მდგომარეობის. ფინანსური სიმტკიცე გამომხატველი და მაჩვენებელია თვით სახელმწიფოს სიმტკიცისა და მისი კეთილდღეობისა."[71]

ასეთი პრეამბულის შემდეგ, საზოგადოების ყურადღებას ი.იმერლიშვილი ქართული ბონების კურსის დაცემის ძირითად მიზეზებზე ამახვილებდა და მას შემდეგნაირად მოიაზრებდა: 1) ეკონომიკური- ა) სახალხო სიმდიდრის – მოთხოვნილებაზე ნაკლები რაოდენობით დამზადება, ბ) საწარმოო ძალების განუვითარებლობა, გ)შრომის ნაყოფიერების დაცემა, დ)სპეკულაცია, ე)მიწების ყიდვა-გაყიდვის დიდი ხნით შეჩერება, ვ) ხელფასისა და ფასების ზრდა. 2) ფინანსური ხასიათის – ა) გადასახადების – ფასების

ზრდასთან ჩამორჩენა, ბ) მათი დროებითი გადაუხდელობა, გ) ზედმეტი ბონების მოჭრა, დ) კრედიტის განუვითარებლობა, ე) აქტიური სავაჭრო ბალანსის უქონლობა, ვ) ბაჟების და ტარიფების ჩამორჩენა ფასების ზრდასთან შედარებით, ზ) საკუთარი ვალუტის უქონლობა 3) პოლიტიკური ხასიათის ა) რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა, ბ) შინაური პოლიტიკური მდგომარეობა. როგორც ვხედავთ, აქ პრეტენზია სახელმწიფოს მთლიანი ეკონომიკური სპექტრისადმია წაყენებული და მისი სრულყოფილ კალაპოტში ჩაყენება ხანგრძლივ და ეტაპობრივ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. 4) ხელფასების მომატება და ფულის უსისტემო ბეჭდვა. ერთი ურთულესი საკითხთაგანი, რომელიც საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში არსებობდა, ხელფასსა და საქონლის ფასებს შორის არსებული „მაკრატელი" იყო. ხელფასის გადიდების ხარჯზე მისი მოგვარების რამდენიმე მცდელობამ, ფასების ხელოვნური ზრდა განაპირობა, ხოლო უკანასკნელმა ფულის უსისტემო ბეჭდვა. ს.სავალიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემის მოსაგვარებლად გამოყენებული აღნიშნული პროცესი „ყველაზე ცუდ საშუალებათა შორის.. ყველაზე ცუდი"-იყო[72] მისი გაღრმავების ხელშემწყობ მიზეზს, რესპუბლიკაში საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობაც ემატებოდა. თუ რამდენად რთული მდგომარეობა იყო შექმნილი ამ მხრივ ქვეყანაში, ამის საილუსტრაციოდ ნ.ჟორდანიას მოგონებებიდან შესაბამის ამონაწერს მოვიტანთ; „სავალალოდ გაგვიხდა ფინანსური აწეწილ-დაწეწილობა – წერს ნ.ჟორდანია-ყველა პირი თუ დაწესებულება მთავრობას სთხოვდნენ დახმარებას. ერობები და ქალაქები პირდაპირ ხაზინას მისჩერებოდნენ.. ხაზინის შემოსავალი ერთად-ერთი გადასახადები იყო, ხოლო მისი აკრეფისათვის არავინ ზრუნავდა. ეს საქმე ჰქონდა დავალებული თემებს, ერობებს და ქალაქებს. ესენი კი არავითარ ზომებს არ იღებდნენ. დაგვრჩა ფულის საბეჭდავი მანქანა ერთადერთ წყაროდ შემოსავლისა."[73] როგორც ვხედავთ, ხაზინის გასავალი სჭარბობდა მის შემოსავალს, ხოლო მოსახლეობისაგან გადასახადების ამოღებაში ადგილობრივი ორგანოები უსუსურნი იყვნენ. თუ რამდენად უარყოფითი შედეგი გამოიღო ასეთმა უმოქმედობამ, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი ეკონომიკურ თათბირზე ნ.ხომერიკის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში. „ქაღალდის ფულის რაოდენობა ჩვენში – ამბობდა ნ.ხომერიკი აღარაფრით აღარ ეფარდება საქონლის ტრიალის საჭიროებას.. მილიარდი რომ გადის ხაზინიდან, უკან მარტო მილიონები ბრუნდება. ამიტომ, რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ფული იბეჭდება, რამდენად ეცემა მისი კურსი, იმდენად მატულობს მისი საჭიროება. მეტი ფულის ნიშნები, კიდევ უფრო მეტი ფულის ბეჭდვას იწვევს."[74] აქედან გამომდინარე, იგი კატეგო-

რიულად მოითხოვდა ქაღალდის ფულის რაოდენობის მკაცრად განსაზღვრას.[75]

აღნიშნული შეხედულება მან შესაბამისი ფაქტების მოშველიებით მთელი პრინციპულობით დაიცვა სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 13 სექტემბრის საგანგებო სხდომაზე. იმავდროულად დააყენა საკითხი- რესპუბლიკის ფინანსური პოლიტიკის დაუყოვნებლივი შეცვლის, უმიზნო ხაჯების შემცირების, ზოგიერთი დაწესებულების სრული ლიკვიდაციის, შემოსავლის წყაროს გადასინჯვის, შინაური სესხის მოწყობისა და ადგილობრივი წარმოების ასამუშავებლად საჭირო პირობების შემზადების შესახებ.[76] სხდომის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით, რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის გაჯანსაღებას საფუძვლად უნდა დადებოდა: ა) ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება, ბ) მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება, გ)საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება, დ) ექსპორტის გაძლიერება და იმპორტის შემცირება.[77] ამ საკითხების მოგვა რებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმდენად, რამდენადაც ისინი ერთმანეთზე იყვნენ გადაჯაჭვულნი და ქართული ბონების კურსს განსაზღვრავდნენ. გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში მხოლოდ ორ საკითხს შევეხებით: 1) საქართველოს ბიუჯეტში არსებულ მდგომარეობას, 2) ექსპორტისა და იმპორტის სფეროში მიმდინარე პროცესებს. 1) მართალია, რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური სფეროს ძირითად მარეგულირებელ და ხარჯთაღრიცხვის განმსაზღვრელს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა, მაგრამ იმ ეტაპზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები პრიორიტეტების შერჩევის შესაძლებლობას არ იძლეოდა. მხედველობაშია მისაღები ის საომარი ოპერაციები და ბოლშევიკების მიერ ანარქიის შესაქმნელად გამიზნული აჯანყებები, რომლებმაც ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი უზარმაზარი თანხები შთანთქა. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტს მოვიტანთ: 1918 წლის მაისიდან 19 ოქტომბრამდე სამხედრო უწყებამ 54. 522.000 მანეთი, ხოლო შინაგან საქმეთა უწყებამ 14.400,000 მანეთი დახარჯა.[78]

საქართველოს ხაზინას სომხეთთან ომი (1918 წლის დეკემბერი) 100 მილონი მანეთი დაუჯდა. აზერბაიჯანელთა აგრესია (1920 წლის მაისი) 1,5 მილიარდი მანეთი. რაც შეეხება ანარქიასთან ბრძოლას ხაზინამ მარტო 1919 წელს 200 მილიონი მანეთი გაიღო.[79] იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლიანობაზე ანარქიული პროცესები, ამის საილუსტრაციოდ სსდმ პარტიის ამიერკავკასიის მერვე საოლქო ყრილობაზე კ.კანდელაკის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან

შესაბამის ციფრობრივ მონაცემებს მოვიტანთ. 1918 წლის აგვისტის პირველ ნახევარში, რესპუბლიკის ხაზინის შემოსავალი 280.000 მანეთს უდრიდა, მეორე ნახევარში- 220000 მანეთს, სექტემბრის პირველ ნახევარში- 5.600.000 მანეთს, სექტემბრის მეორე ნახევარში- 4,200.000 მანეთს, ოქტომბრის პირველ ნახევარში- 2.800 000 მანეთს"[80]. როგორც ვხედავთ, ქვეყანაში სტაბილური სიტუაციის შექმნისთანავე, ხაზინის შემოსავალმა ყველაზე მაღალ ჭერს 5.600000 მანეთს მიაღწია. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, იგივე კანდელაკი, რესპუბლიკის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ პირობად, სტაბილურობასა და ერთდროული პირდაპირი გადასახადების აკრეფის მოწესრიგებას მიიჩნევდა, რომელიც ხაზინას –70, ხოლო საერთო ჯამში 220 მილიონ მანეთს მისცემდა.[81] თუ რამდენად დიდ თანხებს საჭიროებდა ქვეყნის ანარქიული პროცესების მოწესრიგება, გრ.გიორგაძემ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 ივლისის სხდომაზე 1919-1920 წლების ბიუჯეტის პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ანგარიშგასაწევი ფაქტები მოიტანა. მან განსაკუთრებული ყურადღება ამა თუ იმ უწყების მიერ ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების პროცენტულ მაჩვენებლებზე გაამახვილა. მის მიერ მოტანილი ციფრების მიხედვით, პირველ ადგილზე თავდაცვის სამინისტრო იყო- 27,5%, მეორეზე გზათა უწყება-22%, მესამეზე ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მეოთხეზე შინაგან საქმეთა, მეხუთეზე სახალხო განათლების. „საფინანსო კომისია- ამბობდა გრ.გიორგაძე- არ არის მომხრე ბიუჯეტის მილიტარიზაციის, მაგრამ როდესაც.. თავს გვესხმიან, იძულებული ვხებით დავიცვათ თავი. სულ სხვა არის, როდესაც სახელმწიფო აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას,- ჩვენ კი ვაწარმოებთ თავდაცვით პოლიტიკას.. ცხოვრებამ ისეთი პირობები წამოაყენა, რომ სამხედრო უწყების ხარჯები გაიზარდა."[82] ასეთ პირობებში მყოფ სახელმწიფოს, სტაბილური ბიუჯეტი ვერ ექნებოდა და დეფიციტიც გარდუვალი იყო. მაშინდელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1918-1919 წლის ბიუჯეტის შემოსავალი-174.250 ათასი მანეთი იყო, ხოლო გასავალი-663507 ათასი. ე.ი. დეფიციტი 489257 ათასი მანეთი ანუ- 75%; 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებდა: შემოსავალს 1. 163. 564485 მანეთს, გასავალს 1.960 490 798 მანეთს, ხოლო არსებული დეფიციტის –696 916.313 მანეთის დაფარვა მთავრობის სამეურნეო ოპერაციებით იყო ნავარაუდევი.[83] ეს პროგნოზი არ გამართლდა, ბიუჯეტი შეუსრულებადი გახდა და დეფიციტმა 76,3% შეადგინა. ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დადასტურებაა. იმის გამოსარკვევად, მმართველი პოლიტიკური პარტიის შეცდომებმა განაპირობა აღნიშნული გარდვევები

თუ იგი საერთო ხასიათის მოვლენას წარმოადგენდა, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს კ.კანდელაკის ნაშრომი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“ იძლევა. მასში მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებს თუკი ვერწმუნებით, 1919-1920 წლებში, ევროპის ქვეყნების საბიუჯეტო დეფიციტი სახელმწიფო შემოსავლიდან დაიფარა. ბელგიაში-35%, იტალიაში –29,8%, რუმინეთში-27,6%, საქართველოში-23,6%, პოლონეთში-22%, ესტონეთში-21,7%, გერმანიაში-11,7 %. „ყველა ეს სახელმწიფოები- წერს კ. კანდელაკი-.. ფარავდნენ.. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს შინაური და საგარეო სესხით, ქაღალდის ფულის ზომაზე მეტად ბეჭდვით, მაგრამ არ დაღუპულან და ეკონომიკური აღორძინების გზაზე მალე გამოვიდნენ.”[84] არსებული მასალების მიხედვით, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა სა და ეროვნული ფულის სტაბილურობის შენარჩუნებას მაქსიმალურად ცდილობდნენ. შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებდნენ იმას, რის საშუალებასაც იმ პერიოდის რეალური სინამდვილე იძლეოდა. ამის ერთ-ერთ საუკეთესო დადასტურებას ეკონომიური თათბირის (1920 წლის ოქტომბერი) მასალები წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ნ.ხომერიკის მოხსენება იქცევს. სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული გარღვევების აღმოფხვრისა და წონასწორობის აღდგენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, იგი შემოსავალ-გასავლის სკრუპულოზური სიზუსტით გათვალისწინებით, ხარჯების გადასინჯვას მოითხოვდა. იმავდროულად აყენებდა საკითხს: 1) მოეხდინათ თვითმმართველობათა საბიუჯეტო უფლებების დაკანონება, ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადების დაუჭოვნებლივ განსაზღვრა, 2) სახელმწიფო ქონებიდან (მამულები, საწარმოო დაწესებულებები) მაქსიმალურად ამოეღოთ შემოსავალი, 3) საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად შემოეღოთ შინაური სავალდებულო სესხი და იგი შესაძლებლობის მიხედვით ყველასათვის სავალდებულო გაეხადათ. „თუ ამ საშუალებების ამოწურვის შემდეგ-ამბობდა ნ.ხომერიკი- სახელმწიფო მაინც ვერ შესძლებს თავის აუცილებელი ხარჯების დაფარვას. შესაძლებელია დეფიციტის ნაწილი პირველ ხანებში დაიფაროს ემისიის საშუალებით, მაგრამ მთელი ჩვენი ენერგია იქითკენ უნდა იყოს მიმართული რომ ეს არ მოხდეს.”[85]

იმ შემთხვევაში, თუკი ზემოთ აღნიშნული ღონისძიება დადებით შედეგს ვერ გამოიღებდა, ნ.ხომერიკი უკიდურესი ფორმის-ემისიის გამოყენების საკითხს აყენებდა. აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, იგი ემისიის საშუალებით ბიუჯეტის მხოლოდ ნაწილის დაფარვას მიიჩნევდა შესაძლებლად. ასეთი პოზიცია შემთ-

ვევითობით არ იყო გამოწვეული. მას კარგად ესმოდა, რომ თუკი ქაღალდის ფულის რაოდენობა საქონლის ბრუნვის საჭიროებას დასცილდებოდა, მისი კურსის დაცემა გარდუვალი გახდებოდა. „რაც მეტი ფული იბეჭდება- ამბობდა ნ. ხომერიკი- იმდენად ეცემა მისი კურსი, იმდენად მატულობს ფულის საჭიროება. მეტი ფულის ნიშნები კიდევ უფრო მეტი ფულის ბეჭდვას იწვევს"[86] ეს გარემოება თათბირის მონაწილეებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, ამიტომ ნ.ხომერიკის თვალსაზრისს კამათი არ გამოუწვევია. რაც შეეხება ემისიას, რესპუბლიკის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში არაფერი იყო ნათქვამი. რეზოლუციის სპეციალურ ნაწილში- „ფინანსების გასაუმჯობესებლად" ნომერ პირველ ამოცანად, შემდეგი სახის ღონისძიებების გატარება იქნა მიჩნეული: ა) ქაღალდის ფულის რაოდენობის განსაზღვრა, ბ) რუსეთის ძველი საკრედიტო დაწესებულებების ლიკვიდაცია გ) ბანკების კონტროლი, დ)სახელმწიფო ბანკისა და საკრედიტო დაწესებულებების მიერ სავალუტო ოპერაციების კონტროლი, 3) რესპუბლიკის საზღვრებში ანგარიშსწორება და საქონლის ყიდვა-გაყიდვის განხორციელება საქართველოს და ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.[87] მართალია აღნიშნული რეკომენდაციები ბიუჯეტში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ამის პრაქტიკულად განხორციელება, როგორც ჩანს გარკვეულ სირთულეებს წააწყდა, რის გამოც იგი იმავე წლის დეკემბრის პირველ რიცხვებშიც მოუგვარებელი აღმოჩნდა. ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას, სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 10 დეკემბრის სხდომის მასალების შესწავლა გვაძლევს. როგორც ირკვევა, დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად, ემისიის მიზანშეწონილებისა და ბიუჯეტის გაჯანსაღების აუცილებლობა იდგა. აჯამებდა რა გაწეულ საქმიანობას, ნ.ჟორდანია სხდომის მონაწილეებს ერთხელ კიდევ შეახსენებდა, რომ ბონების ბეჭდვა თანდათანობით სცემდა მის კურსს და მიზანს ვერ აღწევდა. აქედან გამომდინარე, გამაფრთხილებელი ტონით დასძენდა „ამ გზით თუ ვიარეთ, რომლითაც ჩვენ ამდენ ხანს დავდიოდით, თავის დღეში გამოსავალს ვერ ვნახავთ." მისი აზრით, ერთადერთ საშუალებას მხოლოდ „მტკიცე ბიუჯეტის" დაუყოვნებლივი შექმნა წარმოადგენდა. თუ რას გულისხმობდა ამ ცნებაში სოციალ-დემოკრატთა ლიდერი, ამის შესახებ იქვე იძლეოდა მოკლე განმარტებას, „მტკიცე ბიუჯეტი ესაა ისეთ ბიუჯეტს, რომელიც ხარჯავს იმდენს, რამდენსაც შემოსავალს იღებს". რაც შეეხება საბიუჯეტო თანხების ხარჯვის დამკვიდრებულ ფორმას, ნ.ჟორდანიას მიუღებლად მიაჩნდა. „ჩვენ თვალდახუჭული ვხარჯავთ რის დახარჯვაც მოგვინდება,-ამბობდა იგი-შემო-

სავალზე კი არ ვფიქრობთ. ასეთი მდგომარეობა შეუფერებელია არა თუ ჩვენთვის, არამედ ვინც არ უნდა იყოს იმისთვის.. არის ჩვენში ისეთი ხარჯები, რომელიც შეიძლება დღეს არ გავწიოთ და გვერდი ავუაროთ. ერთადერთი გზა ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისა არის მტკიცე ბიუჯეტის შექმნა, შემოკლება ზოგიერთი დაწესებულებისა და შემცირება ხარჯების. შემოსავლის გასაძლიერებლად საჭიროა შრომის ნაყოფიერების ზრდა."[88] იგივე საკითხი სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 31 დეკემბრის სხდომამაც განიხილა და მიღებული რეზოლუციით აუცილებლობად მიიჩნია: 1) შესაბამისი ორგანოების მიერ განსახილველად წარდგენილი საფინანსო კანონ-პროექტების დაუყოვნებლივ მიღება, 2) ბიუჯეტის გადასასინჯად და მისი ხარჯების შესამცირებლად სათანადო ზომების გატარება.[89]

აღნიშნული ღონისძიებები თუ რამდენად ეფექტური აღმოჩნდებოდა, ძნელი სათქმელია, რადგან მისი ბოლომდე მიყვანა მმართველ პოლიტიკურ პარტიას არ დასცალდა. ერთი რამ ცხადია, რომ იმ პერიოდის ქართველი ფინანსისტ-ეკონომისტები მიმდინარე რეფორმებს ოპტიმისტურად უყურებდნენ და მისგან დროის გარკვეულ მონაკვეთში დადებით შედეგებსაც ელოდნენ. ქართული ბონების დევალვაციისაგან ხსნის და ეროვნული ვალუტის შესაქმნელად პირობების მომზადების ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად, ფინანსისტ-ეკონომისტები ექსპორტისა და იმპორტის მოწესრიგებას თვლიდნენ. ამ მხრივ საქართველო მართლაცდა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არსებული მძიმე შედეგები, ეროვნული ეკონომიკის საზიანოდ მოქმედებდა. მისი გაგრძელება ქვეყნის საფინანსო სისტემისათვის დამანგრეველი შედეგებით შეიძლება დასრულებულიყო. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში გრ. ლორთქიფანიძეს, ფინანსურ-ეკონომიკურ თათბირზე (1920 წლის 1 სექტემბერი) წარმოთქმულ შემაჯამებელ სიტყვაში, ექსპორტის გაძლიერება და იმპორტის გარკვეულწილად შემოფარგვლა რომ მოითხოვა. მისი მტკიცებით წინასწარვე უნდა შედგენილიყო იმ საქონლის ნუსხა რომლის ექსპორტ-იმპორტი სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი იყო, ხოლო დანარჩენის გატანა-შემოტანა შესაბამისი კანონმდებლობით აეკრძალათ.[90] თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს ინტერესებისათვის აღნიშნული საკითხების მოწესრიგებას, ამის დასაბუთების მცდელობას გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „ბრძოლა ფინანსურ კრიზისთან"- წარმოადგენს. მასში მოტანილი ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ა) რამდენადაც ქვეყნის ფინანსური კრიზისის დაძლევა ხანგრძლივ საალმშენებლო მუშაობას და სიმდიდრის დაგროვებას საჭიროებდა, იმ ეტაპზე მხოლოდ მისი შენელებისათვის უნდა ეზრუნათ და შესა-

გამისი ღონისძიებები გაეტარებინათ. ბ) არსებული რთული პროცესის დაძლევა, მთავრობის ენერგიული საქმიანობით, ანდა ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით შეუძლებელი იყო. მასში აქტიური მონაწილეობა მთელ საზოგადოებას უნდა მიეღო და ერთობლივად გააზრებული საქმიანობით გამოსავალი გზა ეპოვნათ. გ) ამის მიღწევა იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი კრიზისის ძირითადი არსი და მისი გამომწვევი მიზეზები საფუძვლიანად იქნებოდა გააზრებული. „ერთი ამ მიზეზთაგანი-ვკითხულობთ წერილში- იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყანა იძულებულია გარედან შემოიტანოს ბევრად უფრო მეტი საქონელი, ვიდრე შინიდან გააქვს. ეს წონასწორობის დარღვევა ექსპორტსა და იმპორტს შორის გადაქცეულა ჩვენთვის მეტად საბედისწერო მოვლენის წყაროდ. ჩვენი ქვეყანა იძულებულია ქაღალდის ფულის ბონების საშუალებით იყიდოს ის ზედმეტი საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი, რომელსაც გატანილი საქონლის საშუალებით ვერ ფარავს. ამის გამო უცხოელების, საერთოდ, საქონლის შემომტანების ხელში გროვდება ჩვენი ბონების დიდი რაოდენობა. უცხოელები ხდებიან ჩვენი სახელმწიფოს ქაღალდების ბატონ-პატრონი და თავის სურვილისამებრ აწესებენ ჩვენი ბონების კურსს."[91] აქედან გამომდინარე, ქართული ფულის ნიშნებისადმი უცხოელთა დაპატრონების ხელისშემშლელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საჭიროების საკითხია დასმული. მისი მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი თუკი უცხოეთიდან შემოსატანი საქონლის შემცირების საფუძველზე, ქართული საქონლის გატანა გაიზრდებოდა. „ეს რომ მოხერხდეს-წერს გაზეთი-უცხოელებს ხელიდან გამოეცლებათ ბატონ-პატრონობა ჩვენს ბონებზე.. ჩვენი სახელმწიფოს ხელში შეგროვდება უცხოური ვალუტა და.. თვითონვე შეგვძლებთ დავამყაროთ ჩვენსა და უცხოური ფულის ნიშნებს შორის ისეთი ფარდობა, როგორიც ჩვენთვის არის ხელსაყრელი."[92] ქართული სოციალდემოკრატიის მესვეურთა ჩანაფიქრს, როგორც ვხედავთ, არსებული სინამდვილე ედო საფუძვლად და მისი პრაქტიკულად ხორცშესხმა მდგომარეობის მეტნაკლებად უკეთესობის შექმნისაკენ იყო მიმართული. უკიდურეს შემთხვევაში, იგი საქონელბრუნვის გაწონასწორებას ითვალისწინებდა. ამ სფეროში არსებული მდგომარეობის წარმოსაჩენად, შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც გამოდგება. მაგალითად: 1919 წელს საქართველოში 863 მილიონის ღირებულების საქონელი შემოვიდა, ხოლო 393 მილიონის გაიტანეს. დეფიციტმა 570 მილიონი შეადგინა.

ასეთ პირობებში გამოსავალი მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკის ამოქმედებაში მდგომარეობდა. 1919 წლის მონაცემებით, საქართველო-

დან შვიდი თვის განმავლობაში გატანილმა ფურცლოვანმა თამ-ბაქომ და მარგანეცმა 1,005792 გირვანქა სტერლინგი შეადგინა.[93] რაც შეეხება მოგებულ თანხას, იგი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ საფინანსო სფეროში შესამჩნევი გარდატეხის შეტანა ვერ შეძლო. აღნიშნულთან ერთად, სიძნელეებს ერთიანი საბანკო სისტემის არარსებობაც ქმნიდა, იგი ფულის მიმოქცევისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებლობაში ვლინდებოდა.

აუცილებლობა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამოუკიდებელი საკრედიტო აპარატის შექმნის საჭიროებას მოითხოვდა. საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ- დამფუძნებელმა კრებამ, ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯი 1919 წლის 31 დეკემბერს გადადგა, დაამტკიცა კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ."[94] დოკუმენტის მიღებიდან მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ (1920წლის 14 ივლისი) მოხერხდა საქართველოს სახელმწიფო ბანკის გახსნა, რომლის საბრუნავ თანხას იმ ეტაპზე 50 მილიონი მანეთი შეადგენდა[95] ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა ქონდა იმ თვალსაზრისით, რომ რესპუბლიკაში შეიქმნა საფინანსო, განსაკუთრებით სავალუტო ოპერაციების მაკონტროლებელი და პასუხისმგებელი ორგანო. თუ რა კონკრეტული დატვირთვა ეძლეოდა ქართულ ბანკს, ამის შესახებ სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 13 სექტემბრის საგანგებო სხდომაზე-ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ბონების საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ხომერიკი ხაზგასმით მიუთითებდა: „სავალუტო ოპერაციებს უნდა ახდენდეს მარტო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. ეს მხოლოდ სახელმწიფო ბანკის საქმეა. სავალუტო საქონელი მარტო ბანკმა უნდა შეიძინოს და ვალუტით დამოუკიდებელი ვაჭრობა არ უნდა დაიშვას."[96] ეს შეხედულება ნ.ხომერიკმა ეკონომიკურ თათბირზე (1920 წლის ოქტომბერი) გაკეთებულ მოხსენებაში განავითარა. მისი მტკიცებით, სავალუტო ოპერაციები მხოლოდ სახელმწიფო ბანკისა და მისადმი დაქვემდებარებული საკრედიტო დაწესებულებებისათვის უნდა მიენდოთ. დასახული ამოცანის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად იგი სახელმწიფო ბანკისადმი სავალუტო ფონდის გახსნას ასახელებდა. ნ.ხომერიკის ეს მოთხოვნა იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ თათბირის მონაწილეებმა ყოველგვარი დისკუსიის გარეშე დაუჭირეს მხარი და "ვალუტის საკითხში" მიღებულ რეზოლუციაში თავიანთი პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირეს: „ა) სავალუტო ოპერაციებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებები უნდა ახდენდნენ. ბ) ამ ოპერაციების საწარმოებლად სახელმწიფო ბანკს სავალუტო ფონდი ეძლევა. გ) ანგარიშსწორება და საქონლის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკის საზღვრებ-

ში საქართველოს ფულის ნიშნებით ხდება"[97] აღნიშნული გადაწყვეტილება არსებითი მნიშვნელობისა იყო და იგი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ხელისუფლების ყოველმხრივი ცდის მიუხედავად, ქართული ბონების დევალვაცია გრძელდებოდა და იგი ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა. ეს ფაქტი, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის-სოციალ-დემოკრატიის კრიტიკისათვის გამოიყენა. საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად გატარებული ღონისძიებები, ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების სტანდარტების ფონზე განიხილეს და ყურადღების მიღმა დატოვეს მათი სახელმწიფოებრიობის არსებობის უწყვეტი ფაქტორი. არ გაითვალისწინეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელოვნურად სიკვდილის" 117 წლოვანი ისტორია და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში საბაზისო ფინანსური სიცარიელე. ასეთ პირობებში შექმნილი სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი ნებისმიერი სტანდარტის პოზიციებიდან პრეტენზიების წამოყენება გაუმართლებლად მიგვაჩნია, მითუმეტეს, როცა საკითხი გარეშე ქვეყნებისაგან დაუხმარებლად, 2 წლისა და 8 თვის სახელმწიფოებრივ არსებობას ეხება. ამ მცირე მონაკვეთში არა თუ სასწაულების მოხდენა, არამედ სახელმწიფოს ორგანიზაციული მოწყობა, საფინანსო-ეკონომიკისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მისთვის მიმართულების მიცემა მხოლოდ თეორიულად თუ შეიძლებოდა მოაზრებულიყო. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე ეკონომიკის სფეროში შედარებითი მეთოდის გამოყენება, რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმონაქმნი სახელმწიფოების მიმართ მიგვაჩნია გამართლებულად, რადგან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოც ამ პროცესის ერთ-ერთი „პირმშოთაგანი იყო." ფინანსურ-ეკონომიკური მონაცემების მიხედვით თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო, ამის საილუსტრაციოდ, ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება ინგლისური გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში ქართული ბონისა და „ახლად ფეხადგმული" სახელმწიფოების ფულადი ერთეულების კურსის თანაფარდობის ამსახველი სტატისტიკური მასალა.

საქართველო: 1919 წლის ივნისში 1 გირვანქა სტერლინგი 300 ქართულ ბონს უდრიდა, აგვისტოში-375, სექტემბერში-525, ოქტომბერში 620, ნოემბერში-688, დეკემბერში-762; 1920 წლის იანვარში-890, თებერვალში-961, მარტში-979, აპრილში – 1042, მაისში-1244, ივნისში-1524, ივლისში-1834, აგვისტოში-5000, დეკემბერში-18.000, ხოლო 1921 წლის იანვარში – 11,000 მანეთამდე ჩამოვიდა.[98] 1920 წლის დეკემბერში – ერთი ამერიკული დოლარის საბაზრო ღირებულება-5500

ქართულ ბონს შეადგენდა, ხოლო ერთი ოქროს მანეთი-1300 ქართული ბონი ფასობდა.[99] რუსეთი: 1920 წლის ზაფხულში ერთი გირვანქა სტერლინგი 102.000 რუსული მანეთი ღირდა[100] თუკი კ.კანდელაკის მიერ მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებს დავეყრდნობით, ერთი ოქროს მანეთი – 138.000 რუსული მანეთი ფასობდა, ხოლო 1923 წლის ივნისში- 97 მილიონ 690 ათასი.[101] რაც შეეხება ქართული ფულის კურსს მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან, იგი შემდეგ სურათს იძლევა: ერთი ქართული ბონი – 100 საბჭოთა რუსულ, 100 საბჭოთა აზერბაიჯანულ და 150 სომხეთის მანეთს უღრიდა[102]. აღნიშნული ციფრობრივი მონაცემები იმის დადასტურებაა, რომ დევალვაციის მიუხედავად, ქართული ფულის მდგომარეობა არცთუ საგანგაშო იყო. მისი კურსის სტაბილურობის შედარებით შენარჩუნება ქართული ბონების რაოდენობრივი სიმცირით იყო განპირობებული. მართალია, 1919 წლის ივლისიდან 1921 წლის თებერვლამდე ქართული ბონების ხუთი ემისია განხორციელდა, მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების ჩათვლით მის საერთო რაოდენობას 18 მილიარდ 940 მილიონი მანეთისათვის არ გადაუჭარბებია,[103] მაშინ როდესაც რუსული ფულის რაოდენობა, 1922 წლის მონაცემებით 22 კვადრილიონ მანეთს აღწევდა;[104] პოლონური ფულისა 1924 წლის დამდეგს 600 ტრილიონ მარკას[105] ხოლო გერმანულისა 1923 წლის აგვისტოსათვის 116 ტრილიონ მარკას.[106] აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს ხელისუფლების ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ანალოგიური იყო მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ემისია განსაკუთრებული შეზღუდული ფორმით მიმდინარეობდა. მართალია ეკონომიკურ თათბირზე (1920 წლის ოქტომბერი) ნ.ჟორდანიამ შექმნილ მდგომარეობას კატასტროფული უწოდა, მაგრამ იგი მაშინდელი საქართველოს გარდუვალი დაღუპვის პროგნოზირების საფუძვლად სრულებითაც არ გამოდგება. ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას ქვეყნის გადარჩენის გზების ძიების მიზნით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივები იძლევა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ ბონების გაუქმების და მტკიცე ეროვნული ფულადი ერთეულის შემოღების საკითხის დაყენება ფინანსურ-ეკონომიკური პროგრამის მოსალოდნელი დადებითი შედეგებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულების დადასტურებას წარმოადგენს. მაგალითად, ფინანსურ-ეკონომიკურ თათბირზე (1920 წლის 1 სექტემბერი) გრ.ლორთქიფანიძე ბონებიდან ფულის მტკიცე სისტემაზე დაუყოვნებლივ გადასვლას პრინციპუ

ლად მოითხოვდა,[107] ხოლო სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომაზე (1920 წლის 13 სექტემბერი) ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ბონების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, ნ.ხომერიკი ქართული ფულის მოჭრის აუცილებლობას გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა და ქვეყანაში დაგროვილი ორი მილიარდი ღირებულების ოქრო-ვერცხლის მისადმი საფუძვლად დადების საკითხს აყენებდა.[108]

აღნიშნული წინადადება კკანდელაკმა უფრო დასაბუთებული ფორმით დამფუძნებელი კრების 1920 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე დასვა და ახალი ფულადი ერთეულის სისტემაზე გადასვლა-1921 წლიდან მიზანშეწონილად ჩათვალა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალებით შევეცადეთ გვეჩვენებინა არსებული ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიებაში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა პოზიცია, თუ რამდენად ფლობდნენ ისინი მიმდინარე პროცესებს, მათ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები პასუხობდა თუ არა რეალურ სინამდვილეს.

ამრიგად. 1) საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაში ცვლილებების გატარებამ, ქართული ბონების მიმოქცევაში შეტანამ და მისი ხელოვნური დევალვაციისაგან დამცავი მექანიზმის ამოქმედებაზე ზრუნვამ, ქვეყნის ერთიანი საბანკო სისტემის ანუ სავალუტო ოპერაციების მარეგულირებელი საქართველოს ბანკის შექმნამ, ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის რეალური პირობების შემზადებას შეუწყო ხელი. 2) რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმონაქმნი რესპუბლიკების, სინამდვილესთან შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ ქართული ფული სტაბილურობასა და მაღალ მსყიდველობით უნარიანობას ინარჩუნებდა. საზღვარგარეთის ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, 1921 წლიდან ახალი ფულის ნიშნების – 2 მილიარდის ღირებულების ოქროსა და ვერცხლის საფუძველზე ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში შემოტანის წინაპირობის შემზადება, არა თუ ქვეყნის დაღუპვის პროგნოზირების, არამედ, მისი გადარჩენის რეალურ იმედს იძლეოდა.

§ 3 აგრარული რეფორმის სპეციფიურობა და მისი პერსპექტივები

ახალშექმნილი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს, აგრარული საკითხის მოწესრიგება წარმოადგენდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს მისი მნიშვნელობა შესანიშნავად ქონდათ გაცნობიერებული, მაგრამ შე-

ქმნილი სირთულეები, კერძოდ, რეფორმისათვის ელემენტარული პირობების არარსებობა, დასახული მიზნის სრულად რეალიზაციის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამ სფეროში არსებული ვაკუმი მმართველ პოლიტიკურ პარტიას ყველაფრის ნულიდან დაწყების აუცილებლობის წინაშე აყენებდა. ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, საფეხურებრივი პრინციპით საქართველოს სინამდვილისათვის უნდა მოერგოთ. ასეთი სამუშაოს შესრულება 1918 წლის 26 მაისამდე შუძლებელი იყო, რადგან ამიერკავკასიის კომისარიატის (1917 წლის 15 ნოემბერი) და სეიმის (1918 წლის 10 თებერვალი) მიერ მიღებული კანონები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სპეციფიკიდან გამომდინარე-ზოგადი ხასიათისა იყო. მეორე მხრივ, იგი სამი მმართველი პოლიტიკური პარტიის-(სოციალ-დემოკრატები, დაშნაკცუთიუნი, მუსავატი) ინტერესების ურთიერდაპირისპირების აცილებას ისახავდა მიზნად. ეს ფაქტორი პირველ რიგშია გასათვალისწინებელი, რადგან მისმა იგნორირებამ სოციალ-დემოკრატიის აგრარული კურსის შფასებისას, შესაძლებელია არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს. ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული რეფორმის ევოლუციური გზა, ორ ძირითად საფეხურს შეიცავს: 1) მუნიციპალიზაციას და 2) მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას. იმის გასარკვევად, თუ რა არგუმენტაციას ემყარებოდა სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, პასუხის გაცემა მხოლოდ ამ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული დოკუმენტური მასალის შესწავლით და მისი ძირითადი დებულებების წარმოჩენით შეიძლება. რამდენადაც საქართველო, რუსეთის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა და ქართული სოციალ-დემოკრატია დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერის პოლიტიკურ კურსს ატარებდა, აგრარული საკითხიც იმ კანონმდებლობისადმი უნდა მოერგოთ, რომელსაც რუსეთის ახალი ხელისუფლება გამოსცემდა. მართალია, ვლ. ემხვარი კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობის (1917 წელი) 29 მაისის სხდომაზე რუსული აგრარული შაბლონის გადმოტანას საქართველოს სინამდვილისათვის მიუღებლად მიიჩნევდა, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ცენტრი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის უფლებას არ იძლეოდა და რეგიონალური საკითხების მოწესრიგებას დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. აქ გამოსავალი მხოლოდ ერთად-ერთი იყო, გამოეძებნათ ისეთი მოდუსი, რომელიც ცენტრისა და ადგილობრივი სინამდვილისადმი სრულად თუ არა, ნაწილობრივად მისაღები იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს იმ ეტაპზე მუნიციპალიზაციის პროგრამის განხორციელება მისაღებად მიაჩნდათ. აღნიშნულ საკითხზე, იმავე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ვ.ჯუღელი მუნიციპალიზაციის დაცვის მიზნით

– გარკვევით აცხადებდა: „ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ გლეხის ფსიხოლოგიას. მისი ინტერესებისათვის ხდება დღეს რევოლუცია და არ უნდა შევახოთ ხელი წვრილ მესაკუთრეთა მიწებს, არ უნდა მოვახდინოთ მისი ექსპროპრიაცია, თორემ გლეხებს ავიმხედრებთ რევოლუციის წინააღმდეგ."[109] ეს იმას ნიშნავს, რომ აგრარულ რეფორმას გლეხთა ინტერესები უნდა დადებოდა საფუძვლად და მუნიციპალიზაცია გარკვეული კორექტივების შეტანით წვრილ მიწისმფლობელ გლეხთა საკუთრების ხელშეუხებლობით განხორციელებულიყო. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სამი რეზოლუციიდან-სოციალ-დემოკრატების (მენშევიკები)–მუნიციპალიზაციის, სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკები)-კონფისკაციის და სოციალისტ-რევოლუციონერების-სოციალიზაციის, პროექტებიდან უპირატესობა პირველ მათგანს – მუნიციპალიზაციას (122 ხმა) მიანიჭეს.[110] ამით ყრილობის მონაწილეებმა მიწის წვრილი მფლობელობისადმი მხარდაჭერა გამოხატეს. მიუხედავად ამისა, იგი საკითხის გადაწყვეტას ან მის დაკანონებას სრულებითაც არ ნიშნავდა. ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატთა ლიდერებმა მხოლოდ პოზიცია დააფიქსირეს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და ოფიციალური განაცხადის გაკეთება პარტიის ყრილობის პროგრამივას წარმოადგენდა. რამდენადაც შედეგებზე პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა, საკითხს საგანგებოდ ამზადებდნენ. რსდმ პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციათა მეექვსე საოლქო ყრილობამ (1917წლის 11-16 ივნისი) აგრარულ საკითხზე გ. კონიევის ვრცელი მოხსენება მოისმინა. აგრარული საკითხის დადებითად გადასაწყვეტად იგი სამ ძირითად პრინციპს ემყარებოდა: 1) დემოკრატიული მოძრაობის გაღრმავებას, 2) თავადაზნაურობის უფლებების მაქსიმალურად შეკვეცას და 3) გლეხთა მიწისმფლობელობისათვის მტკიცე საფუძვლის მომზადებას. იმავდროულად, რეფორმის გატარების ისეთი მოდუსის შემუშავების აუცილებლობას აყენებდა, რომელიც საწარმოო ძალთა შემფერხებლის როლს არ შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, უპირატესობას მუნიციპალიზაციას ანიჭებდა. მისი მტკიცებით, სახელმწიფო საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და მსხვილ მემამულეთა მიწები ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გადასცემოდა. რაც შეეხება მიწის განაწილების ნორმას, გ.კონიევის აზრით, წვრილ მესაკუთრეთა ინტერესების დაცვით მუნიციპალიტეტი განსაზღვრავდა. „წვრილ მიწისმფლობელობაზე კერძო საკუთრება არ ისპობა. –ამბობდა გ.კონიევი- ჩვენ ვიცავთ წვრილ მესაკუთრეებს და არა წვრილ საკუთრებას. ამისათვის უპირატესობა ყოველთვის წვრილ მესაკუთრეებს მიეცემა, მაგრამ ისე კი, რომ ამან ხელი არ შეუშალოს საწარმოო ძალთა განვითარებას."[111]

აქ ერთმანეთისაგან გამიჯნულია წვრილი მესაკუთრეკერძო საკუთრების მფლობელი და წვრილი საკუთრება-ვისამე ან რისამე საკუთარი ქონება. ასეთი ფონის შექმნით, უპირისპირდებოდა იგი „ბოლშევიკურ კონფისკაციას" და „ესერულ სოციალიზაციას." მისი მტკიცებით მუნიციპალიზაცია რეგიონის სინამდვილეს შეესატყვისებოდა. პრაქტიკულად გატარების შემთხვევაში, „მიწის სივიწროვით" უმიწოდ დარჩენილი გლეხები მიწას მუნიციპალიტეტებისაგან მიიღებდნენ. რეფორმის ბოლომდე მიყვანა, გლეხობას საქმის დამოუკიდებლად გარკვევის შესაძლებლობას მისცემდა, ხოლო სახელმწიფოს კაპიტალიზმის გზით განავითარებდა.

გ.კონიევის მიერ მოხსენებაში გატარებული ძირითადი დებულებები, ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობამ გაიზიარა და იგი აგრარულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციას დაედო საფუძვლად. ამ დოკუმენტის მიხედვით, აუცილებლად იქნა აღიარებული: სამონასტრო, საკაბინეტო, საუფლისწულო და სახაზინო ადგილ-მამულების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი გადაცემა, რომლის კომპეტენციას გასანაწილებელი მიწების ზღვრული ნორმის განსაზღვრა დაექვემდებარა. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მამულებს, დემოკრატიული სახელმწიფოს კუთვნილებად ცხადდებოდა, ხოლო სარგებლობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებებში რჩებოდა. იგივე რეზოლუცია მიწების ძალით მითვისებას უარყოფდა და მიწის შესახებ ძირითადი დებულების შემუშავებას რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების პრეროგატივად აცხადებდა. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გადასაწყვეტ საკითხებს: სახნავ მიწებთან შექმნილი გაუგებრობის მოწესრიგებას-მომრიგებელ კამერებს ანდობდა, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების დამუშავებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებლობას ადგილობრივ კომიტეტებს. რეზოლუციის მიხედვით, დროებითი მთავრობის საგანგებო დეკრეტით, ხიზნებს მიწები საკუთრებაში უნდა გადასცემოდა და გადასახადებისაგან აც განთავისუფლებულიყვნენ.[112] ამ დებულების დასაბუთების მცდელობას შეიცავდა ამიერკავკასიის გლეხთა დელეგატების სამხარეო ყრილობაზე კ. გვარჯალაძის მიერ გაკეთებული მოხსენება. "ის რასაც ჩვენ ს.დ-ბი გპირდებით მიწის საკითხის გადასაჭრელათ, -ამბობდა კ.გვარჯალაძე ე.ი. მუნიციპალიზაცია მიწისა, არ არის სამოთხე, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დღეს კაპიტალიზმის ხანაა და სხვა უფრო რადიკალური ზომა მიწისმფლობელობის მოსაგვარებლად არ შეიძლება იყოს.. ეს არის ერთად-ერთი სწორი საშუალება საკითხის გადასაჭრელათ. ჩვენს მიერ მოტანილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,

აგრარულ სფეროში წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში გარკვევითაა წარმოჩენილი ქართული სოციალ-დემოკრატიის პოზიცია, მაგრამ უმნიშვნელოვანესი დებულებების ცენტრის ინტერესებისადმი შესაბამისობაში მოყვანის მცდელობა აშკარად შეინიშნება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქართული სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ რეგიონალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა და მისადმი „მორჩილება" პარტიის წესდებით იყო გათვალისწინებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებთან მიმართებაში იმ ეტაპზე ცენტრისადმი დაპირისპირებად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია, მითუმეტეს, როდესაც მუნიციპალიზაციის მიზანშეწონილებას ვეხებით.

მართალია, ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ აგრარულ საკითხთან მიმართებაში თავისი პოზიცია ოფიციალურად დააფიქსირა, მაგრამ იგი პოლიტიკურ პარტიათა შორის ერთიანი თვალსაზრისის საფუძველი არ გამხდარა. ამის დამადასტურებლად ამიერკავკასიის გლეხთა დელეგატების სამხარეო ყრილობის (1917 წლის 22 ივნისი) მასალები გამოდგება. სოციალ-დემოკრატთა მუნიციპალიზაცია, სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა საქართველოს სინამდვილისადმი მიუღებლად გამოაცხადეს. სოციალისტ-ფედერალისტის ა.პაპავას აზრით, მხოლოდ მიწის სოციალიზაცია იყო ერთადერთი რეალური ზომა აგრარული საკითხის გადასაჭრელად. „ჩვენი დროის უკუღმართობის საფუძველი - ამბობდა იგი-არის კერძო საკუთრების ინსტიტუტი. ჩვენ ვაღიარებთ მიწის სოციალიზაციას (განსაზოგადოებას), ვაკავშირებთ გლეხს თემში, ვაჩვევთ მათ საზოგადო ყოფა-ცხოვრების პრინციპს. მაშასადამე, ამით ჩვენ ვუახლოვდებით სოციალიზმს."[114] როგორც ვხედავთ აქ კერძო საკუთრება უარყოფილია, უპირატესობა რუსულ თემურ მიწისმფლობელობას აქვს მინიჭებული და იგი სოციალიზმის ერთ-ერთ პირობადაა გამოცხადებული. ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ს.დადიანმა (ს.ფ.), გ.ნათაძემ (ს.რ.) და დ. ხართიშვილმა (ს.რ.) მათ წინააღმდეგ დასაბუთებული კრიტიკით თ.კიკვაძე (ს.დ.) გამოვიდა. მის მიერ რუსეთის სინამდვილიდან მოტანილი ფაქტებით საქართველოს პირობებში თემური მიწისმფლობელობის მიუღებლობა იქნა დადასტურებული. აქედან გამომდინარე, იგი დაასკვნიდა: „ჩვენ ვერ მივიღებთ იმას რაც ცხოვრებამ უარყო,"[115] რადგან სოციალიზაცია კერძო საკუთრებისადმი ზურგშექცევას წარმოადგენდა, ხოლო გლეხის ფსიქიკა, მიწის დასაკუთრებისაკენ იყო მიმართული. სწორედ ამ ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული მოწი-

ნავე სტატია „მიწის საკითხი გლეხთა ყრილობაზე" იგი სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა მიწის სოციალიზაციის მიზანშეუწონლობის დასაბუთებულ კრიტიკას შეიცავდა. „შეუძლებელია-ვკითხულობთ წერილში- გლეხობამ კერძო საკუთრების პრინციპი დასთმოს და შემოიღოს თემური მიწისმფლობელობა.. სოციალისტ-რევოლუციონერები იმდენათ გატაცებულნი არიან თემის თაყვანისცემით, რომ გონიათ კერძო მესაკუთრე გლეხიც დასთმობს თავის საკუთრებას თემური პრინციპის გულისათვის."[116] იგივე სტატია, სოციალისტ-რევოლუციონერთა აგრარულ პროგრამას ილუზიად, თავის მოტყუებად, წვრილ მესაკუთრეთა უკმაყოფილების და მათი რეაქციის ბანაკში გადაბარგების საფუძვლად აცხადებდა. „კავკასიის გლეხთა ყრილობა-ვკითხულობთ წერილში- ერთხელ კიდევ ურტყამს გრდემლს სოციალისტ-რევოლუციონერებს და ეუბნება, რომ ასეთი თავის მოტყუება საშიშია, რომ არ შეიძლება ისე გაუფრთხილებლად შეეხო კერძო საკუთრებას, როგორც სოციალისტ-რევოლუციონერები იქცევიან."[117] აქ არა მარტო სოციალისტ-რევოლუციონერთა აგრარული პროგრამის მიუღებლობაზეა ყურადღება გადატანილი, არამედ წვრილ მესაკუთრე გლეხთა ინტერესების დაცვის ერთგვარი მცდელობაცაა. იმავდროულად, თემური მიწისმფლობელობა საქართველოსთვის მიუღებლად და ეკონომიკური პროცესების შემფერხებლადაა გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" პრესის მიმოხილვის რუბრიკით გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნულ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას და რუსეთის ფონის გათვალისწინებით, თავის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებდა: „სოციალ-დემოკრატია მუდამ უარყოფდა ყოველგვარ უტოპიურ ჩხირკედელაობას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გლეხობა იცავს კერძო საკუთრებას იმ ადგილზე, რომელსაც თვითონ ფლობს. ჩამოართვით მას ეს ადგილ-მამული და ეჭვს გარეშეა გლეხთა შორის კონტრრევოლუციური მოძრაობა გაძლიერდება. სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამის განხორციელებას სწორედ ასეთი შედეგი ექნება." რაც შეეხება თვით თემური მიწისმფლობელობისადმი დამოკიდებულებას, იგივე გაზეთი დასძენდა: „ჩვენ ვებრძვით მთელ რუსეთში თემის განმტკიცებას, ვინაიდან ეს საწარმოო ძალთა განვითარებას აფერხებს და რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებას უკან მიაქანებს."[118]

აქედან გამომდინარე, რუსეთის ფონზე, აგრარული რეფორმის საქართველოს ინტერესების შედარებით შესატყვის ფორმად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მუნიციპალიზაცია მიიჩნიეს. მითუმეტეს, იმ ეტაპზე მას გლეხობაც უჭერდა მხარს. ამის უტყუარ დადასტურებად ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ ყრილობაზე აგრარულ საკითხზე წარდგენილი რეზოლუციის პროექტის გამარჯვების ფაქტი

(573 ხმა 296-ის წინააღმდეგ) გამოდგება.[119]

რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებამ, ქართული სოციალ-დემოკრატია მართალია სარუსეთო სპეციფიკის გათვალისწინებისგან გაანთავისუფლა, მაგრამ აგრარულ პოლიტიკაში არსებითი გარდატეხა და წამოჭრილი პრობლემების ინდივიდუალურად გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა. ხელშემშლელი ფაქტორის როლი ამიერკავკასიის სახელმწიფოების ურთიერთ საწინააღმდეგო ინტერესების წინ წამოწევამ შეასრულა. ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის მცელობიდან გამომდინარე, არსებული სიტუაცია შუალედური ფორმის გამოძებნას საჭიროებდა. სწორედ ამ პრინციპს ეფუძნებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის „დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწისმფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისადმი გადაცემის შესახებ." ამ დოკუმენტის პირველი მუხლი მხოლოდ ნორმაზე ზევით მიწის ჩამორთმევას და სამხარეო-საადგილმამულო ფონდისადმი გადაცემას ითვალისწინებდა. იგი საგუბერნიო ან საოლქო კომიტეტს ექვემდებარებოდა. აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი, კერძოდ, მიწის ნორმის განსაზღვრა ცალკე საგანგებო დებულებით უნდა განხორციელებულიყო. მეორე მხრივ, არსად არ ფიგურირებდა მიწის ჩამორთმევის ფორმა-სასყიდლით მოხდებოდა იგი, თუ უსასყიდლოდ. ეს იყო ამ „დებულების" განსაკუთრებული ხარვეზი, რადგან მისი დროულად მოუგვარებლობა, რეფორმის გატარების ძირითადი შემფერხებლის ფუნქციას ასრულებდა. რაც შეეხება მეორე მუხლს, კომიტეტის მიერ დაწესებული ნორმის ფარგლებში, ხიზნების სარგებლობაში არსებულ მიწებს – ხელუხლებელს ტოვებდა. მაგრამ მიწის ნორმის დაკონკრეტებას აქაც გვერდი ჰქონდა ავლილი. მესამე მუხლის მიხედვით სანადელო მიწების გამოსასყიდი მხოლოდ 1918 წლის 1 იანვრიდან უქმდე ბოდა, ხოლო ნორმაზე ზევით ჩამორთმეული მიწების განაწილება უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებზე განხორციელდებოდა.[120]

აგრარულ საკითხებზე მომუშავე საბჭოთა პერიოდის ზოგიერთი მკვლევარი ამ დოკუმენტს მხოლოდ ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ „სასწრაფოდ შეხანხლული პირველი მიწის დებულებად" მიიჩნევს[121] და მისი შეფასებისას ბუნებრივია არასწორ დასკვნებს აკეთებს. ამ შემთხვევაში სწორი პოზიცია იმირცხულავას უჭირავს. იგი აღნიშნული „დებულების" შექმნას სამ პოლიტიკურ პარტიას – სოციალ-დემოკრატებს, მუსავატელებს და დაშნაკცუთიუნს უკავშირებს[122] სწორედ მუსავატისა და დაშნაკცუთიუნის პოზიციების გათვალისწინებით იყო განპირობებული ის ბუნდოვანება და

მთელი რიგი საკითხებისადმი კონკრეტული პასუხის გაუცემლობა, რომელიც განსახილველ დოკუმენტში შეიმჩნეოდა. ამის შესანიშნავ დადასტურებას მიწათმოქმედების სამინისტროს მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს, სადაც იმ ძირითად საკითხებზეა ყურადღება გადატანილი, რომლის მიზეზითაც დოკუმენტს მხოლოდ დეკლარაციული სახე მიეცა. ეს „დებულება" თავისი შინაარსით – ვკითხულობთ დოკუმენტში- უფრო დეკლარაციული იყო, ვიდრე საკითხის პრაქტიკული გადაჭრა. 16 დეკემბრის დეკრეტი პირველი და თან გაუბედავი ცდა იყო დიდი რეფორმის წამოყენებისა და გადაჭრისა. მას ნათლად აზის ბეჭედი იმ ანტაგონისტური ძალების გავლენისა, რომელნიც მის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ. წოდებრივმა და ყალბად გაგებულმა ნაციონალისტურმა ინტერესებმა ბურუსში გაახვიეს გარკვეული და ნათელი სოციალური რეფორმა. თათრის აგრარიები მუსავატის სახით გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ საადგილმამულო რეფორმის. სომხის ნაციო ნალისტები დაშნაკების პირით დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ საადგილმამულო კომიტეტები-რეფორმის ცხოვრებაში გამტარებელი ეს ერთად-ერთი ორგანო, არ შემდგარიყო იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებთა შემადგენლობა ჭრელია და ადმინისტრაციული გადამიჯვნა იყო საჭირო.. ამ ორმა ძალამ გამოართვა 16 დეკემბერის დეკრეტს სული და გული და გახადა ის უბრალო დეკლარაციად."[123]

ეს ვრცელი ამონაწერი შეგნებულად მოვიტანეთ, რათა სრულად წარმოგეჩინა აგრარულ საკითხთან მიმართებაში ამიერკავკასიის მმართველ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული წინააღმდეგობა. მეორე მხრივ იგი შესანიშნავად ასახავს მუსავატისა და დაშნაკცუთიუნისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის ნეგატიურ დამოკიდებულებას. ყოველივე ამის შემდეგ, 16 დეკემბერის „დებულების" ხარვეზებისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის დადანაშაულება მიზანშეწონილად არ მიგვჩნია, მითუმეტეს ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები მას უარყოფით შეფასებას აძლევდნენ. რამდენადაც დეკრეტში შესანარჩუნებელი მიწის ნორმა არ იყო განსაზღვრული, ნ.ხომერიკი მას პრაქტიკული ღონისძიებისათვის გამოუსადეგარად მიიჩნევდა.[124] ასეთივე პოზიცია ეჭირა ნ.ჟორდანიასაც მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ "დებულების" არსებობის მიუხედავად "ჩვენი ხალხი ვერ ელირსა აგრარული საკითხის გადაჭრას."[125] არსებული ხარვეზის გათვალისწინებისა და პოლიტიკური სიტუაციის საფუძვლიანად შეფასებიდან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 7 მარტს მიიღო საგანგებო „კანონი მფლობელებისათვის დასატოვებელი მიწის ნორმის განსაზღვრისა

და მიწის რეფორმის განსახორციელებელი ზომების შესახებ."[126]

ამ კანონით ჩამოსართმევი მიწები სამ კატეგორიად დაიყო: 1) კულტურული მცენარეულობის მეურნეობის (მევენახეობა, მებოსტნეობა და სხვა) რაიონებში დასატოვებელი მიწის ნორმა 7 დესეტინით განისაზღვრა, 2) ხორბლეულის მეურნეობის რაიონებში –15 დესეტინით, 3) მესაქონლეობის მეურნეობის რაიონებში-40 დესეტინით. თანდართული შენიშვნის მიხედვით, საგუბერნიო ან საოლქო მიწის კომიტეტებს უფლება ეძლეოდათ ადგილობრივი პირობების მიხედვით, დასატოვებელი მიწის ნორმა მეორე მუხლის შესაბამისად - პირველი კატეგორიის მამულების კონფისკაციისას-10 დესეტინამდე გაეზარდათ, მეორე კატეგორიისათვის 20 დესეტინამდე. ხოლო მესამე კატეგორიის-50 დესეტინამდე.[127] ეს დოკუმენტი მხოლოდ ორ ძირითად საკითხს წყვეტდა: 1) განსაზღვრავდა მემამულეებისათვის დასატოვებელი მიწის ნორმას, 2) ჩამორთმეული მიწებისგან ქმნიდა სახელმწიფო ფონდს, მაგრამ არაფერს ამბობდა რა ფორმითა და რაოდენობით მომხდარიყო უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების დაკმაყოფილება. ამ ნაკლის ძირითად მიზეზად ნ.ხომერიკი სტატისტიკური ცნობების უქონლობას ასახელებდა. რამდენადაც დოკუმენტი აგრარული რეფორმის გატარებას ამიერკავკასიის მასშტაბით ითვალისწინებდა, მის შემდგენლებს იმ ეტაპზე ჩამოსართმევი მიწების, მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობის სრული მონაცემები არ გააჩნდათ, რის გამოც ნორმის სავარაუდო განსაზღვრისაგან თავი შეიკავეს. მეორე მხრივ, სამივე რესპუბლიკაში ერთი და იგივე ნორმის დაკანონება შეუძლებელი იყო. აუცილებლობა თითოეული მათგანის სპეციფიკის ცალ-ცალკე გათვალისწინებას საჭიროებდა. იგი დოკუმენტის სათანადო შენიშვნებში, ან ცალკე დეკრეტით უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული. რამდენადაც ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა, ეს ფაქტორი ამირკავკასიის მასშტაბით აგრარული რეფორმის გატარების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზთაგანი გახდა.

აღნიშნული პრობლემის ინდივიდუალურად გადაწყვეტისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით მისი მოწესრიგების შესაძლებლობა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიეცა. მიმდინარე პროცესებმა, კავკასიის რეგიონისთვის გათვალისწინებული აგრარული კანონმდებლობის საქართველოს სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანა, პირველი რიგის ამოცანად დააყენა. მისი დაუყოვნებლივი გადაწყვეტა ქონდა მხედველობაში ნ.ჟორდანიას, როდესაც ეროვნული საბჭოს 1918 წლის 24 ივნისის სხდომაზე, ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული კანონების ცალმხრივობაზე

და ცალკე სრულყოფილი კანონის გამოცემის აუცილებლობაზე მიუთითებდა.[128] მიუხედავად ამისა, გაურკვეველი რჩებოდა, მმართველი პოლიტიკური პარტია მიწის განაწილების რომელ ფორმას მიცემდა უპირატესობას-მის მიერ აღიარებულ მუნიციპალიზაციას, თუ კერძო საკუთრებას. ეს საკითხი მთელი პრინციპულობით ნ. ხომერიკის მიერ რსდმ პარტიის ამიერკავკასიის VIII საოლქო ყრილობაზე (1918 წელი) იქნა დასმული. აგრარული საკითხის შესახებ 14 ნოემბერს გაკეთებულ მოხსენებაში იგი მუნიციპალიზაციის მიუღებლობის დასაბუთებას ცდილობდა და უპირატესობას მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას ანიჭებდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმის საჭიროებას გლეხთა ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობით ხსნიდა. „გლეხებს სწამდათ მიწის რეფორმა იმდენად - ამბობდა ნ.ხომერიკი- რამდენადაც მათ მიწა მიეცემოდათ. სხვა პოლიტიკური მოსაზრებაც ამას გვიკარნახებდა, თუ გლეხი მიწას მიიღებდა, ის დამცველი იქნებოდა იმ წყობილების, რომელმაც მას მიწა მიაკუთვნა. ეს იყო როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური ზომა."[129] ასეთი პრეამბულის შემდეგ, ნ.ხომერიკი კატეგორიულად მოითხოვდა გლეხებისათვის მიწების შელავათიან ფასებში გადაცემის აუცილებლობას. ამ შემთხვევაში მის ამოსავალ საფუძველს სახელმწიფოს ინტერესები და პოლიტიკური მოვლენების ობიექტური შეფასება წარმოადგენდა. გაუგებრობის აცილების მიზნით,საკითხს აკონკრეტებდა და მიახლოებით განსაზღვრავდა იმ სავარაუდო თანხას, რომელიც კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწებისათვის გლეხს ერთ დესეტინაზე უნდა გადაეხადა. ამასთან დაკავშირებით ყრილობის მონაწილეებს ერთხელ კიდევ შეახსენებდა: „მიწები უნდა მივცეთ გლეხებს საკუთრებაში რაც შეიძლება შელავათიან ფასებში. უნდა გადავახდევინოთ 1/5 ან 1/6 იმ ფასების მიხედვით, რომელიც დღეს არის. ე.ი. დესეტინა 500-1000 მანეთამდე. ეს არ არის დიდი თანხა. დესეტინაზე მოდის დაახლოებით 70 ფუთი. ერთი მეათედი ნაწილი 7 ფუთს უდრის. პური კი ფასობს რვა-ცხრა თუმანი. აი ამ ერთი მეათედის ფასით იძენს გლეხი სამუდამოთ მიწას."[130] იმ შემთხვევაში, თუკი ნ.ხომერიკის ეს წინადადება კანონით დადასტურდებოდა, მიწის მესაკუთრე გლეხს „უმნიშვნელო გამოსასყიდის" გაღება მოუწევდა. მისი საერთო მოცულობა რესპუბლიკის მასშტაბით მნიშვნელოვან თანხას ქმნიდა და აგრარული რეფორმის ბოლომდე მისაყვანად, გარკვეული გარდატეხის შეტანას ითვალისწინებდა. რამდენადაც აღნიშნული ვარიანტი არსებული რეალობიდან გამომდინარეობდა, მოხსენების ძირითადი დებულებები ყრილობისადმი წარდგენილ რეზოლუციის პროექტს დაედო საფუძვლად.

რომელიც შემდეგი სახის ფორმულირებით იქნა დამტკიცებული. „1) ადგილ-მამული, რომელსაც ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ჩაირიცხოს ხელუხლებელ ფონდათ და გადაეცეს სახელმწიფოს, ხოლო ნაწილი საერობო თვითმმართველობებს. 2) დანარჩენი ადგილ-მამული დაწესებული ნორმის ფარგლებში გადაეცეს კერძო საკუთრებათ უმიწაწყლო და ღარიბ გლეხობას. 3) ამ ადგილ-მამულისათვის მშრომელ გლეხობას გადახდეს შედავათიანი ფასი."[131] ასეთი სახის დოკუმენტის მიღება მუნიციპალიტეტისადმი ზურგშექცევასა და კერძო საკუთრებისაკენ კურსის აღებას ნიშნავდა. იგი არა მარტო საქართველოს სინამდვილის, არამედ გლეხთა ინტერესების გათვალისწინებითაც იყო განპირობებული. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" სტატიაში „რას ითხოვს გლეხობა" საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. იგი გარკვევით მიუთითებდა ქართველი გლეხკაცის შინაგან ფსიქოლოგიურ მისწრაფებაზე და მიწისადმი კერძომესაკუთრეობის ტენდენციას სათანადო ფაქტებით ასაბუთებდა. წინა პლანზე გამოქონდა ის უარყოფითი, რომელსაც ისინი მიწის იჯარით გაცემასთან მიმართებაში იჩენდნენ.

აქედან გამომდინარე აკეთებდა დასკვნას, რომ „გლეხი ბუნებით კონსერვატორია, სოციალ-დემოკრატიას და რევოლუციას იმდენად უჭერს მხარს, რამდენადაც მას ემსახურებიან, მიწას მოუპოვებენ. არსებითად გლეხში ზის კერძო მესაკუთრე, ის კერძო საკუთრების და თავისი ნაჭერი მიწის მაღმერთებელია."[132] იგივე გაზეთი პრინციპულად აყენებდა საკითხს: „საჭიროა.. საადგილმამულო რეფორმის გადასინჯვა, მისი შევსება-შესწორება და გლეხობის, როგორც მესაკუთრის დღესვე რამოდენიმეთ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება."[133] როგორც ვხედავთ, აქ წინა პლანზე მხოლოდ გლეხთა ინტერესებია წამოწეული, მაგრამ არაფერია ნათქვამი მუნიციპალიზაციასთან შედარებით, სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის უპირატესობაზე. ამ ხარვეზის შევსების მცდელობას, იმავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატია „მიწის საკითხი და ჩვენი ტაქტიკა" წარმოადგენს. მასში გარკვევითაა წარმოჩენილი მუნიციპალიზაციის ძირითადი არსი, მითითებულია 1918 წლის 7 მარტის კანონის ბუნდოვანებაზე, კერძოდ, მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწების ადრესატებისადმი გადაცემის გაურკვევლობაზე. ამ და მთელი რიგი სხვა ფაქტების გათვალისწინების საფუძველზე, მუნიციპალიზაცია საქართველოს სინამდვილეში დიდი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების ერთ-ერთ მიზეზადაა დასახელებული. პრიორიტეტი კერძო საკუთრებისადმია მინიჭებული, რადგან 1) მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა და მასზე

თუგინდ მინიმალური „გამოსასყიდის" სახელმწიფოს სასარგებლოდ გაღება, არსებულ ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა და ქვეყნის მოწყობა-განმტკიცებაში მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანდა. 2) ამ ღონისძიების გატარება, გლეხობისადმი მიწების კერძო საკუთრებად გადაცემის დაკანონებაში გარანტის მყარ საფუძველს შექმნიდა. მეორე მხრივ მთავრობისადმი უკმაყოფილებას ყოველგვარი საფუძველი გამოეცლებოდა.[134] თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო საქართველოს სინამდვილისათვის მუნიციპალიზაციის გატარება, ნ. ხომერიკს გამოკვეთილი და დასაბუთებული პოზიცია გააჩნდა. მისი მტკიცებით, მუნიციპალიზაცია „ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და ინტერესებს," რადგან გლეხთა დაქუცმაცებულ მიწის ნაჭრებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ხელისუფლება გლეხობას ხელიდან თუკი გამოაცლიდა და მის უფლებებს მიწაზე საეჭვოდ გახდიდა, „ადვილი წარმოსადგენია რა სიძულვილს გამოიწვევდა გლეხკაცობაში ახალი ხელისუფლება.. რევოლუციიდან ხომ ის მოელოდა განთავისუფლებას, შეღავათს. მუნიციპალიტეტიც ხომ მის მეტს სხვას ვერავის მისცემდა მიწებს დასამუშავებლათ? სამეურნეო თვალსაზრისით... აქ ცვლილება არავითარი არ მოხდებოდა, მხოლოდ გავაბრაზებდით კი გლეხკაცობას და გადავკიდებდით ახალ წყობილებას, რაც მის დასამარებას გამოიწვევდა."[135]

ნ.ხომერიკის არგუმენტაცია ამ შემთხვევაში რეალობას ემყარებოდა. ამის დამადასტურებლად სოფლის პროპაგანდისტების კვირეულ ანგარიშებში მოტანილი ფაქტებიც გამოდგება, მისი შესწავლიდან ირკვევა, რომ გლეხთა უმეტესობა მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით გამოდიოდა და აყენებდა საკითხს, მიწის დანაწილების ფორმის გარკვევის შესახებ, გათვალისწინებული იქნებოდა თუ არა ოჯახის სულადობა და მიწის კატეგორიის პრინციპი.[136] რამდენადაც ამ საკითხების გადაწყვეტა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივას წარმოადგენდა, კონკრეტული პასუხი მხოლოდ საგანგებო კანონით უნდა დაფიქსირებულიყო. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, აშკარათ დავრწმუნდებით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამის ძირითადი დებულებები და გლეხთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ამას თვით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებიც კი არ უარყოფდნენ. მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ბრალს სდებდნენ, თითქოს აგრარულ საკითხში ისინი ეროვნულ-დემოკრატების პროგრამის ძირითად დებულებებს ახორციელებდნენ. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 ივნისის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ი.მაჭავარიანი

საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას.[137] ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებლობას წარმოადგენს- გარკვეულ იქნას, სოციალ-დემოკრატებს პროგრამით ქონდათ გათვალის წინებული გლეხებისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა თუ იგი საჭიროების გამო ეროვნულ დემოკრატების პროგრამიდან „მოიპარეს", დასმულ კითხვას კონკრეტული პასუხი მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამიდან მოტანილი შესაბამისი ამონაწერით შეიძლება გაეცეს, თუკი ამის შესაძლებლობას იგი იძლევა. რსდმ პარტიის მიერ 1906 წელს გამოცემულ პროგრამაში, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: სოციალ-დემოკრატიული პარტია „ეცდება ჩამორთმეული მიწები გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულ ორგანოებს, ხოლო თუ ეს მოუხერხებელი იქნება, მაშინ რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტია მოითხოვს, რომ გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგდეთ მემამულეების ის მიწები, რომლებზედაც ფაქტიურად წვრილი მეურნეობა არსებობს, ან რომლებიც საჭიროა ამ წვრილი მეურნეობის შემოსაფარგლავათ."[138] როგორც ვხედავთ, აქ გამოკვეთილადაა მითითებული მიწების კერძო საკუთრებაში გლეხობისადმი გადაცემის აუცილებლობა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა ეს საკითხი უცვლელად შეიტანეს 1917 წელს გამოცემულ პროგრამაში.[139] ოპოზიციის საპასუხოთ გაზეთ „ერთობაში" რუბრიკით „სამიწათმოქმედო რეფორმა" გამოქვეყნებულ მეორე წერილში „კერძო საკუთრება", იმ ძირითად მიზეზებზეა ყურადღება გადატანილი, რამაც ქართული სოციალ-დემოკრატია მუნიციპალიზაციიდან მიწების კერძო საკუთრების აღიარების აუცილებლობამდე მიიყვანა. იმავდროულად ოფიციალურადაა დაფიქსირებული ის სამომავლო კურსი, რომელიც მმართველ პოლიტიკურ ძალას ამ სფეროში რეფორმის სახით ქონდა ჩაფიქრებული. პარტიის აგრარული პროგრამის ზემოთ მითითებულ დებულებაზე დაყრდნობით, იგივე გაზეთი ოპონენტთა მისამართით სამართლიანად წერდა: „კერძო საკუთრების მიღებით... პარტიულ პროგრამას არ ვარღვევთ. ეს პრინციპი უყოყმანოთ უნდა შევიტანოთ ახალ კანონში და ამ საფუძველზე... ავაშენოთ ჩვენი სამიწათმოქმედო პოლიტიკა."[140] ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული კურსი პარტიის პროგრამით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ნაბიჯს წარმოადგენდა. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიაზრებდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები აღნიშნული პრობლემის მოწესრიგებას, ეს კარგად ჩანს ნ.ხომერიკის მიერ აგრარული კომისიისა დმი 1919 წლის 8 იანვარს წარდგენილი კანონპროექტიდან- „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა," რომელმაც

მწვავე დისკუსია გამოიწვია. მიწის სოციალიზაციის დამცველთა აზრით (თ.ლლონტი, ა.პაპავა), კანონპროექტი არასოციალისტურობის გამო, გლეხთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რადგან „მიწების რეგულაციის" დროს „შრომის კოლექტიური პრინციპის გამარჯვებას" არ ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, მის რეფერენდუმზე გატანას, ან უკიდურეს შემთხვევაში საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს გლეხთა ყრილობის მოწვევას მოითხოვდნენ: დოკუმენტი „უბრალოდ ქაღალდის მიცემაა იმ მიწის ჩამოსართმევადამბობდა ა.პაპავა- რომლებიც გლეხებს აქვს დაკავებული."[141] ეს იმდენად უსუსური არგუმენტაცია იყო, რომ მისი გაბათილება სოციალ-დემოკრატებს არ გაჭირვებიათ. „თუკი ამ კანონპროექტში არსებული დებულებები- ამბობდა კ.ანდრონიკაშვილი- განხორციელებულია ცხოვრებაში, სადაო აღარაფერი დაგვრჩენია. ეხლა საჭიროა მივცეთ რეალური სახე ამ კანონს."[142] ასეთი პრეამბულის შემდეგ, მიწის საკუთრების უპირატესობის დასაბუთებას გლეხთა ინტერესებიდან ცდილობდა, ხოლო ნ. ხომერიკი, მას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირებდა „მე მომხრე ვარ მიწები კერძო საკუთრებაში გადავცეთ.. სხვანაირად ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების განვითარება შეუძლებელია."[143] აგრარული კომისიის იანვრის დადგენილებით (6- 2-ის წინააღმდეგ) კანონპროექტს პარლამენტში წარდგენისა და მუხლობრივად განხილვის რეკომენდაცია მიეცა.[144] გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 28 იანვრის სხდომამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა", „კანონი ყოფილ სანადელო სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა" და „ინსტრუქცია მიწათმოქმედების სამინისტროსი. გამოცემული სახელმძღვანელოდ 1919 წ. 28 იანვრის კანონის, სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ ცხოვრებაში გატარების დროს" ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც არა მარტო მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას აკანონებდა, არამედ მისი სამართლებრივი ფორმით განაწილების ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების შეხახებაც მიუთითებდა. იმავდროულად განსაზღვრავდა შესაბამისი უწყებისა და კომისიების უფლებებს, იძლეოდა თითოეული მათგანის შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტულ ჩამონათვალს. აღნიშნულმა კანონებმა უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისადმი გადაცემულ მიწებს სამართლებრივი სახე მისცა. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ პირველ დოკუმენტში ვკითხულობთ „1) სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრ

ბად, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც ამ კანონის შემდეგ (2) მუხლშია მოხსენებული. 2) გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტის მე-5-ე მუხლში და ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონშია ჩამოთვლილი. არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწები, რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშნული იქნება. 3) მიწა მიეცემა საკუთრებათ იმ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა... 7) მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომლოდ იმდენი, რომ მიცემული მიწა კომლის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც მიწების კონფისკაციის დროს დაწესებულ იქნა კერძო მფლობელთათვის ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის მე-2 მუხლით. ამ ფარგლებში მიწები ისე უნდა იქნეს განაწილებული, რომ უპირატესობა მიეცეს ოჯახს, რომელსაც საკუთარი შრომით დაუმუშავებია ეს მიწა, თანაც ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას."[145] კერძო მიწისმფლობელობის ნორმის განსაზღვრასთან ერთად, იგივე კანონი მიწის საფასურის გადახდის აუცილებლობის გამომწვევ ძირითად მიზეზებსაც განმარტავდა. ერობებთან შეთანხმებით იგი ფონდის მიწების გაყიდვის შესაძლებლობას მხოლოდ მიწის მიღების უფლების მქონე პირებზე იძლეოდა და მისი გამართლების მიზნით გარკვეულ ალიბსაც ასახელებდა. ამის შესახებ მეჩვიდმეტე მუხლში ვკითხულობთ: „მცხოვრებთა შორის გასანაწილებელი მიწა გაიყიდება იმაზე, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარული იქნეს ხარჯი, რომელიც სახელმწიფოს დაედება საადგილ-მამულო ბანკების ვალების თავის-თავზე გადატანით, ზოგიერთი მიწების გაშრობისა და მორწყვის, გადასახლების და დასახლების, აგრარული რეფორმის განხორციელებისა და მასთან შეკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა გამო და აგრეთვე ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭიროა აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად."[146] რაც შეეხება მიწის გამოსასყიდ საფასურს, ზემოთ მითითებული კანონებისადმი თანდართულ ინსტრუქციაში იგი კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად იყო განსაზღვრული. 1 დესეტინა მიწა პირველი კატეგორიისა –1000 მანეთი, მეორე კატეგორიისა –625 მანეთი, მესამე კატეგორიისა –375 მანეთი, ხოლო მეოთხე კატეგორიისა- 250 მანეთი.[147] ამით მიწის გამოსასყიდთან მიმართებაში, მოსალოდნელი გაუგებრობა ფაქტობრივად მოხსნილი იქნა. იგივე დოკუმენტი უღარიბეს გლეხობას მიწის საფასურის (ერთი წლის მოსავლის მეოთხედი) ხაზინაში

ნაწილ-ნაწილ შეტანის უფლებას აძლევდა. მართალია ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა აგრარული პროგრამის გატარებისას უპირატესობა კერძო საკუთრებას მიანიჭეს, მაგრამ მუნიციპალიზაციაზე ბოლომდე უარი არ უთქვამთ. მხედველობაში გვაქვს საერობო და სახელმწიფო მამულებში მუნიციპალური ფორმის შენარჩუნების ფაქტები. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე - აგრარული საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ხომერიკი გარკვევით აცხადებდა: „ჩვენი აგრარული კანონმდებლობა არ შეიცავს მარტო მიწების კერძო საკუთრებად დარიგებას, ის გულისხმობს აგრეთვე ჩამორთმეული მიწების ნაწილის მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს ხელში დატოვებას, ამ მიწებზე მუნიციპალური და სახელმწიფო მეურნეობის მოსაწყობად. კერძო საკუთრებით ვაძლევთ მხოლოდ იმ მიწებს, სადაც ფაქტიურად წვრილი მეურნეობაა და დიდი ხანია გლეხებს უჭირავთ. მიწების კონფისკაციას შედეგად მოყვა კულტურული მამულებისა და ჩამონაჭრების სახელმწიფოს ხელში გადმოსვლა. ამათი ერთი ნაწილი ეძლევა ერობას საცდელ საჩვენებელ დაწესებულებების მოსაწყობად და აგრეთვე საკუთარი მუნიციპალური მეურნეობის გასაჩაღებლად."[148] ხოლო მეორე ნაწილი, სახელმწიფოს ხელში რჩებოდა. ეს იმის დამადასტურებელია, რომ იგი მუნიციპალურ მეურნეობებს, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად განსაკუთრებულ მისიას აკისრებდა. რაც შეეხება სახელმწიფო მამულებს, ნ. ხომერიკი კლასიფიკაციის მიხედვით სამ ჯგუფად ყოფდა. 1) მეექნახეობა-მებოსტნეობის, 2) მინდვრის კულტურის, 3) მეხილეობისა და მებაღეობის. აღნიშნული მამულების მნიშვნელობას სახელმწიფოსადმი წმინდა მოგების ინტერესების ფონზე განიხილავდა. „მიმდინარე წლის ბიუჯეტით-აცხადებდა იგი-მათი გასავალი 196 მილიონს უდრის, ხოლო შემოსავალი 346 მილიონს... ჯერ კიდევ არ არის სავსებით ჩამოყალიბებული ამ მამულების მართველობის სისტემა და მეურნეობის ხასიათი. ეს თანდათანობით ხდება მუშაობის პროცესში. როცა იგი დასრულდება-ჩვენს წინ გადაიშლება დიდი სახელმწიფოებრივი მეურნეობა, რომელიც არათუ თავის თავს შეინახავს, არამედ ხაზინას საგრძნობ წმინდა მოგებას მისცემს"[149] ეს ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია, აგრარულ რეფორმას ერთდროულად მიწისმფლობელობის სამ ფორმას უდებდა საფუძვლად: 1) წვრილი და საშუალო მამულების და სანადელო გლეხური მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას. 2) მუნიციპალიზაციას-განსხვისებული მიწების ადგილობრივი კომიტეტების ან ერობებისათვის, ანუ საზოგადოებრივ საკუთრებაში გადაცემას. (მისი გამოყენება გლეხობას მხოლოდ მიწის იჯარით

აღებისა და მინიმალური შესაბამისი გადასახადის გაღებით შეეძლო 3) სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნებას-სახელმწიფო საკუთრებაში განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის მამულებისა და საწარმოების გადაცემას. თითოეულ მათგანს შესაბამისი დატვირთვა ეძლეოდა ისე, რომ იგი წვრილი კერძო მეურნეობის განვითარების ხელშემშლელის როლში არ გამოსულიყო. ამის შესახებ იმავე ყრილობაზე აგრარულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში გარკვევითაა ნათქვამი, „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო და კომუნალური მეურნეობის გაძლიერებას, თვითმმართველობებს უნდა გადაეცეს სრულ განკარგულებაში ის კულტურული მამულები და ჩამონაჭრები, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ და აგრეთვე სხვა მიწები სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან, რამდენადაც ამით არ შევიწროვდება წვრილი გლეხობის ფაქტიურათ მიწის სარგებლობა."[150] სოფლის მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური გზისადმი უპირატესობის მიცემიდან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთმა ლიდერებმა მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ ამიერკავკასიის სეიმის 23 თებერვლის დადგენილების გადასინჯვის და ახალი სისტემის შესაბამისობაში მოყვანის საკითხი დააყენა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ნ.ხომერიკის პოზიცია იქცევს. დამფუძნებელი კრების 1919 წლის დეკემბრის სხდომას მან სპეციალური პროექტი წარუდგინა. იმავდროულად ოპონენტებისაგან ორი ძირითადი მომენტის გათვალისწინება მოითხოვა. 1) ანგარიში გაეწიათ იმ უცხოელთათვის, რომლებიც საქართველოს საზღვრებს დატოვებდნენ და 2) რესპუბლიკის გაღატაკებული მოქალაქეებისათვის, შვილებისათვის სწავლა-განათლების მიცემის ყოველგვარ სახსრებს რომ იყვნენ მოკლებულნი.[151] ამ პროექტის ძირითადი დებულებები დამფუძნებელმა კრებამ არ გაიზიარა, მან სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაშიც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მოტივად მხოლოდ რეფორმის დაუსრულებლობას ასახელებდნენ. მიუხედავად ამისა, აგრარულმა კომისიამ პროექტი გააფართოვა და მისი გავრცელება ყველა იმ რაიონებზე მოითხოვა, სადაც მიწების ჩამორთმევა იყო დასრულებული. ეს დოკუმენტი დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 იანვრის სხდომაზე გაიტანეს განსახილველად და მასში მოტანილი ძირითადი დებულებების დაცვას პ.საყვარელიძე შეეცადა. იგი მიწების ყიდვა-გაყიდვის შემოღების აუცილებლობის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ოპონენტებს შეახსენებდა: „თუ საკუთრებას უტოვებთ მცხოვრებთ, უნდა მისცეთ უფლება როგორც უნდა ისე მოიხმაროს.. თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის, გაცვლა-გამოცვლის უფლება უნდა ქონდეს. ვისაც გაუვლია სოფელში იცის, რომ ეს

მოთხოვნილებაა ცხოვრების. ჩვენ უნდა მოვსპოთ არტახები და გავანთავისუფლოთ ხალხი, რომ ეკონომიურათ იმოქმედოს თავისუფლათ."[152] ამ შემთხვევაში პ.საყვარელიძე სავსებით მართალი იყო, რადგან კერძო საკუთრების მფლობელს ქონების სრულად განკარგვის უფლება უნდა ქონოდა. მეორე მხრივ, ეს ნაბიჯი სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ხელშემწყობ ფუნქციებს ასრულებდა. მის გაუთვალისწინებლობას დაწყებული რეფორმის ჩიხში მოქცევა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამომავლო პერსპექტივაზეც უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეეძლო. რამდენადაც ეს ფაქტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, მიწების ყიდვა-გაყიდვის დეკრეტის საფუძვლიანად გადამუშავებული პროექტი, დიდი დებატების შემდეგ, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 10 თებერვლის სხდომამ დაამტკიცა.

დოკუმენტის პირველი მუხლის მიხედვით, ამიერკავკასიის კომისარიატის ზემოადნიშნული დადგენილება უქმდებოდა და გარკვეული შეზღუდვებით მიწის ყიდვა-გაყიდვა ნებადართული ხდებოდა. თუ რა ფორმით შეიძლებოდა ამ პროცედურის განხორციელება, ამის შესახებ იმავე მუხლის მეორე შენიშვნაში ვკითხულობთ: „დროებით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ყიდვის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ნორმაზე ნაკლები მამული მოეპოვება და იმდენისა რომ საერთოდ მისი მიწის რაოდენობა არ აღემატებოდეს ამ რაიონში დაწესებულ ნორმას."[153] ეს იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული პროცედურა ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის ფარგლებში განხორციელებულიყო. მაგრამ ეს იყო დროებითი შეზღუდვა, დოკუმენტის ენით რომ ვთქვათ „სათანადო კანონის გამოცემამდე." მიწის საკუთრების ფორმების გარკვევის შემდეგ აუცილებლობად მიგვაჩნია ზოგადად შევეხოთ იმ ურთიერთ საწინააღმდეგო თვალსაზრისს, რომელიც ამ პერიოდის ეკონომიკური ისტორიის მკვლევართა შორის, ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული რეფორმისტი პოლოგიურმა შეფასებამ გამოიწვია. მკვლევართა ერთი ჯგუფი-ელ.დრაბკინა,[154] კ.ჩარკვიანი,[155] და სხვები იმ ეტაპზე საქართველოში განხორციელებულ აგრარულ რეფორმას, სოფლის მეურნეობის განვითარების ამერიკულ, ხოლო კ.ორაგველიძე,[156] ი. მირცხულავა[157] და სხვები, პრუსიულ გზად თვლიდნენ. თავიანთი არგუმენტაციის დასაბუთებისა და მისთვის მეტი დამაჯერებლობის მიცემის მიზნით, ორივე ჯგუფის მკვლევარები უამრავ ფაქტობრივ მასალას იშველიებენ, რომლის საფუძველზეც ურთიერთ-გამომრიცხავ დასკვნებს აკეთებენ. ეს ლოგიკური იყო, რადგან ძირითადი აქცენტი მიწისმფლობელობის კერძო საკუთრებაზე გადაჰქონდათ და მხოლოდ ტიპობრივ ხასიათს განსაზღვრავდნენ. მაგრამ ყურადღების მიღმა

ტოვებდნენ მუნიციპალური და სახელმწიფოებრივი მიწისმფლობელობის შენარჩუნების ფაქტებს. ერთი რამ ცხადია, ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის აგრარული რეფორმის ამერიკული და პრუსიული გზა უცხო არ იყო, მაგრამ იმის მტკიცება, თითქოს იგი რომელიმე მათგანის ტიპიურ სახეს წარმოადგენდა, ვფიქრობთ გაუმართლებელია. ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას ყოველგვარი შაბლონისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის ნეგატიური დამოკიდებულება იძლევა. კამათს არც ის უნდა იწვევდეს, რომ მისი ლიდერები, ამა თუ იმ რეფორმის გატარებისას რამდენიმე ვარიანტის ერთმანეთთან შეჯერებით, საქართველოს სპეციფიკისათვის იმ ეტაპზე შესატყვისი ფორმის გამოძებნას რომ ანიჭებდნენ უპირატესობას. ამის უტყუარ დადასტურებას მიწისმფლობელობის კერძო, მუნიციპალური და სახელმწიფო საკუთრების ისეთი სახით შენარჩუნება წარმოადგენს, რომელიც სოფლად კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას უწყობდა ხელს. როცა ამერიკული ან პრუსიული გზის შესახებ ვსაუბრობთ, ზემოაღნიშნულ მკვლევარებს პირველ რიგში უნდა გაერკვიათ, აგრარული რეფორმის გატარებისას ამ სახელმწიფოებში მიწისმფლობელობის სამივე ფორმა იყო შენარჩუნებული თუ არა. მათი შრომებიდან სამწუხაროდ ეს არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელისადმი უპირატესობის მიცემას. ამ შემთხვევაში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, პრიორიტეტს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე აგებდნენ და მათგან მხოლოდ ის ღირებულებები გადმოჰქონდათ, რომელიც ქართული სინამდვილისათვის მისაღებად მიაჩნდათ. ამ ფაქტორის ანგარიშგაუწევლობა დაუშვებელია, რადგან ევროპული ზეგავლენის შესახებ თვით ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ხაზგასმით მი უთითებდნენ. ამასთან დაკავშირებით 1918 წელს გამოცემულ „მემუარში" გარკვევითაა ნათქვამი „ეკონომიკურათ" საქართველოს მეურნეობის სახე უფრო დასავლეთ ევროპის მეურნეობას უახლოვდება."[158] ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ, აღნიშნული რეფორმისათვის ევროპის რომელიმე ქვეყნის შაბლონი გადმოიღო. პირიქით, დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ აგრარული რეფორმის ის მოდელი, რომელიც ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ შეიმუშავა, სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ რელსებზე თანდათანობითი გადასვლის ორიგინალურ ფორმას წარმოადგენდა და ქართულ სამეურნეო ტრადიციასთან სოფლის მეურნეობის მოწყობის დაახლოებას ითვალისწინებდა.

აგრარული რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად,

პირველი ქმედითი ნაბიჯი საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე სტატისტიკის შესადგენად შესაბამისი კანონ-პროექტის მიღებით გადაიდგა. ამ დოკუმენტის მიხედვით, მიწათმოქმედების სამინისტროს საჭიროებისამებრ 3.916.000 მანეთი გამოეყო[159]. რაც შეეხება საადგილმამულო რეფორმის დასაჩქარებელ ღონისძიებებს, ამის შესახებ ერობათა და საადგილმამულო განყოფილებათა წარმომადგენლების 1920 წლის იანვრის თათბირმა საგანგებოდ იმსჯელა და სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა: 1) აგრარული რეფორმის გამტარებელ კომისიას, მოეხდინა საფონდო მიწების საკუთრებაში გადაცემის ორგანიზაციის გამარტივება, 2) სარაიონო კომისიების არჩევა და მისი წევრების დაკომპლექტება სათემო ხმოსანთა თემისადმი მიენდო, 3) რეფორმის გატარებაზე მომუშავე პერსონალი გაეჯანსაღებინა და კომისიებში პასუხისმგებელი პირები დაენიშნა, 4) მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარული რეფორმების განყოფილებას და სამაზრო ერობას, ადგილობრივი მუშაობის ხელმძღვანელობისთვის სათანადო კონტროლი გაძლიერებინა. 5) ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მიწების ჩამორთმევა-განაწილება ერთდროულად მოეხდინა, 6) სოფლის მცხოვრებთა თანხმობის შემთხვევაში საფონდო მიწების ჯგუფობრივი (სოფლობით) გადაცემა განეხორციელებინა, 7) რეფორმის გარშემო წამოჭრილი დავა და საჩივარი (საქმის გაჭიანურების აცილების მიზნით) ადმინისტრაციული წესით გადაეწყვიტა.[160] აღნიშნული წინადადებების პრაქტიკულად განხორციელების მიუხედავად, რეფორმა გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა. აგრარული საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ხომერიკი ამის შესახებ საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას და ხელშემშლელი დაბრკოლებებიდან მხოლოდ უმთავრეს მათგანს გამოყოფდა: 1) მუშობის სპეციფიურობიდან გამომდინარე სირთულე, 2) ჩამოსართმევი და გასანაწილებელი მიწების გაუმიჯნაობა. (უმეტეს შემთხვევაში გეგმების არარსებობა, ხოლო არსებულის მოძველების გამო უვარგისობა. 3) ერთი და იმავე მესაკუთრის მამულების სხვადასხვა რაიონებში, მაზრებში და სოფლებში წვრილ-წვრილ ნაკვეთებად მდებარეობა. 4) მუშაობის სეზონური ხასიათი (მხოლოდ 5 თვე და უამინდობა) 5) სატრანსპორტო საშუალებების უქონლობა, გამოცდილი და მცოდნე ტექნიკური პერსონალისა და მუშახელის ნაკლებობა. 6) მეზობელ სახელმწიფოებთან ომი და ანარქიული გამოსვლები (შეაფერხა სოფლად აგრარული კომისიის მუშაობა).[161]

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სირთულეები იმდენად არსებითი ხასიათისა იყო, რომ იგი აგრარული რეფორმის გარკვეული წლებით გადადების რეალურ საფუძველს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, მმართველ

ლი პოლიტიკური პარტია ძალების მაქსიმალური მობილიზაციით სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ბოლომდე მიყვანას შეეცადა. ამიტომ ამ სფეროში გაწეული საქმიანობა, ობიექტურ შეფასებას მოითხოვს, მითუმეტეს საქართველოში არსებული ოპოზიციური პარტიები პრობლემასთან შეჭიდებას და საკითხთა ორგანიზაციულად მოგვარების პასუხისმგებლობას გაურბოდნენ. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ თუ რა კონკრეტული ხასიათის სამუშაოები შესრულდა აგრარული პროგრამიდან და უახლოეს მომავალში რისი გაკეთება იყო გათვალისწინებული, აუცილებლობად მიგვაჩნია ყურადღება ორ ძირითად საკითხზე შევაჩეროთ. 1) საქართველოში მიწის ფონდის რაოდენობაზე და მისი განაწილების ფორმაზე 2) მცირემიწიანი გლეხებისადმი მიმართებაში საგადასახლებო პოლიტიკის გამოყენებაზე. აღნიშნული საკითხების ერთობლიობაში განხილვა და პროგრამით შესრულებული, ან უახლოეს მომავალში გათვალისწინებული სამუშაოების წარმოჩენა, ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული რეფორმის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს. რაც შეეხება პირველ კითხვასთან დაკავშირებით არსებულ მონაცემებს. იგი იმ პერიოდის სტატისტიკას ემყარება და რეფორმის მიმდინარე პროცესის ზოგად სურათს ქმნის. მიუხედავად ამისა შესაბამის ციფრობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეეცდებით გავარკვიოთ: მიწის საერთო ფონდი იძლეოდა თუ არა გლეხობის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. არსებული მასალების მიხედვით,საქართველოს სავარგული მიწების ფართობი 5,37207 დესეტინას შეადგენდა. აქედან თბილისის გუბერნიაზე 3421727 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაზე, სოხუმის და ბათუმის ოლქების გამოკლებით 1 430895 დესეტინა მოდიოდა. რაც შეეხება ტყეს, მას 2486838 დესეტინა ეჭირა, ხოლო საძოვრებს 693198 დესეტინა.[162] 1920 წლის იანვრის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში 110457,95 დესეტინა. ე.ი. მთლიანად 621996, 92 დესეტინა.[163] ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გლეხთა კომლობრივ რაოდენობას ეძლეოდა. 1917 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 3631 სოფელი იყო, რომელიც 317653 კომლს ითვლიდა. აქედან თბილისის გუბერნიაში 2282 სოფელი 135633 კომლით, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1153 სოფელი 156773 კომლით.[164] რაც შეეხება გლეხებისათვის გადასაცემი მიწის რაოდენობას, იგი 24687,86 დესეტინით იყო განსაზღვრული. რეფორმის სრულად განხორციელების შემთხვევაში, მისი რაოდენობის 320-350 ათას დესეტინამდე გაზრდას ვარაუდობდნენ,[165] რომელიც 317653 კომლზე უნდა განაწილებულიყო. აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, 1918 წლის 7 მარტის კანონით გლეხებისათვის დასარიგებელი მიწის

ნორმა, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში საკმარისზე ნაკლები იყო, ამასთან დაკავშირებით ნ.ხომერიკის მიერ მოტანილი ციფრობრივი მასალა შემდეგ სურათს იძლევა: თბილისის გუბერნიაში იგი საშუალოდ 10,16 დესეტინას შეადგენდა, ხოლო მაზრებში ცვლილებებს განიცდიდა. სიღნაღის მაზრაში –5,37 დესეტინას, ბორჩალოში-18,89, თიანეთში-24,53, ქუთაისის გუბერნიაში-7,15 დესეტინას, ლეჩხუმში-4,49 დესეტინას, რაჭაში-3,52, სენაკში-4,27 გურიაში-13,50, ხოლო ორივე გუბერნიაში საშუალოდ მიწის ნორმა 9,35 დესეტინით განისაზღვრებოდა.[166]

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი რაიონების მოსახლეობა სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მთიანი რაიონები გამოირჩევა. ამის შესახებ მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე პ.გელეიშვილი მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1919 წლის 26 ივნისი) აღწერდა იმ მძიმე მდგომარეობას, რომელსაც რაჭის, შორაპნის, ქუთაისის, ფშავ-ხევსურეთის, თელავის, დუშეთის, გორის მაზრის ზოგიერთი სოფლის გლეხკაცობა განიცდიდა. მათ „ისე მცირე მიწა აქვთ - წერდა პ.გელეიშვილი- რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ ოჯახურ მოთხოვნილებას და იძულებულნი არიან მთელ რუსეთში დაიფანტონ დღიური ლუკმის საშოვნელად ოჯახის გამოკვებისათვის."[167] ეს ფაქტი ანგარიშგასაწევი იყო. აუცილებლობა ისეთი ფორმის გამოძებნის საჭიროებას მოითხოვდა, რომელიც აგრარული პროგრამით გათვალისწინებულ ჩარჩოში ჩაჯდებოდა და მცირემიწიან გლეხთა ინტერესებს სრულად დააკმაყოფილებდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად, მცირე მიწიანი გლეხების რესპუბლიკის სხვა ადგილებში-თავისუფალ მიწებზე ჩასახლების პოლიტიკის განხორციელება მიიჩნიეს. ეს ღონისძიება ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ უარყოფითად შეაფასა.[168] სინამდვილეში მისი განხორციელება გონივრულ ნაბიჯს წარმოადგენდადა ეროვნული სახელმწიფოს საძირკვლის გასამაგრებლად პრაქტიკულად მისაღები ჩანაფიქრი იყო. ამ რეფორმას ორი მხარე გააჩნდა პოლიტიკური და ეკონომიკური. რაც შეეხება პირველ მათგანს-პოლიტიკურს, იგი რესპუბლიკის საზღვრისპირა აუთვისებელ მიწებზე ქართველი გლეხობის დამკვიდრებას ითვალისწინებდა. ამის შესახებ ნ.ხომერიკი გარკვევით მიუთითებდა: „განაპირა ადგილები ყველა თითქმის უკლებლივ დასახლებულია არაქართული ელემენტებით, რომელნიც... ხშირად მტრულ განწყობილებას იჩენენ რესპუბლიკისადმი დაწყებული მეხადირიდან, რესპუბლიკა რკალივით გარშემორტყმულია ან უცხო ტომის ხალხით, ან კიდევ ისეთებით, რომელნიც შეგნებით ქართველნი არ არიან და არც მაინცა და მაინც

სიყვარულს იჩენენ ჩვენი კულტურისა და სახელმწიფოსადმი. ამიტომ საქართველოს კარები თუ გნებავთ მუდამ ღიაა მომხდურთათვის" ამის საილუსტრაციოდ საქართველოს ორწლიანი გამოცდილებიდან შესაბამისი ფაქტები მოყავდა. რომელნიც რესპუბლიკის კარიბჭის მისადგომებთან უცხო ტომის მცხოვრებთა არასაიმედოობას ადასტურებდა. „პატარა რესპუბლიკისათვის ასეთი მდგომარეობა-ამბობდა ნ. ხომერიკი-მეტად მძიმე და აუტანელია... გადასახლების პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს ეს მდგომარეობა ცოტათი მაინც გამოვასწოროთ და სახელმწიფოს საზღვარზე დარაჯი დავაყენოთ. ეს მით უფრო საჭიროა მოვიმოქმედოთ, რომ ჩვენ ამისათვის არ დაგვჭირდება ძველი წყობილების პოლიტიკა ვაწარმოოთ, ადგილობრივ ხალხი ვდევნოთ და ვავიწროოთ... საჭიროა მხოლოდ ამ ხალხის (უცხოტომელთა –შ. ვ.) დენა იქ შეწყდეს და მათ მაგიერ ქართველ უმიწაწყლო გლეხს მიეცეს მამული თავის ქვეყანაში."[169]

ესეც ანგარიშგასაწევი მოთხოვნა იყო და მისი უგულებელყოფა ნებისმიერ მმართველ პარტიას პოლიტიკურ ასპარეზზე გარდუვალ დამარცხებას უქადდა. მისადმი პრიორიტეტის მინიჭება და არსებული პროგრამის სრულად განხორციელება, ქვეყნის ეკონომიკის თანდათანობითი აღმავლობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო. ამიტომ, ამ მექანიზმის ამოქმედების აუცილებლობას, ქართველი სოციალ-დემოკრატები ნომერ პირველ ამოცანად მიიჩნევდნენ და ჩანაფიქრის პრაქტიკულად განსახორციელებლად შესაბამის პირობებსაც ამზადებდნენ. ამის საუკეთესო დადასტურებას მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ განყოფილებაში გადასახლების ქვეგანყოფილების („ნაწილის"), შექმნის ფაქტი წარმოადგენს, რომლის ფუნქციებში გადასახლებულთა საქმის მოწესრიგება შედიოდა."[1720] თუ რამდენად დიდი დატვირთვა ეძლეოდა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არნიშნული კურსის გატარებას, ამის დამადასტურებლად ნ.ხომერიკის არგუმენტირებულ შეხედულებას დავიმოწმებთ, რომლის მიხედვითაც გლეხთა „დასახლება იმ ადგილებში სადაც თავისუფალი მიწებია, საშუალებას მისცემს სახელმწიფოს უფრო მიზანშეწონილად გამოიყენოს მრავალი ათასი ადამიანის შრომა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე. ეკონომიურად ეს რესპუბლიკას, უეჭველია ძლიერ გაამაგრებს."[171] ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის მიერ ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, პოზიციის ასეთი ფორმით დაფიქსირება საკითხის გადაწყვეტას სრულებითაც არ ნიშნავდა. დასახული პროგრამის განხორციელება შესაბამის დაფინანსებას საჭიროებდა. ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ეკუთვნოდა. არსებული მასალებიდან დასტურდება, რომ სოციალ-დემოკრატთა

ინიციატივას მხარი დაუჭირა, საპარლამენტო ფრაქციების უმრავლესობამ. ამის საილუსტრაციოდ გადასახლების საქმის მოსაწყობად დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 ივლისის სხდომის მიერ მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში 5 მილიონი მანეთის გადაცემის შესახებ მიღებული დეკრეტი გამოდგება.[172] ეკონომიკური შეჭირვების მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრო საჭიროებისამებრ თანხის გამოყოფას რეგულარულად ახდენდა, რომლის რეალურ შედეგს (1918 წლის მეორე ნახევრიდან 1920 წლის ივნისამდე) თავისუფალ მიწებზე 23 სოფლის –2072 კომლის ჩასახლება და მათი 12745 დესეტინა მიწით უზრუნველყოფა წარმოადგენდა.[173]

ამ კურსის გაგრძელების მიზანშეწონილობა ნ.ხომერიკმა ეკონომიურ თათბირზე (19120 წლის 13 ოქტომბერი) გაკეთებულ მოხსენებაშიც დაასაბუთა. მისი მტკიცებით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ქვეყანაში სასურსათო პრობლემას მოხსნიდა.[174] ეს დებულება ყარაიაზის ველის სარწყავი სისტემის აღდგენის ნ.ხომერიკისეულ პროექტს ედო საფუძვლად, რომელიც სათანადო დასაბუთებით განსახილველად ჯერ კიდევ 1919 წელს საქართველოს მთავრობას და ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო კონტროლიორს წარედგინა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ნ.ხომერიკი ყარაიაზს „მსხვილ საკოლონიზაციო“ ფონდათ იხსენიებს, სადაც იმჟამად 300 კომლი სახლობდა. მისი რაოდენობრივი ზრდა 1920 წლის ბოლოსათვის 500 მდე იყო ნავარაუდევი. იმ შემთხვევაში თუკი ყარაიაზის 17000 დესეტინა მიწას მორწყავდნენ, საქართველოს სოფლის მეურნეობა ნ.ხომერიკის მტკიცებით 5 მილიონ ფუთ საკვებს მიიღებდა, რომელიც ქართული ჯარის შესანახად სავსებით საკმარისი აღმოჩნდებოდა. რაც შეეხება დახარჯული თანხის ამოღებას, მას ნ.ხომერიკი სამ წელიწადში ვარაუდობდა. ასეთი პრეამბულის შემდეგ, იგი მთავრობისგან სარწყავი სისტემის 137 კილომეტრის სიგრძის არხის ძირითადი რემონტისათვის 3,5 მილიონ მანეთს და განსაკუთრებული სათადარიგო სამუშაოს შესასრულებლად 400 ათას მანეთს ითხოვდა.[175] ნ.ხომერიკის ეს მოხსენება და პროექტი აგრარული კომისიის 1919 წლის 3 დეკემბრის სხდომამ განიხილა და დასკვნისათვის საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა დამფუძნებელ კრებაზე წარდგენის რეკომენდაცია მისცა.[176] გარკვეული სარედაქციო ცვლილებების შემდეგ, დეკრეტის სახით იგი დამფუძნებელი კრების 1919 წლის 19 დეკემბრის სხდომამ დაამტკიცა. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „1) გაღებული იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონ ხუთას სამოცი ათასი (3. 560000) მანეთი ყარაიაზის მამულის სარწყავი

არხის შესაკეთებლად. 2)უფლება მიეცეს მიწათმოქმედების მინისტრს იგივე სარწყავი არხისთვის განსაკუთრებული სათადარიგო სამშენებლო თანხის ოთხასი ათასი (400.000) მანეთის შედგენისა იმ პირობით, რომ ეს ფული გადახდეს მცხოვრებლებს ამ არხიდან წყლის ხმარებისათვის. 3)პირველ მუხლში აღნიშნული თანხა უნდა გადახდეს მცხოვრებლებს წყლის ხმარებისათვის სამი წლის განმავლობაში".[ო] მართალია, ზემოთ დასახელებული თანხა სესხის სახეს იძენდა და იქ ჩასახლებული მოსახლეობისაგან გახარჯული წყლის საფასურათ სამი წლის მანძილზე დაფარვას ითვალისწინებდა, მაგრამ ამ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ერთ-ერთი ძლიერი და პერსპექტიული მეურნეობის მწყობრში ჩაყენებას, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მაქსიმალურად ზრდას ისახავდა მიზნად. ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენად მიზნობრივად იქნა გამოყენებული ზემოთ აღნიშნული თანხა. სამწუხაროდ ამის შესახებ საარქივო მასალები არავითარ ინფორმაციას არ იძლევა. ყარაიაზის მამულში ჩატარებული სამუშაოებისა და მისი ხარჯთაღრიცვხის შედარებით სრულ ინფორმაციას ყარაიაზის მამულის მეორე განყოფილების სარწყავი სისტემის დამთავრების ხარჯთაღრიცხვის განმარტებითი წერილი შეიცავს. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ეს მამული ორი განყოფილებისაგან შედგებოდა: პირველი მათგანის 15739 დესეტინა მიწიდან, 11 943 დესეტინა ირწყვებოდა. 1867 წელს აშენებული საირიგაციო სისტემის საშუალებით იგივე განყოფილება 8 სოფელს აერთიანებდა. აქედან 5 მკვიდრი-ქესალო, ნაზარლო, ღიულ-ქენდი, ყაპანახჩი და მეშადი-აბასი 2640 დესეტინას ფლობდა, ხოლო სამი ახალი ქართული სოფელი- „ძმობა", „ერთობა" და „თავისუფლება"- 3368 დესეტინას. საცდელ მინდორს –408 დესეტინა ეჭირა, ხოლო ბოტანიკურ ბაღს-78 დესეტინა. რაც შეეხება მეორე განყოფილებას- 8454 დესეტინას ფლობდა. აქედან სახნავ-სათესი მხოლოდ 700 დესეტინა იყო. კავკასიის წყალთა სამმართველოს 1913 წლის შედგენილი მიწების მორწყვის პროექტის მიხედვით გამოსადეგი მიწების რაოდენობა 4830 დესეტინამდეა გაზრდილი. ყარაიაზის სარწყავი არხების შეკეთების სამუშაოთა ღირებულება 1913 წლის მონაცემებით 162262 მანეთად და 28 კაპიკად იყო შეფასებული. ერთ დესეტინაზე დანახარჯი 33 მანეთსა და 60 კაპიკს შეადგენდა. დაწყებული სამუშაოები ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა, ხოლო შემდეგ რევოლუციამ შეაფერხა. მიუხედავად ამისა 1918 წლის გაზაფხულისათვის გარკვეული ნაწილი დამთავრებული იყო რომლის საერთო დანახარჯი 182884 მანეთით და 96 კაპიკით განისაზღვრა.

ფაქტობრივად ეს სარწყავი სისტემის ამოქმედებას ნიშნავდა. ამ გარემოებამ საქართველოს მთავრობას 1919 წლისათვის ყარაიაზის მამულში 880 დესეტინა მიწის დათესვის შესაძლებლობა მისცა. რაც შეეხება შეჩერებულ სამუშაოებს, მისი განახლების საკითხი 1919 წლის 11 ოქტომბერს დაისვა. შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 4830 დესეტინის მორწყვის უზრუნველყოფა 9.368 000 მანეთს მოითხოვდა[178] ამ მონაცემებზე დაყრდნობით მიწათმოქმედების მინისტრი შესაბამისი პროექტით ზემოაღნიშნული თანხის დაუყოვნებლივ გამოყოფის საკითხს აყენებდა. ეს დოკუმენტი დამფუძნებელი კრების ეკონომიურმა და საიუჯეტო-საფინანსო კომისიებმა მოიწონეს. მისადმი მხარდაჭერა ფინანსთა მინისტრმა კ.კანდელაკმაც დაადასტურა. საქართველოს მთავრობისადმი 1920 წლის 10 იანვარს წარდგენილ სპეციალურ წერილში იგი გარკვევით წერდა: „იმის გამო რომ ჩვენ დიდ სასურსათო კრიზისს განვიცდით, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ რათა იმდენი პური მოვიყვანოთ... რომ გვყოფნიდეს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სავაჭრო ბალანსის გამოსწორებასაც... თუმცა ჩვენთვის ახლა მეტად მძიმეა, მაინც ვერ ვამბობ უარს ყარაიაზის არხის მოწყობაზედ, რათა რამდენიმე ათასი დესეტინა სარწყავი მიწა წელს მეტი შევძინოთ ჩვენ სახნავ-სათეს მიწის ფონდს." რაც შეეხება აღნიშნული თანხის კანონმდებლობის წესით გამოყოფას, იგი თანხმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აცხადებდა, თუკი დასახელებული სივრცის იმავე წელს მორწყვის შესაძლებლობაზე მთავრობა იქნებოდა პასუხისმგებელი. „ამასთანავე მოვახსენებ მთავრობას – წერდა კ.კანდელაკი- რომ ამ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ჩვენ მეტი თანხის მიწათმოქმედების სამინისტროს ახალ საქმეებზე გადადება არ შეგვეძლება. ვთხოვ მთავრობას და კერძოთ მიწათმოქმედების სამინისტროს ამ უკანასკნელ გარემოებასაც ანგარიში გაუწიოს."[179] რთული საფინანსო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება აგრარული რეფორმის ბოლომდე მისაყვანად შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა ამის ერთ-ერთ დადასტურებას ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მეორე განყოფილების სარწყავი სისტემის დასამთავრებლად 9 368 000 მანეთის გამოყოფის შესახებ სპეციალური დეკრეტის მიღების ფაქტი წარმოადგენს.[180] ჩვენს მიერ მოტანილი მასალები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ყარაიაზის ველის ათვისებას, სარწყავი სისტემის გამართვას და მაღალმოსავლიან სამეურნეო რეგიონად გადაქცევას სახელმწიფოებრივ რანგში განიხილავდა, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის და რესპუბლიკის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევდა.

ამრიგად, 1) აგრარული რეფორმის მუნიციპალიზაციის ფორმისადმი

ქართული სოციალ-დემოკრატიის მხარდაჭერა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ერების მიწისმფლობელობის ურთიერთგანსხვავებულ სპეციფიკასა და მმართველი წრეების პოლიტიკურ კურსს ემყარებოდა. ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მიერ გამოცემული მიწის კანონების ზოგადი ხასიათი, სამივე რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი, ზოგჯერ წინააღმდეგობაში მყოფი ადგილობრივი ტრადიციების თავისებურებით იყო განპირობებული. 2) დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, ქართულ სოციალ-დემოკრატიას აგრარული რეფორმის სრულად გატარების შესაძლებლობა მისცა. საქართველოს სინამდვილის და მისი სპეციფიურობისგან გამომდინარე უპირატესობა კერძო საკუთრებას მიენიჭა. 1919 წლის იანვარში გამოცემული მიწის კანონები და ინსტრუქცია კერძო საკუთრებაში მიწის დაკანონებასთან ერთად მიწისმფლობელობის ნორმებსაც განსაზღვრავდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული რეფორმა მიწისმფლობელობის სამი ფორმის ა) კერძო საკუთრების, ბ) მუნიციპალიზაციის, გ) სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნებასა და ურთიერთშეხამებას ითვალისწინებდა. იგი სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებისა და აგრარული რეფორმის ქართულ სამეურნეო ტრადიციასთან დაახლოების ხელშემწყობის როლში გამოდიოდა. 3) აგრარული რეფორმის ის ნაწილი, რომელიც ყარაიაზის აუთვისებელ ველზე გლეხთა ჩასახლების პოლიტიკის განხორციელებას ისახავდა მიზნად, სახელმწიფოს წინაშე მდგომ სამ ძირითად ამოცანას წყვეტდა: 1) უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს მიწებით უზრუნველყოფდა, 2) ქვეყნის სასაზღვრო ზოლს ქართული ელემენტით ამაგრებდა და 3) ქართული ჯარის ნაწილებს სურსათის პრობლემას უხსნიდა.

§ 4 სოციალური საკითხი და ქართული სინამდვილე

დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის წინაშე მდგომ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სოციალურ საკითხს ეჭირა. მართალია მისი ლიდერებისათვის იგი უცხო არ იყო და მოწესრიგების პროგრამაც გააჩნდათ, მაგრამ პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობას ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი აფერხებდა. აღნიშნული ფაქტორის და მისი გამომწვევი მიზეზების გაუთვალისწინებლობას უნდა მიეწეროს ის მცდარი დასკვნა, რომელიც საბჭოური ისტორიოგრაფიის მესვეურებმა ქართული სოციალ-დემოკრატიისადმი მიმართებაში გააკეთეს. მხედველობაში გვაქვს სოციალური საკითხის მოუგვარებლობა და ამ ფაქტის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად გამოც ხადება.[181] ისეთი

შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მმართველი პოლიტიკური პარტია საგანგებოდ გაურბოდა ამ პრობლემასთან შეჭიდებას, ანდა მეორეხარისხოვნად თვლიდა მას. სინამდვილეში, სოციალ-დემოკრატების საპროგრამო დოკუმენტებში იგი წინა პლანზეა წამოწეული და პუნქტობრივადაა ჩამოთვლილი იმ გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც მათი აზრით სოციალური საკითხის გადაწყვეტას სამართლებრივ სახეს მისცემდა.[182] ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სწორედ პროგრამის ამ ნაწილის განხორციელებას ცდილობდნენ იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას პოლიტიკური, და ეკონომიკური პირობები იძლეოდა. განსაკუთრებით აქცენტი მუშათა საკითხზე ჰქონდათ გადატანილი. ამასთან დაკავშირებით გ.ერაძე რსდ მუშათა პარტიის ამიერკავკასიის მერვე საოლქო ყრილობის (1918 წელი) 14 ნოემბრის სხდომაზე გარკვევით აცხადებდა: „ჩვენ სოციალ-დემოკრატები ყოველგვარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხს მუშათა საკითხს ვუკავშირებთ, ვინაიდან პოლიტიკურ-ეკონომიკური საქმენი იმდენად არიან საჭირონი, რამდენადაც ხელს უწყობენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას."[183] როგორც ვხედავთ, ქართველი სოციალ-დემოკრატები ყოველგვარი სახის რეფორმას მუშათა პრობლემის გადაწყვეტას უდებდნენ საფუძვლად. მათ კარგად ქონდათ გაცნობიერებული, რომ სოციალური საკითხის მოწესრიგებას, მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა. ამასთან დაკავშირებით ნ.ჟორდანია სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე თავის შეხედულებას შემდეგნაირად აყალიბებდა: თითოეული მოქალაქის „მდგომარეობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მდგომარეობაზე. რამდენადაც ჩვენი სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა უარესდება, იმდენად უარესდება... მოქალაქის მდგომარეობაც... მუშის მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება სახელმწიფოს მდგომარეობის გაუმჯობესებით."[184] ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალურ სფეროში გასატარებელი ყოველგვარი სახის კანონი, ან რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდებოდა, თუკი მას, თუნდაც საშუალო დონის ეკონომიკური ბაზისი არ ექნებოდა. საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის ტალღამ, რომელმაც საქართველოსაც გადაუარა, მისმა უარყოფითმა შედეგებმა სოციალურ სფეროშიც იჩინა თავი.

1920 წლის მონაცემებით, მუშის საშუალო თვიური ხელფასი 2980-4650, ხოლო მოსამსახურის 1850-6000 მანეთს შეადგენდა.[185] მაშინ როდესაც მუშის ყოველთვიური გამოკვება მუშათა მაგიდის დახმარებით საშუალოდ 17000 მანეთს საჭიროებდა, ხოლო მის გარეშე 50000 მანეთს.[186] ეს იმის მაჩვენებელია, რომ რეალური ხელფასი არსებობისათვის საჭირო მოთხოვნებს მინიმალურადაც ვერ წვდებოდა

ბუნებრივია, სახელმწიფოსადმი მათ გარკვეული პრეტენზიები გააჩნდათ. კონკრეტულად თუ რა საკითხზე ამახვილებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, ნიმუშისათვის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობის მიერ არჩეული კომისიისაგან მთავრობისადმი წარდგენილი მოხსენება გამოდგება. მასში პირველი რიგის ამოცანად იყო მიჩნეული: უფასო სამედიცინო დახმარების მოგვარება, მოსამსახურეთათვის წელიწადში ერთი თვის დასვენების ან ფულადი ანაზღაურების მიცემა, მოსამსახურის სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში მისი ბინით ფეხსაცმლითა და საწვიმრით უზრუნველყოფა, მოსამსახურეთა შვილებისათვის უფასო საშუალო განათლების შემოღება, კვირა-უქმე დღეებში გაწეული მუშაობისათვის შესაბამისი ჯილდოს დაწესება, მოსამსახურეებისთვის ერთდროული ფულადი დახმარების- 10 000 მანეთის ფარგლებში გაცემა. აღნიშნული დოკუმენტი სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 5 ოქტომბრის სხდომამ განიხილა და შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: „ფულით ერთდროული დახმარება დიდ არევ-დარევას გამოიწვევს... ამიტომ ამ მოთხოვნას ამხანაგები ნუ წამოაყენებენ. დანარჩენის დაკმაყოფილება ცენტრალურ კომიტეტს შესაძლებლად მიაჩნია."[187] ამ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური სინამდვილე იყო გასათვალისწინებელი. აუცილებლობა არსებული რეალობის სრულად გაცნობიერებას და ფართო მასებამდე დაყვანას საჭიროებდა. რამდენადაც ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა, მისი განხორციელება მხოლოდ სააგიტაციო-საპროპაგანდო მექანიზმის ამუშავებით იყო შესაძლებელი. ბუნებრივია, გარკვეული ფუნქციები გაზეთ „ერთობას" დაეკისრა.

მუშათა წერილების რუბრიკით გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა ანანია-ს ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატია „მუშის დღევანდელი მდგომარეობა." წერილის ავტორი დაწვრილებით აღწერდა საქართველოში მუშათა მძიმე სოციალურ პირობებს და ამ ფონზე მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს კანონიერად მიიჩნევდა, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ყოველგვარი სახის გაფიცვას მიზანშეუწონლად აცხადებდა. „სახელმწიფო წარმოებაში ჩაბმულმა მუშებმა გაფიცვა რომ განახორციელონ – ვკითხულობთ წერილში- მიზანს ვერ მიაღწევენ, რადგანაც არ შეიძლება იმის მიცემა რაც არ არის. პოლიტიკურად კი სახელმწიფოს ომს გამოუცხადებენ და ორში ერთი მოხდება; ან ანარქია წალეკავს... რაც ძვირფასია თვით მუშათა კლასისათვის; ან სხვა ვინმე დაეპატრონება სახელმწიფოს წარმოებას და ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მაგიერ უფლებრივ უბედურებასაც მიიღებს. ეს მუდამ უნდა

ახსოვდეს მუშებს."[188] ასეთი სახის შეგონებითი ფორმის გამოყენება იმ ეტაპზე მიზანს ნაკლებად აღწევდა, რადგან;1) რესპუბლიკის მუშათა უმრავლესობა პოლიტიკურად ჯერ კიდევ იმ დონეზე არ იდგა, რომ არსებული პრობლემის სწორად გაცნობიერება შეძლებოდა, 2) შექმნილი მდგომარეობით ანტისახელმწიფოებრივი ძალები-განსაკუთრებით ბოლშევიკები სარგებლობდნენ და ეკონომიკურად შეჭირვებაში მყოფი ადამიანების სახელმწიფოსადმი დაპირისპირებას ცდილობდნენ. ამის დამადასტურებლად უამრავი ფაქტის მოტანა შეიძლება, რომელთაგან გამოვყოფთ მხოლოდ ერთ მათგანს, კერძოდ, თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეთა 1919 წლის მარტის გაფიცვას. იგი ეკონომიკური მოტივით დაიწყო, მაგრამ პოლიტიკური პარტიების აქტიური მონაწილეობით მან პირველ საფეხურზევე პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. იმის გასარკვევად, თუ რა ძალები აქტიურობდნენ და რა კონკრეტული გეგმები გააჩნდათ თითოეულ მათგანს, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილში „კიდევ მოსამსახურეთა გაფიცვაზე." მასში მონაწილე სამი პოლიტიკური ძალაა დასახელებული. ბოლშევიკები, მემარცხენე სოციალისტები და დაშნაკცუთიუნი. „ბოლშევიკები თავისი დამანგრეველი მუშაობით-ვკითხულობთ წერილში-აქეზებენ მოსამსახურეთ ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ წასასვლელად. ესენი უდგამენ სულს ამ უგუნური გაფიცვის მონაწილეებს, მაგრამ ბოლშევიზმი მარტო არ არის... სოციალისტ-ფედერალისტები ბოლშევიკური აღტკინებით განიმსჭვალენ დემოკრატიის დასამხობად. დაშნაკელები ხომ ყოველ ბნელ ძალას მიეკედლებიან საქართველოს დასამხობათ და ამრიგათ შეერთდნენ: ბოლშევიზმი, ქართველი ფედერალისტები და დაშნაკელები. მათ ერთხმად მორთეს ყვირილი ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ. თ. ღლონტი ფედერალისტების სახელით კომუნიზმის შემოღებას თხოულობს. ეს რევოლუციის ვირთხები ეხლა ლომობას ჩემულობენ.. მუხანათი დაშაკელები.. ამ გაფიცვით ცდილობენ კაპიტალის შეძენას და თავის დამსამარებლის სოციალ-დემოკრატიის როგორმე შესუსტებას. აი ეს ლაშქარი ცნობილი „ზნამიას" ესერების ზედ დამატებით ამოუდგნენ გვერდში გაფიცულ მოსამსახურეებს... აქ ინასკვება ახალი კვანძი იმ ბრძოლისა, რომელიც ბოლშევიზმის ფორმით იწყება და რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტების თავდადებული ღლონტები და დაშნაკელების ლიდერები უდგანან გვერდში- ცხვრის ტყავში გახვეულები მოდიან ეს მგლები დემოკრატიისა და თავისუფლების მოსატაცებლად. გაფიცვა- დემოკრატიის იარაღი აიღეს მათ ხელთ, რომ რეაქციონური საქმე უფრო მოხერხებულად აკეთონ. მუშა-მოსამსახურეთა დაცვა იკისრეს, ნამდვილათ კი მათ საშინელ განსაცდელს უმზადე-

ბენ."[189]

ეს ვრცელი ამონაწერი, გარკვევით მიანიშნებს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას ემუქრებოდა. აუცილებლობა საკითხის ოფიციალურ განხილვასა და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე პოზიციის დაფიქსირებას საჭიროებდა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა თბილისის ტრამვაის, ბეჭდვითი სიტყვის, თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული კავშირების გამგეობებმა გამოიჩინეს, რომლებმაც 1919 წლის 24 და 26 მარტის სხდომებზე ზემოთ აღნიშნული საკითხი საგანგებოდ განიხილეს, საგაფიცვო აქცია დაგმეს და მის მონაწილეებს გაფიცვის შეწყვეტისაკენ მოუწოდეს.[190] ასეთივე პოზიცია დაიჭირა სსდმ პარტიის თბილისის სამაზრო პარტიული ორგანიზაციის კომიტეტის 1919 წლის 2 აპრილის სხდომამ (მომხსენებელი დ.ხართიშვილი).[191] იგივე საკითხი უფრო დაწვრილებით თბილისის მუშათა საბჭოს 1919 წლის 28 მარტის სხდომაზე იქნა განხილული (მომხსენებელი ალ. ბახტაძე) და სპეციალური რეზოლუციაც მიიღეს. ეს დოკუმენტი აღნიშნულ გაფიცვას მიზანშეუწონლად აცხადებდა, რადგან 1) მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა, ქვეყნის მძიმე ფინანსური და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე ამოწურული იყო 2) გაფიცვა იმ ეტაპზე დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენდა და ქვეყანაში ანარქიის მოსამზადებელ ნიადაგს ქმნიდა, 3) იგი ქალაქის მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილის მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას აჩქარებდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებიდან გამომდინარე, მუშათა დეპუტატების საბჭო ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილის საგაფიცვო საქმიანობას კიცხავდა. აყენებდა საკითხს, ქალაქის თვითმმართველობისა და პროფესიული კავშირების ცენტრალური ორგანოს პოზიციისადმი აქტიური მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ.[192]

რეზოლუციისათვის ასეთი სახის მიცემა გამართლებული იყო, რადგან გაფიცულთა პრეტენზიების გარკვეული ნაწილი მაშინდელი საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს სცილდებოდა. მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერები მხოლოდ რეალურად შესრულებადი მოთხოვნების მიღებაზე თანხმდებოდნენ. ეს რომელიმე პრობლემისადმი გვერდის ავლას სრულებითაც არ ნიშნავდა, რადგან ამის უფლებას სახელმწიფოს მოწყობის სოციალ-დემოკრატიული მოდელი არ იძლეოდა. სსდმ პარტიის მეორე ყრილობის (1920 წელი) 16 ივნისის სხდომაზე, კონსტიტუციის პროექტის განხილვისას რ.არსენიძე ამ საკითხთან დაკავშირებით აცხადებდა: „ჩვენი სახელმწიფოს მოქმედება არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო

პოლიტიკური დემოკრატიის შექმნით. ჩვენს სახელმწიფოს უნდა მიეცეს სოციალური ხასიათი, ელფერი, რომელშიც უნდა იხატებოდეს მუშათა კლასის სახე, ინტერესები."[193] ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოებრივსა და სოციალურს ერთმანეთთან კავშირში, ერთ სიბრტყეზე განიხილავდა, ბუნებრივია იგი მუდმივი ფიქრისა და განსჯის საგანს წარმოადგენდა. მათ მიზნად შრომითი ანაზღაურების ისეთი ფორმის გამოძებნა დაისახეს, რომელიც ორთავე მხარისათვის იქნებოდა მისაღები და გართულებულ ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად არ იმოქმედებდა, უპირატესობა ამ შემთხვევაში ნატურით ანაზღაურებას მიენიჭა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე მუშათა საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში გრ.ურატაძემ აღნიშნული ფორმის შემოღებას მხარი დაუჭირა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას, ხელფასების ზრდის ნაკლებშედეგიანობაზე ამხვილებდა და მის გამომწვევ ძირითად მიზეზად „გაძვირებისადმი ხელფასების გადიდების დაუწევლობას" ასახელებდა. შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებად მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადადებას მოითხოვდა.[194] აღნიშნული თანხით, 4 სულიანი 40 ათასი ოჯახის ფქვილით, ნავთითა და შაქრით ერთი თვით უზრუნველყოფა იყო გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით შრომის მინისტრის მოადგილე გ.ერაძე იმავე კრების მონაწილეთა მისამართით აცხადებდა: „შესაძლებელია ამ ოპერაციის დროს შეძენილი საქონელი სახელმწიფოს ძვირი დაუჯდეს, მაგრამ ეს მაინც მოსაგებია და უკეთესი მისი ფინანსების გასამაგრებლად, ეკონომიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად, თვით მუშათა კლასის სასარგებლოთ,.. ამით ჩვენ მივაღწევთ ორ მიზანს: შემცირდება ბეჭდვა ჩვენში გამრავლებული ბონებისა და დაცემა ჩვენი ფულის... ისეთი აღარ იქნება, როგორც დღეს არის, მეორეს მხრივ, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება როგორმე ავწიოთ ზევით და ხელი შევუწყოთ მუშათა კლასს – მიღწეული იქნება."[195]

აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, არსებული პრობლემის მოსაგვარებლად დამფუძნებელმა კრებამ მხარი დაუჭირა მიღოთ „დეკრეტი მუშა-მოსამსახურეთათვის პირველი საჭიროების საგნების მისაწოდებლად მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადაცემის შესახებ". მართალია, შრომითი ანაზღაურების ნატურალიზაციის პრინციპი იმ ეტაპზე მისაღები იყო, მაგრამ გათვალისწინებას საჭიროებდა მუშათა ხელფასის დონე და მისი მსყიდველობითი უნარიანობა. რამდენადაც ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დიდდებოდა, ბუნებრივია ხელფასების მატებაც მისი შესაბამ-

ისობის ფონზე უნდა მომხდარიყო, ამის აუცილებლობაზე თვით პროფესიონალური კავშირებიც მიუთითებდნენ. შრომის სამინისტროსადმი წარდგენილი მოთხოვნები, სახელმწიფო და კერძო მოსამსახურეთა ხელფასების 300-დან 750 მანეთამდე გაზრდის აუცილებლობას აყენებდნენ.[196] მართალია, 1919 წლის ოქტომბრამდე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები 21-ჯერ გაიზარდა, მაგრამ პირველადი მოხმარების საგნების ფასების ზრდამ სამჯერ მეტი 75% შეადგინა. ეს პროცესი ისეთი სწრაფი ტემპით განვითარდა, რომ 1920 წლის დასაწყისში ხელფასების მომატების საკითხი, კვლავაც დღის წესრიგში დადგა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 11 აგვისტოს სხდომამ მიიქცია. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, ალ.ბახტაძის მიერ, მუშათა ხელფასების მომატების შესახებ შეტანილი წინადადებებისადმი, სხდომის მონაწილეებს მხარი დაუჭერიათ და მუშათა სექციისაგან წარდგენილი პროექტი, მიღებული დადგენილების საფუძველი გამხდარა.

ამ დოკუმენტის მიხედვით, 2500 მანეთის მქონე პირს ხელფასი 100% უნდა მომატებოდა, 3000—ის მქონეს 80%, 3500- 70%, 4000- 60%, 4500 და ზევით 50%. მთლიანი მატება 100 მილიონ მანეთს შეადგენდა.[197] 1921 წლის იანვრიდან თვიური ხელფასების ზრდა 50%-ით განხორციელდა.[198] მიუხედავად ამისა ნატურით ანაზღაურება დღის წესრიგში რჩებოდა. საკითხი მხოლოდ ფორმის დახვეწის შესახებ იდგა. მუშათა ეკონომიკური დამხმარე კომისიის ხელმძღვანელის სეით დევდარიანის წინადადებით, მომარაგებისა და ფინანსთა მინისტრებს, მუშათა ხელფასებზე დაანგარიშებით ნატურით ანაზღაურების ერთობლივი გეგმა უნდა შეემუშავებინათ. იგივე საკითხი იქნა დასმული სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 11 იანვრის სხდომაზე. შრომის მინისტრის მოადგილის ალ.ბახტაძის, ფინანსთა მინისტრის კ.კანდელაკის და ს.დევდარიანის მოხსენებების საფუძველზე მიღებული დადგენილებით, ყოველ მუშა-მოსამსახურეს დღიურად 1,5 პური და ერთი გირვანქა შაქარი უნდა მისცემოდა. საარსებო მინიმუმი (ჩამორჩენილი კატეგორია) ჯამაგირებით გაეთანაბრებინათ. ყველასადმი ერთდროული დახმარება-10000 მანეთი განეხორციელებინათ, ხოლო პროვინციებში შესაბამისი ეკვივალენტის რაოდნობის სიმინდი დაერიგებინათ.[199]

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქართული სოციალდემოკრატიის ზოგიერთ წარმომადგენელს დახმარება არასაკმარისად მიაჩნდა და მუშებისთვის პურის რაციონის ერთი გირვანქით გადიდებას და მათთვის პრემიული სისტემის შემოღებას მოითხოვდნენ: რამდენადაც ეს საკითხი იმ ეტაპზე აქტუალურ სახეს იძენდა, იგი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

წარმომადგენელთა ერთობლივი სხდომის (1920 წლის 9 ივნისი) მსჯელობის საგანი გახდა. მიღებული დადგენილებით მუშებისათვის პურის ულუფის გადიდება და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ოჯახის წევრებისათვის ასეთივე ულუფის შემოღება აუცილებლობად იქნა მიჩნეული.[200] მიუხედავად ამისა, არ განუსაზღვრავთ თვით პურის რაციონის მოცულობა. რამდენადაც ეს დადგენილება შეუსრულებადი აღმოჩნდა, სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 25 ნოემბრის სხდომამ ამის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა და შექმნილ კომისიას (ნ.ხომერიკი (თავმჯდომარე), ალ.ბახტაძე, გოლდმანი, გ.ერაძე, ს.ავალიანი) მუშებისათვის პურის რაციონისა და სხვა სახის დახმარების გაწევის შეფერხების გამომწვევი მიზეზების დეტალურად შესწავლა დაავალა.[201] თუ რა დასკვნამდე მივიდა კომისია, სათანადო მასალების მიუკვლეველობის გამო – გარკვევა ძნელია. ერთი რამ ცხადია, საქართველოს მაშინდელი ეკონომიკა აღნიშნული სახის ღონისძიებების სრულად გატარების საფუძველს არ იძლეოდა. სურსათით მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილება იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი რესპუბლიკა სოფლის მეურნეობის სათანადო პროდუქტებით იქნებოდა უზრუნველყოფილი. რეალური სინამდვილე ისეთი პრაქტიკული წინადადებების შემუშავებას საჭიროებდა, რომელიც დასახულ მიზანს სრულად თუ არა, ნაწილობრივად შესრულებადს გახდიდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს ეკონომიკური თათბირის (1920 წლის 13 ოქტომბერი) მასალები იქცევს. მისი მუშაობის პროცესში წინა პლანზე სწორედ ეს საკითხები იქნა წამოწეული, მიღებული რეზოლუციით, გადაუდებელ ამოცანად იქნა მიჩნეული: 1) ეზრუნათ უცხოეთიდან ხორბლის შემოტანაზე. მთავრობისათვის მიენდოთ რესპუბლიკაში სურსა თის შემოტანის და რესპუბლიკიდან გატანის მიზანშეწონილობის განსაზღვრა. 2) განსაკუთრებული ზომები მიეღოთ რესპუბლიკის საზღვრებიდან სურსათის უცხოეთში გატანის წინააღმდეგ ქალაქები გაეწმინდათ პარაზიტული ელემენტებისაგან, ხოლო უმუშევართათვის საავალდებულო შრომა შემოეღოთ 3) დაეხურათ გასართობი კლუბები, კაფეტარები, მათ ნაცვლად იაფფასიანი სასადილოებისა და პურის საავჭროების გახსნისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის შეეწყოთ ხელი.[202]

თათბირის მონაწილეთა აზრით, ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება იმ შემთხვევაში იქნებოდა შედეგიანი, თუკი რესპუბლიკის საწარმოო ძალები ნაწილობრივად მაინც ამოქმედდებოდა და შრომის ნაყოფიერება გაიზრდებოდა. დამზადებული პროდუქცია საქონლის ფასების დაწევის და ბაზრის ნორმალურ პირობებთან დაახლოების შესაძლებლობას შექმნიდა. ეს გარკვეულ დროს მოითხოვ

და, პრობლემა კი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მიღებული დადგენილებით, მომარაგების სამინისტროსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პრინციპული ხასიათის მითითება მიეცათ: ა) პურის დამზადებისას მაქსიმალურად ეზრუნათ ხარისხის გასაუმჯობესებლად. ბ) ენერგიული ზომები მიეღოთ; ხორცით, ბოსტნეულით და სხვა სახის სანოვაგით მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფად.[203]

აღნიშნული დადგენილების (ბ) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის –ბოსტნეულის პრობლემის მოხსნას ითვალისწინებდა ქალაქის გარეუბნებში მუშისათვის მიწის ნაკვეთების დარიგება. მუშების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მცდელობის ერთ-ერთ რეალურ ნაბიჯს, საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში „მუშათა მაგიდების" შექმნა წარმოადგენდა. იგი 50-55 მანეთის ღირებულების პურს, მუშებს 5 მანეთად და 50 კაპიკად აწვდიდა. სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ოპერაციით შექმნილ დეფიციტს, მრეწველთა ბაზაზე სატარიფო პალატასთან არსებული სპეციალური ფონდი ფარავდა.[204]

„მუშათა მაგიდების" საქმიანობას, მართალია გარკვეული ხარვეზები გააჩნდა და შეძენილი პროდუქტები მაღალხარისხიანობით არ გამოირჩეო და, მაგრამ იმ მძიმე ფონზე, მუშათა კვების სფეროში მან გარკვეული დადებითი ცვლილებების შეტანა შესძლო. მართალია, ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურები პრობლემის მოსაწესრიგებლად, თუნდაც მისი ნაწილობრივად გაუმჯობესებისათვის ყველა საშუალებებს მიმართავდნენ, მაგრამ გატარებული ღონისძიებები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს არ წარმოადგენდა. ქვეყნის ეკონომიკა იმ ეტაპზე უფრო რადიკალური ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობას არ იძლეოდა. აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი; იგი მხოლოდ ქართული მოვლენა რომ ყოფილიყო, უფლებამოსილი ვიქნებოდით მთელი სიმძიმე, სოციალ-დემოკრატიისათვის დაგვეკისრებინა, მაგრამ ამ პრობლემის მოწესრიგების სირთულე მის გლობალურობაში მდგომარეობდა. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, რეალური გასაღების პოვნა შეუძლებელი გახდა. თუ რამდენად აწვალებდა იგი ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, ეს კარგად ჩანს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე –საქართველოს ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში ვ.ჯუღელის მიერ გაკეთებული განცხადებიდან. „ასეთნაირი მდგომარეობიდან გამოსავალს- ამბობდა ვ. ჯუღელი- ვეძებთ და დღემდე ვერ გვიპოვნია. აქ არის ეხლა ამხ. კაუცკი და შეიძლება მან გვითხრას... გვირჩიოს როგორ მოვიქცეთ. ერთხელ და სამუდამოთ რადიკალურად უნდა დაისვას ეს კითხვა."[205] იმავე სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში კ.კაუცკი გარკვევით მიუ-

თითებდა, რომ „ასეთი კითხვები ჩვენშიაც არის. არავითარი განსხვავება არ არის თქვენსა და იმ კითხვებს შორის, რომელიც ჩვენშია. ამ კითხვების გარშემო არის აზრთა სხვადასხვაობა."[206] როგორც ვხედავთ,სოციალური სფერო გერმანიაშიც მოუწესრიგებელი იყო და მაშინდელი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწეების თავსატეხ პრობლემას წამოადგენდა. ეს ფაქტი პირველ რიგშია გასათვალისწინებელი, რადგან თუკი გერმანიის ხელისუფლებამ სოციალური საკითხების მოსაგვარებლად რეალურად ვერაფერი გამოძებნა, ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველო. მიუხედავად ამისა დასახული მიზნის შესრულებისაკენ სწრაფვა, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერებს გამოსავალი გზების ძიებისაკენ უბიძგებდა. სავსებით ბუნებრივათ მიგვაჩნია, როცა კ.კაუცკი მათ შეახსენებდა: „ერთად-ერთი, ნამდვილი წყარო და საშუალება არის შრომის ნაყოფიერება, ღირებულების შექმნა, საქონლის გამრავლება. სხვა რაც უნდა ატრიალო, მიზანს ვერ მიაღწევ. შექმნა მეტი ღირებულების რაც შეიძლება მეტი საქონლის, აი რაშია ხსნა."[207] რაც შეეხება ხელფასების ანუ სამუშაო ქირის მომატებას, გერმანიის გამოცდილებიდან გამომდინარე კ.კაუცკიმ უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა. „ქირის მომატების ნიადაგზე- ამბობდა იგი- ბევრი ცდა სინჯვა იყო ჩვენში. თუ მოუმატე უანგარიშოთ, მაშინ უნდა ბეჭდო ბევრი ფული, რაც ფულის ფასს დასცემს და ეკონომიკურ-ფინანსურ არევ-დარევას გამოიწვევს. ქირის მომატება უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული სიფრთხილით. ჩვენში შეადგინეს ერთიანი ცხრილი. ეს დაუკავშირეს ხორბლის გაძვირებას და ხორბლის გაძვირების მიხედვით უმატებენ ქირას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა."[208] ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის უცხო და განსაკუთრებული არაფერი იყო ნათქვამი. როგორც წინა პარაგრაფში გვქონდა მითითებული, მის ლიდერებს იმავე პრობლემებთან მიმართებაში ანალოგიური პოზიცია ეჭირათ, მაგრამ ყურადსაღები მხოლოდ ის იყო, რომ მათი შეხედულებების სისწორეს კ.კაუცკი გერმანიის გამოცდილებიდან მოტანილი მაგალითებით ადასტურებდა.

მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერთა მიმართ, საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მითითება კ.კაუცკიმ სამუშაო დროის გადიდების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გააკეთა „სამუშაო დროის გადიდებას –ამბობდა იგი- მე არ გირჩევთ, რადგანაც ის ორპირი მახვილია და ცუდი შედეგის მოტანაც შეუძლია. თქვენ ბრძოლით მოიპოვეთ 8 საათის სამუშაო დღე და მას მაგრათ უნდა ჩაჭიდოთ ხელი. თუ წესიერი ინტენსიური მუშაობა იქნება 8 საათი სრულიად საკმარისია."[209] ამ შემთხვევაში კ.კაუცკი სავსებით მართალი იყო.

რა მოტივიც არ უნდა დადებოდა საფუძვლად, სამუშაო საათების გაზრდა მმართველი პოლიტიკური პარტიის დისკრედიტაციის ხელშემწყობი საშუალება გახდებოდა. მითუმეტეს 8 საათიანი სამუშაოს შემოღების აუცილებლობას ქართველი სოციალ-დემოკრატები პარტიის პროგრამით,[210] სსდმ პარტიის მუნიციპალური და დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმებით აღიარებდნენ.[211] მისი უგულვებელყოფის შემთხვევაში, შრომითი კანონიერების არა მარტო დარღვევასთან, არამედ მუშის უფლებების შელახვასთანაც გვექნებოდა საქმე. მითუმეტეს, მისი დაცვის უზრუნველყოფა შრომის სამინისტროსთან ჯერ კიდევ 1918 წლის 19 სექტემბერს შექმნილ „შრომის საბჭოს" დაეკისრა. მის ფუნქციებს დაექვემდებარა: მუშათა კანონმდებლობის, მისი ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების შექმნის, მეწარმეებსა და მუშებს ან არტელის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობის სახელმძღვანელო ინსტრუქციებისა და განკარგულებების შემუშავება.[212]

თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშათა საკანონმდებლო ინტერესების დაცვას, ამის შესახებ სსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე შ.აბდუშელიშვილმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. მან ამ საკითხის მოუგვარებლობა სამწუხარო მოვლენად მიიჩნია და ყრილობის მონაწილეებს შეახსენა: „მუშათა კანონმდებლობის საქმე ისე უნდა იყოს დაყენებული, როგორც ..მუშათა ინტერესები მოითხოვს. თუ ეს დროზე არ იქნება, მოწინააღმდეგე ამით ისარგებლებს და ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებს."[213] იმავდროულად იმ მოსალოდნელი საფრთხის შესახებაც მიუთითა მმართველ პარტიას მუშების ზურგშექცევით რომ ემუქრებოდა. „ეს არანორმალური მდგომარეობა – ამბობდა შ. აბდუელიშვილი- გვიქადის იმას, რომ დღეს თუ არა ხვალ სოციალ-დემოკრატიული პარტია დარჩება უმუშებოდ, ან მუშები სხვა პარტიაში გადავლენ,"[214] პროცესის მოსალოდნელი განვითარების შემფერხებელ ძირითად საშუალებად, მუშათა კანონმდებლობის იმ დონეზე დაყენება მიაჩნდა, რომელიც არსებული პოლიტიკური მომენტისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბოლოო მიზნის შესატყვისი იქნებოდა. „ამ ძალას რომლიდანაც მოველით ჩვენი მიზნების განხორციელებას, უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება, ვიდრე აქამდის."[215] როგორც ვხედავთ საკითხი რთულად იდგა და იგი საგანგებო ღონისძიების გატარებას საჭიროებდა. თავისი არგუმენტაციის გასამაგრებლად შ.აბდუშელიშვილი სწორედ ამ ფაქტორს იშველიებდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ყრილობის მონაწილეებმა წამოჭრილი პრობლემის მოწესრიგების აუცილებლობას მხარი დაუჭირეს და "მუშათა

კანონმდებლობი"-ს შესახებ მიღებულ რეზოლუციაში კონკრეტულად მიუთითეს: „პარტიული ყრილობა საჭიროთ ცნობს მუშათა კანონმდებლობის (სამუშაო დრო, შრომის სასამართლოები, შრომის ხელშეკრულება, დაზღვევა და სხვა) დაჩქარებით შემუშავებას და შემუშავებული კანონების დაუყოვნებლივ გატარებას. ცენტრალურ კომიტეტს ევალება შრომის სამინისტროსთან ერთად მიიღოს საჩქარო ზომები შესაფერისი კანონ-პროექტების შესადგენათ."[216] ეს დოკუმენტი იმის დამადასტურებელია, რომ ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებისა და მისი აღმშენებლობის მიმდინარე პროცესების გვერდით, მუშა-მოსამსახურეთა შესაბამისი კანონმდებლობით დაცვის უზრუნველყოფა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ყურადღების ცენტრში იყო. ამის ერთ-ერთ ნიმუშს, მუშათა სოციალური დახმარებისა და მისი ორგანიზაციის შესახებ დამფუძნებელი კრების მიერ (1920 წლის მაისი) მიღებული დეკრეტი წარმოადგენს. იგი დასახული მიზნის წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად, შრომის სამინისტროსთან სპეციალური კომისიის შექმნის საჭიროებას მიიჩნევდა, რომლის ძირითადი ფუნქცია შრომისუნარდაკარგულთა დახმარებით და საქმის გაძღოლის ორგანიზაციით უნდა შემოფარგლულიყო. იგივე დოკუმენტი სოციალური დახმარებისათვის 26 მილიონი მანეთის გამოყოფას ითვალისწინებდა. რაც შეეხება პრობლემის კონკრეტულ მხარეს, დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების დროებით წესდებაში იყო ჩამოყალიბებული. ამ დოკუმენტის მიხედვით, სოციალური დახმარება ეძლეოდა: 1) სახელმწიფოს ყოფილ შრომისუნარდაკარგულ მოხელეს, სამხედრო პირებს და სახელმწიფო წარმოებაში მომუშავეებს, მათ ქვრივებსა და მცირეწლოვან შვილებს 17 წლის ასაკამდე 2) საქართველოს არაქვეშევრდომთ, რომლებსაც სამსახურის უმეტესი დრო საქართველოში ქონდათ გატარებული და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ. 3) სოციალური დახმარება გაიცემოდა: ა) დროგამოშვებით-ყოველთვიურად 1000 მანეთი, ხოლო ინვალიდებისათვის 1500 მანეთის ოდენობით. ქვრივებს მიეცემოდათ მეუღლისადმი განკუთვნილი შესაძლო თანხის ნახევარი, ბავშვებს კი მშობლებზე გათვალისწინებულის ერთი მეოთხედი. ბ) ერთდროული დახმარება წელიწადში ორჯერ გაიცემოდა 3000 მანეთის რაოდენობით. გ) თავშესაფარში მოთავსებულთა შესანახი თანხა დაწესებული ფასების მიხედვით სოციალური დახმარების ფონდს უნდა გაეღო. აღნიშნული შემწეობის გაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის საშუალებით ხდებოდა. რაც შეეხება სოციალური დახმარების საქმის მოწესრიგებას, იგი შრომის სამინისტროსთან

არსებული „სოციალური დახმარების კომიტეტს – ევალებოდა."[217]

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ქვეყნის მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მმართველ პოლიტიკურ პარტიას, სოციალურ სფეროში მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ქონდა დასახული. მისი პრაქტიკულად განხორციელება, არსებული პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი პუნქტის შესრულებადი პროცესის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა. ამიტომ, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, მუშა-მოსამსახურეებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების ბრალდების –სოციალ-დემოკრატებისადმი წამოყენება. ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას სოციალური სფეროს მოსაწესრიგებლად ახალი საზოგადოებების შექმნის ფაქტიც იძლევა. მაგალითად, ქართული სოციალ-დემოკრატიის ინიციატივით, „კაპეიკის საზოგადოების" ბაზაზე, 1920 წლის 6 ივნისს „სოციალური დახმარების საზოგადოება" შეიქმნა, რომლის ძირითადი მიზანი უმუშევართა, უპატრონო ბავშვთა, შრომისუნარდაკარგულთა დახმარება იყო.[218] იმავე საზოგადოების შემწეობით თავშესაფარი მიეცა და დახმარება გაეწია 157 ბავშვს, 25 ინვალიდს (15 ქალი 10 მამაკაცი). უფასო სადილი დაენიშნა 75 ბავშვს და 100 მოზარდს. საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ინვალიდების სახლი[219] და სხვა. როგორც ვხედავთ, საზოგადოება სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებდა. იმავე წელს ნ.ჟორდანიას მეუღლის უშუალო ინიციატივით „დედათა და ბავშვთა მზრუნველობის საზოგადოება" შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედ მისი დამაარსებელი იქნა არჩეული. ამ საზოგადოებისადმი უცხოელებიდან პირველი შენაწირი თანხა ამერიკის მოქალაქემ მესხალ კრაინმა გაიღო. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: ვერ გამომინახავს უკეთესი საშუალება გამოვსთქვა ის, რასაც განვიცდი. მე მსურს ჩემი საქართველოსადმი სიმპატია დავამტკიცო მატერიალური დახმარების აღმოჩენით გაჭირვებულთა მზრუნველი ორგანიზაციებისადმი... შევიტყვე თქვენი საზოგადოების შესახებ, რომელიც მშვენივრად მუშაობს და ეს მანიჭებს სიამოვნებას შემოვიტანო თქვენს საზოგადოებაში ფული, რომელიც უნდა მოხმარდეს გაჭირვებულ ბავშვებს. ამ მიზნით დავუტოვე ამერიკის კონსულს 100 000 მანეთი (300 დოლარი შ.ვ.) და ვავალებ მას თქვენი მოთხოვნილებისამებრ გადმოგცენ. თქვენი პატივისმცემელი მესხალ კრაინი."[220] თბილისის მცხოვრებთა დახმარებისათვის ქალაქის თვითმმარ თველობასთან ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში ქალაქის ცენტრალური სამზრუნველო საზოგადოება დაარსდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" სტატიაში „სოციალური

დახმარება მცხოვრებთ" წერდა, რომ „საზოგადოების მიზანია რაც შეიძლება ფართო სოციალური დახმარება აღმოუჩინოს მცხოვრებთ- შექმნან საწარმოები საერთო სამუშაოებით უმუშევართათვის, ბავშვთა თავშესაფარი, სასადილოები, სამკითხველოები და სხვა.[221] მოტანილი ფაქტები მხოლოდ იმ მცირედ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა ხელმოკლე ოჯახებისადმი დახმარების სახით ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ყოველი გადაწყვეტილება უნაკლოდ, ან უშეცდომოდ მივიჩნიოთ, მაგრამ სანამ საბოლოო დასკვნას გავაკეთებდეთ, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი- იმ ეტაპზე არსებობდა თუ არა ამ სფეროში უკეთესი, უფრო სრულყოფილი და დახვეწილი სამოქმედო პროგრამა. მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და პრაქტიკული გამოუცდელობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ იმ ფონზე მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ სოციალურ სფეროში გასატარებელი ღონისძიებების თვალსაზრისით, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა.

ერთი იმ მნიშვნელოვან საკითხთაგანი, რომელიც ქართული სოციალ-დემოკრატიის წინაშე დაისვა, მუშათა კანონმდებლობის მოწესრიგების მცდელობა იყო. ყურადღების ცენტრში შრომის ხელშეკრულების- მუშებისა და მეწარმეთა ურთიერთობის, მათი უფლებამოსილების დარეგულირება იდგა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 2 ივლისის სხდომა იქცევს. სატარიფო პალატის მუშათა ხელმძღვანელის შ.აბდუშელიშვილის მიერ შრომითი ხელშეკრულების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების ყველა მოსამსახურეებზე (ადმინისტრაციის გარდა) ხელშეკრულების გავრცელება აუცილებლობად იყო მიჩნეული. ეს მოსაზრება რ.არსენიძემ გაიზიარა. მისი მტკიცებით, „სახელმწიფო, შრომის ხელშეკრულებაში უნდა შედიოდეს არა როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, არამედ როგორც ეკონომიკური ორგანიზაცია. არ შეიძლება მოსამსახურეებზე გავრცელდეს ხელშეკრულება. ის მხოლოდ მუშებს უნდა ეხებოდეს. მოსამსახურეები მარტო კონსტიტუციური გარანტიებით უნდა დარჩნენ."[222] კამათმა იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ მხარეებს შორის კონსესუსის მიღწევა შეუძლებელი გახდა. ამიტომ, იმავე სხდომის დადგენილებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ (ალ.ლომთათიძე, ვ.წულაძე, შ. აბდუშელიშვილი, პ.ბერიშვილი, რ.არსენიძე) მიზნად დაისახა: 1) სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების მოსამსახურე

თა მიღება-დათხოვნის საკითხის გარკვევა და 2) ვინ იქნებოდნენ ადმინისტრატორები და საჯარო უფლებების მატარებელნი. ამ საკითხებთან მიმართებაში კომისიას ერთიანი თვალსაზრისი უნდა შეემუშავებინა. ჩვენ არ შევუდგებით მისი საქმიანობის გადმოცემას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დროის მცირე მონაკვეთში ეს დოკუმენტი მზად იყო და იგი განსახილველად დამფუძნებელი კრების 1920 წლის 20 ივლისის სხდომაზე იქნა წარდგენილი. მოხსენება-შრომითი ხელშეკრულების კანონპროექტის შესახებ ი.ფირცხალაიშვილმა გააკეთა. იგი სახელმწიფოსაგან შრომითი უფლებების დაცვის პარალელურად, ქვეყნის ეკონომიკური პირობებისა და საწარმოო ძალთა მდგომარეობის გათვალისწინებას აუცილებლობად მიიჩნევდა. „ჩვენი ვალია-ამბობდა ი. ფირცხალაიშვილი – ისეთი შრომის კანონმდებლობის შემოღება, რომელიც დაიცავს მუშათა ინტერესებს,.. ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას." მისი მტკიცებით, „სახელმწიფოს ჩარევის საქმე შრომის ყველა დარგზე უნდა ვრცელდებოდეს... გამონაკლისი შეიძლება იყოს, მაგრამ შრომა ყველგან უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ."[223] იგი აყენებდა საკითხს პარიტეტულ პრინციპებზე დაფუძნებული ორგანოს-ბირჟის შექმნის შესახებ, რომლის კომპეტენციას წარმოებაში მუშათა მიღება დაექვემდებარებოდა. რაც შეეხება მეწარმესა და მუშის ურთიერთობის დარეგულირებისათვის ზემოაღნიშნული კანონპროექტის მნიშვნელობას, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „შრომითი ხელშეკრულება", ადრე გამოცემული დეკრეტების (მუშათა მიღება-დათხოვნის, ხელფასების განსაზღვრის, ხელშეკრულების დადებისა და ასრულების, მომრიგებელ კამერათა უფლებების) ფონზე განიხილავდა და იქვე დასძენდა: „მუშათა კანონმდებლობის ის პროექტი, - ვკითხულობთ წერილში- რომელიც დღეს არის წარმოდგენილი დამფუძნებელ კრებაში... ახალ საფუძველს ქმნის შრომის მდგომარეობისათვის წარმოებაში. იგი ყველას თავის უფლებას და მოვალეობას უნერგავს, თვითნებობას, პირად შეხედულებას ლაგამს სდებს და გარკვეულ ჯალაპოტში აყენებს. ამით მიილტვის სრული თავისუფალი შრომისაკენ... ემსახურება დამოუკიდებელი შრომისათვის ნიადაგის მომზადებას და იმავე დროს ქმნის თვით წარმოებისათვის საუკეთესო პირობებს ნაყოფიერი შრომისა და წარმატებისათვის."[224] აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ მუშათა კანონმდებლობის მოწესრიგება, რომელიც სოციალური სფეროს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მმართველი პარტიის ყურადღების ცენტრში იდგა და მის მიერ მიღებულ ყოველ გადაწყვეტილებას ქვეყანაში შექმნილი სინამდვილე ედო საფუძვლად. მეორე მხრივ, იგი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიმდინარე პროცესის შესანი-

შნავ ნიმუშს წარმოადგენდა. შრომის სამინისტროს ძალისხმევის შედეგად, მთელ რიგ საწარმოებში იმ ეტაპზე მუშათა დაზღვევის კანონი მთელი დატვირთვით მოქმედებდა. არსებული მონაცემების მიხედვით, იგი 1920 წლისათვის 124 საწარმოზე ვრცელდებოდა. 1919 წელს დაზღვევის ფონდი 76778749 მანეთს ითვლიდა, 1920 წლისათვის 1.251080 მანეთი დაემატა. იმავე წლის 15 ოქტომბრისათვის სადაზღვევო ორგანიზაციას 162 უბედური შემთხვევა ქონდა დაფიქსირებული, ხოლო 107 დაზარალებულზე სპეციალურ პენსიებს იძლეოდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 აგვისტოს დეკრეტის თანახმად, პენსიაზე 1,5 მილიონი, ხოლო თითოეულ პენსიონერზე 14000 მანეთი იყო გათვალისწინებული.[225]

განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მუშებისათვის ერთდროული შემწეობის 3000 მანეთის ოდენობით დაკანონება. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სატარიფო პალატის 1920 წლის 12 ივნისის „ინსტრუქცია საზოგადოებრივ და კერძო წარმოებათა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთათვის ერთდროული შემწეობების შესახებ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად." იგი კონკრეტულად განსაზღვრავდა თუ ვისთვის და რა შემთხვევაში უნდა მიეცათ დახმარება. მას სატარიფო პალატის თავმჯდომარე ი.გოლდმანი აწერდა ხელს.[226] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მუშათა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, სატარიფო პალატას განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული. სრულად რომ წარმოვიდგინოთ ამ ორგანოს საქმიანობის სფერო, მისი როლი და ადგილი, ამის საილუსტრაციოდ სსდმ პარტიის მეორე ყრილობის მიერ „სატარიფო პალატის " შესახებ მიღებული რეზოლუციიდან მოვიყვანთ შესაბამის ამონაწერს. „სატარიფო პალატა-ვკითხულობთ დოკუმენტში – აწესებს ტარიფებს დაქირავებული შრომის ყველა დარგებში, გარდა ადმინისტრაციული პირებისა შრომის სამინისტროსთან თანხმობით. ტარიფები სავალდებულოა ორივე მხარისთვის. სატარიფო პალატის გარეშე და მის დაუდასტურებლად დადებულ ყოველგვარ შეთანხმებას ძალა არა აქვს. თუ სატარიფო პალატის გადაწყვეტილებას მწარმოებლები არ დაემორჩილებიან, მაშინ ეს დამორჩილება უნდა მოხდეს იძულებითი წესით; სატარიფო პალატის ორგანიზაცია და მოქმედება განისაზღვრება ცალკე წესებით, რომელსაც ამტკიცებს შრომის მინისტრი."[227] როგორც ვხედავთ, ეს ორგანო შრომის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ უწყებას წარმოადგენდა. იგი დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობის სამართლებრივად მომწესრიგებლის ფუნქციების შემსრულებლის როლში

გვეელინებოდა, რითაც ფაქტობრივად, რესპუბლიკის მასშტაბით სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესებს არეგულირებდა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მოქალაქეების სოციალურად დაცვისა და მისი უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ზემოთაც გვქონდა საუბარი, მთელი რიგი ორგანიზაციები შეიქმნა და შესაბამისი კანონებიც იქნა მიღებული, მაგრამ ყოველივე ეს ერთიანი საკანონმდებლო აქტით არ იყო დადასტურებული. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი 1919 წლის დეკემბერში გადაიდგა, როცა საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული სოციალური უფლებების პროექტი დამფუძნებელ კრებას წარედგინა. გარკვეული ცვლილებების შემდეგ, 1921 წლის კონსტიტუციაში იგი მეცამეტე თავად „სოციალ-ეკონომიკური უფლებანი"-ს დასათაურებით იქნა შეტანილი. 16 მუხლისაგან შედგენილი კონსტიტუციის ეს ნაწილი, მუშა-მოსამსახურეთა უფლებებს სრულად განსაზღვრავდა და ამ სფეროში გამოცემულ ყველა დოკუმენტს სამართლებრივ სახეს აძლევდა.

ამრიგად, 1) მუშა-მოსამსახურეთა შრომის – ნატურით ანაზღაურების შემოღება, პურის რაციონის გაზრდა და „მუშათა მაგიდების" მოწყობა, ქალაქის გარეუბნებში მუშებისათვის მიწის ნაკვეთების დარიგება, ქართული სოციალ-დემოკრატიის სოციალური პროგრამის განხორციელების მხოლოდ პირველი საფეხური იყო და ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური სინამდვილის ფონზე შეჭირვებაში მყოფი ადამიანების სურსათით დახმარებას ითვალისწინებდა. 2) ქართული სოციალ-დემოკრატიის ინიციატივით შექმნილი „შრომის საბჭო", „სოციალური დახმარების კომიტეტი", „დედათა და ბავშვთა მზრუნველობის საზოგადოება", მუშა-მოსამსახურეთა და შრომისუნარდაკარგულთა ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. მის შესაძლებლობებსა და პრაქტიკულ საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკური პირობები განსაზღვრავდა. 3) მუშათა კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად გატარებული ღონისძიებები- „სატარიფო პალატის" შექმნა და მუშათა დაზღვევის შესახებ კანონის მიღება, შრომის უფლებების დაცვას, დამქირავებლისა და დაქირავებულს შორის ურთიერთობის დარეგულირებას ითვალისწინებდა. მათი სამართლებრივი უფლებები ქვეყნის კონსტიტუციით (მეცამეტე თავი) იქნა დაკანონებული. მისი ძირითადი პრინციპები დროის ყველა მოთხოვნას უძლებს და სოცია ლურ სფეროში, მმართველი პოლიტიკური პარტიის საპროგრამო დებულებებს ემყარება.

§ 5 ბოლშევიკური აჯანყებების შეფასებისათვის

მმართველი პოლიტიკური პარტიის აგრარული რეფორმა, როგორც ზემოთაც გვქონდა საუბარი, ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკის აღმავლობას ითვალისწინებდა, მაგრამ ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ძალების გარკვეული ნაწილი, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის ხელშემშლელის ფუნქციას ასრულებდა. მხედველობაში გვაქვს ბოლშევიკების მიერ მოწყობილი ანტისახელმწიფოებრივი აჯანყებები. ეს მოვლენები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ტენდენციურადაა შეფასებული და მისი წარმოშობის მიზეზები მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატიისადმია გადაბრალებული. მაშინდელი იდეოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე უპასუხოდაა დატოვებული: 1) გლეხთა ბოლშევიკური აჯანყებების გამოყენებით, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მთავრობის დამხობა - იყო თუ არა გამართლებული, 2) გლეხთა აჯანყებებს სოციალური აფეთქება ედო საფუძვლად თუ ბოლშევიკთა მიერ ხელოვნურად მოწყობილ პროვოკაციას წარმოადგენდა. 3) ბოლშევიკებისადმი საქართველოს ეროვნული მთავრობის ნეგატიური დამოკიდებულების ახსნის ობიექტური მიზეზები. ჩვენს ამოცანას, აღნიშნულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემა და მიმდინარე პროცესების სწორი შეფასება წარმოადგენს. რაც შეეხება პირველ კითხვას: 1) საქართველს ტერიტორიაზე მოწყობილ გლეხთა აჯანყებებსა და ადგილობრივი მთავრობის დამხობის მცდელობის სამართლებრივ ასპექტს, მისი შეფასებებისა და სათანადო დასკვნის გაკეთებისათვის ყველა იმ მასალების საფუძვლიანი შესწავლაა აუცილებელი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღნიშნულ პროცესს უკავშირდება. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოში მომქმედ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საკმაოდ დიდი თანხით უზრუნველყოფდა. ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი რაფაელის ფსევდონიმით გაგზავნილ წერილში (1919 წლის 27 ოქტომბერი) ოქროს კურსით 500 000 მანეთია დადასტურებული. აღნიშნული თანხიდან ათ-ათი ათასი მანეთი აბაშის, სენაკის და ზუგდიდის ორგანიზაციებს გადაეცა. იმავე პიროვნების ხელმოწერით მეორე წერილში სამეგრელოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი დამატებით 50000 მანეთის ხოლო გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი 12 მილიონი რუსული მანეთის გაგზავნის შესახებაა მითითებული,[228] თელავში აჯანყების მოსამზადებლად 1919 წლის 5 სექტემბრიდან –20 ოქტომბრამდე ოქროს კურსით 96.360 მანეთი იქნა დახარჯული. ამ და სხვა მნიშ-

ვნელოვან საკითხებზე რკინიგზელთა მეორე ყრილობაზე (1919 წლის 23 ოქტომბერი) გაკეთებულ მოხსენებაში ნ.რამიშვილი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. იგი სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით ბოლშევიკთა იმ გეგმის შესახებ მიუთითებდა, რომელიც ქვეყნის სასაზღვრო ზონაში აჯანყების დაწყებას ითვალისწინებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზ. „ერთობა" პრესის მიმოხილვის რუბრიკაში ბოლშევიკთა საქმიანობის მიმართ თავის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებდა: „კომუნისტები ჩვენს დემოკრატიას სძულს, ეზიზღება, მაგრამ რუსეთის ხაზინიდან მიცემული ფულით მათი პარტია მაინც... ცოცხლობს... ეს არის პარტია უცხო სახელმწიფოს პენსიონერებისა, პარტია უცხოთა აგენტებისა, სამშობლოს მოღალატეთა და მისი დემოკრატიის გამყიდველთა. დემოკრატია ამ სამარცხვინო დაღს აშკარად კითხულობს ჩვენებური კომუნისტების შუბლზე."[229] ასეთი მკაცრი განაჩენი საქართველოში ბოლშევიკების პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარეობდა. მათი კონკრეტული მიზნების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ერთხელ კიდევ ხაზგასმით იყო მითითებული, რომ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ემორჩილებოდა არალეგალური ცენტრის დირექტივებს და ამზადებდა შეიარაღებულ გამოსვლას... თანხას უცხო სახელმწიფოებიდან იღებდნენ. იგი ხმარდებოდა, როგორც ლეგალური ისე არალეგალური მიზნების განხორციელებას. კომუნისტები რუსეთის აღდგენას ძველ საზღვრებში ცდილობენ."[230] როგორც ვხედავთ, საქმე ქვეყნის დანგრევას ეხებოდა. ისინი ცენტრის (მოსკოვის) შორსგამიზნული პოლიტიკის მონური შემსრულებლები იყვნენ. თავისი ქმედებით, საქართველოს დასუსტებას და სამომავლოდ მის გასაბჭოებას ისახავდნენ მიზნად. ყოველივე აღნიშნულის სრულად გაცნობიერება, ბუნებრივია მაშინდელ გლეხკაცობას არ შეეძლო. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს აგიტაცია და ფული ასრულებდა. ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას თუ რა ორგანიზაციულად ეწეოდნენ ბოლშევიკები, ამის შესახებ საინტერესო მასალას გაზ. „ერთობაში" გამოქვეყნებული მთავრობის განცხადება „კომუნისტების კონტრრევოლუციონური გამოსვლები" იძლევა. მასში ყურადღება სამ ძირითად საკითხზეა გამახვილებული: I) საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ არაქართული ელემენტის გამოყენების ფაქტებზე, რომლებიც „ეტრფოდნენ რუსეთის ბატონობის აღდგენას" 2) აჯანყების მოწყობისა და მისი ორგანიზაციის მიზნით, თბილისსა და ქუთაისის ბოლშევიკთა საგუბერნიო კონფერენციის (1919 წლის აგვისტო-სექტემბერი) მიერ არჩეულ სამხედრო ტექნიკურ კომისიებზე. 3)

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად აჯანყების მომწყობი ხელმძღვანელი ბირთვის, 21 ოქტომბერს სასტუმრო „ავრორაში" (ოთახი №15) დაპატიმრებაზე, აჯანყების გეგმის აღმოჩენაზე,[231] რომელიც რესპუბლიკაში ბოლშევიკთა ფართომასშტაბიან გამოსვლებს ითვალისწინებდა. ეს ფაქტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გეგმის განხორციელება, დენიკინის სამხედრო ნაწილების საქართველოში შემოჭრას უნდა დამთხვეოდა და რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში საქართველოს ჩათრევას ითვალისწინებდა. ამის დადასტურებას, დამფუძნებელი კრების (1919 წლის 29 ენკენისთვე) სხდომაზე ნ.რამიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი მოქმედების შესახებ საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ყურადღებას საგანგებოდ მიაპყრობდა და მისი ძირითადი მიზანდასახულობის ახსნას ცდილობდა. „უმთავრესი მიზანი–ამბობდა ნ.რამიშვილი- მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ჩაგვითრიონ რუსეთის სამოქალაქო ომში.. ჩვენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ ამით თავისი საქმე გააკეთონ.. თუ ისინი მიზანს მიაღწევენ.. ნიადაგი მოესპობა ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას და შეირყევა ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმი.. ძალაუნებურად მონაწილენი გავხდებით იმ არეულობის რომელსაც ადგილი აქვს რუსეთში და რომელიც რუსეთის ერებს ურთიერთ გაჟლეტას უქადის."[232] ცენტრიდან მიღებული მითითებებისა და დასახული მიზნის წარმატებით განსახორციელებლად, მოქმედების ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებად, ბოლშევიკები ქვეყნის საზღვრებზე აჯანყების მოწყობას, უკიდურეს შემთხვევაში, ტერორისტული აქტების განხორციელებას მიიჩნევნდნენ. ამის შესანიშნავ დადასტურებას მოხალისეთა არმიის გენერალ ბარათოვზე თბილისში განხორციელებული თავდასხმა წარმოადგენს.

აღნიშნულ ფაქტებს ნ.რამიშვილი უცხო სახელმწიფოთა ძალების მიერ საქართველოს საწინააღმდეგო ღონისძიებად თვლიდა და დამფუძნებელი კრების 31 ოქტომბრის სხდომის მონაწილეებს შეახსენებდა: „აქ გარეშე სახელმწიფოთა ხელი ტრიალებს. ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძვის ერთი მხრივ შავი რეაქციის წარმომადგენლები და მეორე მხრივ წითელ ხიშტებზე დაყრდნობილი ავანტიურისტები. ამ ორ გარეშე ძალას სურს გაანადგუროს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო."[233] აქ გარკვევითაა ნათქვამი იმ ძალების შესახებ, რომლებიც ქვეყანას არა მარტო დესტაბილიზაციის შექმნით, არამედ ნგრევით ემუქრებოდნენ. თუკი საქართველო რეალურ საფრთხეს გადურჩა, არსებული ხელისუფლების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა

სამინისტროს გონივრულ და წინდახედულ საქმიანობას უნდა მივაწეროთ. რაც შეეხება ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი დამოკიდებულებას და მის შეფასებას, ცენტრისა და რეგიონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პოზიცია იდენტური იყო. ამის ნიმუშად გურიის კომიტეტის 1920 წლის 3 ივლისის სხდომის მასალები გამოდგება. საქართველოსთან მიმართებაში ბოლშევიკები მოღალატის როლის შემსრულებლადაა გამოცხადებული და საპირისპირო მექანიზმის შემუშავების აუცილებლობაა დასმული.[234]

ეს საკითხი გაზეთმა „ერთობამ" საგანგებო განხილვის და მსჯელობის საგნად აქცია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს მოწინავე სტატია „საქართველოს კომუნისტური პარტია" იქცევს. იგი ბოლშევიკებისადმი შემდეგ ძირითად მოთხოვნებს აყენებდა: 1) ხელი აეღოთ საქართველოს საქმეებში, კერძოთ საბჭოთა რუსეთის ძალების პირდაპირი ჩარევის ხელშეწყობაზე. ამ შემთხვევაში გაზეთს მხედველობაში ქონდა უცხო სახელმწიფოს მიერ საქართველოსადმი იძულებითი, ძალდატანებითი საშინაო და საგარეო პოლიტიკის თავზე მოხვევის მცდელობა. კერძოთ, ქართველი ბოლშევიკების ხელშეწყობით საბჭოთა რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიიდან და აზერბაიჯანიდან საქართველოს წინააღმდეგ წითელი ჯარის ნაწილების შეტევითი ოპერაციების განხორციელება (1920 წლის 4 მაისი). „ამაში მდგომარეობდა მთავარი მიზეზი-წერდა გაზეთი- შეურიგებლობისა, ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის."[235] 2) შეეწყვიტათ რუსეთიდან შემოტანილი ფულით იარაღის შეძენა, მოსახლეობაში გავრცელება და არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. იდეური მუშაობა, დამოუკიდებელი საქართველოსთვის მისაღები ჩარჩოთი შემოეფარგლათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართველ კომუნისტებს მმართველი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში გარეშე ძალებისადმი ზურგი ექციათ და ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების მსგავსად ემოქმედათ. „საქართველოს კომუნისტებისაგან-ვკითხულობთ გაზეთში- ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ ამიერიდან იმოქმედონ, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა და ხელი აიღონ იმ პოლიტიკურ საშუალებებზე, რომლებსაც მოქალაქეობრიობის თვალსაზრისით სახელმწიფოს ღალატის სუნი უდის. თუ ჩვენებური კომუნისტები ამ პირობებს გადაუხვევენ, საქათველოს დემოკრატია ჩათვლის, რომ მათ უნდათ უცხო ძალის ჩარევა... სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. ამ შემთხვევაში ჩვენი დემოკრატია მოეპყრობა ადგილობრივ ბოლშევიკებს ისე, როგორც აქამდის ეპყრობოდა ყოველნაირ მოძალადეებს."[236] მართალია აქ ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იდეური ბრძოლის ფორმების გამოყენების აუცილებლობის საკითხია

დასმული, მაგრამ ქართველი ბოლშევიკებისათვის იგი მიუღებელი იყო. მათ კარგად ესმოდათ რომ ამ სახით გაწეული საქმიანობიდან ფართო მასის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდნენ, ამიტომ, მმართველ პარტიასთან დაპირისპირების მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისაკენ ისწრაფვოდნენ. რამდენადაც ეს ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მიმდინარეობდა, ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურები ერთხელ კიდევ შეახსენებდნენ ბოლშევიკებს „თქვენ გსურთ იდეური ბრძოლა? ხელი აიღეთ უცხო ხიშტებზე, გამოეთიშეთ ავანტიურისტებს, რომელნიც კვანტალიანების და ლომინაძეების სახით ებრძვიან აზერბაიჯანიდან საქართველოს მუშათა კლასს... ხელი აიღეთ უცხოეთიდან შემოტანილ მილიონებზე და პატიოსანი იარაღით მიბრძანდით მუშათა რაზმებში.. ყველა კრებაზე თქვენ მოგაგონებენ იმ მოღალატურ საქციელს რომელიც გამოხატულია უცხოელთა ხიშტებზე დაყრდნობაში."[237] ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული მოსახლეობა ბოლშევიკებს ფაქტობრივად ბოიკოტს უცხადებდა, არა იმიტომ, რომ ბოლშევიკები იყვნენ, არამედ როგორც არაეროვნულ მიმდინარეობას. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის წინააღმდეგ, ქართველი კაცის იარაღით ბრძოლა, დიდ უმეცრებასთან, ან ქვეყნის ღალატთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამ ფონზე განიხილახდა აკჩხენკელი ქართველი ბოლშევიკების საქმიანობას და პარალელს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მოქმედ კომუნისტურ პარტიებთან ავლებდა. მისი მტკიცებით, ევროპელ კომუნისტებში ურთიერთდაპირისპირებული მიმდინარეობების მიუხედავად, არც ერთ მათგანს ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ იარაღი არ აღუმართავს.

„ბოლშევიზმი" – ამბობდა აკჩხენკელი- ევროპაში... ყოფს მუშათა კლასსაც, მაგრამ ბოლშევიზმი უარმყოფელი ერის დამოუკიდებლობისა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს იქ და თუ მაინც არსებობენ ჩვენში ასეთები,.. იგი ბღალავს ერს, რომელიც ჩვენის წარმოდგენით კულტურული ერია. კულტურული ერის ნიადაგზე კი არ უნდა არსებობდეს ასეთი უკულტურო მოვლენა თავისი თავის, თავისი ინდივიდუალობის უარყოფისა."[238] როცა საკითხი ასე დგას, პირველ რიგში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას,-ქართველი ბოლშევიკები რატომ არ გამოხატავდნენ ერის ინტერესებს. ამ შემთხვევაში გასარკვევია საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული შემადგენლობა და ის ძალა, რომელსაც იგი ეყრდნობოდა. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით „ახალი კომუნისტი"-სადმი საპასუხოდ გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „რისთვის გვდევნიან" აღნიშნულ პარტიის წევრთა უმრავლესობა

უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი, კერძოდ, სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შედეგად უადგილოთ დარჩენილი რუსი ჩინოვნიკები და ოფიცრები, ანუ არაქართული მოსახლეობაა მიჩნეული.[239] თუ რამდენად სწორია გაზეთის ეს ინფორმაცია, ამის საილუსტრაციოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის მიერ 1920 წლის 8 დეკემბერს თბილისის კომიტეტის მეორე რაიონის კრების მონაწილეთა შემოწმების მასალები გამოდგება. სხდომის 37 მონაწილიდან, საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 4 კაცი, დანარჩენი 33 უცხო ქვეყნის მოქალაქენი იყვნენ. იმავე მონაცემებით, თბილისის პირველი რაიონის ორგანიზაციის 250 წევრიდან-173 უცხო სახელმწიფოს, ხოლო 77 საქართველოს მოქალაქენი იყვნენ. ასეთივე მდგომარეობა იყო კომუნისტური პარტიის სხვა ორგანიზაციებშიაც.[240] ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელების ბაზაზე შექმნილი ქართულ სახელწოდებას ამოფარებული „საქართველოს კომპარტია" ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. რამდენადაც იგი სამომავლო იმედს უცხო სახელმწიფოს- რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე ამყარებდა, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ გაწეული ყოველგვარი ბრძოლა გაუმართლებლად, საქართველოს შინაურ საქმეებში უცხო ძალების ჩარევად უნდა მივიჩნიოთ. 2) რაც შეეხება გლეხთა აჯანყების გამომწვევ ძირითად მიზეზებს, მისი ახსნა არსებული მასალების საფუძვლიან შესწავლასა და საქართველოში მიმდინარე პროცესების ყოველმხრივ გათვალისწინებას უნდა დაემყაროს. სამწუხაროდ, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკითხი მხოლოდ ცალმხრივადაა წარმოდგენილი. ბოლშევიკთა ანტისახელმწიფოებრივი აჯანყებები თითქმის ეროვნულ მოძრაობად, ხოლო მათდამი საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებები, ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებადაა გამოცხადებული. როცა საკითხი გლეხთა რეგიონალურ გამოსვლებს ეხება, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, იგი ბოლშევიკთა ხელოვნურად მოწყობილ პროვოცირებას, თუ სოციალურ აფეთქებას წარმოადგენდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, 1918 წლის გლეხთა აჯანყებებს აგრარული საკითხის გადაუჭრელობა მხოლოდ გარკვეულწილად ედო საფუძვლად. მისი წარმოშობის სათავე ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ფედერაციული გაერთიანების, ხოლო შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ ბოლშევიკთა მიერ გაწეულ აგიტაციაში და რუსეთის მიერ გაღებულ ზემოაღნიშნულ დაფინანსებაში უნდა ვეძიოთ. ეს რომ არა, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, სამშობლოს დაცვაზე უარის თქმა და მისი დამოუკიდებლობის დასამხობად იარაღის აღმართვა შეუძლებლად მიგვაჩნია. მითუმეტეს 117 წლოვანი ოკუპაციური ცხოვრების გამო ქართველ ერს დამოუკიდებელი სახ-

ელმწიფოებრიობა მონატრებული ქონდა. იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით მიმდინარეობდა ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რესპუბლიკის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარისადმი წარდგენილ მოხსენებაში საყურადღებო ფაქტებია მოტანილი. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ბოლშევიკების მიერ გავრცელებული პროკლამაციები სოფლის მოსახლეობას მოუწოდებდა გაეწყვიტა წითელი გვარდია, ჩამოეგდო „რუსეთის მოღალატე, საქართველოს მთავრობა" და „მუშურ-გლეხური რევლუციური მთავრობა" შეექმნა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემთხვევაში, მიწების კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, გაიაფებულ ფასებში პურის, ხორცის და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტების მიცემას პირდებოდნენ.[241] ასეთი სახის აგიტაციას იმ ეტაპზე გასავალი ქონდა, რადგან აგრარული საკითხი დამუშავების სტადიაში იმყოფებოდა (საუბარია 1918 წელზე) და რეფორმა ამ სფეროში საფუძვლიანად მზადდებოდა.

რაც შეეხება პირველადი მოხმარების პროდუქტებს, საქართველო გარკვეულ დეფიციტს განიცდიდა. ეს ორი ფაქტორი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ გლეხთა გარკვეული ნაწილი, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აემხედრებინათ. ამ მხრივ ლეჩხუმის მაზრის გლეხთა აჯანყება გამოირჩევა (1918 წლის 22 თებერვალი). საგუბერნიო კომისრის ივკაჩუხაშვილის მიერ გარკვეული მოსაზრებების გამო მაზრის კანონგარეშე გამოცხადებამ, ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მათ ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურები არაჰუმანურობაში დაადანაშაულეს. როცა აღნიშნულ საკითხს ვეხებით და მისი შეფასება გვაქვს დასახული, პირველ რიგში გარკვეული უნდა იქნეს; ა)აჯანყების დამწყები სოციალური ფენა; ბ)მაზრის კანონსგარეშე გამოცხადების მიზეზი, გ) აჯანყების დაწყებისას საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ლეჩხუმის აჯანყება ბოლშევიკმა ჯარისკაცებმა დაიწყეს. „ციხიდან გაანთავისუფლეს „ურიადნიკები", „სტრაჟნიკები" და ყაჩაღები, რომლებიც მათ შეუერთდნენ და მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ."[242]

ეს იმის დამადასტურებელია, რომ აჯანყების დამწყები ლეჩხუმის გლეხობა კი არ იყო, არამედ მეზობელი სახელმწიფოებიდან შემოსული ბოლშევიკი ჯარისკაცები, რომლებმაც ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ აიყოლია. რამდენადაც აჯანყებულებთან მოლაპარაკების ყოველგვარი გზა ამოიწურა და გვარდიის მეთაურის ლევან დადეშქელიანის სიცოცხლეც კი შეიწირა, საგანგებო ზომების მიღება გარდუვალი გახდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნიის კომისარი ივკაჩუხაშვილი ქუთაისის მუშათა დეპუტატებ-

ის საბჭოს სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში გარკვევით მიუთითებდა: „ყველაზე უფრო მისაღებ ზომათ დავინახე ლეჩხუმის მაზრის კანონგარეშე გამოცხადება. ეს იმას არ ნიშნავს, ლეჩხუმში ყველას შეუძლია ერთი-მეორის მოკვლა და ... კანონის წინაშე პასუხს არ აგებს.. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯი ხალხს გამოაფხიზლებდა, ბრბოს ჩამოაცილებდა... კანონგარეშე გამოცხადებას ლეჩხუმში არავის მოკვლა არ გამოუწვევია, ხოლო რუსეთში ბოლშევიკების მიერ კანონგარეშე გამოცხადებამ კოკოშკინი და შინგარიოვი იმსხვერპლა."[243] თუკი ამ მონაცემებს დავეყრდნობით, აღნიშნული ღონისძიება მაზრაში სტაბილურობის აღდგენის მცდელობას წარმოადგენდა და იგი მოქალაქის უფლებების დარღვევას, ან უდანაშაულოთა რეპრესირებას სრულებითაც არ ითვალისწინებდა. მაზრის კანონგარეშეთ გამოცხადება იძულებიდან გამომდინარეობდა და აჯანყებულთა წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა შორის, უკიდურეს ფორმას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, თვით სიტყვის ცნება უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს. ამიტომ, ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობის შესახებ, გარკვეული აზრის ჩამოყალიბებისას მიმდინარე პოლიტიკური სიტუაცია პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული. მხედველობაში საქართველო-თურქეთს შორის საომარი მოქმედების დაწყება გვაქვს. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში გაზეთმა „ერთობამ" მოწინავე წერილში „წესიერებისაკენ", მომხდარ ფაქტს ობიექტური შეფასება მისცა. იგი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას, თურქულ აგრესიაზე მიაპყრობდა და დასძენდა: „გარედან ოსმალეთის ჯარი მოგვდგომია და ჩვენს შემუსვრას ცდილობს. თუ მან გაიმარჯვა - ყველაფერი ოხრათ დაგვრჩება - თავისუფლებაც, მიწაც და რევოლუციაც. კიდევ მეტი, თვით სიცოცხლესაც გამოვესალმებით - ყოველგვარ აჯანყებას, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული შედეგი ერთი და იგივე მოყვება. იგი მხოლოდ მტერს გაახარებს და ქვეყანას დაღუპავს." ასეთი პრეამბულის შემდეგ, იგივე სტატია ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებას გამართლებულად მიიჩნევდა და მკითხველ საზოგადოებას კიდევ მიანიშნებდა იმ გარდუვალი საფრთხის შესახებ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა. „უდიდესი განსაცდელის წინაშე ვდგევართ! – ვკითხულობთ გაზეთში- წესიერება ერთი მთავარი საფუძველია ამ განსაცდელისაგან თავის დაღწევის. კარზე ოსმალეთის ჯარი გვადგია. სიმაგრე, სიმტკიცე ასეთ პირობებში აუცილებლად საჭიროა. ყოველი რყევა მხოლოდ დაღუპავს თავისუფლებას. წინააღმდეგობის გაწევა მთავრობის განკარგულებისადმი... არღვევს დემოკრატიულ მთლიანობას და ხელს უწყობს ანარქიის გაძლიერებას."[244] ასეთი პოზიცია მისაღები უნდა ყოფილიყო ყველა იმ საღად მოაზროვნე

პოლიტიკური მიმდინარეობისათვის, რომელთა მიზანი მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს მომავლისადმი სამსახური იყო. თუკი ამ კუთხით შევაფასებთ ლეჩხუმის აჯანყებისადმი გატარებულ ზემოაღნიშნულ სადამსჯელო ღონისძიებას, იგი სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მის ძირითად საფუძველს ქვეყნის გადარჩენის ინტერესები განაპირობებდა. ეს საკითხი ქართველი ბოლშევიკებისათვის ფიქრისა და განსჯის საგანს არ წარმოადგენდა. მათ მხოლოდ ქვეყნის გასაბჭოებისა და ძალაუფლების აღების სურვილი ამოძრავებდათ, რისთვისაც ხელსაყრელი მომენტის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობდნენ. ამის დადასტურებას სადახლოში და სამაჩაბლოში („სამხრეთ ოსეთში") 1918 წლის მარტში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი გლეხთა აჯანყებების ფაქტი წარმოადგენს. იგი ოსმალთა წინააღმდეგ ბათუმის მისადგომებთან ქართული ჯარის მძიმე თავდაცვით ბრძოლებს დაამთხვიეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ვ.ჯუღელი გარკვევით ამბობდა: „იმ დროს როდესაც საომრად ვემზადებოდით, ორი აჯანყება ერთად მოხდა. ერთის მხრივ აჯანყება მოახდინეს თათრის ბრბოებმა სადახლოში და იქ გაიწვიეს საუკეთესო შეიარაღებული ძალები და უფრო დიდი აჯანყება მოახდინეს ცხინვალში და ჩვენ იძულებული ვიყავით ახალი ძალები იქ გაგვეგზავნა. ბათუმი გაშიშვლებული დარჩა. როდესაც ეს აჯანყება ჩავაქრეთ და მისკენ გავეშურეთ, ბათუმი უკვე დაცემული იყო."[245] როცა ქართული ჯარის ნაწილები ახალ საზღვარზე დადგა, ხოლო ამიერკავკასიის სეიმი მტრის შეჩერების მიზნით მოსახლეობას ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგომისაკენ მოუწოდებდა, ბოლშევიკებმა ეს მომენტი ახალი აჯანყებისათვის გამოიყენეს და სამეგრელოში შეიარაღებული გამოსვლები მოაწყვეს, რის გამოც, ბათუმის ფრონტზე გასაგზავნი ჯარის ნაწილები სამეგრელოში გადაისროლეს. ამ საკითხის შესახებ ბ.ძველაია გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ბოლშევიკების მოღვაწეობა სამეგრელოში" ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენი ხალხის ამ ერთსულოვან მისწრაფებაში, პირველი შური და არევ-დარევა ბოლშევიკებმა შეიტანეს. დრო იხელთეს-ბუდუ მდივანის და საშა გეგეჭკორის მეთაურობით ააფრიალეს დროშა, გადაისროლეს ლოზუნგი: „ძირს ომი," „ბათუმს არავითარი საფრთხე არ მოელის" „გაუმარჯოს ჩვენს ძმებს თათრებს."[246] ასეთი „იმედისმომცემი" ლოზუნგით ბოლშევიკები იმ დროს გამოვიდნენ, როცა ბათუმი დაცემული იყო და თურქეთის კონტროლს ექვემდებარებოდა. ეროვნული სახელმწიფოსადმი ქართველი ბოლშევიკების ნებაყოფლობითი დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშს ფრონტზე წასული ჯარისკაცების ოჯახებისადმი ძალმომრეობის გამოყენების ფაქტები

წარმოადგენს. „ბოლშევიკებმა ბათუმის დასაცავად წასული მეომრების ოჯახებს-ვკითხულობთ იმავე სტატიაში-გაუორკეცეს ჯარიმების გადახდა. ბათუმისავე დასაცავად მიმავალ მოხალისე მეომრებს თავიანთი შტაბების მითითებით იარაღს ყრიდნენ და „პოდნადზორად" აკავებდნენ."[247] ჩვენს მიერ მოტანილი მასალები ადგილობრივი ხელისუფლების ხელფეხის შებოჭვისა და თურქეთის აგრესიისადმი ხელშეწყობის დამადასტურებელია. ეს დანაშაულებრივი ქმედება ბოლშევიკებმა არათუ აღკვეთეს, არამედ კიდევ უფრო განავრცეს და იგი სამეგრელოდან აფხაზეთის რეგიონში გადაიტანეს. საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამს, (მხედველობაში გვაქვს თურქეთ–საქართველოს საომარი მდგომარეობა და ქართული სამხედრო შენაეთების თურქეთის ფრონტზე კონცენტრირება) აჯანყებები მოაწყვეს სოხუმის ოლქში (1918 წლის მარტი) ლოზუნგით „ძირს საქართველო!" „გაუმარჯოს რუსეთს". მომხდარი ფაქტის ხელისუფლებისაგან რეაგირების გარეშე დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო. იგი ქვეყანას ახალი საფრთხის წინაშე აყენებდა. ამის შესახებ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილს სხდომაზე ვ. ჯურელი დამსწრე საზოგადოებას შეახსენებდა: აჯანყებულები „ნაცვლად იმისა, რომ მოშველებოდნენ ბათუმს, სამეგრელოში გადასვლას აპირებდნენ.. თუ ისინი სამეგრელოში გადასვლას მოასწრებდნენ, იქაც აჯანყების ცეცხლი დაინთებოდა. ამით ისარგებლებდა თათარი და სამეგრელოში დესანტს გადმოსხამდა. ჩვენ ისედაც გაშიშვლებულ ფრონტს, მოვხსენით საუკეთესო ძალები და გავგზავნეთ სოხუმში... აი, ასეთი იყო მუდამ მოღვაწეობა ჩვენში ბოლშევიზმისა, ასე გვექცეოდნენ ჩვენ მუდამ ისინი, როდესაც საშინელ გაჭირვებას განვიცდიდით და დიდი საფრთხე თავს გვატყდებოდა."[248] ანალოგიური პოზიცია ეჭირა გაზეთ „ერთობასაც". „ასე მშვენივრად სარგებლობენ ეს ახალი მოდის სოციალისტები-წერდა გაზეთი- შექმნილი მდგომარეობით, მაშინ როდესაც მტერი შემოჭრილია ჩვენს კუთხეში, ესენი ზურგიდან სცემენ ლახვარს დასუსტებულ დემოკრატიას.. და ამას სჩადიან სოციალისტების სახელით."[249]

კომუნისტები არაეროვნული საქმიანობით კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის ნაცვლად, მისი ფუნდამენტის ნგრევა დაიწყეს. მხედველობაში დუშეთისა და თიანეთის მაზრებში მაღალორგანიზებულ დონეზე მოწყობილი გლეხთა აჯანყებები (1918 წლის ივნისი) გვაქვს. ამ ფაქტს გაზეთმა „ერთობამ" ერწოელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „თიანეთის აჯანყება და მისი მეთაურები" ობიექტური კვალიფიკაცია მისცა. ბოლშევიკებმა „ჩარგეს თიანეთის მაზრაში-ვკითხ-

ეობთ წერილში-ხე ბოროტებისა. მხოლოდ უნდა ახსოვდეთ, რომ ფესვებს ის ვერ გაიდგამს და სრულებით გახმება. დარჩება მხოლოდ ნაშთათ, რომლითაც მომავალი თაობა მოიგონებს მათ მოღალატურ მოქმედებას და საუკუნო წყევლა-კრულვას შეუთვლის."[250] გადაჭარბებული არ იქნება თუკი ამ შეფასებას გლეხთა ზემოთაღნიშნულ აჯანყებებზეც გავავრცელებთ, რადგან ისინი საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის ალიანსის შედეგს წარმოადგენდა. აჯანყების მონაწილე გლეხობა მათ ხელში პირველი ეროვნული მთავრობის დასამხობად ბრძა იარაღს წარმოადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ოსმალეთი და ბოლშევიკები" ხაზგასმით წერდა: „ოსმალეთი საქართველოში აბამდა პროვოკაციის ქსელს. მისმა აგენტებმა აჯანყება მოაწყვეს ცხინვალში, ზუგდიდში, თიანეთში და დუშეთში და თუ დღემდის რაიმე ეჭვი შეჰქონდა ვინმეს, დღეს ეს აშკარა და ნათელია. ოსმალეთის მოსყიდულმა აგენტებმა მოაწყვეს აჯანყება სწორეთ იმ დროს, როცა ოსმალრთის ჯარი ბათუმის ციხეს ესხმოდა თავს. ჩვენი ძალები ანარქიასთან ბრძოლას მოუნდა, რითაც ოსმალეთმა ისარგებლა და ბათუმი აიღო."[251] ხოლო იგივე გაზეთი სტატიაში „ამიერკავკასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს" მკითხველ საზოგადოებას შეახსენებდა: რომ ბოლშევიკები „როგორც ბაქოს მხრიდან ისე ყუბანის ოლქიდან სწორედ იმ დროს იწყებდნენ მოძრაობას, როდესაც საქართველოს ჯარები ოსმალეთის ჯარებთან იბრძოდნენ. როგორც კი სამხრეთიდან და დასავლეთიდან ოსმალეთის ჯარი იწყებდა შემოსევას და მათ წინააღმდეგ წავიდოდა სახალხო გვარდია და ჯარი,.. ზურგს უკანიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ამ ჯარს და გვარდიას თავს ესხმოდა ბოლშევიკური ბრბოები. ბოლშევიკური ანარქისტული მოძრაობა იყო მესამე საფრთხე, რომელმაც საქათველოს რესპუბლიკა სიკვდილის პირას მიიყვანა. უკიდურესი ღონის მოკრებით, რესპუბლიკამ იგიც დასძლია."[252]

თურქეთთან საომარი მოქმედება და იმავდროულად ბოლშევიკების მიერ მოწყობილი აჯანყებები, ქვეყნის სამხედრო ძალების გახლეჩას, - ორ ფრონტზე გადანაწილებას იწვევდა. იგი მოწინააღმდეგეს წარმატების რეალურ პირობებს უქმნიდა. ბოლევიკთა ხელოვნურად მოწყობილი ამბოხებები და ქართული ჯარის შენაერთების დაქსაქსვა რომ არა, თურქეთის წარმატება გარკვეულწილად შეფერხდებოდა. ქართულ დიპლომატიას ხელსაყრელი პოლიტიკური „ამინდი" ექნებოდა, ხოლო მტერს მოკარნახის შესაძლებლობები შეეკვეცებოდა. ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა თავისი უარყოფითი შედეგები, ბუნებრივია ბათუმის საკითხის გადაწყვეტისას გამოიღო. მართალია ბათუმის დაცემაში ქართველ ბოლშევიკებს ლომის წილი ედოთ, მაგრამ

თურქეთთან დამარცხებაში მმართველ პოლიტიკურ პარტიას ადანაშაულებდნენ, ხოლო ბათუმს ჩხენკელ-გეგეჭკორისგან გაყიდულად აცხადებდნენ.[253] 1918 წლის 28 მაისით დათარიღებულ პროკლამაციაში, რომელსაც ხელს ა/კ-ის სოციალისტური ჯარის შტაბის თავმჯდომარე ა.გეგეჭკორი აწერდა-ვკითხულობთ: „მენშევიკებს და მათ მთელ შემადგენლობას სეიმისას შემოყავთ კავკასიის შუაგულში ოსმალთა ჯარები, აშკარაა ჩვენს წინააღმდეგ."[254] როგორც ვხედავთ, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედების შენიღბვის მიზნით, ბოლშევიკები მომხდარ ფაქტს არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ, ქართველთა საზიანოდ განვითარებულ მოვლენებს ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს აბრალებდნენ და მოსახლეობაში სადემაგოგიო მასალად იყენებდნენ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნგრევის დაჩქარებას ითვალისწინებდა ქართველი ბოლშევიკების მიერ 1920 წლის მაისისათვის დაგეგმილი საყოველთაო აჯანყება. ისინი მოსკოვის ხელისუფალთა შეკვეთას რომ ასრულებდნენ, ამის აშკარა დადასტურებას რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის (1919 წლის 15 აგვისტო), კავკასიის საერთო პარტიული თათბირის (1919 წლის 9 სექტემბერი), რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის (1919 წლის სექტემბრის) სხდომის მასალები წარმოადგენს.[255] დასახული მიზნის განხორციელების ხელსაყრელ მომენტად ქართველმა და ოსმა ბოლშევიკებმა საქართველო-აზერბაიჯანს შორის მიმდინარე საომა რი მოქმედება (1920 წლის მაისი) მიიჩნიეს და იმავე წლის მაისში „სამხრეთ-ოსეთში" აჯანყება დაიწყეს. თითქმის მთელ სამაჩაბლოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ზემოაღნიშნული აჯანყებები საბჭოთა რუსეთის შეკვეთით ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ აქციას წარმოადგენდა და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას ითვალისწინებდა. 1918-1920 წლებში ბოლშევიკთა მიერ განხორციელებული აჯანყებები, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ისეა შეფასებული, თითქოს მისი მონაწილენი საქართველოს ყოველი მტკაველი მიწისთვის თავდადებული მებრძოლები ყოფილიყვნენ. აღნიშნული შეფასება თუ რამდენად პასუხობს სინამდვილეს, ამის გარკვევის შესაძლებლობას ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალების ობიექტური ანალიზი იძლევა. თუკი მათ მოქმედებას სამართლებრივი პოზიციებიდან განვიხილავთ, იგი ღალატის ტოლფასი იყო, ხოლო საქართველოს ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება მათდამი ბუნებრივ მოვლენას წარ მოადგენდა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ, რესპუბლიკის შიგნით მიმდინარე პროცესებისადმი გამოკვეთილი პოზიცია დაიკავა. მისი შეფასების კრიტერიუმად ეროვნული სახელმწიფოს ინტერესები აღიარა და საზოგადოებას

ქვეყნისადმი მიმართულ ორ დიდ საფრთხეზე-გარეშე და შინაურ მტრებზე მიუთითა. იმავდროულად ეროვნული სახელმწიფოს „მოწინააღმდეგეთა აჩრდილის" სათავეშივე განადგურების საკითხი ოფიციალურად დააყენა. ამ მხრივ, ეროვნული საბჭოს 1918 წლის 11 თებერვლის სხდომა გამოირჩევა. „სოფლად ანარქიის შესახებ" სოციალ-დემოკრატთა მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტში, ანარქიის ხელმძღვანელების, როგორც ბოროტმოქმედთადმი უმკაცრესი ზომების გატარების აუცილებლობის საკითხი იყო დასმული.[256] ანალოგიური ხასიათის რეზოლუცია იქნა მიღებული დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზედაც. „დამფუძნებელი კრება –ვკითხულობთ დოკუმენტში- მიაქცევს მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ფიცხელი და მკაცრი ღონისძიებების მიღებით, როგორც თვით ბოროტმოქმედთა, ისე მათი მასაზრდოებელი გარეშე ელემენტების, დეზერტირების და სხვა ანარქისტული წრეების წინააღმდეგ, შეიძლება გამოსვლების მომავალში თავიდან აცილება."[257] როგორც ვხედავთ, მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, ქვეყნის ინტერესების აუცილებლობიდან გამომდინარე, მეამბოხეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების გატარების მომხრეთ, რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოც გამოდიოდა. რამდენადაც საკითხი ეროვნული სახელმწიფოს გადარჩენას ეხებოდა. არსებული ხელისუფლება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და მათი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის აღკვეთას, კანონიერად მიიჩნევდა. ამ შემთხვევაში იგი, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილებას ეყრდნობოდა.

საქართველოს მთავრობის მიერ მოწინააღმდეგის ასალაგმავად გატარებულ უკიდურეს ღონისძიებებს გაზეთი „ერთობა" დადებითად შეხვდა და თავისი პოზიცია მოწინავე წერილში „კომუნისტი" ოფიციალურად დააფიქსირა. განსაკუთრებული ყურადღება ბოლშევიკთა მიერ იდეური ბრძოლის უარყოფისა და ძალდატანების, კერძოდ იარაღის გამოყენების ფაქტებზე გადაქონდა. გაზეთ „კომუნისტიდან" მოტანილი ამონაწერების საფუძველზე „ხელს ვიღებთ იარაღით სარგებლობაზე და გადავდივართ მხოლოდ ლეგალურ იდეურ მოღვაწეობაზე საქართველოში" ან კიდევ; „შეიარაღებული აჯანყების მაგიერ ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებები"- დაასკვნიდა: „კომუნისტები დღეს ხელს იღებენ იარაღით ბრძოლაზე ამით ამართლებენ ჩვენს მტკიცებას, რომ ყველა რეპრესიული ზომები რომელიც მიღებული იყო კომუნისტების წინააღმდეგ, მიმართული იყო არა მათი იდეური მოღვაწეობის, არამედ „უხეში ძალის", „შეიარაღებული აჯანყების", „იარაღით ბრძოლის" ე.ი. ყველა იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომლითაც ჩვენებური ბოლშევიკები ცდილობდნენ- ხალხისათვის ძალადობის საშუალებით თავს მოეხვიათ ერთი მუჭა

ხალხის ნება-სურვილი."[258] რაც შეეხება მეორე სტატიას -„კომუნისტების უტიფრობა" ბოლშევიკური გაზეთის მიერ საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული ბრალდებების პასუხს წარმოადგენს. იგი დაწვრილებით ეხება 1918-1920 წლების ბოლშევიკთა აჯანყებას და შესაბამისი არგუმენტებით ასაბუთებს მათ წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების აუცილებლობას. „საქართველოს დემოკრატიას—ვკითხულობთ წერილში—შეუძლია იამაყოს იმით, რომ მან დროზე ალაგმა ბოლშევიკური პრესა და ჩაფუშა მეამბოხეთა გეგმა. ამით— იხსნა იმ სამოქალაქო ომისაგან, რამაც წელში გასტეხა რუსეთის დემოკრატია და იგი დაღუპვის კარამდის მიიყვანა. „ეკონომისტს" არ მოსწონს ასეთი ტაქტიკა, ვინაიდან საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც მჭევრმეტყველურად ღაღადებს დემოკრატიის აღმშენებლობითი მოღვაწეობის შესახებ და ამხელს მათ, ვინც სამოქალაქო ომის დროშის აფრიალებით რუსეთში დასცა წარმოება, გაანადგურა მიმოსვლის საშუალებანი."[259] ყოველივე ეს იმის აშკარა დადასტურებაა, თუ რამდენად დამღუპველი შედეგის მოტანა შეეძლო საქართველოს სახელმწიფოსათვის ბოლშევიკთა შეუზღუდავ მოქმედებას. მისი გაუთვალისწინებლობა, ეროვნული სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედების ტოლფასი იქნებოდა.

ამრიგად, 1) 1918-1920 წლებში საქართველოში განხორციელებული აჯანყებები ქვეყნის დამოუკიდებლობის დასამხობად იყო გამიზნული, მისი შემსრულებელი ქართველი ბოლშევიკები, საბჭოთა რუსეთის დაკვეთითა და დაფინანსებით მოქმედებდნენ. ამიტომ იგი სოციალური სიდუხჭირიდან კი არ იყო აღმოცენებული, არამედ მას გარეშე ძალების პროვოცირება ედო საფუძვლად. 2) გლეხთა ყველა აჯანყება, ბოლშევიკებმა საქართველო სათვის კრიტიკულ მომენტს, თურქეთ-საქართველოს და საქათველო-აზერბაიჯანის საომარ მოქმედებებს დაამთხვიეს. იგი რუსეთ-თურქეთის ალიანსით გათვალისწინწბული პროგრამით ხორციელდებოდა და სამშობლოს დამცველი ქართული ჯარისადმი ზურგში მახვილის ჩაცემას ითვალისწინებდა. მისი შეფასების ამოსავალ კრიტერიუმად ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს თუკი ავიღებთ, მას ეროვნული ღალატის ტოლფასოვანი ქმედების კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, ამიტომ აჯანყებულთა წინააღმდეგ ნებისმიერი სადამსჯელო ღონისძიება, ეროვნული სახელმწიფოს გადარჩენას ემსახურებოდა და სამართლებრივ სახეს ატარებდა.

თავი V

საგარეო პოლიტიკის საკითხები და ქართული სოციალ-დემოკრატია

§ 1. სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი და საერთო კავკასიური კონფერეციის მოწვევის საკითხი

დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოსათვის, სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პარალელურად, ნომერ პირველ ამოცანას საერთაშორისო აღიარების მოპოვება წარმოადგენდა. მისი მიღწევისათვის წარმატებული ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ქვეყნის ხელისუფლებას გამოკვეთილი საგარეო კურსი ექნებოდა შემუშავებული. ძირითადად იგი ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების; 1) ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოსალოდნელი საშიშროების და 2) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესების გათვალისწინებას უნდა დამყარებოდა. იმავდროულად განესაზღვრათ, საერთაშორისო პოლიტიკაში თუ რომელი მათგანი შეძლებდა უპირატესობის მოპოვებას და გამარჯვებული რა პოზიციას დაიჭერდა საქართველოსადმი. ყოველივე ამის ამოცნობა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასაც საჭიროებდა. მართალია ქართული პოლიტიკური ელიტა ამ მხრივ განსაკუთრებულ დეფიციტს განიცდიდა, მაგრამ მის წინაშე წამოჭრილ რთულ პრობლემებს გაბედულად ეჭიდებოდა, მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტისას, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესატყვისი ფორმის შემუშავებას ცდილობდა. როგორც ცნობილია, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მესამე და მეოთხე მუხლებზე იქნა დაფუძნებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ საერთაშორისო ომის დროს, საქართველო მუდმივ ნეიტრალიტეტს დაიცავდა და ყველა ქვეყანასთან-განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას შეეცდებოდა. აღნიშნული კურსის გამტარებელი, ფაქტობრივად მმართველი პოლიტიკური პარტია იყო. ამიტომ, საგარეო პოლიტიკის სფეროში განხორციელებული ყოველი ღონისძიება, მისი ისტორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინების ფონზე, შეეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ რა ფორმით ყალიბდებოდა სოციალ-დემოკრატ ლიდერთა ცნობიერებაში ქვეყნის საგარეო

პოლიტიკის კონცეფცია, პასუხობდა თუ არა იგი საქართველოს გეოპოლიტიკური და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს. საკითხის ამ ფორმით დასმა და პასუხის გაცემა იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება იმ ეტაპზე საქართველოს ყოფნა-არყოფნას უკავშირდებოდა და მისი არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ეს მომენტი განსაკუთრებით საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში გამოიკვეთა. მისი სრულად წარმოჩენისათვის ყურადღებას სამ ძირითად საკითხზე გავამახვილებთ: 1) საქართველოს ტერიტორიებისადმი სომხური პრეტენზიების მიზანშეწონილებაზე, 2) საქართველოში არსებული სომხური ძალების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე და 3) სადაო საკითხების საერთო კავკასიურ კონფერენციაზე გატანისადმი სომხეთის ხელისუფალთა ნეგატიურ დამოკიდებულებაზე.

1) საქართველოს ტერიტორიისადმი სომხურ პრეტენზიებს, „დიდი სომხეთის" შექმნის იდეა ედო საფუძვლად. ამის უტყუარ დადასტურებას 1918 წელს სომხების მიერ სტამბოლში დაბეჭდილი „დიდი სომხეთის" რუკა წარმოადგენს. ეხებოდა რა ამ საკითხს, ივჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ინგლისელების ამიერკავკასიაში გამოჩენისთანავე „სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის ვითომც ისტორიული რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვაზე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მიმავალ ხაზით ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან მთავრდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თფილისიც კი, ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა ვიწრო ზოლიღა აქვს მიკუთვნებული."[2]

აღნიშნული რუკის გამოცემიდან ცოტა მოგვიანებით, სტამბოლში სრულიად სომხეთის სახელმწიფოს ახალი რუკა დაიბეჭდა. პირველისაგან განსხვავებით, მისი შემდგენლები იმ „დათმობაზე" წავიდნენ, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარი კოდასთან გაატარეს, თბილისი, ახალციხე და ბათუმი საქართველოს საზღვრებში დატოვეს. ამ მიზნის განხორციელებას ისინი ეტაპობრივად ითვალისწინებდნენ.

პირველი სასინჯი ნაბიჯი მათგან ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების კუთვნილების დღის წესრიგში დაყენებით გადაიდგა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა,[3] სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სომხეთის ხელისუფლება მის დასაპატრონებლად ყოველგვარი სახის საშუალებას მიმართავდა. ამ დავამ ოფიციალური სახე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის

დაშლის (1918 წლის მაისი), სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შექმნისა და თითოეული მათგანის ტერიტორიულად გამიჯვნის საკითხის დასმის შემდეგ მიიღო. სომხური მხარე, ტერიტორიის ისტორიულ კუთვნილებას იგნორირებას უკეთებდა და თავისი პრეტენზიების „დასაბუთებას", მხოლოდ სომხური ეთნიკური ელემენტის რაოდენობის მოშველიებით ცდილობდა. ამ პრობლემისადმი დემოგრაფიული საზომით მიდგომა გაუმართლებელი იყო, რადგან სომხობა საქართველოს არამკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდა და მისი ქვემო ქართლში ჩამოსახლება სხვადასხვა ისტორიულ პროცესებს უკავშირდება. როგორც ისტორიოგრაფიიდანაა ცნობილი, სომეხთა მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში გვიანი შუასაუკუნეებიდან დაიწყო, როცა მტრისაგან შევიწროებული სომხობა თავშესაფარს უცხო ქვეყნებში ეძებდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება,-საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა,-და თანაც საქართველოში შემოხიზნულ სომხებს სულ უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ.. სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეებში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდნენ ხოლმე სწორედ ქვემო ქართლში"[4] იმავე ივ. ჯავახიშვილის მონაცემებით, თურქთა და ლეკთა შემოსევების გამო, სომხური მოსახლეობა აღნიშნული ადგილებიდანაც აყრილა, რის გამოც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სომეხთა საერთო რაოდენობა ამიერკავკასიაში 17000 ოჯახამდე დასულა.[5] მისივე თქმით, რუსეთის ხელისუფალთა დაჟინებული მოთხოვნით, ერეკლე მეორეს ქვემო ქართლის უკაცრიელ ადგილებში მელიქი აბო ყმებითურთ დაუსახლებია.[6] რაც შეეხება სომეხთა კომპაქტური დასახლების შექმნას ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში, იგი მხოლოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენებთანაა დაკავშირებული. მხედველობაში გვაქვს, რუსეთის ხელისუფლების მიერ არზრუმის საფაშოდან 1829-1831 წლებში 34 ათასი სომხის ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში ჩასახლების ფაქტები, ხოლო 5 ათასის – ბორჩალოს მაზრის იმ ნაწილში, რომელიც დღევანდელი საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის.[7] რაც შეეხება სომეხთა მასობრივ ჩამოსახლებას, იგი რუსეთის ხელისუფალთა გამიზნულ ანტიქართულ საქმიანობას უკავშირდება. 1804 წელს ერ-

ევნის სახანოდან თბილისში სომეხ ჩამოსახლებულთა რაოდენობამ 2000 კაცი შეადგინა. 1807-1808 წლებში მას 338 ოჯახი, ანუ 1906 სული დაემატა. 1809-1911 წლებში მთავარმართებელ ტორმასოვის ინიციატივით ყარაბაღიდან 428 ოჯახი (2140 სული) უშუალოდ ბოლნისში ჩასახლეს. ყარსის, ერზერუმის და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან 1829 წელს საქართველოში 14000 სომხური ოჯახი,[8] ხოლო 1897 –1902 წლებში 55 ათასი სომეხი ჩამოასახლეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1865 წლის მონაცემებით საქართველოში 122,6 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1886 წელს კი 172,9 ათასი, 1897 წელს მათი რიცხვი 197 ათასამდე გაიზარდა.[9] საქართველოს ტერიტორიაზე სომეხთა ჩამოსახლება წინასწარ გამიზნულ პოლიტიკას წარმოადგენდა. სომხური მოსახლეობის საზღვრისპირა რაიონებში კომპაქტური დასახლება, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით ანექსიას ითვალისწინებდა. XIX საუკუნიდან დაწყებული ეს „მშვიდობიანი ფარული ომი" XX საუკუნეშიც გაგრძელდა. სომხური ბურჟუაზია რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით, ქართველთა საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდა. ამის დადასტურებას 1915-1916 წლებში თურქების მიერ დარბეული სომხების დიდი ნაწილის (100 ათასი კაცი) საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება წარმოადგენს.

ზემოთ მოტანილი ფაქტები იმის დადასტურებაა, რომ „სადაოდ ქცეულ" საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე სომეხთა კომპაქტური დასახლება და მკვიდრ მოსახლეობაზე ეთნიკური უპირატესობის მოპოვება, ხელოვნურად გამიზნულ პროცესს წარმოადგენდა. ბუნებრივია, მეზობელი სახელმწიფოს პრეტენზიაც ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს დროული და წინდახედული პოლიტიკური ალღო რომ გამოეჩინათ, სომეხთა ჩამოსახლება-დასახლებისადმი თუნდაც ნაწილობრივად შემაფერხებელი მექანიზმი შეემუშავებინათ, საქართველოში სომეხთა კომპაქტური დასახლება არ გვექნებოდა და მას საქართველოს ტერიტორიის მისათვისებლად პრეტენზიის ალიბად ვერ გამოიყენებდნენ. მეორე მხრივ, მომავალ თაობებს იგივე „სომხური სინდრომი" შემაწუხებლის ფორმით არ მოევლინებოდა. 2) ზემოაღნიშნული პრეტენზიების პარალელურად, სომხეთის ხელისუფლება საქართველოში არსებულ სომხურ ძალებზე დაყრდნობით, ქართული სახელმწიფოს დასასუსტებლად ფარულ, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. ამ სამუშაოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან მოწინააღმდეგის როლში თუკი დაუძლურებული საქართველო აღმოჩნდებოდა, მბრძანებლის სადავეები სომხეთის ხელში მოექცეოდა, ხოლო საქართველოს–გარეშე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე შემსრულებლის ფუნქციები დაეკისრებოდა. მმართველი პოლიტიკური

პარტიის ლიდერებისათვის ეს დღესავით ნათელი იყო, ამიტომ, დაშნაკცუთიუნის პარტიის ყოველ ანტიქართულ ნაბიჯს რეაგირების გარეშე არ ტოვებდნენ.

დაშნაკცუთიუნის პარტიისა და სომხური ეროვნული საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას ძეგვის სარკინიგზო ხიდის აფეთქება იქცევს. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა პატიმრობაში აიყვანეს დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრები: კუჩერიანცი, მელიქგაიკაზოვი, ჩოლხუშიანი, ტერ-აბრამიანცი, იმაგაილოვი, კიურიულიანი და სხვები.[10]

ქალაქ თბილისში, მელიქ-კაზარიანცის სახლის გაჩხრეკისას (1918 წლის 19 ივნისი) სარდაფში საიდუმლოდ გადამალული რამდენიმე ყუთი დინამიტის, საარტილერიო ჭურვების, თოფების, ვაზნების და სხვა აღჭურვილობის საწყობი იქნა აღმოჩენილი. მას მილიციის ფორმაში გამოწყობილი სომეხი ეროვნების პირები იცავდნენ. ამ ოპერაციის ჩატარებისას პორუჩიკმა ნიკოლაძემ პატიმრობაში აიყვანა პოლკოვნიკი კუნკოვსკი, პასტრულინი (თბილისის ჟანდარმთა ყოფილი სამმართველოს უფროსი), გენერალი ფონ რუბენაუ და პორუჩიკი ალექსანდროვი, რომლებიც სომხური ეროვნული საბჭოს მითითებით მოქმედებდნენ. ერთი თვის შემდეგ, მანთაშევის ქარვასლაში სომხების მიერ გადამალული იარაღის ახალი საწყობი იქნა აღმოჩენილი. მასში ყუმბარების, ტყვიამფრქვევების, ასაფეთქებელი მასალებისა და ზარბაზნის ჭურვების დიდი რაოდენობა ინახებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „შოვინისტთა კორპორაცია" კონკრეტულად იყო დასმული საკითხი - ვის კუთვნილებას წარმოადგენდა აღნიშნული იარაღი და რა მიზნებს უნდა მოხმარებოდა იგი. პასუხიც იქვე იყო გაცემული, რომ იგი დაშნაკცუთიუნის პარტიას ეკუთვნოდა.[11] საქართველოში აკრედიტებული სომხური დიპლომატიური წარმომადგენლობისადმი ეს იყო ოფიციალურად წაყენებული ბრალდება. აუცილებლობა პასუხის გაცემას, მის უარყოფას, ან დადასტურებას მოითხოვდა. სომხეთის დიპლომატიური მისიის საინფორმაციო ბიურომ, გაზეთ „ერთობას" რედაქციას 15 აგვისტოს შემდეგი შინაარსის შეტყობინება გაუგზავნა: „საქართველოში არსებულ სომეხთა დიპლომატიურ მისიასთან მოქმედი საინფორმაციო ბიურო საჯაროელთაოდ აცხადებს რომ მანთაშევის ქარვასლაში შენახული ქონება ეკუთვნის სომეხთა ჯარების საგანგებო კორპუსის ნაწილებს, რომლებიც დაბეჭდილია ამ ნაწილის ბეჭდით. არავითარი დამოკიდებულება ამ ქონებასთან არც ერთ პარტიას და კერძოდ დაშნაკცუთიუნს არ აქვს."[12]

მართალია, იარაღის კუთვნილების საკითხი დავას არ იწვევდა, მაგრამ მასთან მიმართებაში დაშნაკცუთიუნის პარტიის დამოკიდებულების უარყოფა თავის მართლების უსუსურ ფორმას წარმოადგენდა. მითუმეტეს, სომხეთის მისიის მეთაური ა.ჯამალიანი, როგორც გაზეთი „ერთობა" წერდა „მართლმორწმუნე ცნობილი დაშნაკელი იყო". საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე, აღნიშნული იარაღის არსებობის შესახებ საქართველოს მთავრობა მას საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა და შენახვის მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტა მისთვის მიენდო. მითუმეტეს, ამის აუცილებლობას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ბრძანებაც მოითხოვდა, რომლის მიხედვითაც, სომხური შეიარაღებული შენაერთების საქართველოდან დაუყოვნებლივ გაყვანა უნდა განხორციელებულიყო. ეს დოკუმენტი სომხურმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ყურადღების მიღმა დატოვა და იარაღის მცველად თვით სომეხი ჯარისკაცები დააყენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სომხეთის მმართველი პარტიისადმი დამოკიდებულება ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „დაშნაკების ორმაგი პოლიტიკა" შემდეგნაირად გამოხატა: „დაშნაკელთა პოლიტიკა არის იგივე სომხეთის მთავრობის პოლიტიკა, რადგანაც მთელი მთავრობა დაშნაკელებისაგან შედგება, ჩვენ დიდი სიფრთხილით უნდა ვადევნოთ თვალყური დაშნაკელების მოქმედებას ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ."[13]

საკითხის ასეთი ფორმით დაყენება იმას ნიშნავდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია უნდობლობას უცხადებდა საქართველოში არსებულ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას. ეს შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, იგი სათანადო ფაქტებს ემყარებოდა. იარაღის საწყობის აღმოჩენასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის დიპლომატიური თავაზიანობის მიუხედავად, სომხეთის წარმომადგენლობა ქართული მხარის თანდასწრებით იარაღის აღწერას და მის ქალაქგარეთ არსენალში გადატანას შეგნებულად აჭიანურებდა. ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ბ-ნ. ჯამალიანის როლი საქართველოს რესპუბლიკაში" ხაზგასმით აღნიშნავდა: „თუკი ამ ჭირვეულობაში სხვა რამ „დაშნაკური" განზრახვა არ იმალება, ეს ჭირვეულობა.. დიპლომატიური უპატივცემლობაა საქართველოს მთავრობისადმი; ეს საქართველოს მთავრობის შინაურ საქმეებში ჩარევაა, რადგან ბ-ნ. ჯამალიანზე უკეთესად მან (საქართველოს მთავრობამ-შ.ვ.) უნდა იცოდეს სად უფრო მოსახერხებელია ასაფეთქებელი მასალის და თოფ-იარაღის საწყობის მოთავსება."[14] რამდენადაც იმ მომენტისათვის საქართველო-სომხეთის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულ ხასიათს ატარებ-

და, ასეთ დამძიმებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, ერთად-ერთ სწორ გადაწყვეტილებას აღნიშნული იარაღის დაუყოვნებლივი რეკვიზიცია და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენდა. თუკი ეს ნაბიჯი არ გადაიდგა და ხელისუფლება კომპრომისზე წავიდა, ისევ პოლიტიკური მოსაზრებიდან და სომეხ-ქართველთა სისხლისღვრის აცილებიდან გამომდინარე. ასეთი ნაბიჯი სტაბილურობის შენარჩუნების ცალმხრივ მცდელობას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ის აუცილებელი მომენტია გასათვალისწინებელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის მიტაცების სურვილით სომხეთის მმართველ წრეებს მოსვენებას რომ უკარგავდა. ისინი დასახული მიზნის მისაღწევად ყოველგვარი სახის კომბინაციაზე მიდიოდნენ. ამის ნიმუშად, საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით სომხეთ-ოსმალეთის საიდუმლო შეთანხმება გამოდგება. ამ ფაქტის შესახებ „ერთობა" მოწინავე წერტილში „ჩვენს გარშემო" თურქებისაგან დევნილი 120 ათასი სომეხის საქართველოში თავშეფარებისა და მათდამი მზრუნველობის ფაქტებზე მკითხველის ყურადღებას მიაპყრობდა და იქვე დასძენდა: „უნდა გვეფიქრა, რომ სომხეთი ამის შემდეგ ყველაზე ერთგული და მეგობრული განწყობილების მატარებელი იქნებოდა ჩვენს მიმართ, მაგრამ დახეთ.. როცა ჩვენი საზღვრების შესახებ ისინი ოსმალებს უთანხმდებიან.. წარმოგიდგენია მკითხველო ასეთი კომბინაცია? ოსმალეთი და სომხეთი საქართველოს წინააღმდეგ... ჩვენ გვესმის ოსმალეთის განზრახვა-მისთვის დემოკრატიული მეზობლის დამხობა ისტორიული მისწრაფებაა. მაგრამ სომხეთის დაშნაკელთათვის? ოსმალეთი მათ თავზე ხელს ხომ არ გადაუსვამს."[15]

საქართველოს საწინააღმდეგო კურსი, სომხეთის ხელისუფლებამ უფრო დახვეწილი ფორმით ინგლისის ჯარის თბილისში შემოსვლასთან დაკავშირებით განახორციელა. მხედველობაში გვაქვს სომეხი ნაციონალისტების მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული გაზეთი „კავკასიის ფოსტა" იგი ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ინგლისის ორიენტაციის მომხრედ მხოლოდ სომხეთს მიიჩნევდა, ხოლო თბილისს, სომხების კუთვნილებად ასაღებდა. ქართველებისაგან ქალაქის დაპატრონების მიზეზად კი საქართველოს მთავრობის ნაციონალისტურ ღონისძიებებს ასახელებდა. ყოველივე ეს, როგორც გაზეთი „ერთობა" წერდა "ინგლისელებთან საქართველოს მთავრობის შოვინისტური პოლიტიკით დასმენის ხასიათს ატარებდა"[16] და მიზნად ისახავდა: 1) ინგლისელებში ქართველების და საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მტრული პოზიციის შექმნას, 2) საქართველოს ტერიტორიებისადმი სომხური პრეტენზიების გამართლებას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობის მიზნით, სომხე-

თის ხელისუფლების დასაყრდენს თბილისში არსებული სომხური ეროვნული საბჭო წარმოადგენდა. ამ მიმართულებით მისი მუშაობის გაძლიერება 1918 წლის დეკემბრიდან იწყება. ამის შესახებ საგანგებო რაზმის ხელმძღვანელი სპ.კედია შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში (1918 წლის 20 დეკემბერი) სომეხთა ეროვნული საბჭოს შტაბბინაში (არამიანცის სახლი), სომეხი ახალგაზრდების საიდუმლო კრებებზე და საქართველოს წინააღმდეგ მოხალისეთა ჯარის შედგენის მიზნით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სომეხთა მობილიზაციის მცდელობის ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას. ამის უშუალო შემსრულებლებად ალექსანდრე ვასილის ძე ბარხუდარიანს და გიორგი პოღოსის ძე ჯამაგოსიანცს ასახელებდა.[17] ხოლო მეორე დოკუმენტით, რომელიც იმავე სამინისტროს სახელზეა გაგზავნილი და ხელს ისევ სპ.კედია აწერს-ვგებულობთ, რომ პოლკოვნიკ დულუხანოვის დაპატიმრებისას, საგანგებო რაზმის მუშაკებს აღმოუჩენიათ სომხეთის მთავრობის მიერ გაცემული სპეციალური მითითება, რომელიც დულუხანოვს ავალებდა: გასაიდუმლოებულ ფორმებში განეხორციელებინა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სომეხი, რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მობილიზაცია. მათ ბაზაზე საგანგებო რაზმი შეექმნა და ქართველთა ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყვანა.[18] აღნიშნულ ფაქტზე და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ.რამიშვილი საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე ოპონენტთა საყურადღებოდ აცხადებდა: „როცა აქ გამოდიან და ამბობენ, რომ ის განცხადება მთავრობისა, რომელიც სომხების მობილიზაციას შეეხება, გაუგებრობას იწვევსო, მე ეს ძლიერ მაკვირვებს. ჩვენ გარკვევით ვაცხადებთ, რომ თბილისში ხდებოდა სომეხ ჯარისკაცთა მობილიზაცია. მობილიზაცია ხდებოდა არა მარტო თბილისში, არამედ სხვა კუთხეებშიაც... ხდებოდა აგრეთვე მობილიზაცია უკრაინაში, დონში და სხვაგან. ყველაფერი ეს მოწყობილი იყო ქალაქ თბილისიდან".[19]

მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, როცა ა.ჯამალიანი და სომხური ეროვნული საბჭო თავს იკავებდნენ ზემოთ ნახსენები იარაღის საწყობის გახსნის, მისი აღწერისა და თბილისიდან არსენალში გადატანასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, იგი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, საქართველოში შექმნილი სომხური შენაერთების შესაიარაღებლად ჰქონდა გამიზნული. ბუნებრივია, მოწინააღმდეგის ასეთ ქმედებას, საქართველოს მთავრობამ შესაბამისი ნაბიჯის გადადგმით უპასუხა და საქართველოს ტერიტორიაზე სომხების ეროვნული საბჭოს მოქმედება შეაჩერა.

სომხეთის ხელისუფლებამ, საქართველოს ტერიტორიის დასაპყრობად, პირველი სასინჯი სამხედრო ოპერაცია 1918 წლის 18 ოქტომბერს განახორციელა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაარღვია, კალაგერანის ხიდი და სადგურ კობერის მიდამოები დაიკავა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერის ნ.რამიშვილის პოზიცია ცალსახა იყო. იგი პარლამენტის 26 ოქტომბრის სხდომაზე ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ გვაქვს საბუთი აშკარად განვაცხადოთ, რომ სომხეთის ჯარების მიერ ამ ად გილების დაკავება მოხდა ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით. ასეთი იყო განცხადება... სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის ჯამალიანისა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ამხანაგთან."[20] იგივე დაადასტურა სამხედრო მინისტრმა გ.გიორგაძემ. მისი თქმით, საქართველოსთან შეუთანხმებლად და „ოსმალებთან მოლაპარაკებით, ჩვენი ის ხაზი, რომელიც ოსმალების ასკერებს ეპყრათ, სომხეთის ჯარმა დაიჭირა."[21] იმავდროულად აიღეს კორინჯი და ცატერნი, რომლებსაც გერმანელთა რაზმები იცავდნენ და საქართველოს განკარგულებაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ხელისუფლების ეს მოქმედება საქართველოს მთავრობას ომის დაწყების საფუძველს აძლევდა, იგი კომპრომისზე წავიდა და მოწინააღმდეგე მხარეს სამშვიდობო მოლაპარაკება შესთავაზა. ამის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სომხეთის მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტაში ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობას, რომელიც მუდამ მზად არის მშვიდობიანად, ურთიერთშორის შეთანხმებით გადაჭრას საზღვრების საკითხი მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკასთან, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ სანამ ასეთ შეთანხმებას ადგილი არა აქვს, სომხეთის ჯარების შემოსვლა თბილისის გუბერნიის საზღვრებში ჩაითვლება სომხეთის მტრულ ნაბიჯად საქართვე ლოს მიმართ."[22] აღნიშნულ ნოტაზე სომხეთის მხრიდან პასუხის დაგვიანებამ და სომხური სამხედრო შენაერთების წინსვლის გაგრძელებამ, მოწინააღმდეგის შეჩერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხი დააყენა. დარღვეული სასაზღვრო პოზიციების ქართული ჯარის მიერ აღდგენამ და შეტევითი ოპერაციებისათვის მზადებამ, სომხები აიძულა კომპრომისზე წასულიყვნენ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას ა.ჯამალიანის მიერ სომხეთის მთავრობის სახელით საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი წერილი (1918 წლის 21 ოქტომბერი) იქცევს.

ამ დოკუმენტის მიხედვით, სომხეთის მთავრობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების წინადადებას იძლეოდა. აყენებდა საკითხს, ქართული ჯარის პირვანდელ პოზიციებზე გაჩერების

და იმ ტერიტორიების დაცლის არ მოთხოვნის შესახებ, სადაც სომხეთის ჯარმა ოსმალები შეცვალა.[23] ეს წინადადება საქართველოს მთავრობამ საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საფუძვლად მიიჩნია და პრობლემის მოსალოდნელი გართულებისაგან თავი შეიკავა. იმასთან დაკავშირებით თუ რა პოზიციები უნდა დაეჭირა ქართული და სომხური ჯარის ნაწილებს, კარგად ჩანს საქართველოს თავდაცვის მინისტრის გ.გიორგაძის 1918 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებიდან. მასში ვკითხულობთ: „სომხეთის მთავრობის თავმჯდომარისგან მივიღეთ წინადადება მშვიდობიანი გზით გადავჭრათ საზღვრების საკითხი. ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ, ჩვენი ჯარები იდგნენ იმ ხაზზე, რომელიც გერმანელებს ეჭირათ, სომხეთის ჯარებმა კი არ უნდა გადალახონ ხაზი, რომელიც თურქებს ჰქონდათ დაკავებული. მათი შემდგომი წინსვლის შემთხვევაში დაიცავით საზღვარი."[24]

ქართული მხარის ასეთ კომპრომისზე წასვლის მიუხედავად, 23 ოქტომბერს სომხეთის ხელისუფლებამ ახალი მოთხოვნა წამოაყენა და კორინჯ-ცატერნის ხაზის ქართული ჯარის ნაწილებისაგან დაუყოვნებლივ დაცლა მოითხოვა. პასუხის მიღებამდე, იმავე დღესვე აღნიშნული პუნქტები დაიკავეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გაგზავნილ საგანგებო ნოტაში კონკრეტულად იყო დასმული საკითხი: „თუ სომხეთის ჯარი დაუყოვნებლივ არ დაცლის კორინჯ-ცატერნის ხაზს, ანდა შემდეგ დაიკავებს რაიმე ტერიტორიას თბილისის გუბერნიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა ამას ჩათვლის სამხედრო მოქმედების დასაწყისად სომხეთის რესპუბლიკის მხრივ და მთელი პასუხისმგებლობა ორივე რესპუბლიკისათვის დამღუპველი შედეგებისა დაატყდება იმ მთავრობას, რომელმაც ამ შემთხვევაში... ეს კონფლიქტი გამოიწვია."[25]

აღნიშნული ფაქტები იმის უდაო დადასტურებაა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით სომხეთთან კონფლიქტს საგანგებოდ გაურბოდა და ამ მიზნით გარკვეულ კომპრომისზედაც მიდიოდა. რაც შეეხება სომხეთის მხარეს, იგი მინიმალური ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე, ყველა სახის შეთანხმებას არღვევდა. ამის დამადასტურებლად ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ორი ფაქტიც გამოდგება. სომხეთის ხელისუფლების მესვეურები 21 ოქტომბერს თუ პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას უჭერდა მხარს, ეს პოზიცია ორ დღეში შეცვალა და 23 ოქტომბერს საომარი მოქმედება განაახლა. ასეთი მოულოდნელი აზრთა ცვალებადობა შემთხვევითი არ იყო, მის მოქმედებას უდაოდ მესამე ძალა მართავდა. ამ ფაქტს ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა განსაკუთრებული ყურადღება

მიაქციეს და იგი საგანგებო განხილვის საგანი გახადეს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის 26 ოქტომბრის სხდომაზე რ.არსენიძემ სომხეთის მხრიდან კონფლიქტში მესამე სახელმწიფოს მონაწილეობის ვარაუდი გამოთქვა. „მე მგონია – ამბობდა იგი – ამ შემთხვევაშიაც არ უნდა იყოს გარეშე ძალის უმისობა იმ კონფლიქტში, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი ცნობა, რომელიც იყო გამოქვეყნებული, მიუთითებს ამ მესამე ელემენტზე, რომლის წყალობითაც აქ შეიძლება ომის ალი გაჩაღდეს."[26] რ.არსენიძე არ ტყუოდა, რადგან იმ ეტაპზე სომხეთის პოლიტიკურ კურსს მართლაცდა მესამე სახელმწიფო მართავდა. მიუხედავად ამისა, გარკვეული მიზეზების გამო, მან საკითხის დაკონკრეტებას თავი აარიდა. მხოლოდ სომეხი და ქართველი ერისათვის „მესამე ხელის" დამღუპველ გარდუვალობაზე მიუთითა. აქედან გამომდინარე მიუღებლად ჩათვალა თავდასხმის ის ფორმა, რომელიც სომხეთმა საქართველოს მიმართ გამოიყენა. სათანადო არგუმენტაციით პარლამენტარებს შეახსენა, რომ დიდი სახელმწიფოები „24 საათით ადრე იტყობინებიან, როდესაც ჯარს გზავნიანო." მისივე თქმით სომხეთი მალულად, თითქმის ყაჩაღურად დაესხა საქართველოს. იმავდროულად გაკვირვება გამოთქვა იმ სიმშვიდის გამო, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოიჩინა და მოწინააღმდეგის დაგებულ მახეს გონივრული პოზიციიდან შეხედა. „მე კიდეც მაკვირვებს ის თავდაჭერილობა - ამბობდა რ.არსენიძე- რომელსაც იჩენს ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა."[27] ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ მიმდინარე პროცესებს საქართველოს ხელისუფლება ცივი გონებით აფასებდა და შეთანხმების გზით პრობლემის დარეგულირების იმედი ჰქონდა. რაც შეეხება სომხეთის მხარეს, იგი საქართველოს ტერიტორიის მიტაცების ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. ჩასაფრების პოლიტიკურ კურსს ატარებდა და დასახული მიზნის მისაღწევად, გარკვეულ საბაბს ეძებდა. ხელსაყრელ მომენტად, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში ქართული ჯარის შეყვანა ჩათვალეს და ეს ფაქტი „სომხური ტერიტორიების მიტაცებად" გამოაცხადეს, ხოლო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიგრანიანმა, 1918 წლის 5 დეკემბრის ნოტით საქართველოს მთავრობა „გააფრთხილა"- ახალქალაქის მაზრაში ჯარის შეყვანისგან თავი მანამდე შეეკავებინა, სანამ მისი კუთვნილების საკითხი მშვიდობიანი გზით არ გადაიჭრებოდა.[28] აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ გამოკვეთილი პოზიცია დაიჭირა, რასაც საგარეო საქმეთა მინისტრის ე.გეგეჭკორის 1918 წლის 7 დეკემბრის დეპეშაც ადასტურებს. მასში მოტანილი იყო ის ძირითადი ალიბი, რომელიც ქართული მხედრობისაგან ახალქალა-

ქის მაზრის დაჭერას დაედო საფუძვლად. „საქართველოს მთავრობა-ვკითხულობთ დოკუმენტში- ახალქალაქის მაზრას თავის ისტორიულ ტერიტორიად თვლის და სომხეთის პროტესტი ამ საკითხზე უადგილოა. დაე ნუ ჩაერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში."[29] ასეთი კატეგორიული ტონი გამართლებული იყო, რადგან 1) ის ტერიტორიები, რომლებზედაც სომხები პრეტენზიას აცხადებდნენ ისტორიულად საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა და ამის უარსაყოფად ოპონენტი მხოლოდ დემოგრაფიულ ბალანსს ეჭიდებოდა. 2) სასაზღვრო საკითხის სამშვიდობო კონფერენციაზე გატანის ქართველ დიპლომატთა მცდელობა, სომხეთის ხელისუფლებამ რამდენჯერმე ჩაშალა და ომის გზა აირჩია. ასეთი სარისკო ნაბიჯი მისმა დიპლომატიურმა წრეებმა იმ მომენტში გადადგეს, როცა ამიერკავკასიის რეგიონში პოლიტიკური სიტუაცია დამძიმებული იყო. სომეხთა ამ მოქმედებას მესამე სახელმწიფო რომ ზურგს უმაგრებდა, ეს აშკარად ჩანდა. თუკი იმდროინდელ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარულ ლიტერატურას ვენდობით, ისინი ინგლისის როლზე გამოკვეთილად მიუთითებენ. ნ.ჟორდანიას აზრით, ინგლისმა, სომხებს რამდენადაც ოსმალეთში დანაპირები კერა ვერ შეუქმნა, სამაგიეროს მიცემა საქართველოს ხარჯზე მოინდომა.[30] ხოლო გ.ლორთქიფანიძის თქმით, ინგლისის მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა და ამიერკავკასიის რეგიონის დენიკინის რუსეთზე მიკვრა წარმოადგენდა. „ამ რუსულ-ინგლისური გეგმის ბადეში-წერდა გ.ლორთქიფანიძე- მოხვდა სომხეთი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყო ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული. მის პოლიტიკაზე გადამჭრელი გავლენა ჰქონდა ანტანტას, ხოლო ანტანტის და პირველ ყოვლისა ინგლისის სარდლობის უმთავრესი მრჩეველი ამიერკავკასიის რეგიონში იყო დენიკინის შტაბი".[31]

აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს წინააღმდეგ ინგლისურ-სომხური ერთობლივი დიპლომატია და სამხედრო ძალა მოქმედებდა. მათმა მხარდაჭერამ განაპირობა ულტიმატუმის ის შეტევითი ტონი, რომელიც 15 დეკემბერს სომხეთის ხელისუფლებამ ბორჩალოსა და ახალქალაქის კუთვნილებასთან მიმართებაში- საქართველოს წაუყენა. „არაერთხელ ვაცხადებთ- ვკითხულობთ დოკუმენტში – რომ ეს ნაწილები არ შედის საქართველოს ტერიტორიაში და შეადგენს სომხეთის განუყოფელ ნაწილს და ძალდატანებით დაკავებულია საქართველოს ჯარების მიერ".[32] სანაინსა და ვორონცოვკაში, სომხური ჯარის ნაწილების შეფარვითი სამხედრო მოქმედების (9 დეკემბერი) დაწყების მიუხედავად, ქართული მხარე გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგისადმი საპასუხო ცეცხლის გახსნისგან 13 დეკემბრამდე თავს იკავებ-

და. ეს ფაქტი სომხეთის მესვეურებმა ქართველთა თავდაცვისუნარიანობის სისუსტით ახსნეს და სამხედრო ოპერაციებს კიდევ უფრო მძაფრი შეტევითი ხასიათი მისცეს. შექმნილმა ვითარებამ, მტრის შესაჩერებლად დაუყოვნებლივი ღონისძიებების გატარების საკითხი დააყენა. საქართველოს მთავრობის მიერ ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი 15 დეკემბერს გაგზავნილ მიმართვაში გარკვევით იყო მითითებული სომხეთთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ. „ორივე რესპუბლიკათა შორის-ეკითხულობთ დოკუმენტში- ყოველგვარი ზომები ჩვენის მხრით მიღებულ იქნა. საქართველოს მთავრობა... მთელი ქვეყნის წინაშე... აცხადებს რა ენერგიულ პროტესტს სომხეთის მთავრობის გამო, ის თავიდან იშორებს ორ მოძმე ხალხთა შორის სისხლისღვრის დამღუპველ შედეგთა პასუხისმგებლობას. ამ უკანასკნელი გამოსვლის პასუხისმგებლობა მთელი თავისი სიმძიმით ეკისრება სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას."[33] ეს მიმართვა და საქართველოს მთავრობის მირ გაკეთებული ოფიციალური განცხადება[34] იმის დადასტურებაა, რომ იგი ეროვნული სახელმწიფოს ღირსების ხელშეუხებლობისა და ისტორიული ტერიტორიების შესანარჩუნებლად ყველა სახეობის საშუალებებს მიმართავდა. მეორე მხრივ, იბრძოლებდა საერთაშორისო ასპარეზზე მაღალი ავტორიტეტის შესაქმნელად, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი სახელმწიფოს სახელის დასამკვიდრებლად. სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაზღვრავდა სომხეთისადმი თავშეკავებულ ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებას. რამდენადაც მიმდინარე პროცესებმა უკომპრომისო ხასიათი მიიღო, საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებისა და მთავრობის ხელმძღვანელ პირთა პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობა მოითხოვა. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 17 დეკემბრის სხდომამ შეასრულა. დღის წესრიგში ეროვნული სახელმწიფოს გადარჩენისა და ომის დაწყების მიზეზების გარკვევის საკითხი იდგა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს ნ.ჟორდანიას მოხსენება იქცევს. იგი საგანგებოდ შეეხო სომხეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ ორ ბრალდებას: 1) თითქოს საქართველოს ჯარისკაცებმა შეურაცხყოფა მიაყენეს სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთ, 2) საქართველოს ჯარმა დაიჭირა სადაო რაიონები. პირველ საკითხთან დაკავშირებით ჟორდანია სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ თუკი ასეთ დარღვევას მართლაც და ადგილი ქონდა, იგი საქართველოს წინაშე ოფიციალურად უნდა დაესვათ. „ასეთი უმნიშვნელო მიზეზი არ შეიძლება იყოს ომის საბაბი - ამბობდა ნ.ჟორდანია – ეს საბუთად არ გამოდგება." რაც შეეხება მეორე ბრალდებას, ამასთან დაკავშირებით იგი ხაზგასმით

მიუთითებდა: „დიახ, ჩვენ დავიჭირეთ ახალქალაქი, ახალციხე, მაგრამ ეს ძველი ამბავია- ორი თვის წინეთ მოხდა, ამის შესახებ მათ არაფერი უთქვამთ. მათ იცოდნენ, რომ მთელი თბილისის გუბერნია ჩვენ გამოცხადებული გვქონდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიად, ეს საბუთიც სუსტია ომის დაწყებისათვის."[35]

ამ შემთხვევაში ნოე ჟორდანია არ ტყუოდა. თუ სომხეთს საქართველოსადმი რაიმე საპრეტენზიო ჰქონდა, მაშინვე თუ არა, ერთი თვის განმავლობაში ოქტომბერ-ნოემბერში საპროტესტო ნოტით მაინც უნდა მიემართა, რასაც იმ ეტაპზე ადგილი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. სომხეთმა ეს „უფლებამოსილება" მხოლოდ ომის დაწყებიდან ექვსი დღის შემდეგ (9 დეკემბერი) გამოიყენა, ისიც ულტიმატუმის და არა ნოტის სახით. ყოველივე ეს, ნ.ჟორდანიას საფუძველს აძლევდა განეცხადებინა, რომ „კაჩაზნუნის მთავრობას" არ შეუძლია მეზობლებთან იყოს მშვიდობიან განწყობაში. მას უნდა ქონდეს მუდამ ვინმესთან ომი.. აი ეს არის მთავარი მიზეზი იმ ფაქტორებისა, რომელიც ხდება ბორჩალოს მაზრაში და არა ის მიზეზები, რომლებიც ჩვენ (სომხეთმა შ.ვ.) წარმოგვიდგინა და დღეს გაგაცანით."[36]

ყოველივე ამის შემდეგ, დავას არ უნდა იწვევდეს ომის დაწყების მოთავე სომხეთის რესპუბლიკა რომ იყო. რაც შეეხება მტრისადმი დამოკიდებულებას, მთავრობის ხელმძღვანელი თავის პოზიციას შემდეგნაირად აფიქსირებდა: „ვინც ჩვენს წინააღმდეგ აღმართა ხმალი და იარაღი... იმავე იარაღით უნდა გავცეთ პასუხი. ამის ძალა ჩვენ შეგვწევს, საჭიროა მხოლოდ თითოეულმა მოქალაქემ, თითოეულმა მოხელემ თავისი მოვალეობა შეასრულოს და მტერს მტრულად დახვდეს."[37]

ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა ომის რელსებზე გადართულიყო და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მისი თავისებურებების გათვალისწინება დადებოდა საფუძვლად. მეორე მხრივ, აუცილებლობა საქართველოს მოსახლეობის ომისათვის ფსიქოლოგიურ მომზადებას საჭიროებდა. ყოველ შემთხვევაში მასას და თვით ჯარის ნაწილებს სომხეთთან მიმართებაში მთავრობის ოფიციალურად გამოკვეთილი პოზიცია უნდა სცოდნოდა. ეს ამოცანა, საქართველოს მთავრობის მოწოდებამ „საქართველოს მებრძოლო ჯარისკაცებო და სახალხო გვარდიელებო!"-შესანიშნავად შეასრულა. დოკუმენტი იმ ვანდალურ აქტებზე მიუთითებდა, რომელიც თავდასხმის მომენტში სომხური ჯარის ნაწილებმა საქართველოს საზღვრის დამცველთა მიმართ ჩაიდინეს. იმავდროულად სომხეთის თავდასხმას წინასწარ მომზადებულად მიიჩნევდა და საზოგადოებას აუწყებდა, რომ „ჩვენი მთავრობა იძულებული შეიქნა მტერს მტრულად დახ-

ვდეს... მტრის სურვილია ჩამოჰკვეთოს ჩვენი რესპუბლიკის მიწაწყლის საუკეთესო ნაწილები, ჩვენშიაც გაიმეოროს ჯოჯოხეთი სისხლისღვრისა და ხალხის ჟლეტისა და ამ სისხლის მორევში ჩაღრჩოს საქართველოს დემოკრატიის მიერ დიდის მსხვერპლის გადებით მოპოვებული თავისუფლება. მტერი დაუნდობელია და ვერაგი... ამას მოწმობს მისი მზაკვრული, ქურდული თავდასხმა და უდიერი მოპყრობა მის ხელთ ჩავარდნილ მსხვერპლთა მიმართ... საქართველოს მებრძოლნო, ჯარისკაცნო და სახალხო გვარდიელნო! ამ განსაცდელის ჟამს თქვენთანაა სამშობლო ქვეყნის გულისყური და საქართველოს პარლამენტი... გამოთქვამს სრულს რწმენას, რომ თითოეულს თქვენთაგანს აქვს შეგნებული, რომ თქვენს სამხედრო უნარზე, სიმამაცეზე და თავდადებაზეა დამოკიდებული... საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსება... თქვენს ნათესავთა და სისხლხორცთა სიცოცხლე. საქართველოს პარლამენტი და მასთან ერთად მთელი ხალხი უწმინდეს ვალად მიიჩნევს ყოვლის საშუალებით და ღონისძიებით ხელი შეგიწყოთ დიადი მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის."[38]

ეს ამონაწერი იმის დადასტურებაა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის, ტოლერანტობის პოლიტიკის გამტარებელი საქართველოს ხელისუფლება, კარზე მომდგარი მტრისადმი შეუწყნარებელი იყო. საქართველოს კავკასიურ სამშვიდობო პოლიტიკას სამწუხაროდ იმ ეტაპზე მხარდამჭერი არ აღმოაჩნდა. პირიქით, მეზობელი სახელმწიფოები ასეთ კურსს ქვეყნის უძლურებით ხსნიდნენ და მასზე ზემოქმედების განხორციელების საშუალებებს ეძებდნენ. ბუნებრივია, საქართველოსადმი ინგლისისაგან ანგარიშსწორების იმედთან ერთად, სომხური აგრესიის ერთ-ერთ წინაპირობას აღნიშნული ფაქტორიც ედო საფუძვლად.

განსაცდელის ჟამს საქართველოს ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ძალთა მობილიზაციისა და მისი გონივრული ორგანიზაციის შედეგად, ქართული ჯარის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს სერიოზული დარტყმები მიაყენეს, რის გამოც სომხებმა უკანდახევა და საქართველოს ტერიტორიების დატოვება დაიწყეს. გარეგნულად მაყურებლის როლში მყოფი ინგლისის მისიის წარმომადგენლები, გადამწყვეტ მომენტში საქმეში ჩაერივნენ და საქართველოს ხელისუფლებისაგან საომარი მოქმედებების შეჩერება კატეგორიულად მოითხოვეს. ეს მხოლოდ მას შემდეგ იქნა აღსრულებული, როცა საქართველოს ჯარის ნაწილებმა ომამდელი სასაზღვრო ხაზი დაიჭირეს.

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა- გრ.ვეშაპელმა და სპ.კედიამ პარლამენტის 1919 წლის 4 იანვრის სხდომაზე საქართვ

ლოს მთავრობა მოპოვებული გამარჯვების ბოლომდე არმიყვანასა და მოთხოვნათა მაქსიმუმის წამოუყენებლობაში დაადანაშაულეს.[39] მათ ანგარიში არ გაუწიეს ინგლისის ფაქტორს, კერძოდ, სომხეთ-ინგლისის ალიანსს. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება ორ ძირითად გარემოებას ითვალისწინებდა: 1) ინგლისის მიერ საქართველოსადმი ულტიმატუმის წამოყენების შესაძლებლობას და სომხეთის სასარგებლოდ დამამცირებელი პრეტენზიების შესრულების მოთხოვნას. ამასთან დაკავშირებით იმავე სხდომაზე ნ.ჟორდანია ოპონენტებს შეახსენებდა: „ჩვენ ვართ მთავრობა სუვერენული და არავითარ ულტიმატუმებს არ მივიღებთ.. თუ დღეს მივიღეთ ერთი ულტიმატუმი ერთ საგანზე, ხვალ მეორე საგანზე, ზეგ მესამეზე –ეს იქნება არა დამოუკიდებელი მთავრობა, არამედ იქნება მთავრობა დამოკიდებული სხვის უფლებებში, სხვის პროტექტორატში ჩავარდნილი."[40] თუკი ერთის მხრივ ოფიციალური ულტიმატუმი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ინტერესების შელახვად მიაჩნდა, მეორეს მხრივ მას არ სურდა ერევნის მთავრობის მიერ დაგებულ მახეში გაბმულიყო, უცხოელების თვალში საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა შელახულიყო. აუცილებლობა ინგლისის მთავრობისადმი ანგარიშის გაწევას მოითხოვდა, მითუმეტეს, რომ ამ ზესახელმწიფოზე დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს მომავლის ბედი. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ინგლისის მიერ სომხეთთან შეთანხმების შემოთავაზებული წინადადების მიუღებლობა ნ.რამიშვილს შეუძლებლად მიაჩნდა. მისი უარყოფა, როგორც თვითონ აღნიშნავდა „გამოიწვევდა ჩვენი პოლიტიკური პოზიციების შესუსტებას. ჩვენ უნდა გვეჩვენებინა მოწინააღმდეგისათვის როგორც მტრისათვის, ისე მოყვრისათვის, რომ მზად ვართ ყოველივე ზომა მივიღოთ შეთანხმებისათვის.. როცა შემოვიდა გარეშე ძალა, რომლის ხელთ არის მსოფლიოს ბედი,.. ჩვენ უნდა გამოგვენახა უცხო ძალასთან საერთო ენა, რომლითაც შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა."[41] ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი, რეალურ სინამდვილეს ეფუძნებოდა და მისი უგულვებელყოფა დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. 2) კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, უარის შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგ ინგლის-სომხეთის ერთობლივი ძალების ამოქმედება გამორიცხული არ იყო. ამის შესახებ პარლამენტის იმავე სხდომაზე ი.წერეთელი ოპონენტთა მისამართით აცხადებდა: „მე თქვენ გარწმუნებთ, ჩვენ რომ იმ პირობებზე არ დავთანხმებულიყავით და ინგლისელებისათვის უარი გვეთქვა.. ბ-ნი ჯამალიანი და ინგლისელები საქართველოს წინააღმდეგ იმოქმედებდნენ."[42] ეს რეალობას წარმოადგენდა და

საქართველოს ფაქტიურად სომხეთ-ინგლისის ძალების წინააღმდეგ მოუწევდა ბრძოლა. „სომხეთის მთავრობის განზრახვა ჩვენს წინააღმდეგ აემუშავებინა გარეშე ძალა,-ამბობდა ი.წერეთელი - ჩვენ ჩავშალეთ. ეს არის ჩვენი დიდი გამარჯვება და თუ თქვენ მაინც ეჭვი შეგაქვთ იმაში, დამარცხებულია თუ გამარჯვებულია ჩვენი ქვეყანა ამ შეტაკებაში, ამ შემთხვევაში მესამე ფაქტორს გაუწიეთ ანგარიში."[43]

ინგლისის მოთხოვნის გათვალისწინების საფუძველზე, სომხეთთან გამარჯვების მაქსიმუმის არგამოყენების გამო, საქართველოს მთავრობის დადანაშაულება გაუმართლებელია. პირველ რიგშია გასათვალისწინებელი ერთიანი რუსეთის აღდგენის მცდელობიდან გამომდინარე, 1918-1919 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მისი მტრული დამოკიდებულება. 3) სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავებაში დამნაშავის წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანი ადგილი საერთო კავკასიური კონფერენციასთან მიმართებაში, თითოეული მათგანის პოზიციის წინ წამოწევას ენიჭება. მისი არსებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის საფუძვლიანად გააზრებისა და შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ, რეგიონში მიმდინარე პროცესების ფლობის შესახებ, დაპირისპირებულ სახელმწიფოთა მმართველი წრეებისადმი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება, რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას და მეზობელ სახელმწიფოებთან ჯანსაღი ურთიერთობის შენარჩუნებას მაქსიმლურად ცდილობდა. დასახული მიზნის მისაღწევად, კომპრომისულ გზასაც კი მიმართავდა, ისე, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ შელახულიყო და კუთვნილი ისტორიული ტერიტორიები მოძალადის ხელყოფისაგან დაცულიყო. ნებისმიერი პროვოცირებისა და აგრესიისადმი საქართველოს ხელისუფლება საპასუხო რეაგირებას მას შემდეგ აკეთებდა, როცა სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა შესაძლებლობა ამოიწურებოდა. ამის დადასტურებას 1918 წლის 18 ოქტომბრის მოვლენებისადმი საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება შეადგენს. სომხების მიერ საომარი მოქმედების დაწყების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი საქართველო-სომხეთს შორის სასაზღვრო დავის მშვიდობიანი გზით გადაჭრის საკითხს აყენებდა. იმავე პოზიციას იცავდა თავდაცვის მინისტრი გ.გიორგაძე. „სანამ სამშვიდობო ზომებს არ ამოვწურავთ,-ამბობდა იგი - მანამდის ჩვენ არ ვუბრძანებთ ჩვენს ჯარს, რომ მათ იარაღი ხელთ აიღონ... ჩვენ ამოვწურავთ ყოველნაირ მშვიდობიან ზომებს, რაც კი მიღებული არის საერთაშორისო წესებით და მე ბედნიერი

ვიქნები თუ არ გავცემ უკაზს, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა ხმალი აიღონ ხელთ და მტერს შეუტიონ. მაგრამ თუ მე იძულებული ვიქნები, რომ ამ განკარგულებას ხელი მოვაწერო.. თქვენი დასტურიც იქნება, რომ ჩვენ ავასრულებთ მხოლოდ ჩვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე.'[44] იგივე თვალსაზრისი რ.არსენიძემ უფრო დასაბუთებული ფორმით წარმოადგინა.[45] საქართველო-სომხეთს შორის სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის იდეას, რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომაც დაუჭირა მხარი. ამასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ მომხრეა სადაო საკითხების მშვიდობიანი საშუალებით გადაწყვეტის, მაგრამ ნებას არავის არ მისცემს რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას და ჩვენს თავისუფლებას საფრთხე მოუმზადოს'[46] ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველ პოლიტიკოსთა ყოველი კომპრომისი, ქვეყნის დამოუკიდებლობის ინტერესების ჩარჩოთი იქნებოდა შემოსაზღვრული. თუკი მეზობელი სახელმწიფოსადმი ამ შემთხვევაში გადამეტებულ შემწყნარებლობას იჩენდნენ, გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებებს-საერთაშორისო ავტორიტეტის შექმნასა და ევროპის სახელმწიფოებისგან მისი, როგორც სამართლებრივი სუბიექტის აღიარების შესაძლო იმედს ემყარებოდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ, იმ ეტაპზე არსებული თითქმის ყველა საშუალება გამოიყენა. ამის ნიმუშად ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევის შესახებ სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირისადმი გაგზავნილი ნოტა (1918 წლის 27 ოქტომბერი) გამოდგება. დოკუმენტი წინადადებას იძლეოდა 1918 წლის 3 ნოემბერს 12 საათზე თბილისში შეკრებილიყვნენ და განეხილათ: „1) ურთიერთცნობა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა, რომელთა მთავრობებიც მოწვეული არიან კონფერენციაზე, 2) გადაწყვეტა ყველა სადაო, მათ შორის საზღვრების საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შესათანხმებლად, ხოლო ასეთი შეთანხმების მიუღწევ ლობის შემთხვევაში-არბიტრაჟის საშუალებით, 3) ურთიერთ ვალდებულება, არცერთი არ შევიდეს სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ისეთ ურთიერთობაში, რომელიც ვნებას მიაყენებს კონფერენციის მონაწილე ხალხს, 4) სოლიდარული ურთიერთმხარდაჭერით გამოსვლა მხოლოდ კონგრესზე, რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ცნობისა და მათი ინტერესების დაცვის მიზნით.'[47]

როგორც ვხედავთ, აქ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობისა და ურთიერთთანადგომის საკითხია დასმული. იგი კავკასიის სპეციფიკიდან გამომდინარეობდა. მიუხედავად ამისა, სომხეთის მთავრობამ ამ პროგრესულ ნაბიჯს ზურგი შეაქცია და კონფერენციაზე

დელეგაცია არ გამოგზავნა. საქართველოს ხელისუფლებამ, სომხეთის დიპლომატიურ წრეებს, კონფერენციის მოწვევის დროდ 14 ნოემბერი შესთავაზა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ერევნიდან 13 ნოემბერს გამოგზავნილ დეპეშაში ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევისადმი მხარდაჭერაა გამოთქმული. „სომხეთის მთავრობა – ვკითხულობთ დოკუმენტში- აუცილებელ საჭიროებად თვლის დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან, რომ თანხმობა იქნეს გამოცხადებული პროგრამის შედგენაზე და იმაზე თუ როდის და სად უნდა შედგეს კონფერენცია. რაც შეეხება კითხვას საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრების აღდგენის შესახებ, ეს უნდა გადაწყდეს ორივე სახელმწიფოს თანხმობით, ზემოთ დასახელებული კონფერენციის მოწვევამდე."[48] ეს წინადადება საქართველოს ხელისუფლებისათვის მისაღები იყო. 1918 წლის 22 ნოემბერს ე.გეგეჭკორი საქართველოს წარმომადგენელს სომხეთში-ს. მდივანს დეპეშით აცნობებდა, რომ კონფერენცია 30 ნოემბრისათვის იყო დანიშნული. „ყველაფერი რაც შემეძლო გავაკეთე. ამ დროისათვის მოგელოდებით თქვენ და სომხეთის დელეგაციას."[49]

სომხეთის ხელისუფლების მიერ წამოყენებულ მოთხოვნაზე საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღების მიუხედავად, სომხური მხარე კონფერენციაზე არ გამოცხადდა. ამის შესახებ ე.გეგეჭკორი 1918 წლის 2 დეკემბერს ერევანში გაგზავნილი დეპეშით ს.მდივანს ატყობინებდა: „კონფერენცია გადაიდო. რატომ არ გამოგზავნა წარმომადგენლები სომხეთის მთავრობამ. მე შესაძლებლად მიმაჩნდა სომხეთის მთავრობასთან წინასწარი მოლაპარაკება მეწარმოებინა, მაგრამ მათი მხრით თუ არ იქნება სურვილი, ეს იდეა დიდხანს არ განხორციელდება."[50] სომხეთ-საქართველოს შორის საერთო ენის გამოძებნისა და გამიზნული სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის აუცილებლობის საკითხი თბილისის ქალაქის საბჭოს 1918 წლის 16 დეკემბრის სხდომის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.გეგეჭკორმა დამსწრე საზოგადოებას აუხსნა ის ძირითადი მიზეზები, რამაც კონფერენციის არ მოწვევა განაპირობა. მისი თქმით, სომხეთის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო, 10 ნოემბერს დანიშნული კონფერენცია ჯერ 14, შემდეგ 20 და ბოლოს 30 ნოემბრისთვის გადაიდო. „ამ ხნის განმავლობაში-ამბობდა ე.გეგეჭკორი- მე სამჯერ გავუმეორე თხოვნა, გამოეგზავნათ დელეგატები 10 ნოემბრიდან ვიდრე 5 დეკემბრამდე ვუცადეთ და არ მოვიდნენ."[51] ასეთი ფაქტების მიუხედავად იმავე სხდომის მიერ მიღებულ რეზოლუციაში დასმულია საკითხი, ერთხელ კიდევ მოესინჯათ საქართველო-სომხეთს შორის

არსებული სადაო საკითხების კონფერენციაზე გატანის შესაძლებლობა. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით მოეხდინათ მისი გადაწყვეტა.[52] სამწუხაროდ ეს პოზიცია მოწინააღმდეგე მხარისათვის მიუღებელი იყო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველო-სომხეთს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობების მშვიდობიანი გზით მოწესრიგება სომხეთის მხარეს შემდეგი გარემოებების გამო არ აძლევდა ხელს: ა) მისი პრეტენზიები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის მიტაცების სურვილით იყო განპირობებული და საფუძვლიან მტკიცებებს არ შეიცავდა. ბ) ყოველი კონფერენცია, ან ნებისმიერი მოლაპარაკება მათთვის უშედეგო აღმოჩნდებოდა, იგი სომხური მტაცებლური პოლიტიკის სააშკარაოზე გამოტანისა და მისი დემონსტრირების საშუალებად გადაიქცეოდა. ამიტომ სომხური მხარე „მრგვალ მაგიდასთან" დისკუსიას შეგნებულად გაურბოდა. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალების გათვალისწინების საფუძველზე სომხეთ-საქართველოს კონფლიქტში ქართული მხარისათვის არა თუ დანაშაულებრივი ბრალდების, არამედ უბრალო პრეტენზიის წაყენებაც კი მიუღებლად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში სიმძიმის მთელი ტვირთი სომხეთის მთავრობას ეკისრება, რადგან მან გარეშე ძალის იმედითა და მისი წაქეზებით, საქართველოს ხელისუფალთა გონივრული წინადადება უგულვებელყო და საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას ომის გზა ამჯობინა. იგი კომპრომისზე მას შემდეგ წავიდა, როცა საქართველოს მხედრობამ შეტევითი ოპერაციები განახორციელა და მოწინააღმდეგეს ომამდელ საზღვრებამდე დაახევინა. ასეთი მოულოდნელი წარმატება ინგლისის წარმომადგენლობისთვისაც სიურპრიზს წარმოადგენდა. ქართული ჯარის წინსვლის შეჩერების მიზნით არბიტრის როლის შესრულება იკისრეს და მეომარ სახელმწიფოებს მოლაპარაკებისაკენ მოუწოდეს. ამ ფაქტორმა სომხეთის ხელისუფლებაზე გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა და იძულებული გახადა სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის მხარი დაეჭირა. 1919 წლის 10 იანვარს საქართველო – სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია გაიმართა. მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმაც მიიღეს. კონფერენციის დადგენილებით სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო ხაზი იგივე სახით დარჩა, რომელიც საქართველოს ჯარის ნაწილებს 1918 წლის 31 დეკემბრის 12 საათისათვის ეჭირა.[53] რაც შეეხება ბორჩალოს მაზრის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ ლორეს ნეიტრალურ ზონას, მისი ადმინისტრაციული მოწყობა შერეულ პრინციპს ეფუძნებოდა. ადგილობრივი კომისარიატის შემადგენლობაში საქართველოს და სომხეთის თითო წარმომადგენელი იმ პირობით

შეყავდათ, თუკი უთანხმოების შემთხვევაში ყველა საკითხი მოკავშირეთა სარდლობას გადაეცემოდა გადასაწყვეტად.[54]

ინგლის-საფრანგეთის მისიის მხარდაჭერით, კონფერენციის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული დადგენილებები იმის დადასტურება, რომ სომხეთის ხელისუფლებისაგან სადაოდ ქცეულ ტერიტორიებს საქართველოს კუთვნილებად ცნობდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ უარყოფდნენ იმ ვერაგულ გეგმას, რომელიც საქართველოს ხარჯზე „მცირე სომხეთისათვის" ახალი ტერიტორიების მიერთებას ითვალისწინებდა. საკითხის ამ ფორმით გადაწყვეტა, ქართული დიპლომატისათვის არა მარტო ანგარიშის გაწევას, არამედ პრობლემისადმი ობიექტურ მიდგომას და მისი საბოლოო გადაწყვეტისათვის წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. სასაზღვრო დავასთან მიმართებაში, მოკავშირეთა გამოკვეთილმა პოზიციამ და სხვა მთელმა რიგმა ფაქტორებმა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების (1919 წელი) ტექსტზე სომხური მხარის ხელმოწერის დასაყოლიებლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. დოკუმენტის ძირითადი დებულებები შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1) ტერიტორიული და სადაო საკითხების მოსაგვარებლად დაწყებული მოლაპარაკება უფრო ენერგიულად გაგრძელებულიყო, 2) თუ ექვსი კვირის განმავლობაში ამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყვებოდა, დავა გადაწყვეტილიყო არბიტრაჟის მეშვეობით, 3) მოდავე მხარეები ამ მიზნით ჩამოაყალიბებდნენ სამ საარბიტრაჟო კომისიას, ერთს სომხეთისა და აზერბაიჯანის, მეორეს აზერბაიჯანის და საქართველოს, მესამეს სომხეთსა და საქართველოს შორის არსებულ უთანხმოებათა მოსაგვარებლად, 4) თუ კომისიების მუშაობას სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები ერთად მიმართავდნენ სამოკავშირეო საბჭოს, ან ერთა ლიგას, რათა გამოეყოთ საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისია, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იქნებოდა.[55]

იმავე წლის 3 ნოემბერს საქართველო-სომხეთის შორის გაფორმებული ცალკე ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით- არბიტრაჟის შესახებ, მხარეები მტკიცე პირობას დებდნენ, რომ იმ მომენტში არსებული, ანდა მომავალში წარმოქმნილი ყოველი სადაო საკითხი ურთიერთშეთანხმებით, უკიდურეს შემთხვევაში სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვეტილიყო.[56] ასეთი სახის ოფიციალური დოკუმენტის მისაღებად, საქართველოს ხელისუფლება არსებობის დრიდან იბრძოდა. მისი მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ სომხური მხარე, სადაო საკითხების მოსაგვარებლად შეთანხმებისამებრ საერთაშორისო ნორმების დაცვით იმოქმედებდა. სამწუხაროდ სომხეთის დიპლომატიური წრეები „ნაცად გზას" ვერ ელეოდნენ

და შესაძლებლობის მიცემისთანავე სპეციალური ნოტებითა და განცხადებებით ქართული მიწების კუთვნილებას ჩემულობდნენ. მაგალითისათვის მხოლოდ ორ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას: 1) პარიზისა და სან-რემოს კონფერენციებზე (1919წლის 18 იანვარი, 1920 წლის 21 იანვარი) სომხურმა დელეგაციამ პრინციპულად დააყენა საკითხი ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს, თუკი მდინარე ჭოროხის გაყოლებით ბათუმამდე და ბათუმიდან რიზესკენ 1914 წლის საზღვრამდე-სომხეთის რესპუბლიკას რკინიგზის გაყვანის უფლებას მისცემდნენ, სარკინიგზო დერეფანს და ბათუმის ნავსადგურის გარკვეულ ტერიტორიას სომხეთის საკუთრებად გამოაცხადებდნენ.[57] 2) ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენა სომხეთის მხარემ, გჩიჩერინისადმი გაგზავნილ საპროტესტო ნოტაში, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მეოთხე მუხლთან დაკავშირებით.[58] დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბათუმზე საქართველოსათვის კანონიერი უფლებების მოპოვების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზი, სწორედ აღნიშნული პრეტენზია იყო.

ამრიგად 1) საქართველოში სომეხი მოსახლეობის კომპაქტური დასახლება, მეფის რუსეთის მოხელეთა ხელშეწყობით XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან განხორციელდა. იგი ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიის მშვიდობიანი გზით ანექსიას და შემდგომში მის მიტაცებას ითვალისწინებდა. ინგლისის მისიის მხარდაჭერამ სომეხ პოლიტიკოსებს დასახული მიზნის შესასრულებლად ომის დაწყების გადაწყვეტილება მიაღებინა. სომეხ-ქართველთა ომის გაჩაღებაში დანაშაულის სიმძიმე, სომხურ მხარეს ეკისრება. პრობლემის მოგვარების სამშვიდობო გზა ინგლისის იმედით იქნა მათ მიერ უარყოფილი 2) საქართველოს მთავრობის მოქმედებას ეროვნული სახელმწიფოს ინტერესები ედო საფუძვლად. მისი პოლიტიკური კურსი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცებას გამორიცხავდა და სადაო საკითხების საერთაშორისო ნორმების დაცვით გადაწყვეტას ითვალისწინებდა. პრობლემისადმი ასეთი ობიექტური პოზიციებიდან მიდგომამ, ევროპის სახელმწიფოებში საქართველოსა და მის დიპლომატიას გარკვეული იმიჯი შეუქმნა. 3) საერთო კავკასიური კონფერენციის მოწვევის მიზანი, რეგიონში უსაფრთხოების მექანიზმის შემუშავება იყო. მისადმი სომხეთის ხელისუფალთა ნეგატიური დამოკიდებულება პირადი ამბიციებიდან გამომდინარეობდა და მოსალოდნელ რეგიონალურ საფრთხეს არ ითვალისწინებდა 4) სომხეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, სომხური მხარე პრობლემის საერთაშორისო ნორმებით გადაწყვეტას გაურბოდა და ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე ქართულ მიწებზე პრეტენზიას აცხადებდა. მათი ასეთი ქმედება რეგიონში არასტაბილურ სიტუაციას ქმნიდა და საერთაშორისო არენაზე

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა აღიარების შემფერხებლის როლში გვევლინებოდა.

§ 2. ინგლის-დენიკინის ალიანსი და საქართველო

მიმდინარე საერთაშორისო ცვლილებებმა-გერმანიის დამაცხებამ და ანტანტის სახელმწიფოთა გამარჯვებამ, საქართველოზე განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა.

საქართველოსთვის „ძნელბედობის ხანა იწყებოდა", რადგან მუდროსის 1918 წლის 30 ოქტომბრის საზავო ხელშეკრულებით, გერმანიის ადგილს ინგლისი იჭერდა. ერთი შეხედვით, ეს დიდი ტრაგედია არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, აქ გადამწყვეტ როლს საქართველოსთან მიმართებაში გერმანიის და ინგლისის ინტერესთა დიამეტრალური სხვაობა განაპირობებდა. თუ გერმანია კავკასიაში გავლენის სფეროების გამყარების საფუძველს საქართველოს სიძლიერეში ხედავდა, ინგლისი პირიქით, მას რუსეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა. ბუნებრივია, იგი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრულყოფით არ იყო დაინტერესებული. ინგლისის ჯარის ნაწილების მიერ ბაქოს, თბილისის და ბათუმის დაჭერამ (1918 წლის ნოემბერ-დეკემბერი), ამიერკავკასიის სახელმწიფოები ურთიერთდაპირისპირების, შიდა სახელმწიფოებრივი ანარქიის მდგომარეობაში ჩააყენა. ეს პროცესები იმდენად აშკარად მიმდინარეობდა, მისადმი ოფიციალური დამოკიდებულების საჯაროდ გამოტანა და პოზიციის დაფიქსირება აუცილებელი შეიქნა. ამ მხრივ გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „ჩვენ და ინგლისელები" გამოირჩევა. ინგლისისადმი პრეტენზია ყოველგვარი შენიღბვის გარეშეა გამოთქმული. „ინგლისის აქ ყოფნა – ვკითხულობთ წერილში – გადაიქცა მუდმივ ომიანობისა ანარქიის გამეფების ხანად. ანარქია მოდის ყველა იმ ადგილებიდან, რომელიც ინგლისის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება."[59] ამის დამადასტურებლად გაზეთს სომხეთთან ომის, სამხრეთიდან ოსმალთა შემოსევის და სოჭის მხრიდან დენიკინელთა თავდასხმების ფაქტები მოჰყავდა, რაშიაც ინგლისელთა სარდლობას ლომის წილი ედო. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება ინგლისელთა მიერ ხელოვნურად აღმართული ბარიერის დაძლევას ცდილობდა. ეს პროცესი „სახიფათო და დამაფიქრებელ" ორმხრივ ფარულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ამიტომ ქვეყნის პოლიტიკა" უნდა გვეწარმოებია ისე - ამბობდა ნ.ჟორდანია- რომ არ გადავვარდნილიყავით მეორე უკიდურესობაში, არ გადაგვემტერებია ინგლისის მთავრობა და იმავე დროს მიზანს მიგვეღწია."[60] ეს არა მარტო რისკის, არამედ გან-

საკუთრებული პასუხისმგებლობის თავზე აღების მცდელობას წარმოადგენდა. ასეთი ნაბიჯი იმდენად იყო გამართლებული, რამდენადაც ამის აუცილებლობას ინგლისისა და მოხალისეთა არმიის სარდლობის ალიანსი განაპირობებდა. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს, მათ მიერ გატარებული ანტიქართული კურსისადმი, ქართული სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების წარმოჩენა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მისი შეფასება წარმოადგენს. მართალია, ინგლისისადმი საქართველოს ხელისუფლების დაპირისპირება გარეგნულად აბსურდულ სახეს იღებდა, მაგრამ მიმდინარე პროცესების გათვალისწინებიდან გამომდინარე იგი სწორ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მხედველობაშია მისაღები 1) დენიკინის მიზანი კავკასიასა და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში 2) დენიკინ – ინგლისის ალიანსი და მათი ერთობლივი პოზიცია. დენიკინისა და ინგლისის წარმომადგენელთა სურვილის უსიტყვო შემსრულებელი რომ გამხდარიყო საქართველო, „ერთგული სამსახურისთვის" შეღავათს არავინ გაუწევდა. იგი იმდენად იყო „განწირული", რამდენადაც ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელ ნაწილად განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს დენიკინის „პოლიტიკური კურსისადმი", თავიანთი თვალთახედვა გააჩნდათ, რომელიც ოფიციალურ საგაზეთო პუბლიკაციებში იქნა გამჟღავნებული. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „მოკავშირეთა პოლიტიკური ხაზი კავკასიაში" იქცევს. იგი დაწვრილებით მიმოიხილავს გენ. ტომპსონის იმ მოწოდებებს, რომლებიც მოკავშირეთა ჯარის ფუნქციების განსაზღვრის პარალელურად, ამიერკავკასიის რეგიონს რუსეთის ნაწილად მოიხსენიებდა. „მოკავშირეთა ჯარების მიზანია- ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში- დაამყაროს საზოგადოებრივი წესიერება რუსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოთავსებულია შავსა და კასპიის ზღვებს შუა." ამით ტომპსონი იგნორირებას უკეთებდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამართლებრივი სუბიექტის ფაქტობრივ არსებობას. მისი „მტკიცებით", კავკასიის სახელმწიფოების რესპუბლიკური ფორმა, გერმანიამ და თურქეთმა თავიანთი მიზნების განსახორციელებლად მოიწონეს. ინგლისის კავკასიური პოლიტიკის გასამართლებლად ეს იმდენად უსუსურ არგუმენტს წარმოადგენდა, რომ მისადმი პასუხის გაცემა გაზეთს არ გასჭირვებია. „ჩვენი ვალია – ვკითხულობთ იმავე წერილში- გადაჭრით გამოვუცხადოთ ინგლისის გენერალს, რომ... სახელმწიფოს რესპუბლიკური ფორმა ჩვენი ხალხის მიერ არის არჩეული... რესპუბლიკა მიგვაჩნია ერთად-ერთ მისაღებ სახელმწიფოებრივ ფორმად და ვინც მოისურვებს თავს მოგვახვიოს სხვა რამ სახელმწიფოებრივი

წესი, იგი ჩაიდენს აშკარა ძალდატანებას."[61]

აქ ოფიციალურადაა დადასტურებული ხალხის მიერ უპირატეს ქმნილი სახელმწიფოებრივი ფორმისადმი და თვით, სახეზე არსებული პოლიტიკური ერთეულისადმი პატივისცემის აუცილებლობა. იმავდროულად, უშუალოდ გენ. ტომპსონის მისამართით გარკვევითაა ნათქვამი: „თუ მას სურს საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებლებმა ინგლისის ჯარის მოქმედება არ მიიჩნიონ ძალდატანებად, შევიწროებათ, იგი არ უნდა წავიდეს იმის წინააღმდეგ, რაც ერის სურვილს შეადგენს, არ უნდა შეეხოს არც იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ერმა აღიარა, „თვითგამორკვევის" უფლების ძალით, არც იმ სახელმწიფოებრივ ფორმას რომელიც ერმა აირჩია თავისუფლად და ერთსულოვნად."[62]

აქ პირდაპირი მოთხოვნაა საქართველოს დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობის გარანტის შესახებ. იმავდროულად მინიშნებულია იმ პოზიციაზედაც, რომელსაც ქართველი ერი და თვით ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტია დაიჭერდა ინგლისელთა მიერ საქართველოს საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი. ინგლისის წარმომადგენლობა, წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით მოქმედებდა, მათ საქმიანობაში ქართული პოლიტიკური ელიტის პოზიციას ელემენტარული დისონანსის შეტანაც კი არ შეეძლო. ამის საილუსტრაციოდ დენიკინელთა გაზეთში „დიდი რუსეთი" დაბეჭდილი გენერალ კორის ინტერვიუ გამოდგება. ამ-იერკავკასიის ქვეყნებში - ამბობდა იგი- ვიცავთ წესიერებას, სანამ რუსეთი არ გაჯანსაღდება, არ დადგება საკუთარ ფეხზე და სრულიად ადვილად, ხუმრობით არ შემოიერთებს ყველა იმ კუთხეს, რომელიც მას ჩამოშორდა. ეხლა რომ... საქართველო დავტოვოთ... მოხალისეთა ჯარს გაუჩნდება ახალი ფრონტი... სანამ საქართველო ოკუპირებული აქვს ინგლისელებს, გენერალ დენიკინს შეუძლია დამშვიდებით იყვეს თავისი ზურგის შესახებ კიდევ მეტი, ჩვენ საქართველოს ვაჩერებთ და თქვენს წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის წარმოების ნებას არ ვაძლევთ."[63] როგორც ვხედავთ, აქაც რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენის-ყოფილი კოლონიების „ხუმრობით შეერთების", დენიკინელთა ზურგის უსაფრთხოების გარანტიების შექმნის პასუხისმგებლობის საკითხია დასმული. ბუნებრივია, ინგლისის კავკასიურ პოლიტიკას აღნიშნული პრინციპები ედო საფუძვლად. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რამდენად დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა ყოველივე ამის გამო საქართველოს ხელისუფლება, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს რამდენად ჰქონდათ გაცნობიერებული მოხალისეთა არმიის სარდლობის ზემოაღნიშნული საფრთხე და დაპირ-

ისპირების რა ფორმებს სთავაზობდნენ საზოგადოებას. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება ე.გეგეჭკორის მიერ დამფუძნებელი კრების 1919 წლის ივნისის სხდომაზე გაკეთებულმა განცხადებამ მიიქცია. იგი ქართველ პარლამენტარებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის დენიკინისეულ გეგმაზე მიუთითებდა და მათდამი დასაპირისპირებლად ერთიანი სამოქმედო პროგრამის შემუშავების საკითხს აყენებდა. „ვინაიდან დენიკინის შემოსვლა-ამბობდა ე.გეგეჭკორი- უქადის ჩვენს ქვეყანას აოხრებას და მოსპობას ბრძოლით მონაპოვარ თავისუფლებისას... დენიკინის აქ შემოსვლა ეს იქნება მთელი ჩვენი ერის ფიზიკურად განადგურება დენიკინი აქ მოდის არა როგორც დამპყრობელი ძალა, არამედ როგორც შურისმაძიებელი."[64]

იმავე პრობლემასთან მიმართებაში, ნ.რამიშვილმა საკითხი უფრო დააკონკრეტა და ყურადღება ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთ დაპირისპირების დენიკინისეულ ფორმაზე გადაიტანა, რომლის ძირითადი არსი, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ანარქიის გამწვავებაში და მეზობელ სახელმწიფოთა შორის საომარი ურთიერთობის შექმნაში, რეგიონის მთლიანობის დარღვევაში და სხვადასხვა სახის დაჯგუფებების ბრძოლის ასპარეზად გადაქცევაში მდგომარეობდა. „ასეთი ჯგუფი- ამბობდა ნ.რამიშვილი- დენიკინს აქ ჰყავს, არა ერთი და ორი. ის იმედოვნებს, რომ ეს ჯგუფები აუმხედრდებიან ჩვენს მთავრობას. ისარგებლებენ ამ არევ-დარევით, .. შიგნიდან გატეხენ თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს ციხეს.. აქ დღეს ისმის საკითხი არა რომელიმე განაპირა კუთხის, არამედ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მოსპობის შესახებ. ვინაიდან, მისი წარმომადგენელი ჩვენთან მოლაპარაკების დროს პირდაპირ ამბობდა: თქვენ მიიღებთ თვითმმართველობას დენიკინის ხელიდანო."[65] ეს ფაქტები ორ გარემოებაზე მიუთითებს: 1) შიდა სამოქალაქო ომით ამიერკავკასიის რესპუბლიკების დასუსტების მიზანდასახულებაზე და 2) მხოლოდ თვითმმართველობის უფლების შენარჩუნებით, წინააღმდეგობის გარეშე უძლურთა რუსეთთან მიერთების გარდუვალობაზე. მართალია, აღნიშნული ნაბიჯი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ამ კურსის განხორციელებაში ინგლისის სახით მას აქტიური მხარდამჭერი ყავდა. მაგალითისათვის შემდეგი ფაქტებიც გამოდგება: 1) ბათუმის ოლქში გენ.ნათიევისადმი (ნათიშვილი) თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობის მიცემა და საქართველოს დაუძინებელი მტრის –დენიკინის დასახმარებლად კავკასიის მკვიდრთა კორპუსის შედგენისათვის ხელის შეწყობა, 2) ბათუმის ოლქიდან ქართველთა გამოდევნისა და რუსთა პოლიტიკური გავლენის გასაფართოებლად, მოხალისეთა წარმომადგენლებისადმი მხარდაჭერა.

ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა იმ თვალსაზრისით, რომ დასახული მიზნის მისაღწევად, მოხალისეთა არმიის სარდლობას კონკრეტული პროგრამა გააჩნდა. მისი განხორციელების იმედს ინგლისის სარდლობაზე ამყარებდნენ.

თუ რა სახის ღონისძიებების გატარებას მიიჩნევდნენ დენიკინელები მიზანშეწონილად, ამის შესახებ გენ.რომანოვსკის მიერ მოხალისეთა არმიის სარდლობისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1919 წლის 31 მაისი) საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული. დოკუმენტის მიხედვით 1) ქართული ბონების კურსის ხელოვნურად დაცემის მიზნით, მოხალისეთა მთლიანი ვალუტის შექმნა ბათუმში დაუყოვნებლივ უნდა განეხორციელებინათ, 2) ბათუმის ოლქზე საქართველოს გავლენის შესასუსტებლად, ფართო პროპაგანდა გაეწიათ გაზეთ „ნაშ კრაის" მეშვეობით რომლის ქართული და თათრული გამოცემები იაფ ფასებში მიეწოდებინათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის. „უნდა გვახსოვდეს,-წერდა რომანოვსკი- რომ ქართველების გავლენა ბათუმის ოლქში რუსებისათვის უფრო საშიშია, ვიდრე ოსმალეთის, ვინაიდან ქართველების გავლენა.. მტრულ განწყობას ამყარებს ყოველგვარ რუსულ საქმესთან."[67]

აქედან გამომდინარე, აყენებდა საკითხს: რუსული სახელმწიფოს სიძლიერის აღდგენის შესაძლებლობაზე პროპაგანდის გაძლიერების, მოხალისეთა არმიის სამსახურში ოლქის მკვიდრი სამხედრო პირების მიღების, ადგილობრივი გავლენიანი მოლებისადმი აქტიური მხარდაჭერის შესახებ. 3) ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით შეიარაღებული მოხალისეთა 3-4 ბატალიონის ბათუმის ოლქში დაუყოვნებლივ ჩაყენების საჭიროებას. 4) მეტი ყურადღებით მოპყრობოდნენ რუსულ საქმეს და ერთიანი რუსეთის მომხრეთათვის დაბრკოლებები არ შეექმნათ.[68] როგორც ვხედავთ გენერალ რომანოვსკის აღნიშნულ მოხსენებაში საქართველოს მიმართ ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების გატარების აუცილებლობის საკითხია დასმული. მისი განხორციელება, ომის ოფიციალურ გამოცხადებას უდრიდა. რაც შეეხება საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების საყრდენ ბაზას, ეს ფუნქცია ბათუმის ოლქს უნდა შეესრულებინა. მოსალოდნელი საშიშროება, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს მხედველობის მიღმა არ დარჩენიათ და რეაგირება დროულად გააკეთეს. ამის დამადასტურებლად, დამფუძნებელი კრების 27-ე სხდომაზე ე.გეგეჭკორის მოხსენებაში მოტანილი ფაქტები გამოდგება ბათუმის ოლქში დენიკინელთა საქმიანობისადმი საქართველოს ხელისუფლების პოზიციის გათვალისწინებიდან გამომდინარე, იგი გარკვევით ამბობდა: „მე ვაცხადებ თქვენ წინაშე, თუ დენიკინი ან სხვა ვინმე ამ ოლქს თავის ბაზად გახდის... საქართველოს რესპუ-

ლიკის მთავრობა ვალდებული იქნება.. ახლად შექმნილ მდგომარეობას და კონიუნქტურას შესაფერისი ანგარიში გაუწიოს და შესაბამისი დასკვნა გააკეთოს."[69] ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის ხელმძღვანელობა თავდაცვის შესატყვის მექანიზმს ამუშავებდა. აღნიშნული პოზიცია გამოკვეთილად დააფიქსირა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ დამფუძნებელი კრებისადმი წარდგენილმა რეზოლუციის პროექტმაც. მთავრობა „ყოველ ღონისძიებას მიიღებს – ვკითხულობთ დოკუმენტში რათა ბათუმი არ გადაიქცეს დენიკინის ჯარების ბაზათ საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედოთ."[70]

მეორე დიდი საფრთხე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას დენიკინისაგან მიტაცებით ემუქრებოდა- სოხუმის ოლქი იყო. იგი დენიკინს რუსეთის კუთვნილებად მიაჩნდა და ამ სივრციდან ქართველთა განსადევნად შესაბამის მიზეზს ეძებდა. ამის დამადასტურებლად, ინგლისის სარდლობისადმი გადაცემული მემორანდუმი გამოდგება: „აფხაზეთის მცხოვრებნი-ვკითხულობთ დოკუმენტში- რომელნიც მეტისმეტად მტრულად არიან განწყობილი ქართველებთან და მიისწრაფვიან რუსეთისაკენ, მუდამ მიმართავდნენ მოხალისეთა ჯარს თხოვნით, რომ დაეხმარონ გაყარონ ქართველები და შეუერთონ სოხუმის მხარე რუსეთს."[71]

როგორც ცნობილია, ინგლისის მთავარსარდლობამ ეს დოკუმენტი დენიკინის ჩანაფიქრის განსახორციელებლად სავსებით საკმარისად ჩათვალა, ანგარიში არ გაუწია ტერიტორიის საქართველოსადმი ისტორიულ კუთვნილებას და დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული აფხაზეთის საბჭოს არსებობას. მიიღო საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო ცალმხრივი გადაწყვეტილება, რაც გენერალ მილნისა და ფორესტ უოკერის სახელზე გაგზავნილი დეპეშიდანაც ჩანს. მათ დაევალათ: 1) სოხუმის ოლქიდან დაუყოვნებლივ განედევნათ ქართული ჯარის ნაწილები და ადმინისტრაცია, 2) აფხაზეთის მხარე ნეიტრალურ ზონად გამოეცხადებინათ და „წესრიგის დაცვის" მიზნით „ხალხის მიერ არჩეული" პირებისთვის გადაეცათ. 3) ქართული ჯარის ნაწილები მდინარე ენგურის აქეთ გამოეყვანათ.[72] იმ შემთხვევაში თუ ეს მოთხოვნები შესრულდებოდა, სოხუმის ოლქი იკარგებოდა და საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე ენგურზე გავიდოდა. რამდენადაც საკითხი პრინციპულად იდგა და დამოუკიდებელი საქართველოს უსაფრთხოებას, მის მომავალს ეხებოდა, აფხაზეთის სახალხო საბჭომ ამის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე შესაფერისი დადგენილება მიიღო: „1) ერთადერთ სრულუფლებიან წარმომადგენლად აფხაზეთისა არის აფხაზეთის სახალხო საბჭო

არჩეული დემოკრატიულ საფუძველზე, 2) ამ საბჭოს საშუალებით აფხაზეთმა განსაზღვრული და მტკიცე კავშირი შეკრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, შევიდა რა მასში, როგორც ავტონომიური ნაწილი და ამით სრულად გამოარკვია საქართველოსთან საერთო სახელმწიფოებრივი საზღვრები, 3) ყველა „ოფიციალური წარმომადგენლები" აფხაზეთის ხალხისა, მემორანდუმში მოხსენიებული არიან როგორც „სამოზვანცები" აფხაზეთის და საქართველოს დემოკრატიის მტრები, რომლებიც დაინტერესებული არიან შეჰქმნან სათანადო პირობები კონტრრევოლუციისათვის, ძველი წესების რესტავრაციისათვის და დემოკრატიული წყობილების მოსპობისათვის, 4) აფხაზეთის დემოკრატია საქართველოს დემოკრატიასთან ერთად შეძლებს ალაგმოს არამკითხენი.. 5) აფხაზეთის სახალხო საბჭოს სურს იცოდეს, ვინ არიან ის „ოფიციალური წარმომადგენლები" რომლებიც აფხაზეთის ხალხის სახელით მიმართავენ მოხალისეთა ჯარს, 6) აფხაზეთის სახალხო საბჭო სთვლის ამ "სამოზვანცებს" ხალხის მოღალატეებად და მათი მტკიცება მიაჩნია სრულიად შეუფერებლად, 7) ამ განცხადების შესახებ აცნობონ მოკავშირეთა მისიებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლების საშუალებით."[73] დოკუმენტს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სახელით ხელს ვ.ემხვარი აწერდა. აღნიშნულ დადგენილებას, რომელიც პრესაშიაც გამოქვეყნდა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ მოწინააღმდეგეს, აფხაზეთის ხალხის სახელით ნატყუარი დოკუმენტაციის შედგენა აღარ შეეძლო, ხოლო ქართულ მხარეს, ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად აქტიური მოქმედების შესაძლებლობა ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, ეს პრობლემის დაძლევას სრულებითაც არ ნიშნავდა. მხედველობაშია მისაღები დენიკინის აგენტურის გაძლიერებული მუშაობა. მაგალითისათვის რამდენიმე ფაქტს მოვიტანთ: 1919 წლის აპრილში საგანგებო რაზმის წევრებმა რუსეთის მოქალაქე ვინმე ნიკიტინს საქართველოს ტოპოგრაფიული რუკები აღმოუჩინეს, რომელთა გატანას ჩრდილოეთ კავკასიაში ცდილობდა. იმავე წელს დენიკინის მომხრეთა მიერ, ქრ. ხაჩატუროვის დაფინანსებით „ტიფლისსკაია გაზეტა" გამოიცა, რომლის 77-ივე ნომერში დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო პუბლიკაციებია გამოქვეყნებული. „ერთი სიტყვით – წერდა გაზეთი „ერთობა" – თუ საქმეს ჩავუკვირდებით, „ტიფლისსკაია გაზეტას" სახით დენიკინს ჩვენში შეუქმნია ერთგვარი საინფორმაციო ბიურო „მოხალისე გამცემელ მწერალთაგან."[74]

ეს მკაცრი განაჩენი რესპუბლიკაში და მის გარშემო შექმნილ სინამდვილეს ეფუძნებოდა. იგი ამიერკავკასიის ზოგიერთი სახელმ-

წიფოს ხელისუფალთა პოზიციითაც იყო განპირობებული. იმის ნაცვლად, რომ ამიერკავკასიის ერებს შორის სოლიდარობა დამკვიდრებულიყო და ჩრდილოელი მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გაელაშქრათ, ამ იდეას სომხეთმა ზურგი შეაქცია. იგი შინაური და გარეშე ძალების საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებით და ქვეყნის წაქცევით იყო დაინტერესებული. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" რუბრიკით „საქართველო და მისი ბედი" დაბეჭდილ პუბლიკაციაში „რეაქციის საფრთხე"- საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. დენიკინს საერთაშორისო რეაქციის ერთ-ერთ წარმომადგენლად მიიჩნევდა და ერთა თავისუფლების გადარჩენას, მის დამარცხებას უკავშირებდა. ამ ფონზე განიხილავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ კურსს და მის შეფასებასაც იქვე იძლეოდა. მოსალოდნელ საფრთხეს, წერდა გაზეთი „კარგად ხედავენ და გრძნობენ საქართველო, აზერბაიჯანი და მთიელთა ხალხები, მხოლოდ ვერ ხედავს დაშნაკცუთიუნის პოლიტიკით დაბრმავებული არარატის რესპუბლიკა."[75]

დენიკინთან მიმართებაში სომეხ პოლიტიკოსთა ასეთი ნაბიჯი (მხარდაჭერა ან თუნდაც ნეიტრალიტეტი), შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. იგი საქართველოს საწინააღმდეგოდ წინასწარ გამიზნულ შორსგამხედველ პოლიტიკურ კურსს ეფუძნებოდა და იმავდროულად სომხური ინტერესების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა, რაც მოხალისეთა არმიის წარმატება წარუმატებლობაზე იყო დამოკიდებული. მისადმი მხარდაჭერა ამ ფაქტორიდან გამომდინარეობდა.

თუ რა მიზნებს ისახავდა დენიკინთან ალიანსით სომხური დიპლომატია, ეს ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის დღესავით ნათელი იყო. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" სტატიაში „დენიკინის საფრთხე და სომხეთის რესპუბლიკა" საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. ალ. ხატისოვის მიერ გაკეთებული განცხადებიდან მოტანილი ამონაწერების მიხედვით, არაბოლშევიკური რუსეთიდან ე.ი. მოხალისეთა არმიისაგან სომხეთს საფრთხე არ ემუქრებოდა, რომ როსტოვში მყოფი „აჯემიანის ჯგუფი", სომხეთის ხელისუფლებასა და დენიკინს შორის კავშირის დამყარებაზე მუშაობდა, ხოლო მოხალისეები სომხეთის ჯარს თავიანთი არმიის სათადარიგო ერთ-ერთ კორპუსად თვლიდნენ. ეს ფაქტი ქართველი პოლიტიკოსების განსჯის საგანი გახდა. დამფუძნებელი კრების 22-ე სხდომაზე რ.არსენიძემ ამ საკითხს საგანგებოდ მიაქცია ყურადღება. „დენიკინი თავის პრესაში – ამბობდა რ.არსენიძე – თავის აგენტების მეშვეობით.. ღაღადებს : „ეს არის ჩვენი სათადარიგო ჯარიო". მე მინდა მივმართო სომხეთის პასუხისმგებელ წრეებს და სომხეთის ხალხსაც... მართა-

ლია მისი სათადარიგო ჯარი არის სომხეთი, როგორც აცხადებს დენიკინი, თუ ცრუობს სარდალი ჩრდილოეთიდან მოვლენილი? ეს არის მოვალეობა სომხეთის პასუხისმგებელ წრეებისა."[76]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის- მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მის მიერ სომხეთის მისამართით გამოთქმული პრეტენზია რეალობას ეფუძნებოდა. ფაქტია, რომ სომხეთის დიპლომატიური წრეები, ომის დაწყების შემთხვევაში, დენიკინისაგან საქართველოს გასრესას ელოდებოდნენ. თუკი ამას მიაღწევდნენ- წერდა გაზეთი „ერთობა", სომხებს „თავიდან მოაშორებენ იმ ძალას, რომელიც ერთადერთი ლაგმავს დაშნაკელების მადას ამიერკავკასიაში, ტერიტორიული საკითხიც გადაწყდება: ბორჩალოს მაზრა, ახალციხე –ახალქალაქი, რომელიც ბატონ ხატისოვს სომხეთის ტერიტორიად მიაჩნია, ყველა სადაო ადგილები შავი გენერლის ხელით სომხებს გადაეცემა... იმ ადგილებსაც, რომლებსაც დაშნაკელები დღეს სადაოდ არ თვლიან, მაშინ სადაოდ გამოაცხადებენ. თბილისიც ისევ დაშნაკელთა სათარეშოდ გადაიქცევა და ბ.ხატისოვიც თავის რეზიდენციას გადაიტანს ისევ იმ ქალაქში სადაც მას... „წლების განმავლობაში ვორონცოვ-დაშკოვის სასახლიდან გამოსული სითბო ათბობდა და საიდანაც ის წყევლა-კრულვით გამოისტუმრა დემოკრატიამ. ტერიტორიის საკითხი, რომელსაც დაშნაკები თავიანთი პოლიტიკის ქვაკუთხედად აცხადებენ, ეჭვი არ არის მათი ბატონობის საკითხია მთელ ამიერკავკასიაში."[77]

ამ ვრცელ ამონაწერში გარკვევითაა ნათქვამი იმ მიზანდასახულობის შესახებ, რომელიც სომხეთის მმართველ წრეებს საქართველოსთან მიმართებაში გააჩნდათ და დაშნაკცუთიუნის პარტიის პოლიტიკურ კურსს ედო საფუძვლად. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სავსებით დროული იყო გაზეთ "ერთობის" ის გაფრთხილება, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიმართ გააკეთა. „ამიერიდან ჩვენმა დემოკრატიამ – წერდა გაზეთი- უნდა იცოდეს, რომ, როცა ფრონტზე დენიკინის ტყვიამფრქვევლები ალაპარაკდებიან, ზურგში დაშნაკელების „ზინვორების" მუხანათური ტყვიები გაიზუზუნებენ და თუ გვინდა ფრონტზე გამარჯვება, ჯერ უნდა გაიწმინდოს ზურგი და აილაგმოს ყველა ის, ვინც ეტრფის მონარქიის აღდგენას. მათ რიცხვში პირველი ადგილი უჭირავთ დაშნაკელებს."[78] უტყუარი დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა რომ არა, მეზობელი სახელმწიფოს მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი პირდაპირი ბრალდების ასეთი სახით წაყენება დანაშაული იქნებოდა. საშიშროება იმდენად რეალური იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სპირიდონ კედიამ,

დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ყურადღება ამ საკითხზე საგანგებოდ მიაპყრო. მან სომხეთის ხელისუფლების ორბუნებიან პოლიტიკურ კურსზე მიუთითა და დასძინა, „ჩანს, მას სასახელოდ მიაჩნია ერთ ბედში მყოფი მეზობლები ბრძოლის ველზე მარტო დასტოვოს. თუმცა კარგად იცის, რომ მათი დამარცხება სომხეთის დამარცხებაც არის და მათი დამოუკიდებლობის მოსპობა სომხეთის დამოუკიდებლობის მოსპობაც. ეტყობა სომხეთს ბრძოლა არ სურს დამოუკიდებლობისათვის. სჩანს იგი თავის ღირსად არ მიაჩნიათ, მაგრამ თუ ბედმა იპრიანა და დამარცხებული დენიკინი უკუვაქციეთ, და ჩვენი დამოუკიდებლობა შევინარჩუნეთ, სომხეთი მშვენივრად ისარგებლებს სხვისი სისხლით და მსხვერპლით განმტკიცებულის დამოუკიდებლობით და კვლავ შემოგვედავება ჩვენს საკუთარ ტერიტორიაში. თუ დღეს სომხეთს ასეთი ტაქტი სასახელოდ მიაჩნია, ვშიშობ სასახელოდაც არ ჩათვალოს და მოხერხებულადაც არ იცნოს ზურგიდან მახვილი ჩაგვცეს, როდესაც მტერთან ხელჩართული ბრძოლა გვექნება! მთლად არ არის ამას უჩვეულო. ვალდებულად ვრაცხთ ჩვენ თავს, გავაფრთხილოთ სომხობა ამაზე ხელი აიღოს, რაგინდ სასახელოდაც მიაჩნდეს იგი, თორემ საქართველო ისე არ ჩავა საფლავში, რომ მესაფლავე თან არ ჩაიყოლიოს."[79]

ასეთი მძაფრი გამოსვლა წარსულის გამოცდილებას ემყარებოდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა შესანიშნავად იცოდნენ თუ რას მოიმოქმედებდა ის მმართველი ძალა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის მიტაცების ილუზიები, 1918 წლის დეკემბრის ბრძოლებში დაენგრა. დენიკინის ასპარეზზე გამოჩენამ მათში მიძინებული იმედები გამოაცოცხლა. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მაშინდელი ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭენი, სომხეთის ხელისუფალთა პოლიტიკური კურსის შეფასებაში იდენტურნი იყვნენ. აღნიშნულ საკითხზე ჩვენ ყურადღება საგანგებოდ შევაჩერეთ, რათა გვეჩვენებინა, რომ დენიკინთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობას გარდუვალი საფრთხე სომხეთიდანაც ემუქრებოდა. დენიკინის დამარცხება, არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, არამედ მისი ისტორიული ტერიტორიების სომხეთისგან მიტაცების დაზღვევასაც ნიშნავდა. მოხალისეთა არმიის სარდლობამ, ჩრდილო კავკასიაში წარმატებული სამხედრო ოპერაციების განხორციელების შემდეგ, საომარი მოქმედება შავიზღვისპირეთში-სოჭის მიმართულებით გადაიტანა. 1918 წლის 6 ივლისიდან სოჭი ქართულ ჯარს ჰქონდა დაკავებული და მას 7 თვის განმავლობაში ინარჩუნებდა. დენიკინი, რომელიც სოხუმის ოლქზე პრეტენზიას აცხადებდა და რუსეთის შემადგენელ ტერიტორიულ ნაწილად მოიაზრებდა, ქართული მხედრობის მიერ სოჭის დაჭერას მითუმეტეს

ვერ შეურიგდებოდა. მისი ბრძანებით, 1919 წლის 6 თებერვალს „მოხალისეებმა" სოჭის რაიონზე მოულოდნელი შეტევა განახორციელეს.

ქართული მხედრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, დენიკინმა მისი აღება შეძლო და ბრძოლები გაგრის მიმართულებით გადმოიტანა. ქვეყნის წინაშე შექმნილი რთული ვითარების შესახებ დამფუძნებელი კრების 1919 წლის 1 ივნისის 22-ე სხდომამ საგანგებოდ იმსჯელა. დენიკინისგან მოსალოდნელი საფრთხის გაზრდისა და მოხალისეთა არმიის ყოველმხრივი უზრუნველყოფის წყაროდ ინგლისის სარდლობა იქნა დასახელებული. თუ რას წარმოადგენდა დენიკინის ლაშქარი და რა შედეგის მოტანა შეეძლო ქვეყნისათვის, ამის შესახებ იმავე სხდომაზე რ. არსენიძე ოფიციალურად აცხადებდა: „ეს არის მოხეტიალეთა ბრბო გარიყულ და დაბნეულთა. ესაა ოფიცრებისა და გენერალთა ლაშქარი, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ: როგორც კალია ისე მოედოს მხარეს... გაანადგუროს და შემდეგ ახალი ნაპირებისაკენ გასწიოს. მათ არ შეუძლიათ არც დაპყრობა, არც სახელმწიფოს აგება, მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთი რამ: - თავის ბოროტების გესლით დაანგრიონ, გაანადგურონ ყოველივე, სადაც კი მათი ფეხი მისწვდება. ჩვენ მოგველის ბრძოლა... სასტიკი და ხანგრძლივი... ეს ბრძოლა დიდი ხანია დაიწყო და შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. დღეს მხოლოდ ერთი მწვავე მომენტი არის ამ ბრძოლისა."[80]

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ეს არა მარტო სერიოზული გაფრთხილება იყო, არამედ ქართველი ერის წინაშე მდგომ გარდუვალ სირთულეებზედაც მიუთითებდა. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამდა ვ.ჯუღელიც „ბრძოლა იქნება მეტად სასტიკი, სისხლიანი და ძნელი... ეს ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს. ამას ვამბობ მე დღეს, როდესაც ფრონტზე მივემგზავრები... უნდა გითხრათ, რომ ვინც ფრონტზე ვდგევართ, ამ ძალას სერიოზულად ვუყურებთ და გვინდა მთელი საზოგადოება, მთელი ჩვენი ხალხი.. ამ ძალას სერიოზულად უყურებდეს. არც ზედმეტი პესიმიზმი, არც ზედმეტი ოპტიმიზმი ჩვენში არ უნდა იყოს გამეფებული. ჩვენ სერიოზულად, მეტად დინჯად უნდა შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას."[81] ეს იმას ნიშნავდა, რომ საზოგადოება ფსიქოლოგიურად მომზადებული შეხვედროდა მოსალოდნელ გართულებებს, ძალისა და ენერგიის დაუზოგავად, პირნათლად აღესრულებინა ქვეყნის წინაშე თავისი მოქალაქეობრივი ვალი. რაც შეეხება ხელისუფლებას, ჯუღელი მისგან ქმედითი ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას, მერყეი პოლიტიკისადმი ზურგის შექცევას, გაბედული და მტკიცე ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა. ამის აუცილებლობას იგი ქართველი კაცის შინაგანი განწყობით ასაბუთებდა: „მე ვიცი, რომ ჩვენ ხალხს შეუ-

ძლიან ერთ წუთში აღფრთოვანდეს, მაგრამ... ეს აღფრთოვანება უცბათ გაქარწყლდება... და მტერსაც ეს უნდა. დღეს თქვენ აღფრთოვანებული ხართ... მაგრამ ორი სამი თვის შემდეგ ეს უკვე მოგწყინდებათ, ფრონტი მიგავიწყდებათ.. და სწორედ მაშინ ჩაგვცემს მტერი ზურგში ლახვარს."[82]

ვ.ჯუღელის ამ მოთხოვნა- გაფრთხილებას ქართული სინამდვილე ედო საფუძვლად. ქართველ მებრძოლთა სრული დატვირთვით გამოყენება მანამ უნდა მოეხდინათ, სანამ გამარჯვების შინაგანი რწმენა და მაღალი შემართება შენარჩუნებული ჰქონდათ.

დამფუძნებელი კრების წევრთა გამოსვლებში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით მიღებულ რეზოლუციაში, მოხალისეთა არმიის საქართველოზე თავდასხმა, ძველი რუსეთის იმპერიის აღსადგენად და პატარა ერების დასამონებლად გადადგმულ ნაბიჯადაა შეფასებული. გამოთქმულია რწმენა, რომ სახელოვანი ქართული ჯარი და გვარდია ღირსეულად დაიცავენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, ხოლო ქართველი ერი, მთავრობის გარშემო მტკიცედ შეკავშირდებოდა, გააზრებული მოქმედებითა და ერთსულოვნებით ქართულ ლაშქარს ზურგს გაუმაგრებდა „როგორც მეომართა მიცემით, ისე ქონებრივი მსხვერპლის გაღებით და მორალური დახმარებით,"რომ დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს, ევროპის სახელმწიფოები დაუჭერდნენ მხარს. დოკუმენტი პროტესტს უცხადებდა პარიზის კონფერენციას და ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც „წვრილი ერების თავისუფლების დასათრგუნავად" დენიკინის შეიარაღებას უზრუნველყოფდნენ.[83] აღნიშნული რეზოლუციის დანიშნულებისამებრ გავრცელებამ დასავლეთ ევროპის მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ამის დადასტურებას ცნობილი ისტორიკოსის ფრანსუა ოლარის მიერ ფრანგულ გაზეთ „ლოპეიში" (1919 წლის 13 ივნისი) დაბეჭდილი წერილი „დენიკინი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ"-წარმოადგენს. დენიკინის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ საომარ მოქმედებას იგი „ყველაზე უმსგავსო მოქმედებას" უწოდებს, ხოლო მისი მფარველისადმი- საფრანგეთის ხელისუფლებისადმი აშკარა გულისწყრომას გამოთქვამს. ეს პუბლიკაცია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მისი ავტორი, დასავლეთ ევროპას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, ეროვნული პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების მოწვევის, ქვეყნის შიგნით გატარებული რეფორმების შესახებ მოუთხრობს. ხსნის იმ ძირითად მიზეზებს, რამაც ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფა განაპირობა. აქედან გამომდინარე, უვიცებად აცხადებს ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოს მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბოლშევიკებად

ნათლავდა. „ბოლშევიზმისადმი მძულვარების გამო-წერს ფრანსუა ოლარი- ამიერკავკასია გამოეყო რუსეთს. საქართველოს დამფუძნებელი კრება მთლიანად ანტიბოლშევიკურია და უმთავრესად სოციალ-დემოკრატებისაგან შედგება. საქართველოს მთავრობამ, რომელსაც სათავეში ჟორდანია უდგას, დემოკრატიული წესრიგის მოწყობა შესძლო." მისივე აზრით, დენიკინი საქართველოს დემოკრატიაში ბოლშევიზმზე მეტ საშიშროებას ხედავდა. ყოველივე ზემოადნიშნულიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსისადმი თავის უკმაყოფილებას იგი შემდეგნაირად აყალიბებდა: „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა გენერალ დენიკინს აძლევს მილიონებს, ზარბაზნებს, თოფებს, სამხედრო საგნებს და სურსათს. ნუთუ ეს კეთდება იმისათვის, რომ მან გასჭყლიტოს საქართველოს რესპუბლიკა? როგორი სირცხვილია, როგორი უსამართლობაა! მიუხედავად მრავალჯერ იმედგაცრუებისა, მე მაინც მსურს ვიმედოვნებდე, რომ შეთანხმების სახელმწიფონი უბრძანებენ დენიკინს, რომ მან მოასვენოს საქართველოს რესპუბლიკა."[84]

ცნობილი ისტორიკოსის ამ გამოსვლას, მოკავშირეთა პოლიტიკურ კურსზე მართალია არსებითი ზემოქმედების მოხდენა არ შეეძლო, მაგრამ აღნიშნულმა პუბლიკაციამ თავისი ფუნქცია მაინც შეასრულა. საფრანგეთის საზოგადოებამ კავკასიაში მიმდინარე პროცესების შესახებ სიმართლე გაიგო. მეორე მხრივ, პარიზის კონფერენციის მონაწილეებს საზოგადოებრივი აზრისთვის სრულად თუ არა, ნაწილობრივად ანგარიში უნდა გაეწიათ. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რადგან დენიკინი ამიერკავკასიის სახელმწიფოებს მოკავშირეებისადმი მტრულად განაწყობდა, ხოლო ბოლშევიკების გააქტიურებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამის დასტურად გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილი მოწინავე სტატია „ჩვენ და ინგლისი" გამოდგება. მასში ერთხელ კიდევ ხაზგასმითაა მითითებული იმ ორმხრივ თამაშზე, რომელსაც ინგლისის წარმომადგენლები საქართველოსთან მიმართებაში ეწეოდნენ. იმავდროულად, საქართველო – დენიკინს შორის არსებული კონფლიქტის ზონიდან ინგლისელთა შეგნებულად გასვლის და შექმნილი სირთულეებისადმი თავის არიდების ფაქტებზეა ყურადღება გადატანილი. იგივე გაზეთი საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე კონკრეტულად სვამდა შეკითხვას-საზოგადოებისათვის ეცნობებინათ, თუ რა აზრი და მიზანი ჰქონდა ინგლისის საქართველოში შემოსვლას, მითუმეტეს რომ იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმ ძალებთან, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი.[85]

საკითხის ამ ფორმით დასმა, სავსებით სწორი იყო, რადგან ის იმედები, რასაც ქართველი პოლიტიკოსები ინგლისზე ამყარებდნენ

ნაწილობრივადაც არ გამართლდა. ისინი იმდენად ჩახლართული ფორმით, ზიგზაგისებური და წინააღმდეგობებით აღსავსე მეთოდებით წარმართავდნენ საქმიანობას, რომ ქართული ელიტარული წრეებისთვისაც კი გაურკვეველი რჩებოდა, თუ რა მიზნები და ამოცანები ამოძრავებდა მათ. ამის შესახებ, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 9 მაისის სხდომაზე ინგლისელებთან 7 თვიანი ურთიერთობის შეჯამებისას ეგეგეჭკორი გულისწყრომით ამბობდა: „ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ის გულისწყრომა, რომელიც ჩვენმა პრესამ, პოლიტიკურმა წრეებმა, .. საზოგადოებამ გამოთქვა იმის გამო, რომ დღემდე არ არის გამორკვეული ჩვენი ურთიერთობა და ჩვენ დღემდე ნათლად არა გვაქვს წარმოდგენილი თუ რა ასულდგმულებს მოკავშირეთა ადგილობრივ პოლიტიკას. რა სარჩული უდევს მას და რა არის მათი მიზნები."[86]

ეს რიტორიკული კითხვა სავსებით კანონზომიერი იყო. იგი რუსეთის იმპერიის აღსადგენად, ინგლისის წარმომადგენლებისაგან ქართველთა სიძულვილზე დაფუძნებული ანტიქართული საქმიანობის აშკარა დემონსტრირებიდან გამომდინარეობდა. რამდენადაც ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ინგლისის თანადგომის იმედი გაუცრუვდა, მათდამი დამოკიდებულების ფორმის ოფიციალურად გამოკვეთა აუცილებელი შეიქნა. საკითხის ასეთი კუთხით დასმა იმანაც განაპირობა, რომ ინგლის-საქართველოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ინგლისელთა მიერ ირღვეოდა. ამის შესახებ დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე ეგეგეჭკორი დეპუტატებს შეახსენებდა: „ჩვენს შორის იყო დადებული ხელშეკრულება, ხელმოწერილი ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, სადაც არის ნათქვამი, რომ მოკავშირეთა წარმომადგენელნი ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან და ჩვენს თავისუფლებას არ შებღალავენ. აი ამ ნიადაგზე ვდგევართ ჩვენ, თუ ეს პირობები იქნება დაცული ჩვენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას... პირნათლად შევასრულებთ... მაგრამ ის, რაც აუცილებელ პირობებს შეადგენს ჩვენი რესპუბლიკის სუვერენობისას,.. სანამ ეს მთავრობა სდგას თავის ალაგას, ის შეეცდება ეს დაიცვას."[87] ანალოგიური თვალსაზრისი განავითარა გრ.გიორგაძემაც „ჩვენ აშკარად და გადაჭრით ვამბობდით და დღესაც ვამბობთ, რომ ჩვენ გვსურს ღირსეული კავშირი ყველა იმ კულტურულ ერებთან, ვისაც ასეთი კავშირი სურს, კავშირი, რომელიც დაიცავს ჩვენს ინტერესებს და შეეფარდება ამ ინტერესებს ჩვენი მოკავშირეებისას, კავშირი, რომელიც შეეფერება როგორც ჩვენს ღირსებას, ისე სხვადასხვა დიდი სახელმწიფოების ღირსებას."[88]

აღნიშნული მასალები ორ გარემოებაზე მიგვითითებს: ა) ქართუ-

ლი სოციალ-დემოკრატიის ლიდერები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის "იდეას და საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სახელმწიფოებრიობის ხელყოფას არ დაუშვებდნენ, ბ) ქართველი პოლიტიკოსები ინგლისის წარმომადგენელთა მოქმედებით თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, ურთიერთკავშირისა და პარტნიორობის გაგრძელებას თანასწორობის პრინციპზე მოითხოვდნენ. მაგრამ გვერდს უვლიდნენ და ყურადღების მიღმა ტოვებდნენ იმ ძირითად საკითხს, რომელიც სურვილისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, შესატყვისი პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და დახვეწას უნდა დადებოდა საფუძვლად.

დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე დეპუტატთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ყურადღების ცენტრში მხოლოდ რ.არსენიძის გამოსვლა მოექცევა. მიმდინარე მოვლენების ანალიზის საფუძველზე, დამფუძნებელი კრების წევრებს შეახსენებდა, რომ მცდელობა, „ამ ვეება სახელმწიფოს სახით," მტერი არ შემოეშვათ ქვეყანაში, აბსურდული ჩანაფიქრი იყო, ხოლო „ხმლის ძალით" მასთან დაპირისპირება, უგუნურობის გამოვლინება იქნებოდა. შექმილი მდგომარეობიდან გამოსავალს იგი მხოლოდ ქართველი ხალხის თვითარსებობის უნარში, ენერგიაში და პოლიტიკურ გამჭრიახობაში ხედავდა. იმავდროულად იმ ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობის საკითხსაც აყენებდა, თუ რა სახის სახელმწიფოსთან უხდებოდა ურთიერთობა საქართველოს. „მთელი პოლიტიკა ინგლისელებისა- ამბობდა რ. არსენიძე- არის არა პოლიტიკა ხელშეკრულობისა და იურიდიულ ფორმალობისა, არამედ უბრალო პოლიტიკა ფაქტიურ მდგომარეობის შექმნისა."[89]

საილუსტრაციოდ იგი გერმანიისა და ინგლისის პოლიტიკის ურთიერთშეპირისპირებას ახდენდა და მის ფონზე, ამ ორი სახელმწიფოს დიპლომატიური საქმიანობის ამოსავალი საფუძვლის ძირითად განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე მიანიშნებდა „თუ გერმანიის შემოსვლის დროს-ამბობდა რ.არსენიძე- ჩვენ შეგვეძლო დაგვედო რაიმე ხელშეკრულება, ერთგვარი პირობები, რომელიც მეთოდური სისწორით, რაინდულად უნდა შეესრულებინა ერთსა და მეორე მხარეს, ამის თქმა შეუძლებელია ინგლისის მიმართ: აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ფაქტიურ მდგომარეობას, იმ შემოქმედებით ნიჭსა და ენერგიას, რომელსაც დაინახავს ინგლისის სარდლობა და ინგლისის მთავრობა აქ... ამ ორ ძალთა შორის უნდა გამოინახოს ის საშუალება, ხაზი, რომელიც მისაღებია ჩვენთვისაც და იმ სახელმწიფოსთვისაც, რომელნიც აქ მოსულნი არიან. მხოლოდ ამ ხაზის სწორად გაგებით, ასეთი ალღოს აღებით ჩვენ შეგვიძლიან, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი დამოუკიდებლობა, სხვა ყოველივე გზა ამ

შემთხვევაში უნაყოფოა და უშედეგო."[90] ეს პოზიცია გასათვალისწინებელი იყო, რადგან ინგლისთან ძალისმიერი ფორმის ელემენტალური გამოვლინება, ახლად აღმოცენებული ქართული სახელმწიფოს ხელოვნურად დასამარებას ნიშნავდა. რეზოლუციის ის პროექტი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად წარუდგინა, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებითა და მოქნილი დიპლომატიური ფორმით იყო შედგენილი. „დამფუძნებელი კრება საგანგებოდ იზიარებს მთავრობის პოლიტიკას – ვკითხულობთ დოკუმენტში- რომელიც მიმართულია საქართველოს სუვერენული უფლებების და მისი არსებითი, სასიცოცხლო ინტერესების დაცვისაკენ. დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ეს ინტერესები ჩვენის რესპუბლიკისა არ ეწინააღმდეგება ინგლისის არსებით ინტერესებს- იგი დაიმედებულია, რომ ამ ნიადაგზე შესაძლებელია განხორციელება ჩვენი ახალაღორძინებული დემოკრატიის თანამშრომლობისა მსოფლიოს უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან."[91] ჩვენს მიერ მოტანილი მასალები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მმართველი პოლიტიკური პარტიის ალფა და ომეგა ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება იყო. ქართული პოლიტიკური ცნობიერება სწორედ ამ ფორმით ყალიბდებოდა და იგი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ქართული სოციალ-დემოკრატიის და საერთოდ, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ნეგატიური დამოკიდებულება ინგლისის წარმომადგენლობის პოლიტიკისადმი კანონზომიერ სახეს ატარებდა. ეს გარემოება ანგარიშგასაწევი იყო იმდენად, რამდენადაც ამის საჭიროებას ამიერკავკასიაში და მის გარშემო მიმდინარე რთული პროცესები მოითხოვდა. ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობამ, ეს მომენტი მხოლოდ 1919 წლის აპრილის პირველი რიცხვებიდან წამოსწია წინ. მის აუცილებლობას ა) საქართველოში შექმნილი დამუხტული პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებდა, ბ) დენიკინის მოქმედების, მოკავშირეების მიერ შედგენილი გეგმა, ამიერკავკასიის, კერძოდ „საქართველოს დატუქსვას" სრულებითაც არ ითვალისწინებდა. მათი პირველხარისხოვანი ამოცანა მხოლოდ ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობა იყო. რამდენადაც დენიკინმა მოქმედების კურსს გადაუხვია, ამით ბოლშევიკთა გააქტიურებას შეუწყო ხელი. ინგლისი იძულებული გახდა „მოხალისეთა არმიის" სარდლობისათვის მათზე დაკისრებული მოვალეობა კატეგორიული ფორმით შეეხსენებინა. ამის დასტურად ინგლისის სარდლობის მიერ დენიკინისადმი გაგზავნილი დეპეშის ტექსტიც გამოდგება. იგი მკაცრ მოთხოვნას უყენებდა „მოხალისეთა არმიის" სარდალს, საქართველოს საწინააღმდეგო

საომარი ოპერაციების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. „ბოლშევიკურ შემთხვევაში ყოველგვარი სახის რესურსების- იარაღის, სურსათისა და ტანსაცმლის მიწოდების შეწყვეტით ემუქრებოდა.[92] გენერალ ტომპსონის მოთხოვნით „მოხალისეთა არმიის" სარდლობა საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებაზე დათანხმდა (1919 წლის 23 ივნისი). მეხადირსა და ბზიფს შორის არსებული მონაკვეთი „ნეიტრალურ ზონად" გამოცხადდა. დენიკინის პრინციპულმა მოთხოვნებმა: ქართველებს ხელი აეღოთ ქვეყნის დამოუკიდებლობაზე და „ერთიან რუსეთში" თვითმმართველობის უფლებით დაკმაყოფილებულიყვნენ, აღნიშნული მოლაპარაკება ჩიხში მოამწყვდია, რის გამოც იგი უშედეგოდ დამთავრდა. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დენიკინის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი შეტევის გამო (1919) წლის ოქტომბერი) „მოხალისეთა არმიის" სარდლობას საქართველოსთვის აღარ ეცალა, მან, მთელი ძალები მოწინააღმდეგის მიმართულებით გადაისროლა. ამ ფაქტორმა, საქართველოსთვის დენიკინის პრობლემის მოსახსნელად გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ამრიგად, 1) ინგლის-დენიკინის ალიანსი, რუსული იმპერიის აღსადგენად ამიერკავკასიის ქვეყნების დასუსტებას და წინააღმდეგობის გაუწევლად რუსეთთან მიერთებას ითვალისწინებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილმა რეალურმა საფრთხემ, ქართული სოციალ-დემოკრატია ინგლისისადმი ნეგატიურად განაწყო და საპირისპირო გზების ძიების აუცილებლობამდე მიიყვანა. 2) საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ინგლისელთა და დენიკინელთა პოზიციების ცვალებადობა, ქართველებისაკენ ინგლისელების „შემობრუნება", იძულებით -ჩრდილოეთიდან ბოლშევიკთა ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერა ციების დაწყებით და ქართველთა ანტიინგლისური განწყობის აშკარა გამოვლინებით იყო განპირობებული.

§ 3 ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის

დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად, პირველი რიგის ამოცანას საქართველოს საერთაშორისო არენაზე გამოსვლა წარმოადგენდა. ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ თუ საქართველო კუთვნილი ადგილის პოვნას

ვერ შეძლებდა, იგი გარდუვალი დალუპვის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამის რეალური საფრთხე არსებობდა და მისი გაუთვალისწინებლობა გაუმართლებელი იქნებოდა. გამოსავალი გზის ძიება იმდენად გართულებული იყო, რამდენადაც იმ ეტაპზე საქართველოსადმი მხარდამჭერის როლში გერმანიის შემდეგ, დასავლეთ ევროპის არცერთი სახელმწიფო არ გამოდიოდა. ქართული დიპლომატიის მესვეურებს, შექმნილი ბარიერის დაძლევა დაუხმარებლად, ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობების საფუძველზე უხდებოდათ. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ დასავლეთი ევროპა იმ ეტაპზე საქართველოს თითქმის არცკი იცნობდა. სავსებით მოხდენილად წერდა გაზეთი „ერთობა"; „ევროპა გაკვირვებული მისჩერებოდა და ხედავდა, რომ რუსეთის ტყავიდან გამოძვრნენ სრულიად ახალი და უცნობი ერები."[93] ასეთი „მშობიარობით" შექმნილი სახელმწიფოს მოულოდნელად გამოჩენა, ევროპის სახელმწიფოებისაგან მოსმენა და მისი ყურადღების ცენტრში მოქცევა, გარკვეული სამუშაოების ჩატარებას საჭიროებდა. ყოველ შემთხვევაში, უცხოელ დიპლომატებს ზოგადი წარმოდგენა უნდა ქონოდათ ქართველი ხალხის წარსულსა და აწმყოზე. აუცილებლობა ისეთი მექანიზმის შემუშავებას მოითხოვდა, რომელიც ამ ხარვეზს სრულად თუ არა ნაწილობრივად მაინც შეავსებდა. მისი საჭიროება იმაშიაც მდგომარეობდა, რომ ზესახელმწიფოთა შეკრებებზე, საქართველოს საკითხის გადაწყვეტაში ამ ფაქტორს გარკვეული დისონანსის შეტანა შეეძლო. „ინგლისის კაბინეტის თავმჯდომარე ლოიდ ჯორჯი, ან საფრანგეთის მილიერანი არ დაგეკითხებათ თქვენ - წერდა გაზეთი „ერთობა" – როგორ უნდა გადაიჭრას ესა თუ ის საკითხი საქართველოს შესახებ. საქართველო მათი პოლიტიკის გზაზე არის ერთი მარცვალი, რომელიც უნდა წამოეგოს პოლიტიკურ კრიალოსანზე, რომელსაც ისინი ამზადებენ."[94] ეს იმას ნიშნავდა, რომ ევროპული სახელმწიფოების ლიდერები ახლადშექმნილი პატარა სახელმწიფოების ბედს მათი დელეგაციების წევრების დაუკითხავად წყვეტდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, უცხოურ ენებზე საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურის შესახებ პოპულარული ლიტერატურის მომზადება, დღის წესრიგის ნომერ პირველ ამოცანად იქცა. ამ საკითხთან დაკავშირებით, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1920 წლის 8 ივნისის სხდომამ საგანგებოდ იმსჯელა. თავის მოხსენებაში ირ.წერეთელმა პრაქტიკული გამოცდილების და დროის მოთხოვნის გათვალისწინების ფონზე, უცხო ენაზე 200-300 გვერდიანი საქართველოს ისტორიის შექმნისა და მისი დაუყოვნებლივ გამოცემის საჭიროება დაასაბ-

უთა. იგი პრინციპულად მოითხოვდა ცალკე მონოგრაფიები შექმნილიყო საქართველოს ისტორიის, ხელოვნების, ხუროთმოძღვრების, პოეზიის, ლიტერატურის, მუსიკის და ა.შ. „ასეთი მონოგრაფიები- ამბობდა ირ.წერეთელი- დაწერილი უნდა იქნეს მეცნიერების საფუძველზე.. პოპულარული ენით. წიგნი უნდა გამოიცეს კარგად დასურათებული და საზოგადოთ საპროპაგანდო მასალის დაგროვება დაკავშირებული უნდა იქნეს ჩვენს საგარეო პოლიტიკასთან."[95]

ამ მოთხოვნას მხარი გ.გვაზავამ დაუჭირა, რომლის წინადადებითაც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან სპეციალური საპროპაგანდო კომისია შეიქმნა. იმავე სხდომის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „საჭიროთ მოეწყოს საზღვარგარეთ ჩვენი კულტურის პროპაგანდა და ამ საქმისათვის ხელმძღვანელობა დაეკალოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმსა და საპროპაგანდო კომისიას."[96]

აღნიშნულმა კომისიამ, ქართული კულტურის ევროპაში გატანისა და მისი პროპაგანდისათვის, სათანადო გეგმა შეიმუშავა და გამოსაცემი შრომების მოცულობა 40-50 გვერდით განსაზღვრა. რაც შეეხება თემატიკასა და მის შემსრულებლებს, იგი შემდეგნაირად განაწილდა: 1) საქართველოს ისტორია- ივ.ჯავახიშვილი, 2) ქართული ენა- აკ.შანიძე, 3) ხუროთმძღვრება და მხატვრობა- ექ.თაყაიშვილი, 4) ქართული სამართლის ისტორია- ივ.ჯავახიშვილი, 5) ქართული მუსიკა-ივ.ჯავახიშვილი, 6) ქართული საეკლესიო მწერლობა-კ.კეკელიძე, 7) საერო მწერლობა-პ. ინგოროყვა, 8) გეოგრაფია და ეთნოგრაფია-პ.ინგოროყვა, 9) საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე-ივ.ყიფშიძე, 10) რუსეთის ბატონობა საქართველოში და აწინდელი საქართველო-ნ.ჟორდანია.[97]

მართალია, აქ ქვეყნის ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სპექტრი იყო გათვალისწინებული, მაგრამ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა გარკვეულ დროს საჭიროებდა. მისადმი ლოდინი და სხვა საშუალებებისადმი (თუკი ასეთი რამ გამოჩნდებოდა) ზურგშექცევა გაუმართლებელი იქნებოდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ეროვნული სახელმწიფოს სასარგებლოთ ყოველგვარი სახის საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენებას ცდილობდნენ. მხედველობაში საეთაშორისო სოციალისტური ორგანიზაციების ღონისძიებები (კონფერენციები) გვაქვს. ეს ნაბიჯი იმდენად იყო გამართლებული, რამდენადაც დამოუკიდებელ საქართველოსა და მისი მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობის შესახებ, დასავლეთ ევროპის სოციალისტური მოძრაობა სრულ ინფორმაციას იღებდა. მათივე საშუალებით, იგი ასახვას ევროპული პრესის ფურცლებზე პოულობდა. რამდენადაც ამ გზით საქართველოში მიმდინარე

პროცესების ფართომასშტაბიანი პროპაგანდა ხდებოდა, ქართული სოციალ-დემოკრატია ამ შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებდა. საქართველოს შესახებ ვრცელი ინფორმაციული ხასიათის პირველი დოკუმენტი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს 1918 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გაეგზავნა. იგი მოკლედ და თანმიმდევრულად ასახავდა: 1) ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, ქვეყნის აღმავლობისა და დაცემის ძირითად მიზეზებს. რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატი) დარღვევის ფაქტებს და ჩაგვრის იმ ფორმებს, რომელსაც ქართველი ხალხის მიმართ იყენებდნენ. 2) რუსეთის რევოლუციიდან გამომდინარე, ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს რუსეთისაგან მოწყვეტის ძირითად მიზეზებს, ამიერკავკასიის მმართველობის-სეიმის სახით წარმომადგენლობითი ორგანოს დანიშნულებას, 3) ბრესტის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ტერიტორიულ დანაკარგებს, იმ საფრთხეს, რომელიც ქართველ ხალხსა და მის კულტურას თურქი დამპყრობლებისგან დაემუქრა. 4) ქართველი ხალხის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობისკენ გადადგმულ ნაბიჯს, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნის აღმშენებლობით პროცესებს. მიანიშნებდა იმ მოსალოდნელი დამანგრეველი შედეგების შესახებ, რომელიც დამოუკიდებელ საქათველოს ოსმალეთის, რუსეთის ბოლშევიზმისა და რუსული კონტრრევოლუციისგან ემუქრებოდა. აღნიშნული საშიშროებისაგან თავდაღწევის ერთ-ერთ პირობად დოკუმენტი მუშათა ინტერნაციონალის ქართველი ერისადმი თანადგომას ასახელებდა. იმავდროულად, საქართველოს პროლეტარიატისა და ქართველი ხალხის სახელით დახმარებას სთხოვდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დამადასტურებლად და მუდმივი ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად. საქართველოს სდმპ მინდობილობით დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ნ.ჟორდანია, ნ.ჩხეიძე, ირ.წერეთელი და ევ. გეგეჭკორი.[98] ამ თხოვნას ინტერნაციონალის ლიდერები დადებითად მოეკიდნენ. ისინი ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში ხელისუფლების სათავეში მოსვლა მხოლოდ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შესძლეს. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ინტერნაციონალში ქართველ სოციალ-დემოკრატებს ოთხი ადგილი და ქართული სექციის შექმნის უფლება მისცეს.99 იმავდროულად ქართველი სოციალ-დემოკრატები საერთაშორისო კონფერენციებზედაც მიიწვიეს.

ამის უდაო დადასტურებას პარიზიდან და ბრიუსელიდან კამილ ჰიუსმანის ხელმოწერით გამოგზავნილი წერილები წარმოადგენს. იგი ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე (1920 წლის 31 ივლისი) ქართველ სოციალ-დემოკრატებს გაწეული საქმიანობის შესახებ

მოხსენების გაკეთებას სთხოვდა.[100] ეს გარემოება ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურებს საქართველოს საკითხის საერთაშორისო მსჯელობის საგნად ქცევისა და დასავლეთ ევროპისათვის სწორი ინფორმაციის ოფიციალურ დონეზე მიწოდების შესაძლებლობას აძლევდა. ისინი ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და შესაძლებლობის მიცემისთანავე აღნიშნულ ტრიბუნას მაქსიმალურად იყენებდნენ. ამის საუკეთესო მაგალითს ამსტერდამისა და ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციები წარმოადგენს. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების ეს საქმიანობა, გ.გვაზავამ იმ ეტაპზე დანაშაულად მიიჩნია და მოტივად, საერთაშორისო სოციალისტური მიმდინარეობისადმი, პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ნეგატიური დამოკიდებულება დაასახელა. ამ საკითხზე, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე ე.გეგეჭკორმა ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა. მისი მტკიცებით, ი.წერეთლისა და დელეგაციის სხვა წევრების ამსტერდამის საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა საქართველოსადმი საერთაშორისო თანადგომის მოპოვებას ითვალისწინებდა და რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. რაც შეეხება პარიზის, ამსტერდამისა და ბერნის კონფერენციების დადგენილებებს, ე.გეგეჭკორის მტკიცებით, ისინი ურთიერთდაპირისპირებას არ შეიცავდნენ.[101] იმავე საკითხთან დაკავშირებით სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით ს.მდივანმა თავისი პოზიცია შემდეგნაირად დააფიქსირა: „განა ბატონმა გვაზავამ არ იცის, რომ თვით ვილსონმა ბერნის მუშათა კონფერენციას მოუსმინა, იმათი აზრი მიიღო სახელმძღვანელო აზრად. თქვენ კი ეხლა უკიჟინებთ სწორედ იმ მოქმედებას, რომელიც ჩვენ დელეგაციას შესისხლხორცებული და შეთვისებული აქვს და მიაჩნია სწორედ ამ გზით, პარიზის კონფერენციაზე მიიღებს დამოუკიდებლობას, თქვენ თუ ამას დანაშაულში ჩაუთვლით, ეს ყოვლად შეუწყნარებელია- განსაკუთრებით დღეს,"[102] მითუმეტეს, ბოლშევიკური რუსეთისა და დაშნაკცუთიუნის პარტიის მესვეურთა აქტიური მოქმედების შედეგად, ევროპულ პრესაში საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ყალბი ინფორმაცია ვრცელდებოდა. აუცილებლობა საპასუხო ნაბიჯის დაუყოვნებლივ გადადგმას საჭიროებდა, რადგან საქართველოსა და მისი მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი სოციალ-დემოკრატიის ფრანგი ლიდერები არა მარტო ინდიფერენტულ დამოკიდებულებას, არამედ უნდობლობასაც იჩენდნენ. არსებულ ვითარებას ი.წერეთელი სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 14 მაისის სხდომაზე შემდეგნაირად ახასიათებდა: „საფრანგეთში ჩასვლისთანავე პარლამენტის სოციალისტურ ფრაქ

ციაში მიგვიწვიეს მოხსენების გასაკეთებლად და პირველი შეკითხვა ჩვენს მიმართ ასეთი იყო: „ხელს შეუშლით ბოლშევიკებს, თუ ხელს შეუწყობთ მათ". დიდხანს ვერ დავაჯერეთ ისინი, რომ ჩვენ უარვყოფთ ბოლშევიზმს... საკუთარ პოლიტიკას ვაწარმოებთ. ყველანი ერთად ვუხსნიდით საფრანგეთის სოციალისტებს. ბოლოს და ბოლოს საფრანგეთის სოციალისტებმა დააფასეს ჩვენი მოღვაწეობა და ჩვენს წინააღმდეგ პრესაში კამპანია შეწყვიტეს. ვინც ნდობას არ გვიცხადებდნენ... ბოლშევიკური ინფორმაციით გაჯავრებული იყვნენ ჩვენზე. მაგრამ ბოლოს ისინიც დარწმუნდნენ ჩვენს სისწორეში და ინტერნაციონალში ერთხმად გვიცნეს. უნდა მოგახსენოთ, რომ დამოუკიდებლობის ცნობაში სოციალისტებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. საგარეო პოლიტიკაში მათ უდიდეს ანგარიშს უწევენ."[103]

ვფიქრობთ, ეს ფაქტორი უდაოდ გასათვალისწინებელია. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტური კონგრესებისადმი ზურგშექცევა და ინტერნაციონალში საქმიანობაზე უარის თქმა, საქართველოს მხრიდან უგუნური გადაწყვეტილება იქნებოდა. მითუმეტეს, დაშნაკცუთიუნის წარმომადგენლები ინტერნაციონალში საქართველოს საწინააღმდეგოდ აქტიურად მოქმედებდნენ. „ინტერნაციონალშიაც - ამბობდა ი.წერეთელი- მტრები გვყავს, ყველაზე მეტს ჩვენზე მუშაობენ დაშნაკელები. ოდესღაც მათ ჟორესი დააჯერეს, მისი მფარველობა იშოვნეს და ინტერნაციონალში შევიდნენ... თუ ჩვენ მუდმივი კავშირი არ გვექნება ინტერნაციონალთან... მაშინ დაშნაკელები გაიმარჯვებენ."[104] თუკი ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის უზარმაზარ საპროპაგანდო შესაძლებლობების საქართველოს სასიკეთოდ შემობრუნების ფაქტსაც მივიღებთ მხედველობაში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა აქტიური ჩართვა ინტერნაციონალში და საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებში, იმ ეტაპზე საქართველოსათვის არა თუ მომგებიან, არამედ აუცილებლობიდან გამომდინარე ნაბიჯს წარმოადგენდა. ამის შესანიშნავ დადასტურებას ბერნის საერთაშორისო კონფერენციის (1919 წელი) მიერ საქართველოსთან მიმართებაში მიღებული რეზოლუცია წარმოადგენს. იგი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი გაგზავნილი წერილის გამოძახილი იყო. ხალხთა უფლებების უმთავრესი დებულებიდან თვითგამორკვევიდ-ან და პრეზიდენტ ვილსონის პროგრამიდან გამომდინარე, კონფერენციის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული, რეზოლუცია საქართველოს დამოუკიდებლობას ქართველი ხალხის სამართლიან მოთხოვნილებად აღიარებდა. ხაზს უსვამდა იმ მაღალ პოლიტიკურ შეგნებას, რამაც მძიმე პირობების მიუხედავად, ქართველ ხალხს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული დამოუკიდებელი ცხ-

ოვრებისეული გზა აარჩევინა. ასეთი პრეამბულის შემდეგ, დოკუმენტი საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის სახელით პარიზის კონფერენციას პრინციპულ მოთხოვნას უყენებდა: „საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოითხოვს, საზავო კონფერენციისაგან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნეს ცნობილი, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარ ოპეკას, როგორიც არ უნდა იყოს ის, ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოების მხრივ და რომელიც აგრეთვე უარყოფს ყოველგვარ თვალყურის დევნებას მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე."[105]

ეს იმის დამადასტურებელია, რომ საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლაში საქართველოს მტკიცე და ძლიერი მხარდამჭერი გააჩნდა. მათი გამოყენების მაქსიმალურ შესაძლებლობას ქართველი სოციალ-დემოკრატები ხელიდან არ უშვებდნენ და საქართველოს შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ყოველმხრივ ცდილობდნენ. იმავდროულად აყენებდნენ საკითხს, ცნობილი ევროპელი სოციალისტის ან მუშათა დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის ხელშეწყობის შესახებ.[106] აღნიშნული ჩანაფიქრი სოციალ-დემოკრატების ამოჩემებად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ რეალური სინამდვილე ამის აუცილებლობას საჭიროებდა. მხედველობაშია მისაღები საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გაჩაღებული საინფორმაციო ომი. მისადმი დაპირისპირებისა და დასავლეთ ევროპისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდების რეალური საშუალებები საქართველოს იმ დროს არ გააჩნდა. ერთად-ერთი გზა საერთაშორისო ინტერნაციონალის ბეჭდვითი ორგანოების გამოყენებაში მდგომარეობდა. თუ როგორ შეიძლებოდა ამის მიღწევა, ნ.ჟორდანიასა და აკ.ჩხენკელისადმი გამოგზავნილ წერილში აქსელროდი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. ამ შემთხვევაში იგი ინტერნაციონალის კომისიის საქართველოში ჩასვლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი მტკიცებით: 1) რუსეთსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შეპირისპირება და ინტერნაციონალისათვის გაცნობა „საქართველოს რესპუბლიკისა და მისი მეზობლების მიმართ გადმოსროლილ ბოლშევიკურ ბრალდებათა სიყალბეში" მათი დარწმუნების საუკეთესო საშუალება იქნებოდა. 2) ინტერნაციონალის სიმპატიის მოპოვება, საქართველოს ნაციონალური ინტერესების უზრუნველყოფის გარანტი გახდებოდა.[107]

ქართული სოციალ-დემოკრატიისა და ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერის პოზიციები, რამდენადაც ერთმანეთს ემთხვეოდა, ერთობლივი მუშაობის შედეგად, ევროპის სოციალისტური დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის საკითხი დადებითად გადაწყდა. როგორც ცნობილია 15 კაციან დელეგაციაში მონაწილეობა საერთა-

შორისო სოციალ-დემოკრატიის საქვეყნოდ ცნობილმა ლიდერებმა-კარლ კაუცკიმ, პიერ რენოდელმა, ლეონ ბლიუმმა, რამზეი მაკდონალდმა, ტომას შოუმ, ემილ ვანდერველდემ, კამილ ჰიუსმანმა, ლ.დებრიუკერმა, ა.ინგელსმა, ა. მარკემ და სხვებმა მიიღეს.

ევროპელი სტუმრების დასახვედრად, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები საგანგებოდ ემზადებოდნენ. გაწეული მუშაობის შედეგებს, ცენტრალური კომიტეტისა და პრეზიდიუმის სხდომებზე რეგულარულად იხილავდნენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებდნენ.[108]

1920 წლის 15 სექტემბერს დელეგაცია თბილისში იმყოფებოდა და დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა. აღნიშნული კრება არა მარტო საზეიმო, არამედ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სფეროში სტუმრებისათვის ანგარიშის ჩაბარებისა და საქართველოსთვის საერთაშორისო უფლებების დაცვაში დახმარების თხოვნის ხასიათს ატარებდა. იმავდროულად, მასპინძლები სტუმართა ყურადღებას ჩრდილოეთისა და სამხრეთის გარდუვალ საფრთხეზე მიაპყრობდნენ და საქართველოს „იურიდიული ცნობის" დასაჩქარებლად – მათგან გარკვეულ თანადგომას მოითხოვდნენ. „ჩვენი იურიდიული ცნობა – ამბობდა ალ.ლომთათიძე – უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხისა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები."[109]

აღნიშნული კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ყველა ფრაქციის წარმომადგენელი ძირითადად ერთი აზრისა იყო და ევროპელი სტუმრების საქართველოში ჩამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად აღიარებდნენ. აქ ერთი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გ.გვაზავა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციებში მონაწილეობას თუკი ქართველ სოციალ-დემოკრატებს - როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული დანაშაულად უთვლიდა, ეხლა საქართველოს სამომავლო საკითხების გადასაწყვეტად ევროპელ სოციალისტებზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა. „მე იმედს გამოვთქვამ - ამბობდა იგი – რომ ისინი, როგორც აქამდე, დაიცავენ საზოგადო უფლებრივ პრინციპებს ადგილობრივ გაეცნობიან თუ რა არის საქართველო, ეს თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფო და არავის მისცემენ ნებას წაშალონ საქართველოს ეროვნული თავისუფლება."[110]

მართალია, ქართველი პოლიტიკოსები იმედისმომცემი პოზიციებიდან აფასებდნენ აღნიშნულ ღონისძიებას, მაგრამ, გადამწყვეტი მნიშვნელობა, საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებისადმი

სტუმართა დამოკიდებულებას ენიჭებოდა. უცილებლად უნდა გარკვეულიყო, თუ რამდენად იყვნენ დაინტერესებული საქართველოში მიმდინარე პროცესებითა და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობით. თუკი ამ კუთხით განვიხილავთ საკითხს, ამომწურავი პასუხი მხოლოდ სსდმ პარტიის ცრენტრალური კომიტეტის 1920 წლის 16-17 სექტემბრის სხდომის მასალებიდან შეიძლება მივიღოთ. სტუმართა მიერ ქართველი სოციალ-დემოკრატებისადმი დასმული შეკითხვები, საქართველოს პრობლემატიკასთან მიმართებაში მათი ინტერესების სფეროს სრულად წარმოჩენის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება დელეგაციის მიზანს, იგი დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომაზე მათ მიერ ერთობლივად გაკეთებულ განცხადებაში იქნა წარმოდგენილი. „ჩვენ გვინდა შევისწავლოთ ის პირობები - ვკითხულობთ დოკუმენტში- რომელიც საშუალებას მოგვცემს იქ ევროპაში იცნონ თქვენი დამოუკიდებლობა იურიდიულად. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ თქვენი დემოკრატიული წყობილება, თავისუფლება პრესის, სიტყვის და სხვა."[111] იმავე სხდომაზე, ინგლისის სოციალისტების სახელით ტომას შოუმ ქართველ კოლეგებს აღუთქვა: „დარწმუნებული იყავით, ინგლისის მუშათა კლასი დამეთანხმება იმ ხალხის სახელმწიფოს ცნობაში და დაცვაში, რომელსაც დაუმყარებია დემოკრატიული წყობილება და ჰყავს სოციალისტური მთავრობა. იმედი გქონდეთ, რომ ჩვენ ამაზე ვიმუშავებთ."[112] ხოლო მცხეთაში ყოფნისას წარმოთქმულ სიტყვაში, იმავე ტომას შოუმ ევროპის მუშათა სახელით განცხადება გააკეთა: „ჩვენ ერთი წადილი გვაქვს, რომ თქვენ არ დაკარგოთ თავისუფლება. ამისათვის ევროპის მუშებმა უნდა მიიღონ ზომები და მოითხოვონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ხალხთა ლიგაში შესვლა."[113] დაპირებას იძლეოდა, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე „ჩვენ ევროპაში ავამოძრავებთ მუშებს თქვენს დასახმარებლად,... გადავცემთ მათ, რომ საქართველო არის დემოკრატიზმის გზაზე და მიდის მუშათა კლასის საბოლოო იდეალისაკენ. ამისათვის ის უნდა იქნეს ცნობილი, ის უნდა შევიდეს ერთა ოჯახში თავისუფალი და დამოუკიდებელი."[14]

საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან მოცემული ეს დაპირება, მართალია იმედის მომცემი იყო, მაგრამ ქვეყანაში მოგზაურობის დამთავრებისა და მიღებული შთაბეჭდილების ანალიზზე გაკეთებულ დასკვნებს - გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს ამ მხრივაც გაუმართლდა. ევროპელმა სოციალისტებმა მათ ნაღვაწს მაღალი შეფასება მისცეს და საქართველოში მიმდინარე რეფორმების წარმატება თავიანთ გამარჯვებასთან გააიგივეს. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციე

ბის შეერთებულ სხდომაზე (1920 წლის 30 სექტემბერი) კამინ ჰიუსმანსი აცხადებდა: „თქვენა ხართ ჩვენი იმედი, აქ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სათავეში არიან სოციალისტები. ამიტომ თქვენი დაღუპვა და დამარცხება იქნებოდა ჩვენი იმედების დაღუპვა და დამარცხება. თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა."[115]

ეს ფაქტი უდაოდ დიდი მნიშვნელობისაა იმ თვალსაზრისით, რომ პრობლემათა იგივეობიდან გამომდინარე, ევროპელი სოციალისტები მართლაცდა გულისყურით მოეკიდებოდნენ საქართველოს მომავლის საკითხს და მაქსიმალურად იბრძოლებდნენ მისი საერთაშორისო აღიარებისთვის. „ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას ჩვენს თავზე – ამბობდა იგივე კჰიუსმანი- ევროპაში მისვლისას ძალა დავატანოთ ჩვენს მთავრობებს, რათა საქართველოს მისცენ საშუალება განვითარებისა, როგორის ღირსიც არის ეს თავისუფალი ქვეყანა."[116]

აღნიშნული დაპირებები თუ რამდენად მაღალ დონეზე შეასრულეს ევროპელმა სტუმრებმა, ეს კარგად ჩანს იმ დიდი საქმიანობიდან, რომელიც თითოეულმა მათგანმა თავიანთ ქვეყნებში ჩასვლისას გასწიეს. ამის ერთ-ერთ გამოვლინებას ევროპის ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს შესახებ მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენს. გაზეთმა „თაიმსმა" ქალბატონ სნოუდენთან აღებული ვრცელი ინტერვიუ დაბეჭდა, ხოლო „ლესეირმა" ეკანდერველდესთან საუბარი. „ლე კრიდუ ნორე"-ში ინგელსმა საქართველოში მოგზაურობისა და შთაბეჭდილებების შესახებ პუბლიკაციების სერია გამოაქვეყნა. ა .მარკემ „ლე ბრიტ პოპულეში, ხოლო პ.რენოდელმა „ლე ვი სოციალისტ"-ში რამდენიმე პუბლიკაცია დაბეჭდეს.[117] ამ შემთხვევაში ყურადღებას მხოლოდ ორ სტატიაზე შევაჩერებთ: 1) რამზეი მაკდონალდის „სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში", რომელიც ჟურნალ „დე ნაციონ"-ის 16 ოქტომბრის ნომერში და 2) ემილ ვანდერველდეს „პირველი სოციალისტური მთავრობა" გაზეთ „ლე პოპლ"-ის 21 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა.

რამზეი მაკდონალდი დაწვრილებით მიმოიხილავს რევოლუციის პერიოდში საქართველოს მიერ განვლილ გზას, ხსნის იმ თავისებურებებს, რამაც ქვეყანაში-დემოკრატიზმს თანასწორობის პრინციპი დაუდო საფუძვლად. „თავისუფლება, პატიოსნება, უმცირესობის უფლებების პატივისცემა-აი საქართველოს მთავრობის პრინციპი... საქართველო, როგორც ქვეყანა, მისი პოლიტიკა, მისი ხალხი საუხოვოა. „საქართველოში გატარებულ აგრარულ რეფორმას იგი ამ საკითხის „მარჯვედ გადაწყვეტად" თვლიდა, ხოლო რეფორმის ძირითადი თავისებურებების მსგავსებას, ირლანდიის სოციალისტების მიერ ამ სფეროში არჩეულ გზაში ხედავდა. განსაკუთრებულ ყურადღებას, საქართველოსთან მიმართებაში ინგლისის საგარეო პოლიტიკური

კურსის მისეული კრიტიკა იქცევს. „საქართველოს მიერ დენიკინის შეჯახება უფრო სწორი გამოდგა, ვიდრე ინგლისის მიერ" იქვე გარკვევით მიუთითებდა იმ გარდუვალ საფრთხეზე, რომელიც საქართველოს ბოლშევიკური რუსეთიდან ემუქრებოდა. აქედან გამომდინარე ინგლისის ხელისუფალთ შეახსენებდა: „თუ ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ყველა შეცდომის შემდეგ რაიმე ისწავლა და მზათ არის იხელმძღვანელოს უბრალო გონივრულობით და მომავლის განჭვრეტით, მან თავის მხრით მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს. ჩვენი მიზანი პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ვიცნოთ საქართველო „დე იურე."[118]

ემილ ვანდერველდე, სტატიაში „პირველი სოციალისტური მთავრობა," საქართველოს ხელისუფლების მიერ ინტერნაციონალის პრინციპების გატარებაზე და მისადმი ქვეყნის მოსახლეობის მხარდაჭერაზე, საქარ-თველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებზე მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას და მას „უდიდესი რადიკალური ხასიათის აგრარულ რევოლუციად" აცხადებდა, ხოლო დაწყებული პროცესების შეუფერხებლად გატარების ძირითად პირობად, საქართველოს „დე-იურე" აღიარებას მიიჩნევდა.

მისი აზრით „თუ ქვეყანათ არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც ღირსია თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლისა და თავის მთლიანობის სრულის შეგნების აღიარებისა, ეს არის საქართველოს რესპუბლიკა"[119] რაც შეეხება ფრანგ სოციალისტებს, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვისას, პიერ რენოდელის წინადადებით „სოციალისტური ცხოვრების" ჯგუფმა აუცილებლად მიიჩნია, ყოველი ზომა მიეღოთ" საქართველოს დასაცავად, როგორც ბოლშევიკების, ისე ოსმალო ნაციონალისტებისაგან. აღეძრათ შუამდგომლობა ანტანტის წინაშე საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ."[120]

საქართველოს სასარგებლოდ, ევროპელი სოციალისტების საქმიანობის შეჯამებაა მოცემული ვ.ნოზაძის წერილში" საქართველოდან დაბრუნებული სოციალისტები", რომელიც ლონდონიდან გაზეთ „ერთობას" რედაქციას გამოუგზავნა. ევროპული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და საქართველოს მხარდასაჭერად ჩატარებული ღონისძიებების მიმიხილვიდან გამომდინარე, დასკვნის სახით მან თავისი პოზიცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „საქართველოში სოციალისტების ჩასვლას ჩვენ პირადად დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით, მაგრამ თუ ეს ჩასვლა ასეთს უდიდეს ნაყოფს გამოიღებდა, ეს მაინც საეჭვოთ გვეგონა. ვერავითარი სხვა ორგანიზაცია ვერ მოუწყობდა საქართველოს იმ პროპაგანდას, რომელიც დღეს სოციალისტების მეოხებით სწარმოებს."[121]

ეს ფაქტი უდაოდ მრავლისმეტყველია და იგი ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ , მიმდინარე პროცესების სიღრმისეულად გაანალიზებიდან გამომდინარე სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული სოციალ-დემოკრატიის მეშვეობით ევროპული „საპროპაგანდო მანქანის" საქართველოს სასარგებლოდ მძლავრად ამოქმედების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად, იმ ეტაპზე საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ თითქმის ყველა სახის შესაძლებლობებს იყენებდა.

მხედველობაში გვაქვს, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით წერილობით წარდგენილი ოფიციალური თხოვნა-ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის (1919 წლის 30 იანვარი) და აშშ მთავრობისადმი (1919 წლის 8 თებერვალი).[122] ქართული დიპლომატიის მცდელობა, საკითხის თუნდაც ადგილიდან დაძვრის შესახებ უშედეგო აღმოჩნდა. ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა მესვეურები გარკვეული მიზეზების გამო, პასუხის გაცემასაც კი აყოვნებდნენ. საქართველოს მთავრობისათვის დღესავით ნათელი გახდა, რომ დასახული მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება, მხოლოდ პარიზის კონფერენცია იყო. მიმდინარე პროცესები შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოყენებას მოითხოვდა. ქართული დიპლომატიის მესვეურებმა დახმარების თხოვნით პარიზის სამშვიდობო კონფერენციას მიმართეს და ვრცელი დასაბუთებული მოხსენება წარუდგინეს (1919 წლის 14 მარტი). ეს დოკუმენტი ექვსი პარაგრაფისა და დანართისაგან შედგება. მასში ყურადღება შემდეგ ძირითად საკითხებზეა გადატანილი: 1) ისტორიული ცნობა- იგი ზოგადი ხასიათის ისტორიულ მონაცემებს ანტიკური ეპოქიდან XIX საუკუნემდე მოიცავს. ეხება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციებს. იმ მძიმე და თავდაცვით ბრძოლებს, რომლებიც მონღოლთა, თურქთა და ირანელთა წინააღმდეგ იქნა გადახდილი. იმ მიზეზებს, რამაც ქართველი ხალხი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატამდე მიიყვანა; 2) საქართველო, რუსეთის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ- მითითებულია რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის თვითნებურად გაუქმებაზე, რუსეთთან მიერთებაზე, უძველესი ქართული სახელმწიფო სტრუქტურის მიზანდასახულ განადგურებაზე და ქართველთა წინააღმდეგ გატარებული ასიმილატორული პოლიტიკის ფაქტებზე. 3) საქართველო მსოფლიო ომში – ეხება საქართველოს აქტიურ მონაწილეობას პირველ მსოფლიო ომში, იმ მიზეზებს რამაც ამიერკავკასიის რუსეთისგან ჩამოშორება გამოიწვია. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგებს,

რომლის ძალითაც ბოლშევიკებმა ბათუმი, ყარსი და არდაგანი თურქეთს დაუთმეს. ამიერკავკასიის სახელმწიფოებსა და თურქეთს შორის მიმდინარე საომარ დაძაბულობას. 4) ამიერკავკასიის რესპუბლიკა და დამოუკიდებელი საქართველო – დოკუმენტის ამ ნაწილში წინა პლანზეა წამოწეული ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების ეფემერულობის ძირითადი მიზეზები, თურქთა გამუდმებული აგრესია, ის რთული პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაემთხვა. საუბარია საქართველოსადმი გერმანიის თანადგომაზე და თურქული აგრესიის შეჩერებაზე. 5) საქართველოს რესპუბლიკა- ნაჩვენებია ქვეყნის მმართველობითი სისტემის- პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლოს, ადგილობრივი თვითმმართველობების და ა.შ. დემოკრატიულ საწყისებზე მოწყობის პროცესი. ეს რეფორმა ქართველი ხალხის უძველესი ცივილიზაციის სიღრმიდან გამომდინარე ზემოქმედების დადასტურებადაა მიჩნეული და მისადმი „ახალგაზრდა დემოკრატიის" ერთგულება, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მცდელობადაა გამოცხადებული. 6) საქართველოს პოლიტიკური მოთხოვნები- მოხსენების ამ ნაწილში საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან და მის ცნობასთან დაკავშირებით ყველა ქვეყნის წარმომადგენლებისადმი დაგზავნილი თხოვნის შესახებ. დელეგაცია კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს შუამდგომლობით მიმართავდა- აღნიშნული საკითხის კონფერენციაზე დასმასა და დადებითად გადაწყვეტისადმი მხარდასაჭერად. მათი მტკიცებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა XIX საუკუნეში ხელოვნურად შეწყვეტილი ქართული სახელმწიფოს აღდგენას და უძველესი ტრადიციების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა. ხაზგასმითაა მითითებული ქართველი ხალხის ეროვნული და ეთნიკური ინდივიდუალობის, ლიტერატურული ტრადიციების, მაღალი კულტურის, ენის შესახებ. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ ძვრებზე, მის ბუნებრივ სიმდიდრეზე[123] ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, კონფერენციის დელეგაცია საქართველოს ტერიტორიული შემადგენლობის მონაწილე სახელმწიფოებისათვის გაცნობას საჭიროდ თვლიდა. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იმავე დროს სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება. საქართველო დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს მას ამჟამათ თურქეთის კუთვნილი ლაზეთის ტერიტორია. ასევე მოითხოვს იგი საზღვრის რეგულირებას ზემო ჭოროხის რაიონში,

რადგან არავის არა აქვს უფლება ოდითგანვე ქართულ მიწებს ფლობდეს. ამოდის რა ამ საერთო მოსაზრებიდან და გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობებიდან, საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალას და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიეთი (ტრაბიზონი)"[124] იქვე იყო მითითებული, რომ აღნიშნული ტერიტორიების მოსახლეობის 75% ქართველები წარმოადგენენ. ამ მოთხოვნებს თან ერთვოდა შესაბამისი რუკა განმარტებებით. ჩვენს მიერ მოტანილი ამონაწერიდან დასტურდება, რომ ქართული დელეგაციის მიზანს, მხოლოდ მარტო საქართველოს აღიარება არ წარმოადგენდა. იგი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებში აღსადგენად და საერთაშორისო დონეზე მისი სამართლებრივად დაკანონებისათვის იბრძოდა. ე.ი. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული და ქართველი დიპლომატები მას ერთობლიობაში განიხილავდნენ. ბუნებრივ საზღვრებში საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურ დადასტურებას, დოკუმენტი ამიერკავკასიის რეგიონში სტაბილურობის შექმნის გარანტად მიიჩნევდა. ასეთ ნაბიჯს იგი თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის განმტკიცების საფუძვლად აცხადებდა. „იმედებითა და რწმენით სავსე ქართული დემოკრატია - ვკითხულობთ დოკუმენტის დასასრულს – თავის თავისუფლებასა და მომავალს ანდობს მათ, ვინც მოწოდებულია გადაწყვიტოს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი".[125]

აღნიშნული მოხსენება ისეთი ფართო ტევადობით იყო შედგენილი, რომ ნებისმიერ უცხოელს საქართველოს განვლილი ისტორიული გზის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას აძლევდა. იმავდროულად, გამოკვეთილად წარმოაჩენდა ქართველი ერის ისტორიული კუთვნილებიდან და მისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე პრეტენზიებს. მიზანი მხოლოდ ერთი იყო, საქართველოს საკითხის გადაწყვეტისას მისი წინა პლანზე წამოწევა და ყურადღების ცენტრში მოქცევა. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, იმ ეტაპზე უპერსპექტივო ჩანდა, რადგან საქართველოს როგორც წინა პარაგრაფშიაც გვქონდა მითითებული-რუსეთის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდნენ. მოკავშირეთა ასეთმა პოზიციამ, ქართველ პოლიტიკოსებს კონფერენციის იმედი გაუცრუა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, დამფუძნებელ კრების 1919 წლის 9 მაისის სხდომაზე, ეგეგეჭკორი ევროპის სახელმწიფოებისგან „პატარა ერების დაცვის" ფაქტზე სინანულით მიუთითებდა და მის ახსნასაც იქვე იძლე-

ოდა. საქართველოს საკითხი „ჩვენთვის- ამბობდა ე- ბეგბეგორი - ყველაფერია, მათთვის კი, ვინც დღეს განაგებს საერთო საკაცობრიო ბედ-იღბალს, ჩვენი საკითხი შედარებით უმნიშვნელოა- წვრილმანია."[126] ამ „წვრილმან" საკითხებს კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები თვითნებურად, პოლიტიკური სუბიექტისადმი ანგარიშგაუწევლად წყვეტდნენ. ამის ერთერთ მაგალითს, საქართველოსთან მიმართებაში აშშ სახელმწიფო მოღვაწეთა დამოკიდებულება წარმოადგენს. ევროპის ქვეყნების მსგავსად, ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების განაწილებისა და მართვის უფლების ანუ „მანდატის" მოსაპოვებლად, მასაც გარკვეული ინტერესები გააჩნდა. ამ შემთხვევაში ორი ზესახელმწიფო – ინგლისი და აშშ ერთმანეთს ეცილებოდნენ. მაგრამ „ერთიანი განუყოფელი რუსეთის" აღდგენასთან მიმართებაში იდენტურნი იყვნენ. წინააღმდეგობას მხოლოდ საკითხის გადაწყვეტისადმი მიდგომის ფორმა იწვევდა. ამის შესახებ აშშ სახელმწიფო მდივნის-ბეინბრიჯ კოლბის მიერ იტალიის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში (1920 წლის 10 აგვისტო) საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული. იგი რუსეთის მთლიანობის იმპერიისდროინდელ საზღვრებში აღდგენას, მხოლოდ გარკვეული კორექტივების შეტანით უჭერდა მხარს. თუ ვის მიმართ უნდა გაკეთებულიყო გამონაკლისი, ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „ფინეთის, პოლონეთის ეთნიკური ტერიტორიისა და ასევე იმ ტერიტორიებისა, რომლებიც შემდგომი ხელშეკრულებით უნდა შეუერთდეს სომხეთის სახელმწიფოს. ამ ხალხების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კანონიერია. ყველა ისინი ძალით იყო ანექსირებული რუსეთის მიერ."[127]

სომხეთისადმი აშშ ხელისუფალთა სიმპატია შემთხვევითობით არ იყო გამოწვეული. აქ გადამწყვეტ როლს "სომხეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი" და მის ზურგს უკან მდგომი სომეხი მონოპოლისტები ასრულებდნენ. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თვით ამერიკის „პრეზიდენტი, მთავრობა და მთელი აღმოსავლური აპარატი სომხებზე ამერიკის მანდატის მომხრედ გამოდიოდა. ყველაფერს აკეთებდა „სომხეთის დამოუკიდებლობის ამერიკული კომიტეტის" და მის ზურგსუკან მდგომი მონოპოლიების ინტერესების დასაკმაყოფილებლად."[128]

ეს ფაქტი და კომიტეტის ნაციონალისტური პოლიტიკური კურსი გვაფიქრებინებს, რომ აშშ მანდატის სომხეთზე გავრცელება სომხებისაგან „სადაოდ" ქცეულ საქართველოს კუთვნილ ისტორიულ ტერიტორიას დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დააყენებდა. გამორიცხული არ იყო, რომ აშშ თანადგომით, დამოუკიდებელი სომხეთის ხელისუფლებას „დიდი სომხეთის" იდეა ისევ წინ წამოეწია და პოლიტიკური ზეწოლით, საქართველოსგან ტერიტორიების „ნებაყო-

ფლობით" დათმობა მოეთხოვა. ამის მიღწევას სომხური დელეგაცია პარიზის კონფერენციაზედაც ცდილობდა. ხოლო ნოტაში მოტანილი ფორმულირება „ასევე იმ ტერიტორიებისა, რომლებიც შემდგომში ხელშეკრულებით უნდა შეუერთდეს სომხეთის სახელმწიფოს." ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდის რეალურ საფუძველს იძლევა, მითუმეტეს, სომხეთთან „შესაერთებელი" ტერიტორიები დოკუმენტში დაკონკრეტებული არ არის. იმ შემთხვევაში, თუკი „სომხური იდეით" იმოქმედებდნენ, რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ სომხების მიერ სტამბოლში გამოცემული რუკის მიხედვით „დარჩენილი საქართველო" აღმოჩნდებოდა.

აღნიშნული ნოტა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მიზანშეწონილობის უარყოფას შეიცავდა, ქართველი ხალხის სულიერი და ეროვნული მისწრაფებების იგნორირებას აკეთებდა. ეს იმ მომენტს დაემთხვა, როცა ქართული დიპლომატიის ძალისხმევა კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებისკენ იყო გადატანილი და მათგან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევას ცდილობდნენ. ამ ფონზე, ასეთი სახის დოკუმენტის გამოჩენა, ქართული დიპლომატიისათვის მომაკვდინებელ დარტყმას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა ქართულმა დელეგაციამ, იმავე წლის 15 აგვისტოს მემორანდუმით ოფიციალურად მიმართა პარიზის (ვერსალის) კონფერენციის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს, ხოლო დოკუმენტის ერთი პირი საფრანგეთში მყოფ აშშ-ს ელჩს გადასცა. მისი ძირითადი პრინციპები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) ნოტა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დოგმიდან გამომდინარე, იმპერიის ხელისუფალთა აზროვნებით იფარგლება. მისი ალოგიკურობა მხოლოდ სამი ერის დამოუკიდებლობის აღიარებაში, დანარჩენების ამ კონტექსტიდან ხელოვნურად ამოგდებაში და დამოუკიდებლობისკენ მათი მისწრაფების „უკანონოდ" გამოცხადებაში მდგომარეობს. 2) ნოტის შემდგენლებმა იგნორირება გაუკეთეს საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ბელგიის, იაპონიის, დენიკინის და საბჭოთა რუსეთის მთავრობების მიერ საქართველოს „დე-ფაქტო" აღიარებას (1920 წლის იანვრიდან) მომავალი რუსეთისათვის, არარუსი ხალხების ძალდატანებით მიერთებას და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელოვნურად დანგრევის „ამერიკულ ფორმას", მემორანდუმი დემოკრატიული პრინციპების დარღვევად და ცივილიზებილი ქვეყნებისათვის მიუღებლად აცხადებდა. 3) მემორანდუმში საგანგებოდაა გამოყოფილი დემოკრატიულ პრინციპებზე ქართველი ხალხის მიერ დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს კანონიერი მთავრობის არჩევის ფაქტი. გამოთქმულია იმედი, რომ საქართველოს „დე- ფაქტო" ამღიარებელი სახელმწიფოები მონაწილეობას არ მიიღებდნენ

„ქართველი ხალხის მიერ შექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევაში" არასოდეს იხელმძღვანელებდნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიული ერთიანობის მექანიკური თეორიით და ახლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის მოსპობას მხარს არ დაუჭერდნენ.[129]

ქართველ დიპლომატთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პასუხი, საერთაშორისო ნორმების დაცვით იყო შედგენილი. ლოგიკური თანმიმდევრობითა და სათანადო ფაქტების მომარჯვებით, საფუძვლიანად ამხელდა „ამერიკული ნოტის" ალოგიკურობას და ტენდენციურობას. მეორე მხრივ, ქართულმა დიპლომატიამ ზესახელმწიფოს ათასგზის ნაცად დიპლომატებთან პაექრობაში, ღირსეულად დაიცვა ახლად ფეხადგმული ქართული სახელმწიფოს ინტერესები და პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს, თავისი არსებობის აუცილებლობა დაუსაბუთა. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის მესვეურები, საკითხის მიფუჩეჩებას სრულებითაც არ აპირებდნენ. შესაძლებლობის მიცემისთანავე მის წინა პლანზე წამოწევას და საფუძვლიანად „გაცამტვერებას" ცდილობდნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის მიერ რომის გაზეთ „ტრიბუნას" თანამშრომლებთან საუბრისას გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. მან, საქართველოს პოზიციის სისწორის დასაბუთებას ვუდრო ვილსონის „14 პუნქტი" და 1918 წლის 11 თებერვალს კონგრესის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული „ოთხი პუნქტი" დაუდო საფუძვლად. ორივე დოკუმენტი პატარა ერების თავისუფალ განვითარების, მათი სუვერენობის შეუზღუდველობის, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას.[130] ქართველმა დიპლომატმა „ერთა თავისუფლების ამერიკული პრინციპები" და თვით აშშს ხელისუფალთა პრაქტიკული საქმიანობა, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ოფიციალურად გამოთქმული შეხედულებები საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად შესანიშნავად მოიმარჯვა. „შეერთებული შტატები, - ამბობდა ეგეგეჭკორი- რომელიც ამას წინათ ერთა თვითგამორკვევის მხურვალე დამცველი გამოდიოდა, ეხლა ერთი კალმის მოსმით ქართველი ხალხის უდაო ისტორიულ და ეროვნულ უფლებებს, თვითგამორკვევას უარყოფს. მოვალედ ვრაცხ თავს განვაცხადო ჩემი ღრმა პროტესტი ამერიკის ნოტაში გამოთქმულ საქართველოს დამოუკიდებლობის სამტრო აზრების წინააღმდეგ."[131]

რუსეთის იმპერიის ყოფილი შემადგენელი ნაწილების: ფინეთის, პოლონეთის და სომხეთისადმი ნოტით მინიჭებული პრიორიტეტის „წრედიდან" საქართველოს ხელოვნურად ამოგდება- ეგეგეჭკორმა

უსამართლობად მიიჩნია. მან 1783 წლის ხელშეკრულებას ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება უწოდა და ნოტის ავტორს რუსეთისადმი დაკისრებულ ძირითად მოვალეობებზე მიუთითა. „ხელშეკრულება რუსეთს ავალებდა ამბობდა ე. ბეგეჭორი საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორია დაეცვა უცხოეთის საფრთხისაგან. ეს ხელშეკრულება რუსეთმა დიდი ხანია დაარღვია.. ქართველ ხალხს დარჩა მხოლოდ ერთი საშუალება, ხელახლა შესდგომოდა თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შენებას."[132] იგი იმედს გამოთქვამდა, რომ აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა, აშშ ხელისუფალთ სწორ დასკვნამდე მიიყვანდა, საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებების აღიარების საშუალებას მისცემდა. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს აშშ სახით მსოფლიოს ერთერთი უდიდესი სახელმწიფო დაუპირისპირდა. აკჩხენკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპასა და ამერიკას შორის „საქართველო კოზაკივით რომ არ გაჭყლეტილიყო", ქართული დიპლომატიის უპირველეს ამოცანას, ურთიერთობის მოქნილი ფორმის გამოძებნა წარმოადგენდა. ურთულესი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს ინტერესების დაცვას ისინი მაინც ახერხებდნენ. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის უმაღლესი კომისარი საქართველოში დე მარტელი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნავდა: „პარიზში დიდი სიმპათიებით ეპყრობიან საქართველოს ინტერესებს, ვინაიდან საქართველოს საქმეებს ბრწყინვალედ იცავენ ბ.ბ ჩხეიძე და წერეთელი, რომელთაც პარიზში დიდ პატივს სცემენ."[134]

მიუხედავად ამისა საქართველოს მომავლის ბედის დადებითად გადაწყვეტას მიმდინარე პროცესები, კერძოდ, დენიკინის წარმატება-წარუმატებლობა განსაზღვრავდა. საქართველოს წინაშე ამოზიდული პრობლემებისაკენ მოკავშირეთა შემობრუნება ფაქტობრივად დენიკინის დამარცხებამ განაპირობა. პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებიდან ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ საქართველოს დამოუკიდებლობა „დე – ფაქტო" ოფიციალურად 1920 წლის 12 იანვარს სცნო. იმ საერთაშორისო ფონზე ეს უდაოდ დიდი გამარჯვება იყო და მასში ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ლომის წილი იდო. თუ როგორ აღიქვა ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ ეს ფაქტი, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს-დამფუძნებელი კრების სხდომის 1920 წლის 14 იანვრის სტენოგრაფიული ანგარიში იძლევა. მისადმი ჩვენი ინტერესი იმითაცაა განპირობებული, რომ სხდომის მსვლელობამ 1) ქართული პოლიტიკის საჭეთმპყრობელთა, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა გამოკვეთილი ევროპული ორიენტაცია, ოფიციალურად კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, 2) წინა პლანზე წამოსწია ის ძირითადი

მიზეზები, რომლებიც აღმოსავლეთთან შედარებით დასავლეთისადმი პრიორიტეტს განაპირობებდა და 3) განსაზღვრა კავკასიისკენ ევროპის შემობრუნების მნიშვნელობა.

დამფუძნებელი კრების ფრაქციათა წარმომადგენლების გამოსვლებში გამოთქმული შეხედულებანი, მომხდარი ფაქტის დადებით შეფასებას იძლეოდა და იდენტურ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, ყურადღების ცენტრში მთავრობის თავმჯდომარის ნ.ჟორდანიას სიტყვა მოექცა. მისი მტკიცებით, საქართველოს მომავალი დასავლეთს მტკიცედ მიეჯაჭვა, მაგრამ ქართველი ხალხი ევროპის წინაშე მოწყალებისათვის კი არ წარსდგა, არამედ უფლებებისათვის, რომ შესაფერისი ადგილი მიეჩინათ „აზიის გზის ყურეში." იგი გამოკვეთილად სვამდა კითხვას - „დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?" და იქვე კონკრეტულ პასუხსაც იძლეოდა. „ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს..- ამბობდა ნ.ჟორდანია-საქართველოს და რუსეთის გზები გაიყარნენ. ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი მტრები აყვირდებიან-იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს."[135] ამ განცხადებაზე დაყრდნობით ნ.ჟორდანიას პოლიტიკოსობა საბჭოთა პერიოდის ზოგიერთმა ქართველმა ისტორიკოსმა ეჭვის ქვეშ დააყენა.[136] სინამდვილეში მის მიერ გაკეთებული არჩევანი, იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკურ წრედში თავსდებოდა და საქართველოს მოთხოვნებს სრულად პასუხობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით დამსწრე საზოგადოებას მან გამოკვეთილი პოზიცია შესთავაზა: „ჩვენ გვეზიდებიან ბარბაროსობისკენ, ჩვენ იქით ვერ წავალთ, თუნდაც ეს მეტად მარცხნით იყოს წასასვლელი. პირიქით, ჩვენ უნდა შევსძახოთ საბჭოთა რუსეთს დაბრუნდით უკან, ევროპისაკენ, შეითვისეთ დემოკრატია, გახდით ევროპელი ერი."[137]

როგორც ვხედავთ, იდეურ მრწამსთან მიმართებაში, ქვეყნის ინტერესები აქ უზენაესობამდეა აყვანილი, ხოლო ევროპა ცივილიზაციის ნოყიერ ნიადაგად და საქართველოს სახელმწიფოს გადარჩენის ერთად ერთ საშუალებადაა დასახული. აქედან გამომდინარე, ევროპულ ორიენტაციას ნ.ჟორდანია საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირითად საფუძვლად მიიჩნევდა - „პოლიტიკა-ამბობდა იგი- განიზომება მისი შედეგებით. საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს და ჩვენს პოლიტიკას , ჩვენს მიერ არჩეულ გზას თავიდანვე მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე."[138] ევროპის დაინტერესება საქართველოთი, აკ.ჩხენკელის მტკიცებით, ევროპისა და აზიის იმ შემაერთებელი კვანძით იყო გამოწვეული, უშუალოდ საქართველოში რომ ინასკვებოდა". მეორე მხრივ, იგი ამიერკავკასიის

სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, ევრაზიის მშვიდობიანი განვითარების ერთ-ერთ პირობად მიიჩნევდა.[139]

პრობლემისადმი ასეთი ფორმით მიდგომის მიუხედავად, ყურადღების მიღმა დატოვა ანტანტის სახელმწიფოთა ინტერესის ის სფერო, რომელიც საქართველოს ბუფერის როლს აკისრებდა. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში ანგარიში დამფუძნებელი კრების საზეიმო განწყობას და თვით მომხდარ ფაქტს საქართველოს სასარგებლოდ საერთაშორისო ასპარეზზე გადადგმულ ნაბიჯს გაუწია. ასეთი ფონის გათვალისწინებიდან გამომდინარე, დამფუძნებელ კრებას, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შესატყვისი ფორმის რეზოლუციის პროექტი წარუდგინა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. „დამფუძნებელი კრება აცხადებს, - ვკითხულობთ დოკუმენტში – რომ საქართველო შედის ფაქტიურად როგორც სრულუფლებიანი წევრი სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში, პირნათლად შეასრულებს ყოველივე საერთაშორისო მოვალეობას და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, რომელიც მან დიდი მსხვერპლის შეწირვით მოიპოვა, სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეებრძოლება ყველა თავდასხმას. მტკიცედ დაიცავს კეთილმეზობლურ განწყობილებას და უზრუნველყოფს შიგნით ეროვნულ უმცირესობათა სრულ თანასწორუფლებიანობას და მათი კულტურული განვითარების პირობას".[140] ამ დოკუმენტით ერთხელ კიდევ საჯაროდ იქნა დადასტურებული ქვეყნის ინტერესების დაცვის, დემოკრატიული სახელმწიფო რეფორმებისა და ნეიტრალიტეტზე დამყარებული პოლიტიკური კურსისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ერთგულება. რამდენადაც მმართველი პოლიტიკური პარტიის პირველ ხარისხოვან ამოცანას, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანა და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება წარმოადგენდა, დასახული მიზნის მისაღწევად, იგი ყველა სახეობის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად გახდომას ცდილობდა. ამ პოზიციიდან თუ განვიხილავთ მის მიერ გაწეულ საქმიანობას, ყურადღების ცენტრში ერთა ლიგისადმი დამოკიდებულება მოექცევა. ჩვენ არ შეუდგებით ამ ორგანიზაციის ისტორიის გადმოცემას, რადგან დაინტერესებულ მკითხველს სრული ინფორმაციის მოპოვება საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ შრომებში შეუძლია."[141] რაც შეეხება ქართული პოლიტიკური ელიტის ერთა ლიგით დაინტერესებას, პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის უზრუნველყოფის გარანტიის შექმნით იყო განპირობებული. ამის საფუძველს პარიზის საზავო კონფერენციაზე 1919 წლის 28 აპრილს მიღებული ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლი იძლეოდა. თუ რა გარანტიებს სთავაზობდა იგი აღნიშნული ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, ამის საილუსტრაციოდ

დოკუმენტიდან შესაბამის ამონაწერს მოვითანთ. „ლიგის წევრები ვალდებულებას კისრულობენ- ვკითხულობთ წესდებაში- პატივისცემით მოეპყრან და ყოველგვარი გარეშე თავდასხმისაგან დაიცვან ლიგის ყველა წევრის ტერიტორიული მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თავდასხმის, მუქარის ან თავდასხმის საშიშროების შემთხვევაში საბჭო მიუთითებს ღონისძიებებს ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად."[142]

თუკი ქართული მხარე დასახულ მიზანს მიაღწევდა, ამ დოკუმენტის მიხედვით კავკასიის რეგიონში მისი სახელმწიფოს უშიშროება უზრუნველყოფილი იქნებოდა. მეორეს მხრივ, იგი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლობასთან ურთიერთობების დამყარებისა და ქვეყნის ავტორიტეტის გაზრდის რეალურ შესაძლებლობებს ქმნიდა. პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ამ ორგანიზაციაში წევრად დაშვების შესახებ ქართული დელეგაციის მიერ ერთა ლიგის სამდივნოსადმია წარდგენილი 1919 წლის 21 მაისით თარიღდება. მიუხედავად ამისა, იმავე საკითხთან დაკავშირებით ლიგის სამდივნოსთან მათი საქმიანი მოლაპარაკებები (1919 წლის 15 ივლისი, 20 აგვისტო) და კონსულტაციები არ წყდებოდა.[143] აღნიშნულ ორგანიზაციასთან პერმანენტული ურთიერთობის შენარჩუნების ერთ-ერთ პირობად ქართველმა პოლიტიკოსებმა ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების დაარსება მიიჩნიეს. ეს ჩანაფიქრი 1919 წლის 7 დეკემბერს რეალობად იქცა და ახლადშექმნილი საზოგადოების თავმჯდომარედ- ალ. ლომთათიძე იქნა არჩეული. ქვეყნის მოსახლეობისადმი ერთა ლიგის მნიშვნელობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებამ ერთ-ერთ აუცილებელ პირობად დაისახა. ამის დამადასტურებლად ერთა ლიგის ქართული საზოგადოების 1920 წლის 12 ივნისის სხდომაზე მოსმენილი მოხსენებების ნუსხაც გამოდგება. 1) ერთა ლიგის მნიშვნელობა-ა.ჩხენკელი, 2) ისტორია და განხილვა ლიგის მოქმედებისა- ვ.ჩერქეზიშვილი, 3) მუშათა საკითხი და ერთა ლიგა- პ. საყვარელიძე, 4) ერთა ლიგის ქართული საზოგადოება-ვ.ღამბაშიძე, 5) საერთაშორისო უფლება და ერთა ლიგა-გ.გვაზავა, 6) ერთა ლიგის ისტორია და საერთო მიმოხილვა-ბ.ჩხიკვიშვილი.[144]

ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების პირველი მანდატი კ. ჩხეიძისა და ზ.ავალიშვილის სახელზე გაიცა. ამ დოკუმენტით მათ საერთაშორისო ერთა ლიგის ბრიუსელის მესამე კონფერენციაში მონაწილეობის უფლება მიეცათ, ხოლო საერთაშორისო ერთა ლიგის ასოციაციების მეოთხე კონგრესზე (1920 წლის 12-16 ოქტომბერი), საქართველოს წარმომადგენლად მ.ჯაყელი დაინიშნა. ალ.ლომთათიძის მიერ მ.ჯაყელისადმი შეტყობინებაში ვკითხულობთ:

„ერთა ლიგის მეოთხე კონფერენციაზე ერთა ლიგის ქართული საზოგადოების წარმომადგენლად ინიშნებით თქვენ გთხოვთ. მიიღოთ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში."[145] იქვე ჩამოთვლილი იყო ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვისა და მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობის მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუცია შეიცავდა. მისი გამოყენება მ.ჯაყელს საჭიროებისამებრ უნდა მოეხდინა. თუ როგორ შესძლო მან ამ მითითების შესრულება, სრულ წარმოდგენას მის მიერ კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება იძლევა. რეგლამენტით გათვალისწინებული პრინციპებიდან გამომდინარე მოკლედ და დახვეწილადაა გადმოცემული: 1) ქართველი ხალხის წარსული და მისი კულტურა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, 2) 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები, რუსეთისადმი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები, 3) რუსეთის ხელისუფლების მიერ საქრთველოს სახელმწიფოებრიობის ძალდატანებით გაუქმება, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, 4) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მიმდინარე რეფორმები, რომლებიც სახელმწიფოებრიობის მოწყობასა და მის სრულყოფას ითვალისწინებდა, 5) საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მოსალოდნელი საშიშროება და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების მიმდინარე პროცესები.[146]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, იგი კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების მისამართით აცხადებდა: „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია, რომლის სახელითაც მე მაქვს პატივი მივმართო უმაღლეს საბჭოს და აგრეთვე მთელი ქართველი ხალხი, სთხოვს ერთა ლიგას საბოლოოდ დაამტკიცოს ეს აღიარება. ერთა ლიგამ უნდა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკა თავის შემადგენლობაში და გაუწიოს მორალური მხარდაჭერა, რისი უფლებაც ამ რესპუბლიკას უდაოდ აქვს. ვიმედოვნებ, რომ უმაღლესი საბჭო დაუყოვნებლივ აღიმაღლებს თავის გავლენიან ხმას ჩვენი სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად."[147]

აღნიშნულმა მოხსენებამ, რომელიც მოზომილი ტაქტითა და დიპლომატის ფართო ხედვით იყო დაწერილი, უცხოელ მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კონგრესის თავმჯდომარის რუფინის რეკომენდაციით, საქართველოს ერთა ლიგის ასოციაცია, ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციის წევრად იქნა მიღებული.[148] ეს უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მომხდარი ფაქტით, საქართველოს საკითხი ერთა ლიგის სამდივნოს ყურადღების ცენტრში მოექცა. ამაზე მეტყველებს ერთა ლიგის მდივნის

დრიუმანის მიერ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი გამოგზავნილი ორი წერილი, რომლებიც 1920 წლის 25 აგვისტოთი და 20 ოქტომბრითაა დათარიღებული. აღნიშნული დოკუმენტები იტყობინებოდა, რომ ერთა ლიგის საზოგადო კრებაზე (სესიაზე) 15 ნოემბერს ჟენევაში საქართველოს საკითხის განხილვა იყო დაგეგმილი და წარმომადგენლის გაგზავნას მოითხოვდა. ამ მისიის შესრულება იმჟამად ევროპაში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს ე.გეგეჭკორს მიენდო. იმავდროულად საჭირო მანდატი და შესაბამისი დოკუმენტები გადაეგზავნა. ამის შესახებ ერთა ლიგის სამდივნოს ოფიციალურად ეცნობა.[149]

ერთა ლიგაში საქართველოს მიღების შესახებ ე.გეგეჭკორმა და ზ. ავალიშვილმა ერთა ლიგის ჟენევის კონფერენციას საგანგებო მემორანდუმით მიმართეს. მისი ძირითადი პრინციპები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) ერთა ლიგა, რომელიც მშვიდობის, თავისუფლების, ერების ურთიერთდაახლოებისა და დემოკრატიის დამყარებისათვისაა მოწოდებული, ქართველი ხალხი სიმპათიით ეკიდება მისი სურვილია იცნონ იგი განათლებულმა ერებმა. 2) ქვეყნის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა, ერთა ლიგის სამშვიდობო პოლიტიკაში საქართველოს აქტიური ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. ერთა ლიგის უფლებების კავკასიის რეგიონზე გავრცელება და რესპუბლიკის სიმტკიცე, ოსმალეთისა და სპარსეთის თავისუფალი განვითარების მტრის საფრთხისაგან მათი დაზღვევის მყარი გარანტი გახდება. მეორე მხრივ „კავკასიის ყელის სახელმწიფოთა სიმტკიცე საჭიროა იმიტომაც, რომ აზიის წინა ნაწილი არ გახდეს მსხვერპლი მეტოქეობისა და ჯიბრისა" 3) ერთა ლიგაში საქართველოს მიღებით გაადვილდება ამიერკავკასიაში ერთა ლიგის პოლიტიკის სრულყოფილად გატარება და მისი მართვა. მეორე მხრივ საქართველოში გამავალი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საერთაშორისო გზის დაცვისა და სრულფასოვნად გამოყენების შესაძლებლობა შეიქმნება. ძლიერი საქრთველო ერთა ლიგის მყარი დასაყრდენი გახდება აღმოსავლეთში, რადგან მისი როლი და მნიშვნელობა, კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულია. „გარდა ზემომოყვანილი მოსაზრებისა –ვკითხულობთ დოკუმენტში- საქართველოს მთავრობა ფიქრობს რომ თვით პრინციპი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს საერთაშორისო ცხოვრება, სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვს ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი წევრის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდად."[150]

როგორც ვხედავთ, ქართული დიპლომატიის მესვეურებმა, ერთა

ლიგაში საქართველოს მიღების თხოვნა დიპლომატიურ მოქნილობას, საერთაშორისო პოლიტიკაში ამიერკავკასიის რეგიონში საქართველოს როლის წინწამოწევას და ამ საკითხით, ევროპის სახელმწიფოთა ერთხელ კიდევ დაინტერესებას დაამყარეს. მაშინ, როდესაც ალნიშნული მემორანდუმით ე. გეგეჭკორი და ზ.ავალიშვილი ევროპის საელმწიფოებს ერთა ლიგაში საქართველოს მიღების აუცილებლობას უმტკიცებდნენ, ქართველი კანონმდებლები ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს შესვლის მიზანშეწონილებაზე მსჯელობდნენ: დამფუძნებელი კრების 54-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა: ერთა ლიგაში საქართველოს მისაღებად ქართული დელეგაციის მიერ გაწეულ საქმიანობაზე აკ. ჩხენკელისა და კ.ბაბახტარაშვილის ინფორმაციამ, სოციალისტ-რევოლუციონერების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.ფრაქციის სახელით ლ.შენგელაიამ ერთა ლიგა საქართველოსთვის არახელსაყრელად მიიჩნია და საკითხის რეფერენდუმზე გატანა მოითხოვა. მისი მტკიცებით, ერთა ლიგა გამარჯვებული იმპერიალისტების ორგანიზაცია იყო და მიზნად პატარა ერების დამორჩილებას ითვალისწინებდა. „ჩვენ არ შეგვიძლია იქ შესვლა- ამბობდა ლ.შენგელაია- ვინაიდან ეს არის ერთგვარი ინტერნაციონალი, ბურჟუაზიული ინტერნაციონალი, შავი ინტერნაციონაციონალი."[151] საპასუხო გამოსვლებში გ.გვაზავამ, გრ.რცხილაძემ, კ.გვარჯალაძემ და აკ.ჩხენკელმა დაასაბუთეს ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის აუცილებლობა და მიუთითეს საქართველოსათვის მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. „ერთა ლიგაში შესვლა- ამბობდა აკ.ჩხენკელი- საჭირო არის და ამაში ეჭვი არ მეპარება... მე ვფიქრობ, რომ ჩვენ იქ ვითამაშებთ იმავე როლს, რა როლსაც ვთამაშობთ ინტერნაციონალში. ეს არ იქნება წასაგები ჩვენთვის... ვიმედოვნებ, რომ პოლიტიკურად საქართველო, როგორც სახელმწიფო, ისეთსავე ფხას გამოიჩენს სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში, როგორც მისმა მმართველმა პარტიამ ინტერნაციონალში გამოიჩინა."[152] რამდენადაც დამფუძნებელი კრების უმრავლესობა რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისადმი მხარდაჭერას გამოხატავდნენ, ბუნებრივია რეზოლუციაც შესაფერისი იქნა მიღებული. „დამფუძნებელი კრება - ვკითხულობთ დოკუმენტში- იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს რესპუბლიკის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ და ავალებს მთავრობას მომავალში განაგრძოს ამ მხრივ მუშაობა, რათა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიღებულ იქნას სრულუფლებიან წევრათ ერთა ლიგაში."[153]

ჩვენ არ შეუდგებით იმის გადმოცემას, რა დამატებითი ღონისძიებები იქნა გატარებული დასახული მიზნის მისაღწევად. მხოლოდ

აღვნიშნავთ, რომ ერთა ლიგის მიერ 1920 წლის 15 ნოემბრისათვის დანიშნულ ჟენევის კონფერენციისათვის, საქართველოს შესახებ მასალები საფუძვლიანად იყო მომზადებული. რამდენიმე კომისიის გავლის შემდეგ, დადებითი დასკვნით იგი განსახილველად მე-5 განსაკუთრებულ კომისიას გადაეცა, რომელმაც ერთა ლიგაში საქართველოს მიღებაზე უარყოფითი განაჩენი გამოიტანა. თუ რა მწვავე დებატებით მიმდინარეობდა აღნიშნული საკითხის განხილვა ამის შესახებ სრულ ინფორმაციას გაზეთ „ერთობაში" დაბეჭდილი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში იძლევა.[154]

როგორც ცნობილია ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას 24 სახელმწიფოდან მხარი 10 სახელმწიფომ დაუჭირა (საჭირო იყო 16) ესენია: იტალია, ნორვეგია, პორტუგალია, შვეიცარია, სამხრეთ აფრიკა, ჩილე, სპარსეთი, კოლუმბია, ბოლივია და პარაგვაი. აღნიშნული „მარცხი" ევროპის უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებამ საქართველოს დე-იურე ცნობის შესახებ ნაწილობრივად შეარბილა. 1918-1921 წლებში საქართველო დე-ფაქტო 13 სახელმწიფომ, ხოლო დე-იურე 17, მათ შორის გასაბჭოებამდე 15 სახელმწიფომ ცნო.[155] ამით ფაქტობრივად მიღწეულ იქნა ის ძირითადი მიზანი, რისთვისაც მმართველი პოლიტიკური პარტია და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, წლების განმავლობაში საქართველოს საერთაშორისო აღიარებისთვის იბრძოდნენ.

ამრიგად, 1) საქართველოს ისტორიითა და კულტურით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის დაინტერესების მცდელობა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის პირობების შემამზადებელ ნაბიჯს წარმოადგენდა. მეორე ინტერნაციონალის ლიდერების საქართველოში ჩამოსვლა, იდეოლოგიურთან ერთად, პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენდა. ევროპის მასშტაბით საქართველოს შესახებ მათ მიერ გაწეული პროპაგანდა, სწორი ინფორმაციის გავრცელებას, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოსადმი თანადგომას და მისადმი არსებული ბრალდებების დასაბუთებულ პასუხსაც წარმოადგენდა. 2) ქართველი ხალხის სულიერი და ეროვნული მისწრაფებების იგნორირების აშშ-ს მცდელობას, ქართულმა დიპლომატიამ ღირსეული პასუხი გასცა. საგანგებო მემორანდუმით ბ.კოლბის ნოტის არა მარტო ალოგიკურობა ამხილა, არამედ საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებითა და ვილსონის „14 პუნქტზე" დაყრდნობით, ახალფეხადგმული სახელმწიფოს ინტერესები დაიცვა და საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობა დაასაბუთა. 3) დენიკი-

ნის მარცხმა და რუსეთში პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ, პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა საქართველოსაკენ შემობრუნება დააჩქარა. საქართველოს „დე-ფაქტო" და „დე-იურე" აღიარების დაგვიანებით განხორციელების მიუხედავად, იგი ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ დადებითად შეაფასა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მერყეევმა პოლიტიკამ და ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანებაზე უარის თქმამ, საბჭოთა რუსეთს კავკასიაში აქტიური მოქმედების და საქართველოს გასაბჭოების რეალური პერსპექტივა დაუსახა.

§ 4 საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და ქართული სოციალ-დემოკრატია

დამოუკიდებელი საქართველს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ურთულესი სფერო საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა იყო. ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რუსული ორიენტაცია ქვეყნის დაღუპვის ზღვრამდე მიყვანას რომ მოასწავებდა, ამიტომ პრიორიტეტს დასავლეთს ანიჭებდნენ. მიუხედავად ამისა, თანასწორობის პრინციპზე აგებული ურთიერთთანამშრომლობის უარყოფას სულაც არ აპირებდნენ, ბარიერს მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მიერ იმპერიის დაშლის შედეგად წარმონაქმნი რესპუბლიკებისადმი „საღვთო ომის" გამოცხადება ქმნიდა. რამდენადაც საქართველოს რუსეთის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდნენ, ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე „ურჩი ქვეშევრდომის" სანიმუშოდ დასჯასაც კი ითვალისწინებდნენ.

ამასთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს 1918 წლის აგვისტოს სხდომაზე-რუსეთის მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში გაბრიელ ხუნდაძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყველა იმ ერს, რომელმაც ისარგებლა ერთა თვითგამორკვევის პრინციპით და ბოლშევიკური მთავრობა არ იცნო, ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს. ტროცკიმ წინადადება მისცა ადმირალ საბლინს, ფლოტი საბრძოლველად გაემზადებია და სევასტოპოლიდან გაელაშქრა ჩხენკელის მთავრობის წინააღმდეგ". ამას ბოლშევიკები არ ეძახიან ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ გალაშქრებას."[156] როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება. საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა დღის წესრიგში იდგა. ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, მხოლოდ „მოხალისეთა არმიის" შეტევითმა ოპერაციებმა და ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყებამ ჩაშალა. იძულებიდან გამომდინარე ამიერკავკასიის სახელმწი-

ფოების მიმართ საბჭოთა რუსეთმა მტრული პოლიტიკური კურსი გარეგნულად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მცდელობის ნიღბით შეცვალა. ამის დამადასტურებლად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის გ. ჩიჩერინის მიერ აზერბაიჯანის, დაღესტნის და საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი გაგზავნილი „მოწოდება“ გამოდგება. დოკუმენტის მიხედვით, ერთა თვითგამორკვევის აღიარების პრინციპიდან გამომდინარე, თითქოს საბჭოთა რუსეთის მიზანს აღნიშნული რესპუბლიკების დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერა წარმოადგენდა. „თუ თქვენ კავკასიის მუსლიმანები და ქართველები-ვკითხულობთ მოწოდებაში - კმაყოფილნი ხართ თქვენი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი წესებით, იცხოვრეთ თქვენთვის წყნარად, თვითგამორკვევით და აღადგინეთ ჩვენთან კეთილმეზობლური განწყობილება.”[157] როგორც ვხედავთ „მოწოდება” აღნიშნული სახელმწიფოების პოლიტიკური კურსის ძირითად გამტარებლებს-მთავრობებს იგნორირებას უკეთებს და ყურადღება მხოლოდ რიგით მოქალაქეებზე გადააქვს. ეს კი მათი სახელმწიფოებრიობის არ ცნობის უდაო დამადასტურებელია. დოკუმენტში გამოთქმული შემრიგებლური პათოსი და „ერთა თვითგამორკვევის” საბჭოური აღიარებისადმი მხარდაჭერა, გაზეთმა „ერთობამ” ეჭვის დააყენა. თავისი პოზიციის გასამაგრებლად, ბოლშევიკების სიტყვასა და საქმეს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო, კერძოდ, საქართველოში მათი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ფაქტები მოიშველია და მოსკოვის „სამშვიდობო” კურსისადმი ნდობა, შეუძლებლად გამოაცხადა. „ჩვენ კი ჩვეულნი ვართ – წერდა გაზეთი - საქმეს დავუჯეროთ, და სანამ ბოლშევიკების სიტყვასა და საქმეს შუა ჰარმონია არ იქნება, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკაც ბოლშევიკებისადმი მათ მოქმედებასთან იქნება შეფარდებული და არა მათ „მოწოდებასთან.”[158] ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურები მიმდინარე პროცესებს სწორად აფასებდნენ და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რით იყო განპირობებული ამიერკავკასიის სახელმწიფოებისადმი რუსეთის “დამთმობლური“ ნაბიჯი, ამომწურავ პასუხს საქართველოს მთავრობისადმი ჩიჩერინის მიერ გამოგზავნილი ნოტა იძლევა. ეს დოკუმენტი საქართველოს მთავრობას მერყევი პოლიტიკური კურსის დაძლევის აუცილებლობაზე მიუთითებდა და დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა რუსეთთან სამხედრო ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობდა.[159] თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ჩრდილოელი მეზობლის მიერ შემოთავაზებული წინადადების მიღება და თანხმობის შემთხვევაში რას მისცემდა საქართველოს, ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება გაზეთ „ერთობაში” გამოქვეყნებულმა მოწინავე

წერილმა „კომუნისტების წინადადება საქართველოს მთავრობისადმი" მიიქცია. იგი საზოგადოებას შეახსენებდა: 1) საქართველო, რომელიც დენიკინთან საომარ მდგომარეობაში 1919 წლიდან იმყოფებოდა, „სამხედრო კავშირის" შეკვრის გარეშედაც ეომებოდა, იმავდროულად, მეზობელი რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკის დენიკინის საფრთხისაგან თავდაცვისათვის დაქვემდებარებას ცდილობდა. 2) საბჭოთა რუსეთს „სამხედრო კავშირი" მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამოქალაქო ომში ჩათრევისათვის ესაჭიროებოდა. მიზნად საქართველოსადმი ევროპის სახელმწიფოების გადამტერებას და ბლოკადას ითვალისწინებდა, რომელიც ქვეყანაში უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს წარმოქმნიდა. „ეს ნიშნავს-წერდა გაზეთი - შიმშილის ათჯერ გაზრდას, ეს ნიშნავს ჩვენი მცხოვრებთა გადაშენების გზაზე დაყენებას. შეიძლება რუსეთის ასმილიონიანმა ერმა ამ უბედურებას გაუძლოს, მაგრამ ჩვენი ორ მილიონიანი ერი ამას ვერ გაუძლებს, წელში გატყდება და საბოლოოდ აღიგვება ქვეყნიდან. ბოლშევიკებს ასეთი შედეგი არ აშინებთ, რადგან ისინი ერს, როგორც ასეთს არ უფრთხილდებიან. ერი მათთვის მხოლოდ საშუალებაა სხვა მიზნისათვის. ჩვენთვის კი ერის შენახვა უმაღლესი მიზანია."[160] 3) იდეურად მოწინააღმდეგე მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან „სამხედრო კავშირის" შეკვრა „დაუფიქრებელი და შეუწყნარებელი ნაბიჯი იქნებოდა, რადგან... დარწმუნებული არა ვართ,- წერდა გაზეთი- რომ დღევანდელი მოკავშირენი" ხვალ ზვარაკად არ შეგვწირავენ კომუნისტური ღმერთების სამსხვერპლოზე."[161]

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იმავე გაზეთმა სტატიაში - „უცნაური გაუგებრობა" თავისი პოზიცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „დღევანდელ პირობებში, როცა რუსეთში ანარქია მძვინვარებს და ამ ანარქიის გამომწვევ ორ ძალასთან ლენინ-დენიკინთან გვაქვს საქმე ჩვენ ყოვლად შეუძლებლად ვთვლით რაიმე სახელმწიფოებრივი კავშირის გაბმას როგორც ერთ ისე მეორე ძალასთან."[162] ხოლო მომდევნო წერილში „რეაქციის წინააღმდეგ" ვკითხულობთ" „ბოლშევიზმის აყოლა დენიკინის გულისთვის ნიშნავს მეორე უკიდურესობაში ჩავარდნას, გზის აბნევას და ამით თავის დასამარცხებლად უეჭველი ნიადაგის მომზადებას. ჩვენი მიზანი ნათელია: დემოკრატიის საშუალებით, დემოკრატიული რევოლუციური მეთოდებით დენიკინის დამხობა და ბოლშევიკური ანარქიის თავიდან აცილება. ამ ორი დიდი მიზნის ერთად განხორციელება იხსნის.. ჩვენს მხარეს მოსალოდნელი განადგურებისაგან."[163] როგორც ვხედავთ, აქ გამოკვეთილადაა ნაჩვენები დენიკინთან და ბოლშევიზმთან მმართველი პოლიტიკური პარტიის ნეგატიური დამოკიდებულება.

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ რუსეთისადმი უნდობლობის

დემონსტრირება გააკეთა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს გარკვეული მიმართულებაც მისცა, მაგრამ აუცილებლობა საკითხის სამთავრობო დონეზე შეფასებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს ე.გეგეჭკორის საპასუხო ნოტა იქცევს. რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური, სამშვიდობო ურთიერთობის დამყარებას იგი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა და სათანადო გზების ძიების აუცილებლობაზეც მიუთითებდა. ასეთი პრეამბულის შემდეგ, ნოტა საბჭოთა რუსეთთან სამხედრო კავშირის დადებას და დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამ გადაწყვეტილების მიღების ძირითად არგუმენტად ე.გეგეჭკორი შემდეგ გარემოებებს ასახელებდა: ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ნეიტრალიტეტის დაცვას ეფუძნებოდა, ბ) დენიკინთან 1919 წლიდან საომარი მდგომარეობის მიუხედავად, შეტევითი ომის შეუძლებლობიდან და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო მხოლოდ თავდაცვითი ოპერაციების განხორციელებით იფარგლებოდა, გ) დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში რსფსრ ტერიტორიაზე ქართული მხედრობის მონაწილეობა, საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას წარმოადგენდა.[164] დიპლომატიური ნორმების დაცვით შედგენილმა დასაბუთებულმა პასუხმა, რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს როგორც ჩანს, წონასწორობა დააკარგვინა. ამის დადასტურებას ე.გეგეჭკორისადმი გამოგზავნილი ნოტის (1919 წლის 31 იანვარი) შინაარსი წარმოადგენს. იგი პოლემიკური ხასიათის გამო დიპლომატიურ ჩარჩოს ცილდებოდა და რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლებისადმი წინასწარგამიზნულ ბრალდებების ახალ წყებას შეიცავდა.[165] საპასუხო ნოტით (7 თებერვალი), ე. გეგეჭკორმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წამოყენებულ პრეტენზიებს არა მარტო დამაჯერებელი პასუხი გასცა, არამედ სააშკარაოზე გამოიტანა ის ძირითადი მიზეზები, რასაც რუსეთის მხარე ზემოთდასახელებული ნოტის გავრცელებით ითვალისწინებდა. „აღნიშნული რადიოდეპეშის შინაარსი და ხასიათი – ვკითხულობთ ე. გეგეჭკორის ნოტაში - საქართველოს მთავრობას სრულ საბუთს აძლევს იფიქროს, რომ საბჭოთა მთავრობა ცდილობს საქართველოს რესპუბლიკის პრესტიჟი დასცეს ყალბ ცნობებზე მითითებით, რომლით სარგებლობასაც მე სრულებით მიუღებლათ ვთვლი."[166] გ.ჩიჩერინის ბრალდებებს ე. გეგეჭკორი ზნეობრივ-პოლიტიკური კუთხით განიხილავდა და მის შეფასებასაც იძლეოდა. აკეთებდა დასკვნას, რომ რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას თვით საბჭოთა მთავრობა აფერხებდა. „ჩემი მთავრობის რწმენებით ვაცხადებ, -ვკითხულობთ ნოტაში – რომ საქართველოს რესპუბლიკის მხრივ ამ დამოკ

იდებულებათა დასამყარებლად არავითარი დაბრკოლება არ არსებობს და იმედს გამოვთქვამ, რომ საბჭოთა მთავრობა თავის მომავალ პოლიტიკაში მოძებნის ქართველი ხალხისათვის მისაღებ ენას."[167] ეგეგეჭკორის ეს იმედი არ გამართლდა, რადგანაც რუსეთის ხელისუფლების მესვეურებმა, მეზობელი სახელმწიფოების ჩაწიხლვისა და მათზე მედიდური ზედამხედველობის ბარიერის დაძლევა ვერ შეძლეს. პირიქით, დიპლომატიურ პაექრობაში საქართველოსთან მიმართებაში დაგროვილი ღვარძლი და მტრული დამოკიდებულება სრულყოფილად გამოამზეურეს. ამის დადასტურებას გ.ჩიჩერინის მესამე ნოტა № 432 წარმოადგენს, რომელიც 1920 წლის 19 თებერვლითაა დათარიღებული. იგი ბრალდებების ახალ „სერიალთან" ერთად, საქართველოსადმი საბჭოთა რუსეთის „რისხვის" განმაპირობებელ ძირითად მიზეზსაც ხსნის. „მიუხედავად ყველაფრისა – ვკითხულობთ ნოტაში - რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა იმედოვნებდა, რომ გეგეჭკორის მთავრობა ვერ გაბედავდა უარი ეთქვა ერთად ბრძოლაზე რუსეთისა და საქართველოს მშრომელი მასის საერთო მტრის წინააღმდეგ."[168] აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი, კერძოდ, „უარის თქმის გაბედვა" ჩრდილოელი მეზობლისაგან შემოთავაზებულ „საომარ ხელშეკრულებაზე". როგორც ჩანს, დროის ცვალებადობამ რუსულ ცნობიერებაზე ზემოქმედება ვერ მოახდინა. „პატარა ერებისა და სახელმწიფოებისადმი" ზემოდან მბრძანებლური მითითების ტრადიციული ამბიციები ხელუხლებლად შეუნარჩუნა. მიუხედავად ამისა, ქართულ სოციალ-დემოკრატიას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში თავისი პრინციპული პოზიცია არ შეუცვლია. პირიქით, იგი ქართველი ერისა და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების რანგში აიყვანა. გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ჩიჩერინის მესამე ნოტა" ამ დოკუმენტს „სიცრუისა და ჭორიკანობის დაუშრეტელ ზღვას" უწოდებს და დასტურად, ჩიჩერინის მიერ წამოყენებული ყოველი ბრალდების გასაბათილებელი ფაქტები მოჰყავს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოზე თურქეთის თავდასხმის მომენტში, სოხუმის ოლქში ბოლშევიკთა მიერ საგანგებოდ მოწყობილ აჯანყებაზე ამახვილებს. იმავდროულად, ნოტის ავტორს ბრესტის საზავო ხელშეკრულებასაც შეახსენებს. „ამისთანა წამების გახსენებით – ვკითხულობთ წერილში- არა გვგონია ბოლშევიკებმა მოიგონ რამე. კეთილგონიერება მოითხოვდა, რომ ჩიჩერინს დავიწყებისათვის მიეცა ისეთი სახელოვანი საზავო ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დასდო, ხელშეკრულება, რომელიც ამიერკავკასიის დემოკრატიის გაწირვას და გაყიდვას უდრის, რომლითაც ლენინის მთავრობამ ოსმალთა ფაშების ფეხქვეშ განართხო ჩვენი დემოკრატია, მთელი

ჩვენი ერი, ყველა ის, რაც რევოლუციის გზით მოვიპოვეთ."[169] რაც შეეხება, რუსეთის წინააღმდეგ, საქართველო-ოსმალეთის შეთქმულების ბრალდებას, იმავე სტატიაში ვკითხულობთ: „პოლიტიკური გულუბრყვილობით, ანდა საზღაპრო უტიფრობით უნდა ავხსნათ, რომ ბატონი ჩიჩერინი.. რამდენჯერმე იხსენიებს ჩვენს ვითომდა „შეთანხმებას" ოსმალ-ფაშასთან ასეთი ლაპარაკი „ოსმალ-ფაშების" შესახებ ბ-ნი ჩიჩერინის მხრივ, სხვა რომ არა ვთქვათ-რა, უზრდელობაა საბჭოთა რუსეთის დღევანდელი მოკავშირისადმი, რომლებთანაც ბოლშევიკურ მთავრობას ნამდვილი ბლოკი აქვს შეკრული და რომლებთანაც ერთად აწარმოებს მთელ თავის პოლიტიკას აღმოსავლეთში და ამიერკავკასიაში. გაბედოს ჩიჩერინმა ამ ფაქტის უარყოფა."[170] ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ 1920 წლიდან მუსტაფა ქემალსა და ლენინს შორის მიმოწერა თურქეთისადმი დახმარების შესახებ მართლაც მიმდინარეობდა. ხოლო თურქეთის ეროვნულმა კრებამ (1920 წლის 12 ივლისი), რსფსრ სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილი შეტყობინებით, რუსეთის სფს რესპუბლიკისადმი თურქეთის მოკავშირეობა ოფიციალურად აღიარა.[171] ამ ფაქტთან დაკავშირებით, საბჭოთა რუსეთმა საპასუხო ნაბიჯი გადადგა. იმავე წლის ივნისში, მუსტაფა ქემალ-ფაშას გჩიჩერინმა საგანგებო ნოტა გაუგზავნა, რომელშიც თურქეთისადმი დამოკიდებულება გამოკვეთილად იყო დაფიქსირებული. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში დოკუმენტში ვკითხულობთ: „საბჭოთა მთავრობამ მიიღო თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენ სურვილს გამოთქვამთ მუდმივი კავშირი დაიკავოთ საბჭოთა მთავრობასთან და მონაწილეობა მიიღოთ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ერთნაირად ემუქრება ორივე ქვეყანას.. საბჭოთა მთავრობა იღებს ცნობათ დიდი ნაციონალური კრების გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რათა ჩვენი მუშაობა დასამხედრო ოპერაციები იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ შეთანხმებული იყოს... დღეს, როდესაც ოსმალეთი განიცდის დიდ ტანჯვას, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულის სიხარულით ჰკრავს მეგობრულ კავშირს, რომელმაც უნდა შეაკავშიროს რუსეთისა და ოსმალეთის ხალხები."[172] აღნიშნული ფაქტებით დასტურდება, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის გულისწყრომა რეალური სინამდვილიდან გამომდინარეობდა. ხოლო ზემოთ მითითებული წერილის მწვავე პოლემიკური ხასიათი საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილი ცოდვების სააშკარაოზე გამოტანას და საზოგადოების წინაშე სრული სახით წარმოჩენას ითვალისწინებდა. რაც შეეხება რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებას, მასში ორივე სახელმწიფოს ინტერესები იყო ჩადებული. რუსეთის მოკავშირეობიდან გამომდინარე, თურქეთის მიზანს ანტანტისადმი დაპირისპირება და დან-

აწილებისგან ოსმალეთის გადარჩენა წარმოადგენდა. ხოლო რუსეთს, კავკასიაში გაბატონებით, ახლოაღმოსავლეთში წინსვლისათვის მტკიცე დასაყრდენის შექმნა ქონდა ჩაფიქრებული. ამასთან დაკავშირებით მ. მანდელშტამმი გაზეთ „სლოვო"-ში გამოქვეყნებულ წერილში გარკვევით მიუთითებდა, რომ „ევროპა სადაც მრეწველობა განვითარებულია, ზურგს აქცევს ბოლშევიზმს. კრემლი კი თვალებს აღმოსავლეთისკენ აპყრობს. საქართველო გზაზეა და ბოლშევიზმი შეეცდება მის დამორჩილებას."[173] ხოლო გაზეთი „ტანი" იმავე საკითხთან დაკავშირებით იუწყებოდა;" მუსტაფა ქემალს მჯიდრო დამოკიდებულება აქვს ლენინთან, რომელთანაც იგი იმუშავებს საბჭოთა მთავრობის მცირე აზიის საქმეებში ჩარევის გეგმას."[174] ეს იმის დამადასტურებელია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი უშუალოდ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. მეორე მხრივ, აშკარათ გამოიკვეთა მისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკა. აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, ბოლშევიკების და მეფის რუსეთის პოლიტიკურ მისწრაფებათა იდენტურობა. ამ საკითხთან მიმართებაში ქართულ სოციალ-დემოკრატიას გამოკვეთილი პოზიცია გააჩნდა. ამის შესანიშნავ მაგალითს გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „წითელი არმიის კავკასიასთან მოახლოების გამო" წარმოადგენს.

მეფის დრიონდელი და საბჭოთა რუსეთის იდეოლოგიურ პოლიტიკ ური ხაზის ურთირთდაპირისპირების ფონზე, მათი იდენტიფიკაციაა დადასტურებული. ამის ერთ-ერთ ნიმუშად გაზეთი „ინოროდცებისადმი" დამოკიდებულებას ასახელებდა. მისი თქმით, ორთავენი არარუსი ერების სურვილსა და მისწრაფებებს იგნორირებას უკეთებდნენ, ხოლო დაპყრობის პოლიტიკის გატარებას მისაღებად სთვლიდნენ. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატია საზოგადოებას შეახსენებდა: „რა სანელებლითაც გინდათ შეანელეთ ბოლშევიკების პოლიტიკა, თუნდაც ამ სანელებელს „კომუნიზმი" ეწოდებოდეს ერს იგი ისევე უნდა ემწაროს, როგორც ემწარებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკა, რადგან ერისათვის მას მოაქვს ძალდატანება, წელში გატეხა და კულტურული დაქვეითება."[175] მეორე ძირითად არგუმენტად იგივე გაზეთი რუსეთის „ახლოაღმოსავლეთის პოლიტიკას" ასახელებდა, მის ორბუნებიანობაზე და მაკიაველიზმზე მიუთითებდა. იმავდროულად ყურადღება „სოციალური რევოლუციის გაღრმავების" ნიღბით ცარიზმის პოლიტიკის დაფარვის მცდელობაზე გადაჰქონდა. შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე, საბჭოთა და ძველი რუსეთის პოლიტიკურ კურსს საქართველოსთვის მიულებლად აცხადებდა. „რუსეთის იმპერიამ- წერს გაზეთი- „დიდი რუსეთის" ლოზუნგით შემოდგა ფეხი საქართველო-

ში. შესაძლებელია საბჭოთა რუსეთმა „კომუნიზმის" ლოზუნგით მოინდომოს „წითელი არმიის" შემოყვანა ჩვენს საზღვრებში... ჩვენმა ხალხმა... კარგად იცის, რომ მისთვის არავითარი განსხვავება არ არის, რომელი უცხო ჯარი შემოდის საქართველოში ძალადატანების მიზნით, ძველი რუსეთისა თუ საბჭოთა რუსეთისა."[176]

როგორც ვხედავთ, რუსული საფრთხე აისბერგივით იყო დაძრული და მიზანდასახულად საქართველოსკენ მოექანებოდა. ამ პროცესს ნატყუარ ფაქტებზე აგებული ბოლშევიკთა ანტიქართული პროპაგანდაც უწყობდა ხელს. იგი ახლოაღმოსავლური პოლიტიკის განსახორციელებლად ჩაფიქრებული ოპერაციისათვის, შესაბამისი დასაყრდენი ბაზის მომზადებას და მისეული ქმედების სამომავლოდ „გამართლებას" ითვალისწინებდა. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ, საქართველოსადმი გამოთქმული პრეტენზიების შესახებ დაწერილებითაა საუბარი ამხანაგის (მ.ს. ლომთათიძე) ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ნაშრომში „კომუნისტურ რუსეთში". მისი ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ა) საქართველო საბჭოთა რუსეთის ყველაზე ძლიერი და დაუძინებელი მტერია, რადგან ნ.ჟორდანიამ საქართველოში „კედელი აღმართა" და საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთს მოწყვიტა. ლენინის მთავრობას აღმოსავლეთში „რევოლუციის ცეცხლის შეტანაში" ხელი შეუშალა, ბ) ნ.ჟორდანიას მთავრობის დამარცხება, რუსულ მენშევიზმს საზრდოს გამოაცლის და მის სრულ ლიკვიდაციას დააჩქარებს. გ) ნ.ჟორდანიამ, ი.წერეთელმა, კ.ჩხეიძემ და ნ.რამიშვილმა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი საბჭოთა რუსეთს დაუპირისპირეს და მათი მეშვეობით" რუსეთს ევროპაში უცქერიან როგორც ველურების ქვეყანას."[177] რამდენადაც, საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური მისწრაფებების „შემაფერხებელი ბარიერის" როლში საქართველო აღმოჩნდა, უმაღლეს ეშელონებში მის წინააღმდეგ მოქმედების შესაბამისი გეგმაც მომზადდა. 1920 წლის თებერვალში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე მ.კალინინი აცხადებდა, „თბილისმა უნდა ითამაშოს მოსკოვის როლი აღმოსავლეთში, ის უნდა გადაიქცეს მეორე მოსკოვად" და იქვე აჟენებდა საკითხს. „ავიღოთ საქართველო თუ ხმლით არა „ნებით" მაინც."[178] იმ შემთხვევაში თუკი საქართველო დამოიკიდებლობაზე ნებით ხელს არ აიღებდა, მოსკოვის გენშტაბის მიერ გამოცემული რუსეთის რესპუბლიკის რუკების მიხედვით, მისი საზღვარი მდინარეებზე - ბზიფსა და ჩოლოქზე გაივლებოდა. ამ ფაქტს საბჭოური პრესა შემდეგნაირად ხსნიდა: „ბაქო ჩვენ გვინდა, უმისოდ ვერ გავძლებთ, ხოლო ბაქო უბათუმოდ არაფერია, ამისათვის კლიტეც ჩვენს ხელში უნდა იყვეს. თქვენ კი არ გიშლით ცხოვრებას იყავით თქვენთვის დამოუკიდებელი"[179] სხვათაშორის დენიკინიც ასე მსჯელობდა. „ბაგრა

ჩემია, თქვენ ბზიფიდან გეკუთვნით, ხოლო ბათუმი ხომ რასაკვირველია რუსეთის არის."[180]

ზემოთ აღნიშნულ რუკაზე რუსეთ-საქართველოს საზღვარი ზუსტად ისე იყო გავლებული, როგორც დენიკინს ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს კი, საქართველოსთან მიმართებაში დენიკინისა და საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკური კურსის იდენტიფიკაციაზე მეტყველებს. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ხელისუფლება საბჭოთა რუსეთის მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებაზე თანხმობას განაცხადებდა და ორი მოდავე აგრესორიდან უპირატესობას თუნდაც რომელიმე მათგანს მისცემდა, ეს ნაბიჯი ქართული სახელმწიფოსათვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები იმის უდაო დადასტურებაა, რომ ამიერკავკასიის რეგიონი და მათ შორის საქართველო, გარდუვალი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ასეთ რთულ სიტუაციაში სომხეთ-აზერბაიჯანს შორის დაწყებული საომარი მოქმედება, (1920 წლის მარტი). რეგიონის გარშემო მიმდინარე პროცესების გაუთვალისწინებლობის შედეგი იყო. მისი შემდგომი გაღრმავება, ამიერკავკასიაში საბჭოთა რუსეთის გააქტიურებას უწყობდა ხელს და საქართველოსაც გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებდა.

ბუნებრივია, ქართველმა პოლიტიკოსებმა, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი საქართველოს დამფუძნებელი კრების მეათე საგანგებო სხდომის (1920 წლის 8 აპრილი) მსჯელობის საგანი გახადეს. მიღებული რეზოლუცია, აღნიშნულ ომს, ამიერკავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისადმი მომაკვდინებლად აცხადებდა. რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, საერთო კავკასიურ კონფერენციაზე სადაო საკითხების გატანას მოითხოვდა და ორთავე მხარეს არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისაკენ მოუწოდებდა.[181]

ეს ანგარიშგასაწევი წინადადება, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა. მტაცებლურმა და ურთიერთ დასუსტების პოლიტიკამ ორივე ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგები გამოიღო. იგი აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით გამოვლინდა. რაც შეეხება აზერბაიჯანზე რუსეთის ჯარის თავდასხმას, ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ რეაგირება მაშინვე გააკეთა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო (27 აპრილი). ქართული მხარე საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულების (1919 წლის 16 ივნისი) პირველი მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას-ურთიერთდახმარების შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა, თუკი აზერბაიჯანის მოსახლეობა მტერს წინააღმდეგობას გაუწევდა, ხოლო

მთავრობა, საქართველოს ხელისუფლებას დახმარებისათვის ოფიციალურად მიმართავდა.[182]

ქართულ მხარეს, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულება არ დასჭირვებია, რადგან მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ამის შესახებ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომაზე ნ. ჟორდანია ამბობდა: „ბოლშევიკები მივიდნენ სწრაფი მატარებლებით... სრულიად უმნიშვნელო ძალებით- ორი ჯავშნიანი მატარებლით. მათი უკან გარეკვა და მატარებლების დაკავება შეეძლო მცირე ძალას, მაგრამ ვინაიდან ამის სურვილი არ იყო, ბოლშევიკების შესვლა უბრალო გასეირნებად გადაიქცა."[183] ხოლო გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ბოლშევიკური გადატრიალება ბაქოში" მომხდარ ფაქტს შემდეგნაირად აღწერდა: „აქ არ იყო არავითარი ომი, არავითარი თავდაცვა; ბოლშევიკები მოვიდნენ ჩრდილოეთიდან ისე, როგორც ჩვეულებრივი მგზავრები მოდიან სასწრაფო მატარებლით. მათ წინ არ დახვედრიათ არავითარი წინააღმდეგობა, არავითარ ჯარს არ შეუშლია მათთვის ხელი."[184] ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობამ და მთავრობამ ქვეყნის გასაბჭოებას (1920 წლის 28 აპრილი) მხარი დაუჭირა. ამ აქტით, საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთიდანაც დაუმეზობლდა საქართველოს, რითაც მისი დამოუკიდებლობა რეალური საფრთხის წინაშე დააყენა.

მომხდარი ფაქტი არა მარტო ობიექტურ შეფასებას, არამედ მოსალოდნელი შედეგებისადმი დაფიქრებასაც საჭიროებდა. ამ თვალსაზრისით თუკი მივუდგებით საკითხს, ყურადღების ცენტრში დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა მოექცევა. „ბოლშევიზმის ჩვენში შემოშვება, აქ მისი გამეფება- აცხადებდა იგი- ნიშნავს ჩვენს აზერბაიჯანად გახდომას, ბოლშევიკურ-ოსმალური იმპერიალიზმის საქართველოში გაბატონებას. აზერბაიჯანის გზაზე ჩვენი შედგომა, მისი პოლიტიკური მრწამსის მიღება, ეს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს სამუდამო დასამარებაა. ევროპისაგან სამუდამოდ მოწყვეტაა და აზიის ფანატიკოსების ბრჭყალებში ჩავარდნაა."[185]

ქვეყნის პირველი პირის მიერ პოზიციის ასეთი ფორმით ოფიციალურად დაფიქსირებამ, საკანონმდებლო ორგანოსგან შესატყვისი რეზოლუციის მიღება მოითხოვა. დოკუმენტში იმედი იყო გამოთქმული, რომ განსაცდელის ჟამს, რესპუბლიკის მოსახლეობა და მისი შეიარაღებული ძალები ხელისუფლების გარშემო შემოიკრიბებოდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესებს დაიცავდნენ.[186]

რამდენადაც მდგომარეობა უაღრესად სერიოზულ სახეს ატარებდა, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართული სოციალ-დემოკრატიის

ლიდერებმა საეთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენება აუცილებლად ჩათვალეს. სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1920 წლის 27 აპრილის სხდომის დადგენილების თანახმად, სპეციალური შეტყობინება დაეგზავნა ინტერნაციონალს, საერთაშორისო პროფკავშირულ ბიუროსა და ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს.[187]

ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ მათი მეშვეობით, დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, ბოლშევიკური რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციასა და საქართველოსადმი თანადგომას ოფიციალურად ერთხელ კიდევ დაადასტურებდა. მითუმეტეს, საქართველოს „დე-იურე" აღიარების საკითხი დღის წესრიგში იდგა. მიუხედავად ამისა, რუსეთისგან ძალად თავსმოხვეული პრობლემებისადმი მიმართებაში, არსებითი მნიშვნელობა ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულებას ენიჭებოდა. მისი გათვალისწინება მმართველ პოლიტიკურ პარტიას პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთ უცილობო პირობად მიაჩნდა. ამიტომ, აღნიშნული საკითხი რეგიონალური პარტიული ორგანიზაციების მსჯელობის საგნად აქცია. ამის ერთ-ერთ ნიმუშს, გორის სამაზრო პარტიული ორგანიზაციის მესამე კონფერენცია (1920 წლის 18 აპრილი) წარმოადგენს. როგორც სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მთავრობის მიერ რუსეთთან მიმართებაში აღებულ კურსს, რაც შესაბამისი რეზოლუციით დაადასტურეს. „კონფერენცია მოუწოდებს გორის მაზრის მშრომელ ხალხს – ვკითხულობთ დოკუმენტში- ერთსულოვნად შემოკრბეს დემოკრატიის ნება-სურვილთა გამომხატველი დამფუძნებელი კრების და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის გარშემო და მათთან ერთად საჭიროებისას დაიცვან თავისუფალი საქართველოს საზღვრები მომხდურთა ძალებისაგან."[188] მიუხედავად ამისა, მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში კოლექტიური განცხადების ან დადგენილების მიღება აუცილებლად მიიჩნიეს. დასახულ მიზანს ემსახურებოდა სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სდპ კოლექტივების და ყველა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციათა გაერთიანებული კრება (1920 წლის 30 აპრილი). ნ. ჟორდანიას მიერ პოლიტიკური მომენტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, აზერბაიჯანში მომხდარი გადატრიალების ძირითად მიზეზებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება, საქართველოსთან მიმართებაში საბჭოთა რუსეთის მიზნებზე და ამოცანებზე იყო გადატანილი. გამოთქმული იყო რწმენა, რომ ქვეყანა მტერს შესაფერის პასუხს გასცემდა და განსაცდელისაგან უვნებლად გამოვიდოდა. მიღებული რეზოლუცია, მთავრო-

ბისადმი ოფიციალურ მხარდაჭერას გამოთქვამდა. „თათბირი სავსებით იწონებს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის საზღვრების დაცვისკენ და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს, ენერგიულად აწარმოონ ფართო თავდაცვა გაერთიანებულ ბოლშევიკურ-ოსმალური იმპერიალიზმის საფრთხესთან."[189]

ასეთი სახის ლონისძიებები იმ მომენტში პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები მას ქვეყნის ძალთა კონსოლიდაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯად და მოსახლეობის თავდაცვისათვის ფსიქოლოგიურად მოსამზადებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ. იგი იმდენად იყო გამართლებული, რამდენადაც რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ აზერბაიჯანის გასაბჭოების პარალელურად როკის გადასასვლელიდან საქართველოს საზღვრების დარღვევის ფაქტები არსებობდა. ამასთან დაკავშირებით, გ. ჩიჩერინისადმი გაგზავნილ ნოტაში (1920 წლის 29 აპრილი) ე.ბეგბეჭკორი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. იმავდროულად საქართველო-რუსეთის საზავო მოლაპარაკების საკითხსაც აყენებდა. „საქართველოს მომავალი ნაბიჯი საბჭოთა რუსეთის მიმართ-ვკითხულობთ დოკუმენტში-სრულიად განსაზღვრული იქნება საბჭოთა რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებით, რუსეთის მიერ სურვილის განცხადებით, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებს კიდევ ვიმეორებ... რომ სიტყვა საბჭოთა რუსეთს ეკუთვნის."[190]

მართალია, ე.ბეგბეჭკორმა 3 მაისით დათარიღებული ბრძანების ის ასლი მიიღო, რომელიც კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებს საქართველოს საზღვრების დარღვევას უკრძალავდა[191] მაგრამ იგი ფარატინა ქაღალდად დარჩა. XI არმიას, რომელმაც საქართველოს საზღვრები 2 მაისს დაარღვია და გეზი თბილისისაკენ აიღო, საბრძოლო ოპერაციები არ შეუწყვეტია. პირიქით, მისი სარდლობა თბილისის აღების წინასწარ პროგნოზირებასაც კი აკეთებდა. ამის დამადასტურებლად ს. ორჯონიკიძის მიერ 3 მაისს გაგზავნილი დეპეშა გამოდგება. იგი თბილისის აღების დროდ –15 მაისს, ხოლო მეორე დღეს გაგზავნილ დეპეშაში- 12 მაისს ასახელებდა.[192]

მაშინ როდესაც XI არმიის სარდლობა თბილისის აღებას გეგმავდა, მოსკოვში რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. ჩვენ არ შევუდგებით ამ დოკუმენტის შექმნის პროცედურის განხილვას, რადგან ამის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ბევრი ითქვა[193] აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: საქრთველოს წარმომადგენელს გრ.ურატაძეს კონკრეტული დავალება ჰქონდა ნ.ჟორდანიასაგან, რომ მოსკოვს პირველ რიგში ეცნო „საქართველოს დამოუკიდებლობა და საზღვრები" ხოლო

დანარჩენი პირობები იქნებოდა მეორეხარისხოვანი."[194] იმ შემთხვევაში, თუკი დასახული ამოცანა წარმატებით გადაწყდებოდა, საქართველოს შესაძლებლებლობა მიეცემოდა „ამ თამასუქით ევროპის არეოპაგის წინაშე წარმდგარიყო" და მათგან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება უფრო გაბედულად მოეთხოვა.[195]

ეს ფაქტი უდაოდ ანგარიშგასაწევია, რადგან იმეტაპზე, როგორც წინა პარაგრაფშიაც გვქონდა მითითებული, ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს აღიარებას აჭიანურებდნენ. რამდენადაც ქვეყანა გარდუვალი საფრთხის წინაშე იდგა, ხოლო ევროპა ელოდებოდა" პრეცედენტს, ასეთ ფონზე რუსეთთან მოლაპარაკება გამართლებულ სახეს იძენდა. მითუმეტეს, „შორეული ევროპა" განსაკუთრებით ინგლისი, კავკასიის პრობლემებთან შესაჭიდებლად რისკზე წასვლას არ აპირებდა. ირ. წერეთელთან საუბრისას, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ.კერზონმა ამის შესახებ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. „რუსეთთან მტრული დამოკიდებულება თუ გაქვთ- ამბობდა იგი- ინგლისი არა თუ თქვენს დახმარებას ვერ იკისრებს, არამედ ცნობასაც ვერ მოგცემთ, ვინაიდან ჩვენთვის კომპრომეტაცია იქნება ისეთ პირობებში ცნობა ახალ სახელმწიფოსი, თუ მას მომავლის პირი არ ექნება."[196]

როგორც ვხედავთ, ინგლისის ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერთა განი, საქართველოს მომავალს რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ხედავდა. აქედან გამომდინარე, ქართველ კოლეგებს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის რუსეთთან და კავკასიის ხალხებთან შეთანხმებაზე აგების „რეცეპტს" სთავაზობდა. „ევროპის პოლიტიკური ძარღვის საუკეთესო მცოდნე-წერს ირ.წერეთელი – გვაფრთხილებდა, გადაჭარბებული იმედებისაგან ევროპის დახმარებაზე, რადგან იცოდა რამდენად გულგრილად უყურებდა შორეული კავკასიის ხალხების ბედს მთელი ევროპის და კერძოდ ინგლისის ბურჟუაზია; რამდენად სწორი იყო ეს გაფრთხილება, მალე ეს ინგლისის მთავრობის ნაბიჯებმა დაგვანახა- ბოლშევიკებთან კომერციული შეთანხმების დადების დროს 1920 წელს. ლოიდ ჯორჯის მთავრობამ მათ ადვილად დაუთმო კავკასიის საკითხში და ინგლისის „დაუინტერესებლობა" გამოაცხადა. რაც ნიშნავდა ბოლშევიკებისათვის ხელის გახსნას ჩვენს დასაპყრობად."[197] თუკი აღნიშნულ ფაქტებს ვერწმუნებით, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი მიმდინარე პროცესების სწორად შეფასების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით 28 აპრილს დაწყებული სამუშაო, 7 მაისს რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების ოფიციალურად გაფორმებით დასრულდა. რუსეთის მხრიდან, ვ.ლენინისა და გ.ჩიჩერინის რწმუნებულებით ამ დოკუმენტს ხელს

ლ.კარახანი აწერდა, ხოლო საქართველოს მხრიდან, დამფუძნებელი კრების წევრი გრ.ურატაძე.

რაც შეეხება უშუალოდ ხელშეკრულებას, იგი პრეამბულის, 16 მუხლისა და ორი დამატებისაგან შედგება; 1) „ცალკე საიდუმლო დამატება ხელშეკრულებისა რუსეთსა და საქართველოს შორის" (ორი მუხლი) და 2) „რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება."[198]

ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დაწვრილებით ანალიზს არ შევუდგებით, შეეცდებით წინა პლანზე წამოვწიოთ და მუხლობრივი თანმიმდევრობით ჩამოვთვალოთ ყველა ის საკითხები, რომლებიც ფაქტობრივად გადაწყდა და სამართლებრივი სახე შესძინა. 1) საბჭოთა რუსეთმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა. უარი განაცხადა იმ სუვერენულ უფლებებზე, რაც "რუსეთს ეკუთვნოდა ქართველი ხალხისა და მისი მიწა-წყლის მიმართ", 2) რუსეთი უარს აცხადებდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე 3) რუსეთი ცნობდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საზღვრებში და რაც მთავარია ზაქათალას ოლქს საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა.[199] ეს იყო საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე რუსეთისაგან აღიარება. პროფ. ა.ბენდიანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოფილი მეტროპოლია იურიდიულად სცნობდა ყოფილ კოლონიას, ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც თავისთავად დიდად ამაღლებდა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟს."[200] მომხდარი ფაქტით ნ. ჟორდანიასეული ზემოაღნიშნული ორივე მითითება შესრულებულ იქნა. ხელშეკრულების ზოგირთი მუხლის საქართველოს სინამდვილისათვის მიუღებლობის მიუხედავად, იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური ელიტა, აღნიშნულ დოკუმენტს დადებით შეფაებას აძლევდა. ამ ფაქტით დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარმა ქვეყანამ თავისი კუთვნილი ადგილის მოთხოვნისათვის, საერთაშორისო არენაზე სამართლებრივი უფლებები მოიპოვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მომხდარ ფაქტს ევროპის სახელმწიფოები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ. თუკი ამ კონტექსტში განვიხილავთ რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებას, დავრწმუნდებით, რომ უარყოფითს დადებითი აშკარად სჭარბობდა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს; ე.გეგეჭკორს, აკ.ჩხენკელს, შ.ნუცუბიძეს, გ.გვაზავას და ივ.გობეჩიას, დამფუძნებელი კრების მეთექვსმეტე სხდომაზე (1920 წლის 11 მაისი) აღნიშნულ დოკუმენტს დადებითი შეფასება რომ მისცეს. მეტიც გ.გვაზავამ ხელშეკრულებას ეროვნული გამარჯვებაც კი უწოდა.[201] დამფუძნებელი კრების ფრაქციათა წარმომადგენლები ძირითად საკითხში რამდენადაც ერთი აზრისანი იყვნენ, რეზოლუციაც შესაბამისი მიიღეს.

„მოისმინა რა გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება საბჭოთა რუსეთის და საქართველოს რესპუბლიკას შორის საზაო ხელშეკრულების დადების შესახებ – ვკითხულობთ დოკუმენტში- დამფკრება იწონებს მთავრობის პოლიტიკას, კმაყოფილებას გამოთქვამს რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების გამო და დარწმუნებულია, რომ მთავრობა განაგრძობს სათანადო ზომების მიღებას რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების დასაცავად."[202] როგორც ვხედავთ, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სფეროში მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასა, ხოლო გაზეთმა „ერთობამ" აღნიშნულ ხელშეკრულებას „ახალი გამარჯვება" უწოდა.[203] პოზიციის ასეთი ფორმით დაფიქსირების მიუხედავად, ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურები საზოგადოების ყურადღებას, საქართველოში მოქმედი ბოლეკიკური ორგანიზაციების საქმიანობის მოსალოდნელ გააქტიურებაზე მიაპყრობდა და იქვე დასძენდა: „შინაგანი აფეთქება-ახლა ამ ხელშეკრულების შემდეგ ერთი უმთავრესი იარაღი დარჩება კომუნისტური და სხვა ჩვენი მოწინააღმდეგე ელემენტებისათვის საქართველოს დემოკრატიის დასამხობად."[204] ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია, ბოლშევიზმში საქართველოს „დამოუკიდებლობის მესაფლავეს" ხედავდა. ამიტომ მისადმი აშკარა უნდობლობას აცხადებდა. ამის რეალური საფუძველი არსებობდა, რადგან აზერბაიჯანის მიმართულებიდან საქართველოს წინააღმდეგ ორ მაისს დაწყებულ ომს, რუსული მხარე ხელშეკრულების დადების მიუხედავად კვლავაც აგრძელებდა. ამ ბრძოლას, იმ პერიოდის პრესა საქრთველო-აზერბაიჯანს შორის საომარი ურთიერთობის ფონზე განიხილავდა.

თუ რით იყო განპირობებული ნამდვილი აგრესორის შენიღბვა, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს ნ.ჟორდანიას მოგონებები იძლევა. „თბილისში-წერს იგი- დიდი პანიკა იყო. ამბობდნენ რუსი მოდის და ვინ გაუძლებსო! რამდენადაც მთავარი მეომარი ელემენტი იყო გვარდია, როგორც გადაჭრით ანტიბოლშევიკური, გადავწყვიტეთ მორალი მისი გაგვემაგრებია ხმის გავრცელებით, მოდის არა რუსის არამედ აზერბაიჯანელთა ჯარი... ხერხმა გასჭრა, გვარდიელები ყალყზე დადგნენ, როგორ გვიბედავენ ეს „ჩაჩნები" ომსო."[205] როგორც ცნობილია, მოწინააღმდეგის დამარცხებისა და პირვანდელი სასაზღვრო პოზიციების აღდგენისთანავე, ქართული ჯარის ნაწილებმა საქართველოს ხელისუფლების მითითებით 16 მაისს შეტევითი ოპერაციები შეწყვიტეს. ამ ფაქტს გაზეთი „ერთობა" შემდეგნაირად ხსნიდა: „საქართველოს მთავრობამ ამით აცნობა მთელ ქვეყანას, რომ საქართველო არ აწარმოებს დაპყრობით ომს, არამედ იცავს თავის საზღვრებს."[206]

დამარცხებული მოწინააღმდეგის გაუნადგურებლობის აღნიშნული მოტივაცია, მიღებული გადაწყვეტილების გამართლების მხოლოდ ერთ არგუმენტს წარმოადგენდა. ფაქტობრივად იგი დაუსაბუთებელი რჩებოდა და მომხდარი ფაქტის სიღრმისეული გაცნობიერებისთვის ხელოვნური ვაკუუმი იქმნებოდა. ამ გარემოებამ, ბევრ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, საქართველოს შეიარაღებული ძალებით იმ ეტაპზე ბოლშევიკებისაგან ამიერკავკაიის „განთავისუფლების" მისიის შესაძლებლობის მტკიცების საშუალება მისცა. „ეს იყო ერთადერთი უაღრესად ხელსაყრელი შემთხვევა- წერს გ. კვინიტაძე- აზერბაიჯანისა და სომხეთის გასანთავისუფლებლად ბოლშევიკი დამპყრობლებისაგან. ჩვენ შეგვეძლო ბოლშევიკებისაგან მთელი კავკასიის გაწმენდა და იქნებ დაღესტნისაც. ეს იყო 1920 წელი, როდესაც პოლონეთი ომს აწარმოებდა რუსეთთან და გენერალი ვრანგელი დაძრული იყო ყირიმიდან."[207] ერთი შეხედვით ეს გეგმა რეალური ჩანს, მაგრამ თუკი ყველა ასპექტის გათვალისწინებით განვიხილავთ, მისი განხორციელება საქართველოს კატასტროფას დააჩქარებდა. როცა კვინიტაძე სომხეთის განთავისუფლებაზე ლაპარაკობს, იგი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი გასაბჭოება მხოლოდ 1920 წლის 29 ნოემბერს განხორციელდა.[208] 1) იმ შემთხვევაში თუ გენერალ კვინიტაძის მიერ შემოთავაზებული გეგმით იმოქმედებდნენ, საქრთველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანელთა და სომეხთა მხრიდან ქართული ჯარის უსაფრთხოების გარანტია უნდა ჰქონოდა. აზერბაიჯანელებისგან ამის მიღწევა შეუძლებელი იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბოლშევიკებს ქვეყანა უბრძოლველად ჩააბარეს. რაც შეეხება სომხეთს, იგი ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე მის მიერ „სადაოდ" ქცეული ქართული მიწების მიტაცებას შეეცდებოდა. ამის უამრავი მაგალითები ჩვენ წინა პარაგრაფშიც გვქონდა მოტანილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული მხედრობისადმი აზერბაიჯანელთა და სომეხთა თანადგომა სათავეშივე იყო გამორიცხული. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუკი საქართველო „განმათავისუფლებლის" ფუნქციას იკისრებდა, იგი რისკის პოლიტიკას უნდა დამყარებოდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 25 ივნისის სხდომაზე ოპონენტთა მისამართით ვ.თევზაია აცხადებდა: „აზერბაიჯანის ხალხი გაგვეთავისუფლებია უცხო ძალისაგან... ასეთ მიზნებს საქართველოს რესპუბლიკა ვერ გაიზიარებს.. ის ვინც ფიქრობს, რომ უნდა ჩაერიოს სხვის საქმეებში... შესულიყო მათ დედაქალაქში, გაეყარა ყველა მისი მოკავშირე ელემენტები.. ასეთი პოლიტიკა რესპუბლიკას არ ქონია და არც ექნებოდა."[209] იმავე საკითხთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელი აცხადებდა: „ჩვენი მდგომარეობა რთულია, ჩვენ ირგვლივ რკალშემორტყმული ვართ,... ჩვენი მთავრობაც არ აწარმოებდა რისკის პოლიტიკას და ყველა ის

რასაც აქ ბ-ნი ვეშაპელი ბრძანებდა, არის რისკის პოლიტიკა. ჩვენ რისკს ვერ ვაწარმოებთ სანამ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ერის, ჩვენი დემოკრატიის წინაშე."[210] 2) „ომის გაგრძელების მომხრენი" ყურადღების მიღმა ტოვებენ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას; შეძლებდა თუ არა საქართველოს ეკონომიკა ხანგრძლივი ომის ხარჯების გადაფარვას და რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქვეყნის ფინანსები. მითუმეტეს, 14 დღიანი ომი საქართველოს ბიუჯეტს მილიარდ ნახევარი ქართული ბონი დაუჯდა. 3) გასათვალისწინებელია ქვეყნის დე-იურე აღიარების მისაღწევად საერთაშორისო არენაზე ნეიტრალური და მშვიდობისათვის მებრძოლი ხახელმწიფოს იმიჯის შენარჩუნების მცდელობა, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ალიანსი, ბოლშევიკების მიერ ივნისის დასაწყისში ცხინვალში მოწყობილი აჯანყებისა და ხულოს გარნიზონზე თავდასხმის ფაქტები. 4) მხედველობაშია მისაღები 1918 წელს სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე მიღებული მწარე გამოცდილება. აღნიშნული პოლიტიკური კურსი ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატმა ი.მაჭავარიანმა „ოცობოცო" პოლიტიკად შეაფასა და მმართველ პოლიტიკურ პარტიას მკაცრი ტონით მიუთითა: „დაანებეთ თავი ოცობოცოდიას, დაადექით რეალური პოლიტიკის გზას, დაანებეთ თავი მსოფლიოზე ზრუნვას.. აი ჩვენი პასუხი საგარეო პოლიტიკაზე."[211] წარუმატებლობის შემთხვევაში, ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტია ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ერთი რამ უდაოდ შეიძლება ითქვას, ოპოზიციური პარტიებისა და სამხედრო უწყების არცერთ მაღალჩინოსანს, აღნიშნული გეგმის შესაძლო წარმატების დასაბუთება ან მოსალოდნელი შედეგების პასუხისმგებლობის შესახებ რაიმე დოკუმენტი მთავრობისათვის არ წარუდგენია. ამ შემთხვევაში მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ იმოქმედა ისე, როგორც ამას სახელმწიფოს ინტერესები კარნახობდა. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით საქართველო-აზერბაიჯანს შორის 1920 წლის 12 ივნისს აქსტაფაში დადებულ ხელშეკრულებაზე. ამ დოკუმენტის ავკარგიანობის სრულად გაცნობიერებისათვის პირველ რიგშია გასათვალისწინებელი, რომ ზემოაღნიშნული ომი, აზერბაიჯანის სახელს ამოფარებული საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა იყო საქართველოზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად საქმე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან გვქონდა და ბუნებრივია, საზავო ხელშეკრულებაც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ელფერს ატარებს. მითუმეტეს, მის ძირითად ამოსავალ საფუძველს 7 მაისის ხელშეკრულება წარმოადგენს. ამის შესახებ ალ.ასათიანი ხელისუფლებას სავსებით სამართლიანად საყვედურობდა: „ეს ხელშეკრულება გამომდინარეობს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებიდან. მე ვფიქრობ, რომ ეს

სრულიად შეუწყნარებელი მოვლენა არის."[212] ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს დასახელებული დოკუმენტის სრულად განხილვა არ წარმოადგენს, ყურადღებას მხოლოდ ორ ძირითად საკითხზე გავამახვილებთ: 1) შესაძლებელი გახდა თუ არა სასაზღვრო დავის მოწესრიგება და 2) ომით მიყენებული ზარალის თუნდაც ნაწილობრივ ანაზღაურება. რაც შეეხება პირველ საკითხს, იგი მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მუხლებში იქნა ჩამოყალიბებული. საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლი თბილისისა და განჯის გუბერნიებს შორის გამავალ ძველ საადმინისტრაციო ხაზით განისაზღვრა.[213] მაგრამ ხელშეკრულებამ ზაქათალის საკითხი ვერ გადაწყვიტა. რამდენადაც აზერბაიჯანის დელეგაციის სახით ფაქტობრივად რუსეთი ლაპარაკობდა, მისი მოთხოვნისადმი თანხმობა საინგილოს საკითხის შერეული კომისიისათვის გადაცემის შესახებ, რომლის თავმჯდომარეობაც მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელს უნდა გაეწია, შეცდომას წარმოადგენდა. სავსებით მართალი იყო გ.ვეშაპელი როცა ხელშეკრულების VI მუხლს მიუღებლად თვლიდა. „რაც შეეხება მე-6 მუხლს, – ამბობდა იგი- აქ არის ერთი გარემოება ყოვლად მიუღებელი,... ეს მუხლი ეყრდნობა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას.. მეორეს მხრივ, მიუღებელია ისიც, რომ არბიტრი ზავის საკითხში რუსეთის ხელშია, როდესაც აზერბაიჯანი წარმოადგენს რუსეთის ოფიციალურ მოკავშირეს და ფაქტიურად მის პროვინციას- მიუღებელია, რომ რუსეთი იყოს არბიტრი თავის საკუთარ საქმეში." [214] ოპოზიციის ასეთი გულისწყრომა იმით იყო განპირობებული, რომ გამარჯვებული სახელმწიფოს სახე, ფაქტობრივად იგნორირებული იქნა, ხოლო სასაზღვრო ხაზზე, საქართველოს სასარგებლოდ მხოლოდ უმნიშვნელო „კოსმეტიკური" ცვლილებები მოახდინეს. რაც შეეხება ომით მიყენებულ ზარალს, მის ანაზღაურებას, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. მტრისადმი ასეთ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აკ. ჩხენკელი შემდეგნაირად ხსნიდა: „იმედი გვაქვს, რომ... მეზობელი... დააფასებს იმ გარემოებას რომ ჩვენ ბოლომდის არ ვისარგებლეთ ამ ომის შედეგებით, არ ვისარგებლეთ მეზობლის, შეიძლება ითქვას კრიტიკული მდგომარეობით; ჩვენ გავიხსენეთ ხვალინდელი დღეც, ის რომ ჩვენ მეზობლები ვართ და გვინდა თუ არ გვინდა ერთი მეორის გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აზერბაიჯანის ხალხი ადრე თუ გვიან ამაღლდება ჩვენი ხალხის ამ შეგნების დონემდე."[215]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ აზერბაიჯანის სახით მას რუსეთი „ელაპარაკებოდა". ამიტომ, აღნიშნული ნაბიჯი ფაქტობრივად რუსეთისადმი დათმობას ნიშნავდა. საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული ომით

მიყენებული ზარალის თუნდაც ნაწილობრივი კომპენსაციის არგამოყენება, პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა. ასეთი ნაბიჯი, კარსმომდგარ დაუძინებელ მტერთან კომპრომისზე წასვლასა და დამნაშავისადმი „ლოიალურ" დამოკიდებულებას მოასწავებდა. ქართული მხარის ეს შეცდომა, მოწინააღმდეგემ შესანიშნავად გამოიყენა და „კეთილის მსურველ" მეზობელს, მისი სახელმწიფოებრიობის საზიანოდ ბუმერანგივით უკან დაუბრუნა.

პოლონეთთან დროებითი დაზავებით (1920 წლის 12 ოქტომბერი) და ვრანგელის საბოლოო განადგურებით (1920 წლის 15 ნოემბერი) საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასიის საკითხის წინა პლანზე წამოწევის შესაძლებლობა მიეცა. სომხეთის გასაბჭოებით (1920 წლის 29 ნოემბერი) აღმოსავლეთის მხრიდან მან საქართველოსთან სიგრძივი საზღვარი დადო. გასაბჭოებული აზერბაიჯანის და სომხეთის ფონზე, დამოუკიდებელი საქართველო გარკვეულ დისონანსს ქმნიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.[216]

ასეთ პირობებში, მისი ატანა საბჭოთა რუსეთისთვის შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ძალისმიერი ფორმის გამოყენებას იმ ეტაპზე თავს არიდებდა და უპირატესობას დიპლომატიურ ზეწოლას ანიჭებდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ბათუმთან დაკავშირებით ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი იქცევს. საკითხი ინგლის- საქართველოს არარსებული საიჯარო ხელშეკრულებით, ბათუმის თითქოსდა ინგლისისადმი გადაცემას, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქართველოს მიერ ინგლისიდან „აღებული ვალის" სანაცვლოდ ბათუმის ოკუპაციის ნებართვას ეხებოდა.

საქართველოში რუსეთის ელჩის ჰ.შეიმანის მიერ ეგეგეჭკორისადმი გაგზავნილ ნოტაში (31 ოქტომბერი, 18 ნოემბერი) ეს საკითხები „გულშემატკივრის" პოზიციიდანაა განხილული და ინგლისის ახალშენად, საქართველოს მოსალოდნელი გადაქცევის საფრთხეზეა მითითებული. გამოთქმულია იმედი, რომ ქართული მხარე „შეთანხმების სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების უფლებებში" ბათუმის გადაცემას არ დაუშვებდა.[217] წინააღმდეგ შემთხვევაში მომხდარ ფაქტს 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევად ჩათვლიდა. შეფარვითი ფორმითაა მითითებული აზერბაიჯანისა და რუსეთისათვის „საფრთხის" შემქმნელი ინგლისის ჯარის ბათუმიდან გაყვანის დაჩქარების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 1920 წლის 4 და 22 ნოემბრის საპასუხო ნოტაში, ინგლის-საქართველოს ზემოაღნიშნული გარიგების ბრალდებები საფუძვლიანად იყო უარყოფილი. ამის შესახებ რუსეთის დიპლომატიურმა წრეებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ ეს „დიპლომატიური თამაში" მათ სამი გარემოების გამო დასჭირდათ: 1) საქართველოს ხელისუფლებას 1920 წლის 7 მაისის

ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების- ინგლისელებისაგან ბათუმის გაწმენდის დაჩქარების აუცილებლობა მოსთხოვეს, 2) ბათუმისადმი ქართული მხარის ოფიციალური დამოკიდებულება გაარკვიეს და 3) საქართველოსთან მიმართებაში დასავლეთ ევროპის საელჩოთა, განსაკუთრებით ინგლისის პოზიცია გახადა ნათელი. ამის რეალური პირობები გ.ჩიჩერინის მიერ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ.კერზონისადმი 28 ნოემბერს გაგზავნილმა რადიოდეპეშამ შეამზადა. იგი ინგლისის მთავრობას პროტესტს უცხადებდა ბათუმის ოკუპაციის შესაძლებლობის წინააღმდეგ. იმავდროულად კავკასიის საქმეების უცოდინარობაში ადანაშაულებდა და ნიშნის მოგებით შეახსენებდა: "რუსეთის მთავრობამ პირველმა იცნო საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობა, რაიც ჯერ არ უცვნია ანტანტის მთავრობებს, რომლებიც ასე დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს ბედის მიმართ."[218] ეს დიდი კოზირი გ.ჩიჩერინმა ოპონენტთან პაექრობაში შესანიშნავად გამოიყენა და საბჭოთა რუსეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა ერთა თვითგამორკვევის უფლებების „დაცვის" პოზიციიდან შეაფასა. იმავდროულად ინგლისის ხელისუფლებას 1920 წლის 7 მაისის საქართველო–რუსეთის ხელშეკრულება შეახსენა და მისი დარღვევის შემთხვევაში რუსეთის მთავრობას არ შეუძლია უბრალო მოყურადე იქნეს ასეთი მოვლენის წინაშე."[219]

ეს იმას ნისნავდა, რომ რუსეთი ბთუმის საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა და მოტივაციად საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას ასახელებდა: „რუსეთის მთავრობა- ვკითხულობთ დოკუმენტში-სასტიკად იცავს საქრთველოს დამოუკიდებლობას და სუვერენულ უფლებებს."[220]

ფაქტობრივად ეს „დიპლომატიური ომი მოგებული იყო. მიუხედავად ამისა, ლ.კერზონმა, გ.ჩიჩერინისადმი გაგზავნილ პასუხში (19, 24 ნოემბერი) ბათუმთან მიმართებაში ინგლისის შესახებ გავრცელებული ხმების არა მარტო უსაფუძვლობა დაადასტურა, არამედ თვით საბჭოთა „რუსეთს ანალოგიური პრეტენზია წაუყენა და მისგან ოფიციალურად მოითხოვა აღიარება „რომ საფუძველი არა აქვს იმ ეჭვს, თითქოს საბჭოთა რუსეთის მთავრობას განზრახვა ქონოდეს ბათუმის ოკუპაციისა."[221]

საქართველოსთან მიმართებაში, ორი ზესახელმწიფოს პოზიცია სრულყოფილად იქნა გამოკვეთილი. მართალია ისინი ნიღაბაფარებული მოქმედებდნენ და ერთმანეთის ჯიბრზე „მზრუნველის" გარეგნული სახის წარმოჩენას ცდილობდნენ, მაგრამ, სინამდვილეში მსხვერპლი დაგულვებული ჰყავდათ და შესაფერისი პოლიტიკური სიტუაციის შექმნისთანავე „ჩასაყლაპავად" გაიმეტებდნენ. ეს განსაკუთრებით რუსეთის მიმართ ითქმის. მიერკავკასიაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, კერძოდ აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოებამ

ინგლისისათვის კავკასია, განსაკუთრებით საქართველო, უინტერესო გახადა. ამ ფაქტორს ომით გამოწვეული კრიზისიც დაემატა, რამაც ინგლისის ხელისუფლებას ბათუმიდან ჯარის გაყვანა დააჩქარებინა.[222] ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობის შესახებ ლ. ჯორჯმა ოფიციალური განცხადება ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს გააკეთა.[223]

კავკასიისადმი ზურგშექცევა და საბჭოთა რუსეთისაკენ 90% შემობრუნება, ინგლისმა ერთდროულად განახორციელა. მხედველობაში გვაქვს საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისართან ლეონიდ კრასინთან 1920 წელს ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით დაწყებული მოლაპარაკება. თუკი ზავალიშვილს ვენდობით, ინგლისის წარმომადგენლობას კრასინისათვის განუცხადებია, რომ ბაქოს ნავთი თავის ღირებულებას დაკარგავდა თუკი საბჭოთა რუსეთის განკარგულებაში ნავთსადენი და ბათუმი არ აღმოჩნდებოდა.[224]

ამასვე ადასტურებს აკჩხენკელიც „ლოიდ ჯორჯის მთავრობამ წერს იგი- 1920 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო კრასინთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.. როცა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, მას უკვე ჰქონდა ერთგვარი რწმენა, რომ ინგლისი ხელს არ შეუშლიდა. ხელშეკრულებაში არის განსაკუთრებული მუხლი, რომლის ძალითაც ინგლისი არდაინტერესებულად აცხადებს თავის თავს კავკასიის საქმეებში."[225]

როგორც ვხედავთ, კავკასიის რეგიონში, რუსეთმა თავისუფალი მოქმედების ნებართვა მიიღო, რითაც ევროპის სახელმწიფოებმა საქართველო გასაწირად გაიმეტეს და რუსეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ინტერესების სამსხვერპლოზე „მიიტანეს". ეს სიტუაცია საბჭოთა რუსეთმა შესანიშნავად გამოიყენა. დაეყრდნო რა ბოლშევიკთა ლეგალიზაციას, საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, თვით საქართველოში მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა აამუშავა. ამის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას კიროვის მეთაურობით თბილისში არსებული 400 კაციანი რუსული საელჩო ასრულებდა. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა" წერდა: „საბჭოთა რუსეთის მისია გავსებულია ადგილობრივი ბოლშევიკებით, უმეტეს ნაწილათ საქართველოს ქვეშევრდომებით, რომელთა მთელი მუშაობა მიმართულია არა რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების, არამედ ამ ურთიერთობის დარღვევისაკენ."[226] ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე, საბჭოთა რუსეთის ხელისუფალნი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, საქართველოზე „მშვიდობიანი თავდასხმის" ღონისძიებების პროვოცირებას მიმართავდნენ. ამის ერთ-ერთ ნიმუშად, სიყალბეზე აგებული ბრალდებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანიდან საქართველოსადმი ნავთის მიწოდების შეწყვეტის ფაქტი გამოდგება. საქმე ეხებოდა საბჭოთა რუსეთის

წარმომადგენელ ლეგრანის მატარებლის „დაკავებას" და სომხეთში გასაგზავნი სატრანზიტო საქონლის ვითომდა შეჩერებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ვინ არღვევს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას", საქართველოს მთავრობის მიერ 7 დეკემბერს გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაზე დაყრდნობით (იგი სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებებს ძალაში ტოვებდა), რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ზემოაღნიშნულ ეკონომიკურ სანქციას, ხელშეკრულების ცალმხრივ დარღვევად აცხადებდა და დასძენდა: „საქართველოს არ დაურღვევია არც საზავო და არც სავაჭრო ხელშეკრულება. ის პირნათლად ასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა... რუსეთს არა აქვს უფლება საქართველოს უკიჟინოს მისადმი მტრული დამოკიდებულება, ჩვენს ქვეყანას საომარი საბაბი მისთვის არ მიუცია და თუ.. აქეთ გვედავებიან.. და გვაბრალებენ იმას, რაც არ ჩაგვიდენია, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ რა მიზნით ხდება ყოველივე ეს. ჩვენ გვინდა გამოირკვეს, რანაირი ურთიერთობა არსებობს ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის." [227]

რუსეთ-საქართველოს შორის შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას ეხებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 1920 წლის 17 დეკემბრის ნოტა. იგი საბჭოთა რუსეთის აგენტურის მიერ საზღვრებზე განხორციელებულ პროვოცირების კონკრეტულ ფაქტებზე (მოსაზღვრე სოფლებში შეჭრა, მცხოვრებთა დარბევა, ნეიტრალურ ზონაში ჯარის თავმოყრა და ა.შ.) მიაპყრობდა რუსეთის ხელისუფალთა ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" მოწინავე წერილში „ჩვენ და რუსეთი" გარკვევით წერდა: „ნუთუ მოსკოვს, რომელიც მთელი ქვეყნის წინაშე საჯაროთ ირწმუნება, რომ... საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობს დე-იურეთ,.. არა აქვს იმდენი გავლენა თავის ადგილობრივ აგენტებზე, რომ ასეთი სახიფათო ნაბიჯების გადადგმაზე ხელი აალებინოს? მოსკოვის მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები მეზობლური ურთიერთობის აღსადგენად და შექმნილი მძიმე ატმოსფეროს გასაფანტავად. საქართველოს ხალხს არ მიუძღვის არავითარი ბრალი ამ ატმოსფეროს შექმნაში. საქართველოს მთავრობას არ აქვს არავითარი განზრახვა რუსეთთან კეთილგანწყობილება დაარღვიოს.-სიტყვა ეკუთვნის „კომუნისტური" მოსკოვის საბჭოთა მთავრობას."[228]

როგორც ვხედავთ, მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერები, საქართველოს საზღვრებთან მიმდინარე პროცესების მოსკოვთან შეუთანხმებლობაში დარწმუნებული იყვნენ. ამიტომ, ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად, მისი ხელქვეითებისადმი მხოლოდ კონკრეტული აღმკვეთი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ, სინამდვილეში, იგი წინასწარგამიზნული გეგმის ერთ-

ერთ საფეხურს წარმოადგენდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმ მოვლენების აქტიური მონაწილე, ქართველი ოფიცერი ვ.თევზაძე წერს: „1920 წლის შემოდგომაზე ხელში ვიგდეთ და ფოტოგრაფზე ადგბეჭდეთ ბოლშევიკური XI ლაშქრის სარდლის ლევანდოვსკის გეგმა დამტკიცებული ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ძალთა უფროსის გეკერის და ამ ტერიტორიათა კომისრის ორჯონიკიძის მიერ. გეგმა ითვალისწინებდა დამოუკიდებელ საქართველოს ლიკვიდაციის მიმართულებებს და ძალთა შემადგენლობას, რომლითაც უნდა დასცემოდნენ საქართველოს."[229]

რუსეთის ხელისუფალნი, თუ როგორი გულმოდგინებით ამზადებდნენ საქართველოზე თავდასხმას, ამ პროცესების გადმოცემას არ შევუდგებით, რადგან: ამ პრობლემას ლ. თოიძემ საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა და მისთვის ხელმისაწვდომი თითქმის ყველა დოკუმენტი, სათანადო ანალიზით სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „აჯანყების" ინსცენირება, რომელიც ლორეს ნეიტრალურ ზონაში ღამით 11 თებერვალს განხორციელდა, მისი შემსრულებლები სომხეთში განლაგებული წითელი არმის სამხედრო ნაწილები და ოფიცრობა იყო. ქართული სარდლობის დაუდევრობის გამო, „აჯანყებულებმა" შაგალის ხიდის აღება, ქართული სასაზღვრო რეგულარული ჯარის განიარაღება და ბორჩალოს მაზრაში საბჭოთა ხელისუფ ლების გამოცხადება შეძლეს. ეს პროცესი 2-3 დღეში განხორციელდა. ამ ფაქთთან დაკავშირებით, ი.ლაზიანის მოგონებებში ვკითხულობთ: „აჯანყების რაიონში სხვადასხვა სახეობის იარაღის მენშევიკთა რეგულარული ჯარის 7.000-ზე მეტი კაცი იყო. აჯანყებულთა ძალები კი მეტად პრიმიტიულად შეიარაღებულ 10.000 გლეხს არ აღემატებოდა... 11 თებერვალს ღამით დაიწყო აჯანყება. იმავე ღამეს აიღეს ხიდი და მენშევიკთა ჯარი უკანასკნელ კაცამდე ყველა განაიარაღეს. 2-3 დღეში აჯანყებულებმა მთელი ზონის მიდამოები დაიკავეს და შულავერამდე (ამჟამად შაუმიანი) მივიდნენ."[230] რამდენადაც ეს მოგონებები 1936 წელსაა დაწერილი, ი.ლაზიანმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოფიციალურად მიღებული ვერსია არ დაარღვია და 10.000 წითელარმიელი რუსი ჯარისკაცი, სომეხ გლეხებად გამოაცხადა. მომხდარი ფაქტის სისწორეს, საქართველოს მაშინდელი მთავარსარდალი გენ. ოდიშელიძეც ადასტურებს. „მთავარი მიზეზი ჩემი გადაყენებისა მთავარსარდლობიდან-წერს იგი- შაგალის ხიდთან მომხდარი მოულოდნელი კატასტროფა იყო... იცით რა მოხდა? მტრის აგენტებმა ლხინი გაუმართეს შაგალის ხიდზე მყოფ ჯარისკაცებს, დაათვრეს. ღამით შაგალის ხიდზე შეუმჩნევლად მოხსნეს ჩვენი დარაჯი, გადმოვიდნენ ხიდით და თოფის გაუსროლად ტყვედ ჩაიგდეს მთვრალი მძინარე თითქმის მთელი ჩვენი ძალები."[231] ეს შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა ქართველი

ხალხისთვის. ამ ფაქტმა საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას დაუდო სათავე. მეორეს მხრივ, აღნიშნული მარცხი, ქართული მხედრობისათვის მორალურ – ფსიქოლოგიურ დარტყმას წარმოადგენდა. მათი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად, ომის დაწყების პირველ ეტაპზე, ნამდვილი აგრესორის შენიღბვის მცდელობა და მიმდინარე პროცესის, საქართველო-სომხეთის ომად გამოცხადება. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასეთი ნატყუარი ინფორმაციის გავრცელებას, ამის შესახებ ნ.ჟორდანიას მოგონებებში ვკითხულობთ: „ომი გაჩაღდა: მოსკოვმა ამცნო ქვეყანას რადიოთი საქართველოში აჯანყება დაიწყოვო, ხოლო კავკასიაში კი აცხადებდა-საბჭოთა სომხეთი თავს დაესხა მენშევიკებს და ითხოვს ბორჩალოს სომხეთის შემოერთებასო. ჩვენ ხალხის გასამხნევებლად ამ ვერსიას ჩავაფრინდით, შემდეგ აზერბაიჯანელებიც მივაყოლეთ, ხოლო როცა ტყვეებში რუსებიც მოხვდნენ-ვამბობდით, რუსები ეხმარებიანო და სხვა. ეს აგიტაცია სჭიროდა, ხალხი აღშფოთებული იყო, როგორ გვიბედავენ ეს გლახაკები თავს დასხმასო. ნამდვილი ამბავი- რომ იბრძვის რუსის ჯარი და არა სომეხი და აზერბაიჯანელი, ჯერ კიდევ უცნობი იყო ფართე მასისათვის. მით უფრო ეს სჯეროდათ, რომ ომი იყო მხოლოდ სომხეთის საზღვრებთან."[232]

მას შემდეგ რაც XI არმიამ აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრები გადმოლახა (15 თებერვალი) და შეტევითი ოპერაციები განახორციელა, საზოგადოებისათვის ნათელი გახდა, რომ ქართველ მხედრობას ბრძოლა სომხებთან კი არა საბჭოთა რუსეთის რეგულარულ არმიასთან უხდებოდა. ამის შესახებ მთავრობის თავმჯდომარის 17 თებერვლის ოფიციალურ მოწოდებაშიაც იქნა ხაზგასმული. ქვეყნის ხელმძღვანელი საქართველოს მოსახლეობის ყურადღებას ბოლშევიკური რუსეთის მუხანათურ თავდასხმაზე მიაპყრობდა და გამაფრთხილებელი ტონით დასძენდა: „ბოლშევიკურმა ჯარებმა შემოგვიტია აღმოსავლეთით. იცოდეთ, რომ მათი გამარჯვება ნიშნავს ერის თავისუფლების, ხალხის ნაშრომის და ნაამაგარის სამუდამოთ დაღუპვას და ბოლშევიკთა მშიერი ბრბოების უსაშინლეს ტირანიაში ჩავარდნას. დადგა ჟამი ჩვენი ყოფნა-არყოფნისა. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის. გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა, თავის დადება, ერთობა და მტერი ძლეული იქნება."[233]

დასახული მიზნის მისაღწევად იგი ყველა ქართველში ჭეშმარიტი მამულიშვილობის გაღვიძებას, ფრონტისათვის დამხმარე რაზმების შექმნას, იარაღისა და სურსათის დაუბრკოლებლად მიწოდებას, ქვეყანაში უმკაცრესი წესრიგის დამყარებისადმი ხელშეწყობას, მოღალატეთა და ორგულთა ალაგმვას გადაუდებელ ამოცანად თვლიდა. „შეექმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა-ვკითხულობთ დოკუმენტში- და

ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი. ქართველო ხალხო ხელი ხმალს იკარ, მტერთა ისმიან ხმანია! საქართველო მოკვდება მაგრამ მტერს არ დანებდება."[234]

მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერები კარგად ხედავდნენ რომ საქართველო მრისხანე დამპყრობლის წინაშე მარტოდ-მარტო აღმოჩნდა. ამიტომ, ფრონტის დასახმარებლად პარტიული ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას შეეცადნენ. ამის დადასტურებას სსდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რაიონული ორგანიზაციებისადმი 16 თებერვალს დაგზავნილი საგანგებო მოწოდება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით 1) პარტიის წევრთა მობილიზაცია დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო, 2) ყველა გაწვეული ორ კატეგორიათ დაეყოთ ა) სამხედრო წვრთნა გავლილნი და ბ) ახალბედები. 3) ოჯახებში გადანახული იარაღი და ვაზნები გვარდიის შტაბისათვის ჩაებარებინათ „არ დააყოვნოთ ერთი წამი, ყველა ფეხზე დადექით."[235] ასეთი იყო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნა. მომხდარ ფაქტს საერთაშორისო რეზონანსი რომ მისცემოდა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ერთობლივი მოწოდებით მიმართეს მეორე ინტერნაციონალს, სოციალისტური და მუშათა პარტიების ინტერ ნაციონალურ ბიუროს. დოკუმენტი, საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევას და საქართველოზე ვრაგულ თავდასხმას, მეფის რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკური კურსის გაგრძელების კვალიფიკაციას აძლევდა. საერთაშორისო პროგრესული ძალებისაგან აღნიშნული ქმედების დაგმობას და ქართველი ხალხისადმი თანადგომის აუცილებლობის საკითხს აყენებდა. „კომუნისტური დროშის ქვეშ გრძელდება მეფის რუსეთის იმპრიალისტური პოლიტიკა, მცირე ერთა დაპყრობისა და დამონებისა. საქართველოს პროლეტარიატი იცავს თავის საზღვრებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს... საქართველოს მუშათა კლასის სახელით ვაცხადებთ უღრმეს პროტესტს იმპერიალისტური მოძალადის წინააღმდეგ... ჩვენ ველით თქვენ მორალურ დახმარებას. დარწმუნებული ვართ,... არ მოითმენთ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის სახელით კეთდებოდეს შავი საქმე სოციალისტური რესპუბლიკის განადგურებისა."[236]

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ორგზის მცდელობა (16, 21 თებერვლის დეპეშები) ომის მიზეზების გარკვევისა და საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ-უპასუხოდ დარჩა. ასეთივე ბედი ეწია მის მიერ ლენინისა და სტალინისადმი გაგზავნილ ნოტას, რომელიც იმპერიალისტური თავდასხმით ომის შეწყვეტას მოითხოვდა.[237]

აღნიშნული დოკუმენტების „პასუხი" საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩრდილოეთიდან ახალი ფრონტის გახსნით გამოიხატა. სოჭის, მამისონის, როკისა და დარიალის მიმართულებით საქართველოს წინააღმდეგ მერვე, შეცხრე და მეცამეტე არმიები იქნა დაძრული. ასეთ მძიმე ვითარებაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვლის სხდომამ, მიღებული დადგენილებით საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები კანონგარეშე გამოაცხადა. „იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქათველი ხალხის ულირსი შვილნი- ვკითხულობთ დოკუმენტში- დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, მათ ერთმანეთ ყოველივე ქონება და კანონგარეშე არიან გამოცხადებული ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".[238]

იმავე დადგენილების მეორე პუნქტი უშუალოდ 16 თებერვალს შექმნილ „საქართველოს რევკომს" ანუ შულავერის მთავრობას ეხებოდა და მისი წევრების მისამართით აცხადებდა: „ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებულ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებად, ჩამოერთვას მათ მთელი ქონება და გამოცხადდნენ საქართველოს კანონთა მფლობელობის გარეშე."[239]

მართალია, ეს დოკუმენტი ისტორიისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა, მაგრამ იმ ეტაპზე გარკვეული ფუნქციის, კერძოდ, მასაზე იდეოლოგიური ზემოქმედების შესრულებაც ეკისრებოდა. ამით საზოგადოებას ერთხელ კიდევ აჩვენეს, რომ ბოლშევიკების სამსახურში ყოფნა, ან მათდამი თანადგომა, ერის ღალატის ტოლფასოვან ქმედებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, იგი ბოლშევიკებისადმი საქართველოს მოსახლეობის დაპირისპირების ერთ-ერთ მძლავრ საპროპაგანდო იარაღად შეიძლებოდა გამოყენებულიყო.

ქართული ჯარის წინააღმდეგ 18-22 თებერვალს განხორციელებული შეტევითი ოპერაციები, XI არმიის ნაწილებმა მარცხით დაამთავრა. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ, მისი მოკავშირე თურქეთის ამოქმედებით, საქართველოსთვის სამხრეთის ფრონტის გახსნას შეეცადა. განსაცდელის წინაშე მყოფ საქართველოს ხელისუფლებას, თურქეთის მთავრობამ ულტიმატუმით (22 თებერვალი) ართვინ-არდაგანის ოლქების დაცლა მოსთხოვა. ახალი ფრონტის გასახსნელად მოწინააღმდეგისათვის საბაბის არმიცემის მიზნით, ქართულმა მხარემ, აღნიშნული ტერიტორიებიდან ჯარის გამოყვანა

მოახდინა. ამ გადაწყვეტილების მიღება იმ თვალსაზრისით იყო გამართლებული, რომ იმ ეტაპზე ქვეყნის გადარჩენის შესაძლებლობა მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთის წინსვლის შეჩერებაში ისახებოდა. დასახული მიზნის მიღწევა, დაშვებული საბედისწერო შეცდომების გამო შეუძლებელი გახდა. 1) გასაწვევ პუნქტებში გამოცხადებული ადამიანების იარაღითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის მოუგვარებლობა, მაშინ როდესაც მისი დადებითად გადაწყვეტისათვის ქვეყანას რეალური სარეზერვო ფონდი გააჩნდა. ამის შესახებ, თავის მოგონებებში გ.მაზნიაშვილი წერს: „1921 წლის მაისში ჩვენს საწყობებში დარჩენილი ტანსაცმლით მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხამდე 17.000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა... მაშინ როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციის სახით ჰკრებდა დანჯღრეულ უნაგირებს ქუთაისში და სამტრედიაში, ნავთლულის საწყობებში იყო თურმე რამდენიმე ათასი საკავალერიო ახალი უნაგირი და ცხენების სხვა მრავალი მოწყობილობა."[240] მისივე მონაცემებით, სამინისტროს საწყობებიდან ორი კვირის განმავლობაში ბოლშევიკები უფასოდ კვებავდა ქალაქის მოსახლეობას. აღნიშნული ფაქტების სისწორეს იმ მოვლენების აქტიური მონაწილე გ.ქიქოძეც ადასტურებს; „როდესაც თბილისში წითელი არმია შემოვიდა- წერს იგი- აღმოჩნდა, რომ საწყობები სავსე იყო ამუნიციით და სანოვაგით, ქართველ ჯარს კი ბრძოლის ველზე ბევრი რამ აკლდა.[241]

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს იმ ეტაპზე დამატებით, „თავიდან ფეხებამდე" შეიარაღებული 17.000 ქვეითი ჯარისკაცის, რამდენიმე ათასი კავალერისტის გამოყვანა და საკვებითაც უზრუნველყოფა შეეძლო. და თუ ეს არ გაკეთდა, იგი იმ ხამხედრო უწყების პასუხისმგებელ პირთა დანაშაულებრივ ქმედებად უნდა ჩაითვალოს, ვისაც ქართული სარეზერვო ჯარის შეიარაღება ევალებოდა და ამ ქონების არსებობით არ დაინტერესდა. გადამწყვეტ მომენტში სამშობლოს დამცველთა შეიარაღებას რომ ვერ მოახმარა და ქვეცნობიერად ბოლშევიკებს „გადაუნახა" 2) იაღლუჯის სანახებში 19 თებერვალს შემოჭრილ XI არმიის ნაწილების დამარცხება და მტრის უკან გაქცევით შექმნილი ხელსაყრელი მომენტის ბოლომდე ვერგამოყენება. ამ ფაქტს, გ. მაზნიაშვილი შემდეგნაირად აგვიწერს: „მოწინააღმდეგის დახეულ ჯარებს თოფის ტყვია ვერ სწვდებოდა და ვესროდით მხოლოდ ზარბაზნებს. რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დასდევნებოდა. ლაშქრის შტაბმა, არ ვიცი რა მიზეზით, საჭიროთ არ ჩათვალა გამოეგზავნა ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი მაინც. ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს სოფელ ლილოსთან უსაქმოდ."[242] თუ რა შედეგის მომტანი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო მტრისათვის დადევნება, ამის შესახებ გ.ქიქოძესთან საუბარში შალვა ელიავას განუცხადე-

ბია: „ქართველმა ჯარმა გამარჯვება არ გამოიყენა და იერიშზე არ გადავიდა ფართო მასშტაბით. უკანდახეულ წითელარმიელებს ძლივს ვაკავებდით, თუ ქართველ ჯარს ენერგიულად შემოეტია, შეიძლება ფეხი ველარ მოგვემაგრებია ბაქომდე."[243] ქართველი სარდლობისაგან დაშვებული ეს შეცდომა მოწინააღმდეგემ შესანიშნავად გამოიყენა. გ.ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ, წითელ არმიას დრო მიეცა „დაშოშმინებულიყო" და თავისი რაზმები გადაეჯგუფებინა."[244] რიცხვობრივი უპირატესობის მოპოვებისა და საგანგებოდ მომზადების მიუხედავად, როგორც მთავარი შტაბის მონაცემებით დასტურდება, მტერმა 20, 21, 22 და 23 თებერვალს შეტევითი ოპერაციები მარცხით დაამთავრა.[245]

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საბედისწერო, 24 თებერვალს ღამით მთავარსარდლობისაგან თბილისის დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახდა. თუ რით იყო განპირობებული ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ამის შესახებ გ.კვინიტაძე 24 თებერვალს შექმნილი მძიმე მდგომარეობით ხსნის. მისი მტკიცებით, ამ მომენტში მტერს დაკავებული ჰქონდა ნორიო, ლილო, მამკოდი, გლდანი, ავჭალის რკინიგზის სადგური და სოღანლუღის ქედზე შავნაბადას მონასტერი. „დილმის მინდვრიდან (ნახშირგორასთან)-წერს გ. კვინიტაძე-გამოჩნდა ჯერ კიდევ დილით 24 თებერვალს მანგლისიდან ჩამოსული მტერი... შეიძლება ითქვას, რომ უკვე გარშემორტყმული ვიყავით."[246] აღნიშნულ ფაქტებთან და მიმდინარე საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით გენ.მაზნიაშვილი თავის მოგონებებში ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს. რამდენადაც იგი მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა და თბილისის დაცვის სამივე რაიონის სარდლობის (გენ. მაზნიაშვილი, გენ. ანდროკიკაშვილი, გენ. ჟიჯიხია) ინფორმაციას სრულად ფლობდა, ვფიქრობთ მის მიერ გამოთქმული თვალსაზრისიც უთუოდ გასათვალისწინებელია. 24 თებერვლის მოვლენებს იგი შემდეგნაირად აგვიწერს „24 თებერვალს დილიდანვე მოწინააღმდეგე მთავარი ძალებით მოაწვა გენ. ანდრონიკაშვილის რაიონს და ნაწილობრივ ჩემს რაიონსაც ტაბახმელიდან მოყოლებული შავნაბადამდე. მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის იერიშებს ვიგერიებდით და დიდ ზარალს ვაყენებდით... ჯიჯიხიას რაიონში მოწინააღმდეგე ამოძრავდა შუადღის 3 საათზე, ხოლო ვაზიანთან, სადგურიდან კარგად მოშორებულ მანძილზე გამოჩნდა რამდენიმე „ტანკი" გვარდიელების ზოგიერთმა ათასეულმა ტანკები რომ დაინახეს , შეშინდნენ, მიანებეს თავი თხრილებს და გამოიქცნენ, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მებრძოლი რაიონი კვლავ იქნა აღდგენილი. დაახლოებით საღამოს 6 საათზე, ჩემს რაიონში მოწინააღმდეგემ წამოიწია სოფელ თელეთ-მუხრანიდან, გაარღვია ჩემი პოზიცია და დაიკავა ტრიგონომეტრიული პუნქტი. ეს მაცნობა მე-9 ქვეითი ლეგიონის

უფროსმა პოლკოვნიკმა ნ.ვაჩნაძემ. ტელეფონით ვთხოვე გენ. ანდრონიკაშვილს, დაებრუნებინა 1-ლი ლეგიონის ერთი ასეული მაინც გარღვეული პოზიციის აღსადგენად. გენ. ანდრონიკაშვილმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა ორი ასეული და პოლკ. ვაჩნაძემ საღამოს 6 საათსა და 40 წუთზე აღადგინა წინანდელი მდგომარეობა, ე.ი. მოწინააღმდეგე განდევნა და პუნქტები კვლავ დაიკავა."[247] ეს ვრცელი ამონაწერი ჩვენ შეგნებულად მოვიტანეთ, რადგან მასში თვითმხილველის პოზიციიდანაა დანახული ის საომარი პროცესები, რომლებიც თბილისის დაცვის უბანზე მიმდინარეობდა. მეორე მხრივ, იგი იმის უდაო დადასტურებასაც წარმოადგენს, რომ 24 თებერვალს საღამოს 7 საათისათვის ნორიო-ლილოს, გლდანი-ავჭალისა და ტაბახმელა-შავნაბადას მონაკვეთი ქართული ჯარის ხელში იყო და მტერზე ზემოქმედების სტრატეგიულ უპირატესობას ფლობდა. ამის შესახებ მთავარ შტაბს გ. მაზნიაშვილისაგან სრული ინფორმაცია ჰქონდა. 24 თებერვალს ფრონტზე მიმდინარე მოვლენების გადმოცემისას ვთევზაძე, როგორც შტაბის ოფიცერი, ბუნებრივია აღნიშნულ ინფორმაციას ემყარებოდა. იგი მაზნიაშვილის მიერ მოტანილ ფაქტების სისწორეს მხოლოდ ზოგიერთი „კორექტივის შეტანით" ადასტურებს, „მთელი 24 თებერვლის ღამე და 24-ის დღე-წერს ვ. თევზაძე- გამწარებული ბრძოლები წარმოებს. ოღონდ, შედეგს (მტერი-შ.ვ.) ვერსად ვერ აღწევს, ერთი ფეხითაც არ იხევენ უკან თავდადებული მებრძოლები. შუა ნაკვეთსაც გენ. მაზნიაშვილისას ცოტა წარუმატებლობა აქვს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ საერთოდ თავის პოზიციაზე ურყევად დგას. მხოლოდ გენ. ჯიჯიხიას ნაკვეთზე, შეტევის მაგიერ უკანდახევას აქვს ადგილი."[248]

როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული გენ. ჯიჯიხიას პოზიციების დაკავება დღის სამ საათზე მტერმა მართლაც შეძლო, მაგრამ საღამოს 6 საათისათვის ქართულმა ჯარმა იგი ისევ დაიბრუნა. რაც შეეხება გენ. მაზნიაშვილს, თელეთ-მუხრანთან მტრისაგან გარღვეული ფრონტი მან საღამოს 6 საათსა და 40 წუთზე სრულად აღადგინა. თუკი იმავე მაზნიაშვილს დავეყრდნობით, 24 თებერვლის საღამოსთვის ქართულ ჯარს მტერზე აშკარა უპირატესობა ჰქონდა. „ფრონტის მდგომარეობა კი 24 თებერვალს- წერს გ. მაზნიაშვილი-ასეთი იყო: მოწინააღმდეგის იერისები ყველა რაიონში მოგერიებულ იქნენ და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი დღის ბრძოლით დაქანცული მოწინააღმდეგე ღამის იერიშებს არ მოახდენდა, ხოლო დილით, რადგანაც მოწინააღმდეგე იდგა მთის გაშლილ ფერდობზე და ხევებში, ჩვენი კარგად მოწყობილი პოზიციის პირდაპირ, იძულებული გახდებოდა ან იარაღი აეყარა, ან და თუ ვინიცობაა უკან დაიხევდა, მთლად გაწყდებოდა. ლეგიონების უფროსებთან ტელეფონით ლაპარაკის დროს ეს ჩემი აზრი თანდათან მტკიცდებოდა."[249] ეს იმას

ნიშნავს, რომ რეალური საფრთხის წინაშე, არათუ ქართული ჯარი, არამედ მოწინააღმდეგე იმყოფებოდა. ვ. თევზაძის გადმოცემით „25 სალამოს (გამთენიისას-შ.ვ.) ჩვენი მდგომარეობა არ იყო სანუგეშო, მტერი თბილისიდან ყველა მიმართულებით 10-12 კმ. მანძილზე იმყოფებოდა. მართალია, დაწვრილებითი ცნობების მიღება ნაკვეთების უფროსთაგან ადვილი არ იყო, მაგრამ ცხადად იმჩნეოდა ყველგან მოწინააღმდეგის რიცხვობრივი უპირატესობა და რაც მთავარია, მათი 6 დივიზიამდე ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ორივე მხრიდან მოქმედებდა, გზის ჩაკეტვით გვემუქრებოდა."[250] აქ ორ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: 1) როგორც ვ. თევზაძე ადასტურებს მტერი თბილისიდან 10-12 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ ჯარს პირვანდელი პოზიციები ეჭირა და 2) მართალია იგივე ვ.თევზაძე გამოუვალ მდგომარეობაზე და უკანდასახევი გზის მოჭრის გარდუვალ საფრთხეზე მიუთითებს, მაგრამ იმავდროულად, საბრძოლო რაიონებიდან მოწოდებული ინფორმაციის დეფიციტზეც ამახვილებს ყურადღებას. ასეთ პირობებში, სამხედრო შტაბი ვალდებული იყო თბილისის თავდაცვის რაიონების სარდლები (გენ. მაზნიაშვილი, გენ. ანდრონიკაშვილი და გენ. ჯიჯიხია) გამოეძახა და მათგან სრულყოფილი ინფორმაცია მიეღო. მათივე თანდასწრებით განეხილა – იძლეოდა თუ არა ქართული ჯარის განლაგება და პოზიციები თბილისის დაცვის გაგრძელების შესაძლებლობას. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ბრძოლის გარეშე მისი დატოვების მიზანშეწონილობა ერთობლივად გადაეწყვიტათ. გაეთვალისწინებინათ ამ ნაბიჯის გადადგმით ქართული ჯარისა და მოსახლეობის დემორალიზაცია, ის რეალობა, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მცხეთაში გამაგრება და მტრისათვის გენერალური ბრძოლის გამართვა. რამდენადაც ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლა და მის საფუძველზე საერთო დასკვნის გაკეთება სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევართა კომპეტენციას წარმოადგენს, კონკრეტული დასკვნის გაკეთებისაგან თავს შევიკავებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მთავარსარდლის მიერ 24 თებერვალს ღამით გაცემული ბრძანებით, თბილისი დატოვებულ იქნა. არა თუ ჩაფიქრებული ბრძოლის გამართვა, არამედ ტაქტიკური შეცდომის დაშვების გამო, სურამის უღელტეხილის რიგიანად ჩაკეტვაც ვერ მოახერხეს. ხეობაში გასასვლელი უღელტეხილის გზატკეცილის გამაგრებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭეს და ძირითადი ყურადღება გვირაბის დაცვისაკენ გადაიტანეს. „ჩემის აზრით- წერს გ. მაზნიაშვილი- უღელტეხილის დასაცავად ჯარების ამგვარი გადანაწილებით დიდი შეცდომა იყო დაშვებული. ჩვენი მთავარი შტაბისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მოწინააღმდეგე მთელი თავისი ძალებით მოაწვე-

ბოდა ჩვენს მარცხენა ფრთას, ე.ი. უღელტეხილს იმ მიზნით, რომ ჩაეგდო ხელში გზატკეცილი და სოფ. ფონა. გვირაბს იგი გვერდს აუქცევდა და გამოვიდოდა ამგვარად ხეობაში... ამ შეცდომას მოჰყვა საბედისწერო შედეგი. მოწინააღმდეგემ... დასახული ამოცანა გადაჭრა ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. იერიში მიიტანა მარცხენა ფრთაზე და იმავე დღეს ხელთ იგდო უღელტეხილის უმაღლესი წერთილი."[251] ყოველივე ამის შემდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე ფიქრმა პერსპექტივა დაკარგა.

საბჭოთა რუსეთმა ქართველ ხალხს მეორე დიდი დარტყმა მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით მოუმზადა. ხელმოწერილი დოკუმენტის პირველი მუხლის მიხედვით, არტაანისა და ართვინის ოლქები თურქეთის კუთვნილებად გამოცხადდა.[252] და საქართველოს ხარჯზე მეზობელ სახელმწიფოს 12.115 კვ. კმ ტერიტორია გადასცა.[253] საქართველოს ისტორიული ტერიტორიის შენარჩუნებასთან მიმართებაში თუ რა განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ დემოკრატიული საქართველოსა და ბოლშევიკების ხელისუფლების წარმომადგენლები, ამის საილუსტრაციოდ გ.ლორთქიფანიძისა და მ.ორახელაშვილის 1921 წლის 17 მარტის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ჩანაწერები გამოდგება. გ. ლორთქიფანიძის სამართლიან მოთხოვნას; „როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს. ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს ის. ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი... დღეს ყველაზე დიდი საშური საკითხი და პირველ რიგში განსახილველი არის საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება." მ.ორახელაშვილმა შემდეგნაირად უპასუხა: „ეს საკითხი მეორეხარისხოვანია. ჩვენი პირველი მოთხოვნილება არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საბჭოთა რესპუბლიკა და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია."[254]

აღნიშნული ფაქტი ამ ორი პიროვნების ეროვნული ცნობიერების ურთიერთდაპირისპირების შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს. გ.ლორთქიფანიძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო ორახელაშვილი პირიქით, წინა პლანზე საბჭოური ხელისუფლების აღიარებას აყენებდა და ტერიტორიის პრობლემას ერის მომავლისათვის მეორეხარისხოვნად თვლიდა. ეს იმაზედაც მიგვანიშნებს, თუ რა მძიმე გამოცდის წინაშე იდგა სამომავლოდ ქართველი ერი. რაც შეეხება გ. ლორთქიფანიძეს და მ. ორახელაშვილს შორის 18 მარტს ქუთაისში მიღწეულ შეთანხმებას, მიღებული დოკუმენტის

პირველი, მეორე და მესამე მუხლები საომარი მოქმედების შეწყვეტასთან ერთად, საბჭოთა რუსეთის ჯარებს, დაუბრკოლებლად წინსვლის შესაძლებლობას აძლევდა. ეს გადაწყვეტილება თურქებისგან ბათუმის ოლქის გაწმენდას და მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრების დაკავებას ისახავდა მიზნად.[255] დამფუძნებელი კრების 1921 წლის 16 მარტის დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრებმა, 17 მარტს იტალიური გემით ბათუმი დატოვეს და ემიგრაციაში – საფრანგეთში გაემგზავრნენ. საქართველო ბოლშევიკურ რუსეთს გენერალური ბრძოლის გარეშე „ჩაბარდა" ხოლო მისმა სარდლობამ ეს იდეა „საზღვარგარეთ წაიღო."

ამრიგად, 1) რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმონაქმნი სახელმწიფოებისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისაგან „საღვთო ომის გამოცხადება, „ურჩი ქვეშევრდომის" დასჯას ისახავდა მიზნად და კეთილმეზობლურ ურთიერთობას სათავეშივე გამორიცხავდა. საბჭოთა რუსეთის მიერ, დენიკინის წინააღმდეგ შემოთავაზებულ სამხედრო კავშირზე უარის თქმა სწორი გადაწყვეტილება იყო. იგი ქვეყნის არა მარტო სამოქალაქო ომიდან, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური იზოლაციისაგან ხსნას ითვალისწინებდა. 2) რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებით ისტორიულ საზღვრებში საქართველოს დე–იურე აღიარება, ევროპისათვის პრეცედენტს წარმოადგენდა და საერთაშორისო არენაზე სამართლებრივი უფლებების მოპოვების გარანტიებს იძლეოდა. ამ დოკუმენტს, მაშინდელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, დადებითი შეფასება მისცა, რადგან იგი რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას და მოსალოდნელი აგრესიისაგან უსაფრთხოების შექმნას ისახავდა მიზნად. 3) საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობაში, საბჭოთა რუსეთი პოტენციალურ მოწინააღმდეგეს და ახლოაღმოსავლური პოლიტიკის განხორციელებაში ხელშემშლელს ხედავდა. მის მიერ საქართველოს დასაპყრობად შემუშავებული გეგმა, კავკასიის რეგიონში ხელსაყრელი სიტუაციის შექმნას ეფუძნებოდა. ქართველი სარდლობის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, საბჭოთა რუსეთის მესვეურებს ლორეს „აჯანყების" ინსცენირებისა და საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების შესაძლებლობა მისცა. ასეთ ძნელბედობის ჟამს, სამხედრო საწყობებში არსებული დიდძალი ამუნიციის ეროვნული ძალების შესაიარაღებლად არ გამოყენება, სამხედრო უწყების შეცდომებზე მეტყველებს. მისგან გამომდინარე უარყოფითმა შედეგებმა, თებერვლის მოვლენებში თავი სრულად იჩინა. გენერალური ბრძოლის გარეშე თბილისის დატოვების საბედისწერო ბრძანებით (24 თებერვალი), საბჭოთა რუსეთმა ნანატრი ოცნება აიხდინა და ქართველ ერს, მონობის საბჭოური უღელი დაადგა ქედზე.

დასკვნები

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის (1917-1921 წწ) საკვანძო საკითხების შესწავლამ და არსებული ფაქტობრივი მასალის ანალიზმა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა

1) რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციის (მენშევიკები, ბოლშევიკები) გაერთიანების მიუღწეველობა (1917 წლის 2 ოქტომბერი), ლოგიკური დასასრული იყო. იგი ურთიერთსაწინააღმდეგო მსოფლმხედველობის მქონე მიმდინარეობების დაპირისპირებისა და ქვეყნის შესაძლო განვითარების პერსპექტივების სხვადასხვა განზომილებით შეფასებიდან გამომდინარეობდა. მათი ოფიციალურად გამიჯვნა, დროის მოთხოვნილებით განპირობებულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

2) დროებითი მთავრობისადმი ქართული სოციალ-დემოკრატის მხარდაჭერას, რევოლუციის ბოლომდე მიყვანის, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისა და დამფუძნებელი კრების იმედი ასაზრდოებდა. ამ ფუნქციის შეუსრულებლობამ და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გაკოტრებამ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა პრაქტიკული საქმიანობა ამიერკავკასიის რეგიონით შემოფარგლა.

3) ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ ოქტომბრის მოვლენებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და რუსეთის სინამდვილისათვის სოციალისტური რევოლუციის მიზანშეუწონლობის მტკიცება, საზოგადოების ევოლუციური განვითარების მყარ არგუმენტს ეფუძნებოდა. ამიერკავკასიის რეგიონში სამოქალაქო ომის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ დროული რეაგირება, არსებული პოლიტიკური სიტუაციის სიღრმისეულად გააზრების შედეგს წარმოადგენდა. მოსალოდნელი საშიშროების განმუხტვისათვის შესაბამისი გზების ძიება, ანარქიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას ქმნიდა.

4) ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის (1917 წლის მარტი) დროებითი მთავრობის შეხედულებისამებრ შევსებამ და ცენტრის სურვილთა უსიტყვო შემსრულებლად ქცევამ, მისდამი ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) დაპირისპირება განაპირობა. იგი სრული სახით ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში-სახელისუფლებო ბრძოლაში გამოვლინდა. ქალაქის საბჭოს არჩევნებში ქართული სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებამ, თბილისის თვით-

მმართველობიდან დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერთა ჩამოცილება განაპირობა. ქართული სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების მიზნით, ამიერკავკასის კომისარიატის დემოკრატიულ საწყისებზე შექმნა (1917 წლის 15 ნოემბერი) წინგადადგმული ნაბიჯი იყო და არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას სრულად პასუხობდა. ამიერკავკასიის სამოქალაქო ომიდან გამოყვანა, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების დარბევისაგან თბილისის გადარჩენა და რეგიონში სრული წესრიგის შენარჩუნება, ქართული სოციალ-დემოკრატიის დიდ დამსახურებას წარმოადგენდა.

5) ამიერკავკასიის მმართველობითი ორგანოს-სეიმის მოწვევის აუცილებლობას (1918 წლის 10 თებერვალი), ქართველი სოციალ-დემოკრატები რეგიონის რთული პოლიტიკური სიტუაციით ხსნიდნენ და „იძულებით" ღონისძიებათ მიიჩნევდნენ. ხოლო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი თავშეკავებას, განსაკუთრებული სიფრთხილის აუცილებლობას, მფარველი სახელმწიფოს ძიებას, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოზიციის გარკვევას უკავშირებდნენ. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფოს ოფიციალურად გამოცხადება (1918 წლის 9 აპრილი), რეგიონში ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას ითვალისწინებდა. ეროვნული სახელმწიფო წარმონაქმნების არარსებობის გამო, მან ბუტაფორიული სახე მიიღო და დასახული მიზნის შესრულება ვერ შეძლო.

6) ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ დემოკრატიული რუსეთის სივრცეში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა (1917 წლის სექტემბერი) და საკითხის გადაწყვეტის დამფუძნებელი კრებისადმი დაკავშირება, დროებითი მთავრობის პოლიტიკურ კურსს შეესაბამებოდა, ცენტრალური ხელისუფლებისაგან ყოველგვარ ზეწოლის შესაძლებლობას გამორიცხავდა და ერის თვითგამორკვევის ლოგიკურ დასკვნამდე მისაყვანად მტკიცე საფუძველს ამზადებდა. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნა (1917 წლის 25 აგვისტო) ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გაწეული საქმიანობის ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. პარტიათა შორის კონსენსუსის მიღწევა და ერთიანი სამოქმედო პლატფორმის შემუავება, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის (1917 წლის 19-23 ნოემბერი) მტკიცე საფუძველი გახდა. მის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო (1917 წლის 22 ნოემბერი) ეროვნული მთავრობის ჩანასახს წარმოადგენდა.

რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ (1917 წლის 25 ოქტომბერი), ბრესტის საზავო ხელეკრულებით (1918 წლის 3 მარტი)

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ, კავკასიურ პოლიტიკაში გერმანიის აქტიურად ჩართვამ და საქართველოსადმი მისმა განსაკუთრებულმა ინტერესმა, თურქული აგრესიისაგან საქართველო არა მარტო გადაარჩინა, არამედ დამოუკიდებლობის გამოცხადებაც დააჩქარა. გერმანიას საქართველო კავკასიური პოლიტიკისათვის სჭირდებოდა, ხოლო ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საფუძვლად. 1918 წლის 26 მაისის აქტში საქართველო-გერმანიის ერთობლივი ინტერესი იყო ჩადებული, რომელიც 117 წლის იძულებითი „შესვენების" შემდეგ ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საფუძველი გახდა.

7) მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი ქართული სახელწოდების (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) იურიდიულად დაკანონება (1918 წლის 19 ნოემბერი), საქართველოს რეალური სინამდვილით იყო განპირობებული და იდეოლოგიურთან ერთად პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენდა. მითუმეტეს, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები პარტიის სიძლიერეში ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ხედავდნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეურ-პოლიტიკური ხაზით გატარებული ღონისძიებები: საპროპაგანდო-სააგიტაციო კოლეგიის და შესაბამისი კომისიების შექმნა, ლექტორ-პროპაგანდისტების საჯარო ლექციების გამოყენება, პარტიის იდეური და ორგანიზაციული სიძლიერის, მოსახლეობის ფართო ფენებისგან მხარდაჭერის მტკიცე გარანტიისათვის საფუძვლის მომზადებას ემსახურებოდა.

8) რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შექმნილმა საარჩევნო პლატფორმამ, ქართულ სოციალ-დემოკრატიას დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წლის თებერვალი) დამსახურებული გამარჯვება მოუპოვა (105 მანდატი). იგი ახლადშექმნილ საკანონმდებლო ორგანოში ძლიერი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შექმნის საფუძველი გახდა. ოპოზიციის ბრალდებებისადმი დასაბუთებული პასუხის გაცემით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად (1918 წლის მაისიდან 1919 წლის მარტამდე) გატარებული პოლიტიკური კურსის სისწორე დაადასტურეს.

9) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებული ფრაქციის „ალიონისტთა ჯგუფის" თვითლიკვიდაცია (1918 წლის დეკემბერი), კონსესუსის შედეგს წარმოადგენდა და პარტიის ერთიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში შექმნილმა სიძნელეებმა, პარტიისა და სახელმწიფოს გამმიჯნავი მექანიზმის არარსებობამ, გაზეთ „ახალი სხივის" მესვეურთ

სსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის კრიტიკის რეალური საფუძველი მისცა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობისა და ევროპული ახალი გიების გათვალისწინებიდან გამომდინარე, პარტიული და სახელმწიფო თანამდებობების შეთავსების დაშვება, ქართული სინამდვილისათვის იმ ეტაპზე მისაღები იყო. „ახალი სხივის" ძირითადი მოთხოვნები რეალური სინამდვილის იგნორირებიდან გამომდინარეობდა და სსდმ პარტიის რიგებში განხეთქილების შეტანას, მისი ტაქტიკური ხაზის დისკრედიტაციას და მთავრობისადმი მოსახლეობის დაპირისპირებას ისახავდა მიზნად. „სხიველების" ანტიპარტიულ მიმდინარეობად გამოცხადება და მისი ხელმძღვანელი ბირთვის სსდმ პარტიის რიგებიდან გარიცხვა (1921 წლის თებერვალი), პარტიული წესდებით გათვალისწინებულ დემოკრატიულ ცენტრალიზმს და 1921 წლის 19 იანვრის პარტიული კონფერენციის რეზოლუციებს ემყარებოდა. აღნიშნული ნაბიჯი, პარტიის ავტორიტეტის შესანარჩუნებლად და უმკაცრესი პარტიული დისციპლინის აღსადგენად იყო გათვალისწინებული.

10) ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწყობისათვის უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელისადმი უპირატესობის მიცემა, შემოქმედებითად გააზრებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და ქვეყნის გეოპოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე მოთხოვნებს სრულად პასუხობდა. რაც შეეხება რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციების პრეზიდენტის ძირითად საპასუხისმგებლო უფლებებთან გაერთიანებას, უნიტარიზმისადმი დამახასიათებელ მოთხოვნებს ემყარებოდა. მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების 1-3 წლამდე გაზრდა, ქვეყნის მტკიცე ხელისუფლების შენარჩუნებას და სახელმწიფო რეფორმების სრულყოფილად გატარებას ითვალისწინებდა.

11) დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება-დახვეწისათვის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი „დასესხება", იძულებიდან გამომდინარეობდა და სახელმწიფოებრივი მართვის ტრადიციების დაკარგვით იყო განპირობებული. მათი პრაქტიკული გამოცდილებიდან საუკეთესოს აღება და შემოქმედებითად გააზრებული ფორმით ქართულ სინამდვილეში გადმოტანა, საქართველოს სპეციფიკისათვის შესაფერისი მოდელის შექმნას ისახავდა მიზნად. ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების-ცენტრისა და ადგილობრივი მმართველობის უფლებათა გამიჯვნის აუცილებლობა, ერობებისა და მუნიციპალური თვითმმართველობების ადმინისტრატორების დამოუკიდებლად არჩევა, შესაბამისი სამინ-

ისტროებისადმი მეთვალყურის ფუნქციების და მისი მოქმედების უფლებების მკაცრად განსაზღვრა, მათ შორის ურთიერთბის რეგულირებას ითვალისწინებდა. ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას რესპუბლიკის ერობათა დამაკავშირებელი რგოლი (1919 წლის სექტემბერი) ასრულებდა.

12) ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ საკანონმდებლო ხაზით გატარებული ღონისძიებები, საერთაშორისო სტანდარტებს შეესატყვისებოდა და სასამართლო რეფორმისათვის მყარი საფუძვლის მომზადებას ითვალისწინებდა. საქართველოს სენატის არჩევით (1919 წლის 7 ოქტომბერი) და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სასამართლოს საქმიანობისადმი ზედამხედველობის დაწესებით, ეროვნული სახელმწიფოს მოწყობის პროცესმა სამართლებრივი სახე შეიძინა. ეროვნული უმცირესობებისადმი საჯარო უფლებების მინიჭების უარყოფა, შიდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების საწინააღმდეგო ნაბიჯს წარმოადგენდა და ეროვნული სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. კომპაქტურად დასახლებული არაქართული მოსახლეობის ეროვნული თემების შექმნის კონცეფციას, ეროვნული ადმინისტრაციის, ეროვნული სასამართლოს, ეროვნული სკოლის მოწყობა და მასზე სახელმწიფოს ერთიანი კონტროლის დაწესება ედო საფუძვლად. იგი ეროვნულ უმცირესობათა ურთიერთობების რეგულირებასა და მათი კულტურული განვითარების გარანტიას ქმნიდა.

13) მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისადმი მიდგომის ფორმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ითვალისწინებდა და რეგიონისადმი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის უფლებების მიცემას სათავეშივე გამორიცხავდა. საქართველოს დაქვემდებარებაში აფხაზეთისათვის შინაგანი ავტონომიის ოფიციალურად აღიარება, არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას უწევდა ანგარიშს და კომპრომისულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებისას სამურზაყანოს ქართული მოსახლეობის ფაქტორის გამოყენებამ და ამ „მექანიზმის" ამოქმედებამ, აფხაზური მხარის კატეგორიული მოთხოვნები ურთიერთშეთანხმების საკითხის დასმით შეცვალა. ავტონომიური აფხაზეთის „დროებითი დებულების" შემუშავება, საკითხს საბოლოოდ არ წყვეტდა, იგი სავარაუდო გეგმას წარმოადგენდა და რეგიონში სტაბილისაზიის შენარჩუნებას ითვალიწინებდა. 1921 წლის კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით, სოხუმის ოლქის ცნების გამოკვეთილად წინ წამოწევა და უნიტარიზმის პრინციპის გათვალისწინება, ტერიტორიის შემოფარგვლით, აფხაზეთისთვის მხოლოდ საოლქო ავტონომიის მიცემის ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლე-

ვა.

14) „სამუსლიმანო საქართველოში" თურქეთისა და ინგლისის ანტიქართული პოლიტიკური კურსის გატარებამ, რეგიონიდან ეროვნული ძალების განდევნამ და საქართველოს მთავრობის იურისდიქციის აღკვეთამ, დენიკინის, ბოლშევიკური რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის აგენტებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო საქმიანობის საშუალება მისცა. ერთიანი საქართველოს ინტერესების ფონზე „სამუსლიმანო საქართველოს" საკითხის განხილვისას, რეგიონის კანტონალური წესით მოწყობის უარყოფა და საკუთარი თვითმმართველობის უფლებების მიცემისადმი აქცენტირება, სწორი გადაწყვეტილება იყო. საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 25 დეკემბრის დებულება „სამუსლიმანო საქართველოსთვის" ავტონომიის მინიჭების შესახებ, „სამუსლიმანო საქართველოს" მოსახლეობისადმი საქართველოს მთავრობის ოფიციალური მიმართვა და ზემო აჭარის დელეგაციისადმი ნ.ჟორდანიას მიმართვა, პოლიტიკურ ავტონომიას კი არ გულისხმობდა, არამედ ტერიტორიის შემოფარგვლით, მხოლოდ ადგილობრივი მართვა-გამგეობის სფეროში თვითმმართველობის ავტონომიას, რაც საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლითაც იქნა დადასტურებული.

15) რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმონაქმნი დამოუკიდებელი რესპუბლიკებიდან (ფინეთის შემდეგ) საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი კონსტიტუცია მიიღო (1921 წლის 21 თებერვალი). ეს იყო უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს საკანონმდებლო-იურიდიული დოკუმენტი. იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამართლებრივ პრინციპებზე მოწყობის ორგანიზაციის სრულყოფასა და მის მშენებლობას ითვალისწინებდა.

16) საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სიძნელეები იმ გლობალური პროცესების უარყოფით შედეგს წარმოადგენდა, რომელიც პირველ მსოფლიო ომთან, რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან, მძიმე მემკვიდრეობასთან და სამოქალაქო ომისგან ქვეყნის გადარჩენის მიზნით იძულებით გაღებულ გაუთვალისწინებელ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საქართველოს ხელისუფლების მიერ ეკონომიკური საბჭოსა და მრეწველთა კავშირის შექმნის საკითხის დასმა, ფინანსურ-ეკონომიკური პროგრამის შემუშავებისთვის ზრუნვა, ადგილობრივი სააქციო საზოგადოების (1918 წელი) და შავი ქვის სააქციო საზოგადოება „ჩემოს"(1919 წელი) დაარსება, იტალიურ და ფრანგულ ფირმებთან („ილვა", „ფერრან-გენტრანი"), ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბანკთან „საბანკო ჯგუფთან" ხელშეკრულების გაფორმება (1920 წელი), ევროპული ინვესტიციების მოზიდვას და ადგილობრივი სამ-

რეწველო კაპიტალის ამოქმედებით ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას ითვალისწინებდა.

17) მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაში ცვლილებების გატარება-ქართული ბონების მიმოქცევაში შემოტანა (1919 წელი) და მისი დამცავი მექანიზმის ამოქმედება, სავალუტო ოპერაციების მარეგულირებელი ეროვნული ბანკის შექმნა (1919 წლის დეკემბერი) ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის წინასწარ მომზადებულ ღონისძიებებს წარმოადგენდა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ნგრევის საფუძველზე წარმონაქმნი რესპუბლიკების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის საქართველოსთან შედარებითი ანალიზი, ქართული ფულის სტაბილურობას და მაღალ მსყიდველობითუნარიანობას ადასტურებს. საზღვარგარეთის ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, 1921 წლიდან ახალი ფულის ნიშნების 2 მილიარდის ღირებულების ოქროსა და ვერცხლის საფუძველზე ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში შემოტანის წინაპირობის მომზადება, ქვეყნის გადარჩენის რეალურ იმედს იძლეოდა.

18) აგრარული რეფორმის მუნიციპალიზაცის კურსი (1917 წელი) რუსეთის სინამდვილიდან გამომდინარეობდა და დროებითი მთავრობის აგრარული პოლიტიკის ჩარჩოში თავსდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, ქართულ სოციალ-დემოკრატიას, აგრარული საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინების ფონზე მისი გატარების შესაძლებლობა მისცა. 1919 წლის იანვარში გამოცემული მიწის კანონები და „ინსტრუქცია", კერძო საკუთრებაში მიწის დაკანონებასთან ერთად, მიწისმფლობელობის სამი ფორმის; კერძო საკუთრების, მუნიციპალიზაციის და სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების აუცილებლობასთან ერთად, სოფლად კაპიტალიზმის განვითარებისა და აგრარული რეფორმის ქართულ სამეურნეო ტრადიციასთან დაახლოებას ითვალისწინებდა. ყარაიაზის ველზე გლეხთა ჩასახლების პოლიტიკის გატარებით, ქართული სოციალ-დემოკრატია სამი ძირითადი საკითხის გადაჭრას ისახავდა მიზნად: 1) უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების მიწებით უზრუნველყოფას, 2) ქვეყნის სასაზღვრო ზოლის ქართული ელემენტით გამაგრებას და 3) ქართული ჯარის ნაწილების სურსათით უზრუნველყოფას. ეს იმის დადასტურებაა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა გლეხობისა და სოფლის ბურჟუაზიისადმი ანგარიშის გაწევასთან ერთად, რესპუბლიკის თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში გარკვეული წვლილის შეტანას ისახავდა მიზნად.

19) მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ ქვეყანაში გატარებუ-

ლი სოციალური ღონისძიებები: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ნაბუ
რით ანაზღაურება, პურის რაციონის გაზრდა, „მუშათა მაგიდების", „შრომის საბჭოს", "სოციალური დახმარების კომიტეტის", „დედათა და ბავშვთა მზრუნველობის საზოგადოების" და ა.შ. შექმნა, შეჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარებას, მათი ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. მმართველი პარტიის ინიციატივით მუშათა კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად გატარებული ღონისძიებები, „სატარიფო პალატისა" და მუშათა დაზღვევის შესახებ კანონის მიღება, შრომის უფლებების დაცვას, დამქირავებლისა და დაქირავებულს შორის ურთიერთობის დარეგულირებას ისახავდა მიზნად. მათი სამართლებრივი უფლებები ქვეყნის კონსტიტუციის მეცამეტე თავით იქნა დაკანონებული. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დებულებებს ემყარება და დროის ყველა მოთხოვნას პასუხობს.

20) ბოლშევიკების მიერ საქათველოში მოწყობილი აჯანყებები (1918-1920 წლები) რუსეთის დაკვეთა-დაფინანსებით განხორციელდა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დამხობას ითვალისწინებდა. იგი სოციალური სიდუხჭირიდან კი არ იყო აღმოცენებული, არამედ გარეშე ძალის პროვოკაციას წარმოადგენდა. რამდენადაც აღნიშნული აჯანყებები ბოლშევიკებმა საქართველოსთვის კრიტიკულ მომენტს, თურქეთ-საქართველოს, საქართველო-აზერბაიჯანის საომარ მოქმედებებს დაამთხვიეს და ქართული ჯარის ნაწილებს ზურგიდან საფრთხე შეუქმნეს, იგი მხოლოდ ერთი კრიტერიუმით- ეროვნული ღალატის ტოლფასოვან ქმედებად უნდა შეფასდეს და მათდამი გატარებული ნებისმიერი სადამსჯელო ღონისძიება გამართლებულად ჩაითვალოს.

21) მეფის რუსეთის ხელისუფალთა მიერ საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობის კომპაქტური დასახლების ხელოვნურად შექმნა, მიზანდასახულ აქციას წარმოადგენდა და საქართველოს ტერიტორიის მშვიდობიანი გზით სომხებისაგან სამომავლოდ მიტაცებას ითვალისწინებდა. საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო კურსისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და 1918 წლის დეკემბერში სომხებისაგან ომის დაწყება, ინგლისის მხარდაჭერას ემყარებოდა და „პატარა სომხეთისათვის" საქართველოს ტერიტორიების მიერთებას ისახავდა მიზნად.

სომხეთის მარცხმა და მისი მთავრობის კომპრომისზე წასვლამ, რეგიონის უსაფრთხოების მექანიზმის შემუშავებაში და მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენაში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლო. ამის ძირითად მიზეზს, სადაო პრობლემის საერთაშორისო არბიტრაჟზე გატანისადმი სომხური დიპლომატი-

ისაგან თავის არიდება განაპირობებდა. სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულების (1919 წელი) მიუხედავად, პარიზისა და სან-რემოს კონფერენციებზე (1919 წლის 18 იანვარი, 1920 წლის 21 იანვარი) ქართული მიწებისადმი სომხური დიპლომატიის პრეტენზიებმა, ბათუმის მხარის საქართველოსათვის შემოერთებაზე და თვით საქართველოს საერთაშორისო აღიარების საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე ხელისშემშლელის როლი შეასრულა.

22) ინგლისის ხელისუფალთა მცდელობას, მოეხდინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთდაპირისპირება, შეექმნა ანარქია, ეკონომიურად და პოლიტიკურად დაესუსტებინა ისინი, ძველი რუსული იმპერიის აღდგენის გეგმა ედო საფუძვლად და რეგიონის რუსეთთან მიერთების მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა. საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, აღნიშნული ფაქტები „მფარველი სახელმწიფოს" წარმომადგენლობისადმი უნდობლობისა და გულისწყრომის საფუძვლიან ალიბს აძლევდა. დენიკინის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაციები, სოხუმის ოლქის რუსეთთან მიერთებას ისახავდა მიზნად. ეს ნაბიჯი ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ „პატარა ერების" დამონების მორიგ მცდელობად შეაფასა, ხოლო „წვრილი ერების დასათრგუნავად" დენიკინის დამფინანსებლებსა და იარაღით უზრუნველმყოფელ პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს საპროტესტო რეზოლუციით მიმართა. ინგლისელთა და დენიკინელთა პოზიციების საქართველოსთან მიმართებაში ცვალებადობა, ბოლშევიკთა ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციებით და ქართველთა ანტიინგლისური განწყობილებით იყო განპირობებული.

23) ქართული სოციალ-დემოკრტიის მიერ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საქართველოს პრობლემატიკით დაინტერესების მცდელობა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების მისაღწევად გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მეორე ინტერნაციონალის ლიდერების საქართველოში ჩამოსვლას არა მარტო იდეოლოგიური, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ევროპის მასშტაბით საქართველოს შესახებ გაწეული პროპაგანდა, საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სწორი ინფორმაციის გავრცელებას, საერთაშორისო სარბიელზე თანადგომას და მის შესახებ წაყენებული ბრალდებებისადმი დასაბუთებულ პასუხსაც წარმოადგენდა, მეორე მხრივ, იგი იმ სახელმწიფოების ხელისუფლებისადმი დაპირისპირებაც იყო, რომლებიც საქართველოს რუსეთის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდნენ და ამ მოტივით მის დამოუკიდებლობასაც უარყოფდნენ. აშშ მცდელობამ, ქართველი ხალხის სულიერი და ეროვნული მისწრაფებების იგნორირება მოეხ-

დინა—მარცხი განიცადა. ქართულმა დიპლომატიამ, ბ.კოლბის ნოტის არა მარტო ალოგიკურობა და ტენდენციურობა ამხილა, არაქედ საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებითა და ვილსონის „14 პუნქტზე" დაყრდნობით, ახლად ფეხადგმული სახელმწიფოს ინტერესებიერსულად დაიცვა, საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობა დაასაბუთა. დენიკინის მარცხმა და რუსეთში პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ, პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების საქათველოსაკენ შემობრუნება დააჩქარა. საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე დაგვიანებით აღიარების მიუხედავად, მომხდარი ფაქტი ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ დადებითად შეაფასა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მერყევმა პოლიტიკამ და ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანებაზე უარის თქმამ, საბჭოთა რუსეთს, კავკასიაში აქტიური მოქმედებებისა და რეგიონის გასაბჭოებისათვის ხელშაყრელი პირობები შეუქმნა.

24) საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოსადმი „საღვთო ომის" გამოცხადება და „ურჩი ქვეშევრდომების" დასჯის მიზანი, ამ ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას სათავეშივე გმორიცხავდა. რუსეთის მიერ, საქართველოსადმი დენიკინის წინააღმდეგ შემოთავაზებულ სამხედრო კავშირზე უარის თქმა, სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. იგი სამოქალაქო ომიდან და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური იზოლაციისაგან საქართველოს გამოყვანას ისახავდა მიზნად. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რუსეთის მიერ ისტორიულ საზღვრებში საქართველოს დე-იურე აღიარება, ევროპისათვის პრეცედენტს წარმოადგენდა და საერთაშორისო უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლის შესაძლებლობას იძლეოდა. მაშინდელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს დოკუმენტი დადებითად შეაფასა.

საქართველოს დამოუკიდებლად არსებობაში, საბჭოთა რუსეთი პოტენციურ მოწინაღმდეგეს და ახლოაღმოსავლური პოლიტიკის გატარებაში ხელისშემშლელს ხედავდა. მის მიერ საქართველოს დასაპყრობად შემუშავებული გეგმა, კავკასიის რეგიონში ხელსაყრელი სიტუაციის შექმნას ემყარებოდა. ქართული სარდლობის შეცდომებმა, ლორეს „აჯანყების" ინსცენირებისათვის მტრისადმი „შესაძლებლობის მიცემამ" და სამხედრო საწყობებში არსებული დიდძალი ამუნიციის ვერგამოყენებამ, თავისი უარყოფითი შედეგები თებერვლის მოვლენებში წარმოაჩინა. გენერალური ბრძოლის გარეშე თბილისის დატოვების გადაყვეტილება (24 თებერვალი) საბედისწერო შეცდომა და საბჭოთა რუსეთის ნანატრი ოცნების ასახდენად გადადგმული ნაბიჯი იყო.

თბილისი. 2001 წლის აპრილი.

Вадачкория Шота Ильич

Грузинская Социал-демократия в 1917-1921 гг.

(Резюме)

История социал-демократической партии Грузии (меньшевиков) тесно связана с процессом

восстановления и укрепления государственой независимости страны Консенсус между политическими партиями привел к созданию национального межпартийного Совета(25 августа 1917 года) Этот факт стал началом нового этапа в борьбе за востановление независимости

Избранный первым национальным сьездом Грузии (19-23 ноября 1917 года) Национальный Совет (22 ноября) был зародышем национального правительства

Октябрьский (1917) переворот в России Брестский мир (3 марта 1918 года) ухудшение Грузино-Турецких отношений активное включение Германии в политическую жизнь Закавказья ее особый интерес к Грузии ускорили восстановление независимости Грузии (26 мая 1918 года).

Избрание лидерами Грузинских социал-демократов модели унитарного демократического государства соответствовало как внутреннему так и геополитическому положению Республики.

Грузинские социал-демократы старались использовать опыт Западно-европейских стран в строительстве демократичеслих институтов и создать на этой базе государственную систему управления Им удалось разграничить функции исполнительной власти и органов местного самоуправления (земства муниципалитети) Выли определены порядок избрания и основные принципы взаимоотношений отдельных сфер управления.

Проведенная правительством грузинской респувллики Аграрная реформа допускала три формы собствеенности на землю-частную муниципальную и государственную. Большое внимние уделялось развитию капитализма в деревне не притесняя однако традиционные формы хозяйствования.

Событием важного значения, стал приезд лидеров европейской социал-демократии и 2 интернационала. Он доказал их заинтересованность

Грузинской проблеьатикой и носил как идеологичекую также и политическую нагрузку.

Опоздание с признанием странами, участниками Парижской мирной Конференцией, государственной независимости Грузии « Де-Факто и Де-Юре» и отказ в приеме в лигу наций создавали Советской России благоприятные условия для активного вмешательства в дела Закавказских республик и грузии.

Договор от 7 мая 1920 года с Россией., признавал государственную независимость Грузии в ее исторических границах. Способствовал упрочению международного положения молодой республики, однако выяснилось, что Россия вовсе не собиралась соблюдать договор и искала благоприятный момент для нападения.

Благодаря безпечности вооруженних сил Грузии противнику удалось спровоцировать "крестьянское восстание" в регионе Лоре. Не были приняты все необходимые меры для организации решительного отпора врагу за исключением нескольких эпизодов. Оставление без генерального сражения сталицы Грузии войсками республики(24 февраля 1921 года) сыграло наруку агрессоров. Вскоре отряды красной армии оккупировали всю республику.

მითითებული წყაროები და ლიტერატურა

შესავალი

1. გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები. იხ. ჟურნ. „მნათობი" 1989. №1 გვ. 8
2. გაზ. „სახალხო საქმე" 1918. 6 ივლისი №274
3. გაზ. სახალხო საქმე" 1919. 24 ოქტომბერი №660
4. დამფუძნებელი კრება. (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. №79 გვ. 5
5. გაზ. „ერთობა" 1920 30 მარტი №72
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა) ფ. 1825. აღწ.1. საქ. 23 ფურც. 9.
7. პროგრამა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. თბილისი, 1917.
8. უწყება რ.სდ. მუშათა პარტიის ამიერკავკასიის მეექვსე საოლქო ყრილობის შესახებ. თბილისი 1917
9. უწყება საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის მე-2 ყრილობისა. თბილისი 1920
10. სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი. თბილისი 1919.
11. ა. ი. ჩხენკელის სიტყვა წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზედ საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სახელით. თბილისი. 1917.
12. ნ. ჟორდანია. ნაციონალისტური კითხვა ამიერკავკასიაში (თეზისები, რეზოლუცია) თბილისი 1917; ნ. ჟორდანია. სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია. თბილისი 1918; ნ. ჟორდანია თხზ. ტ. 1 თბ. 1920; ტ.2 თბ. 1920; ტ. 3. თბ. 1920.
13. ნ. ხომერიკი. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე თფილისი 1920; ნ. ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბილისი. 1920.
14. კაუცკი. სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თბილისი. 1920.
15. მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს. თბილისი 1918.
16. საქართველოს პარლამენტის მიწის კანონები. თბილისი 1919.
17. 26 მაისი. 1918 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება თბილისი. 1919.
18. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси 1919 г.
19. Борьба за победу советской власти в Грузии (1917-1921) (Документы и материалы) Тб.1958

20. უ. ბახტაძე. აკაკი ჩხენკელის უცნობი წერილები. იხ. ჟურნ. „ცისკარი" 1990. № 7. გვ. 85-98
21. აპ. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918 თბილისი 1998. ვ. გურული ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (1917-1918) პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი) პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს 1920 წლის 8 ოქტომბერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს აპ. სილაგ აძემ და ვ. გურულმა. თბილისი 1998.
22. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. შემდგენელი ე. გურგენიძე. თბილისი 1990.
23. ავ. მენთეშაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის 1919 წლის საზავო კონფერენციაზე. საქართველოს დელეგაციის მოხსენება. იხ. გაზ. „სახალხო განათლება"1990. 24 იანვარი Ав. Ментешашвили. Окупация и фактическая анексия Грузии (Документы и материалы) Тбилиси 1990. Ав. Ментешашвили. Из истории Взаимоотношении Грузинской Демократической Республики с Советской Росией и странами Антанты 1918-1921 гг. Тб.2000.
24. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. (1917 წლის აპრილი-ნოემბერი) დოკუმენტები და მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზ. გერგედავა-ჭელიძემ. თბილისი 1999.
25. ნ. ჟორდანია ჩემი წარსული. თბილისი. 1990
26. გ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი 1995
27. გ. ურატაძე. ნამდვილი და ყალბი ისტორია. პარიზი 1958
28. Г.Хундадзе. Советская власть и Грузинское посольство в Росии. 1920.
29. ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი. 1929.
30. გ. ქიქოძე. თანამედროვის ჩანაწერები. იხ. ჟურნ. "მნათობი" 1989. №1. გვ. 3-63
31. გ. კვინიტაძე. ჩემი პასუხი. თბილისი, 1990
32. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათუმი. 1990
33. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი 1990
34. რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. იხ. დაბრუნება. ტ. 3. თბილისი 1992.
35. მ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1918 წლებში. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1998. გვ. 14-15
36. ფ. მახარაძე. მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში. თბილისი. 1922. მისივე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა

ხელისუფლებისათვის საქართველოში. (1917-1921 წწ.) თბილისი 1927.
37. Ел. Драбкина. Грузинская контрреволюция. Ленинград. 1928.
38. კ. ორაგველიძე. ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა." თბილისი. 1935
39. კ. ჩარკვიანი. ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. თბილისი 1970
40. ი. მირცხულავა. ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917-1921 წლებში. წიგნი II. თბილისი 1965.
41. გ. ჯანგველაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923 წწ.) თბილისი. 1974.
42. ბ. გუბელიძე. ქართული მენშევიზმის კრახი. თბილისი. 1978
43. Г. Дзидзария. Очерки истории барбы за советскую власть в Абхазии 1917-1918.гг.Сухуми 1958.Н.Гаглоев. Сквоз огонь. Сталинир. 1957.
ბ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801–1921 წწ. თბილისი 1969.
44. გ.ხაჭაპურიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. თბილისი 1957.
45. ი. კაჭარავა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. თბილისი 1962. გვ. 345
46. ა. სურგულაძე. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი 1954. მისივე. ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918წწ). თბილისი. 1957. მისივე. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918-1921 წწ.) თბილისი. 1961.
47. გ.ჟვანია. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. თბილისი, 1962.
48. ნ.მახარაძე. დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში. თბილისი. 1967
49. გ.ლამბაშიძე. იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს. თბილისი. 1970
50. ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია XIX-XX სს. II თბილისი. 1959
51. ვ.ესაიაშვილი. ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები. თბილისი. 1959
52. ი. კაჭარავა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. თბილისი. 1962
53. ლ. გორგილაძე. იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი, 1963.
54. გ.ზაქარიაძე. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი. თბილისი. 1974
55. ა. ირემაძე. განთიადის სათავეებთან. თბილისი. 1984

56. ვ. ჯანჯღავა. გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში. თბილისი. 1982. მისივე. გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1917-1921 წლებში. თბილისი 1989
57. А.М. Ментешашвили. Октябрская революция и национально-освободительное движение в Грузии. 1917-1921. Тбилиси 1987.
58. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები. ნაწილი პირველი. 1883-1921. თბილისი. 1971. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. ნაწილი პირველი 1883-1921. თბილისი 1986. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. VI. თბილისი. 1972.
59. უ. სიდამონიძე. საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. თბილისი 1970
60. უ. სიდამონიძე. ოქტომბრის პირმშო-გარდაქმნით დაბრუნებული: იხ. გაზეთი "კომუნისტი" 1988. 25 მაისი: მისივე. ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი. იხ. გაზ. „კომუნისტი"1990. 26 მაისი.
61. ა.ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. თბილისი. 1980
62. ა.ბენდიანიშვილი. ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა აღდგენისა და განმტკიცების პრობლემები 1917-1920 წლებში. იხ. „ლიტერატურული საქართველო"1989. 26 მაისი.
63. ა. ბენდიანიშვილი. საქართველოს ისტორია 1801-1921 წწ. თბილისი 1999.
64. ა.ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) თბილისი 2001
65. ლ.თოიძე. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. იხ. საისტორიო ვერტიკალები" 1991 №1. გვ. 20-33
66. ლ. თოიძე ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბილისი 1991
67. მ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატია. 1905-1918 წლებში. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 1998. გვ. 57-74. მისივე. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1918 წლებში. იხ. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918) თბილისი 1999. გვ. 281-314.
68. რ. გრძელიძე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია. (1910-1924). თბილისი. 1998.
69. მ. მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური

კონცეფცია. თბილისი 1996.
70. ნ. კირთაძე. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ) თბილისი. 1997. მისივე საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები. თბილისი 1997.
71. ა.სილაგაძე. ვ.გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი 1998.
72. ვ. გურული. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (1917-1918) თბილისი. 1998. მისივე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921) თბილისი 1998. მისივე. ნოე ჯორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953 თბილისი. 1999.
73. ო.ჯანელიძე. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1923წწ) ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 1999. მისივე. 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ. თბილისი 1990. მისივე. ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები) თბილისი. 1998.
74. შ. ვადაჭკორია. პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917) თბილისი. 1998; მისივე –ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923წწ.) თბილისი 1998; მისივე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან 1917-1918 თბილისი. 1999; მისივე. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920). თბილისი 1999; მისივე. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში (1917-1921 წწ.)იხ. ალმანახი „კლიო" 1997 №1; მისივე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა ეროვნული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. იხ. „კლიო" 1998. №2; საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა იხ „კლიო" 1998 №2; მისივე. სოციალ-დემოკრატიული პარტია პოლიტიკური სიტუაციისა და საქართველოს ავტონომიის შესახებ (ა/კ-ის VI საოლქო ყრილობის მასალების მიხედვით) იხ. „კლიო" 1998 №3. მისივე. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია. იხ. „კლიო" 1998 №3 მისივე. საკანონმდებლო ორგანოების შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია 1918-1921 წლებში. იხ. ფილოსოფია, კულტურა, ისტორია. თბილისი 2000. მისივე. ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოს მართვის ფორმების შესახებ (1918-1921) იხ. ფილოსოფია, კულტურა, ისტორია. თბილისი. 2000.

75. ა. მუჯირი. ასჩვიდმეტი წლის შემდეგ. იხ. „მნათობი" 1989. №6, № 7; მისივე. სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოები. იხ. გაზ. „კომუნისტი" 1989 26 მაისი. მისივე. ნოე ჟორდანია. გაზ. „კომუნისტი" 1989. 4 ივლისი.
76. დ.გოგოლაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისათვის. იხ. გაზ. „კომუნისტი" 1989 26 მაისი.
77. ვ.ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989.
78. გ.შარაძე. მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისათვის. იხ. გაზ. „კომუნისტი" 1989 6 ივლისი, 23 ივლისი, 30 ივლისი, 10 სექტემბერი, 12 სექტემბერი. მისივე. უცხოეთის ცის ქვეშ წიგნი პირველი. თბილისი 1991; წიგნი მეორე თბილისი 1993; წიგნი მესამე. თბილისი 1993.
79. ი. ტაბაღუა. საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობა პარიზში 1919 წ. იხ. გაზ. „კომუნისტი" 1990. 18 თებერვალი; მისივე. საქართველო და ევროპის სახელმწიფოები 1918-1921, იხ. გაზ. „თბილისი" 1989, 12 ივლისი №159; მისივე. მასალები საქართველოზე იტალიის არქივებში. იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 1991. 23 იანვარი №15, მისივე. ინგლისელები საქართველოში და ბათუმის საკითხი. იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 1991. 26 იანვარი №18; მისივე. არ დაგეცალდა. იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 1991. 1 თებერვალი №22; მისივე. ე. გეგეჭკორი დიპლომატი. იხ. გაზ. „კომუნისტი" 1990. 26 აგვისტო №196-197.
80. ლ. სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. თბილისი 1989.
81. გ. ჟვანია. „საერთაშორისო ნორმების დაცვით" თუ ოკუპაცია? იხ. გაზეთი „კომუნისტი" 1989. 10 აგვისტო №124, 11 აგვისტო №125
82. ა. მენთეშაშვილი. საქართველო 1918-21 წლებში. იხ. გაზ. „სახალხო განათლება" 1990. 21 მარტი; მისივე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები. იხ. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი" 1990 №11.
83. ა. ჩოხელი. ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, იხ. „ლიტერატურული საქართველო" 1990. 25 მაისი.
84. ასურგულაძე პ.სურგულაძე. საქართველოს ისტორია 1783-1990. თბილისი 1991; პ. სურგულაძე ქართული პარლამენტის სათავეებთან. თბილისი. 1991
85. ფ.სიხარულიძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაში 1918-1921 წლებში იხ. გაზეთი „აჭარა" 1991. 26 ოქტომბერი. მისივე. საქართველო მიმზიდველი იქნება ახალი მოძრაობისთვის. იხ. საისტორიო ძიებანი II წელიწდეული. თბილისი 1999

86. ლ.ურუშაძე. ბოლშევიზმ-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი. 1991
87. შ.ჯაფარიძე. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1918-1921). ბათუმი, 1994
88. ნ.ზოსიძე. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. ბათუმი 1995
89. რ.ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბილისი. 1995
90. ა. სურგულაძე, მ. სიორიძე. პორტო-ფრანკო ბათუმში. ბათუმი. 1996
91. ფ. ლომაშვილი. საქართველოს ისტორია. 11 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი 2000.
92. გ.საითიძე. სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი). თბილისი. 1997.
93. ე. მესხია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი. 1997
94. მ. დღვილავა. გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. თბილისი. 1997"; მისივე. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა 1918 წელს. თბილისი, 1996.
95. ნ.ჯავახიშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921). თბილისი 1998
96. დ.ჭუმბურიძე. საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი. თბილისი. 1999; მისივე აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი. თბილისი 1999.
97. შ.თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი 1998.
98. ქ.პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბილისი 2000.
99. ს.ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1920 წლებში. თბილისი 2000. მისივე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1952 წლებში. თბილისი, 2001.

თავი I

ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო ორგანოების შექმნის შესახებ ამიერკავკასიაში

1. გაზ. „ერთობა" 1917, 28 მარტი №11
2. გაზ. „ერთობა" 1917, 8 აპრილი №18
3. газ. "Кавказский рабочий" 1917, 28 Марта
4. გაზ. „ერთობა" 1917, 28 მარტი №11

5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ VI, თბ. 1972. გვ 440
6. გაზ. „ერთობა“ 1917, 7 იანისი №65
7. გაზ. „ერთობა“ 1917, 11 ივნისი №69
8. გაზ. „ერთობა“ 1917, 11 ივნისი №69; 14 ივნისი №71
9. გაზ. „ერთობა“ 1917, 14 ივნისი №71
10. გაზ. „ერთობა“ 1917, 13 ივნისი №70
11. უწყება რსდ. მუშათა პარტ. ამიერ-კავკასიის მეექვსე საოლქოერილობის შესახებთ. 1917. გვ 4
12. იქვე გვ 26–27
13. გაზ. „ერთობა“ 1917, 6 ივნისი №89
14. გაზ. „ერთობა“ 1917, 3 აგვისტო №113
15. გაზ. „ერთობა“ 1917, 6 აგვისტო №116. 13 აგვისტო, 20 აგვისტო №127
16. გაზ. „ერთობა“ 1917, 27 აგვისტო №133
17. გაზ. „ერთობა“ 1917, 10 სექტემბერი №143
18. გაზ. „ერთობა“ 1917, 14 სექტემბერი №146
19. გაზ. „ერთობა“ 1917, 3 სექტემბერი №138
20. გაზ. „ერთობა“ 1917, 5 ოქტომბერი №162
21. იქვე
22. იქვე
23. იქვე
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ VI, გვ 456
25. გაზ. „ერთობა“ 1917, 16 მარტი №2
26. გაზ. „ერთობა“ 1917, 16 აპრილი №32
27. გაზ. „ერთობა“ 1917, 5 მაისი №40
28. გაზ. „ერთობა“ 1917, 9 აპრილი №19
29. გაზ. „ერთობა“ 1917, 16 აპრილი №24
30. გაზ. „ერთობა“ 1917, 2 მაისი №37
31. გაზ. „ერთობა“ 1917, 3 მაისი №38
32. გაზ. „ერთობა“ 1917, 27 მაისი №56
33. იქვე
34. იქვე
35. იქვე
36. გაზ. „ერთობა“ 1917, 3 ოქტომბერი №160
37. გაზ. „ერთობა“ 1917, 4 ოქტომბერი №161
38. გაზ. „ერთობა“ 1917, 23 მარტი №8
39. იქვე
40. გაზ. „ერთობა“ 1917, 6 მაისი №41
41. გაზ. „ერთობა“ 1917, 14 მაისი №46
42. გაზ. „ერთობა“ 1917, 13 მაისი №45
43. გაზ. „ერთობა“ 1917, 22 ოქტომბერი №177
44. გაზ. „ერთობა“ 1917, 5 აგვისტო №115
45. გაზ. „ერთობა“ 1917, 31 ოქტომბერი №184
46. გაზ. „ერთობა“ 1917, 28 დეკემბერი №226
47. გაზ. „ერთობა“ 1917, 23 დეკემბერი №224
48. გაზ. „ერთობა“ 1917, 4 ნოემბერი №188

49. გაზ. „ერთობა“ 1917, 5 ნოემბერი №189
50. გაზ. „ერთობა “ 1917, 13 ოქტომბერი №169
51. გაზ. „ერთობა“ 1917, 11 ნოემბერი №194
52. გაზ. „ერთობა“ 1917, 4 იანვარი №2
53. გაზ. „ერთობა“ 1917, 26 ნოემბერი №205
54. გაზ. „ერთობა“ 1917, 4 იანვარი №205
55. იქვე
56. გაზ. „ერთობა“ 1917, 28 ოქტომბერი №182
57. გაზ. „ერთობა“ 1917, 2 ნოემბერი №186
58. გაზ. „ერთობა“ 1917, 28 აპრილი №34
59. გაზ. „ერთობა“ 1917, 16 მარტი №2
60. გაზ. „ერთობა“ 1917, 24 მარტი №9
61. გაზ. „ერთობა“ 1917, 6 იანვარი №64
62. გაზ. „ერთობა“ 1917, 15 ივლისი №97
63. გაზ. „ერთობა“ 1917, 25 ივლისი №104
64. გაზ. „ერთობა“ 1917, 30 ივლისი №110
65. იქვე
66. გაზ. „ერთობა“ 1917, 3 აგვისტო №113
67. გაზ. „ერთობა“ 1917, 5 აგვისტო №115
68. გაზ. „ერთობა“ 1917, 12 აგვისტო №121
69. იქვე
70. გაზ. „ერთობა“ 1917, 17 აგვისტო №124
71. გაზ. „ერთობა“ 1917, 25 ოქტომბერი №179
72. გაზ. „ერთობა“ 1917, 2 ნოემბერი №186
73. გაზ. „ერთობა“ 1917, 10 ნოემბერი №193
74. გაზ. „ერთობა“ 1917, 14 ნოემბერი №196
75. იქვე
76. გაზ. „ერთობა“ 1917, 15 ნოემბერი №197
77. იქვე
78. გაზ. „ერთობა“ 1917, 19 ნოემბერი №200
79. გაზ. „ერთობა“ 1917, 17 ნოემბერი №202
80. გაზ. „ერთობა“ 1917, 10 დეკემბერი №209
81. გაზ. „ერთობა“ 1917, 29 ნოემბერი №207
82. იქვე
83. იქვე
84. გაზ. „ერთობა“ 1917, 30 ნოემბერი №208
85. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. V'შ, გვ. 540
86. გაზ. „ერთობა“ 1918, 30 იანვარი №23
87. გაზ. „ერთობა“ 1917, 28 დეკემბერი №226
88. გაზ. „ერთობა“ 1917, 30 დეკემბერი №228
89. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 32. ფურც. 152–153
90. იქვე. საქ. 132. ფურც. 3–4
91. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. V I, გვ. 550
92. გაზ. „ერთობა“ 1917, 1 იანვარი №1
93. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 55

94. გაზ. „ერთობა“ 1918, 14 იანვარი №3
95. ნ. ჟორდანია, ეროვნული კითხვა. თბ. 1922. გვ. 255
96. ნ. ჟორდანია, ეროვნული კითხვა. თბ. 1922. გვ. 265
97. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 26
98. გაზ. „ერთობა“ 1917, 15 ნოემბერი №197
99. გაზ. „ერთობა“ 1917, 24 იანვარი №18
100. გაზ. „ერთობა“ 1917, 30 იანვარი №23
101. იქვე
102. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 27–28
103. გაზ. „ერთობა“ 1918, 24 იანვარი №18
104. გაზ. „ერთობა“ 1918, 30 იანვარი №23
105. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 31–32
106. იქვე ფურც. 32
107. იქვე ფურც. 33
108. იქვე ფურც. 34
109. იქვე ფურც. 29–31
110. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. VI, გვ. 556
111. გაზ. „ერთობა“ 1918, 22 თებერვალი №14
112. გაზ. „ერთობა“ 1918, 22 თებერვალი №43
113. გაზ. „ერთობა“ 1918, 18 მარტი №19
114. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 49–50
115. გაზ. „ერთობა“ 1918, 25 თებერვალი №46
116. იქვე
117. იქვე
118. სცსსა ფ. 1824, აღწ. 1. საქ. 3. ფურც. 14
119. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. ТБ.1990. стр. 221
120. იქვე. გვ. 229
121. გაზ. „ერთობა“ 1918, 15 აპრილი №87
122. იქვე
123. გაზ. „ერთობა“ 1918, 17 აპრილი №88
124. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 59
125. იქვე. საქ. 2. ფურც. 61–62
126. იქვე. საქ. 5. ფურც. 105
127. იქვე. ფურც. 105–106
128. იქვე. ფურც. 108–110; 132–136
129. გაზ. „ერთობა“ 1918, 16 მაისი №97
130. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 28
131. იქვე. საქ. 2. ფურც. 59
132. იქვე. საქ. 5. ფურც. 120
133. იქვე
134. გაზ. „ერთობა“ 1917, 18 მარტი №4
135. გაზ. „ერთობა“ 1917, 21 მარტი №6
136. გაზ. „ერთობა“ 1917, 9 აპრილი №19
137. გაზ. „ერთობა“ 1917, 14 მაისი №46

138. ნ. ჯორდანია. ეროვნული კითხვა. თბ. 1922. გვ. 246
139. იქვე 246–247
140. იქვე გვ. 250
141. იქვე გვ. 251
142. იქვე გვ. 256
143. იქვე გვ. 251
144. იქვე გვ. 256
145. იქვე
146. იქვე გვ. 268
147. იქვე გვ. 270
148. იქვე გვ. 272–275
149. გაზ. „ერთობა“ 1917, 25 ივნისი №17
150. იქვე
151. გაზ. „ერთობა“ 1917, 17 ივნისი №74
152. გაზ. „ერთობა“ 1917, 23 ივნისი №79
153. უწყება რ.სდ. მუშათა პარტ. ამიერ-კავასიის მეექვსე საოლქო ყრილობის შესახებ. თბ. 1917. გვ. 16–17
154. გაზ. „ერთობა“ 1917, 9 აგვისტო №118
155. გაზ. „ერთობა“ 1917, 20 ოქტომბერი №175
156. სცსსა ფ. 1823, აღწ. 1. საქ. 1. ფურც. 12–13
157. იქვე ფურც. 15
158. იქვე ფურც. 13
159. იქვე ფურც. 19
160. იქვე საქ. 2. ფურც. 4
161. იქვე
162. იქვე ფურც. 5
163. იქვე საქ. 8. ფურც. 12–13
164. გაზ. „ერთობა“ 1917, 12 სექტემბერი №144
165. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1 საქ. 6. ფურც. 12
166. იქვე ფურც. 13
167. სცსსა ფ. 1823, საქ. 1. აღწ. 1. ფურც. 36
168. ა. ი. ჩხენკელის სიტყვა წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზედ საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულის სახელით. თბ. 1917. გვ. 2
169. იქვე გვ. 4–5
170. უ. სიდამონიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 187–188
171. სცსსა ფ. 1823. აღწ. 1. საქ. 2. ფურც. 14
172. გაზ. „ერთობა“ 1817, 25 ნოემბერი №204
173. გაზ. „ერთობა“ 1917, 23 ნოემბერი №202
174. იქვე
175. იქვე
176. იქვე
177. იქვე
178. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 29. ფურც. 21
179. იქვე ფურც. 19

180. იქვე
181. იქვე ფურც. 29
182. გაზ. „ერთობა“ 1918, 7 იანვარი №1
183. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 8. ფურც. 1
184. იქვე საქ. 2. ფურც. 14
185. იქვე ფურც. 27
186. იქვე
187. იქვე ფურც. 28
188. იქვე ფურც. 29
189. გაზ. „ერთობა“ 1918, 21 იანვარი №16
190. ვ. ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო თბ. 1989. გვ. 22
191. გაზ. „ერთობა“ 1918, 22 თებერვალი №14
192. Документы внешней политики ССР. Т.1 Москва. 1957. ст.121
193. იქვე. გვ. 200–201
194. Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии Тб. 1999. стр. 261
195. ლ. ოთხმეზ. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, იხ. ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“ 1991, №1. გვ. 24
196. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 2. ფურც. 67
197. სცსსა ფ. 1861, აღწ. 2. საქ. 23. ფურც. 5
198. იქვე ფურც. 3
199. იქვე ფურც. 6
200. იქვე ფურც. 8
201. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 132. ფურც. 13
202. იქვე ფურც. 15
203. ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917– 1918 თბ. 1998. გვ. 50–51
204. იქვე. გვ. 141–142
205. 26 მაისი 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება თბ. 1919. გვ. 5
206. იქვე. გვ. 7
207. იქვე. გვ. 8
208. იქვე. გვ. 10

თავი II

ქართული სოციალ-დემოკრატია და პარტიის ორგანიზაციული საკითხები

1. გაზ. „ერთობა“ 1918. 2 ოქტომბერი №210
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში სცსსა) ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 49. ფურც. 40

3. იქვე
4. იქვე, საქ. 51, ფურც. 4
5. იქვე. საქ. 49, ფურც.35
6. იქვე
7. სცსსა. ფ.1824. აღწ. 1. საქ. 3, ფურც. 7
8. იქვე, ფურც. 8
9. გაზ. „ერთობა" 1918. 13 სექტემბერი №196
10. გაზ. „ერთობა" 1918. 13 ოქტომბერი №220
11. სცსსა ფ. 1824, აღწ. 1, საქ. 3, ფურც. 29
12. გაზ. „ერთობა " 1919. 6 აპრილი № 78
13. იქვე
14. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 164. ფურც. 13
15. იქვე
16. სცსსა ფ. 1825. აღწ.1 საქ. 23 ფურც. 9
17. იქვე, ფურც. 4
18. იქვე
19. იქვე
20. იქვე
21. იქვე. ფურც. 5
22. იქვე, საქ. 109. ფურც 30
23. გაზ. „ერთობა"1920. 15 ივნისი №132
24. გაზ. „ერთობა" 1920. 27 ივნისი № 143
25. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ.159. ფურც. 3
26. იქვე. საქ. 13. ფურც. 40
27. იქვე. ფურც. 40-41
28. იქვე
29. სცსსა ფ. 1825. აღწ.1. საქ. 93. ფურც. 1
30. გაზ. „ერთობა" 1920. 7 თებერვალი № 29
31. სცსსა ფ. 1825. აღწ.1. საქ. 53. ფურც. 32
32. იქვე. საქ. 96. ფურც. 1
33. გაზ. „ერთობა" 1920 10 ივნისი № 128
34. უწყება საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის მე-2 ყრილობისა. თბ. 1920. გვ.2-6
35. გაზ. „ერთობა" 1919. 3 აპრილი № 75
36. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1 საქ. 49. ფურც. 35
37. იქვე. ფურც. 13
38. იქვე. საქ. 93. ფურც. 2
39. იქვე
40. იქვე. ფურც. 2-3
41. იქვე. საქ. 18. ფურც. 21
42. გაზ. „ერთობა" 1919 29 აგვისტო №193
43. იქვე. 30 აგვისტო №194
44. გაზ. „ერთობა"1919. 16 აპრილი № 85

45. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 164. ფურც. 1
46. გაზ. „ერთობა" 1920. 27 ივლისი № 167
47. იქვე
48. სცსსა ფ. 1824. აღწ. 1. საქ. 42. ფურც. 4
49. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 126 ფურს 126 ფურც. 26
50. იქვე. საქ. 175. ფურც. 5
51. იქვე. საქ. 23. ფურც. 9
52. იქვე
53. იქვე. საქ. 164. ფურც. 21
54. იქვე. საქ. 126. ფურც. 28
55. გაზ. „ერთობა" 1918. 31 იანვარი №24
56. სცსსა ფ. 1824.აღწ. 1. საქ. 42. ფურც. 4
57. იქვე. საქ. 3. ფურც. 38
58. გაზ. „ერთობა" 1919. 15 ივნისი №155
59. უწყება საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის მე-2 ყრილობისა თბ. 1920. გვ. 31
60. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 126. ფურც. 45
61. გაზ. „ერთობა" 1918. 24 ნოემბერი №255
62. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 49. ფურც. 37
63. იქვე. საქ. 53. ფურც. 1
64. იქვე. ფურც. 8
65. იქვე. საქ. 51. ფურც. 104
66. იქვე. ფურც. 12, საქ. 53. ფურც. 13
67. გაზ. „ერთობა" 1919. 12 იანვარი №8
68. გაზ. „ერთობა" 1919. 22 იანვარი № 16
69. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 61. ფურც. 2-3
70. იქვე. საქ. 51. ფურც. 20
71. გაზ. „ერთობა" 1919. 22 იანვარი № 16
72. იქვე
73. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919. №5 გვ. 31-34
74. ვ. ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ. 1989. გვ. 60
75. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1 საქ. 17. ფურც. 19
76. იქვე. საქ. 23. ფურც. 29
77. გაზ. „ერთობა" 1919. 21 აგვისტო №18
78. იქვე
79. გაზ. „ერთობა" 1919. 21 სექტემბერი № 214
80. გაზ. „ერთობა" 1919. 19 მარტი №62
81. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919. №1 გვ. 3
82. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 81. ფურც. 7-10
83. იქვე
84. იქვე
85. იქვე

86. იქვე. ფურც. 11
87. იქვე. ფურც. 11-12
88. იქვე. ფურც. 14-15
89. იქვე. ფურც. 14
90. იქვე. ფურც. 15
91. იქვე. ფურც. 15-16
92. იქვე. ფურც. 28-30
93. იქვე. ფურც. 29-31
94. იქვე. ფურც. 39
95. იქვე ფურც. 33-34, 37
96. იქვე. ფურც. 43-44
97. შ.ვადაჭკორია. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1918-1920) თბ. 1999. გვ. 41-60
98. სცსსა ფ. 1833. აღწ. 1. საქ. 81. ფურც. 43
99. იქვე. ფურც. 42
100 იქვე. ფურც. 34
101 იქვე. ფურც. 39
102. გაზ. „სახალხო საქმე" 1918. 6 ივლისი №274
103 გაზ. „სახალხო საქმე" 1919. 24 ოქტომბერი №660
104 სცსსა ფ. 1833. აღწ. 1. საქ. 81. ფურც. 35-36
105. იქვე. ფურც. 40
106. იქვე
107. იქვე. ფურც. 43.
108. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 51. ფურც. 2
109. იქვე. საქ. 53. ფურც. 3
110. იქვე. საქ. 13. ფურც. 11
111. იქვე. ფურც. 13
112. იქვე. საქ. 49. ფურც. 35
113. იქვე. საქ. 129. ფურც. 24
114. იქვე. საქ. 96. ფურც. 6
115. გაზ. „ერთობა" 1919. 9 ივლისი №150
116. გაზ. „ერთობა" 1919. 11 ივლისი №152
117 იქვე
118. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 159. ფურც. 15-16
119. იქვე. საქ. 51. ფურც. 105
120. იქვე. საქ. 60. ფურც. 9
121. გაზ. „ერთობა" 1921. 25 იანვარი №17
122. გაზ. „ახალი სხივი" 1920. 19 დეკემბერი № 34
123. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1 საქ. 129 ფურც. 55
124 იქვე
125. გაზ. „ერთობა" 1921. 22 იანვარი №15
126. გაზ. „ერთობა" 1921. 13 იანვარი №8
127. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 164 ფურც. 22

128. გაზ. ერთობა" 1920. 29 იანვარი №144
129. იქვე
130. გაზ. „ახალი სხივი" 1920. 19 დეკემბერი №34
131. გაზ. „ერთობა" 1920. 22 ოქტომბერი №240
132. იქვე
133 გაზ. „ერთობა" 1921. 22 იანვარი №15
134. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 60. ფურც. 23
135 იქვე. საქ. 109. ფურც. 39
136. იქვე
137. იქვე
138. იქვე. საქ. 125. ფურც. 24
139. გაზ. „ერთობა" 1921. 12 იანვარი №7
140. გაზ. „ერთობა" 1920. 10 დეკემბერი №282
141. გაზ. „ერთობა" 1920. 22 ოქტომბერი №240
142. გაზ. „ერთობა" 1920. 11 ნოემბერი №257
143. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 126. ფურც. 49
144. იქვე საქ. 129. ფურც. 50
145. იქვე. ფურც. 108
146. იქვე
147. იქვე. საქ. 130. ფურც. 32
148. იქვე. ფურც. 20
149. გაზ. „ერთობა" 1921. 23 იანვარი №. 16
150. იქვე.
151. გაზ. „ერთობა" 1921 23 იანვარი№15
152. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1. საქ. 53. ფურც. 31
153. გაზ. „ერთობა" 1921 25 იანვარი №17
154. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 10. ფურც. 13
155. იქვე. საქ. 170, ფურც. 8
156. პლატფორმა და მასალები პარტიული პროგრამისათვის თბ. 1921. გვ. 34-38
157. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1 საქ. 10. ფურც. 11
158. გაზ. „მიწა" 1921, 23 იანვარი
159. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1 საქ. 164. ფურც. 21
160. იქვე.

თავი III

საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია და ქართული სოციალ-დემოკრატია

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდეგში იხილეთ შემოკლებით სცსსა), ფ.1836, აღწ.1.საქ.43.ფურც.8
2. იქვე. ფურც. 16-20
3. იქვე. ფურც. 29
4. იქვე
5. იქვე. საქ.51.ფურც.3

6. იქვე. საქ.43. ფურც. 30
7. 26 მაისი 1918 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ტფილისი, 1919. გვ.8
8. ნ. ჟორდანია. სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია. თბ., 1918. გვ.6
9. სცსსა ფ.1825. აღწ.1. საქ.109. ფურც.38
10. იქვე. საქ. 60. ფურც. 16
11. ნ.ჟორდანია. დას.ნაშრ. გვ.8
12. იქვე, გვ.10
13. იქვე
14. იქვე. გვ.14
15. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.49.ფურც.17
16. იქვე. ფურც.18
17. ნ.ჟორდანია. დას.ნაშრ. გვ.17
18. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.159.ფურც.104
19. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი №277
20. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი №277
21. იქვე
22. გაზ.„ერთობა“ 1920. 26 ნოემბერი №270
23. იქვე
24. იქვე
25. ნ.ჟორდანია. დას.ნაშრ. გვ.21
26. გაზ.„ერთობა“ 1920. 27 ნოემბერი №271
27. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი №277
28. ნ.ჟორდანია. დას.ნაშრ. გვ.32
29. გაზ.„ერთობა“ 1919. 28 თებერვალი №47
30. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.129.ფურც.41
31. იქვე, ფურც.42
32. იქვე.საქ.159.ფურც.89
33. იქვე.საქ.129.ფურც.42
34. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი №277
35. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.159.ფურც.120
36. იქვე.საქ.129.ფურც.41-42
37. გაზ.„ერთობა“ 1920. 22 ივნისი №138
38. მ.მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ.,1996, გვ.90
39. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.159.ფურც.112
40. გაზ.„ერთობა“ 1921. 7 იანვარი №5
41. გაზ.„ერთობა“ 1921. 30 იანვარი
42. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.182.ფურც.16
43. იქვე. საქ.191.ფურც.39
44. იქვე. საქ.182.ფურც.15
45. იქვე

46. იქვე. ფურც.18
47. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920.№53.გვ.9.
48. იქვე
49. გაზ.„ტრიბუნა“, 1921, 1 ნოემბერი
50. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.182.ფურც.17
51. ნ.ჟორდანია.დას.ნაშრ.გვ.22
52. იქვე
53. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.46.ფურც.14
54. იქვე.საქ.182.ფურც.49
55. ნ.ჟორდანია.დას.ნაშრ.გვ.23
56. იქვე. გვ.24-25
57. გაზ.„ერთობა“ 1919. 27 თებერვალი, №46
58. იქვე.
59. იქვე
60. გაზ.„ერთობა“ 1919. 9 მარტი, №55
61. იქვე.
62. გაზ.„ერთობა“ 1919. 27 თებერვალი, №46
63. იქვე
64. იქვე
65. სცსსა. ფ.1933. აღწ.1.საქ.182.ფურც.54
66. იქვე.
67. იქვე. ფურც.55
68. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.181.ფურც.207
69. იქვე. საქ.182.ფურც.50
70. იქვე. ფურც.57
71. ნ.ჟორდანია.დას.ნაშრ.გვ.25
72. იქვე.გვ.26
73. იქვე
74. იქვე
75. კ.მიქელაძე. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. თბ.,1818.გვ.41
76. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.182.ფურც.14
77. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.159.ფურც.52
78. იქვე. ფურც.54
79. ნ.ჟორდანია.დას.ნაშრ.გვ.28
80. იქვე.გვ.27
81. იქვე.გვ.28
82. გაზ.„ერთობა“ 1920. 24 დეკემბერი, №294
83. გაზ.„ერთობა“ 1920. 8 თებერვალი, №31
84. გაზ.„ერთობა“ 1918. 24 აგვისტო, №179
85. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) №45 1919 წ. გვ.11
86. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.85.ფურც.4
87. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.182.ფურც.24

88. იქვე
89. იქვე
90. სცსსა. ფ.1863. აღწ.1.საქ.543.ფურც.16
91. გაზ.„ერთობა“ 1919. 13 სექტემბერი, №207
92. გაზ.„ერთობა“ 1919. 14 სექტემბერი, №208
93. გაზ.„ერთობა“ 1919. 4 სექტემბერი, №199
94. გაზ.„ერთობა“ 1919. 21 სექტემბერი, №214
95. გაზ.„ერთობა“ 1919. 30 ოქტომბერი, №247
96. ნ.ორდანია.დას.ნაშრ.გვ.31
97. იქვე
98. კ.მიქელაძე. დას.ნაშრ.გვ.58
99. იქვე. გვ.47
100. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. გვ.72-79.
101. იქვე. გვ.230-234
102. იქვე. გვ.310-311.
103. გაზ.„ერთობა“ 1919. 18 მაისი, №108
104. იქვე
105. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. გვ.291-294.
106. იქვე. გვ.295-307
107. გაზ.„ერთობა“ 1919. 3 ოქტომბერი, №224
108. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.1385.ფურც.390
109. გაზ.„ერთობა“ 1919. 5 აგვისტო, №173
110. გაზ.„ერთობა“ 1919. 9 ოქტომბერი, №229
111. სცსსა. ფ.1861. აღწ.1.საქ.89. ფურც.19
112. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.43. ფურც.3
113. 26 მაისი. 1918 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ტფილისი, 1919, გვ.9
114. გაზ.„ერთობა“ 1918. 16 ივნისი, №123
115. საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), №47, თბილ. 1918,გვ.9
116. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. გვ.83.
117. იქვე, გვ.46-47, 270-273
118. გაზ.„ერთობა“ 1918. 27 სექტემბერი, №206
119. გაზ.„ერთობა“ 1918. 29 სექტემბერი, №208
120. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.191. ფურც.180
121. იქვე
122. იქვე.გვ.182
123. გაზ.„ერთობა“ 1918. 29 სექტემბერი, №208
124. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.83. ფურც.3
125. იქვე. ფურც.5
126. იქვე. ფურც.4
127. იქვე. ფურც.16

128. იქვე. ფურც.22
129. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. გვ.62-63
130. გაზ.„ერთობა“ 1919. 17 იანვარი , №12
131. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.180. ფურც.178
132. იქვე
133. იქვე
134. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.181. ფურც.126
135. იქვე. ფურც.127
136. იქვე. ფურც. 180
137. გაზ.„ერთობა“ 1918. 7 იანვარი, №116
138. იქვე
139. იქვე
140. იქვე
141. გაზ.„ერთობა“ 1918. 26 ოქტომბერი, №230
142. იქვე
143. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.180. ფურც.203
144. იქვე. ფურც.128
145. იქვე. ფურც.193
146. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.129. ფურც.34
147. გაზ.„ერთობა“ 1920. 24 ივნისი, №140
148. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.180. ფურც.177
149. იქვე. ფურც. 177-178
150. იქვე
151. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.181. ფურც.127
152. იქვე. ფურც. 126
153. გაზ.„ერთობა“ 1920. 16 აპრილი, №84;28 აპრილი, №94; 6 მაისი, №10
154. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.126. ფურც.34
155. იქვე
156. იქვე
157. იქვე.ფურც.35
158. ჟურნ.„ერობა და ქალაქი“, 1920. №6, გვ11
159. იქვე. გვ.12-16
160. გაზ.„ერთობა“ 1920. 23 ივნისი, №133
161. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.125. ფურც.22
162. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.2. ფურც.94
163. ჯ.გამახარია. დას.ნაშრ. გვ.44-45
164. იქვე. გვ.55
165. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.19. ფურც.28
166. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.51. ფურც.38
167. გაზ.„ერთობა“ 1919. 21 მარტი, №64
168. გაზ.„ერთობა“ 1919. 22 ივლისი, №161
169. გაზ.„ერთობა“ 1919. 1 ივლისი, №152

170. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.181. ფურც.312
171. იქვე. ფურც.313
172. იქვე. ფურც.314
173. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919.№45.გვ.№12-15
174. ქვე. გვ.16
175. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.180. ფურც.138
176. იქვე.
177. იქვე. საქ.181. ფურც.265
178. იქვე. საქ.863. ფურც.33
179. იქვე. ფურც.35
180. იქვე. საქ.191. ფურც.203
181. იქვე. საქ.863. ფურც.48
182. იქვე. ფურც.93-95; ჯ.გამახარია. დას.ნაშრ.გვ.89; მ.მაცაბერიძე.დას.ნაშრ.გვ.98-99
183. ა.დემეტრაშვილი. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბ., 1992.გვ.45
184. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.129.ფურც.117
185. ა.სურგულაძე, მ.სიორიძე. პორტო-ფრანკო ბათუმში. გვ.44
186. გაზ.„ერთობა“ 1918. 24 ივლისი, №154
187. გაზ.„ერთობა“ 1918.16 ივლისი, №147
188. რ.ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921. გვ.13
189. იქვე
190. გაზ.„ერთობა“ 1919. 14 ოქტომბერი, №233
191. გაზ.„ერთობა“ 1919. 9 აგვისტო, №177
192. გაზ.„ერთობა“ 1919. 12 ოქტომბერი, №232
193. გაზ.„ერთობა“ 1919. 10 აგვისტო, №178
194. გაზ.„ერთობა“ 1919. 18 ივლისი, №158
195. გაზ.„ერთობა“ 1919. 26 ნოემბერი, №270
196. გაზ.„ერთობა“ 1920. 21 თებერვალი, №41
197. გაზ.„ერთობა“ 1920. 22 თებერვალი, №42
198. გაზ.„ერთობა“ 1920. 27 მარტი, №70
199. იქვე
200. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.62.ფურც.174
201. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.4.ფურც.3
202. იქვე.ფურც.5
203. იქვე
204. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.3.ფურც.10
205. იქვე
206. სცსსა. ფ.1836. აღწ.1.საქ.420.ფურც.156; მ.მაცაბერიძე.დასახ.ნაშრ. გვ.99
207. ე.მესხია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. გვ.15
208. გაზ.„ერთობა“ 1918. 5 ნოემბერი, №238
209. გაზ.„ერთობა“ 1919. 14 იანვარი, №9
210. სცსსა. ფ.1861. აღწ.2.საქ.42.ფურც.1
211. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 მარტი, №51

212. ე.მესხია. დას.ნაშრ. გვ.90
213. სცსსა. ფ.1861. აღწ.2.საქ.42.ფურც.1
214. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.191.ფურც.186
215. იქვე. ფურც.185
216. იქვე. საქ.62.ფურც.175
217. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.94.ფურც.10-11; ფ.1833. აღწ.1.საქ.721.ფურც.32-33
218. სცსსა. ფ.1861. აღწ.2.საქ.127.ფურც.6
219. სცსსა. ფ.1825. აღწ.1.საქ.130.ფურც.108
220. იქვე.საქ.129. ფურც.60
221. იქვე. საქ.94. ფურც.13
222. გაზ.„ერთობა“ 1920. 7 აგვისტო, №177
223. იქვე.
224. ა.დემეტრაშვილი. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. გვ.45
225. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი, №277
226. მ.მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ.1996
227. იქვე. გვ.32
228. გაზ.„ერთობა“ 1918. 4 დეკემბერი, №263
229. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.191.ფურც.138
230. ნ.ჟორდანია. დას.ნაშრ. გვ.14-15
231. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი, №277
232. გაზ.„ერთობა“ 1920. 23 დეკემბერი, №293
233. სცსსა. ფ.1833. აღწ.1.საქ.191.ფურც.137
234. ნ.ჟორდანია. დას.ნაშრ. გვ.21-22
235. გაზ.„ერთობა“ 1920. 26 ნოემბერი, №270
236. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი, №277
237. გაზ.„ერთობა“ 1920. 27 ნოემბერი, №271
238. მ.მაცაბერიძე. დას.ნაშრ. გვ.29
239. გაზ.„ერთობა“ 1920. 4 დეკემბერი, №277
240. იქვე
241. შ.ჯაფარიძე. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1918-1921 წწ.), ბათუმი, 1994, გვ.50

თავი IV

ეკონომიკური რეფორმები და ქართული სოციალ-დემოკრატია

1. გაზ„ერთობა”1918, 26 ივლისი №156.
2. გაზ„ერთობა” 1918, 16 ივნისი №123.
3. გაზ„ერთობა”1920, 16 ოქტომბერი №235.
4. გაზ „ერთობა”1920, 17 ოქტომბერი №236.
5. კ.კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი მეორე.

დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. იხ.ჟურნ."საქართველოს კომუნისტი"1990. №5, გვ.64-65.
6. გაზ„ერთობა" 1920, 17 ოქტომბერი №236.
7. გაზ„ერთობა" 1918, 22 ნოემბერი №253
8. გაზ„ერთობა"1 920, 16 ოქტომბერი №235
9. გაზ„ერთობა" 1918, 4 დეკემბერი №263, 22 ნოემბერი №253
10. გაზ„ერთობა" 1920. 27 ოქტომბერი №244.
11. კ.კანდელაკი. დას. ნაშრომი ,ჟურნ. "საქართველოს კომუნისტი".1990. №5 გვ.65.
12. იქვე. გვ.67.
13. ნ.ხომერიკი. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე. ტფილისი 1920. გვ. 7
14. გაზ. „ერთობა" 1919, 6 ნოემბრი №253
15. საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919, №53 გვ. 15
16. გაზ. „ერთობა" 1920, 6 იანვარი №4
17. იქვე
18. ნ.ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თბილისი 1920. გვ. 51
19. სცსსა ფ. 1825 აღწ.1. საქ.51, ფურც.106
20. იქვე. ფურც.107
21. გაზ. „ერთობა" 1920, 30 მარტი №72
22. გაზ. „ერთობა" 1919, 22 მარტი №65
23. გაზ. „ერთობა" 1920, 12 ოქტომბერი 231
24. გაზ. „ერთობა" 1920, 16 ოქტომბერი № 235
25. იქვე
26. იქვე
27. იქვე
28. გაზ. „ერთობა" 1920, 12 აგვისტო №184.
29. გაზ. „ერთობა" 1920, 19 ოქტომბერი №237
30. სცსსა ფ. 1825 აღწ.1. საქ. 159, ფურც. 224
31. ნ.ხომერიკი. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე. გვ.48
32. გაზ. „ერთობა" 1920, 12 აგვისტო №184
33. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 215, ფურც.10
34. იქვე. ფურც.18
35. გაზ. „ერთობა" 1920, 13 აგვისტო №182
36. გაზ. „ერთობა" 1918, 10 დეკემბერი №267
37. გაზ. „ერთობა" 1920, 19 ოქტომბერი №237
38. იქვე

39. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 51, ფურც. 108
40. ნ.ხომერიკი. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე გვ. 6.
41. გაზ. „ერთობა" 1919, 2 აპრილი №161
42. გაზ. „ერთობა"1920, 16 ნოემბერი № 161
43. გაზ. „ერთობა" 1919, 12 იანვარი №8
44. გაზ. „ერთობა" 1919, 30 ოქტომბერი №247
45. სცსსა ფ. 1825 აღწ.1. საქ.51, ფურც. 108
46. სცსსა ფ.1833 აღწ. 1. საქ.233, ფურც. 108
47. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 51, ფურც.107
48. გაზ. „ერთობა" 1920, 20 ოქტომბერი №238
49. კ.კაუცკი. სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თბილისი 1920. გვ.24
50. იქვე.გვ. 25
51. იქვე
52. იქვე
53. იქვე. გვ.26
54. ა.ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) თბილისი 2001.გვ.222.
55. სცსსა ფ. 1833. აღწ.1. საქ. 824.ფურც. 3
56. კ.ჩარკვიანი. ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. თბილისი.1970. გვ. 132.
57. იქვე გვ. 134
58. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 1412.ფურც. 27
59. იქვე. საქ. 1413. ფურც, 6
60. კ.ჩარკვიანი. დასახ. ნაშრ. გვ.136
61. იქვე
62. სცსსა ფ. 1863 აღწ.1. საქ. 543. ფურც. 4-15
63. იქვე. ფურც. 19
64. გაზ„ერთობა" 1919, 10 ივლისი №151
65. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921 თბილისი, 1990. გვ.290
66. გაზ. „ერთობა" 1919, 10 ივლისი №151
67. ნ.ჯავახიშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები. თბილისი, 1998. გვ. 20-21
68. გაზ. „ერთობა"1919, 29 ოქტომბერი №246
69. იქვე
70. გაზ. „ერთობა" 1920, 17 ოქტომბერი №236
71. გაზ. „ერთობა" 1920, 17 აპრილი №85
72. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1 საქ. 129, ფურც. 123

73. ნ.ჟორდანია. ჩემი წარსული. თბილისი 1990. გვ. 114
74. გაზ. „ერთობა" 1920, 17 ოქტომბერი №236
75. გაზ. „ერთობა"1920, 19 ოქტომბერი №237
76. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 129, ფურც. 82
77. იქვე. ფურც. 93
78. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ.49 ფურც. 24
79. იქვე. საქ. 108. ფურც. 106; გაზ. "ერთობა" 1920, 18 ივლისი №160
80. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ.49 ფურც. 24
81. იქვე.
82. გაზ. „ერთობა" 1920, 18 ივლისი № 160
83. იქვე
84. კ.კანდელაკი. საქართველოს მეურნეობა (წიგნი მეორე) პარიზი 1960. გვ. 176-177
85. გაზ. „ერთობა" 1920, 17 ოქტომბერი №236.
86. იქვე.
87. სცსსა ფ. 1825 არწ. 1. საქ. 4159. ფურც. 224
88. იქვე. საქ. 129. ფურც.143
89. იქვე. საქ. 189 ფურც. 99
90. გაზ. „ერთობა" 1920, 4 სექტემბერი №201
91. იქვე. 29 სექტემბერი №220
92. იქვე
93. იქვე
94. საქრთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921 თბილისი, 1990 გვ. 325
95. გაზ. „ერთობა" 1920, 27 ივლისი №167
96. სცსსა ფ. 1825. აღწ. 1 საქ. 129. ფუეც. 82
97. იქვე საქ. 159. ფურც. 224
98. გაზ. „ერთობა"1920, 17 ოქტომბერი №236, საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920 №42 გვ. 8
99. სტატისტიკური კრებული 1909- 1921. თბილისი 1923. გვ.168
100. А..Мельникова Твердые деньги Москва 1971. стр 40
101. კ.კანდელაკი. საქართველო ეროვნული მეურნეობა (წიგნი მეორე) გვ. 74-75
102. ლ.თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბილისი 1991 გვ. 75
103. კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა (წიგნი მეორე). გვ. 72
104. ნ. ჯავახიშვილი დას. ნაშრომი გვ. 49

105. კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა(წიგნიმეორე) გვ. 73
106. იქვე გვ. 74
107. გაზ. „ერთობა"1920, 4 სექტემბერი №201
108. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 129. ფურც. 82
109. გაზ. „ერთობა" 1917, 31 მაისი №59
110. იქვე
111. გაზ. „ერთობა" 1917, 15 ივნისი №72
112. უწყება რსდ მუშათა პარტ. ამიერკავკასიის მეექვსე საოლქო ყრილობის შესახებ. თბილისი 1917 გვ. 9-10
113. გაზ. „ერთობა"1917, 25 ივნისი №81
114. იქვე
115. იქვე
116. გაზ. „ერთობა"1917, 27 ივნისი №82
117. იქვე
118. გაზ. „ერთობა"1917. 1 ივლისი №85
119. იქვე
120. გაზ. „ერთობა"1917. 29 დეკემბერი №220
121. კ.ჩარკვიანი ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.თბილისი 1970. გვ. 66
122. ი.მირცხულავა. ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917-1921 წლებში. II. თბ. 1965. გვ.55
123. იქვე. გვ. 54-55
124. გაზ. „ერთობა"1918, 16 ნოემბერი №248
125. Н..Жорданиа .За два года .Тифлис 1919. стр 66
126. გაზ. „ერთობა" 1918, 10 მარტი №56
127. იქვე
128. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 43. ფურც. 30
129. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1 საქ. 49 ფურც. 19
130. იქვე ფურც. 10
131. იქვე. ფურც 36
132. გაზ. „ერთობა" 1918, 8 ივლისი №141.
133. იქვე
134. გაზ. „ერთობა"1918, 14 ივლისი №146
135. ნ.ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. გვ. 27-28
136. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 25 ფურც. 28
137. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 1. ფურც. 9
138. პლატფორმათა სრული კრებული რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიებისა. თბილისი 1907. გვ.19-20.

139. პროგრამა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. თბილისი 1917. გვ 15-16
140. გაზ. „ერთობა" 1918, 6 ნოემბერი №239
141. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 217. ფურც. 22-24
142. იქვე. ფურც. 21
143. იქვე. ფურც. 24
144. იქვე. ფურც. 25
145. საქართველოს პარლამენტის მიწის კანონები. თბილისი 1919. გვ. 1-2
146. იქვე. გვ. 5-6
147. იქვე. გვ. 17
148. ნ.ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. გვ. 28
149. იქვე. გვ. 20
150. უწყება საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის მე-2 ყრილობისა. თბილისი 1920. გვ. 16-17
151. გაზ." ერთობა" 1919, 29 დეკემბერი № 292
152. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920 № გვ. 22
153. კ. ჩარკვიანი. დასახ. ნაშრ. გვ.90
154. ЕЛ. Драбкина. Грузинская контрреволюция. Ленинград. 1928 стр 45.
155. კ.ჩარკვიანი. დას. ნაშრ. გვ. 92-106
156. კ.ორაგველიძე. ქართველი მენშევიკების აგრარული რეფორმა თბილისი 1935. გვ. 86
157. ი.მირცხულავა. დასახ. ნაშრ. გვ. 132
158. მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს. თბილისი 1918. გვ. 2
159. საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში) 1918 №56. გვ.35
160. ნ.ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. გვ. 19-20
161. იქვე გვ. 18-19
162. М. Лядов. К вопросу об учете и распределении земельного фонда грузинской республики. журнал "Экономист грузии" 1919 7-8 стр 36
163. ნ. ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. გვ. 12
164. იქვე. გვ. 15
165. იქვე გვ. 13-14
166. იქვე გვ. 13
167. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 199. ფურც. 1
168. ბ.გუბელიძე. ქართული მენშევიზმის კრახი. თბილისი 1978.

გვ. 163-164
169. ნ.ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა გვ. 23-24
170. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 199, ფურც. 1
171. ნ.ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. გვ. 23
172. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 209 ფურც. 22
173. ნ.ხომერიკი დასახ. ნაშრ. გვ. 22
174. გაზ. "ერთობა" 1920, 19 ოქტომბერი №237
175. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1. საქ. 214 ფურც. 21
176. იქვე. ფურც. 7-9
177. იქვე. ფურც. 14
178. სცსსა ფ. 1833 აღწ. 1 საქ. 699 ფურც. 5-8
179. იქვე. ფურც. 206
180. იქვე. ფურც 233
181. კ.ჩარკვიანი. დას. ნაშრ. გვ. 51
182. პროგრამა რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტიისა. თბილისი 1917 გვ. 11-14
183. გაზ. „ერთობა" 1918, 21 ნოემბერი №252; სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 49. ფურც. 21
184. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 129 ფურც. 90
185. სტატისტიკური კრებული 1909-1921. თბილისი 1923 გვ. 211
186. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1 საქ. 129 ფურც 90
187. იქვე. საქ. 130. ფურც. 44
188. გაზ. „ერთობა" 1919, 15 აპრილი №84
189. გაზ. „ერთობა"1919, 29 აპრილი №71
190. გაზ. „ერთობა" 1919, 28 მარტი №70
191. გაზ. „ერთობა" 1919, 9 აპრილი №79
192. გაზ. „ერთობა" 1919, 30 მარტი №72
193. გაზ. „ერთობა" 1920. 19 ივნისი, №136
194 გაზ. „ერთობა" 1919. 21 ოქტომბერი №239
195. გაზ. „ერთობა" 1919, 21 ოქტომბერი №239
196. გაზ. „ერთობა" 1919, 27 მარტი № 69
197. სცსსა ფ. 1925 აღწ. 1 საქ. 129 ფურც. 66
198. იქვე. საქ. 170. ფურც. 3
199. იქვე
200. იქვე. საქ. 129 ფურც. 43
201. იქვე. ფურც. 125
202. იქვე. საქ. 159. ფურც. 225

203. იქვე. ფურც. 126
204. გაზ. „ერთობა" 1920. 19 სექტემბერი №213
205. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 129 ფურც. 90
206. იქვე
207. იქვე. ფურც. 91
208. იქვე
209. იქვე
210. პროგრამა რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიისა. თბილისი. 1917. გვ. 11
211. გაზ. „ერთობა"1919, 17 იანვარი №12, 22იანვარი №16
212. სცსსა ფ. 1836.აღწ. 1. საქ. 239. ფურც. 15
213. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ, 159. ფურც. 15
214. იქვე
215. იქვე
216. იქვე. საქ. 125. ფურც. 27
217. გაზ. „ერთობა" 1920, 4 იანვარი №123
218. გაზ. „ერთობა" 1920, 8 ივნისი №126
219. გაზ. „ერთობა" 1920, 9 სექტემბერი №205
220. გაზ. „ერთობა"1920, 26 მაისი №116
221. გაზ. „ერთობა"1919, 16 მაისი №106
222. სცსსა ფ. 1825 აღწ. 129. ფურც. 49
223. გაზ. „ერთობა" 1920, 22 ივლისი №163
224. იქვე
225. გაზ. „ერთობა"1920, 23 ოქტომბერი №141
226. გაზ. „ერთობა" 1920. 2 ივნისი №147
227. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1. საქ. 125 ფურც. 24
228. გაზ. „ერთობა" 1919, 5 ნოემბერი №252
229. გაზ. „ერთობა" 1920, 15 დეკემბერი №288
230. იქვე. 18 დეკემბერი №289
231. იქვე. 29 ოქტომბერი №246
232. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919, 29 ენკენისთვე გვ. 9
233. გაზ. „ერთობა"1919, 4 ნოემბერი №251
234. გაზ. „ერთობა"1920, 27 ივლისი №167
235. გაზ. „ერთობა' 1920. 28 მაისი №117
236. იქვე
237. გაზ. „ერთობა" 1920, 8 ივნისი №126
238. გაზ. „ერთობა" 1920, 14 მაისი №107
239. გაზ. „ერთობა"1920. 13 აგვისტო №182

240. გაზ. „ერთობა “ 1920, 18 დეკემბერი №289
241. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1 საქ. 75. ფურც. 1-4
242. სცსსა ფ. 1863. აღწ. 1. საქ. 1 ფურც. 1
243. იქვე. ფურც. 1-8
244. გაზ. „ერთობა"1918, 12 მარტი №57
245. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920 №14. გვ. 35
246. გაზ. „ერთობა'1918, 11 დეკემბერი №283
247. იქვე
248. გამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარისი) 1920 №14. გვ 35
249. გაზ. „ერთობა" 1918, 10 მაისი №92
250. გაზ. „ერთობა" 1918, 18 ივლისი №149
251. გაზ. „ერთობა" 1918, 29 ივნისი №133
252. გაზ. „ერთობა" 1919, 4 იანვარი №3
253. სცსსა ფ. 1863. აღწ. 1. საქ. 2 ფურც. 148
254. გაზ. „ერთობა" 1918, 7 ივნისი №116
255. ლ. თოიძე. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თბილისი 1991. გვ. 32
256. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 37
257. საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919, 31 ოქტომბერი გვ. 37
258. გაზ. „ერთობა" 1920, 4 ივნისი №123
259. გაზ. „ერთობა" 1920, 8 ივნისი № 126

თავი V

საგარეო პოლიტიკის საკითხები და ქართული სოციალ-დემოკრატია.

1. 1918 წ. 26 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თფილისი, 1919, გვ. 8-9
2. ივ.ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პრინციპები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XXსს). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ე.გურულმა, ა.არაბულმა, მ.ვაჩნაძემ თბ. 1998.გვ. 16.
3. ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და

თანამედროვე თვალსაზრისით. იხ. თხზ. ტ.XII. თბ. 1998. გვ. 459-497; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954, გვ. 400-544; დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ. 1977. გვ. 146-200; დ.ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვეთი I. თბ. 1979; მისივე, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი. თბ. 1985.

4. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით. თხზ. ტ. XII. გვ. 479
5. იქვე. ვ. 480
6. იქვე, გვ. 482
7. კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში თბ. 1973. გვ. 109
8. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში თბ. 1998. გვ. 54-55
9. ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ, 1984, გვ. 112
10. სცსსა ფ. 1863 აღწ. 1 საქ, 17 ფურც. 2-5; 21-22, 23, საქ. 1505, ფურც. 1. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე, სომხები საქართველოში, გვ.98
11. გაზ. „ერთობა" 1918. 9 აგვისტო,№ 167
12. გაზ.. „ერთობა" 1918. 20 აგვისტო № 175
13. გაზ. „ერთობა" 1918. 26 ოქტომბერი №230
14. გაზ. „ერთობა" 1918. 9 ნოემბერი № 242
15. გაზ. „ერთობა" 1918. 24 ოქტომბერი №228
16. გაზ. „ერთობა" 1919. 28 თებერვალი № 47
17. სცსსა ფ. 1883. აღწ. 1. საქ. 17. ფურც. 26
18. იქვე, ფურც. 23
19. გაზ. „ერთობა" 1919. 4 იანვარი
20. საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში) 1918. №52 გვ.75
21. იქვე, გვ. 75
22. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. ст.429
23. იქვე, გვ. 445-446
24. იქვე, გვ 446
25. იქვე, გვ. 447
26. საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში) 1918 №52 გვ.7
27. იქვე, გვ. 8
28. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. ст.429
29. იქვე, გვ. 451-452

30. ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, თბილისი, 1990. გვ. 92
31. გ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე, თბ. 1995 გვ. 150
32. იქვე, გვ. 467
33. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. ст.470
34. იქვე, გვ. 470-472
35. გაზ. „ერთობა" 1918. 18 დეკემბერი №273
36. გაზ. „ერთობა" 1918. 19 დეკემბერი №274
37. იქვე
38. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1 საქ. 166 ფურც. 7-8
39. გაზ. „ერთობა" 1919. 7 იანვარი №5
40. იქვე
41. გაზ. „ერთობა" 1919. 14 იანვარი №9
42. გაზ. „ერთობა" 1919. 11 იანვარი №7
43. იქვე
44. საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში) 1918 №52. გვ. 6-7
45. იქვე. ვვ. 9
46. სცსსა ფ. 1836. აღწ. 1 საქ. 63 ფურც. 5
47. Документы и материалы по внешней политике Закаказья и Грузии. ст.429
48. იქვე, 431-432
49. იქვე, 435
50. იქვე
51. გაზ. „ერთობა" 1918. 18 დეკემბერი №273
52. იქვე
53. გაზ. „ერთობა" 1919. 19 იანვარი №14
54. გაზ. „ერთობა" 1919. 16 იანვარი №11
55. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1821 თბ. 1980 გვ. 243-244
56. გაზ. „ერთობა"1919. 5 ნოემბერი №252
57. გაზ. „ერთობა" 1920. 5 მაისი №108
58. გაზ. „ერთობა" 1920. 17 ივნისი №134
59. გაზ. „ერთობა" 1919. 9 თებერვალი №32
60.ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული გვ 99
61. გაზ. „ერთობა" 1918. 29 ნოემბერი№259
62. იქვე.
63. გაზ. „ერთობა" 1919. 21 ოქტომბერი №239
64. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919 №22 გვ.3—4

65. იქვე გვ. 6-7
66. გაზ. „ერთობა" 1919. 11 ივლისი №152
67. გაზ. „ერთობა" 1919. 13 ივლისი №154
68. იქვე
69. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919 №27 გვ. 24
70. იქვე. გვ.46
71. გაზ. „ერთობა" 1919. 18 აპრილი №87
72. იქვე
73. იქვე
74. გაზ. „ერთობა" 1919. 16 აპრილი №85
75. გაზ. „ერთობა" 1919. 17 ივნისი №131
76. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919 №22 გვ. 14
77. გაზ. „ერთობა" 1919. 15 ივნისი №130
78. გაზ. „ერთობა" 1919. 12 ივნისი№127
79. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919 №22, გვ. 16
80. იქვე გვ. 13
81. იქვე გვ. 19
82. იქვე გვ. 24
83. იქვე
84. გაზ. „ერთობა " 1919. 1 აგვისტო №170
85. გაზ. „ერთობა" 1919. 9 თებერვალი №32
86. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919 №14, გვ. 33
87. იქვე გვ. 37
88. იქვე №15, გვ 12
89. იქვე გვ. 20
90. იქვე
91. იქვე გვ. 28
92. ლ. სანიკიძე, მესამე დასის საქართველო თბილისი, 1989. გვ. 429
93. გაზ. „ერთობა" 1920. 26 ივლისი, №168
94. იქვე
95. სცსსა ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 62, ფურც 240
96. იქვე
97. იქვე ფურც 249
98. სცსსა ფ. 1825, აღწ. 1, საქ. 48 ფურც 1-5
99. იქვე. საქ47 ფურც.1
100. იქვე. საქ23, ფურც 20, გაზ. "ერთობა" 1920. 23 მაისი, №114
101. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919. №27

გვ. 24-25
102. იქვე. გვ. 42
103. სცსსა ფ. 1825, აღწ.1, საქ.129, ფურც. 33
104. იქვე
105. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 1919. 5 ივნისი, №121
106. სცსსა ფ. 1825, აღწ, 1 საქ. 129. ფურც. 48
107. გაზ. „ერთობა" 1920. 30 მაისი, №119
108. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1, საქ.129 ფურც 74, საქ.126, ფურც 41; საქ. 188, ფურც 21.
109. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. № 51, გვ. 4
110. იქვე გვ. 10
111. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1, საქ.129, ფურც 84.
112. იქვე ფურც 87
113. იქვე.
114. გაზ. „ერთობა" 1920. 23 სექტემბერი №215
115. გაზ. „ერთობა" 1920. 1 ოქტომბერი №222
116. იქვე 2 ოქტომბერი №223
117. ნ. კირთაძე. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბილისი 1997, გვ. 65
118. გაზ. „ერთობა" 1920. 21 ნოემბერი №266
119. იქვე, 26 ნოემბერი № 270
120. იქვე, 30 ნოემბერი №273
121. იქვე.
122. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. გვ. 250-252
123. სცსსა, ფ, 1864, აღწ. 1 საქ. 47 ფურც. 28-39
124. იქვე ფურც. 40; ა. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციაზე. გაზ. „სახალხო განათლება". 1990, 24 იანვარი.
125. იქვე
126. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1919,. №14, გვ. 32.
127. ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, გვ. 100.
128. გ.ღამბაშიძე, იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს. 1970, გვ. 115
129. გაზ. „ერთობა" 1920 15 ოქტომბერი, №234

130. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები. შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ თბილისი, 1949. გვ. 80-83
131. გაზ. „ერთობა" 1920. 21 სექტემბერი, № 214
132. იქვე.
133. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920 №45, გვ. 11
134. გაზ. „ერთობა" 1920. 30 მარტი, №72
135. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920, №79, გვ. 5
136. გ. ღამბაშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12
137. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. № 79, გვ. 5
138. იქვე
139. იქვე, გვ. 12
140. გაზ. „ერთობა" 1920. 16 იანვარი №11
141. Л.Н. Иванов. Лига наций. Москва. 1929. Р.М. Илюхина. Лига наций 1919-1934. Москва 1982.
142. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები. შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი, 1949, გვ. 87
143. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 1920. №54, გვ. 13
144 გაზ. „ერთობა" 1920. 15 ივნისი №132
145. გაზ. „ერთობა" 1920. 8 ივნისი №126
146. ა. მენთეშაშვილი, ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია. იხ. გაზეთი "სახალხო განათლება" 1990, 10 იანვარი №2
147. იქვე
148. იქვე
149 გაზ. „ერთობა" 1920. 3 ნოემბერი №250
150. გაზ. „ერთობა" 1920. 7 დეკემბერი, № 278
151. დამფუძნებელი კრება, (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920, №54, გვ. 8
152. იქვე გვ. 15-15
153. იქვე გვ. 16
154. გაზ. „ერთობა" 1921, 1 თებერვალი №23
155. ნ.კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და

ქართულ-ევროპული ურთიერთობები. თბილისი, 1997, გვ. 11-12; 21
156. გაზ. „ერთობა", 1918. 3 სექტემბერი №187.
157. გაზ. „ერთობა" 1919. 8 ოქტომბერი №228
158. იქვე
159. გაზ. „ერთობა" 1920. 11 იანვარი №7
160. იქვე
161. იქვე
162. გაზ. „ერთობა" . 14 ივნისი№129
163. გაზ. „ერთობა", 1920. 14 იანვარი№9
164. გაზ. „ერთობა" 1920. 7 თებერვალი №29
165. გაზ. „ერთობა" 1920. 8 თებერვალი №30
166. იქვე
167. გაზ. „ერთობა" 1920. 6 მარტი №61
168. გაზ. „ერთობა" 1920. 17 მარტი №62
169. იქვე
170. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 48
171. გაზ. „ერთობა"1920. 23 ივნისი №139
172. გაზ. „ერთობა" 1920. 10 თებერვალი №31
173. გაზ. „ერთობა" 1920. 5 აგვისტო №175
174. გაზ. „ერთობა" 1920. 6 იანვარი №4
175. იქვე
176. ამხანაგი. კომუნისტურ რუსეთში. თფილისი. 1920. გვ. 37
177. იქვე გვ. 38.
178. იქვე გვ. 39
179. იქვე გვ. 39-40
180. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920, №10 გვ. 20
181. გაზ. „ერთობა" 1920. 1 მაისი №97
182. იქვე
183. გაზ. „ერთობა" 1920. 29 აპრილი № 95
184. გაზ. „ერთობა" 1920. 1 მაისი, №97
185. გაზ. „ერთობა" 1920. 4 მაისი №98
186. სცსსა ფ. 1825 აღწ. 1 საქ. 130, ფურც. 130
187. გაზ. „ერთობა" 1920. 1 მაისი №97
188. გაზ. „ერთობა" 1920. 4 მაისი №98
189. გაზ. „ერთობა 1920. 7 მაისი, №101

190. იქვე
191. ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 12-13
192. გ.შარაძე, მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისათვის. იხ. გაზ. "კომუნისტი" 1989 წ. 6 ივლისი, 23 ივლისი, 30 ივლისი, 10 სექტემბერი, 12 სექტემბერი; ო. ჯანელიძე, რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება. გაზ. იქვე. იქვე. „ახალგაზრდა ივერიელი" 1991. 21 მაისი № 58
193. ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 113
194. იქვე, გვ. 112
195. ნ.კირთაძე. საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები, გვ. 90
196. იქვე, გვ. 91
198. Окупация и фактическая анексия Грузии (Документы и материалы) Тбилиси. 1990. стю. 84-86
199. იქვე გვ. 75-77
200. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) თბ.2001, გვ. 310
201. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. №16, გვ. 21
202. იქვე, გვ. 28
203. გაზ. „ერთობა" 1920. 11 მაისი №104
204. იქვე
205. ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული გვ. 116
206. გაზ. „ერთობა" 1920. 25 მაისი, №115
207. გაზ. „სახალხო განათლება" 1990. 5 აპრილი №14
208. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები. ნაწილი პირველი 1883-1921 თბილისი, 1971. გვ. 558
209. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920 №27, გვ. 22-23
210. იქვე, გვ. 25-26
211. სცსსა ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 1 ფურც. 7
212. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. №27, გვ. 12
213. სცსსა ფ. 1933, აღწ. 1, საქ. 904 ფურც. 12-13
214. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. № 27 გვ. 20
215. იქვე, გვ. 9

216. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი
გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. ვვ. 35
217. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. №64,
გვ. 12-13
218. გაზ. „ერთობა" 1920. 1 დეკემბერი №274
219. იქვე
220. იქვე
221. დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში) 1920. №64,
გვ. 15
222. ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო–ფრანკო ბათუმში გვ. 82
223. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა
(1918-1921) გვ. 300
224. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921
წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი 1929. გვ. 242
225. ნ.კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და
ქართულ-ევროპული ურთიერთობები, გვ 61-62
226. გაზ. „ერთობა" 1920. 17 დეკემბერი, № 288
227 .იქვე
228. გაზ. „ერთობა" 1920. 18 დეკემბერი, №289
229. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბილისი 1990. გვ. 42
230. ლ. თოიძე ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი
გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 89
231. იქვე გვ. 91
232. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 121-122
233. გაზ. „ერთობა" 1921. 17 თებერვალი №36
234. იქვე
235. სცსსა ფ. 1825, აღწ. 1 საქ. 164, ფურც 12
236. იქვე, ფურც. 3
237. გაზ. „სამშობლო" 1989. ივლისი №18
238. გაზ. „ერთობა" 1921. 23 თებერვალი
239. იქვე
240. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი 1917-1925. ბათუმი. 1990. გვ. 170
241. გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები. იხ. ჟურნალი „მნათობი"
1989. №1, გვ. 10
242. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 167
243. გ. ქიქოძე თანამედროვის ჩანაწერები ჟურნალი "მნათობი" 1989.
№1 გვ. 24

244. იქვე გვ. 21
245. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც გვ. 102-103
246. გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი თბილისი 1990. გვ. 20
247. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი გვ. 172-173
248. ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, გვ. 48
249. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 173
250. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, გვ.48
251. გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 186
252. Документы внешней политики СССР т.3. Москва 1959. ст.598
253. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 185
254. ლ. ურუშაძე, ბოლშევიზმი-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) თბილისი, 1991. გვ. 25
255. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ) გვ. 326.

შინაარსი

შესავალი. საკითხის დაყენებისათვის. ძირითადი წყაროების მიმოხილვა და ისტორიოგრაფია 5

თავი I. ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო ორგანოების შექმნის შესახებ ამიერკავკასიაში 22

§1. ქართული სოციალ-დემოკრატია ორი რევოლუციის პერიოდში 22

§2. ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია 43

§3. ქართული სოციალ-დემოკრატია ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის სათავეებთან 75

თავი II. ქართული სოციალ-დემოკრატია და პარტიის ორგანიზაციული საკითხები 105

§1. სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეორგანიზაციის საკითხი და ქართული სინამდვილე 105

§2. სსდმ პარტია მახობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობის შესახებ 118

§3. ხელისუფლების შენარჩუნების საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია 127

§4. სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობისათვის 142

თავი III. საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია და ქართული სოციალ-დემოკრატია 160

§1. უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული სინამდვილე 160

§2. ეროვნული სახელმწიფოს მართვის ფორმების გარკვევისათვის 171

§3. საკანონმდებლო ორგანოების შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია 179

§4. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და მათი ფუნქციების განსაზღვრა 187

§5. ქართული სოციალ-დემოკრატია და სასამართლოს რეფორმა 198

§6. ეროვნული უმცირესობათა უფლებების სრულყოფისათვის 205

§7. აფხაზეთის საკითხი და მისი სტატუსის შესატყვისი ფორმის ძიება 221

§8. „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის საკითხი და

ქართული სოციალ-დემოკრატია 233
§9. ქართული სოციალ-დემოკრატია საქართველოს
კონსტიტუციის დანიშნულების შესახებ 248

თავი IV. ეკონომიკური რეფორმები და ქართული
სოციალ-დემოკრატია 254
§1. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიება 254
§2. საფინანსო პოლიტიკა და მისი შედეგები 276
§3. აგრარული რეფორმის სპეციფიურობა და მისი
პერსპექტივები 291
§4. სოციალური საკითხი და ქართული სინამდვილე 317
§5. ბოლშევიკური აჯანყებების შეფასებისათვის 334

თავი V. საგარეო პოლიტიკის საკითხები და ქართული
სოციალ-დემოკრატია 348
§1. სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი და საერთო
კავკასიური კონფერენციის მოწვევის საკითხი 348
§2. ინგლის-დენიკინის ალიანსი და საქართველო 370
§3. ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის
საერთაშორისო აღიარებისათვის 386
§4. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და
ქართული სოციალ-დემოკრატია 411

დასკვნები 443
რეზიუმე რუსულ ენაზე 453
მითითებული წყაროები და ლიტერატურა 455

7б
n400/15

ВАДАЧКОРИА ШОТА ИЛЬИЧ
ГРУЗИНСКАЯ СОЦИАЛ-ДЕМОКРАТИЯ В 1917-1921 ГГ.
Тбилиси
2001

საბეჭდი ქაღალდი 60 X 84 1/16

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 31

ტირაჟი 300

K 267.445
3